

780  
1983



საქართველოს  
რესპუბლიკის  
1983


# სურათები

50  
780

5







საქართველოს  
გამართლები

V.B.

„ბისუფანი რიბი“ (ფრესკა, ქვეთხონი, 1500 წელი წმ. ერ)



# სურსათი



საქართველოს  
სურსათის უმჯობესების უნივერსიტეტი

# 5

(56)

სექტემბერი  
ოქტომბერი

# 1983

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური  
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ  
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო  
კოლეჯია

## მონაარსი

### კოეზია და პროზა

პრანტ მათევესიანი, მოთხრობები, სომხურიდან თარგმნა ზეზუა მედუღაშვილმა	8
ეუზენიო მონტალე, ლექსები, იტალიურიდან თარგმნა ნაზი ქედიამ	54
თომას მალორი, ამბავი მთავი ართურის ზომბისა, რომანი, გაგრძელება, ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ	58
სიმუელ ბეკეტი, CASCANDO, რადიოპიესა, ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ჩიკვაიშვილმა	180
სრეჩკო კოსოველი, ლექსები, თარგმნა გივი ძნელაძემ	184
ვადიმ კოშენიკოვი, მარტი-პრილი, მოთხრობა, თარგმნა ნათელა გავაშელმა	200
ვივან კოტლიარმისკი, ენეადა, ნაწილი პირველი, უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ	219
ფრანს კაფკა, მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაკუტაძემ	227
პარაბოლები, თარგმნა ქეთევან კოპალეიშვილმა	280
პარაბოლები, თარგმნეს ლამარა ნაროუშვილმა და ლამარა რამიშვილმა	243
გერმანულენოვანი კოეზიიდან, ლექსები, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კაკაბაძემ	

### წერილები

გუსტავ იანოუხი, კოეზია მალვიძებს, გერმანულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიორგი მაკუტაძემ	247
შტაფან ცვაიგი, სტენდალი, დახაწყისი, გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა	290
ჟ. მილტონი მიური, წმინდა კოეზია, თარგმნა შაკა მაიხურაძემ	298
ივან ტურგენევი, კამლეტი და ღონე კისოტი, თარგმნა ნანა ახოზაძემ	399
მ. სოკოლოვი, ეგეოსის კულტურა, თარგმნა ეთერ ყურაშვილმა	819
შტეინოური იუმორი, გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა	



მთავარი რედაქტორი:  
**მუხრან მაჭავარიანი**

პ. მგ. მღვივანი:

**ნანა დარჩიბა**

ხარეჯაქციო კოლეჯია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ზაჩანა ბრეგვაძე

მაგალი თოღუა

ნოდარ ქაპაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკიძე

რუსუდან ქობულაძე

იორაბ ქვეციტაძე

ნიკო ურბანაშვილი

გივი ძნელაძე

დავით წარედიანი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიფჩივაძე

რაჭო ვეიშვილი

**«САУНДЖЕ»**

**ДВУХМЕСЯЧНЫЙ  
АЛЬМАНАХ  
ВСЕМИРНОЙ  
ЛИТЕРАТУРЫ**

НА  
ГРУЗИНСКОМ  
ЯЗЫКЕ

№ 5

1983

**СОЮЗ  
ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ**

**ГЛАВНАЯ  
РЕДАКЦИОННАЯ  
КОЛЛЕГИЯ ПО  
ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ**

**И  
ЛИТЕРАТУРНЫМ  
ВЗАИМОСВЯЗЯМ**

გარეკანზე: ქალღმერთი გველეხით. სკილოს კოლეჯი და თქმოს მანდაკვიბა კნოსი-  
სის სხსახლიდან. ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანები. (ფრაგმენტი)

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექსტრედაქტორი რ. იმნაიშვილი  
გამომშვეები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მღვივანი — 99-60-22  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 20. 07. 83 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 24. 10. 83 წ., ქაღალდის ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>32</sub>  
საღირ. თ. 24,81, სახტ. თ. 28 საღებავის გატ. 28,75. ტირ. 10.000. შეკვ. № 1798.  
ფასი 1 მან. 60 კპპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.





სომხურიდან

თარგმნა ზაზა მადულაშვილმა

17583

### საღვრი

მეცხრეში რომ ვიყავით, ეს ამბავი იმ შემოდგომას მოხდა. სკოლის დირექტორმა და ამავე დროს ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელმა დავთიანმა — ფეხებზე რომ ეკიდა ჩვენი სწავლა-უსწავლელობაც და მასწავლებლების ჩუმ-ჩუმი დაცინვაც — დიდხანს ნამსახურობისა და აწყობილი ცხოვრების თბილ ნეტარებაში მცხრომარემ, იმ ერთი ცხელი, საამური და უხეში ზაფხულის განმავლობაშიც კი უკვე საკმაოდ დაზრდილ-დავაყვავებულებს ზანტად, ძილმღვიძარედ გადმოგვიგდო:

— ხმა ჩაიწყვიტეთ, მაიმუნებო!

ღამედგომით ბალახის ბულულაობაზე, მთვარის ვახშობისას ზვინის ძირიდან ფეხწინდიანი გაიძურწა უსირცხვილო კოჭლი სპანდარა, მერე მთვარისაში ერთი წამით გაჩინმაჩინდა, შეშფოთებით გაიხედ-გამოიხედა და ნაბიჯი გადადგა მაღალმა ლენამ; გადადგა ის თავისი გრძელი, მკვრივი ფეხი და ფეხის ხმაზე ძილგამკრთალი წამოჯდა ქვრივი გინო: — ჰეი, ვინა ხარ, რომელი ხარო? — ეს ეგრე, ეს ზაფხულში მოხდა. მე წაკითხული მქონდა დეკამერონი, გოგოებს შარშანდელი კაბები ტანზე ეფხრიწებოდათ, იგნატიოსის ჭემამ სკოლის გზაზე ჩანთა გადმომიგდო, ჩვენებს მიუტანეო, თვითონ კი კიროვაკანელ შოფერს გაჰყვა და ცოლად დაუქდა; შამუტელ გამხდარ გარუშას ახალი მასწავლებლის გასაშრობად ვაფენილი ლიფი ენახა; ანაპიტა ლოყებზე ხელებს შემოიწყობდა, მომჩერებოდა და მომჩერებოდა თავისი ჭროლა თვალებით, — წლოვანებითა და განცხრომაში ცხოვრებით შებეზრებულმა იმ დავთიანმა კი არც აიღო, არც დაიღო და გვითხრა:

— ხმა ჩაიწყვიტეთ, უქნარა მაიმუნებო!

ვიფიქრე, ვნახავ ერთი, ნაღდადა სძინავს თუ ძილფხიზლობს-მეთქი და ჩავილაპარაკე:

— მაიმუნები ჩვენ არა ვართ!

გაირკვა, რომ არ ეძინა.

— ვინ თქვა ეს?

შარშანდელი კაბები გოგოებს ტანზე ასკდებოდათ, ჩვენ ვაფენილი ვნახეთ ახალი მასწავლებელი ქალის ლიფი, ზაფხულში გინომ ხელი შეუშალა მშვე-

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა



ნიერ ლენას და კოჭლ სპანდარას, იმ ანაპიტას მკერდის სისავესაგან შალის  
კაბა და კანი ეფხრიწებოდა, — მე ზღაზვნით წამოვდექი და დამცინავად თავ-  
ჩალუნული გაეჩერდი.

მან თქვა:

— აჰა! თქვენ არა ხართ მაიმუნები! მაშ ვინღა <sup>ეჩინეული</sup> ~~მარცხენით~~ <sup>მარცხენით</sup>

წინა მერხიდან შიშნეულად უკუიხედა გარუმას ვაჩხინკულმა დამ; ანა-  
პიტას კროლა თვალების ზარცემული მზერა ზურგს მიწვავედა, — მე ორივე ხე-  
ლით დავეყრდენი მერხს, მხრები ავიჩეჩე და ვთქვი:

— ვილაცეები! — და თვალი გავუსწორე მას.

— ვინ ვილაცეები?

— ვინც არიან!

მან კლასიდან გამომაგდო.

— წადი, მელორე გამოდი!

იმ ზათხულინდელი ჩემი ნამუშევრით ჩემთვის ნაყიდი მქონდა ფეხსაცმე-  
ლები, პიჯაკი, პერანგი, ბათინკები, საათი, საბანაო ტრუსი, ავტომატური კა-  
ლამი; დედაჩემისათვის — შალი, ბავშვებისათვის კი — კანფეტები; იმ სექ-  
ტემბერს სათბოთი და სიყვარულით მოგვესათუთნენ ფრანგულის მასწავლე-  
ბელი ქალი, პიონერხელმძღვანელი ქალი, მერვე-მეცხრე-მეათეკლასელი გოგო-  
ები (ეს გოგოები თავიანთ კანში ველარ ეტეოდნენ) და მე ვთქვი:

— შენ მაგრე გეგონოს!

და მასწავლებლებსა და მოსწავლეებს რომ მისთვის პატივი ეცათ არა  
მარტო მასთან ლაპარაკისას, არამედ მაშინაც კი, როცა ისინი სადილობდნენ,  
კითხულობდნენ და სეირნობდნენ, მან მე სკოლიდან გამომაგდო. — მაიმუნო! —  
ამ სიტყვით დამისვა წერტილი. მე მისთვის არ მითქვამს, თვითონ ხარ მაიმუ-  
ნი-მეთქი, და ამიტომ იმედიცა მქონდა, ძალიან თუ შევეხვეწებოდი, ხელახლა  
აღვედგინე სკოლაში, მაგრამ მამაჩემმა სახელოსნო სასწავლებელში მიკრა თავი.  
შინ შვიდ ბაღს სახლი თავზე მქონდა აცმული, იმათი სამყოფი პური და კარ-  
ტოფილი აღარ მოიძეოდა, ამიტომაც: წადი, ქვისმთლელობა ისწავლე, სახლს  
მაინც დაეხმარებიო, — მამაჩემმა.

— ბოქს!..

— სდექ! მარცხენით! მხოლოდ მარცხენით! მარჯვენა ხელი არა გაქვს!  
მარცხენა, მარცხენა, მარცხენა, მარცხენა! ყოჩაღ!

პირველ რაუნდში კარაპეტ კარაპეტიანს ცხვირი დავუნაყე. ის აპარანი-  
დან ჩამოსულიყო სასწავლებლად, მოზვერივით ჩადგმული იყო და, მართლაც  
რჩოლელა მოზვერივით ზედა მვარდებოდა. იმ წელს თხუთმეტი შეხვედრა მქონ-  
და მასთან, აქედან თოთხმეტჯერ მე დავუღილავე ის გატყლაპნული სიფათი.  
მასთან შეხვედრები უკვე მეზარებოდა, უკვე ყელში მქონდა ამოსული მისი  
განუწყვეტელი ჩეჩქვა, რინგზე მისი ყოფნა უკვე საერთოდ აღარ მაწუხებდა,  
აღარც არავითარ დაძაბულობას ვგრძნობდი და სწორედ მაშინ, ჩვენს მეოთხუთ-  
მეტე შეხვედრაში, მან ადგილიდან მომწყვეტი ძალით მგლიჯა ნიკაპში. ერთი  
სიტყვით, მან მალოკინა იატაკის მტვერი და მაგეგმებინა იმ მტვერში შერეული  
ჩემივე სისხლის გემო.

— მარცხენა, მარცხენა, მარცხენა! — ჩვენს ირგვლივ დახტოდა მწვრთნე-  
ლი, — სად დაგავიწყდა შენი მარცხენა, შე მძინარავ, შენა!

იმავე წლას შემოდგომაზე მოსკოვში წავვიყვანეს შეჯიბრებაზე. ის, რა-



საც მეტოქე ჰქვიათ, მეტოქე არ იყო, რადგან არსად არ იყო. ბაგირების გალი-  
აში იყო მხოლოდ ერთი გამარჯვება და ერთიც — დამარცხება. გამარჯვება  
არგუნეს ბაშკირ მაკანინს. დამარცხება — მე. მაშასადამე, ვიბოძოდით მე და  
ის. ოღონდ ის ჩემს მეტოქედ, ჩემს მოწინააღმდეგედ ვერა ვნახე. რადგან  
ჩემმა ხელმა იგი ვერ იპოვნა. როგორც ჩანდა. ის სადღაც იქნებოდა მხოლოდ  
იყო, რადგან მას ტაშს უკრავდნენ, მაგრამ, ღმერთი-რჯული, მაინც, არ იყო, არ-  
სად იყო! მე ვებრძოლე ჰაერს, ბაგირებს, ეგ კი არადა, მსაჯიც მაკანინში შე-  
მეშალა. — მარცხენით, მარცხენით, მარცხენით! — ჩურჩულებდა ჩემი მწვრთ-  
ნელი. ხელთათმანების უკან ერთი-ორჯერ კი თვალი მოვკარ მაკანინის კატისე-  
ბურ თვალებს და მერე იგი კვლავ აღარ იყო. აღარსად იყო. — მარცხენით,  
მარცხენით, მარცხენით! — კვლავ ჩურჩულებდა მწვრთნელი. მე მოულოდნე-  
ლად შევტრიალდი, რომ იმ მაკანინისთვის დამერტყა მარჯვენითაც, მარცხენითაც,  
მუხლითაც და, თუ გნებავთ, თავითაც, რათა გამეცამტვერებინა მისი მოჭნი-  
ლობა, მექცია იგი მართლა სპორტსმენად, ივალთვალ და ხელიხელ აღსაქ-  
ნელ მოწინააღმდეგედ, მაგრამ ვის ეძებ და რას ეძებ! იგი არ იყო, არ ჩანდა  
და არსად იყო! ჩემივე ინერციით ბაგირებს მივაწყდი და სირცხვილი იყო თა-  
ვის აწევაცა და ჩაწვრილობინდულ დარბაზში მოხითხითე სახეების დანახვაც.

— მომაბეზრე რაღა, შენი „მარცხენით-მარცხენით-მარცხენით!“ — ხე-  
ლებდაშვებულმა დავუყვირე ჩემს მწვრთნელს.

ლუკმა ყელში არ გადამდიოდა და ის ფაფუკი ლოგინიც აფსუსი იყო, რად-  
გან ქალები ჩემში აღარ აღვიძებდნენ მამაკაცს.

იმ წელს ერთი დიდი ნარკვევი დავბეჭდე გაზეთში. მოკრივეებზე დაწერი-  
ლი მოთხრობა არ დამიბეჭდეს. მითხრეს: აი, ეს რინგია, ეს — ბაგირები, ეს —  
მეტოქეები, ესეც კიდევ — მსაჯიო. ვანც უნდა იყვნენ, ყველანი არიან, აკ-  
ლია ვინმეო? არ აკლიაო! ჰოდა, სპორტსმენები თავიანთი ძალღონით მიუწვ-  
დომლობაში მისაწვდომს მისწვდებიან, გამარჯვებას გამოსწურავენ და შენ კი,  
როგორ თუ — „ბაგირების გალიაში იყო ერთი გამარჯვება და ერთიც —  
დამარცხებაო!“ მშენებლებზე დაწერილ ნარკვევში პირველი პრემია მერგო.  
ავრამეტი წლისა რომ შევსრულდი, იმ გაზაფხულზე პირველი ქალი ვიგემე-  
სასტუმროს აბაზანაში მონებივრეს სოფლის სკოლა და დავთიანი მომაგონდა  
იმ დღეს. მომაგონდა და ჩამეცინა, რადგან, აი, როგორ შეტრიალდა ყველა-  
ფერი: დავთიანმა მაშინ მელორეობა მიწინასწარმეტყველა, მე კი სათქმელად  
მივუბრუნდი, შენ მაგრე გეგონოს-მეთქი, ხოლო შამუტელ მერუეანს ხელი აე-  
წივნა და ძალიან უნდოდა, გაკვეთილს მოჰყოლოდა, რადგან იმდღევანდელი  
გაკვეთილი როგორღაც ესწავლა. ის იქ, ჩემი ფიქრით, ჯერ კიდევ ეხვეწებო-  
და, რათა მისთვის გაკვეთილი გამოეკითხათ, მე კი, აჰა, უკვე ნამყოფი ვარ  
ნოსკოვში, ვიგემე გამარჯვებაც, ვიგემე დამარცხებაც, ახლა კი უკვე სასტუმ-  
როში ვარ და ვბანაობ. საშუალო ვანათლება სალამოს სკოლაში დავასრულე.  
როცა გამომცდელების ურჩხულისებრი სიმკაცრით და გამოუცნობი მომაგ-  
ლით დამფრთხალი, ყელამდე საკინძეშებნეული, სიცხით დაწყვეტილი, უძილო  
შამუტელები და წმაკუტელები ჩამოვიდნენ, უნივერსიტეტის კარებთან შეკრე-  
ბილთაგან ყველას პირზე ეკერა მხოლოდ ერთი საგამოცდო თხზულება, რო-  
მელსაც ჰქონდა კლასიკური მოთხრობის ბრწყინვალეობა და საერთო ღირსე-  
ბებით სადიპლომო ნაშრომს უტოლდებოდა. ის ჩემი საგამოცდო ნაწერი იყო.  
მე შამუტელებსა და წმაკუტელებს შევეკითხე, დავთიანი როგორ არის-მეთქი,



და იქვე დიდსულოვნად დავუმატე: „დაღლილი კაცია, რაღა, უმჯობესა თავის-  
თვის კარგად ამყოფოს“. მერე წმკუტელებს ვუთხარი: „რაღა მამაჩემი რა  
აზრისაა ქვთისმთლელობაზე?“

— რაღა, ძამო, იქწავლე გაკვეთილი? — ჩვენი სოფლის კოლონებეკუთხარი  
მერუყანს. — ჩამოხველ ინსტუტში მოსაწყობად?..

იმ წელს კიდევ ერთხელა სცადეს, კრივს დავბრუნებოდი, მაგრამ არა-  
ფერი გამოვიდა. კაცმა რომ თქვას, აღარც მედარდებოდა ეგ ამბავი. რადგან  
საკმაოდ ბევრი წარმატება მქონდა მოპოვებული უკვე სულ სხვა ასპარეზზე:  
ერთმანეთის მიყოლებით დავბეჭდუ სამი ნარკვევი და ერთი მოთხრობა: შესა-  
ვალი სიტყვა წარმოვთქვი ერთი პოეტის საღამოზე; ყველას რომ გული უძ-  
გერდა თბილისში წასასვლელად და იქაურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენ-  
ციაში მონაწილეობის მისაღებად — მე უარი ვთქვი; როცა მსოფლიოში სახელ-  
განთქმულ სარიანთან ინტერვიუ მქონდა, სარიანს ერთ წამს როგორღაც  
ყურადღება გაეფანტა და რაღაც ისე ვერა თქვა, როგორც საჭირო იყო; მე  
ვუთხარი, იქნებ ეგ ისე კი არა, ასეა-მეთქი, და ისიც მაშინვე დამეთანხმა,  
შეცდომა ჩემი აზრის შესაბამისად შეასწორა. პოლიტეკონომიის ლექციაზე  
დიდი საგაზეთო ნარკვევის წერაში ვიყავი გართული, დროდადრო თავს ავი-  
ლებდი, ლექტორს როყოოდ ვესორბოდიტლებოდი, ის მოთმინებიდან გამოდიო-  
და, მე კი ვწერდი ნარკვევს, თვალს ვუკრავდი ვერგინეს, სულს ვუბერავდი  
ბერსაბეს გლუვ კეფას და სურენას, რომელიც უკნიდან წამდაუწუმ ბლიკვსა  
მკრავდა, მხარუკულმა ვეუბნებოდი: შე მამაძაღლო, ამის პონორარს უშენოდ  
ხომ არ დავამღერებ, დამაცა, რაღა, დავამთავრო-მეთქი.

იმ დროს, როცა აღზო ცხენი მელა გიქორისა და თავის საკუთარ ტვირთს  
მტკაველ-მტკაველ უახლოვებდა სოფელ წმკუტს, მე ერეკან-მოსკოვის ჩქარი  
მატარებლის რბილ ვაგონში ვიყავი გამოჭიმული და თავი რად აღარ წარმო-  
მედგინა. მე ვიყავი, ჩემო ბატონო, ქუდბედიანი, ნებიერი, ლამაზი, ყველას  
საფოფინარი და ქალების ღვთის რისხვა. „ახ, ეს ქარიანი პრანტი!... დიუმა-მა-  
მა დიდების შარავანდედითა და ქალებით იყო გარემოსილი — ეგ მე ვიყავი!  
გაცხარებული ბრძოლისას კუტუზოვს ტებილად ეძინა — ეგეც მე ვიყავი!  
ჩვენმა მეფე არტავაზდმა იმაყად ჩაუარა კლეოპატრას, რათა ის გვირგვინოსანი  
თავი კუნძზე დაედო — ეგეც ხომ მე ვიყავი და მე ვიყავი! ნობელის პრემია,  
ტორო-ტორეადორ, გარსონ, „მესამე მაგიდას ორი ბოთლი კონიაკი!“ ფისუნია  
ბრიჯიტ ბარდო, „გოგონა შარზე“, „მე თქვენ მძულხართ!“ „იმპერატორი გე-  
ლოდებათ!“ — „გადაეცით იმპერატორს, რომ ერთი საათით შემავიანდება!“ —  
ყველაფერი ეს, ყველა და ყველაფერი მე ვიყავი.

- ვერგინე!.. ვერგინე!..
  - გვიანაა, უკვე გვიანაა.
  - ვერგინე!..
  - ოთხი წელია!.. პირველი დღიდან... სახლში, ტრამვაიში, ლექციებზე,  
ბანაკში, გათხრებზე... ოთხი წელია!.. მაშინ სად იყავი?..
  - ვერგინე...
  - გვიანაა!
  - რაღას ვიზამ, ვერგინე... გისურვებ ბედნიერ დიასახლისობას!“
- ეს მართლაც ასე მოხდა. ვერგინე ინჟინერს გაჰყვა, სახელმწიფო გამოც-  
დებზე სირბილით მოდიოდა, ზედა ტუჩის საღინდლე ოფლით ჰქონდა დაცვა-



რული, გამოცდიდან ბავშვის მოსაწოვებლად გარბოდა, ხოლო ერევანს, ერთ-  
 ხელა ც იქნებოდა, ეწვეოდა ახალამობრწყინებული ფრანგი კინოვარსკვლავი  
 ან არადა მისი გულისთვის პრანტი წავიდოდა პარიზში. მე კვარცხლბეკობას მი-  
 წევდა დედის აღფრთოვანებული შეკვივლება, ჩვენი ათი ბალოს ჩემზე განც-  
 ვიფრებით მოშტერებული მზერა, მამაჩემის ფარული სიამაყე, დოცენტ-მხ-  
 ვერდიანის შემოთავაზება დერეფანში: „დარჩი ასპირანტურაში!“ და კიდევ  
 ისიც, რომ იმჟამად ერევან-მოსკოვის მატარებელში ვიჯექი, მატარებელი ჩქა-  
 რი იყო და ჩემი იყო, შემეძლო ტანზე დაუთოებული შარვალი მეგრძნო, ამ  
 გრძნობით გაყოყოჩებულს ვაგონის დერეფანში დარბაისლური ბოლთა მერტყა,  
 გამელო ფანჯარა (ცხელოდა!), სიგარეტი მომეწია (საფერფლეები სადაც იყო,  
 ვიცოდი) და თუნდაც წამოწოლილს ფეხი ფეხზე გადამედო (ადგილი ჩემი  
 იყო!). ათას ცხრაას ოცდაცხრამეტში მელა გიქორი და ორიოდე მწველავი,  
 მართალია, იყვნენ მოსკოვში და შეიძლება ჩქარი მატარებლითაც კი, მაგრამ  
 მათ არ უგრძნიათ მისი კეთილმოწყობილობა, ისინი ერთად, თითქოსდა ყუთში  
 ჩაყრილები ჩაიყვანეს მოსკოვში: ეს კრემლია, ეს—მდინარე მოსკოვი, ეს —  
 მავზოლეუმო, აჩვენეს და იმავე ყუთით უკან გამოგზავნეს; ხოლო, აგერ, ვა-  
 გონის დერეფანში შარვლიანი ქართველი ქალიშვილი კვერცხის ტოლა თვალე-  
 ბით მომჩერებია, მე კი აინუნშიც არ ვაგდებ საწყალ გოგოს. ვამჩნევ და არც  
 ვამჩნევ. კუბის მესამე მგზავრი ახლომხედველი და მელიტმოდლებულია,  
 ხოლო მე ასეთი იღბლიანი, მოხდენილი, რუხი ფერის ზოლებიან შარვალში  
 ვარ გამოკანკლული, მაცვია შავი, გაბრიალებული ფეხსაცმელი, მუჭი პალ-  
 სტუხი თეთრ პერანგზე ოდნავ მოწვეებული მაქვს, დიდ სჯა-კამათში გამარჯვე-  
 ბულივით მიქანცულად გადავსვენებულვარ, საწყალ ქართველ გოგოს კი თვა-  
 ლები ჩემს კუბეზე აწყდება; კუბის მეორე მგზავრს — ალბათ, სათვალისანის  
 ცოლს — თითები ოქროს თმაში შეუცურებია და ცდილობს არ შემომხედოს,  
 მაგრამ თავს ველარ ერევა. ბაირონმა კი ისე, სასხვათაშორისოდ შეხედა მის  
 ნადვლიან თვალებს, დიდებულ შუბლს, ოქროს თმაში შეცურებულ გრძელ  
 თიხებს, თარომაგიდის ქვეშ მოჩინარ მის გრძელ ფეხებს და პირზე ზელისგუ-  
 ლის რტყმით დაამთქნარა, „დარჩები ასპირანტურაში? დარჩი ასპირანტურაში!“  
 ერთი ისინი იყვნენ კიდევ, ის თითქმის უმეცარი ლექტორებიცა და, თუ ვნე-  
 ბავთ, ის დოცენტიც! „ზმნის წარმოშობა...“ მეიე ამბობს... აჭარიანი ამ-  
 ბობს... ვვედენსკი ამბობა... აჭარიანი ამბობა...“ და სწორედ აქ მივახალე:  
 „თქვენ, თქვენ თვითონ რაღას ამბობთ?“ გოგოები შიშნაქამი მზერით შემომა-  
 ჩერდნენ.

ივლისის თეთრი დღეა, ვერგინე ბაღში ზის, ქმარს მოფარებული ბავშვს  
 ძუძუს აწოვებს, ხოლო მალლა უკვე მისი რიგია ან იქნებ რიგიც გაუცდა, მას  
 კი საგანი კარგად არ მოუმზადებია, „ფულის წარმოშობა... ფული, როგორც...  
 ეპ, გული შემიჭამე, რაღა, თუ სწოვ, მოწოვე, ვაი!..“ ამ დროს ლურჯი ჩრდი-  
 ლების მიღმა, ივლისის მზეში ზანტი მიმოხვრით ჩაიარა პრანტ ქარიანში —  
 მალალმა, აშვეტილმა, გაწყრილებულმა... მამაძაღლი! სიარული რა არის და,  
 სიარულიც კი ლამაზი აქვს; ლექციაზე უძინარი მოდის — ლამაზია; ნოემბ-  
 რის დემონსტრაციაზე, ქუჩაში, პოლიტექნიკურის სტუდენტ კარინესთან ერთად  
 როკ-ნ-როლი იცეკვა — ლამაზი იყო; ექსკურსიაზე, მსუბუქად ღიმილგადაფენილ-  
 მა ქურთული „ქოჩარი“ იცეკვა — ისევ ლამაზი იყო... პოლიტექნიკურელ კა-  
 რინესთვის სილა გაეწნა და უნივერსიტეტში ნაცემა მოვიდა, უბეები ჩალილა-



ვებული ჰქონდა. ტუჩები — დასიებული, — მისთვისაც ელაწუნებინათ... დი-  
დი ამბავი! სამნი იყვნენ, მიაყენეს კედელთან, დააქოთაქეს და მალის გაგარ-  
დნილი, მაინც ლამაზი იყო!

— კიროვაცანი! სადგური კიროვაცანი!..



ქართული

ან ეს კიროვაცანი რაღას!.. ხალათიანი დუნდრუცა და ცინ-  
ელილებულეზა, დაოფლიანებულეზა, ოცდამესამე ხარისხის მურაბას რომ ხარ-  
შავენ!.. „ნახე? — რა? — არ გინახავს? — რა? — პრაჩიამ, აი; ქალაქის საბ-  
კოში რომ მუშაობს, შავი „ვოლგა“ გამოიტანა. — ეგ როდის მოასწრო გა-  
მოცვლა? — ხუთი დღეც იქნება, ამ თვის ჩვიდმეტში გამოუტანია. — ბიჭია,  
რაღას! — მაშ, არადა!..“ ამ ქიმიური ქარხნის ანსამბლის სუიტაც ხომ მაგა-  
რია: „კიროვაცანო, ქების საგანო, ყველას ანცვიფრებ აქ და სხვაგანო, სიმღე-  
რისა და ოხვრის ქალაქო, შენ ჩემო კარგო კიროვაცანო“; ის მამაჩემიც კიდევ:  
„ჩამოდი, კიროვაცანში იმასწავლებლე, სახლი ავაშენოთ, კიროვაცანში ვიცხოვ-  
როთ!“ კი, ბატონო, რა კარგია! ჩავალთ სოფელში, ცხვარს დაგვიკლავენ,  
ერევანში საკუთარ საქმეზე წასვლა გვინდა და, მივლინებას ვერ ავიღებთ თუ  
რა?!.. წავალთ სადგურზე, თბილისი-ერევნის მატარებლიდან ჩამოსულ დამ-  
სვენებლებში იქნებ ისეთი ქალები მოვნახოთ, თან რომ ახალგაზრდებიც იყვნენ  
და თან უქმროებიც... „— გამოგვიდა რამე? — ვნახოთ, ჯერ იპრანკება ცო-  
ტა! — ეგ მაგათი ხელობაა, შენ შენსაზე დადექ. — ვიცი!“

ფანჯარაში წამით ან ვერცთუ წამით შემოიხედა და მაშინვე უკან დარჩა  
ბამბაკის პატარა სადგური. საწყალი ბამბაკის პატარა სადგური! — ერთი წითე-  
ლი ქუდი იყო. ერთი მწვანე ნათურა და ერთიც ხარი. ვინ იცის, რამდენ გულ-  
ზვიად ექსპრესს ჩაუვლია აქედან, შენ კი ამ ხეობაში ასევე დარჩენილხარ:  
ერთი მწვანე ნათურა, ერთი წითელი ქუდი და ერთიც — ხარი! ამ მესამე მგზავ-  
რისა არ იყოს. ამ საწყლისა, ერთი სიცოცხლე მისცემია და, აჰა, თან ახლომ-  
ხედვლია, თან კიდევ — მელოტი! ან ეს მგზავრი ქალი ავიღოთ: კი, ბატონო,  
ქალია და ქალურად კდემამოსილიც, მაგრამ ვთქვათ, ამ წუთას კუბეს კარმა  
გაიწია და კარში შემოდგა ბრიჯიტ ბარდო, — ამ საწყალს ხომ შერცხვებოდა,  
თითები რომ საზღვარგარეთულ ყაიდაზე ჰქონდა შეცურებული თმაში, ფე-  
ხები მოეშიშვლებინა და აქამდის ფიქრობდა კიდევ, ლამაზი ვარო?

— ახალგაზრდა მოსკოვში მიდის გამოცდების ჩასაბარებლად?

— ახალგაზრდამ უნივერსიტეტი დაამთავრა, — ისევე მისვენებულმა,  
პალსტუხმოშვებულმა მივუგე მე და გავიფიქრე, რომ ჩვენი საუბარი სწორედ  
პარიზულ დონეზე მიმდინარეობდა.

— ჰოო?

— თენდება, თქვენ კი არ გძინებიათ.

— ახლა საით გაუწევია ახალგაზრდას?

— წმკუტში. ეს ჩეხოსლოვაკიაშია, — ვთქვი და წამოვდექი. მოვიდა  
ნამძინარევი გამცილებელი, რათა ჩემთვის ეთქვა, მატარებელი ახლა ერთი  
წუთით გაჩერდება ქოლაგერანში.

— წმკუტში, — ვთქვი მე, კალათები და ჩემოდნები დერეფანში გავი-  
ტანე და ვიგრძენი, რომ სოფელმა წმკუტმა წონა შეიმატა. იმათ, რაღას თქმა  
უნდა, იფიქრეს, რომ აქ უსამართლობა ხდებოდა: ეს ყმაწვილი კაცი ნამდვილად  
პარიზის ღირსია, აგერ რომელიღაც ქოლაგერანში კი ჩადის რომელიღაც წმკ-  
უტისათვისო. მატარებელი ნელა დაიძრა, პრანტ ქარიანი კი გიბეებში ხელებ-



ჩაწყობილი, გან-გან ფეხებვადგმული, გულგრილად გაჰყურებდა მის სვლას. ხოლო ბაქანზე ჩემოდნებისა და კალათების გროვა უბატრონოდ ეყარა. რად-გან ჰრანტს მათთან არაფერი ესაქმებოდა. ქოლაგერანი სახელგანთქმული ხდებოდა, თეთრ პერანგზე პალსტუხმომშვეებული ჰრანტ ქარიანი მის ერთადერთ ტროტუარზე იდგა, სანამ ბოლო ვაგონშიც არ ჩაიარა; მერე სიჩუმე ჩემოდნებს და სიჩუმეში თავისი ბნელი საქათმიდან დაიყიელა მამალმა. ჰრანტ ქარიანმა გაიღიმა, მსუბუქი ათვალწუნებით, მაგრამ ერთგვარი სიყვარულითაც განიმს-ქვალა მამლისადმი — აი, როგორც ქუჩის არეულობაში სხვის ბავშვს მოეფე-რებიან თავზე, — მერე დაამთქნარა და მაღალ-მაღალი ტანი გამოკვეთილად. ნაბიჯ-ნაბიჯ წაიღო სატელეფონო განყოფილებისაკენ, რომელიც გაქლენთილი იყო საძინებელი ოთახის დილისეული სითბოთი და უსუფთაობით. მთვლემარი და დაქმუქნულტანსაცმლიანი, ჯერ ისევ ძილბურანში მყოფი ტელეფონასტი ქალი მოღუშულად შეეკითხა, რა გინდაო, და ჰრანტ ქარიანი მიხვდა, რომ იმ ქალს სახლში შვილები ჰყავდა. „საწყალი დედები!“ — გაიფიქრა მან.

— რომელი საათია?

— ხუთი. წმკუტს შემაერთე.

— რომელ წმკუტს?

— სოფელ წმკუტს, ჩემი სამშობლო სოფელია.

იგი ერთი წამით ბურანიდან გამოერკვა და გაიღიმა.

— შენ ელამი ელიშას ჰრანტი არა ხარ?

— კი, დიახ, — დავიბენი მე.

— არა... შენ გიყი ხომ არა ხარ?!.. წმკუტი!.. თქვენსოფლები სუყვე-ლანიც ცოტ-ცოტა დაცურებულები არიან, აი!..

ჩაბინდბანდებულ კუთხეში, ერთმანეთზე მიდგმულ სკამებზე მორიგე მი-ლიციელი წამოჯდა.

— რათა? — ვუთხარი ტელეფონისტ ქალს, გულში კი გავიფიქრე, რომ ძალიან მიყვარს ჩვენი ხალხის უბოროტო ღიმილი.

— მაშ, ამ დილით ხუთ საათზე იქ ვინ უნდა გელოდებოდეს?

თვალეზდაწითლებულმა მორიგე მილიციელმა ნამძინარევის ფშვენით მი-კურა, მიყურა და მერე ჩემთვის მოულოდნელად თქვა:

— ეს ელამი ელიშას ბიჭია?

— ყარაული! — მივუგე ტელეფონისტ ქალს და შემრცხვა, რადგან ამ აგ-ვისტოში, არა მგონია, ან თუნდაც ყარაული ყოფილიყო კანტორაში.

ქალმა მაგიდიდან თავაულებლად წაიდურღურა:

— კი, აბა! თქვენი თავმჯდომარის მილიონები რომ არავინ მოიპართს, ყარაული დაუყენებიათ და თან ტყვიამფრქვევი მიუციათ.

— წმკუტში მიდიხარ? — შემეკითხა მილიციელი.

— წმკუტში.

— წუხელ საღამოს იქითკენ მანქანა წავიდა, საღამოთი რომ მოგესწრო, წახვიდოდი, — მან თავის ქვეშ სკამს აქეთ-იქიდან ხელები ამოსდო, ცოტა ხანს მიყურა და შემეკითხა: — რომელი საათია?

— ხუთი.

— ჰო, — თქვა მან და დაამთქნარა. — წუხელ საღამოს წავიდა, საათის, ასე, თორმეტი იქნებოდა, რამდენი კილომეტრია?

— ოცდახუთი.



— ჰო, — თქვა მან და სკამებზე გადაწვა. — წუხელ საღამოს წავიდა. წმკუტში არ მიდიოდა, შამუტში მიდიოდა, მაგრამ... ერთმანეთს რამდენი კილომეტრი გაშორებთ?

— შეიდა კილომეტრი.

— ჰო, — თქვა მან, — თქვენი ფერმის გამგეც შიგნით ლევონის ფერმის გამგე არ არის?

— მგონი.

— ლევონი არა ჰქვია?

— არ ვიცი, — ვუთხარი მე.

სადგური ვიწროშია. უკიდურეს აუცილებლობას უძიულებია რუსი ინჟინრები. სადგურის შენობა ჩაედგათ თითქმის წარმოუდგენელ ალაგას, სადაც კლდეებს უკან დაუხვევიათ მხოლოდ იმდენზე, რომ ორმა წყვილმა ლიანდაგმა გაიაროს; ბაქნად ერთი ვიწრო ტროტუარია, ხოლო შენობა უკვე მდინარის ხარჯზეა ჩადგმული. აქ იბადებიან ბავშვები, დადიან სკოლაში მეშვიდე კლასამდე, მერე სხდებიან მატარებელზე და გადიან ხეობიდან, რათა მეტად აღარასდროს დაუბრუნდნენ ამ ადგილს.

თავიანთი მშობლების სახლი მათ შეიძლება მოინახულონ მხოლოდლა ალავერდი-ლენინაკანის მუშათა მატარებლის, თბილისი-ერევნის შერეული შემადგენლობის მატარებლის ან არადა. მოსკოვი-ერევნის საგანგებო ჩქარი მატარებლის ფანჯრებიდან, ეგ არის და ეგ ვინ იცის, იქნებ წამიერმა სევდამაც შეუთრთოლოთ ხოლმე შებლები, როცა ბავშვობისდროინდელ მოგონებად წარმოუდგებათ შარასა და ლიანდაგებშუა ბაჯბაჯით მიმავალი ბატები ანდა ხეობის ყელიდან დაღმა მიმცურავი მზის ყვითელი ზოლი, რომელიც ორიოდე წამს ეფერება ხეობის ფსკერზე გაწოლილ დარიჩინისფერ მდინარეს, ლიანდაგებშორის დაღვრილ მაზუთისა და მერე კი ზანტად გადაფოფხდება მეორე კალთის მხარეს, ზეგნისაკენ — სივრცისა და მინდვრებისაკენ, ტყეებისა და სიჩუმისაკენ. პრანტ ქარიანი ერთადერთ ვიწრო ტროტუარს დაუყვა, მივიდა, ჰეგლ-წყაროდან წყალი დალია, გამობრუნდა და გაიფიქრა: „ეჰ, ჩემი საწყალი სადგური!“ შემდეგ მოსაცდელ დარბაზში შევიდა, დარბაზი ახალდაგვილი იყო და წყალნახურები მტვრის სუნი უდიოდა. პრანტ ქარიანმა მთქნარებით ჩაილაპარაკა:

— ჩემი საწყალი ქოლაგერანი!

პრანტ ქარიანი ჩამოჯდა, შემდეგ წამოწვა და ესიამოვნა თავისი სხეულის სიგრძე, თეთრი პერანგი რომ ცოტათი გასჭუჭყიანებოდა, ისიც ესიამოვნა და გაიფიქრა: „აჰა, ჩვენ უკვე ქოლაგერანის სადგურში ვართ“.

ყურთან დაუკაკუნეს და ფეხიც დაბლა გადმოუწიეს სკამიდან. პრანტ ქარიანმა გაიღვიძა, თავზე მილიციელი ედგა, რომელიც თან იღიმებოდა, თანაც თითქოს ვაბრაზებულიც იყო.

— განვითარებულ კაცსა ჰგევხარ და, არ იცი, რომ წამოწოლა არ შეიძლება?

პრანტ ქარიანმა, გაპარსულმა და მხრებგანიერმა, ქვემოდან ზემოთ ახედა მილიციელს და უთხრა:

— ჰა? — და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ისევ მიღო თავი.

— შენ გეუბნები! — და პრანტ ქარიანი ისევ წამოჯდა, როგორც უნივერსიტეტში შესვლამდე წამოჯდებოდა. — რაო, წადით იმ ერევანში, ქაუა იქ და-



ტოვეთ და ისე ჩამოდიოთ?! გითხრეს, არ შეიძლებაო, მაშასადამე, არ შეიძლება!

— კარგი, კარგი, აქ რა არის გასაბრაზებელი, — უთხრა პრანტ ქარიანი და გარეთ გამოვიდა. გამოვიდა და სირცხვილით გაიხსენა, რომ პოლიტიკური კურელ კარინესთან არავეითარი როკ-ნ-როლიც არ უცეკვია. გახედა ბაქანზე ხე-მოდნებისა და კალათების გროვას და გაიფიქრა: „როგორ უნდა გავიღეთ ახლა ჩვენ ამ ხეობიდან?“

მილიციელს წესრიგი უკვე დაემყარებინა და ახლა სადგურის ბაქანზე ბოლთას ურტყამდა. წავიდა, მივიდა წყაროსთან, გამობრუნდა, ჯერ მე მიყურა, მერე ლიანდაგებს და თქვა:

— აქ ნუ დგეხარ, აიღე შენი ბარგი-ბარხანა და შარაზე გადადი, თუ მანქანა იქნა, იქ ამოივლის; ნუღარ აგვიანებ.

— არის ხოლმე მანქანა? — ვთქვი მე.

— არის ხოლმე კიდევ და არც არის ხოლმე, შენც ხომ იცი.

— გმადლობთ, — ვუთხარი მე.

მანქანა შეიდ საათზე გამოჩნდა. როცა მისი ხმაური მომესმა, ვთქვი. პრანტ ქარიანი ყოველთვისაც, იღბლიანი ყოფილა-მეთქი. მერე მანქანაც დავინახე, სატვირთო არ იყო, შამუტის ვილისი იყო და იმედიც ისევე გამიქრა, როგორც ამ შვიდი წლის წინათ, როცა რბილი მანქანის გასაჩერებლად ხელის აწევას ვერა ვბედავდი. ტკბილი ცხოვრების სამყარო არ სცნობდა პრანტ ქარიანს, პრანტ ქარიანიც არ სცნობდა ტკბილი ცხოვრების სამყაროს. იგი თავზე ხელებ-შემოწყობილი იჭდა კალათებზე, რომლებთანაც აკავშირებდა ბოლო სტიბენდიები და ერთიც კიდევ — იმედი, რომ დედა გაეხარებინა. ეს მისი ბარგი იყო.

— მოქალაქევ! — დამისტვინა მან და ამ დასტვენამ პირდაპირ მომკლა, — ამხანაგო კორესპონდენტო! — მანქანაში იღიმებოდა შამუტელი ექიმო მერუფანი.

მან დამისტვინა და იმ დასტვენამ მომკლა მე... ამხანაგი ამხანაგს ასე არ დაუსტვენს, ასე არც ბატონი დაუსტვენს თავის ყმას, ასე მხოლოდ უცებ და ერთბაშად მალლა ავარდნილები უსტვენენ დაბლა დარჩენილებს. ჯერ კიდევ მეცხრე კლასიდანვე დაწყებული, ერევნიდან ჩამოსული ყოველი დამსვენებელი მათი ღმერთი იყო. მერე უკვე ღმერთები იყვნენ მხოლოდ სამედიცინო ინსტიტუტთან რაიმე კავშირის მქონენი. დედამისი ჩუმ-ჩუმად მათი მონა იყო, სათვალისოდ კი — თავისი მერუფით თავმომწონარი. მისი მწყემსი მამაც ხომ მთიდან წარამარა გაწურულ მაწონს უზიდავდათ თოპრაკით: — მაწონი რა ბედენაა, მაგრამა, რა ვქნათ, რო ხეირიანი სხვა არაფერი გვაქ, მწყემსი ხალხი ვართ, — და თან გლეხური შორსმჭვრეტელობით გაიღიმებდა. ასე, ამხანაგებისაგან თუ სხვათაგან დაცივნა-დაცივნაში, მაწვნით, კუდად დარჩენილი საგნების ძლივ-ძლივ მოხრჩობით, ჩოჩიალ-ხოხიალით ჩაიჭიბა დიბლომი და ახლა, აგერ, მუცლიდან მტვერს იფერთხავს.

მე მომაგონდა, როგორ მცემეს და რომ იმ ცემის შემდეგ სრულებითაც არ ვიღიმებოდი. სამნი იყვნენ-მეთქი; რის სამნი, რის მამნი, ერთი იყო და ის ერთიც სულაც არ იყო მოკრივე: უბრალოდ, ასე მოხდა: ვერგინეს ქმარს, სა-მუშაოთა მწარმოებელს, მშენებლობაზე ცემენტი მიჰქონდა. ბიბლიოთეკაში მიმავალს გზაზე თვალი მომკრა, არც კი გაუჩერებინებია, გადმოხტა სატვირთო მანქანიდან, მოვიდა, მკლავი დამიჭირა, — მიცანიო? — და ჯერ არც კი



ვეცხო, მიჭირა ორიოდე და გაპყვა თავის ცეშენტს იმ თავის მშენებლობაზე.

— საქმეები როგორ არის, ამხანაგო კორესპონდენტო, საით გავწევია?

არადა, ძალღის დაგდებულს ისე უხდებოდა ის მშვიდნი ირობია, რომ მე შემოცხვა ჩემი იმ ორიოდე დაბეჭდილი წერილისა და ერთეულებს დაგვარი რალაციისა. ქვეყანაზე ათასი ხელობაა და მე კიდევ რაღა უნდა ვქაღაღადის თხუნვა დამებედა!

— შინ, მერუე, წმაკუტში.

— ჰოო!.. ყოჩაღ, ყოჩაღ!.. კარგია, რომ მოგგონებივართ!

— მოვედი, მანქანა არ არის, მანქანას ველოდები, — პრანტ ქარიანი წამოდგა, საქამრეს ქვემოთ დოინჯი შემოიყარა, მთელი სიმაღლით აიშართა და გაიღიმა.

— აა!.. რაო, რა ამბავია ერევან-ქალაქში?

— ისევ ის ერევანია, მერუე, სიცხე, მტვერი!

— ჰოო! — თქვა მან, დაამთქნარა და პირზე ხელისგული დაიტყაპუნა, — ღამე არა გვიძინებია, თოხიანის ქალიშვილის დაბადების დღეზე ვიყავით.

„— მაწონი არ წაუღე?“

— ჩემოდნები, თუ გინდა, დააწყვე, კალათების წამოდება კი შენ მოგიხდება.

— ვალი მოიშორე? — მოულოდნელად შეეკითხა პრანტ ქარიანი.

— რომელი ვალი? — შეცბა ამხანაგი მერუეანი.

— ქიშიაში კული არა გქონდა დარჩენილი?

— არა.

— ჰოოო! — ჩააგრძელა პრანტ ქარიანმა. — — კარგია, კარგი, მე მეგონა, კული გექნებოდა, ყოჩაღ, ყოჩაღ!

ის ცოტა დაფიქრდა და მერე თქვა:

— ერთი სიტყვით, არ მოდიხარ!

— გმადლობა, მერუე.

— ისე, სწორედ იქცევით, ამხანაგო კორესპონდენტო, აქ შუშა გვიწყვია და დაგვემტვრევა. გზაზე კიდევ ერთი ნახევარი საათის საქმე მაქვს, უნდა დავდგეთ და შენც დაგაგვიანებთ. — მან გაიღიმა, — შენ ხომ ცნობილი კაცი ხარ!

— წადით, რაღა თქმა უნდა, წადით. „არა, ნამდვილად მაწონს, წაუღებდი!“

მან კვლავ გაიღიმა: — აბა, ნახვამდის, ხანდახან გამოგვიარე ხოლმე. — ხელიც კი დამიჭნია.

გრძელ-გრძელ ფეხებზე ათამაშებულს — მე მომიგონდა უნივერსიტეტის დერეფანი და დოცენტ ახვერდიანთან საუბარი. „ასპირანტურაში არ აპირებთ?“ ისიც გამახსენდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მე დოცენტ ახვერდიანთან ასეთ დაფიქრებულ საუბარში ვიყავი, გვერდით ჩაგვიარა არცთუ უჭკუომი, მაგრამ კარიერისტმა, ქალურად თვალშიმტაცმა და ათქვირებულმა ბერსაბემ. ვიწროდ შემოტკეცილი კაბა ეცვა და მის ტატან ტანს ხარბი თვალით მივაცილებდი დერეფნის ბოლომდის. სანამ დეკანატში არ შევიდა. „შენ გეუბნები“, — დოცენტი ახვერდიანი მიხვდა, რამაც დამიფანტა ყურადღება და ამოოხვრასავით თქვა: „დიახხხ!“

„— იფიქრე, იფიქრე!“

— ვიფიქრებ. — და მე კიბეების მოაჯირებით ჩავსრიალდი დაბლა: ჯერ



ერთით, მერე — მეორეთი, მერე — მესამეთი გარეთ გამოსვლისას მეკარე ნიკოლას, რომელიც ორმოცი წელიც იქნება, სამხედრო კიტელს, ჩექმებსა და ჯოკარდიან ქუდს ატარებს, ვუთხარი:

— გეყოფა კაპიტნობა, ნიკოლ, არ გინდა, რომ დისერტაციაც დაიცვა, ბა, ნიკოლ? — დინჯმა და სერიოზულმა ნიკოლამ გაიფიქრა. დისერტაციას — სწორედ რომ მე უნდა დავიცვა, თორემ უნივერსიტეტი რა პრანტ ქარიანისთანა ფშუტეების ადგილიაო, ხოლო იმავე წამს მე უკვე გარეთ, მზეზე ვიყავი და ვიცინოდი.

სწორედ მაშინდელი სიმსუბუქით ჩამოვედი შარავზიდან, მოქანავე ბონდი ვადავიარე, „ძალიწვილო, მე ასპირანტურაზე ვთქვი უარი, შენ ვინა ხარმეთქი“ და წავედი სატელეფონო წერტისაკენ.

— ცარიელი მანქანა იყო, რატომ არ წაგიყვანა? — დაინტერესდა მილიციელი. გამოხედვა სერიოზული ჰქონდა, თითქოს შეწუხებულიც იყო მომხდარას გამო. მაგრამ გულში იცინოდა, რადგან მიხვედრილიყო, ნამდვილად რა ფასაც მდო და რაცა ვღირდი: ასე, თხუთმეტი მანეთი, მეტი — არა. „ისევ ის ძველი ვიოია, მარტო ფალანი შეუცვლია, რაღა!“

— ცარიელი არ იყო, მაწონი მიჰქონდა, — ვუთხარი მე.

ამ პრანტ ქარიანის ნათქვამში, შესაძლებელია, რაიმე აზრი იდო, შესაძლებელია, არცა დებულებაც, მაგრამ, ვაითუ ამ სატყვებით მას დასცინოდა? მილიციელმა ფრთხილად გაიცინა.

— აბა, შენი დამბაჩის იმედითა ვარ! — უთხრა პრანტ ქარიანმა და სატელეფონო წერტში შევიდა. — მგონი, ახლა უკვე შეიძლება დარეკვა, წმაჯუტს შემაერთე.

— გამარჯობა, სანასარ, პრანტი გელაპარაკება, სადგურიდან, ქარიანი. — იგი საცილით დაეთანხმა, რომ, კი სწორედ ელამი ელიშას უფროსი ვაჟია. — როგორა ხართ? — და რაკი საქმე ასე წარმატებით მიუდიოდა, მან ავალიც კი ჩაუკრა ტელეფონისტ ქალს. — სანასარ, ჩამოვედი, სადგურზე ვარ. ჩვენებს უთხარი, ცხენი — რამე... არა, ხელით ვერ წამოვიღებ, ორი ჩემოდანი მაქვს და ორი კალათა, ნახვამდის, ველოდები.

პრანტ ქარიანმა ზოლიანი შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოიღო, ას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას თხუთმეტმანეთიანი დასტიდან ხუთმანეთიანი გამოაძრო და ტელეფონისტ ქალს გაუწოდა.

— ხურდა გექნება.

— არა მაქვს.

— ჯიბეები კარგად გაისინჯე.

— კაპიკებს ჯიბეში არ ვიყრი.

— მაშ, რა ვქნათ?

— შენზე იყოს, როცა ხურდა გექნება, მერე მომეცი.

— არა, ამას ნამდვილად უქრის, აი!

— რათა ვითომ? — გაიცინა პრანტ ქარიანმა.

— მაშ, აქ იმდენმა ვინ უნდა ილაპარაკობს, შენი ხუთმანეთიანის დასახურდავებელი შემიქუჩდეს.

პრანტ ქარიანმა ისევ გაიცინა და საცილით უთხრა:

— კარგი, წავალ, სალაროში დავახურდავებ და მოგიტან.

— სალარო საღამოთი გაიღება.



— მაშინ კარგი და, შენთან დარჩეს, — სერიოზულად უთხრა პრანტ ქარიანმა, — ერთხელაც, როცა იქნება, ჩამოვივლი და გამოგართმევ.

ტელეფონისტმა ქალმა თვალები ახამხამა და პრანტ ქარიანს ასევე გაიცინა, ხოლო ტელეფონისტმა ქალმა ახამხამა თვალები, ახამხამა და უთხრა:

— არა!.. ბიჭო, შე გლახა ამპარტავანო, შენა... მოინახულებს შენა შენი — შექანებული, შენ — იმაზე უარესი! თქვენი ოჯახის საქმე ვერ უნდა იყოს კარგად, აი!

— რატომ? — გაიცინა პრანტ ქარიანმა.

— თანაც რომ მეკითხება! თანაც რომ მეკითხება!

— არა, მაინც რატომ?

— ბიჭო, ეხლა, ვთქვათ და, მართლაც გამოგართვი ესა; ვთქვათ, მანქანამაც ამოიარა და, ღვთის მადლით დღესვე წახვედი, მერე პაპიროსი როგორღა უნდა იყიდო, რომ ეგრე დიდის ამბით აფუილებ?

პრანტ ქარიანმა სულ ცრემლი ყარა, იმდენი იცინა, მერე ისევ აუტყდა სიცილი და სიცილშივე გაიფიქრა, რომ უყვარს ეს სადგური, ეს სატელეფონო წერტი, რომლის უჯრებში ერთი კაბიკი ფულიცა არა გდია; ეს ტელეფონისტი ქალი, რომელსაც სახლში ერთი ოთხი შვილი მაინცა ჰყავს, ეს მილიციელიცა და, ღმერთია მოწამე, ის მერუჯივ თავისი მამიანად და ლექტორების პარკეტზე იმისი მაწვნის თოპრაკიანად; უყვარს თავისი კუთხის ხალხის გულლია ღიმილი, თავისი ელამი მამა, თავისი წყნარი და სევდიანი დედა, თავისი ელამი ცხრა ძმა და თავისი თავიც, რომ იმათში როგორღაც შენძლო და თვალმართალი გამოვიდა.

მერე მე მოსაცდელში ვიჯექი, მოვიდა მილიციელი, ცალ-ცალად გამოკვეთილი ნაბიჯებით მოშიახლოვდა და მითხრა.

— ჯდომა შეიძლება.

— პა? — თვალები გავახილე მე. — რა შეიძლება?

— დაიძინე, დაიძინე, იქნებ ღამე არცა გძინებია.

რვა საათიდან სადგური სოფლებებით აივსო, ცხრა საათზე მუშათა მატარებელი ჩამოდგა. ქათამი, კვერცხი, ხმაური, მწვანელი, კარაქი, ვაშლი, კითხვა-პასუხი, ჩივილი, ცხვრის ხორცი, ყველი, მოღუშულობა — მოფხიკა, მოხვეტა და წაიღო ერთიანად, დავრჩით მე, მილიციელი და სადგურის შენობა-თავისი ძველი ზარით.

— წავიდეთ, პური ვჭამოთ, — მითხრა მილიციელმა.

— გმადლობთ. — ვუთხარი და მაშინვე მივხვედი, რომ თავის თავს ვუბნებოდა. ამ სადგურზე დღეში ათასი ნაცნობ-უცნობი ჩამოდის, ის კი, რაც არ უნდა იყოს, მაინც ხელფასის შემყურეა.

— რა არის აქ სასირცხვილო. — სატყვას გამოსავალი უბოვა მილიციელმა.

— არა მშია.

— ეგ სხვა საქმეა.

ათ საათზე წმკუტში დავრეკე, ტელეფონთან კაციშვილი არ იყო. თერთმეტის ნახევარზე ისევ დავრეკე და ისევ მხოლოდ სიცხეჩამომდგარი სალაყბო იყო, დაკეტილი კლუბი, დაკეტილი მაღაზია, მაღაზიის თანჯრებშიგნით — მზეზე გამოსაავლელად ხუთ დღეს ამოდ მოშავდღევე ერთი ფუტკარი, დაკეტილი სოფლსაბჭო, სკოლის შენობიდან მონადენი ბათქაშია სუნი, ჭის წყალი, ზემო უბანზე დაკიდებული ბებიაჩემის განჯაში: „ძერა-ძერა-ძერა, პუი!“ და



მამლის შუაზე შეწყვეტილი ყიყლიყო ღობეზე. მე ყველანაირი სუნითა და ფერით ვიხილე ჩემი სოფელი, მოვისმინე ტელეფონის ხარი გაუკაცრიელებულ სოფლის კანტორაში და ერთ წამში დავმწუხრდი და მოვეშვი. იქ, მზეში და ნალვლიანობაში ნელ-ნელა ბერდება ბასარა ძალი. მრავლდებიან და კლებულობენ ქათმები, ხმადაბლა, ერთკილოვნად, გაუთავებლად და სწრაფად მღერიან ტელეფონის მავთულები; ხევში, დახატული ცხენივით უმოკვად, ოცი წელია დგას ერთი და იგივე ქურანა ცხენი; დაფერდებულა და მაინც არ ინგრევა მღუმარე წისქვილის სახურავი, — აი, სად მივდივარ და, კაცმა რომ თქვას, მართლა სად მივდივარ?! ბიჭებთან ერთად ბალახს გავთიბავ; დავცინებთ ვართანიანთ ლავრენტის, რომელსაც არა სცოდნოდა, რომ ნაყინი ცივია და ისევე, საფლურად გადაეყლაპნა; დავცინებთ და, იმას კი თვალეებზე ქუდჩამოფხატულს ჩაეყვინთება; ვთიბავთ, ვთიბავთ, ვთიბავთ და თიბვას მაინც ვერ მოვრჩებით, რადგან ახლა უკვე ყანა იქნება სამკალი; მიხდვრული პაპანაქება, ფბები, გაოფლიანებული კისერი და გამშრალ-გამწარებული ყელ-პირი. „ორი საათია, რაც წყალზე წახვედი, შე ძუგნის გავარდნილო, შენა! — კარგი, ეხლა, დააყენე ყბა!..“ სად ესენი, სად კიდევ — უნივერსიტეტის დერეფანი და ბერსაბეს მკვრივი და რბილი წელი, ღიმილის გარეშე არავინ ელაპარაკება, უჭკუოც არ არის და თან არც იმნაირია.

ვიდექი ასე ვიწრო სადგურის ერთადერთ ტროტუარზე, ვიდექი და ვივინებოდი.

— უვიცო, ჯგუფის ყველა გოგო შენზე ჰკვიანი იყო! კარიერისტო! ორგანიზაციული მუშაობით მარაქაში გაერიე!.. თავმოთნევე! ნეტავ, რისი ორგანიზატორი იყავი მართლა და მართლა! ლამაზო! სულ ეგ იყო შენი სილამაზე?!

ვიდექი და მახსენდებოდა ჩემი სოფლის ოღრო-ჩოღრო გზები, მახსენდებოდა ჩემი დედ-მამა, რომლებიც სულაც არ ფიქრობენ, როგორ და რითი უნდა შეინახონ იმოდენა უჭულ-ბუჭული, მარტო აჩენენ და აჩენენ, ყველა ერთნაირად უყვართ, ისინი კი, აგერ, ღილიპანები დადიან. მახსენდებოდა ჩემი თავიც, მთელ ორ წელიწადს წმკუქ\_დან შამუტის სკოლაში ფეხშიშველა რომ დავატყაპუნებდი იმ წვიმასა და ტალახში; მახსენდებოდა აგრეთვე, რომ ის პირუტყვი მერუთა სკოლაში ყველაზე გონებაჩლუნგი, მაგრამ ყველაზე წინდახედული იყო; რომ იმ სამუშაოთა მწარმოებელ ინჟინერს მძიმე ხელი ჰქონდა; რომ ავდარში მამაჩემს ფეხი სტკიოდა. არადა, რა ქნას: თივა მოაქვს, შეშა მოაქვს, გომიდან ნეხვსა ჰყრის; ორივე ფეხზე კოკლობით კანტორაში მიდის იმის მაგივრად, რომ შინ იჯდეს და ფეხები დაიზილოს; რომ ეს სადგური ასეთი ვიწროა... — და ამისთვის, იმისთვის, ყველაფრისთვის მე ვაგინებდი ბერსაბე მირზახანიანს, ის კი კვლავ ილიმებოდა, კვლავ ლამაზი იყო, კეკლუცობდა დეკანატში და ძალიან შეუცდომელი იყო, ერთი ბეწვათიც არა სცდებოდა. მას უღიმოდა დოცენტი ახვერდიანი, უღიმოდნენ ყველანი, ყველანი აღიარებდნენ მის ჰკვიან-ფხიანობას. მან მხოლოდ ინდომოს და, გახდება გამოჩენილი, ინდომოს და — ნახევარ აფრიკას, თუნდა გასცემს, თუნდა წაართმევს, ხოლო თუ არ წაართვა, წაართმევა არ ნდომებია და ეგ არის. დიდ-დიდნი გამოჩინებულნი ჰკუთით რა იმასთან დასადრელები არიან! აი, თუნდაც ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი ავიდოთ: იჯდა თავისთვის თავის თეთრ სახლში, ქვეყანა ტკბილი და სასიამოვნო ეჩვენებოდა; ჰოდა, მოინდომა, რაიმე კარგი საქმე ჩაედინა. იფიქრა, იფიქრა, მოაგონდა „დიდი სომხეთი“, აილო ფანქარი. „დიდი სომ-



ხეთის“ რუკის ხაზვა დაიწყო და ფანქარი რუკაზე თავისუფლად, ძალიან თავისუფლად დასრიალებდა. ბიოგრაფებმა ჩახედეს მის არქივს და თქვეს: „აჰ, ღმერთო, რა ქრისტიანი, რა ქრისტიანთმოყვარე კაცი ყოფილა!“ იმ ჰიტლერისა ცვა ვთქვათ, იმ ჰიტლერმა რაღა ქნა: ვითომ თვითონ ძალიან დალაგებული იყო, მთელი მსოფლიოს დალაგება მოინდომა. ან თურქეთის სომეხმა ოფიცერმა რა ქნა? ტყვეობიდან გაათავისუფლა თურქი მხინსტრი ვნეკერი, ვითომ გაიქცაო; პოდა, ისიც გაიქცა ტყვეობიდან, წავიდა ლამაზად და სომეხთა დიდი ხოცვა-ჟლეტა მოაწყო, მერე — სამხედრო საწყობის გასაღებებიც ხომ თვითონა ჰქონდა, ადგა და თავი გენერალსიმუსის ჩინ-მედლებით დაიმშვენა, იმ ჯვაროსნების ლაშქრობა რაღა იყო?! წავიდეთო, უფლის ნეშტი გამოვიხსნათ. წავიდნენ, ნახეს იმდენი პილპილი და ქინძი, იმდენი დარიჩინი და კამა... დაიზურგეს ის დარიჩინი და პილპილი, კამა, ოხრაბუში და წავიდნენ უკანვე, თავთავიანთ სახლებში. ჰკითხეს თურმე უფლის ნეშტი რაღა უყავითო? ამათ: რა უფალი, რისი ნეშტი, ვისი ნეშტით?! ვისი და — უფალი იესოსით... — ისინი კი პილპილიან შეჭამადსა ჰამდნენ, ისეთი გემრიელი იყო, კინაღამ თითებს ატანდნენ და, აბა, იმისი დრო სადა ჰქონდათ, მოცლილი ხალხის კითხვებზე ეპასუხნათ. თუნდაც ის რომო მოვიგონოთ, ფილოსოფოსების, კანონმდებლების, ორატორებისა და პოეტების ქალაქი — ისეთი ბრძანებულება გაუგზავნა კართაგენს, თითქოსდა რომში სულაც არ ყოფილიყვნენ ფილოსოფოსები, კანონმდებლები, ორატორები და პოეტები, არამედ მხოლოდ ხეპრე ბარბაროსებით იყო სავსე: ისაო, თქვენი ქალაქი კართაგენი ზღვიდან ცამეტ ვერსზე უნდა გადასწიოთო! ან ის ჩინეთის კედელი რაღაა! რაკი გრძელია და იმაზე გრძელი კედელი სხვა აღარ არის ქვეყანაზე, ისიც შვიდი საოცრების რიგში ეტენება! ყველა-ყველა და, ეს, ეს ეს მესროპი ვილას ტიკი-ტომარაა, ეს წმკუტელი მეჯოგე, რომ უბრალო მეჯოგეობას არა სჯერდება. — წასულა, უთქვამს, მე მეჯოგე ვარ და ამასთანავე ნაციონალისტო; დააპატიმრეს და თავისი დაპატიმრება თავადვე მოსწონებია. მის გამომძიებლებს კი მისი ბრიყვული თავდაჯერებულობა მოეწონებოდათ, რაღა თქმა უნდა.

აბა, ეს არის ამბავი და ისტორია?!

— ბოდიში, ბერსაბე, თავი ჩალუნე და ისევ ეგ შენი მიმღეობა დაიზუთხე, — ვუთხარი ბერსაბე მირზახანთანს.

როცა თბილისი-ერევნის მატარებელი ჩამოდგა და მძიმე-მძიმედ გაჩერდა, პრანტ ქარიანი იმ დროს ვიწრო ტროტუარის მოაჯირზე ზურგით იყო მიყუდებული და იღიმებოდა. რაღა თქმა უნდა, მისი თვალეები ჰკვიანურად იმზირებოდნენ და ტუჩების კუთხეებშიც ღიმილი უხდებოდა. იგი მიადგა მატარებელს და ფანჯრის მიღმიდან ჩლუნგად მომზირალ ჯაგარა ბიძასა და მის სქელუა ცოლს უთხრა:

— ცხელა? ჰამეთ, ჰამეთ, ჰამა სიცხეს ძალიან უხდება.

მეორე ფანჯარაში მსხდომთ, რომლებიც შეჰქველად ქორვაკრები უნდა ყოფილიყვნენ, უთხრა:

— სადღა მიხვალთ, პილპილი და ოხრაბუში ჯვაროსნებმა წაიღეს, მორჩა! ახლა სხვა ფანჯარაში რუს გოგოებს მიადგა:

— ჩამოდით, ერევანში ცხელა.

მათ სადგურზე მიუთითეს და დაიქლანნენ.



— თქვენს მოსკოვში რა, ყველაფერი რიგზეა?

— ჩვენ კურსკელები ვართ, — უთხრეს მათ.

— ბარაქალა, ბარაქალა, — და ახლა სხვა ფანჯრისკენ გადაინაცვლა. იქ ერთი წლოვანი კაცი იჯდა ბავშვური შესახედაობის ცოლთან.



ქართული

საბჭოთა კავშირი

— ეგ ბავშვი სად მიგყავს?..

იქითა ფანჯარაში უკვე სოფლელები ისხდნენ.

— ახლა ბაზარზე კვერცხის ნეტი რა არის, იანვრამდინსკის კვან-  
ვარში ორმოცდაათ კაპიკად გაჰყიდით.

სამხედრო ვაგონსაც პატივი დასდო.

— ჯანმრთელობას გისურვებ, ამხანაგო გენერალო!

მეორე ფანჯარაში მომღიმარე ულვაშიან კაცს კი უთხრა:

— კიროვაკანში მიდიხარ? მიუახლოვდი უკვე? მურაბა მოგენატრა?

შემდეგი ვაგონის ერთ თმაგაჩეჩილ ახალგაზრდას, ალბათ პოეტს, უთხრა:

— ნატურალიზმი, კაპიტალიზმი, პანთეიზმი, სოცრეალიზმი.

მომდევნო ვაგონში მოქეიფეებს უთხრა

— ფუფუფუ!

ბოლო ვაგონში მსხდარ შეყვარებულებს კი ზედმიმტანებლის ძლევამო-  
სილებით მიაბეჭა:

— მიაააუ, მიაააშ! — გოგო შეყვარებულ ფისოს ჰგავდა, ბიჭი ზბოსავით  
იყურებოდა.

ამის შემდეგ სადგურზე მთელი ბუთი საათი მარტო ვიყავი და გაგიყვებას  
აღარა მიკლდა. პირზე ღიმილასახული, გულში ვზაოდი და ვბლაოდი, მაგრამ  
ასე უარესად ვეჭმევიანებოდი ჩემ თავს. შევეცადე, სადგურის უფროსს წავ-  
ჩხუბებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

— რატომ ნივთების შემნახველი საკანი არა გაქვთ?

— ვინა თქვა, არა გვაქვსო?

— თუ გაქვთ, მაშ, სად არის?

— აი, ეგ სხვა საქმეა. დაკეტილია.

— რატომ არის დაკეტილი?

— მომუშავე ერევანშია წასული?

— „ერევანშია წასული!“ მე რაღა ვქნა, მაშ?

— ეგეც სხვა საკითხია, ხელი ყურზე შემოიდუ და ბაიათი გააბი.

მე კვლავ დავრეკე წმაკუტში — ისევ ის ზვატჩამომდგარი სალაყბო იყო და  
ისევ ის ბებერი ძაღლი. მე დავიძინე. მილიცაელმა ისევ გადმომიგდო ფეხი სკა-  
მიდან და ისევ დამიკაკუნა თავზემით.

— პა, მანქანა მოვიდა?

— არა, თვითმფრინავი. თანაც — სპეციალური, გითხრეს, წამოწოლა არ  
შეიძლებაო.

— კაცი არა ხარ, ტო?

— ვინა თქვა, რომ ჩვენ ხალხი არა ვართ!

მე არ მინდოდა გაღვიძება, რადგან გასაკეთებელი არაფერი მქონდა. სა-  
ათზე დავიხედე და ისევ დავწექი...

— ადექი!

მე წამოვხტი. მან უსიტყვოდ მიბიძგა სკამებშუა, მკლავი დამიჭირა, წა-  
მიყვანა. გააღო ერთი ოთახის კარი და სანამ მე იმაზე ვფიქრობდი, რომ მატა-

17583

კ. მარქსის ს.ხ. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბსაღი(რსსსაპ)



რებლების განრიგში ერთი სიტყვა ერთი ასოს შეცდომით იყო ჩაწერილი, რომ ეს ყველაფერი თეატრი იყო და რომ ამ ქვეყანაზე პატარა სადგურში ცხოვრებაზე უფრო მოსაწყენი არა არის რა, ის უკვე თავის საწერ მაგიდას მისჯდომოდა და ქვეშ-ქვეშ იცინოდა.

— მერე? — ვუთხარი მე.

ეროვნული

მერე — საწერ მაგიდაზე ვანიხვენებდა ტელეფონი. ტელეფონის ქვეშ — სქელი მინა, მინის ქვეშ — საწერი მაგიდა, საწერი მაგიდის ქვეშ — მისი ლანჩაგამოცვლილი ჩექმები. ჩექმების ქვეშ — გაცვეთილ-გახეხილი იატაკი, ხოლო იატაკი სარდაფის თავზე იყო, სარდაფი კიდეც — მდინარის მომაღლოდ. მდინარე უკვე ათასი, მილიონი, მილიარდი წელი იქნებოდა, რაც ერთსა და იმავე კალაპოტში, ერთსა და იმავე ქვებზე შეხლა-შემოხლით მიედინებოდა და ეს ყველაფერი გულის გახეთქვამდის მომაბეზრებელი იყო. მაგრამ მილიციელი იღიმებოდა, უხაროდა, რომ მთიბაობას გადარჩენოდა და სადგურზე სახლი ჰქონდა, რომ დღეყოველ ასეთი დიდი ამბების შემსწრე იყო, როგორც მაგალითად, მოსკოვი-ერევნის ჩქარი მატარებლის ჩამოდგომისა, თანაც ორი ღოთი ჰყავს, მათი გამოცემაც არ უჭირს, რადგან სადგურზე მხოლოდ მასა ჰყავს ღორი, ხოლო სადგურის უფროსის ორი ბურვაკი წყალმა წაიღო და ამით ბუფეტის მთელი ნარჩენ-ნურჩენი მის ღორებს დაუტოვა. დღე კი მოსაწყენად ჩამოჭიკაყელავდება ხოლმე, მაგრამ მოწყენილობის გამფანტავი ათასი რამეა; მატარებელი მიდის-მოდის, ხან მანქანაც აივლ-ჩაივლის, ბუფეტში ხანდახან ჩხუბივით რაღაც კინკლაობა მოხდება, საბარგო მატარებელი ქვით, ნახშირით, საშენი მასალით არის ხოლმე დატვირთული, შეიძლება დადგე და უყურო; ამბობენ, რადიომ გადმოსცა, ამერიკაში თუ, რა ვაცი, სადღაც ერთ ლაწირაკს აქროს ზოდები მოუპარავსო, ნეტა მოპარულს რა უნდა უყოს? ფული ხომ არ არის, რომ წავიდეს და ტანსაცმელი იყიდოს, ალბათ, ჯერ ფულში გადასცვლის, რომ მერე ფანცი-ფუნციში მისცეს, უეჭველად დაიჭერენ... კიდეც, შეიძლება მატარებლიდან წყლის დასალევად ჩამოსულ ვინმე მსუქან მგზავრს შეეკითხოს: — ერევანში ცხელა? — და პასუხზე დასტურის ნიშნად თავი დაუქნიოს.

— გუშინ ქალაქში წახვედი, დღეს ჩამოხვედი და უკვე — ჩვენ ხალხნი აღარა ვართ? — ჩაცინებით თქვა მან. — დიპლომი იმიტომ მოგცეს, რომ ჩამოხვიდე და გვიოხრა, თქვენ ხალხნი არა ხართო?

— მერე? — ვთქვი მე.

— არა, შენ ჯერ მიპასუხე, დიპლომი ამისთვის მოგცეს?

— მე დიპლომი არა მაქვს.

— სწორედ ეგლა გაკლდა, რომ გქონოდა კიდეც.

— იქნება მართლა მაქვს?

— ზედ გეტყობა!

შარვალი დამკმუჭნოდა, პერანგი გამკუჭყიანებოდა და დამკმუჭნოდა, თვალები მტკიოდა, სახე შეიძლება დასიგბულიცა მქონდა: — ლამე არა მძინებია, — ვთქვი მე.

— ეგ ჩემ ხელფასზე მოქმედებს რო?

— არ მოქმედებს.

ის სკამზე გადაწვა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა გაიღიმა.

— მე კაცი არა ვარ? ეხლა რო კარები მივკეტო და კოჭები შემოგამტვრიო, ვინ იტყვის, ვითომ მე მეცემნოს შენთვის?



— შესაძლებელია. მოწმე არავინ არ არის.

— აბა, მოწმეო? — სიტყვა შეაყენა. — სახელმწიფო პური ხუთ წელიწადს მუქთად იმიტომა სჭამე, რომ მოხვიდე და მოწმეზე მელაპარაკო?

— არა, ის მცემელი არ იყო, მას დრო გაპყავდა.

— შენს გუნებაზე არა ვარ. — დაეიჯღანე მე.

— აბა! წესიერად!

— ოოჰ, გეუბნები, შენს გუნებაზე არა ვარ!

მან ყურმილი აიღო. ტელეფონისტ ქალს შეაერთებინა კიროვაციანთან, რომ კიროვაციანის მილაციაში დაერეკა, — გუნებაზე არ არის! — მოითხოვა მორიგე, უთხრა, ქოლაგერანი გაწუხებსო. — ბიჭი გუნებაზე არ არის! — იგი მორიგე კაპიტანს ელოდებოდა, ამასობაში მე ირონიულად ვიცინოდი, სინამდვილეში კი, გულისგულში, ვტიროდი. — ბიჭს დიპლომი აუღია და გუნებაზე არ არის!

— ჰა, მორჩი ახლა, ბრიყვო! — დავიღრიალე მე.

ყველაფერი, რაც კი მოგვიხდა, მან დაწვრილებით მოახსენა კაპიტანს ისე, რომ არც მიუმატებია და არც გამოუყლია რამე. მე ამ სიზუსტისათვისაც მადლობელი დავურჩი. იქ კაპიტანი დუმდა და მე წუთით შეშეცოდა კაპიტანი. სწორედ ამ დროს მიაბა მილიციელმა ჩემი ბოლო სიტყვა.

— ამხანაგო კაპიტანო, მე წესრიგისაკენ მოვუწოდებ, ეს კი მეუბნება: „მორჩი ახლა, ბრიყვო!“

კაპიტანი ისევ დუმდა და მე შორით შორად მიყვარდა იგი, მე და კაპიტანი ვიბრძოდით გონებაჩლუნგობის წინააღმდეგ.

— წამოვიყვანო განყოფილებაში, ამხანაგო კაპიტანო?

— არა, — თქვა კაპიტანმა.

ამას ეწყინა: — მაშ, რა ვუყო, ამხანაგო კაპიტანო?

კაპიტანი ჩუმად იყო, მერე უთხრა: — დააჯარიმე. — მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მეც ასე ვეტყვოდი, დავაგუებლი ყურმილს და გამოვთიშავდი ქოლაგერანთან დამაკავშირებელ ხაზს. მაგრამ მე ჰრანტ ქარიანი ვიყავი, სადგურზე ვიყავი, ცხენს ან ავტომანქანას ველოდი და არცერთი არ მოდიოდა. წმკუტში უნდა მეტიბნა, ათასი ქირი უნდა მომეკამნა ამხანაგ რეზენისათვის, რომ ჩემთვის რამდენიმე ზედმეტი საათი გაეხერხებინა სკოლაში, შინ კიდევ ცალკე იმ ცხრა ბავშვის ჩარფუხანა უნდა მეთმინა და მამაჩემის წინდების აუნს ხომ ნულა იტყვიო!

— ერთი კაპიკი ფულიც არა მაქვს, რეგვენო!

მან თავის ქნევით მითხრა:

— ახლა რომ ავიღო და კიდევ დავურეკო?

— ყური დამიგდე, — ვუთხარი მე, — თუ კიროვაციანში წასვლა გინდა, წადი, ამ შენს საწერ მაგიდასა და შენი სადგურის უფროსს არავინ მოიტაცებს.

— ვა, ვა, ვა! — ნაცრუალი განცვიფრებით წამოიძახა მან, — დიპლომი აუღია და კიდევაც ბრაზობს. მამაშენი ისეთი ცხვარივით კაცია და, შენ როგორ გამოუხვედი ეგეთი შეხტი-შემოტრიალდი. ნაჩხუბრები ხომ არა ხართ?

ასე რომ, მეხუმრებოდა. ხუმრობა-ხუმრობაში შეიძლება კიროვაციანშიც წავეყვანე, ხუმრობა-ხუმრობაში მაჯარიმებს, მერე კი გულში დაიტრაბახებს, დიპლომაღებული მოდიოდა, დაეყოვნე და ცოტათუდენიც ვამასხარავეო.

— დააბრე შენი ქისა.



— ქისას ამოვიღებ, მაგრამ რედაქციაში რომ ვმუშაობ, ეგ თუ იცი შენა? — ვუთხარი მე. არადა, რედაქციაში რომ მემუშავენა, ხომ მანქანით მოვიდოდი, მანქანით ჩავუვლიდი. ზედაც არ მივხედავდი ამას და არც იმით დავინტერესდებოდი. თუ აქ სადმე სადგური ქოლაგერანი იყო.

— რედაქციაში რომ მუშაობ, მე რა უნდა მიყო ვიფიქსირებოდა? — კარგული თვალეები განზე წაიღო და გაათვრებული ტუჩები უხმოდ მოილოკა. მერე ისევ ააცმაცუნა ტუჩები, ეტყობა, ჰაერი არა ჰყოფნიდა. იმ დღემდის არ მენახა. უმეცარი ადამიანის შურზე უფრო საზიზღარი თუ იყო რამე.

— ჩემზე დასწერ? ტყუილებს შემიითხნა? მერე, თუგინდაც დასწერო, რა უნდა მიყონ? ამ სადგურიდან მომხსნიან და, პირიქით, დამაწინაურებენ... უფროსად არ დამადგა?! რედაქციაში მუშაობს! დასწერ და ეგ არის — მილიციიდან მომხსნიან! ჯიბეში ერთი კაპიკი არ უჭყავის და, რედაქციაში ვმუშაობო! წმკუტვლი კი არ არის, რედაქციელია!

მე ხელი ჩიბისაკენ წავიღე, რომ ამომეღო ასი ათასი მანეთი და მეთხლიშნა მისთვის იმ თუჯის გოგრაში. — ამოვიღე უკანასკნელი მანეთიანები, რომლებითაც დილას თვითონვე დამიხურდავა ხუთმანეთიანი და გადავიხადე ჯარიმა.

მერე მე ვიდექი ვიწრო ბაქანზე და გავყურებდი მოსკოვიდან ერევანში მიმავალ ჩქარ მატარებელს. ხოლო ჩემ ზურგს უკან მილიციელი თავით ანიშნებდა ჩემზე სადგურის უფროსს და თან ეუბნებოდა: — ბიჭს დიპლომი აქვს. რედაქციაში მუშაობს. მატარებელი არ დააგვიანო, გაზეთში გამოგჭიმავს. ეგ ქუდიც წესიერად დაიხურე, თორემ შენ თავს მაგრევე დაახატვინებს გაზეთში. მამაც კორესპონდენტი ჰყავს, თვითონაც ხომ არის და არის, მამა-შვილნი, ორივენი კორესპონდენტები არიან.

მე გულში ვტიროდი და ჩქარ მატარებელს მღუმარედ ვეუბნებოდი: — დიდრაცულად მიდა-მოდინხართ და ქოლაგერანის სადგურში ჩერდებით. მაგისტრის დიდი მადლობა ჩვენგან! მივლინებას იღებთ და ბეჭედს არტყმევინებთ. ლოგინს გაშლიათ და იძინებთ. შედიხართ ვაგონ-რესტორანში. იცინით, ქათამსა ჭამთ და კონიაცსა სვამთ. გამოიღვიძებთ და ამოქნარებთ.

ისევ დავრევე წმკუტში. ისევ ის ჩემი წყალწაღებული სოფელი იყო; აქავე მახლობელი ელსადგურიდან ჩემს სოფელში სინათლის გაყვანა დავიწყებოდათ. დილა მთვარე კი მხოლოდ თავისთვის ბრწყინავდა და კარგად ვერ ანათებდა მის სახლებს. ბალ-ბოსტნებსა თუ ბილიკებს, რადგან უღრანი ტყე არც ერთ სხივს არ უშვებდა ხეობისაკენ. სათიბისდან დაბრუნებულები დაყრილიყვნენ და ღრმა ძილით ეძინათ, არა სჭიროდათ არც სინათლე, არც გაზეთი და არც საუბარი.

— ორმოცდაათი კაპიკილა დამრჩა. — ეგეც. — მითხრა ტელეფონისტმა ქალმა. — ზვალ კიდევ ერთი დარეკვა და — ფა-ფუ! მერე მანქანაც მოვა და წაიყვანს ჩემს ერევნელს! არა, ეგ რას დამსგავსებინარ! — დედურად შეიცხადა და თან საცილით მითხრა მან: — გიკბინეს? ჰო, რაღა, უკბინეს, უკიკინეს პატარა ბიჭსა!

„ეშმაკმა ნუ იცის იმათი თავი, — ვფიქრობდი მე, — იქ სად წასულან, სად ჩასულან იმ დუბეებში, არ იციან და არც უნდათ გაიგონ, ქვეყანაზე რა ხდება, რა — არა... ბალახს თიბავენ, თივას ზვინავენ... ხახთან ცოტა ახლოს, ცოტა აქეთ მაინც ეცხოვრათ. წასულან და საცხოვრებლად ის ლედე-ლუდე აურჩევიათ“.



ქოლიგერანს უკვე დიდი ხანია აენტო სინათლეები და ახლა თბილი ფან-  
გრებით გამოსცქეროდა სადგურის სიწყნარეს. ერთი საბარგო მოვიდა და მბლუ-  
ვე წავიდა. მორიგე ორთქლმავალმა იგი ზემოთა სადგურამდის გააცილა და უკა-  
ნვე მობრუნდა. ხაზის ორი მუშა, კარგი ხუთი საათი იქნებოდა, ფარდობის  
წინ იდგა და ლუდსა სვამდნენ. მას შემდეგ, რაც მეისრის ლეზელის მუშა-  
დად გაატიალეს, ბატები წყნარი ბაასით ამოუყვნენ ხაზის სისწვრივ. ჩაუხვიეს,  
ბიდი გადაიარეს, შარა გადასჭრეს და თავიანთ საიმედო სამყოფელს მიაშურეს.  
ლამე მშვიდობისა, ხვალ დილამდე.

„ეშმაკმა დასწყევლის, ვითომ ისეთი რა ასათვალწუნებელი სადგურია.—  
ეფიქრობდი მე,— თან ქალაქია, თან — სოფელი. მართალია. აქ არავინ გას-  
ტროლებზე არ ჩამოდის, მაგრამ როცა უნდათ, ხომ შეუძლიათ ჩასხდნენ მატა-  
რებელში და წავიდნენ კიროვაკანში, თბილისში თუ ერევანში. ღორსა ყოლიო-  
ბენ? ყოლიობენ. ეშმაკმა ნუ იცის, ქალაქიც არის და სოფელიც, ღორები |  
— ჰყავთ, მგელი კი აქ არ იცის. ახლაც ყველას შემწვარი წითელი კარტოფილი  
ექნება სუფრაზე, თან კიდევ სიფრიფანად დაჭრილი ძეხვი, ჩაი ხომ მუდამაცა  
აქვთ, და — თეთრი სუფრა. რადიო დაბალ ხმაზე მღერის და ლაპარაკობს. ყო-  
ველდღე ახალ თეთრ პურსა სჭამენ. ელსადგურის ფურნე ზედვე აქვთ. სი-  
ნათლევ ყოველთვისა აქვთ, წმკუტელებივით კი არ არიან. ამის დედა ვატირე,  
მამაჩემს აქ მაინც ჰქონოდა სახლი. ლობიო გვექნებოდა, ღორს ვიყოლიებ-  
დით, თვითონაც კიდევ ან მეისრედ იმუშავებდა ან მილიციელი იქნებოდა.  
ფურნეც ხომ აქავეა, ფურნეში იმუშავებდა, დილდილაობით ცხელ-ცხელ „ბა-  
ტონებს“ მოგვიტანდა“.

ამ სარკმლების ყვითელ სინათლეზე კაცს მხუთრი და ბალღინჯო მოაგონ-  
დებოდა, ხოლო წმკუტის ლამე ისეთივე შავბნელია, როგორც მისი ტალახი.  
ნაბიჯი ვერ გადაგიდგამს, ფეხქვეშ მიწა გაგირბის; ყიამათ წკვარამში აზავთე-  
ბული ღვართქაფი მიმქუხარებს და მგლების ხროვა ზედ ზღურბლიდან იტაცებს  
ძაღლებს. ეს ცალკე და — რაი აღმასკომის ტექნიკურ მდივანსაც კი, რა წუთსაც მო-  
ესურვება, შეუძლია გამოაძახებინოს შენი თავი რომელიც გნებავს მინდვრა-  
დან, ვთათხოს, თავზე ძაღლის სალაფავი დაგასხას და შენ კი თავს შეურაცხ-  
ყოფილად არ იგრძნობ, რადგან რაი აღმასკომის წარმომადგენელს ელაპარაკე-  
ბოდნი; მან ხომ რაღაცად ჩაგაგდო, შენთან ლაპარაკი იკადრა!

მე ისევ შევაგინე ბერსაბე მირზახანიანს და დავიდასტურე, რომ უძღურ-  
ზე უძღური ვიყავი მისი გლუვი მხრებისა, დიდებული ღიმილისა და ანგარი-  
შოანი გამჭრიახობის წინააღმდეგ. მერე, როგორც სოფელ წმკუტის მოგონება  
იყო ჩემთვის ცხადი, ისეთივე სიცხადით ვნახე, რომ დივან-სავარძელი, ტელე-  
ფონი, სიცილისა თუ ხმის უნატიფესი კილო-მიმოხრა ბერსაბეს უფრო უხდება.  
ხოლო ეს კალათები, ეს ჭუჭყიანი პერანგი და დაწითლებული თვალები ჩემ-  
ზეა ზედგამოჭრილი. ყველაფერი ჭეშმარიტად თავის ადგილზე იყო. ძველი მი-  
ნისტრები და ლექტორები კვდებიან, ბერდებიან, პენსიაზე ვადიან, ვინ უნდა  
შეცვალოს ისინი? აი, ჩვენ დავამთავრეთ უნივერსიტეტი და ნელ-ნელა უნდა  
მივალწიოთ ლექტორისა თუ მინისტრის ასაკამდე. ჩვენგან რომელი უხდა  
გახდეს ლექტორი ან მინისტრი? უნივერსიტეტის დერეფანში მდგომარეებს  
ჩაგვიარა ინგლისურის ლექტორმა ჰამლეტ ტარონიანმა. მისი დაზამბარებუ-  
ლი სიარული იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ვერ შევძელი უკან არ გამოვდევ-  
ნებოდი და სიარულში არ გამომეჩავრებინა მით უმეტეს, რომ ის-ის იყო ბი-



ჭებისათვის ახალი ანექდოტი მქონდა მოყოლილი. კარგა ჯიჯრინადაც ვიცინეთ და ზედაც კიდევ ეს ამბავი ხომ გასაგიჟებელი იქნებოდა. მივდევ ასე და უცებ ჰამლეტ ტარონიანმა უკან მოიხედა. მე ცხვირის სრესით თავდასხმულმა განვაგრძე სიარული იმავე ყაიდაზე, როგორზეც მან გამომიჭირა. — ვითომდაც ეს იყო ჩემი ბუნებრივი სიარული. ის მზერით მომაცილებდნენ, სწნამ კიბის თავთან არ ჩავუხვიე. ჩავუხვიე და, გაოფლილ-გაწითლებული სიცლით ჩავქანდი ქვევით. — ნელა, ბიჭო! — ბე... ბერსაბე?... რაღაც სისულელე ჩავიღინე... ფუჰ! — ყოჩაღ, ყოჩაღ! — სხვათა შორის თქვა მან და კეკლუცად და საკუთარი ღირსების გრძნობით განაგრძო კიბეზე ასვლა მოხუც პასრათიანთან ერთად. ამის შემდეგ თითქმის ორი წელი ჰამლეტ ტარონიანის ფსიქოლოგიური ყმა ვიყავი, ხოლო ბერსაბე აინუნშიც არ აგდებდა ტარონიანს, რადგან მას დანარჩენი ლექტორები პატივს არ სცემდნენ, ბერსაბემ კი სახელმძღვანელოს ფარგლებში კარგად იცოდა ინგლისური ენა და დაცინვითაც არასდროს დაუცინია მისთვის. რატომ არის ბერსაბე სერიოზული და რატომ არ ხუმრობ-მასხარაობს? ბერსაბე მინისტრი გახდება, მე კი მთის საძოვრებზე მთიბავეებს ვეტყვი, მე და ეგ ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, ამხანაგები ვიყავით-მეთქი. მთიბავეები ჯერ ბერსაბეს სურათს შეხედავენ. მერე ბანკეტზე მონაწილე საპატიო სტუმრების სიას ჩახედავენ, ბოლოს მე შემომხედავენ და მეტყვიან: მამაშენი ხომ მკვებარაა და შენ — იმაზე უარესიო!

ქოლაგერანის ვიწრო სადგურიდან, შუილამისას, მე ვეხვეწებოდი მას:

— არც მაგრე კარიერისტობა ვარგა, ბერსაბე!.. ცოტა სინდისიც იქონიე, მაგეთი კარიერისტობა გაგონილა, ბერსაბე? საერთოდ შეიძლება და, რაღა თქმა უნდა, შენც შეგიძლია, მაგრამ შენსავით მზეთუნახავები ასეთი კარიერისტები არ არიან, ბერსაბე!

ხუთ საათზე ერევან-მოსკოვის ჩქარი მატარებელი ჩამოდგა. მოვიდა ჩემი ჩამოსვლიდან. ზუსტად ოცდაოთხი საათის შემდეგ, მოვიდა, გადამიარა ზედ გულზე და წავიდა. მისი მოსვლისას საათს დავხედე და ვიფიქრე, რა ზუსტად მოვიდა-მეთქი, გუშინაც ზუსტად ამ საათზე იყო აქა. ის კი იყო, მემანქანის აკურატულობა უნდა შემექო და უცებ მომაგონდა, რომ ოცდაოთხი საათია აქა ვარ დახაფრული; მომაგონდა, რა სისულელე ჩავიღინე, როცა ერევანში ტაქსით წავედი სადგურში, როგორ ჩავყარე ტაქსში ჩემოდნები, როგორ ვიყიდე სადგურში ლიმონათი, ხოლო ტაქსში ჩაჯდომამდე თითიც მივიღე საფეთქელთან, ცოტა ხანს დავფიქრდი, ხომ არაფერი დამვიწყნია-მეთქი, მერე კიდევ ტაქსი ვერგინეანთ ქუჩაში გავაქროლებინე — „პრანტი ოცდახუთი წლით მიდის ავსტრალიაში!“

მე მოსაცდელს შევეფარე, რადგან ჩქარი მატარებლისა მრცხვენოდა. თვალები დავხუჭე, რადგან მეჩვენებოდა, რომ, აგერ, უკვე ქვემოთა სადგურს მოატანა და ზარდამცემად ახლოვდება მოსკოვიდან ჩამობრუნებული ჩემი გუშინდელი მატარებელი. საქმე, რაღა თქმა უნდა, არც ასე იყო, იმ მატარებელს წინ ჯერ კიდევ ოთხი დღე ედო. ის ახლა, ალბათ, სადმე როსტოვის სიანლოვეს მიიგრაგნება, მაგრამ ხომ მოძრაობს! რაკი მოძრაობს, მივა კიდევ, დაიცლება კიდევ, დაიზეთება კიდევ და აქეთა გზასაც დაადგება. მე კი ამ ხიდავით, ამ ფარდულივით, ამ ბატებივით ისევ აქა ვარ და ამ მოსაცდელივით ვბადლინჯოიანდები.



— სანასარ! — ჩავეყვირე ყურმილს, — კაცო, რა მოგივიდათ, ოცდაათი საათია აქა ვგლივარ!

იმას უკვე ყველაფერი დავიწყებოდა, ჯერ იყუჩა და მერე შემეცინა:

— ვინ ლაპარაკობს?

— აბა, გიხდება? — ვუთხარი მე, — აბა, გიხდება ეგ <sup>ე რ ი ნ ე ნ ე ლ ი</sup> ~~ე გ~~ <sup>ე რ ი ნ ე ნ ე ლ ი</sup> ~~ე გ~~

— კაცო, რომელი ხარ-მეთქი, ვა!

— მე ვარ, სანასარ, ოცდაათი საათია აქ ვილოდები.

მან იყუჩა, იყუჩა და მერე გაეცინა, რადგან შორით ვერა და ვერ წარმოიდგინა იმ უქნარა ბეჩენჩერას სიფათი, რომელსაც ოცდაათი საათის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია და მარტო ელოდა, აბა, სხვები რას ვააკეთებენო.

— შენ ვინა ხარ? — კვლავ გაიცინა მან.

— ჰრანტი, სანასარ, ქარიანი ჰრანტი.

— ჰოო! — გაუხარდა მას, — ელამი ელიშას ჰრანტი ხარ? გამარჯობა, ჰრანტ!

— გაგიმარჯოს, სანასარ.

— ვითხარი, ხარები არა მყავს-მეთქი, ხარებს არა სცალიათ, ან ამ წვიმაში ხარების მომცემა ვარ? — უკვე ვილაც სხვას დაუწყო ყვირილი, — გაეჭირეს საქმე, ეს — ხაროო, ეს — ურემო! ალო! — მერე ისეთი დაიღრიალა, რომ კანტორაში კი არა, სოფლის სალაყბოზეც კი გაიგონებდნენ, — ქალაქში! ქალაქში!.. რა გამურმურებს, აილე შენი ბარგი-ბარხანა და წადი! თუ გინდა დღესა და თუ გინდა, ხვალე! მაგრამ, რაკი ჯერ არ წასულხარ, ის ვააკეთე, რასაც გეუბნებიან! — ის მიტრი-მოტრიალდა კანტორაში, მოვიდა და ყურმილი ტელეფონზე დააბეჭა.

აჰა, ეგეც შენა! რა აღარა ვქენი და სხვა რაღა უნდა შექნა! კაი, ბატონო, მე პოლიტექნიკურელ კარინესთან როკ-ნ-როლი არ მიცეკვია, მაგრამ გულში დავიტრაბახე, ვითომ ვიცეკვე: კაი და პატიოსანი, მე ვარ პირველი ურჩხული ამ ქვეყანაზე, სომხების დიდი ხოცვა-ჟლეტაცა და ებრაელების სასაკლაოც მე გავმართე, მე მინდა როგორმე დავიწყო ახალი მსოფლიო ომი, რომ მის კვამლსა და ხმაურში ჩუმ-ჩუმად გავეუყო სომხებისა და ებრაელების ნაშთი-ნუშთი, მერე კი ფარისევლურად ვიგლოვო ისინი. მე მიმაჩნია, რომ ზედმეტია ეს რკინიგზა, ტელეფონი, რადიო, ასფალტი, ცემენტი, ეს ქვანახშირი, ეს ღილები, საათი, ჩაქუჩი, კალამი, ბეჭედი; ეს სამოვარი, ჭიშია, ლოგინი, ღიმილი; ეს პიანინო, ეს დარბაზი, კევი, ანბანი — ღიახ ეს ყველაფერი ზედმეტია და ადამიანი ღირსი არ არის ამათი. მე მინდა, რომ ცხოვრება დაიწყოს ხელახლა, თავდაპირველი რიგით — ისევ ტყიდან და ფესვებიდან, ისევ უამითა და სახადით, ძალიან კარგი, მაგრამ რატომ ადამიანები არ ცდილობენ წინასწარ სიკეთის ქმნით აიცილონ ჩემი ეს ურჯულობა?

ურჩხული ჰრანტ ქარიანი იჯდა კალათებზე და თავს ებოღმებოდა: „თუ ვაქეცი იყავი, თავისთვის ძალა დაგეტანებინა და მერუფას გაპყოლოდი, შე წყალში მოწყუმბალავე ლაწირაკო, შენა!“ ჰრანტ ქარიანმა ჯერ სადგურში იტრიალა, მერე კი ისევ ტელეფონისტ ქალს მიადგა.

— კიდევ შემაერთე.

— გეუბნები, რაღა, აქ დარჩი და ჩვენთან მასწავლებლად იმუშავე-მეთ-



ქი, შენ კიდევ — არაო! — თან რეკავდა და თან მელაპარაკებოდა, — თქვენ-  
ბურები აქამდის რომ ჩამთაღწევენ, იძახიან, ეს ერევანია თუ მოსკოვიო.

— სანასარ! — დავუყვირე მე, — კაცი არა ხარ, ტო?! ნეტავი ვინ უნდა  
ვიყო, რომ შენ მანდ ტელეფონთან მუშტისტოლად იქცე, მითხარი და ვიქ-  
ნები! ბოლოს და ბოლოს ოთხი ზაფხული ბალახს გიჭირბაჭნი!

— ახლა მაგისტვის ორდენი გინდა?

— არა, — ჩავღრიალე მე, — კაცური მოქცევა მინდა!

— რა უნდა ვქნათ ისეთი, რომ კაცური იყოს.

— ოცდაათი საათია სადგურზე ვარ.

— რაო, საიდან მელაპარაკები?

— სა-დგურ-რი-დან!

— შენ, მგონი, გუშინაც სა-დგურ-ში იყავი, ისევ სა-დგურ-ში ხარ? შე  
ოჯახაშენებულო, მაგდენი ისწავლე, ისწავლე და ისევ ელიშას ჯიშისა ხარ?

— სანასარ, — ვუთხარი მე, — მძიმე ბარგი მაქვს.

— ეხლავე თქვენებს შევატყობინებ.

— სანასარ, მძიმე ბარგი მაქვს, ცხენი-რამე..

— არა, ცხენი არ გამოვა, თქვენებს გავაგებინებ ეხლავე.

— ჩვენებს ცხენი არა პყავთ. მე კი მძიმე ბარგითა ვარ, სანასარ.

— არ ვიცი, — თქვა მან, — ახლა თქვენებს რა ვუთხრა? ვუთხრა, პრანტი  
სა-დგურ-ზეა და მძიმე ბარგი აქვს-მეთქი?

— ამხანაგო თავმჯდომარევ, — ავუხსენი მე, — ჩვენები კერძო მეურ-  
ნეები კი არ არიან! კოლექტივს რომ აყალიბებდნენ, ცხენები ყველას გამოარ-  
თვენ და უთხრეს, როცა დაგჭირდებათ, წაიყვანეთო.

— ეგ შენს დიპლომში სწერია? — არხეინად გამატრიხავა მან.

— მგონი, შენსაშიც უნდა ეწეროს.

— ჩვენ მოკრძალებული ხალხი ვართ, დიპლომი არა გვჭირდება.

— უბრალო ლოგიკაზე რაღა აზრისა ხარ?

— ჩვენი საქმე მუშაობაა, ლოგიკა კი არა.

— ცხენი!

— დაგიხატავ! — თქვა მან, ყურმილი დაავლო და, როცა მეც ვაგდებდი,  
კიდევ რაღაცა მითხრა.

— რაო?

— არაფერი, — თქვა მან, — იმას გეუბნები; იმოდენა ჭულფათი ხართ, უც-  
ხენოდაც იოლას წახვალთ.

— ...კი, ბატონო! — კუთხარი მე, — შეგიძლია არც შეატყობინო. და,  
საერთოდ კი, შენი ცხენიცა და შენი დედაც!.. ნახვამდის!

...პრანტ ქარიანმა ყურმილი მოიხრიალა და ცოტა არ იყოს საქმიანმა,  
ცოტა არ იყოს დაუდევარმა, ცოტა გაუპარსავმა, დაძაბულმა და მაღალ-მაღალ-  
მა დინჯი ნაბიჯით გასწია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იპოვნა კარინე, ეცეკვა,  
ჩრკ-ნ-როლი, წავიდა უნივერსიტეტში, დაამთავრა ასპირანტურა; ლექტორებში  
არავინ იყო იმისთანა ახალგაზრდა, გონებამახვილი და ჭკვიანი, იგი ერევანში  
ყველაზე გამოჩენილი იყო, ყველგან მასზე ლაპარაკობდნენ: „პრანტ ქარიანი!  
პრანტ ქარიანი!“ მისი სახელი მოსდებოდა თბილისსა და კიევს, მთელი მოს-  
კოვიც ხომ თურმე მასზე და მხოლოდ მასზე ლაპარაკობდა: „ერევანი და —  
ამდენი ჭკუა?!“ ამ დროს კი პრანტ ქარიანმა, ასეთმა ლამაზმა და წარმოსა-



დეგმა, ასე — ოცდარვა-ოცდაათი წლისამ, პალსტუხმოშეებულმა გამოალო საწერი მაგიდის უჯრა, ამოიღო რევოლვერი და ტყვია იკრა პირში, დაძვლია, ამხანაგებო, ტრიუმფატორის ტვირთი", და ამგვარად, ვერავენ გაიგო, რომ მისი ახალგაზრდული გული ყოველ წამს ძვერდა ქოლაგერანის სადგურის მოგონებით.

მე იმ ამერიკული კინოების დედა ვატირე და ზედაც კიდევ იმ წამსვეტის ბიბლიოთეკარისა, რომ სანამ ერთ რომელიმე ნაგავს აბზაც-აბზაც არ ჩამიტენიდა თავში, მეორე ნაგავს არ მაძლევედა წასაკითხად: „წაღებული წიგნი უნდა წაიკითხო!“

— ...კი, ბატონო! — ვუთხარი მე, — შეგიძლია, არც კი შეატყობინო და, საერთოდ, შენი ცხენიცა და შენი დედაც... ნახვამდის!

— არა უშავს, — თქვა სანასარმა, — რა ახალი ეგ არის, დედაჩემი შეჩვეულია, ნახვამდის.

— ნახვამდის, — ვუთხარი მე, — არც ჩემთვის არის ახალი. მეათედ მაინც მოვდივარ ამ დასაქცევ სადგურში, აქ ვიხადრები და ობი მეკიდება. გმადლობთ.

— თავმჯდომარედ დამაყენეს და ყველანი ყველა მხრიდან მე მიტურტურებენ: ანდრო გინდა, ინსპექტორი გინდა, მეხბორე გინდა თუ შამუტის თავმჯდომარე!.. ვისაც არ ეზარება, მლანძღავს და, ეგე, შენი ჯერიც მოვიდა, გამლანძღე.

— ბოდიში, — ვთქვი მე.

— არაფრის! მაგრამ ცხენზე ნუ გეწყინება.

— კარგი, — ვუთხარი მე, — შენ ვითომ ვინა ხარ, რომ შენი მეწყინოს.

— ძალიან ფინთი ყბის პატრონი ხარ, აი!..

— რას იზამ, საქმეს სხვანაირად წინ ვერ წაიგდებ.

— პოდა, იცადე.

— ამდენი ხნის შემდეგ კიდევ ცდის თავი მაქვს?

— მაშინ, ნახვამდის.

— კარგად იყავი. სახლში ერთი კილო ფეტვიც არა აქვთ. ან როგორ მოვიდე, რომ მოვიდე.

— შინ ფეტვზე მეტი რა მაქვს, მოდი და ერთი ტონა წაიღე.

— მე რას შემომჩივი, მე შენი საწყობის გამგე ხომ არა ვარ. ნახვამდის.

— მე კი, რა, შენი მოსამსახურე ვარ, რომ ცხენსა მთხოვ?

— მე შენი ცხენი არა მჭირდება.

— მოხარული ვარ. ნახვამდის.

— საწყალი მამაჩემი წელიწადი-თორმეტი თვე იმოდენა ბალახს გითიბავთ... ნახვამდის.

— პო, საწყალ მამაშენს ცელის ქნევისაგან წელი ეხლაცა სტკივა. ნახვამდის.

— ეგ შენი საქმე არ არის.

— რა არ არის ჩემი საქმე?

— სტკივა თუ არა სტკივა.

— მაშ, რად გაიხსენე?

— გახსენება კარგია. ნახვამდის.

— კარგია და, რამდენიც გინდა, გაიხსენე. ნახვამდის.



- დიახაც გავიხსენებ.
- გაიხსენე.
- გახსოვს, ერთხელ რომ მოგვადექით, რაიცენტრიდან <sup>კაცო გვეწვია.</sup> სახლებში იმისი დასახვედრი არაფერი გვაქვსო, აიღეთ და ჩვენი დაკლული ღორი წაიღეთ? გახსოვს?
- მახსოვს და ისიც მახსოვს, რომ იმ ღორში ორ <sup>ღრეშივე</sup> გატუსული ღორი მოგეცით.
- კარგად გახსოვდეს და ისიც იცოდე, რომ ჩვენ ტყავიცა გვჭირდებოდა. სახლში შვიდი ბალლი ფეხშიშველა დატანტალებდა. ჩვენ რომ გატუსვა გვდომებოდა, გავტუსავდით. გატუსვა ჩვენც ვიცით.
- ვტუსავ, ტუსავ, გავტუსავდით, გატუსვა, დიპლომი... მერე?
- დედაჩემს ოფიციალურად დახმარებას აძლევთ, პირსუკან კი კურდღელს ეძახით.
- წელიწადში ერთს აჩენს, მაშ რა დავუძახოთ. აგერ, ამბობენ, კიდევ გაუჩენიაო, ეხლა რამდენნი გახდით?
- თერთმეტნი, ბიჭია თუ გოგო?.. სანასარ, ბიჭია თუ გოგო?
- იმოდენა ბალლაუჭობაში რას გაიგებ, ბიჭია თუ გოგო?
- სანასარ...
- ამბობენ, დაიბადა თუ არა, დანარჩენებს შეერია და ელამ ელიშას ვედარ გაურჩევნია, ნაბოლარა რომელიაო.
- დედაჩემი როგორ არის, დედაჩემი?.. — ჩემი მოთენთილი დედა, მისი ჩუმი ღიმილი, განგებითი ამოოხვრა და მალული ღიმილი, „თვალებს დაგჩიჩქნი, შე უქნარავ, შენა, ოპ, გული შემიჭამეთ, რაღა, ნახევარი კვერცხი შენა, ნახევარი კიდევ — შენ, გარეთ გადიოთ, პრანტი კითხულობს. აბა კმა!..“
- სანასარ! — დავუყვირე მე, — ცხენი-რამე.. ერთ თვეს გითიბავ!
- ეგ, რო მლანძღე და მაგინე, იმიტომ?
- ბოდიში მომიხდია.
- ჯერა მლანძღავ და მერე ბოდიშობ?
- კაცო, გუშინდელს აქეთ აქა ვგდივარ.
- მანდ მე ჩაგაგდე, რომ ჩემი გწყინს?
- შენი ისა მწყინს, ცხენს რომ არ მაძღვევ.
- ჰოდა, ძალიან კარგი, რამდენიც გინდა გეწყინოს.
- კარგი, რაღა, არა მწყინს, სანასარ.
- ჰოდა, ძალიან კარგი, არ გეწყინოს.
- სანასარ...
- ამ აგვისტოში ვინ არის შენთვის ცხენის მომცემი. ნახვამდის.
- კაცი ხარ, პირუტყვი ხომ არა, კაცო.
- ჰამე! ყვიროდა, ვერ გავიგე.
- ვინა ყვიროდა?
- არ მესმის.
- გინდა გაგიმეორო?
- არ მესმის.
- მაშ, მე რად მესმის შენი?
- არ მესმის, ჩამოხვალ და აქ მეტყვი.
- ცხენი გამოგიგზავნე, რომ ჩამოვიდე.



- აბა, ცხენი?.. ცხენს ვერ მოგცემ-მეთქი, არ გითხარი? ნახვამდის.
- ნახვამდის, სანასარ, მაგრამ ეგ არ დაივიწყო.
- ნოხომდის, სონოსორ, მოგრომ ოგ ორ დოივიწყო..
- არა, მასხარაობაც რომ გცოდნია! ხალხმა კიდევ სოფელი განდო.
- ორო მოსხოროობაც რო გცოდნია, ხოლხმო კიდევ სოფელი გონდო.
- ვაიი!.. ფუჰ!..
- რაკი თავმჯდომარე ვარ, რა, ხუმრობის უფლება არა მაქვს?
- ორი დღეა ამ სადგურში ვარ გახირული, ეგ არის ადამიანობა?
- ეგ საქონელი აქ არ იშოვება, იქნება შენ წამოიღო მაგ სადგურიდან ცოტა მაინც!



— კაცო, ცხენი გამომიგზავნე, რო წამოვიღო, რალა!  
 ეშმაკმა დალახვროს, რამდენჯერაც იმედის სხივმა გამიციალა, იმდენჯერვე გამიქრა. ეს სანასარი ახლა ღმერთიც იყო ჩემთვის და იმავე დროს — პირუტყვიც, ღმერთი — პირუტყვი, ღმერთი — პირუტყვი, ოლონდ ვერანაირად ველარ ვისაზრისე, რომ არც ღმერთი იყო და არც პირუტყვი, უბრალოდ კაცი იყო, ადამიანი. ახლა წმაკუტში წვიმა უჟაუუნებს, ხალხი კარტს ან დომინოს მისხდომია, ან ერთმანეთს ამასხარავენბენ, ან, ალბათ, გაზეთსა კითხულობენ ან კიდევ ტელეფონზე რეკვით ერთობიან. გარშემო მთებზე მეხი ჭახჭახებს, ისინი კი რულმორეულნი იგონებენ, რომელიღაც წელს მეხმა „თეთრი წყაროა“ თავზე როგორ მოკლა ლაჩინა კამეჩი, შარშან თუ შარშანწინ კიდევ როგორ მოკლა აშოტას ცოლი ვარდუა, ხოლო ახალი ცოლი ქალადაც კარგი გამოადგა და თურმე ძველზე უკეთესადაც უვლის თავის ჭმარს. მეხამრიდების საკითხზე სამინისტროში უნდა იჩივლოს ხალხმა. მაგრამ ღირს კი ვითომ? ამბობენ, მაგაზე გაზეთშიც ეწერაო, სოფელში ვილაცა! წუკითხავს. ვინ წაიკითხა, ნეტავ? მარტო სამინისტროში კი არა, შეიძლება, მოსკოვშიც იჩივლო, მაგრამ სად გინდა რომ დადგა ეგ ოხერი მეხამრიდი. ამბობენ, მალალ ადგილებს ურტყამსო. მაგასაც დაიჯერებს კაცი, მაგრამ ხომ გახსოვთ, ესაიას ბიჭი რომ ხევში მოკლა, ცაცხვის ქვეშ?

— აბა, გახედე, — მითხრა სანასარმა, — ნახე, მდინარე აღიდებული მოდის?

მდინარე ერთიანად წითელი მოდიოდა გაყიპყიპებული, ხრჩობა-ხრჩობით მოიგრავენბოდა და მიეხეთქებოდა დაღმა. ბატები არ ცურაობდნენ. ხიდის ქვეშ აღარ ჩანდა აღარც გაცვეთილი საბურავი და აღარც მაზუთის გადაგდებული კასრი. გაანჩხლებულსა და აფაფრულს ცოტაც, ცოტაც კიდევ რომ ძალა დაეტანებინა თავისთვის. ერთიანად მოხვეტავდა და წაიღებდა სადგურის უფროსს, ტელეფონისტ ქალს, მილიციელს, საწყობის გამგეს, მეისრეს, დამლაგებელს, სკოლის დირექტორსა თუ მასწავლებელთა მწკრივზე ჩარიგებულ საპირფარეშოებს.

- აღიდებულია, სანასარ, მერე? — თვალი ჩავუკარი ტელეფონისტ ქალს.
- რატომ არის აღიდებული, ამხანაგო ქალაქელო?
- რატომ არის აღიდებული? — გავიმეორე მე და ტელეფონისტ ქალს თვალი კიდევ ჩავუკარი.
- წვიმაა, წვიმა! წვიმს!
- არა წვიმს. სანასარ, მზეც არ არის, ჩახუთული სიცხეა.
- აქა, აქა! სოფელშია წვიმა. მთებში სეტყვა დადო.



— მერე? — ისევ თვალი ჩავუკარი ტელეფონისტ ქალს.

— მერე ისა, რომ ამხანაგ ქარიანს ველაპარაკები.

— მაშ, მდინარეზე რაღად შენეკითხე?

— ჰოო! — გაიცინა სანასარმა, — იმიტომ, რომ ვეჩქვენი მდინარეა, ამხანაგო ქალაქელო, აქ რომ სეტყვას დასდებს, მანდ აღიღებულნი მთივლის. მდინარე აქედან მოდის, გახსოვს? — მან კვლავ გაიცინა და მე ძალიან მადლობელი ვიყავი ამ სიცილისა.

— ჰოო, წვიმაა?... მეც არა ვთქვი, რად მეკითხება, ნახე, მდინარე თუა აღიღებულო? მაშასადამე, წვიმს. სოფელში, მაშასადამე, წვიმს და იმიტომაც მდინარე, მაშასადამე... სანასარ!.. გთხოვ რა, ცხენი-რამე... — მე თვალი ვუყავი მილიციონერს, ის კი იდგა და ქვეშ-ქვეშ იცინოდა, — ორი დღეა, აქა ვარ, სანასარ...

— ვაი, შენ რა ვითხრა, ისევ ქოლაგერანიდან მელაპარაკები? შე ოჯახ-აშენებულო, ეს წყალი — შენ წყალი დაუძახე და — ორ საათში უდიპლომოდურამოდ აქედან მანდ ჩამოვიდა, ვინ იცის, კარგაზე გაგცდა კიდეც, შენ კიდეც დიპლომით-რამით ორ დღეში ვერ ამოაღწიე წმაკუტში?

— კარგი, რა, სანასარ, დიპლომის დედაც ვატირე, მთავარი ის არის, კაცი მიწის მუშა იყო. ცხენი-რამე, სანასარ...

— არა, რათა, დიპლომი უფრო საჭიროა.

— საჭიროა, მაგრამ ახლა ცხენი უფრო საჭიროა, სანასარ.

— რა თქმა უნდა, ცხენიც საჭიროა, მაგრამ დიპლომიც საჭიროა. აგერუბენას დიპლომი არა აქვს და დირექტორობიდან ხსნიან.

— ძალიანაც თავს ქვას ახლიან, რა უფლება აქვთ, შენი სოფლის საქმეებში ჩაეროვნენ.

— არა, რატომ? მოხვალ და დირექტორი შენ იქნები.

— მე დირექტორად ვინ დამაყენებს, სანასარ?

— იმათ მე მოველაპარაკები.

— გმადლობთ, სანასარ.

— ნახვამდის, გელოდებით.

— კაცო, ცხენი გამომიგზავნე-მეთქი, სანასარ.

— დირექტორი კაცი ხარ, ცხენი რად გინდა.

— კაცო, ცხენი გამომიგზავნე-მეთქი, სანასარ.

— არა უშავს, დაგავიწყდება. დირექტორი გახდები და მერე სალამსაც აღარ მეტყვი.

— მე?... შენ ჯერ კარგად არ მიცნობ, სანასარ.

— ეგ, სულ აგრე ამბობენ ხოლმე.

— გააჩნია, ვან ამბობს, სანასარ.

— მაგასაც ყველანი მაგრე ამბობენ.

— შენ გამომცადე და მერე გააგებ.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა... მაგასაც ამბობენ.

— ალბათ უჭირთ და იმიტომ ამბობენ.

— შენ რაღა გიჭირს, რა, ომია?

— ომი არ არის, მაგრამ ორი დღეა, სადგურზე ვარ.

— შენც ადექი და წამოდი.

— ბარგითა ვარ-მეთქი, სანასარ.



- ბარგითა ხარ? ისეთი რა ბარგი გაქვს?
- ორი კალათაა და ორიც ჩემოდანი.
- „ორი კალათაა და ორი ჩემოდანი“. მერე შიგ რა გიყვია?
- რალაც-რალაცეები, რალა, სანასარ.
- ეგ რა ისეთი საიდუმლო რალაც-რულაცეებია, მაგალითად, რომელია?



- კი არ ვმალავ, სანასარ, თქმად არა ღირს.
- ორი კალათა და ორი ჩემოდანი გაგიძეძვავს, ბარგი ჰქვია, ხოლო როცა უნდა გვითხრა, შიგ რა არის, მაშინ ბარგი არ არის, „თქმად არა ღირს?“
- შაქარია, სანასარ.
- ასი კილო შაქარი?
- ხუთი კილო. ატრიაა კიდევ, სანასარ.
- ოცხმოცდათხუთმეტი კილო ატრიაა?
- ათი, სანასარ.
- მხოლოდ ათი კილო?
- არა, რვა, სანასარ.
- მაშ, რვა და ათი ერთია? შემდეგ?
- კაცო, რად გინდა ეს ნაგავი?
- ჰოო, თუ ნაგავია, მაშ, კარგსა ვშვრები, რომ ცხენს არ გიგზავნი.
- ნამცხვარია ბავშვებისათვის.
- „ბავშვებისათვის“, თითქოს ელიშამ ჰამა არ იცოდეს. შემდეგ?
- რა შემდეგ?
- მარტო შაქარი, ატრია და ნამცხვარია?
- არა, კიდევ არის რალაცეები, სანასარ.
- რაო, რა არის?
- ყურძენი, პირველი ყურძენი.
- ყოჩად, ყოჩად!
- ჩემი წიგნები.
- ყოჩად.
- ბავშვებისათვის ფეხსაცმელები.
- მართლა ყოჩად!
- მამაჩემისათვის დაბამბული ქურთუკი.

— ყოჩად, ელიშ, ყოჩად! ჩაიცვამს?

— ჰო, ალბათ, ჩაიცვამს, კიდევ: დედაჩემისათვის თავშალი, ჩემი ძველი ფეხსაცმელები, ლექციების რვეულები, ჩემი ქურთუკი, ტრუსი, პერანგი; მამაჩემისათვის საცვალი, ბავშვების ქვედა საცვლები, საბავშვო საპონი, ქალის საცვალი — სჭელი, დანა-ჩანგალი, ერთი ტორტი, უთო, თერმომეტრი, იოდი, ცხენის ფალანი, კლიტე, გუთანნი, ნეხვი, ქუდი საკერებლები... ერთი დღეც-იქნება და ყოფას გიტირებ, ავაზაკო, მამაძაღლო შენა!

მე დავდე ყურმილი და ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ნარკოზში ვიყავი. შორეული, ბნელი სივრცეებიდან ჩუმი შრიალით ნელ-ნელა მიბრუნდებოდა ცნობიერება.

— ჰა? — ვუთხარი მე მილიციელს თუ ტელეფონისტ ქალს, მერე გამოვეგლიჯე ყურნილი. — კაცისმკვლელო! — ჩავძახე და მოვისროლე ხელუკულმა.



სიბნელიდან სიბრალულით შემომცქეროდა ტელეფონისტი ქალი; სიბრალულით, მაგრამ, ცოტა არ იყოს — დაცინვითაც — მილიციელი და ხახ-ხახობით გამოსახულებას იძენდა იქაურობა: კედელი, კარები, შარავნა/გოჭი. — გათახსირებულო! — მე გავქანდი ტელეფონისაკენ, მაგრამ მკვლევარს უკვე ჩაებლუჯა ჩემი თავი, ყურებში მის სუნთქვას ვგრძობდი.

— ჭკვიანად!.. ჭკვიანად!.. ჭკვიანად!..

— საჭონელო!.. ბირუტყვო!.. ხებრევ!.. — ექოშინებდი მე.

და მერე ქვეყანა მომეჩვენა ლამაზი და ნაღვლიანი; ვიგრძენი, რომ ტვინი გამიხურდა, გამიხურდა და ცომივით დარბილება დაიწყო. ტვინის ნერვების ყველა ძაფი თუ კავშირი დაიშალა, დაღმა და უკვე აღარაფრის სურვილი არ მქონდა, აღარავინ არ მიყვარდა და აღარავინ არ მძულდა. მხოლოდ იატაკი მიზიდავდა დაუძლეველი ძალით, მაღიციელის მკლავებში გაქაჩული იატაკისაკენ ვეკიდებოდი, მაგრამ მკლავებს მაგრად ვეჭირე და არ მიშვებდნენ.

— კარგი, რაღა... კარგი, რაღა... კარგი, რაღა... — ვებეწებოდი მე, — კარგი, რაღა... კარგი, რაღა... გამიშვი, რაღა... კარგი, რაღა...

მან გამიშვა, მაგრამ ჩემს ქვეშით სკამი აღმოჩნდა, მე დავჯექი ერთი ნახევარი წამით, მერე იატაკზე დავვარდი და ეს უკვე ცოტა არტისტობაც იყო, დავვარდი და მიხდოდა მებღავლა, მაგრამ ეს ძალიან არაბუნებრივი გამოვიდოდა, და მე გავჩუმდი, იმ ნტერის სუნის ახლაც ნესტოებში მაქვს, ვიწექი და ჩემ თავს ვარწმუნებდი, რომ ვტირივარ გათელილი უფლებებისათვის, გაქუჩუქიანებული ტანსაცმლისათვის, ტელეფონზე დასარეკი ფული რომ აღარა მაქვს, იმისათვის; ეს მილიციელი, რაც არ უნდა იყოს, მაინც კარგი კაცია — იმისთვისაც; ჩემი ვერგინე რომ წამარბევს — იმისთვის; რომ არა ვღრიალებ, ჩუმად ვტირი და ასე ტირილი უფრო ლამაზია — ამისთვისაც; სინამდვილეში კი იმაზე ვფიქრობდი, აქ რომ სულელურად წავებარქვავდი, წამოსადგომად რა მიზეზი მოვიგონო-მეთქი; იმასაც ვფიქრობდი, ამდენი რამის შემდეგ სანასარი ცხენს უეჭველად გამოგზავნის, ბოლოს და ბოლოს, კაცია, შერცხვება და გამოგზავნის-მეთქი.

ღრმა სიჩუმეში ქვეყანა ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავის ხმებსა და ბგერებს: მზუილი — მდინარისა იყო, მიწისქვეშა თანაბარზომიერი ძიგძიგი — მომავალი მატარებლისა, აჰა, დაივიცლა, აჰა, მოახლოვდა, აჰა, მოვიდა კედელს; გაიარა და ძიგძიგიც თანდათან მიწყდა, ვილაცის ნაბიჯები მომიახლოვდა, კარები გაიღო, ნაბიჯები ზედ ჩემს ყურთან შეჩერდა.

— ოპო!.. მთვრალია.

— არა, წევს.

— მაშ, რა ამბავია?

— გაჯავრებულია.

— რათ გაგიჯავრებიან ეს ბაღლი?

ოპ, ნეტავი ავეყენებინე, ჩავეხუტებინე და მამაჩემი გამომდგარიყო; მე კიდევ პატარა ვყოფილიყავი, დანა მქონოდა დაკარგული და ავზლუქუნებულ იყავი... მას აღერსით ვემშვიდებინე, ხოლო მის აღერსს უფრო გულამობინჩვით ავეტირებინე, რომ შევეცდი და სხვისი ვაშლი მოვიპარე, ეს ჩამეთვალა ჩემი დაკარგული დანისადმი დაღატად და ტირილში ეს სატირალიც გამერივნა; მომეგონებინა, როგორ იკეცებოდა ჩემი დანა, რა ნაყვები ეხატა ტარზე და



მეჭვითქვითნა კიდევ უფრო ძალიან. მამაჩემს ვეჩუმებინე, გამწყრომოლა. მე კი მეტირნა დანის გულისთვისაც და უხეში გაწყრომისთვისაც... მეტირნა უნუგეშოდ, კუნწულ-კუნწულა ცრემლის ღვარღვარით... მერე დამძინებოდა მამაჩემის ხელებზე და გამღვიძებოდა რძესავით სუფთას, რბილღობილღობად დაფენილს.

— ადექი, ბიჭო!.. იქ შენი ჩემოდნები ერთ ამბავში არიან, სხვანაირად რომნი გვყავს და მერე როგორით — მოწიფული კაცი, უნივერსიტეტდამთავრებულიო, არადა, რისი მოწიფული, რა მოწაფული! თურმე ნუ იტყვი, ბავშვი ყოფილა და ბავშვივითა გორაობს აქა!..

— აქ კიდევ ტელეფონი გააფუჭა.

— გააფუჭა?

— ჰო, რაღა, გააფუჭა. აგერ, რეკავენ და არათერი ისმის.

— ჰოო! რომ გაუფუჭებია, ეგ არ ვარგა.

პრანტ ქარიანი ზღაზვნით წამოდგა და წაბარბაცდა, მერე თვალებდაწითლებულმა და მოლუშულმა თქვა.

— კიდევ რაო?

ხმა ჩახრინწოდა და თვითონვე მოეწონა თავისი ხმა; გაიფიქრა, ნეტავ კიდევ რამე მითხრანო, რათა პასუხი გაეცა და კვლავაც მოესმინა თავისი ვაჟკაცური, ბოხი ხმა.

— ტელეფონი გააფუჭე, ჯიბეში კაპიკი აღარ გიგდია, როგორ იქნება ჩვენი საქმე?

— მართალია, ფული აღარა მაქვს მერე?

— არ ვიცი.

— მე ვიცი, — თქვა პრანტ ქარიანმა.

— რა იცი?

— წამიყვანეთ, ჩამომახრჩეთ.

— ვა!.. ამ ცალტვინა წმაკუტელს დახედეთ!.. ბიჭო, ეგეთი ჯეილი ბიჭო, ეგეთი ლამაზ-ლამაზი, ეგეთი ახალთახალი დიპლომით... არა, მართლა რომ წაგიყვანოთ და ჩამოგახრჩოთ, მაშ შენი თავი არ დაგეაფსუსება?..

— აარრრა! — დაიხროტინა პრანტ ქარიანმა.

— თუ — არა, ძალიან კარგი... აბა, დაიტირეთ ეგა!..

სადგურის უფროსი და მილიციელი მხრებში ამომისხდნენ. გარეთ გამიყვანეს, ხიდი გადამატარეს და მილიციელის სანლში მიმიყვანეს. წამიყვანეს, რომ შემწვარი კარტოფილი ეჭმივნათ და ჩაი დაელევივნებინათ, რომ დავეწვიინე და დავეძინებინე; რომ მათი მადლიერი გავმხდარიყავი; რომ გაველვიძებინე და ეთქვათ, ალხო მოგივიდაო; რომ ჩემოდნები ცხენზე გადამეკიდებინა; რომ გაეკეთებინათ ჩემთვის ის, რაც გაუკეთებინებლადაც უნდა გაეკეთებულიყო; და მოლოს, რომ ეჩვენებინათ ჩემთვის ლიანდაგებზე გადასასვლელი ადგილი და სოფელში მიმავალი ბილიცის წვერი.

— არაიკ, — ვუთხარი ძმას, — სხვა ცხენი აღარ იყო, რომ ეს მოგყავდა?

— ვუა, — წაიტირასავით მან, — ჯერ იკითხე, ანდრო გვაძლევდა რო?

— რაო, რა თქვა?

— ყაზახიდან, ეს ორი საათია, რაც მოვიდაო.

— მაშ, როგორღა მოგცათ?



— მამაჩემი წასულიყო — არ მიეცა. დედაჩემი და მამაჩემი წაიხტებნენ. შერე დედაჩემი წავიდა და მოიყვანა.

— დედა როგორ არის?

— აბა, როგორ იქნება!

— გზაზე არბენინე?

— ვითომ სიარული შეეძლო, რომ ახლა კიდევ მერხუნიანებინა!

დაბლა უხმაუროდ მიიკლაკნებოდა მოსკოვი-ერევნის ჩქარი მატარებელი. ხესტოებში წუთით ამითამაშდა კუპეს სურნელი, წამითვე გამოკრთა ქალის მოდილვლებული მუხლები თაროზაგიდის ქვეშ და პრანტ ქარიანი კიდევ — დაუდევრად გადაზღვართული თავის ადგილზე.

— არაიკ, — ვუთხარი მე, — ფული არა გაქვს?

მან იყუჩა, იყუჩა და წაიბურტყუნა: — ვაა!..

— რაო, არა გაქვს?

— მე ფული — საიდან?

— დედამ არ მოგცა?

— მრავალშვილიანობის დახმარება რომ მიიღო, ერთი მანეთი მომცა. ისიც, წავედი, ავტოკალამი უნდა მეყიდა, მივედი და — დამკარგვოდა. ახლა, არ ვიცი, ჯიბიდან ამომვარდა თუ შინვე დამრჩა?

— არა უშავს, არაიკ, ფულს მე მოგცემ.

— ფული რად მინდა!

— კანფეტს იყიდი.

მან კი მოწიფული და ჭირისმზდელი ვაჭკაცის გამგმირაობით წამიერად შემომხედა და ისევ მიაბრუნა თავი.

— რაო, არ ვიყვარს კანფეტი?

მან თითქმის დაიყვირასავით: — მიყვარს!

— შერე?

— შერე ისა, რომ შინ ერთი ნატეხი შაქარი არ გვივლია, შენ კიდევ მეუბნები, კანფეტი იყიდეთ!

— არაიკ... არაიკ, ცხენი ვინ წაიყვანა ყაზახში?

— გიჭორმა, — გაჯავრებულ კილოზე მომიგო მან.

— არაიკ, მე შენ ავტოკალამს მოგცემ.

ის ძალიან უბრალოდ შემეკითხა:

— შენ რილათი დასწერ?

— დავწერ როგორმე.

— ფანქრით?

— რითიმე დავწერ, რაღა, არაიკ.

— შენ შენს ავტოკალამს მომცემ და შენ კიდევ ფანქრით დასწერ?

— თუნდაც ეგრე იყოს.

— ყოჩაღ, — თქვა მან.

„მარცხენით! მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!.. ყოჩაღ!.. მარცხენა! მარცხენა! მარცხენა!.. მარჯვენა არა გაქვს! მარცხენით! არა გაქვს-მეთქი! მეორე მსოფლიო ომმა წაგართვა, ტრამვაიმ მოგაგლიჯა, დედამ მარჯვენის გარეშე დაგბადა! მარცხენით! მარცხენით! ყოჩაღ! იცოცხლე!“ „ამხანაგური შეხვედრის შემდეგ მან მე შემპრქვა „დიდებული ცაცია“, ხოლო როცა შესარჩევ შე-



ჯიბრებაზე ამიყვანეს. მას ეგონა, რომ მის თეთრულსა და პრაქტიკულ გა-  
 ჰოცდილებას მისივე დანათლულ სახელთან ერთად მოსკოვს, ბერლინს, რომსა  
 თუ მელბურნს მოვატარებდი და გამარჯვების კვარცხლობეკზე ავიყვანდი. „მარ-  
 ცხენა! მარცხენა! მარცხენა!...“ მის მოთხოვნას კომისიაც მხარს უჭერდა და მეც  
 ვფიქრობდი, რომ დიდებული ცაცია მქონდა. მაგრამ ვეტინსტრუქტორმა მოზ-  
 ვერმა კარაპეტ კარაპეტიანმა ზედ პირველ წამზევე ჩამინიკარტა სიფსოში.  
 მე თავი გავიმაგრე: „ეგ არაფერი!“ კომისია ელოდა ჩემს მოულოდნელ მარ-  
 ცხენას, ბაგირებს მომდგარი მწვრთნელი წამდაუწუმ მკარნახობდა: „მარცხენა!  
 მარცხენა! მარცხენა!“ მე გულში ვეთანხმებოდი, ვიცოდი, რომ აი, ახლა, საცა-  
 საცაა, ამოხტება ჩემი მოულოდნელი მარცხენა. უკვე ჩამულები ვიყავით, კო-  
 მისია დაშლილიყო. კარაპეტიანისთვის გამარჯვება მიეცათ, ჩემთვის — და-  
 მარცხება. მწვრთნელს გადაეფურთხებინა და გაშორებოდა იქაურობას. უკვე  
 ქუჩაში ვიყავით, გაზაფხული იყო, წყნარი ბინდი იდგა და მე ჯერ კიდევ ვფიქ-  
 რობდი, რომ აი, ახლა-ახლა ამოხტება ჩემი მოულოდნელი მარცხენა. „ეგ ვი-  
 დომ რა კრივი იყო, მოზვერო.— ვუთხარი მე, — მე რა ვი,— მხრები აიჩეჩა  
 მან.— კარგად კი გადაურჩი ჩემს მარცხენას, კარაპეტ!“ მერე ვერგინეს ვუთ-  
 ხარი, რათა თავისი ქმრისთვის ეთქვა, რომ მე მოკრივე ვიყავი და საშინელი  
 ცაცია მქონდა. უთხრა თუ არ უთხრა, ეგ კი იყო, რომ მისი ქმარი მიმავალი  
 მანქანიდან გადმოხტა, ერთი-ორი გამიჭახუნა და წავიდა იმ თავის მშენებლო-  
 ბაზე თავის ცემენტთანად.

- სანასარი კარგი ცაცია თუ ცუდი, ამხანაგო არაიკ?
- რა ვიცი, ცაცია, რაღა, თავისთვის.
- წვიმდა?
- გითხარი, წვიმდა-მეთქი.
- ერთი ეგ მითხარი, არაიკ, ბიძაშენი ცხენს რატომ არ იძლეოდა?
- გითხარი: ყაზახიდან ახალი მოსული იყო.
- იმ გიქორს ცხენს ატანს ყაზახში და, როცა ჩვენა გვჭირდება: ყაზახი-  
 დან ებლა მოვიდომ?
- რაკი ახალმოსული იყო, მაშ, რას იტყოდა? იტყოდა, დიდი ხნის მო-  
 სულიაო?
- იცოდა, რომ ერთი კვირაა, სადგურში ვგდივარ?
- ისა და მამაჩემი ცოტა ნაწყენები არიან ერთმანეთში.
- რაზე?
- მამაჩემისთვის ეთქვა, მაგდენი შვილები რად გინდომ?
- რა იმის საქმეა?!
- ეთქვა, მაგდენი ბავშვები როგორ უნდა არჩინო.
- კაცო, რა იმის საქმეა?!
- მამაჩემს ეთქვა, მე უნდა ვარჩინო, შენ ხომ არაო. იმას კიდევ: მაშ,  
 წადი და, ცხენი სადაც გინდა, იქ იშოვე, ალბო ყაზახიდან ეს-ეს არის, მოვი-  
 დომ.
- მაშ, რა ვქნათ, არაიკ?
- რაზე?
- ისე, საერთოდ, არაიკ.
- არ ვიცი, მამაჩემმა მითხრა, ბიძაშენს ცივად მიესალმე ხოლმეო.



ხ ე ე ბ ი

უმნო ხარ, საცოდავი ხარ, არ ვარგიხარ, შვილო, ჩემო ნაშიერო, ჩემო პირმშო, ჩემო იმედო, ჩემო ძვირფასო, არ ვარგიხარ, ქვეყნისა ერთი ბევრი ჯაგრი და ჯიბრი არა გაქვს. შენს პაპასა და იგივე მამაჩემს იშხანს ერთი სინხლისფერი ბაჩა ცხენი ჰყავდა, ისეთი ჩმაგი, რომ ჯარისთვისაც კი დაიწუნეს. მაგრამ ბრახისაგან ხელდებოდა თუ რომელიმე ცხენი გაუსწრებდა, ქმინავდა, ფრთხინავდა, ნესტოებიდან ცეცხლსა ჰყრიდა, შენ ჩმაგი დაუძახე და, პირდაპირ ჰქმინაზე სკდებოდა. პაპაშენისა სუყველაფერი ეგეთი უნდა ყოფილიყო, ძალდი იქნებოდა თუ შვილი თუ ღობის ჰინკარი თუ კედლის გველი. შენ არა ვარგიხარ. შენს ნაცნობებს შენზე რომ ვეკითხები, გაქებენ და იცინიან, ვითომ: კარგიაო, სინდისიერიაო, მაგრამ ის სიცილი დანად მეყრება გულში, ჩემო შვილო და ჩემო ღვიძლო, მამაჩემი და იგივე შენი პაპა იშხანი არცარა დიდისმთქმელი კაცი იყო, არც კიდევ ფიქრის დრო ჰქონდა, ის საქმის კაცი იყო, მის ფეხქვეშ მიწას ცეცხლი ეკიდებოდა... მაგრამ ერთხელ ცალყბად, მხარუკულმა სიტყვა გადაუგდო ჩემ დედინაცვალს, აი, პურის ფულს რომ გადაუგდებენ, იაე, და მეც იმასვე ვიტყვი: კაცი არც ისეთი ტკბილი უნდა იყოს, რომ გადაუცლაპონ და არც ისეთი მწარე რომ გადმოაფურთხონ. შენ გადაუცლაპინართ და გაქებენ, შვილო, შენა გყლაპავენ. ამბობ, სინდისიო, მაგრამ სინდისი, იცი, როლის არის კარგი? — როცა მხეცშია. ეგ, შენეული, შენ რომ სინდისი გგონია, ეგა, სინდისი კი არა, სისაწყლეა, მთელი ეს სოფელი ვანქერი იშხანისა ცათამდე მადლობელი იყო და, იცი, რისთვის? — ყველასთვის შეეძლო ევნო რამე. შეეძლო! მისი შიში, როგორც ავად მშუქარი მეხი-მედგარი, ისე დათამაშობდა და დაჰბრუნავდა სუყველას ვანქერიდან ბორჩალომდე, ბორჩალოდან ყაზახამდე და შეეძლო ყოველ წამს დაეჭუნა რომელიმე ბედდამწვრის თავზე, მისი სიკეთე ყველასთვის ის იყო, თუ არა ქუხდა, თორემ სხვა სიკეთე მისგან არავის ახსოვს. ყველას მოკეთე-მოჭირნახულე. აი, შენი პაპა და ჩემი მამამთილი ავეტიქა იყო. ფუტკარი გინდა თუ ნამყენი გინდა თუ ცულისტარი თუ ურემი თუ, რა ვიცი, — სულ სხვაზე იყო გადაგებული, ახალდანიშნული ძმის მაგივრად ვინ მიღის ჯარში? — ავეტიქა! დაკერილი ძმისწულის გულისთვის მთავრობის ბეგარას ვინ იხდის? — ავეტიქა! ერთი სიტყვით, ღვთისწყალობა იყო მთელი ამ სოფლისთვის და, იცი, რა ეთქვა მის უმცროს ძმას ვიქორს? ეგ როგორ არისო, რომ სარქისას გულისთვის ბეგარაზე წავიდა, ჩემთვის კი ხელ-ფეხი ისე გაიქვავა, ერთი ურემი არ გამიკეთაო! (ერთი მუხის მოჭრევენებაში მეტყვევს ვიქორისთვის ერთი ახალგამართული ურემი ეთხოვნა). შენს პაპასა და იგივე ჩემ მამამთილ ავეტიქას სწორედ ეგეთი საყვედური შეეფერება, არ იფიქრო, ვითომ მისი ქცევა სხვანაირი პასუხის ღირსი იყოს, ვინ იყო იმისი ცხენის მადლიერი? — არავინ! საპალნეს ჩამოხსნიდნენ და ხელადვე მუცელს წნელით აუხურებდნენ: აბა, ჰაიდაო! ტვირთი უკვე მოტანილი იყო, რა ენადვლებოდათ, ოფლის სუნით კი, გაუშვი, პატრონი დამხრჩვალყო! სინდისი, სინდისი და კიდევ სინდისი, გარეთ სინდისი, შიგნით სინდისი, ეს რა, სინდისია თუ ძონძის ტკინა, ჩემო შვილო და ძირო, ჩემო საზრუნავო, ჩემო სატანჯველო, ჩემო საწუხარო, ჩემო ვაებაე და ჩემო კირთებაე? გოგოს დაინახავთ, დადგებით, უყურებთ და თვალები გიწყულიანდებათ, ბიჭს დაინახავთ და, პირდაღებულები შესცქერით, ხაშალი ბატკნის გულისათვის ცრემლად იღვრებით, ლამაზი ხბოს



გულისათვის ცრემლად იღვრებით — მკერდში ვაჟკაცის გული გიდევთ თუ აწული გიზით საზით ხელში? პაპაშენ ავეტიქას მღორე, ზანტი, კეთილი — ეგეც, რა ვიცი, კეთილი თუ მხდალი — ერთი პეშვი სისხლი შენში როგორ იქცა იმ მაწვნისდებდად, რომ ასე აგიჭრა იშხანისგან გამოყოლილი ის ალვარცოდებული სისხლი; ის დაუცხრომელ, ცბიერი, შემპარავი, ლაღი, მწიფი, შურმეძიე და მჭუხარ-მყივარ-ავაზაკური სისხლი არნაუტისა როგორ დაწყვიტა ავეტიქას იმ ღუნე, ჟრინტისტოლა სისხლმა?! თუ ალბათ ის უფრო მოსაწონია, მუხლები კერძის მიუფიცხო, პირლიმილგადაფენილმა ჩათვლიმო და იმ რწმენათ იყო, თითქოს ეს ქვეყანა ძალიან კეთილია? თქვენთვის თხა ნეკერია და მგელი — თხა, თხა ხარ თუ ნეკერი, მგელი ხარ თუ თხა? ან ის, ან — ის! არა, როგორ გეკადრებათ! თქვენ თქვენი სამოთხე გირჩევნიათ, ჩვენ სამოთხეს ელოდებით, როცა საყდარში მწუხრის ზარები რეკენ, საღამურ სიმყუდროვეში საყდრის წყარო რაკრავებს, იმ დაღლილ საღამოს თქვენც საპალნით დაღლილს მოგიყვანენ, საპალნეს ჩამოგხსნიან და იმ ქრისტესავით საღამოს თქვენთვის ნათქვამი მადლობა მახრჩობელა ბურთივით გაგეჩხირებათ ყელში: „მადლობელი ვარ, ცხენო! ბორჩალოდან, ე, საიდან სადა, მთელი ზამთრის სამყოფი ხორბალი მომატანინე ბაღლებსათვის, შენს მადლში და ვალში ვართ, ცხენო!“

კაცი და პირუტყვი ერთმანეთისაგან მახსოვრობით განირჩევა. კაცსა და ცხოველს შუა მახსოვრობა დევს. თუ მახსოვრობა გაქვს, მაშასადამე, იწვი, კაცი ხარ, შენი ანგარიშები გაქვს, მოუსვენრადა ხარ, არა გაქვს მახსოვრობა და, აგე, გაშლილ მინდორზე ძროხას ძოვს ბრიყვი და უმახსოვრო, არადა, ზბო გეშინ დაუკლეს. იმ ხეს თუ მახსოვრობა აქვს, მაშინ თქვენიანებსაც ექნებათ. თქვენებს კრიან, კლავენ, ართმევენ, დასცინიან, თქვენები კი საკუთარ მახსოვრობას გაურბიან და — კვლავაც წაირთმევიანებენ, კვლავაც წაირთმევიანებენ და კვლავაც მახსოვრობა არ ექნებათ, რადგან ეშინიათ, დაცინვას მუშტითა და წართმევას აკლებით უპასუხონ... ამბობთ, სიყვარულიო, ამბობთ გვიყვარსო, გიყვართ იმიტომ, რომ კბენისა, გლეჯვისა, რთმევისა და შეძულების ვაჟკაცობა არა გაქვთ. თქვენ გეშინიათ შეიძულოთ ვინმე, თქვენ თქვენს სიყვარულს ცვირსახოცივითა ხმარობთ, თვალებზე იხვევთ, რადგან გეშინიათ თვალხილულად უყუროთ და გძულდეთ — ვაითუ შეგამჩნიონ, რომ გძულთ და ვაითუ მაშინვე მოვკლან! ნუ გეშინიათ, სიკვდილი ძნელია, ძალიანაც რომ გინდოდეთ, არ მოკვდებით, მაგრამ დაე, ერთხელ თქვენს თავზედაც იტკინონ მუშტი, ვნახავ, მეორედ დაგარტყამენ-და? ერთხელ მაინც ვაჟკაცურად დადექით, გაუშვი, ძალით მოგლუნონ, თქვენ ნუ გატყდებით, თუ ბიჭები არიან, ძალით გაგტეხონ, სხვა დროსაცა ვნახავ, გაგტეხენ, მოგლუნავენ, ახლოსდა მოგიდგებიან? თვალში რომ ნუგზური ჩაგეთხარნა, მამაჩემი თვალს არ დაახამხამებდა, თვალს გაუსწორებდა, თვალს გაუსწორებდა, უყურებდა და თვალ-გულით დაიმახსოვრებდა. მამაჩემი არაფერი ავიწყდებოდა, მამაჩემი დიდი მარაგის პატრონი იყო. მამაჩემის მახსოვრობა ოქროსავით, ოქროსავით, თავისი ნამალ-ნაფარი ოქროსავით ხან საცქარაოზე გამოდიოდა და ხანაც მიიმალებოდა, ხანაც მიიმალებოდა-მეთქი, მაგრამ არასოდეს უკვალოდ არ იკარგებოდა, არასდროს! იმ მუშტიტოლ, სბეულის რომელიდაც კუნჭულში ჰქონდა მიმალული, რათა, როდესაც დრი და ჟამი დაკრავდა, ხმალივით ეშიშვლებინა თავისი ანგარიშები, აი მამაჩემი! ის — შენიანები და აი, მამაჩემი! ამათგან ვისი ძირ-სისხლი ხარ, ვისი თხუმი ხარ?



ხოლო რაღაც წვრილამალა ამბებს რომ ჰყვებიან მამაჩემის ჩანადენს, ეს უქნია და ის უქნიაო... ეგ იმისი დიდი შიშისაგან არის; ეგა — ჰფხანენ, ეფერებიან, რომ, რა არის, წიხლი არავისა ჰკრას; უხარიათ, რომ იმათი არ მოუპარავს, იმათი არ მოუკლავს, იმათი არ გაუმწარებია... ვითომც კატისთვის თოკი ჩაებას, გადმოფენილ ხალიჩაზე შეეგდოს და მაღლითა სატყუარად დახალიჩა ისე მოეპარნოს; ვითომც: „ბაღღებო, ბაღღებო, ეგ ქათამი დაწიქს დასტყუა, სხელიდან გამისხლტა და გამექცაო“, და სხვისი ქათამი სხვის კარზე სხვისივე გოგობიჭებისთვის დაუჭერინებია და მოუყვანია შინა. ძროხა აქ დაუკარგავს, აქ ძროხა დაუკარგავს და — ბორჩალოში. საქართველოში, ვიღაც ხორბლის ქურდსა სცემია ყელში: „აი, ჩემი ძროხა, ჩემი ძროხა ვიპოვნეო“. ესენი ყოფილა, მომბდარა, ის ქირმანული ხალი ჩემ ძმას უკიდია შინა, ის ძროხა კი დაეკარგეთ, შენ თვითონ დაჰკარგე, რადგან ავეტიქას გადანაჭერი ხარ, იშხანისა არაფერი მოგდამს, წიგნსა ჰკითხულობდი და ძროხა დაგეკარგა: „ეხლა აქ იყო!“ „ეგ როდის — ეხლა?“ „ეხლა!“ „ეხლა — დილას? შუადღისას? გუშინ?“ — რადგანაც შენთვის და ამ შენიანებისათვის დრო არ არსებობს, საერთოდ გამქრალია. დრო, აი, მამაჩემ იშხანისთვის იყო, თუ იყო, ის დროს წინ ისე მიუბრბოდა, როგორც ცოფიან ძაღლს გაექცე, დრო იმას ვერ ეწეოდა. ყველაფერში ხელდახელი იყო, სულ ხელდახელ და ხელდახელ, სულ ჰარიქა და ჰარიქა, როგორც მერცხალმა ბუდე აკოწიწოს, აშენოს, კვერცხები დადოს, ბარტყები გამოხეკოს, ბუდეზე გადმოკიდებულმა ერთი წუთითა და ისიც — ცალი თვალით ჩათვლიმოს — ყველაფერი ჩქარა და ჩქარა, ყველაფერი მალე და მალე, და ავრალდება თუ არა, თავის ბარტყებიანად უკვე გადასაფრენად იყოს შეწყვიპული. ანდრანიკთან იყო ჯარში, ანდრანიკი, მორჩა, წავიდა, ჯარი ანდრანიკს მისტირის: „ახ, ანდრანიკ, ოხ, ანდრანიკ!“, პაპაშენს კი უკვე მოპარული ნახირი დაურარავებია ქოშაქარიდან თოვუზში. თოვუზიდან ქოშაქარში კიდევ ცხვარი მოუდის. დიახ, ამათ ნახირს იპარავს, იმათზე ჰყიდის, იმათი ცხვარი მოუდის და ამათზე ჰყიდის. ანდრანიკელები ჯერ ისევ „ანდრანიკ, ახ, ანდრანიკს“ გაიდახიან, ანდრანიკელებს იჭერენ, ყაჩაღებს ხოცავენ, პაპაშენი კი იმ დროს უკვე კოპერატივის წევრია, თავისი ხარებით კოპერატივის ქვას ეზიდება, ვითომ ანდრანიკელი და, მითუმეტეს, ყაჩაღი არცა ყოფილა და არც იქნება, კოპერატიველია, რაღა! ის ერთი ხარი ქოშაქარის ნახირიდანა გვყავდა შემორჩენილი, მეორე — ჩვენი ბებერი ხარი იყო, ადრევე ჰყოლიათ, ჩემამდე და ჩემს ძმამდე, ჩვენი ბეგლარა პაპის დროსავე. მესამე ხარიც თვითონ იყო, ხარების ტოლას შავფედეობდა და ურმით კოპერატივის ქვას ეზიდებოდა.

ივან არზუმანოვს ხელი დაედო მის ვალეულ მხარზე, ჩატყვიებული მზერა მისი ბრაზიანი შუბლისთვის მიებჯინა და: „იშხან, შენი თავი ჯერ არ ჩამოუჯიდნიათო?“ მამაჩემს შუბლზე წარბები ასთამაშებოდა. მამაჩემი მაღალი არ იყო, დაბალი კაცი იყო, მაგრამ იმის სიდაბლეს ვინ უყურებდა? მამაჩემი ცარიელი ძარღვი იყო, გამხდარი, მაგრამ იმისი ტანმორჩილობა თვალში არავისა ხვდებოდა — საცა იყო და სადაც დადგებოდა, იქაურობას თავისით ავსებდა. მოდა, გაალმასებული მამაჩემი როგორღაც თავს იკავებს, თავის თავს როგორღაც ათავსებს არზუმანოვის ხელქვეშ, ის კიდევ: „ჯერ არ ჩამოუჯიდნიხართო?“ მამაჩემს აეხედნა და: „რათა, კაცო, მე რა პანტის ჩირი ვარო?“ არზუმანოვს სისხლი მოსწოლია, გაბღვერილა: „ჩამოკიდებაზე, იშხან, ესე იგი ჩამოხრჩობაზე გელაპარაკებო!“ ეპ, შვილო, შვილო!.. შენ ანდრანიკელობი-



სთვისაც დაგიჟერდნენ, ქოშაქარის ნახირსა თუ თოვუზის ცხვარსაც ზედ წაგა-  
 კლავდნენ და არზუმანოვიც ჩამოგახრჩობდა. შენ არზუმანოვის ხელს მოი-  
 ცილებდი, ხელს აუკრავდი და არზუმანოვი უეჭველად ჩამოგახრჩობდა. ხელს  
 ხმა ჩასწყვეტია, გასუსულა, პაპაშენს ცივი ოფლი გამოსხმია შუბლზე. „არა-  
 ვანია, აღმასკომს ჩემზე საგანგებო დადგენილება აქვს გამოტანილი და პაპა-  
 შენს ხელი უბის ჯიბისაკენ წაუღია, ვითომ აღმასკომს მართლა დადგენილება  
 აქვს გამოტანილი, ხოლო ვანია არზუმანოვი სხვა რამეს ეუბნება: „ეგ რა, ნა-  
 განს იღებ თუ დადგენილებას მიჩვენებ?“ „არა, კაცო, აბა, მე მოსკოვის წინა-  
 აღმდეგ ნაგანის ამომღები ვარ? — დადგენილებას!“ და პაპაშენი იცინის. „აღმა-  
 სკომს ჩემი შემონახვის განსაკუთრებული დადგენილება აქვს გამოტანილი, —  
 იცინის პაპაშენი, — რომ სკოლის მოსწავლეებს აჩვენონ თუ რა ჯურის ხალხი  
 ყოფილა ივან არზუმანოვის რევოლუციამდე“ — და პაპაშენი არზუმანოვს  
 თვალებით ჩასჭიდებია, ესე იგი ჩემგან რა გინდაო? თურქი მოდიოდა, ანდრა-  
 ნიკელი ვიყავი, კოპერატივია და — არზუმანოველი ვარო. არზუმანოვმა  
 იმავე მხარზე იმავე ხელით რამდენიმეჯერ დაუბლარტუნა და თურმე მტვერი  
 რომ აპვარდა, იმ მტვერზე გაეცინა — „მტვერიან პაპასა“ ჰგავნარო, და ხალხიც  
 თურმე იცინის, ეგ კი არა და „მტვერიანი პაპას“ ბიჭი ასო, საწყალი ასქანაზიც  
 იცინის, ისიც იცინის, მაშა! მაშაჩემს, რაც მტვერიანაანთ კარ-ყურებზე ნეხვი  
 ეყარათ, იმოდენა მარტო ოქრო ჰქონდა ჩაფლულ-ჩამარხული, მაგრამ „მტვერი-  
 ანი პაპას“ ასოც იცინის, რადგან იშხანისა ძველი ჯავრი სჭირს, ეხლა ფიქრობს,  
 იშხანი უკვე მოდრიკეს და ჩემი ჯერიც მოვიდა, თავში ჩავუფაჩუნოთ, ფოლა-  
 დი ძნელადა ტყდება, ხოლო სპილენძს შეუძლია გაიღუნ-გამოიღუნოს  
 და არ გატყდეს. შენ შენი სიამაყით მხარს გამოარიდებდი არზუმანოვის ხე-  
 ლსა და, მაშინდელ ასაკში რომ მახსოვს, ის ჯეილი და მაგარი არზუმანოვი,  
 თქმა არ უნდა, ჩამოგახრჩობდა, ხოლო მაშაჩემი და იგივე შენი პაპა იშხანი  
 — არა, მხარს არ არიდებს, კოპერატივის მტვერდადებულ იმ თავის მხარს, პი-  
 რიქით უმარჯვებს, რომ იმან დაუბლარტუნოს, მტვერი დადგეს, ერთი ცხვირის  
 დაცემინება და, გაიაროს, განიავდეს, ივან არზუმანოვი იცინის, ხალხიც იცინის  
 და ფიქრობს: „იშხანი გადარჩა!“ ივან არზუმანოვი ისე, მთელი ტუჩ-პირით და  
 ფილტვებით კი არა, ეგრე — პირნაკლულად, ყბანახევრად იცინის, „პი-პი-პი“,  
 ვერ გაუგებ, სიცილია თუ სიკვდილის მომასწავებელი ნიშანი, ვითომ მშვი-  
 დად იყურება, თავისი რკოსფერი თვალებით ვითომ მშვიდად ათვალიერებს  
 ხალხს, არადა, მზერა აქვს, როგორც სიკვდილმა გაგიაროს ბეჭებში, ის ბრა-  
 ზიანი პაპაშენი კი თავის თავს როგორღაც აჩერებს მის ხელქვეშ და ეუბნება:  
 „არა, მე აღმასკომის საგანგებო დადგენილება მაქვს!“ თავისი მამა-ბიძის ასა-  
 კას კაცს ვანია არზუმანოვი ეუბნება, მალადოი ჩელავეკო, ახალგაზრდაო, რა-  
 და! „ძალაყი ნასტოლ ტვოი დაკუმენტ ი უხადი, მალადოი ჩელავეკ, სად წავი-  
 დეს, როგორ წავიდეს? ეუბნება, ჩამოსახრჩობად წადიო, შვილო, ეხ, შვილო!  
 პაპაშენი დგას, მხარზე მისი ხელი ადევს, შუბლზე ცივი ოფლი გამოჰყრია და  
 უნდა ხუმრობაში ჩაატაროს ყველაფერი: „აღმასკომმა ცალკე დადგენილება  
 გამოიტანაო“. იმან კიდევ: „ნაგანს იღებო?“

ჩემმა დედინაცვალმა თქვა, იშხანი შინ რომ მოვიდა, კარები ჩაკეტა და ყელ-  
 გამოჭრილი საქონელივით დაეხეთქა მიწაზეო. ეგ მე არ მინახავს, არც ხალხს  
 უნახავს, ხალხმა მარტო ის იცის: „მე რა პანტის ჩირი ვარ, კაცოო?“ ან: „აღმა-  
 სკომმა გადაწყვიტა, ცოტახანს ხარივით მამუშაოს კოპერატივისათვის და მერე



დამკლასო“, ან ხალიჩისა და კატისა, ან სხვისი ქათმისა, ძროხისა და, რა ვიცი, კიდევ რისა, და ესენი მართლა ყოფილა, მომხდარა, იყო ესენი, მაგრამ აბა, რა ვი, იყო თუ არ იყო?.. ხოლო ის მთასავით კაცი რომ ამოატრიალა /იმ ვანქერელ-აკნერელ-ახპატელების, თვალწინ, ეგ უკვე არავის დაუნახავს და არც არავის გაუგია. მართო — სხვისი ქათამიო, მთელი სოფელი დახვდა სალაყბოზე ყოფილა გამომდგარი, სადღაც მიმავალ იშხანს იმათ გვერდზე ჩაუვლია, რაკი ის თავისი ქურდი იღლია ცარიელი მიჭონებია და ხელსაღობა კიდევ არ უყვარდა. თანაც, ქათამიც იმ ხალხით სავსე სალაყბოზე ყოფილა, ხელადვე მოუსახრებია და იმოდენა დოყლაპიების თვალწინ ბაღებისთვის უთქვამს: „ბაღლებიო, ბაღლებო, ქათამიო!“ ჩემმა დედინაცვალმა: მოვიდა შინა და ყელგამოჭრილი საქონელივით მოადინა ზღართანიო — აი, რომ არა ბღავის, რადგან უახყრატო აქვს გადაჭრილი და ყია ამოგდებული. მაგრამ ფეხებს იქნევს, იფხლიკება, ვინაიდან ჭერ კისრიბანდი არა აქვს გადამტვრეული და იფხლიკება, ფეხებს იქნევს.

ვანია არზუმანოვი რაზე იყო ჩამოსული? ყაჩაღობის საქმეზე. ის საქმე მოიმთავრა და ორიოდ დღეს კიდევ დარჩა, მიდი-მოდოდა, სოფელ-ქალაქში ტრიალებდა. ეხლა შენ ღვთის სამართალს უყურე: პირდაპირ გული დაგიფლილება, როგორი მიკერძოება სცოდნია ღმერთსა, ერთს რომ გველივით ელვისებურ ჭკუას აძლევს, მეორეს კი ხესავით უშნოსა და უმოძრაოს აჩენს, მილიციის უფროსს ამბავი მისდის, აზერბაიჯანელი ყაჩაღი ქოშაქარის მთაში იმალებაო. მილიციის უფროსი შეიარაღებული მილიციით მოდის, ამ ჩვენი სოფლებიდანაც თავისი ჭკუით კაი მეთოფეებს არჩევს და მთელი რაზმი მიდის ქოშაქარში, აზერბაიჯანელი ყაჩაღი ქოშაქარშია. გახედა მილიციის უფროსმა დურბინდში და დაინახა: მთის მოტიტვლებულ კალთაზე ცხვარია, ყაჩაღი კიდევ იქავე, მეცხვარესთან დამჯდარა და პურსა სჭამს. მოქაჩლებული ფერდობია, ღია კალთა, მილიციაც იმ ღია კალთაზეა, ყაჩაღიც ცხვართან ღია კალთაზეა, პურით ხელში გამოპყურებს ამათ და გასაქცევი გზა არსაითა აქვს. ცხილა, ცხვარი დამურავებულა, იარაღმოხსნილი ყაჩაღი საკმელს უზის. მილიციის უფროსი დურბინდს უშვებს, თოფს მხრიდან იხსნის და ყაჩაღს რომ ხელში პური უჭირავს, იმ პურის ზედ შუაგულში უმიზნებს. ბიჭები ეუბნებიან, არ ესროლოო, მილიციის უფროსი: — ეგ რათა, ვითომ რატომ არ უნდა ვესროლოო? ბიჭები ეუბნებიან, არ ვიცი, მაგრამ არ ესროლო, საფრთხილოაო. მილიციის უფროსი ეუბნებათ, რაკი თქვენ არ იცით — მე ვიცი, ამ გაშლილ კალთაზე ის ორიოდ კაცი ამდენ ხალხსა და ამდენ თოფს სად გაექცევაო. ბიჭები კიდევ ეუბნებიან, არ ესროლოო. მილიციის უფროსმა — ბუუხო, გაუბათქუნა და უყვირის: „დაგვნებდით, ამდენ თოფს ხომ ვერ...“ ყაჩაღი კი უკვე ცხვარში ცემულა, აზერბაიჯანელი ცემულა ცხვარში და ეგრე ცხვარშია. ცხვარშია, ცხვარის საფარქვეშ მიუდით ხელიდან, იმ ღია კალთაზე, იმ ჩექმაბრახუნების, იმ ბეტლუმების, იმ ჩანჩურების თვალწინ... ამბობდნენ, ღალატი იყოო, ხუთი ბიჭი ორმოცდაათ კაცს როგორაო... და საჩივარი საჩივარზე, საჩივარი საჩივარზე მიდის მოსკოვში, ერევანში, თბილისში, რასტოვში — არზუმანოვთან, რადგანაც შვილო, გენაცვალე, შენ იტყოდი, ტყვია რომ ცხვარს მოხვდეს და ცხვარი მოკლასო! ხბოს რომ მოხვდეს და ფეხი მოსტყდესო! მეცხვარეს რომ მოვეფარო და ტყვია მეცხვარეს მოხვდესო!.. მამაჩემი კი განცვიფრებული იყო აზერბაიჯანელის იმ გველისებური მყისიერობითა და გამჭრიახი ჭკუით.



არზუმანოვი ჩამოვიდა და გაარკვია, რომ ლალატი არ ყოფილა, იყო მარტო ტიტველა მთა, ცხვრის საფრად გამოყენების მიუხევედრელობა ამათი მხრივ და აზერბაიჯანელის გამჭრე გონება — ცხვარი რომ საფრად იფარა. ეგ არზერ-ბაიჯანელისა. ეხლა — არზუმანოვისა: ანთუ როდის მოვიდა, გადაცემული და აზერბაიჯანულ ენაზე თავისუფლად მოლაპარაკე ანთუ როდის „გაუბრებოდა“ ყაჩაღებს, ეგ არავინ იცის; ან რამდენ ხანს იყო ყაჩაღებში, ან ვინ ვინ ვინ ვინ ვინ კნეს. რეები არა... მაგრამ ერთ ღამეს, რომელმა ყაჩაღმაც ხელი იარაღისკენ წაიღო, ადგილზევე გააცივა, ვინც დანებდა, ისინი მაუზერის ხახამიბჯენილი წამოსხა და მანაცის ციხეში ჩაყარა. ჰოდა, მოსკოვში წასვლამდე ერთ-ორი დღით ადრე ჩამოვიდა, გაიარ-გამოიარა მშობლიურ ადგილებში. ხმადაბლა ლაპარაკობს, თითქოს სუსტი ხმა აქვს, ამბობენ. კლექისაგანა სჭირსო, მაგრამ, რისი კლექი, უბრალოდ, ხმას არ აუწევდა. სხვა ვინმე ყოფილიყო, ეტყოდო, რამეს გვეუბნები, გასაგებად გვითხარი, რამე გავიგოთო, მაგრამ ეს არზუმანო-ვია, ენას გაატოკებს და მაშინვე ქვაგდებიან. მამაჩემს ელაპარაკება, მამაჩემს ძალიან კარგადაც ესმის, მამაჩემს ბეჭებზე ოფლი ასხამს, მაგრამ მაინც ეკითხება: „რაო?“ და არზუმანოვიც ისევე ეუბნება: „ჩამონჩრობაზე, იშხან, ჩამონჩრობაზე გეუბნები“.

— ჰოდა, ცოტა ხმამალლა თქვი, ოჯახაშენებულო, ხალხმა გაიგოს, გაუხარდეს.

ამბობს და იცინის, მაგრამ გული საგულეში გასკდომაზე აქვს. დედინაცვალმა მითხრა, სულ ფეხებს იქნევდაო, იფხლიკებოდაო. ჩემი დედინაცვალი ლაპარაკში ცოტა წაიცეტებდა, სინამდვილეში კი ძალიან ჭკვიანი დედაკაცი იყო და, განსაკუთრებით, ძალიან ეშმაკი. მე რომ ის არ მიყვარს, ეგ იმიტომ, რომ ჩემთვის არაფერი ემეტებოდა, მაგრამ ქალი მაგით არ უნდა გაზომო. ჩემი დედინაცვალი მიდის და თოფს ადგილს უცვლის. ბოძის სამალავიდან იღებს და ბაგაში მალავს. მამაჩემი, — დედინაცვალი მიყვება, — თურმე შინიდან გამოვიდა, მიიხედ-მოიხედა, ვერავინ დაინახა და ჩავიდა. ნაბიჯიო, — მეუბნება, — უჩქამო ჰქონდა, როგორც მთვარეულსაო. სახლსა და გომს შუა ეზოში გაჩერდა, იყურება, ვერაფერს კი ვერა ხედავსო და, ეწევა თურმე, გომის ბნელი პირი თავისკენ ეზიდება მამაჩემს, ცხენიო, — დედინაცვალმა, — სულ აჯანკალდა. სულ ცხრო შეეკიდაო. დგას თურმე ჩემი დედინაცვალი, გაქვავებულა და ფიქრობს, ნეტა თივა თუ მივაყარე საკმაოდაო, ნეტა კარგად თუ დავმალე თოფიო. მამაჩემი გომიდან გამოდის, დგას გომსა და სახლშუა ეზოში, იყურება და ხედვით ვერაფერსა ხედავს. თოფი ვერ უპოვნია. და ჩემი დედინაცვალი სიკვდილსა ხედავს, ცხადლივა ხედავს სიკვდილს და ყურები უბყუის. ეწეოდაო, ჰო-ჰო, როგორ ეწეოდა და ეზიდებოდა გომის ბნელი ხახა იშხანსაო. ჩემი დედინაცვალი გასუსულა და თითებს იკვნეტს, ცხენს იქ ცხროება შეჰყრია, მამაჩემი გომსა და სახლშუა ეზოში დგას, თოფი ბოძის სამალავ ღრუში აღარ არის. ბაგის ძირშია დამალული და ეზიდება. ეწევა თავისკენ მამაჩემს, რომელიც ეზოს მდუმარებაში გალურსულა, სმენით არაფერი ესმის და ხედვით ვერაფერსა ხედავს, ჰამაზასპს მამაჩემი სწორედ ამგვარად ენახა სიზმარში. ჰამაზასპს თავისი ძმისათვის სხვანაირად მოეყოლნა, მაგრამ ახპატელს მამაჩემი სწორედ ასე მდგარი ენახა. იმისი გარდაცვლილი მამა, მეწისქვილე, მზიან მინდორზე მდგარი ხის ჩრდილიდან გამოდის და ჰამაზასპს ჩრდილისაკენ ექაჩება, წამია, პური ვჭამოთ, ერთადა ვჭამოთო... ამან იცის, რომ სიზმარშია, მამა მკვდა-



რი ჰყავს, არადა მკვდარი მამა ებლაუჭება, ჩრდილისაკენ მიათრევს. ეს არ მის-  
დევს, არ უნდა წასვლა, უარობს, არ მიჰყვება, მაგრამ მეწისქვილს ეჭაჭურე-  
ბა და მამაჩემი იშხანიც ჰამაზასპს ხელისკვრით უბიძგებს. წაჰყვებო მამაშენია,  
გეძახის და წადიო. თავისი მამა ჩასკიდებია, მძიმედ ეწევა ჩრდილისაკენ, ხო-  
ლო მამაჩემი უჭიმუნჯებს — მიდიო. ჩუმად უტურტურებს <sup>ჩრდილს</sup> ჰკრავს.  
ახპატელს მამაჩემი ეგრე რატომ უნდა ენახა სიზმარში? <sup>მამაჩემს რა ესაქმებ-</sup>  
ოდა მეწისქვილესთან? — არაფერი! მეწისქვილე მამაჩემს ხომ არ მოუკლავს,  
რომ მეწისქვილესთან ერთად მისძალებოდა იმის შვილს და ჩრდილისაკენ ები-  
ძგებინა, მიდი, მიდიო? ხომ გაირკვა, რომ მეწისქვილე რიცოანთ ბიჭებმა დაა-  
ხრჩეს და მეწისქვილის ჰამაზმა რიცოანთ არშაკა მტკვრისპირელ აზერბაიჯან-  
ელებს მოაკვლევინა. ეგ ხომ გაირკვა, მორჩა და გათავდა! ეხლა ისევ მამაჩე-  
მისა გითხრა: მამაჩემი და ახპატელები, მართალია, ერთმანეთის მოსისხლეები  
იყვნენ, იმათ შუა სისხლი იყო ჩამოვარდნილი, მაგრამ ის ამბავი ამ ამბიდან  
ათი-თხუთმეტი წლის წინ იყო მომხდარი და ეხლა ყველა ანგარიში ორივე  
მხრივ გასწორებული იყო. აღარც მამიდაჩემს ახსოვდა ეხლა თავისი ქმარი და  
აღარც მამაჩემს თავისი სიძე, იმის მიუხედავად, რომ ამხანაგები იყვნენ. ცოდ-  
ვა ვაგლახითა და ვალი გადახდითაო, მაგრამ ყველა თავისი ცოდვის ვაგლახი-  
თაო, მეწისქვილევ! მითუმეტეს, რომ შენ ვალის გადახდა არ გიყვარდა და ჩვე-  
ნი სიძის სისხლის საფასური მთავრობამ სხვისაგან ამოიღო, ე, საიდან სადა,  
ციმბირში; მაგრამ შენ შენი საფლავიდან ამოდიხარ, ჰამაზასპს შენს საფლავში  
მიათრევ, თანაც იმ არნაუტ იშხანს იშველიებ და ჩუმი ტურტურ-ჩუნდურით  
ეჭაჩებით ნათელიდან ჩრდილში. ცივ ოფლში გაღვრილი ჰამაზასპი ლოგინიდან  
დგება და სიზმარს ძმას უყვება ამნაირად, როგორც მე გითხარი, მაგრამ სინა-  
მდვილეში მას მამაჩემი უნდა ენახა სახლსა და გომს შუა, ჩვენს ეზოში — ქუ-  
რანა ბაჩაცხენი რომ ჩანავლულა და გაოფლიანებულა, ლობესთან მდგარი ჩემი  
დედინაცვალი თითებს, იკვნეტს, ხოლო მამაჩემი მდუმარე აჩრდილივით დგას  
ეზოში და ცხადად ხედავს ბაგაში დამალული თოფის ლანდი-მანდს. მამაჩემი  
დაიძრა თუ არა და ჩემმა დედინაცვალმა დაიწვილა თურმე. მეუბნება, რო-  
გორც მთვარეულმა გამოიღვიძოს, ისე უეცრად მოეგო გონსაო. „რა იყო, ქა-  
ლო? — მაშინდა შეამჩნია თურმე თავის გვერდით მდგარი ჩემი დედინაცვალი,  
— ამ ცხენს რა მოსვლია? ეს ცხენი რაზე გაოფლიანებულა?“

ეს იყო თურმე და, ამ დროს სიცილითა და ლაპარაკით მოდიან არზუმანო-  
ვები. ეტყობათ, კარგად შეზარხოშებულები არიან. თავიდან ფეხამდე შავ ტყა-  
ვში გამოკანკლულან, ერთიანად შრაშუნი და ჰრაქუნნი გაუდირ. ჩვენ სახლსა  
და ეზოს რომ მოატანეს, გაჩერდნენ. გაჩერდა არზუმანოვი და არზუმანიანებიც  
ირგვლივ შემოუდგნენ; იმათ უკან, მაგრამ ოდნავ მოშორებით, ჩვენი გვარეუ-  
ლობის სიძე და არზუმანოვების მასხარა, ყველას მასხარა, მუქთა ხაშლამისა  
და არყის ციმფია, იმ ჩვენი ვარდუას ქმარი — ასო, ასქანაზი დამდგარა? ახლო  
კი არა დგას, უკანა დგას, ცოტა მოშორებით. — ჰა, იშხან, — ეუბნება ვანია  
არზუმანოვი მამაჩემს. — მაშ, აღმასკომმა შენზე საგანგებო დადგენილება გა-  
მოიტანა და დაასკვნა, რომ პანტის ჩირი არა ხარ? — და არზუმანიანებიც იმ-  
გვარადვე, იმასავით — „ჰი-ჰი-ჰი“ — ცალყბად იცინიან. ესენი იცინიან და ის  
ჩვენა ვარდუას ქმარიც, ასქანაზი, საწყალ-საცოდავად იღრიჭება. მამაჩემს ილ-  
ლიაში სახრე უჭირავს, ხელში — პური, პირში გადაუყლაპავი ლუკმა უდევს და,  
კოპერატივის საქმეზე ვიყავი, ვანია, ეხლაც კოპერატივის საქმეზე მივდივარო.



ეუბნება არზუმანოვს. არზუმანიანები კი იცინიან და ეს ჩვენი ასოც იცინის. ჩემი დედინაცვალი თვალ-წარბით ანიშნებს ასოს, შენ რაღა გაცინებს შენ თავ-გასახმობო. შენ ქვეყნის მასხარავ. შენაო, და ერთერთ, ცოტად თუ ბევრად გაგებულ არზუმანიანსაც ანიშნებს, ეს ვანია როგორმე წაიყვანეთ და წადითო, მაგრამ ვის ეყურება?! — შენ რომ არ იყო, ეს კოპერატივი ნამდვილად დაექცევა, — ეუბნება ვანია არზუმანოვი და არზუმანიანებიც იცინიან. გულზე ლუკმადამდგარი მამაჩემი თვალპირს იბრუნებს: „პურსა ვჭამ, ვანია!“

ეს მე არ მინახავს. მაშინ შენი ნანარის ტოლა გოგო ვიყავი და რაღაც ძონძმანძგადაცმული ხარებს ვედექი წინა. ეს ჩემი დედანიცვლის მონაყოლია და ისიც მითხრა დედინაცვალმა, ძალიან ვინანე, თოფს რომ ადგილი გამოვუცვალეო. თავით ფეხამდე შავ ტყავში გამოწკეპილებმა შრაშუნ-ჭრაჭუნ-სიცილით წაიყვანეს თურმე არზუმანოვი მატარებელზე გასაცილებლად იმ თავის მოსკოვში თუ რასტოვში, დალიანდაგებულ ბამბურაში ამოლუნცული მამაჩემი კი პურის ლექვით გავიდა ეზოდან, მერე იმათ ტყავიან ზურგებს პური მიაფურსა თუ ილლიაში სახრეამოჩრილი მოვიდა ხარებთან. ეგ უკვე აღარ ვიცი, რადგან ყველაფრის დამსწრე ჩემი დედინაცვალი იყო, ამეებს ის მიყვებოდა და თოფის დამალვასაც ძალიან ნანობდა.

მამაჩემს ურმის წინა ვყავდი დაყენებული, ხელში წკებლა მეჭირა, ხარები ბალახსა სჭამდნენ, წინ თითო მუჭა ბალახი ეყარათ და დაღრეჭილი შემოდგომა იყო. მე შენი ნანარის ტოლა ვიყავი, ხეობაში ლამაზი მატარებელი მიდიოდა, ვიცოდი, რომ ვანია არზუმანოვი იყო ჩამოსული და ვფიქრობდი, ნეტავ ვანია არზუმანოვმა შორეულ მოსკოვში წამიყვანოს-მეთქი, იმის ცოლს ერთნელ ნანახი ვყავდი და მომეფერა კიდევ: „რა კარგი ბავშვია, ვანია, ობოლი კი ყოფილა!“ იმისი ცოლი უშვილო იყო, ბავშვი არა ჰყავდათ. თავზე ბებიჩემის შალი მეხვია, ილღიებში გარდიგარდმოდ ამოტარებული და ზურგზე წვერებშეკრული, ის შალი მინახავდა. მარტო იშხანი დაბრმავებულიყო, მარტო ის ვერა მხედავდა, რომ ობოლი ვიყავი, ფეხშველა ვიყავი და იმ ზინზლიან შემოდგომაზე მუხლები მიჩანდა. რას დამინახავდა, სადა ჰქონდა მოცლა, მუშაობდა. ერთი სიტყვით, ვარ ეგრე, ურემს ვუდგევარ. ჩემი ძმა მჭედელთანა ჰყავს შეგირდად მიბარებული, მე ხარებთანა ვყევარ დაყენებული, თვითონ კი მუშაობს, ტვირთავს, ქვას იღებს, ეზიდება, ხარებს ჰოვსილა გამოსკლიათ, იღრძვებიან. ეგ მერე, ციხეში მნახა, რომ ღიღილიპანა ვიყავი და იტირა, ციხეში პური რომ მიმქონდა, ციხიდან დამინახა იმ თოვლში ფეხშველა მოკავკავე და გული ამოუჯდა: ვაჰმეო! ციხეში მოხვედრამდე, რაღაც ორიოდე ოქრო ჰქონდა, ხან გომიდან იღებდა, ხის ქვეშა ფლავდა, ხან კიდევ ბალიდანაც იღებდა და ბუხრის ნახვრეტში ჩურთავდა.

ის ოქრო მართლა იმისი კი არ გეგონოთ, რას ამბობთ! თოვუზელი მეცხვარისა და ქოშაქარელი მენახირისა იყო და იმათია ეხლაც! იმისი მარტო ეს დალიანდაგებული ბამბურაა, ორი ხელი და ერთი აყროლებული პირი — დამდგარა, იგინება და როგორ იგინება! მუშაობს და როგორა მუშაობს! იგინება და როგორ... ის ანდრანიკია, მას უნდა ცხენი ეძვრინებინა ქოშაქარიდან თოვლში და თოვუზიდან ბორჩალოში, ის კი ჩატენეს კოპერატივის ბამბურაში და კოპერატივის ქვის ქვეშ ამოდეს... მუშაობს და ეხლა როგორა მუშაობს, იგინება და როგორ იგინება! იტყვი, საცაა გასკდებო. იმის ძირ-ქოქსა და იმის მკვდარ-ცოცხალს — არზუმანოვისა, რაღა! — სულ ერთმანეთში დგვლევს, იგი-



ნება და მუშაობს. შენიანები, შენი ეს აქაურები — მამაშენი, პაპაშენი, შენი ძმები — არ იგინებიან, მაგრამ შენიანებს ქვეყნისა რა ესმით, რომ რას შეაგინონ და ვის შეაგინონ. სცემ, ართმევ, კლავ — ხარივით უღრტვინველადა დგას. ან ვაბრაზდნენ, ან ერთი ქვას მაინც დასცენ ხელი, ან გულე ქუეფუდეფუ — არა! თუ გინდა, მოკალი, თუ გინდა, მოკერი — ხეა, რაღა! შეჩინებები არიან!

იმ ძარცვა-გლეჯის წელიწადს, იმ გახვლებილსა და ცივ შემოდგომაზე, როცა კაცს, თუ კაცი იყო და ხე არ იყო და პირუტყვი არ იყო, უნდა ვინმე აეკლო, რომ ზამთარში უზრუნველადა ყოფილიყო, იმ წელიწადს მამაშენი მწყემსად დაუყენეს საქონელს, მაგრამ არც მწყემსია და არც ათი-თორმეტი წლის ბიჭი — ხეა და სწორედ ხესავითაც იყურება: არც შედახება, არც ტირილი, არც გაქცევა, არც ხმა-კრინტი! ხესავით ჩარგულა და უყურებს, როგორ მიუდით იმათი საქონელი იმისივე თვალწინ. თან, ვის მიუდის, არ იკითხავ? თავზე, ბაშლიყმობეულ მამაჩემს, ხე, ბუჩქი, ქვა, ღვთის მონა! მამაჩემი ხედავს, რომ ბუჩქი კი არ არის, კაცია და მამაშენს ეუბნება: „მოზრდილი ბიჭი ხარ, რას დასობილხარ, მიშველე, რაღა!.. თურქები მოდიან!“ — ამოდენა ქვეყნიერების ამდენ ენასა და ამდენ სიტყვაში მამაჩემისათვის, რა, ტყუილი გამოწყდა?! — მაგრამ მამაშენი დგას და უყურებს, მუნჯია, ენაგადაყლაპული, ეს შიშია თუ სინდისი? ეს ამბავი როგორ დამთავრებულა იცი? საქონელში მამაჩემს თავისი დის, მანიშაკის კამეჩი უცვნია, პოდა თავი დაუნებებია მამაჩემს, დამდგარა და გადაუფურთხებია. დიდია თუ პატარა, ვინც არ უნდა იყოს, ეგეთი სისაცოდვე გაგონილა! ფუჰ! — „ვისი ხბო ხარ, ბიჭო?“ ვისი და, იმისი ხბოა, ვინც ათი წელი ჯარში ძმის მაგივრად იმსახურა, ვინც სახაზინო ბეგრის ურემს ხარად შეება ძმის მაგივრად; ვინც, კაცმა არ იცის, ვისი მოკლული აზერბაიჯანელის გულისთვის ოვანეს თუმანიანისაგან, მაგრამ თავისივე ნებით, გამძევლებული იყო ყაზახის აზერბაიჯანელებში და მძევლობიდან დაბრუნებულმაღა გაიგო იშხანის დის ქმრისა და ივივე თავისი ძმის აკოფას სიკვდილი; ვინც ობოლ-ობერ ძმისწულებზე და დაქვრივებულ რძალზე ზრუნვამ მოლალა, ის საზრუნავი ტვირთად აიკიდა და აღარც ჩამოეჩდება, რადგან ძალიან მოხერხებულადა აქვს მორგებული ქედზე... ეხლა ოსეფას ბიჭებისა — თავისი ძმისშვილების — დაოჯახება თქვი და მერეც რეები გადაჰხდება, რა ვიცი; თან კიდევ, თვითონაც გვიან დაინიშნა, რადგან თავისთვის არასდროსა ყოფილა, სულ სხვისთვის იყო და, კაცმა რომ თქვას, ან ცოლი რად უნდოდა. მაგისი ნაშიერი რა უნდა გამოვიდეს — სამღვთო ბატკანი! ოლედ ამოსული ხე! ბაღის საფრთხობელა! ჩიტებს თუ შეაშინებს, თორემ სხვა ვინ არის მოშიშარი? ბავშვებმა კუდი თუ მოსტაცეს — მოსტაცეს, თუ არ მოუტაცნიათ და მაშასადამე, ჯერ თავზე ადევს! მამიდაჩემს, მართალია, ქმრის მხრივ ბედი არა ჰქონდა: ერთი ქმარი იმ ურჯუკმა ახპატელებმა მოუკლეს, მეორე აქ, კალოობაზე ცხენმა მოუკლა წიხლით, მაგრამ იშხანი იქიდან იდავებოდა თავისი უბედური დისათვის, ავეტიქა კიდევ აქა ზრუნავდა დაქვრივებულ რძალზე და ობოლ ძმისწულებზე, იმათ შეშა-ბალახზე და ძროხა-გომზე, ავეტიქას ბიჭი — მამაშენი კი ძარცვა-გლეჯის იმ წელიწადს დამდგარა საქონელთან და უყურებს, როგორ მიუდით იმათი საქონელი იმისივე თვალწინ. „ვისი ხბო ხარ, ბიჭო? კაი ხბო ხარ, ჩემმა მზემ, გოგო რომ მყოლოდა, მოგათხოვებდი... ფუჰ!“ — არადა, მე უკვე ვიყავი, მე უკვე ვყავდი, სწორედ შენი ნანარის ტოლა ვიქნებოდი, ბებიაჩემის შალი მეხვია ილღიებქვეშ ჯვარედინად ამო-



ტარებულ და წვერებით ზურგს უკან შეკრული. იმ ქურუშიან შემოდგომაზე ის შალი მინახავდა. მამაჩემი ქვას უდებდა ხაჩერის ძველი სასაფლაოს დაბლა, მე ურმის წინ ვიდექი. ხეობაზე ლამაზი მატარებელი მიდიოდა ქალაქ ერევანში, ქალაქ მოსკოვში, ქალაქ თბილისში, ჩემი საყვარელი დედა იმ სასაფლაოზე იყო, ჩემი ტკბილი დედა მე არასოდეს არ მენახა და ტირილი მომტროს.

ჩემი დედინაცვალი ბუების ჯიშისა იყო. ერთს რომ მიკიოტივით შეაკვივლებოდა, სადღაც უეჭველად სისხლი უნდა დაღვრილიყო. ბალის კარებთან იდგა, მკითხა, მამაშენი სად არისო. ციოდა, ღამე ყინულსა ჰკიდებდა, მამაჩემმა შინ გამოგზავნა, მითხრა, შენ წადიო, თვითონ კი ხარები ხევში ჩასარეკად წაასხა, რომ ღამე თბილ ხევში ყოფილიყვნენ. დედინაცვალმა მითხრა, ცხენი დაფრთხაო. ცხენს უცებ, ეშმაკი სცემოდა თუ რა იყო, ეზოდან გავარდნილიყო და სიბნელეში გამჭრალიყო. დედინაცვალმა მითხრა: „მამაშენი მარტო რად გაუშვი? მოჰკლავენ მამაშენს!“ არზუმანიანთ ბიჭებმა თურმე ნასვამებმა ამოიარეს, გზაზე ჩემ დედინაცვალს შეხვდნენ, იცნეს და გაიცინეს: „არზუმანოვის მეორედ ჩამოსვლამდე შენი ჯმრის სიცოცხლე შენი ფეშქაში იყოს, დარბაზელო“, იხმარე და ამუშავე“. ჩემი დედინაცვალი კი ისეთ კილოზე, ვითომც არც არაფერს ეკითხებოდა, შეეკითხათ, ვანია გააცილეთო? ისინი ნასვამები იყვნენ, მატარებლის მოლოდინში სადგურის ბუფეტში ესვათ, უთხრეს: „გავაცილეთ, წავიდა ახალ ჩამოსვლამდეო“. დედინაცვალმა მითხრა, მომატყუეს, ვანია იმათშივე იყო. და კიდევ მითხრა დედინაცვალმა: „ვანია აქ არის. სოფელშია ვანია“. მერე დაუმატა: „მამაშენს მოჰკლავენ, ვანია სოფელშია“. მაგრამ მამაჩემი მოვიდა, მოვიდა ფეხუჩქამოდა და ხმაგაუღებლად იმ სიბნელეში მარტო ეგ იყო. ერთი მოგუდულად, მოკლედ ჩაახველა. დედინაცვალმა წყალზე გამგზავნა და რან გამაფრთხილა, იშხანთან ცხენზე არაფერი დაგცდესო. ვთქვამთ მე არ დამცდნოდა, მაგრამ ჯერ ისევ ბაღში ვიყავი, რომ მომესმა: „ეს ცხენი სად არის, დარბაზელო!“ „შენ გეუბნებიან, ცხენი სად არის?“ იქნება უთხრა, სხვას მივუცაო, ვათხოვეო, რა ვიცი, და: „სტყუი და ძალიანაც თავს ქვას ახლი, ვის ათხოვე?“

სინამ ჩემი ქურჭელი აივსებოდა, გავიხედე: ბიჭები შეჯგუფებულან, ფუს-ფუსებენ, ერთმანეთს ხელიდან რაღაცასა სტაცებენ, ვერა ვსაზრობ, რას აკეთებენ, რას არა და მეშინია... ერთი ფეხშველა ობოლი გოგო ვარ, ჩემი ზედსაცმელი ბებიჩემის ის შალია და მეტი არაფერი... ჰოდა, ერთიც ვნახოთ, ჯმუუო, და ცეცხლმოკიდებულმა კატამ ჩამიქროლა, თურმე იმ ბიჭებს ნავთი გადაუსხამთ და ცეცხლი მოუკიდებიათ. თვითონ ცეცხლი მოუკიდეს, აქეთ-იქით ეცნენ, მიიმალ-მოიმალნენ და ეხლა იმ ცივსა და ბნელ სოფელში მეღა ვარ და ის კატა: აწყდება საცოდავი აქეთ-იქით, ხან საით გავარდება, ხან საით გამოვარდება, გაურბის თავის თავს, მაგრამ სად წაუვა! ჯერ საყდრის მხარეს გაიქცა, სასაფლაოსკენ, წავიდა, დაიკარგა და ხელდახელვე, ალაფარდნილმა, წვა-წვითა და აღამიანისებური საზარელი ჯღავილით ჩამირბინა და გამცდა. ვის ზვინში შევარდი, სად დაიკარგა, სად გატრა, სად ჩაქრა, რა ვიცი?! ვარ ეგრე დაყრუებული, ვფიქრობ, უკვე ჩამჭრალი იქნება და ახლა ჰაცაა მოვა სულივით, მოჩვენებასავით თუ ალ-ეშმაკივით წამეგლუსუნება-მეთქი. ადგილზე გაქვავებულსა და ჩემივ თავში შემალულ-შეკუნჭულს, აღარ ვიცოდით რა მექნა, სინამ ერთი

1. დარბაზი — სოფლის სახელია (მთარგმ. შენიშე.)



სინათლიანი კარი. ბებიაჩემის სახლის კარი არ გაიღო და დარბაზელს მოყოლი-  
ლი ჩემი გერი ძმა გარეთ არ გამოვიდა. ვთქვი, კარგია, ერთად წაუბლოთ შინა-  
მეთქი, მაგრამ იმ ბიჭმა როგორც კი წყაროს მოაღწია, უცებ დაიბლაგლა და  
ევრე ბლავილით გაიქცა. გეგონება. ალი გამოუვარდაო. არაფერი, ისეთი არ მო-  
მხდარა, უბრალოდ შიშიმქრალა ბაღლი იყო, სიბნელეში სხვესი-<sup>სხვესი</sup>ბიჭის ქვაგონებისა  
შეეშინდა და იმიტომ ყვირილით გარბოდა სახლში. ყვიტლაპა. თვალეზგადმო-  
ყრილი, გააამხდარი!... ვეუბნები, ეგ რისი შეგეშინდა, რა, კატა გეცა ფეხებში-  
მეთქი? ის კიდევ სულს ძლივს ითქვამს და ტახტზე ფეხებს ქვეშ იკეცავს. დე-  
დინაცვალი მეუბნება, იცის ესმის რა რა არის და იმიტომაც ეშინიაო, იმას კი,  
სინამდვილეში. უცნობარ-უცოდინრად ეშინოდა ყველაფრისა. ჩემ დედინაცვა-  
ლს თავისი მოყვანილი მამ, სხვანაირად როგორ უნდა გაემართლებინა: „ესმის  
და ეშინია. შენ და შენ ძმას არაფერი არ გესმით და არც გეშინიათ!“ მე და ჩემ  
ძმას, არა, შიშის უფლება არა გვქონდა. ჩვენ თბლები ვიყავით, ჩვენს მანუგე-  
ნებელს, ჩვენი დაშაშრული ტუჩების წყლით მარწყულებელს, ჩვენი ობოლი  
თავების თავის ფუმფულა მკლავებზე დამძინებელს საფლავში ეძინა, იმ მყინავ,  
შიმშილიან ღამეში ჩვენი თავი უპატრონოდ დაეყარნა, თვითონ წასულიყო და  
სხვა რიდასი რა შიში უნდა გვქონოდა კიდევ?!

ჩემმა დედინაცვალმა თავის ბავშვს ერბოკვერცხი გაუკეთა, მე კი, ვითომ  
მე ბავშვი არ ვიყავი, კეთილი საცნაური მამცნო: „მამაშენი ცხენის მოსაძებნად  
წავიდა. მამაშენს მოჰკლავენ!“ „შენი ძმა რომ ადრე მოსულიყო, მამაშენს მოძ-  
ებნიდა. მამაშენს მოჰკლავენ არზუმანიანები“. ჩემი ძმა მანაცშია, მჭედლის შე-  
გირდია, ის მგელივით მშიერი არ მოვა, იმას სიბნელეში კატის მოჩვენება არ შე-  
აშინებს, ის გაუგებელია. შეუგნებელი — „მამაშენის მოსაძებნად გავგზავნი!“  
მაგრამ მაღლიდან ხომ ღმერთი იყურება, არა? იმის შეგნებულ შვილს საჭმელი  
ეზიზღა და გული აერია. „ჭი-ააა!“ ღმერთმა, ღმერთმა-მეთქი, ღმერთმა ჩაუგდო  
ის მატლი ერბოკვერცხში, რადგან კარვად დაინახა მშიერი ობოლიცა და ისიც,  
თუ როგორ არჩევდა დედინაცვალი გერსა და თავის ყვიციანს. ამასობაში ჩემი  
ძმაც მოვიდა, მოვიდა და სველი თიხის გუნდასავით მძიმედ დაჯდა. ზის და დალ-  
ლილობისაგან თვალეზი ეხუჭება. „რა გაზმუკუნებს, გოგო?“ — მე კი ვტირი იმ  
ცივ მიწაზე ჩემი შიშველა ფეხებისათვის, იმ ჩემი ყვიციანი, გაქნატული და  
მშიშარა ნახევარძმისათვის, იმ ღამეში კლდე-ღრეს ნაცემი არჯალი მამაჩემისა-  
თვის, სასაფლაოს ნათელდამდგარ დედაჩემისათვის და კიდევ იმისათვის, რომ  
ჩემი ძმა იმავე ერბოკვერცხსა სჭამს. რომელმაც ჩემ ნახევარძმას აწყინა. ჩემმა  
დედინაცვალმა ის ერბოკვერცხი დაუდგა წინა, ერბოკვერცხი კი არა, შხამი და-  
უდგა წინა, სჭამს თავისთვის, გულუბრიყვილოდ. ხოლო ის საცოდავი კნაჭა უყ-  
ურებს და ისევ გული ერევა, ისევ აღებინებს, მაგრამ რაღა უნდა ამოალებინ-  
ოს, როცა მუცელში აღარაფერი აქვს. მარტო ერთი ჩიტის გულიღა დარჩენია  
და შიშიამდგარი თვალეზი... მერე კიდევ ის მატირებს, რომ იმ საშინელ, გამ-  
თონავ ღამეში ის მოზელილ თიხასათვით მძიმე და ერთადერთი მკვიდრი ძმა  
მყავს. მამ, არ ვიტყვით? წყლან გარეთ სასიკვდილო ცანცანი ამიტყდა და უსა-  
სოობისაგან წივილიც კი არ დამცდენია, ეხლა ჩემი ძმა გვერდით მიზის და  
ვტირი, აი, რატომაც ვტირი!

უცბად ჩემმა დედინაცვალმა ხელები მიუხლებზე დაირტყა და დაიკრუნჩ-  
ხა: „სისხლი! სისხლი! სისხლი!“ არა, ევრე კი არა — თავიანთ დარბაზულ კი-  
ლოზე: „სისხნი, სისხნი, სისხნი!“ „სისხლი, სისხლი, სისხლიო“ და დადუმდა.



პირს დაჭრილი ფრინველივით უხმოდ ადებს და მუწავს. მაგრამ მე მესმის, რომ აძბობს. იშხანი მოკლეს, იშხანი მოკლესო. განა ეგეთი უგულობაც იქნება? — ჩემმა ძმამ ჩემი ნახევარძმა შეაშინა... ან რატომ ვეძახი იმ საწყალს ნახევარძმას! ჩემმა ძმამ ჩემი ძმა შეაშინა. ტოლები იყვნენ. მაგრამ ის — ერთი ბეწო. ერთი ციციკნა გულის პატრონი, ეს კი — სველი თიხის გუნდა; მტკუნ მტკუნ: „დედაშენს გულ-მუცელში ეშმაკი ჩაუძვრაო“, არადა, იმ საწყალს კიდევ მტკუნდოდა? ის ხომ ამ დამეულ სახლში სწორედ ეგეთ მოჩვენებებსა ხედავდა... აი, ეხლაც ეშმაკმა ხომ არ შეარხია კრაქის ალი?... კუთხე-კუთხე ხომ არ გაიძურწა. ჩუმად ხომ არ მიეპარა... და დარბაზელს გულ-მუცელში ჩაუძვრა?... იმ წამს რომ უცებ ერთი „ბაახ!“ გეთქვა, საწყალ ბიჭს სული ამოჰქრებოდა ამისათვისაც ღმერთია ქვეყანაზე და ღმერთმა იმ ბიჭს დედა დააყენა პატრონად იმისი დედა ჩემთვის იყო დედინაცვალი, თორემ იმისათვის დედა იყო, მისთვის უნდა ეპატრონნა. მისი შიში უნდა დაემალნა, მისთვის ჭერ კიდევ საცოლედ უნდა დაეწუნებინა ან მოეწონებინა. რძლისთვის ნაწნავეები უნდა ეწნა და თან ექო, რომ თავისი მორჩილი გაეხადნა... — ჩემთვის კი ბებიაჩემის ის შალიც კმაზე კმა იყო. რადგან ობლის ტყავი სქელია. ჰოდა, იმ შალითა ვდგევარ...

უცებ იშხანი:

— მოდი-მოდი-მოდი, მოდი, ასო, მე შენი შამქნელ-მშობელი... მოდი!

ჰო, მეორე დღეა. ან მეორე დღეა, ან ერთერთი იმ დღეთაგანი. ცხენი უკვე ებოვნა, მოეყვანა, დაება. ჩემი ძმა ისევ თავის საშეგირდოზე იყო წასული, ჩემი ნახევარძმა ბაღში იყო და ისევ ეშინოდა, ოღონდ, ეხლა იშხანისა ეშინოდა. დედის კალთაზე ხელჩავლებული არ დამინახოსო და დედასთან მისვლას ვეღარ ბედავდა; ჩემი დედინაცვალი ბაღის კარებთან ისევ „იშხანს მოჰკლავენ, იშხანს მოაკვლევინებენო“ — მოსთქვამდა, მე კი იმ დროს ხარებშებმულ ურემს ვედექი წინა და მაკანკალებდა, ხოლო ჩემი ტარტაროში მამა ურემს ქვას უღებდა, ტვირთავდა. ტვირთავდაო? — იწვოდა, იბუგებოდა — არზუმანოვმა დამწვარ-დაშანთული დატოვა და ეხლა. კაცმა არ იცოდა. ვის სახლს მისცემდა ცეცხლსა, რომელი უბედურის თავზე დაიჭუხებდა. რომელ გაგოროზებულს ალოკინებდა მიწას. უცებ ხელიდან ქვა გააგდო და ჭერ ისევ წალუნულმა ამოიბღუვლა:

— მოდი-მოდი-მოდი-მოდი, მოდი, ასო, მე შენი დედა... მოდი!

ერთიც ვნახოთ, მივიხედე და რასა ვხედავ: ორ ქვაჯვარს შუა თოფის ლულაა გამოყოფილი და ტოკავს, ყანყალებს, უფრო სწორედ, თახთახებს. არწივი რომ ტოტიდან აფრინდეს, ტოტი როგორც იმოძრავებს. იმ ორ ქვაჯვარს შუა. აი, იგრე მოძრაობს თოფი. ვინც არის და ვინც არა, ეგ არის, რომ გული საგულედან გაჰპარვია და თოფი ხელიდან უვარდება. თურმე ნუ იტყვი და, „მტვრიანი პაპას“ ასქანაზია. ჩვენი ვარდუას ქმარი.

— მოდი-მოდი-მოდი, მოდი... — და ისევე წალუნული დაიძრა მამაჩემი მისკენ.

— კარგ ადგილას კი ჩამჯდომიხარ, მესროლე, ასო, მესროლე, შენი დედა!.. მესროლე!

ასო დგას და თოფი უთახთახებს.

— მიდი, ასო, მიდი, ნუ გეშინია, მესროლე!

— იმ შენი გამომგზავნის დედა, ვინც შენზე იმედი დაამყარა! მიდი, ასო! თოფის ლულას წვერში წაავლო, გამოსწია. ქვაჯვარებს შუა გამოათრია



ის საწყალი, მერე თოფი კეტივით მოიქნია, ჰხეთქა კონდახი, ის ორი თავისოდენა სიმალლის კაცი დასცა ძირსა და — აჰა, დაჰკა, თოფით თუ ფეხით! თოფით თუ ფეხით! თან კიდევ ლანძღვითა და გინებით!.. „რაო, იშხანი, მორჩა, აღარ არის ამ ქვეყანაზე? იშხანი იმდენად დაჭიავდა, რომ?..“ — და გინებითა და ქალილით წავიდა სოფლისაკენ. დარბაზელისთვის ეთქვა: წადი, წაგზავნი ვინმე, წავიდნენ, თავიანთ ჩამღრძვალს მიეპატრონნენ, ჩაიღრძვება მხარულნი და სკოდონი რიან, ვანქერი იმისთანა მასხარას ვილას იშოვნისო.

მე არ მინახავს, მე ხარ-ურემს ვედექი წინა, ის საწყალი იქა კვნესოდა, აი, როგორც ჭირიანმა საქონელმა იკვნესოს, იშხანს ურმის თვლებისათვის საგორავები შეეწყო, ხარებს მიეწ-მოეწივნათ, გავიხედე, ქვეშ საგორავი ქვეები აღარ უწყვია, ურემი საცაა დაგორდება, ქვეშ მოიყოლებს ხარებსაცა და მეც ჩემი შალი ბედიანად, მაგრამ, რა ვქნა, გაქვავებული ვდგევარ ხარებწინ, ხეობას გადავხედე, ხეობაში მატარებელი ლალი კვილით მიდიოდა ქალაქ მოსკოვში და გული მეუბნებოდა, რომ არზუმანოვი არაფერ შუაში იყო იშხანთან და იმ საწყალ ასოსთან; გულისგულში ვინატრე, არზუმანოვს მოსკოვში თავის კეთილ ცოლთან წავეყვანე და ამ ურმისა და ხარების ხათაბალას მოვშორებოდი. მერე, როცა უკვე ჩემი ბინა-ყოფა მქონდა და ჩემმა დედინაცვალმა ნახა, რომ იმათ დამალულ ოქროზე არც თვალი მიჭირავს და არც არაფერში ვედავები, მაშინ მომიყვია ყველაფერს, მითხრა, მამაშენი აქეთ ეცა, იქით ეცა, მიაწყდა, მოაწყდა, იშფოთა და დაიძინაო, მაგრამო, მეუბნება, მგონი ერთი წუთი თუ არც მაგდენი უძინაო.

კიდევ მეუბნება:

— თქვა, „დიდი მეთოფე უპოვნიათ — ცალი ხელით შარვალი ეჭირა, ცალით კიდევანო...“ და ერთი წუთით ჩათვლიმა.

არა, ეგ ჩავლისას ეთქვა ასქანაზის დედისთვის, ვოსკისათვის — ერთი საწყალი დედაკაცი იყო, ვინა, ვინა და თუ ვინმე იყო, ერთი ის ამჩნევდა ჩემს დასიებულ ფეხებს, ჩემ სიობლეს, მაგრამ ის მე რას მიშველიდა, რისი მქონებელი იყო, თავისი დღე და მოსწრება პურსა სესხულობდა მეზობლებში, ხანდახან აძლევდნენ, ხანდახანაც — არა, რადგანაც სესხად უნდოდა, მაგრამ ის მათხოვრობა უფრო იყო, ან არადა, ვინ შესკამდა იმის გამომცხვარს! აი, ამ ვოსკისთვის გადაეძახნა მამაჩემს, როცა „მტვრიანი პაპას“ გომისკენ ჩაველო: „ხაჩერის სასაფლაოზეა, წადით, თქვენი მეთოფე წამოიყვანეთ; კაცო, ერთი ხელით თოფი ეჭირა, მეორით — შალვარი!“ ჩემი დედინაცვალი ამბობდა, თავი ერთი წუთით კი მიდო მუთაქაზე, ერთ წუთას წათვლიმა თუ არ წათვლიმა და ხელადვე გველნაკბენივით წამოვარდაო.

— აჰა! განდეგილის მღვიმე!

ჩემი დედინაცვალი მაშინვე გარეთ გავარდა ბებიაჩემთან.

— დედა-ჯან, ეგრე თქვა, „განდეგილის მღვიმეო“, ვაი, დედა-ჯან, „განდეგილის მღვიმეო!“

იმ განდეგილის მღვიმეში ჩემზეცა და ჩემ ძმაზეც გაცილებით ადრე დიდი ჯოცვა-ქლეტა მომხდარა და ხალხს მაგაზე ლაპარაკისა ეშინია; ვისაც ამაზე რამე სიტყვა დასცდენია, მოუკლავთ; ვინცა ლაპარაკობს, უეჭველად რაიმე უბედურებას, რაიმე ფათერაკს, რაიმე ავს უნდა გადაეყაროს. ბებიაჩემი ჩემ დედინაცვალს ეუბნება:



— თოფი არ დაუმალო, ჩვენი მტერი უპოვნია, ხელი არ შეუშალო ჩემს იშხანს!

როგორც რამე ჩვენება ნახო, მამაჩემს თვალი ერთი წუთით მიუღულავს და მართლა ჩვენებასავით უნახავს — ქვაზე ახპატელი ჩამომჯდარა და ყური მიუმაჩვენებია, აბა, თოფი როდის გავარდება და ახპატს გადუღდება იმხანა და მანაცის ხევის მღუმარებაში ექოდ მიმწყდარ-მომწყდარი ქუხილი როდის ამცნობს იშხანის სიცოცხლის დასასრულს. მტერიანაანთ ასქანაზისთვის თოფი მიუცია, გაუგზავნია. თვითონ ახპატიდან ჩამოსულა, განდევილის მღვიმესთან ქვაზე ჩამომჯდარა და გასროლას ელოდება. უცხვირპირო შემოდგომაა, რყები დაშიშვლებულან, შავი ყვავები დაფრინავენ, მთებზე თოვლი დაუდია, ხეები გაყუჩებულან — ვანქერში კბილით კაკალი რომ გატეხო, ახპატში გაიგონებ.

როცა ყველა იმ ამბებმა ჩაიარა და ამ ყველაფრის ცოდნის გამო ჩემს ობოლ თავს აღარაფერი ახალი საშიშროება აღარ ემუქრებოდა, თმას რომ მივარცხნიდა და მიწნავდა, მოთქმა-ტირლით ბებიაჩემმა მომიყვა ეს ამბავი. პაპაჩემი დიაკვანი ყოფილიყო. ბებიაჩემი დიაკვნის ცოლი იყო, სახლში წმინდა წიგნი ჰქონდა. ახპატში გათხოვილი თავისი ქალის, მანიშაკის დაქვრივებისა და დიაკვნის სიკვდილის შემდეგ ბებიაჩემი დაითალხა და შინ გამოიკეტა. უღრტვინველად ელოდებოდა სიკვდილის მოსვლას, მაგრამ დიდხანს იცოცხლა და რაც კი ამ მზიან ქვეყანაზე ხდებოდა, ყველაფრის ასავალ-დასავალი იცოდა — ვინ ვის ართმევდა, ვინ ვის ცოლთან დადიოდა, ვინ სად იჯდა ჩასაფრებული, ვისი საქონელი უნდა დაკლულიყო ან კიდევ სადმე უალაგო ალაგას ვის უნდა გამოსტყვერომოდა მოულოდნელი ტყვია. ჩვენს ახპატელ სიძეს, მამიდაჩემ მანიშაკის ქმარს... რა ერქვა?.. სახელი კი უთქვამთ. მაგრამ აღარ მახსოვს, ეს ჩემ ძმაზეც, ჩემზეც და ჩემი დედინაცვალის მოსვლამდეც ადრე ყოფილა, ცხონებული დედაჩემის მოყვანამდეც ადრე... ჰამაზასპის სახელი კარგად მახსოვს, მთელი ვანქერი, მერე აკნერი „დიდი ქვის“ გამდევარ შავ ნახნავეებზე რომ ვარბოდა და ახპატისაკენ გაჰყვიროდ

— ჰამაზასპ!.. ჰამაზასპ!.. ჰამზო!.. ჰამაზასპ!.. ჰამაზ!..

მე შებმულ ურემს ვედეჭი. ხელში წკებლა მეჭირა. თვლებს საგორავეები გამოსცლოდათ, იშხანის დატვირთული ურემი ხარებს დაღმართზე აწვებოდა. ხევისკენ უღრეცდა თავებს, ხარებს უკანა ფეხები გაებოძიძგებინათ და გაქვავებულნიყვნენ. ვფიქრობდი, იშხანი უეჭველად მომკლავს-მეთქი. გული მეუბნებოდა, წავსულიყავი. კითხვა-კითხვით მეპოვნა ის ადგილი, სადაც ჩემი ძმა შევირდობდა, ორივენი ხელიხელჩაკიდებულები წავსულიყავით, გადავკარგულიყავით, მოვშორებოდით ამ იშხანს. ამ ვანქერსა და ამ დედინაცვალს. ამასობაში ის საწყალი ასო იქა კვნესის; ერთიც ვნახოთ, წამოდგომა უნდა. გამოზაფხულის ჯანდავი საქონელივით წელში იწმანება, მაგრამ ვერა დგება, ისევ ეცემა. ბოლოს წამოჯდა, წამოჯდა და მიყურებს. მიყურებს. მიყურებს და... ვერა მხედაეს, ამბობს: „მაშ, ეს...“ თავისთვის ამბობს, რალა. მერე დაშინაზა.

— გოგო-ჯან?...  
 — გოგო-ჯან?...

მერე ატირდა, ბავშვივით აქვითინდა.

— მხედავ, რა მიყო მამაშენმა?

რა უყო? მაშ, სხვა რა უნდა ექნა?



— არც სირცხვილი იცის, არც შიში... — და ტირის, უნდა წამოდგეს, მაგრამ ნაფეხები სტკივა და ტირის.

შითხრა, თვლებს ქვეები ამოუწყეო, მაგრამ რა უნდა იყოს შენი ნანარის ამოდებული ქვა?! ისევე წამომჯდარი, ბალღივით ფორთხვა-ფორთხვით, ფორთხვა-ფორთხვით, წამოჯდომ-წადლაგებით, წამოჯდომ-წადლაგებით ნაწილი მოვიდა თვლებქვეშ ქვების ამოსაწყობად, თან საზიზღრად ტირის, ხსენებით ხვლიპინებს. ეგ კი არა და, მერე ხარებიც უნდა გამოუშვას, იმათ ღრუნჩებქვეშ წამომჯდარმა ჯერ უნდა აპეურების გამოხსნაზე იწვალოს, ათასი წვალებით ძლივს მოახერხოს იშხანის გამოშარტული აპეურების გამოხსნა და თან მღვიარე ცრემლი ყაროს, ეხლა ხარმა უნდა დააჩქლიროთოს ფეხი და ამაზე კიდევ უფრო უნდა იკვნესოს და იღმუვლოს. აი, ამიტომაც ვამბობ, რომ სინდისი მხეცშია კარგი, თორემ ჩანჩურა კაცის სინდისი წვინტლის დენაა და მეტი არაფერი.

მთელმა განქერმა იხუვლა და გარეთ მოიღო გრიალი, ისე გაცვივდნენ კისრისტეხით, როგორც შავი ნახნაგებიდან ერთბაშად ყვავების გუნდი წამოფრინდეს. „ჰამაზასპ! ჰამაზასპ! ჰამაზასპ!“ ჰენებით მოვარდა იშხანი, ცხენზე წახრილი და თითქმის ცხენის ყურში ჩამძვრალი, თვალით კი მჭკრეტელი, მაგრამ ირგვლივ ვერავისი ვერდამნახავი, გასცდა ყველას და წავიდა ისევე ცხენხეთქითა და მათრახის წრიალით. სიკვდილი ბრმააა, მარტო თავის ბეჭედდასმულსა ხედავს, ქვასავით ბრმად მიგორავს, ამას თავზე ახტება და იმასა ხვდება. იშხან, მხოლოდ განდევნილის მღვიმესა ხედავდა, მღვიმის გვერდით კიდევ ქვაზე მჯდარ ჰამაზს.

— ჰამაზასპ!.. ჰამაზასპ!.. ჰამაზოს გასძახეთ, გაიქცეს!.. ჰამაზ!..

ხალხი დამფრთხალი ნახირივით მირბის იმ ნახნაგებზე, ხალხი დაღალა კურდობამ, ღალატმა, მკვლელობამ — „ჰამაზასპ! ჰამაზასპიც დაღლილია, უნდა იშხანთან ანგარიში გაასწოროს და მერე უჩამიჩუმოდ იცხოვროს. აქნერში ამათი ძახილ-ძუხილი გაიგეს და ეხლა იქიდან გასძახიან ახპატში:

— ჰამაზოს უთხარით, გაიქცეს!.. ჰამაზასპ!.. ჰამაზასპ!..

მეც მინდა, წავიდე, გავძახო, გავიქცე... მაგრამ რა მინდა განდევნილის მღვიმეში?.. მე ობოლს რა დამრჩენია განდევნილის მღვიმეში?.. მაგრამ ის საწყალი იქ იტანჯება და ტირის, ხარების ღრუნჩებქვეშ კანკალებს და ტირის... იშხანს კი ის სულაც არ დაუნახავს, შეხედა, მაგრამ ვერ დაინახა, დაღუვდა და წავიდა. ხალხიც მას მიჰყვა: „ჰამაზასპს უთხარით... ჰამაზასპს!..“ არადა ჰამაზასპს უკვე უთხრეს, იმას თავის მამამაც უთხრა სიზმარში და ამაზე უფრო აღრე თვითონაც იცოდა, რომ ერთი დღეც იქნებოდა და იშხანი გამოეცხადებოდა, ისინი ორივენი ერთად მუშაობდნენ ჯერ რკინიგზის მშენებლობაზე, მერე თურქის ფრონტზეც ერთად იყვნენ, მერე კიდევ ქოშაქარში იყვნენ ერთად... და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთზე თვალი ეჭირათ, მამაჩემმა გაუგო ყველაფერი და იმანაც გაუგო გულის ღარღლი მამაჩემს, აქნერს გადაუმა და ახპატს გადმოღმა გორიწვერებზე ხალხი ისე შედგა, როგორც უეცრად წყალი დაწყვიტო და შეაგუბო — განდევნილის მღვიმიდან ჰამაზასპმა ესროლა, ქვეშ ცხენი გამოუკლა მამაჩემს და თოფმარჯვებული ყვირის: „იშხან, არ დაგზოგავ, ახლო არ მომიდგე!“ მამაჩემი, — დედინაცვალი მიყვება, — თურმე მდუმარე ქვასავით ჩაცურდა ხევში და როგორც არეულ სიზმარში მოგესმას საკვდილის მაცნე მიკიოტის გაფართქუნება, ისე უეცრად ამოჩნდა განდევნილის



მღვიმის თავზე. ჰამაზასპმა დაიბლაღლა და შეღმართ-შეღმართ გაიქცა. მირბის წაქცევ-ადგომით, წაქცევ-ადგომით და თავბირის მტვრევით.

ჰამაზასპმა ახპატისაკენ აიღო გეზი, იქით მირბის. ტერტერა ეკლესიაში ჩაიკეტა. კარები შიგნიდან დაგმანა. ეკლესიის კარისთავს ეხლაც ატყვიო მამა-ჩემის ნასროლი. ტერტერა შიგნიდან ეუბნება ჰამაზს: „შენ თუ გიშველია, ნუწვე დსელში — ოვანეს თუმანიანი, მეტი ვერავინ!“ მამაჩემი მიბრუნდა და ერთი ტყვიაც მეწისქვილის სახლს ესროლა — იქ ჰამაზის ძმას ცხრო მოჰკიდა. მაგრამ ის ძმა უბრალო იყო ამ ამბავში, რადგან ერთი ოჯახიდან გამოსულებში ღმერთი ერთ ძმას თუ ამკლებლად გააჩენს, მეორეს უმანკო კრავადა ჰბადებს. ეს ამბები ბებიაჩემმა კარგად იცოდა, დიაკვნის ცოლი იყო, შინ წმინდა წიგნი ჰქონდა. ჰოდა, იმას ეთქვა ჩემი დედინაცვლისთვის: „ჩემს იშხანს ჩვენი მტერი უპოვნია და ჩემი შვილი არ დააბრკოლოო“.

მამიდაჩემი მანიშაკი ახპატში იყო გათხოვილი, მაშინ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის პატარძალი ყოფილა, გვერდით პირმშო სწოლია და წევს. სძინავს თურმე. იმისი ქმარი — სახელი კი არ მაგონდება — ერთი მიაამიტი, გულლია და ხალისიანი ბიჭი ყოფილა, დილა-სისხამზე ხევში ჩასულა წისქვილის ახლო ფერდობზე ნიგვზის დასაბღერტად. ვანქერში და ახპატში კაკალს ვეძახით, იმ დილა-ობაზე კაკლის დასაბღერტად ჩასულა, ცოლი კი მერე ჩავიდოდა ხელში აყვანილი ბაღლით. ბაღლი მოქუჩებულ კაკალში ითამაშებდა, ისინი კი აკრეფავდნენ. ცოლი მიდის და რასა ხედავს: ქმარი კაკალქვეშა გდია მკვდარი, სისხლში მოსვრილი. ქმრის მხრივ უბედური დედაკაცი იყო მამიდაჩემი მანიშაკი, აქაური ქმარიც — პაპაშენის ძმა, აკოფა, ცხენმა მოუკლა იმ ძველებურ მხიარულებაში, სექტემბრის იმ მოკისკისე კალოზე. აბა! — მთელ ქვეყანაზე მოლხინარი ხალხი და ჩვენ კიდევ — გლოვა და თალხი!

რა მომხდარა თურმე! ასულა ხეზე, გასულა ტოტზე და ჩამომჯდარა, აი, ეხლა შეაქანებს და წამოვა კაკალი ჩხრიალით. ხევში ლამაზი და შრიალა შე-მოდგომია. თვითონ ისა, ამბობენ, ერთი თხელთმიანი, ცისფერთვალა ბიჭი ყოფილა. ხუმარა და, ცოტა არ იყოს, მხდალი. ენამრავალი და მოცინარ-მოხუმარი ხომ ყველა მხდალია, ეშინიათ დარწმუნებული კილოთი არაფერი წამოსცდეთ ან წყენა რაიმე გამოხატონ ან დარბაისლად ეჩვენონ ხალხსა. აქაოდა, ვაითუ სხვა რამეში ჩამოგვართვან, ვაითუ ვისმე არ მოვეწონოთო. ჰოდა, იმას ვამბობდი: ის არის კაკალი უნდა დაარხიოს და რას ხედავს — მოპირდაპირე ფერდობზე კაზაკები ქვა-და-ქვა, ჯაგ-და-ჯაგ პარებით განდეგილის გამოქვაბულს ალყას არტყამენ. ხევის გზაზე, წისქვილთან ფურგონი დგას. ფურგონთან ხიშტიანი რუსის კაზაკი, გამოქვაბულს სავანის დაბლა ბილიკზე მეწისქვილე და იმისი ბიჭი ჰამაზასპი, კაზაკების რაზმი კი ქვა-და-ქვა, ჯაგ-და-ჯაგ, მთელი ფერდობის გარემოსწვრივ ალყაში აქცევს განდეგილის მღვიმეს. ჰეე, იქ ძველი წიგნები აღმოაჩინეს და კიდევ რეები არ იქნებოდა, რეები არა! კაზაკმა თავის რუსეთში რა იცის, განდეგილის მღვიმე რა არის? ეგ — მეწისქვილემ და ჰამაზასპმა მოიყვანეს ისინი და ამათი ადგილი უჩვენეს, თვითონ გვერდზე გადგნენ და ბილიკიდან გამოჰყურებენ, აბა, კაზაკები როგორ ამოწყვეტენ წითელ ბიჭებს. ბიჭებმა ესროლეს თუ არ ესროლეს, ეგ არ ვიცი, მაგრამ ოფიცერმა შიშისაგან მაინც ხელყუმბარა გადაისროლა შიგა. შეიძლება შიშისაგან, შეიძლება — სიბოროტისაგან, რომ, ვინ იცის, თავისით დანებებოდნენ და იძულებული არ გამხდარიყო, ტყვედ წამოესხა — ხელყუმბარა შეუვდოთ შიგა. ხელადვე



მეორე ხელყუმბარაც მიაყოლა. ცოტა მოიცადა და კიდევ ერთიც ჩაუგდო. მეორე შევიდნენ შიგ. იბოვეს, აანთეს სანთელი და სანთლის შუქზე ხედავენ: ვინ კვხესის, ვინ — გაბრუებულა, ვინ — ყუმბარის გაზით დამხრჩველა, ვინ — სისხლად იცლება; ერთი სიტყვით, ყველანი ამოყლიტეს. მეორე ოფიცერმა განკარგულება გასცა, ჯარისკაცებმა წაათრიეს ცხედრები, ფურცლები ჩაყარეს და წავიდნენ. წაიღეს ყველანი, წავიდნენ და ეხლა მდუმარე ხეობადაა, გეგონება, ყველაფერი სიზმარში მომხდარიყოს, მეწისქვილე და ჰამაზასპი შემობრუნდნენ და რას ხედავენ: ის ჩვენი ქერა სიძე ხეზე ზის და გამტკნარებული ჩამოპყურებთ. მიდიან, ატყუებენ, ჩამოპყავთ ხიდან, რას ელაპარაკებიან, რას არა, რა ვიცი, და ქვას არტყამენ თავში. მორჩა და გათავდა. ეხლა უკვე ის ჭრელი ხევილაა, ის წისქვილი და კაკალქვეშ კიდევ სისხლში ამოთართლული იმის ქმარი.

„ვინა ხარ, გოგო, ეგ ვინ ჩამოვარდნილა ხიდან?“ — ხევიდან, წისქვილის კარებიდან ეკითხება ჰამაზასპი, ვითომ თვითონ არ იცის, წელან ვინ მოკლა და ან ის თოთობავშვიანი ვინ არის, ვისაც ეხლა ელდისაგან ენა წართმევია. „ეს ბიჭი იუ ამ ხეზე ავიდა, დაბლერტილი კაკალი სადღაა, თუ ხეზე არ ასულა და, მაშ ხის ქვეშ რათა გდია?“ — ეს უკვე იშხანი ეკითხება თავის თავს და გაპყურებს ხევის წისქვილს განდევილის მღვიმესა და ხეობის გზას, სადაც კახაკების ფურგონი იდგა.

ბებიაჩემს ჩემი დედინაცვლისთვის ეთქვა:

— არავითარი არზუმანოვი და არავითარი ასო! ჰამაზასპი მიმხვდარა, რომ მეწისქვილე იშხანის მოკლულია, წადი, თოფი გამოუტანე!

— მაშ, რიცოანთ არშაკა რომ აზერბაიჯანელებს მოაკვლევინა ჰამაზასპმა?.. მაშ მეწისქვილე რიცოანთ არშაკას მოკლული არ იყო? — ეს ჩემი დედინაცვალი დაბნეულა.

— ეგ რათა? მეწისქვილემ და იმისმა ჰამაზასპმა რიცოანთ ვინ მოუკლეს, რომ რიცოანთ კიდევ მეწისქვილე მოეკლათ? იშხანმა, იშხანმა მოკლა! იმათ იშხანისა ჰმართებთ და იშხანს — იმათი!

ერთი საპალნე ხორბლისა თუ საფერხე ცხენისა თუ სომეხთა ელექტის რომელ წელს იყო, რიცოანთ არშაკა ბორჩალოელმა აზერბაიჯანელებმა მოკლეს. ჰამაზასპი არშაკას მკვლელობასთან არაფერ შუაშია, ეგ იშხანის მისაძინებლად, იშხანის მოსატყუებლად ჩარია ჰამაზასპმა თავისი თავი მაგ ამბავში. შენი მოტყუებულისა რა ვთქვი მე, ახპატელო! კაცია, რომ ცხვარია, მაგრამ კაცი კაციც არის და კაცი ცხვრისაგან უნდა გაარჩიო!

იმ აჯამ ახპატში, იმ არნაუტებში შებრუნდა მამაჩემი და ერთიც მეწისქვილის სახლს ესროლა. ჰამაზის ძმა შიშისაგან ტახტის ქვეშ ეცა თურმე. ლაჩარი! ძაბუნნი! რაღა ბაჭია და რაღა ისა!.. იშხანისაც ეშინია, ძმისაც ეშინია!.. ტახტის ქვეშიდან აღარ გამოდის... ეუბნებიან, არწმუნებენ, ექაჩებიან — გაქვავებულა და არ გამოდის, ეშინია, არ გამოიყვანონ და არ მოკლან. ბებიაჩემი იმის გულდევლობაზე კიდევ ცალკე ტიროდა. ბებიაჩემი თმას მიწნავდა და მოთქმითა ტიროდა იმ საწყალ ბიჭზე, რომელსაც ისეთი არაფერი ჩაედინა, რომ სიკვდილის ღირსი ყოფილიყო, მისი დანაშაული მარტო ის იყო, რომ შემთხვევით ხეზე მკვლარიყო და ხეზე მჯდარს დაენახა თუ რა ცოდვა აიკიდეს მეწისქვილემ და მისმა ჰამაზომ... და იმათზე მოსთქვამდა კიდევ, იმ მუშელ, იმ თბილისელ, იმ ყარაბაღელ და, კიდევ რა ვიცი, რომელი კუთხის სომეხ ბიჭებზე, მილიციის შენობის



წინ უპატრონოდ რომ იყვნენ დაყრილები და იმოდენა დამუნჯებულ ხალხში არც მოტირალი ჰყავდათ ვინმე და არც დამსაფლავებელი... ეგ კი არა და, ბებიაჩემი იმ საწყალი ჰამაზის გულისთვისაც ტიროდა, რომელსაც ბოლოვისა არ იყო, ბეტისმეტი შენაწოვარი რომ არ შეერგება და გაიხლიჩება, აი, იმ ბოლოვივით მეტის ჰამა მოსვლოდა და ეხლა უკან აღებინებდა, იშხანის წინ მინარბენს ტირობებს აღებინებდა, ასე ლებინ-ლებინებით მიქასქასებდა და იმ ქვა-ლორღიან ხათინ-დალის მთაში მისთვის ერთი ქვაც არ აღმოჩნდა. იმას მოჰფარებოდა ან მაწა გამსკდარიყო და ჩაეტანა, რათა თვალები მაგრად დაეხუჭნა. ყურები დაეგმანა და აღარ გაეგონა ზურგს უკან იშხანის ბრაგაბრუგი... კიდევ იმისთვისაც ტიროდა, რომ იშხანის ცხენი სამი დღე და ღამე სისხლისაგან ცლილიყო, ტურა-ფოცხვრებში მკვნესარსა და მხვნეშარს სამი დღე-ღამე ეცოდვილნა. აკნერელებს კი იშხანის შიშით ვერ შეეებდნათ მოეკლათ და ცხენი საშინელი სულის ხდომისაგან მოერჩინათ... ტირილით მოსთქვამდა იმაზეც, რომ ჰამაზის დედა ყელგადაგდებული წინ გადასდგომოდა იშხანს: იშხან-ჯან, ეს სამი დღეა, ჰამაზი შენი იყო, ჩემს ბაღს ეხლაც აღარ მაძლევ, რომ დავიტურო მაშ. ჩემი ბაღი ეხლაც აღარ მეკუთვნის ჩემადო“ და დედის სიაფთრით აჰფოფროდა მამაჩემს — სისხლისმსმელოო!.. იმაზეც, რომ ჰამაზის ბოლო ამოოხვრა ესა ყოფილა: „ოჰ, ბიჭო, მიწა რა დამსუბუქდაო!..“ იმაზეც, რომ სასაფლაოსთან ჩვენს ხარებს შესაბამელად ეცადნათ ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე, მერე ქოშაქარიდან მოყვანილ ჩვენს ხარს ჩვენი ძველი ხარი შეეგულიანებინა, ამათთან რა დაგრჩენია, წამოდი, ერთი კაი ალაგას წაგიყვანო. აეყოლიებინა, წაეყვანა, გადაეტარებინა მთები, ველები და თავისუფალ ქოშაქარის მთაში მიეყვანა. იშხანმა თქვაო, — ბებიაჩემი მეუბნება, — თბილ ხევში წამოყრილიყვნენ, მშვიდად იცოხნებოდნენო; რომ დამინახეს, თავები მოაბრუნეს და მშვიდადვე დამიწყეს ყურებაო. ამ ყველაფერსა და ჩემს ობოლ თავს დასტიროდა ბებიაჩემი და მოთქმით მიყვებოდა და როგორც წმინდა წიგნში ამოიკითხო, ისე მითხრა: „ჩემ შვილს ჩემი მტერი უპოვნია, ხელი არ შეუშალო ჩემ შვილს!“

მოხვდა თუ არა საყდრის კედელს მამაჩემის ტყვია, ტერტერა შიგნიდან ეუბნება ჰამაზასპს: „შენ მარტო ოვანეს თუმანიანი თულა გადაგარჩენს!“ ტო, შე თავმიწასქვეშამოსაფარებელო, ოვანეს თუმანიანი რა, იქ ამოსული მარადიული ხეა თუ ქვაჯვარი, რომ თქვენ მაგ თქვენი მოცლილი გოგრებით დღემუდამ ათას მამაძაღლობაზე იფიქროთ, ერთმანეთს მიემძლავროთ, ერთმანეთს ულატოთ და როგორც კი სხვისი თოფის ლულა ზედ თვალწინ აგებზინდებათ, ვაიქცეთ და ოვანეს თუმანიანს ამოეფაროთ? ოვანეს თუმანიანი რა, საყდარია, გვლესიაა? ოვანეს თუმანიანი პოეტია, ისა და იშხანი ორივე ჩობანიანების შვილიწვილები არიან. ჩობანიანები იშხანისა და ოვანესის პაპები არიან, ჩობანიანთ ბიჭები იშხანის დედისძმები და დედისძმისშვილები არიან. ოვანეს თუმანიანი თავისი სომხური ახოვანებით, თავისი მაღალი ტანით გადაუდგება იშხანს წინა და: „კარგი, იშხან, რაც იყო, იყო, გეყოფაო?“ ოვანეს თუმანიანი თქვენი უბამსობებით გასენილა. თქვენგან მიყენებული ტკივილებით მოკრუნჩხულა და ერთ მუჭა ძვალ-ტყავად ქცეული შორეულ რუსეთში სულზეა მიმდგარი. იმათ ოხელ ადიელაში სული ამოსდის. ამბობენ, რუსებს საბნები არა აქვთ, მათი საბანიო, ამბობენ, მარტო ადიელა და სამხედრო შინელიაო.

თქვენი ავ-ბოროტით ნატკივარი თუმანიანი რუსეთში კვდება. მაგრამ შენები ღომ აქ არიან, ეს შენიანები: შენი პაპა და იგივე ჩემი მამამთილი ავეტიქა,



იშინა ძმა ესაია. მეორე ძმა არუთინა, აკოფას ხომ ცხენმა ჰკრა წიხლი, ოსეფა კიდევ ბინდორში ვაცივდა, მოვიდა და მოკვდა; ესაია წყალმა წილო, ავეტიქა — სიბერემ: თქვენებს ერთი გმირული. ერთი წითლად მოღალდა, ერთი ზარ-მოზრიალუ სიკვდილი არავის ღირსებია... და ყველას თავდამწყები — ამათი მამა ოჰანესა — ას. რა ვიცი, რამდენი წლისა! ხეებივით ვარდნიან, ხეებივით ზეზუ-ულად იფიტებიან. ქვეყნის ავ-კარგი ამათ არ იციან, ხესავით, ბუჩქივით, კიდევ რა ვთქვა — გამწევი საქონელივით, თუნდა, რა ვიცი, ბალახივით არიან, კეთილ-ბოროტი მაგათთვის არ არის. ვისი უღელიც არ უნდა იყოს, კისერზე ეგენი იდ-გამენ, კი. კი! ვინც ვინ მცხობელი და — პური ეგენი! ვისიც სად უღელი და, კისერი — მაგათი! ვინც რომელი ცულიანი, ხეები — ეგენი! გაგონილა?!..

ჩობანიანთ ბიჭები ესვრიან და უსტვენენ, ეს დამფრთხალი ნადირივით მიშლივინებს პირდაპირ თქვენებიანთ ხევისაკენ. დარბაზიდან კიდევ ჩემი დე-ლინაცვლის ძმები ესვრიან. მთის ერთი კალთიდან მეორე კალთაზე უსტვენენ და დაპკვიან — ეს თქვენი ჩრდილოვანისაკენ მირბის. დსელის ტერტერას უთ-ქვამს: „ქოშაქარისაკენ გაიქეცი, ტყიანი ადგილია, ან გადარჩები ან მგელი შე-გკამსო“.

„ტყიანი ადგილია, თუ დაგმაღავს, ისევ ქოშაქარი დაგმაღავსო“, ხოლო თუ იმ ტყე-ულრანმა ვერ გიშველა, ავეტიქას ცხვარი გიშველისო. განა თუ ავე-ტიქა ცხვარბევრი კაცია. იმის ცხვარს შეერევი და დაიმალებიო. არა! თვითონ ავეტიქაიანთები არიან ცხვრები, ავეტიქას ცხვარს შეერიეო. კალთებზე ობლებ-ჩაბლაუჭებული ჩემი ქვრივი მამიდა მანიშაკიც გამოვა და იშხანს შეევედრება: „რაც იყო, იყო, იშხანჯან, მე დამავიწყდა და ბარემ შენც დაივიწყე!“ მერე პაპაშენი ავეტიქაც გამოვა, ყელგადაგდებული მამაჩემს დაეღრიჯება და სათქ-მელ-სახვეწარ ერთ სიტყვასაც ვერ ამოაგნებს, რადგან ფუტკრისაგან თუ ხის-გან თუ ხელეჩოსგან თუ ხარისაგან აბა, რა ადამიანური ენა უნდა ესწავლა, რომ რა ვთქვა! ეხლა კიდევ შენი პაპა ესაია! მერე კიდევ — შენი პაპა არუთი-ნა! მერე კიდევ — ამათი მამა ოჰანესა — ბერფუცი, უშტარი — ცეცებ-კეკებით, კნასი-კნუსით გამორატრატდება: „ეგ რა ამბავია, ავეტიქ, კარგად ვერა ვხე-დავ!“ ეგენი ხო და, ეხლა კიდევ ის ფიჩხის ნერგი მამაშენი — მთელი ფარა ცხვარი, რაღა! ბიჭი ხარ და ამათში თოფი იხმარე!

რათა? რისთვის? რისი გულისთვის?... ამდენი პატიება, პატიება, პატიება, დავიწყება, პატიება, პატიება და ამდენი ბოროტება! ვინ არის დამნაშავე? ეინა და შენა, ჩემო შვილო, ჩემო იმედო, ჩემო სატანჯველო და ჩემო საწუხარო, და-მნაშავე შენა ხარ!

„ჰჰჰაიტ, შენი!..“ — მამაჩემი ტყის გზას უჭრის, რომ ჰამაზი ტყეში არ შე-უვარდეს და ტყე-ტყე, ტყე-ტყე იმათთან ერთად იმალლაურებს. ის კიდევ მოპი-რდაპირე კალთის ტიტველა ფერდობზე გარბის, მდინარის აღმა და მალლა-მა-ლლა. დარბაზის ბაღების თავში არ არის, რომ ხევი ვიწროვდება? ხევის შვეიწ-როვებასთან ერთად მამაჩემი და ის რომ ერთმანეთს უახლოვდებიან, სწორედ იმ ადგილას, ბაღების თავიდან, მამაჩემი ერთს დაუსტვენს და ესვრის, „ორწყა-როს“ ახლოდან ესვრის და ჰამაზასპს უკან აბრუნებს. მამაჩემს უნდა, რომ დევ-ნოს ეგრე, არბენინოს და უკანვე განდევილის მღვიმეში მიჩიხოს, მაგრამ „ნაწავების“ მალლიდან ჩობანიანთ მელორე ესვრის და ჰკლავს დარბაზის წის-ქველებთან. მამაჩემს თურმე თოფით იმისი მოკვლა არა სდომებია. ამბობენ, იშხანს უნდოდა იმდენი ერბენინებინა, სირბილით გაეხეთქნათ. საქონელი რომ



იშხამება ან კაცს რომ გველი უკბენს, იმდენს არბენინებენ. სანამ ქანკი/არ გა-  
უსწკდება, მაგრამ ოფლს შხამიც გამოსდევს და კაცი თავისუფლოდ, მსუბუქად  
გრძნობს თავს, როგორც სიზმარში ფრენისას არის ხოლმე... მაგრამ ჩვენი დე-  
დისძმების მელორემ „ნაზვავეების“ თავიდან ესროლა თურმე და ჩვენი მთავრის  
ზის წისქვილებთან. ჩობანიანთ ცისფერთვალა ბიჭები თურმე იცინიან და მა-  
მაჩემს ეუბნებიან: „რა ვქნათ, ცოდო იყო, სულ შიშითა და გულისხეთქვით  
როდემდე უნდა ყოფილიყო“.

ეხლა ისა ვთქვათ, მამაჩემი რომ მოიხარა: მოიბლუნძა და ბორცვად იქცა...  
ბორცვის, ქვის, კუხდის, ლობის მაგივრობა რომ გაუწია არზუმანიანთ რუბენას  
და უთხრა: „ფეხი შემაღგი და შეახტო“. რუბენა კი მძიმე ვაჟკაცი იყო, იმისი  
ნაპეზ-ნაპატივეები სხეული ცხენს ძლივს დაჰქონდა. აბა, ის რომელი შემხტო-  
მი იყო, მაგრამ პაპაშენი დაიხარა. თავისი თავი ქვა-ლოდივით მიუმარჯვა, რათა  
იმას ერთი ფეხიც შეედგა: მეორეც, უნაგირს მოჭიდებულს ჯერ ეწვალნა, ეწვა-  
ლნა პაპაშენის ზურგზე და რის ვაინაჩრობით ცხენზე შემჯდარიყო, რადგან იშ-  
ხანის ხელ-მუხლის სიმაღლიდან უჭირდა ამხედრება. ეს უკვე შენ გინახავს და  
შენ მომიყევი. შენ ეს იშხანი გინახავს, ეს იშხანი დაგმახსოვრებია. რუბენას  
ტვირთი მძიმეა... შვილო, ეპ, შვილო... მაგრამ ის მამაჩემია, მამაჩემი. პო. კი,  
მოიხრებოდა, ზურგს ქვასავით მიუმარჯვებდა და ეტყოდა: „მიდი, მიდი, მიდი...  
მიდა, კაცო, ფეხი დამაღგი და შეახტო!“ ცხოვრებაა, შვილო, რას იზამ, ეგრეა  
ცხოვრება. მე მამაჩემს არ ვიცავ, მე იმისგან არაფერი ხეირი არ მახსოვს, ციხე-  
ში ფეხშველა რომ დამინახა და წამოსკრემლა. ფეხსაცმელი იმის შემდეგაც კი  
არ უყიდნია ჩემთვის; მამაჩემისაგან ჩემი ხეირი ის იქნებოდა. შენც რომ იმისი  
აზავთებული და შურმაძივარი სისხლი გამოგყოლოდა, მაგრამ ეგეც არ გამოვი-  
და!.. ერთს მაინც კიდევ ვეტყვი: ის კი კარგია, რომ შენიანები; შენი ეს აქაუ-  
რები, არც იღუნებიან, არც იმართებიან და არც ცხოვრება რომ ჰქვია, იმითა  
ცხოვრობენ? ზეზეულად მძინარენი, კეთილნი, დუნენი — არიან თავისთვის, თუ  
მოსჭერი — მოსჭერი, თუ არ მოგიჭრია და — ჯერ ხომ ფეხზეა! ქუდი თუ მო-  
სტაცე — მოსტაცე, არ მოგიტაცნია და, ჯერ ხომ თავზე ადევს!



Handwritten notes and signatures in Georgian script, including names like 'მ. ნოზი' and 'მ. ბორცვალი'.



# ეუჩენიო მონტალე

## ლექსები



იტალიურიდან თარგმნა ნაზი ჭაღიაძე

თანამედროვე იტალიური ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი ეუჩენიო მონტალე არის ცნობილი ლატერატურული მიმდინარეობის — ე. წ. „პერმეტეიკოსთა სკოლის“ დამაარსებელი და თავკაცი. ეს ლიტერატურული სკოლა ჩამოყალიბდა ფაშიზმთან ბრძოლის წლებში.

პერმეტეიკოსებმა უარყვეს რიტორიკული ენარი, დაიწყეს ლექსის ახალი რიტმისა და მეტრის ძიება, ახალი პოეტური ლექსიკით გამდიდრება, ძველი პოეტური ლექსიკის გაღრმავება და სხვ. ყოველივე ამას იტალიურ პოეზიაში მოჰყვა თავისუფალი და ურიტმო ლექსის შემოქრა, მაგრამ პერმეტეიკოსთა თავკაცმა უარყო თანამოკალმეთა გზა რიტმის საკითხში, ხოლო მეტრის მხრივ მათი მიმართულება აირჩია, ამიტომაც იტალიური ლიტერატურის კრიტიკა მონტალეს იცნობს, როგორც „ნახევრად პერმეტეიკოსს“.

მონტალეს პოეზია იდეურად და თემატურად დანტეს ფილოსოფიური აზროვნების გაგრძელებაა, რის გამოც მწერალი სამართლიანად ითვლება დანტეს ფილოსოფიური სკოლის ქეშმარიტ მემკვიდრედ და იტალიურ პოეზიაში ფილოსოფიური ლირიკის აღმდგენად.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ციკლიდან —  
ანუ — „ჯადოსნური საღებავი“.

მთარგმნელი ნაზი

\* \* \*

— მზის სადარი შენი სული,  
ლამის მზემდე დღეს ასული,  
უკვდავებად გარდასული,  
შენი დიდი გზა წარსულის, —  
ჩემს უწვრილეს ბილიკებზე ანთებულა ჩირალდნებად,  
იტალიავ, დედამიწის საღებავი ჯადოსნური, —  
შენს სულშია, შენს გულშია და შენს ზღვებში ინახება! —

ვუსმენ ამ ხმას და ვგრძნობ ნათლად, ჩვენ ის ვერ ვართ, ჩვენ ის არ ვართ,  
რაც ვიყავით ერთდროს მართლაც, და რაც უნდა ვიყოთ ახლა.  
...დღეისდღეს კი მომავლისთვის, მიხარია, რომ სურს ისევ,  
ენტოს მუდმივ, ენთოს მზისებრ, ჩაუქრობელ მიწის სანთლად...

და დიადი ეს სურვილი, შენს სულში რომ ინახება,  
შენს გულში რომ ინახება, არის, ჩემო იტალიავ, —  
ის, რისთვისაც თვლიან ისევ შენს სულს, შენს გულს და შენს წარსულს  
ჩაუქრობელ ჩირალდნებად, დედამიწის ჩირალდნებად,  
მარადიულ ჩირალდნებად.



...იტალიავ, იტალიავ, დედამიწის საღებავი ჯადოსნური,  
 მელანთევზას ძვლებშია და ამ ძვლებითვე მაგ შენს სულში,  
 მაგ შენს გულში, და შენს ზღვებში ინახება...  
 ამიტომაც დარჩა ისევ შენი სული, შენი გული  
 და შენივე გზა წარსულის, —  
 დედამიწის ჩირაღდნებად,  
 მარადიულ ჩირაღდნებად...



\* \* \*

ბედნიერებამ დღეს ჩვენამდე მოაღწია,  
 ბედნიერება  
 დღეს ჩვენთან ერთად დადის.  
 მან შენი დაღლილი თვალები ზე ასწია,  
 და განდევნა ჩვენგან  
 დარდი — ასული ცამდის.  
 მაგრამ გზა და გზა, ჩუქურთმების ჩურჩულით,  
 ყურს ჩამძახიან ძველი ხმები მდუმარი, —  
 თუკი გსურს არ დააფრთხოო ეს უცხო სტუმარი,  
 გააძევეო შენგან იჭვის ყველა ურჩხული,  
 ...და თან არასდროს არ შეეხოო,  
 ვინც მეტად გიყვარს ყველაზე,  
 უფრო ტკბილია ეს შორით წვა და ლაციცი,  
 და ასე ძლიერ, ჰო, ასე ძლიერ,  
 მიტომ უყვარს დედამიწას მზე,  
 რომ შორით თბება, რომ შორით თბება  
 და ამ სიქველის, — ამ სიშორის ფასი არავინ არც იცის...  
 ბედნიერებამ დღეს ჩვენამდე მოაღწია,  
 ბედნიერება  
 დღეს ჩვენთან ერთად დადის,  
 დიახ, ჩვენს გვერდით დადის!..

\* \* \*

დღეს ჩემს ხელშია მზით ნაბოძვარი ძალაუფლება.  
 და დამონებულ,  
 ამ დაღონებულ სულებს ავხსენი  
 ჩრდილის კირთები.  
 გჯეროდეთ ანი, სატანა თქვენ ვერ დაგეუფლებათ,  
 თავისუფალ ხართ, ვიდრე ხორცისგან განიტვირთებით...  
 მაგრამ შენ, სულო, თვით ჩემო სულო, პოეტის სულო,  
 მზემდე ასულო,  
 ვერსად ვიპოვე გზაკვალი შენი,



მინის ჩრდილიდან შენ ცად ასულხარ, და როს ზეცისკენ  
გზა გამიხსენი, უფრო შემბოჭე, კი არ მიხსენი!..



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

...და დღეს ვრწმუნდები, —  
მზის სიყვარული, — ძალა კეთილი,  
არის ამ ქვეყნად სულის და აზრის თავისუფლება  
და სიყვარული  
დღეს სიყვარული, ცას მონყვეტილი,  
მზეს მონყვეტილი,  
მკვდარია და მკვდარს ცოცხლებში ყოფნის  
არ აქვს უფლება.

სწორედ ამიტომ წადით სულებო ზეცისკენ, მალლა,  
მალლა და მალლა, — მზე დაგამსგავსებთ  
უცებ გოლიათს,  
და მერე მინის, მინის თუ ზეცის,  
ზეცის და სივრცის ჩვეულ სიჭრელეს, მელანქოლიას,  
ყველაზე მეტად,  
ამჟამად, ახლა, მოჰყვება თქვენი,  
მარადიული  
ფუსფუსი, დალლა, რაც ჩრდილში მყოფელთ,  
არსად არასდროს არც გიგრძენიათ და არცა გქონიათ...

...შენ კი შენ ჩემო სულო, ეულო, მზემდე ასულო  
ყველგან დაგეძებს მონატრებული მინა მშობელი,  
შენ არსებობა შენი უნდა აქ დაასრულო,  
შენ, ვინც მინისთვის ხარ უმზეობის უარყოფელი, —  
უნდა მოჰგვარო  
მზის მცხუნვარება მშობელ მინას და  
მინის მეუფეს,  
რადგან ორივე, — მინაც და ზეცაც, —  
შენშია ერთად,  
რადგან ორივე სალოცავ ღმერთად,  
დღეს შენში სუფევს —  
და შენ ორივემ გადაგაქცია  
ყოვლის მეუფედ და ერთადერთად.

ამიტომ გმართებს,  
მხოლოდ შენ გმართებს მათთვის იწვოდე,  
შენ ვინც შეიგრძენ,  
ვინც შეიგრძენ და შეიცან კიდევ,  
სწორუპოვრობა იდუმალური ცისა და მინის,  
შენ სანთელივით  
საფლავშიც უნდა მათთვის იწვოდე,  
და მანათობლად ექცე იმათ გზას, ვინც ეს არ იცის...



...ეს — შენს ხელშია,  
 ჰო, შენს ხელშია, დღეს შენს ხელშია,  
 პოეტის სულო,  
 მზით ნაბოძვარი, ცით ნაბოძვარი,  
 ღვთით ნაბოძვარი ძალაუფლება,  
 და შენ სატანა, ანი ვერასდროს,  
 ვერსად, ვერასდროს დაგეუფლება!!!



\* \* \*

მოტკაცუნე ცეცხლის ალი,  
 მორებს შორის რომ ბარბაცებს,  
 დაბარბაცობს, როგორც მთვრალი,  
 მის მომწვანო ნაპერწკლებში  
 ისმის ტყეთა მჭმუნვარება  
 და გოდების ხმა მიმქრალი.

ბუხრის პირთან წამოწოლილ  
 ადამიანს ამ მიწაზე,  
 ჭრელ მიწაზე, გზად მიმავალს,  
 ესმის, ესმის, ეს ყოველი,  
 და კოშმარ ფიქრს წუთისოფლის,  
 გულში უხმოდ მიიმალავს...

წამოდგება უცებ, ჩუმად,  
 შეუკეთებს ცეცხლში ისევ  
 ნახევრადხმელ ფიჩხის კონებს,  
 ახსენდება გაზაფხული,  
 და შვილივით გამოზრდილი  
 ზვრების ტირილს რომ იგონებს  
 გადის გარეთ, მიდის უხმოდ  
 საცალფეხო ბილიკებით,  
 თანაც, ცეცხლის ნაპერწკლები  
 მოსძახიან მოხუცს უღვთოდ:

— არ მოხვიდე, შინ რა გინდა,  
 ზვართან იყავ, ბალში იყავ,  
 მათი ცქერით დასტკები თორემ,  
 მალე მოვა განშორება, —  
 და ჩემსავით დრო შენც უმალ,  
 ნშობელ მიწას განგაშორებს!!!

□





რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მალრაძემ

### თავი ოცდამეორე

ბა ამბავი, თუ როგორ ვიციდა სერ გავეინი ლედი ეტარდას ციხე-კოშკში, როგორ დაწვა მის გვერდით და როგორ წააღვა მძინარეთ თავს სერ კელეასი

სერ გავეინმა რაინდის ღირსების ფიცქვეშ სამუდამო მეგობრობის პირობა მისცა სერ პელეასს, მერმე ერთმანეთს სამუდამო მეგობრობა აღუთქვეს და საჭურველი და ცხენები გაცვალეს.

სერ გავეინი გამოემშვიდობა სერ პელეასს და ლედი ეტარდას ციხე-კოშკისაკენ გაჰქუსლა. მალე იგი იმ კარავს მიაღწა, რომელიც ლედი ეტარდას ციხე-კოშკის ალაყაფის კარის წინ იდგა. როგორც კი ლედი ეტარდამ ცხენოსან რაინდს მოჰკრა თვალი, ციხე-კოშკისაკენ გაიქცა და იქ შემაღვა ეწადა. სერ გავეინმა კი იმწამსვე ზმამალლა მიაძანა, — ძალიანა გთხოვთ, შეიცადოთ, სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი. მე სერ პელეასი არა ვარ, მე სხვა რაინდი გახლავართ, სერ პელეასის მკვლელი ვარ!

— მაშინ აიწიეთ ჩაფხუტი და თქვენი სახე მიჩვენეთ!

როს ლედი ეტარდა დარწმუნდა, ციხე-კოშკს მომდგარი რაინდი სერ პელეასი არ იყო, რაინდი ციხე-კოშკში შეიპატიჟა; ჩაეძია, სერ პელეასის სიკვდილი მართალია თუ არაო. რაინდმა დაუდასტურა ერთხელ ნათქვამი და უთხრა: სერ პელეასი ჩემი ხელით მოგკალი და ცოცხალთა შორის აღარ შეირაცხვისო. მერმე თავის ამბავს მოუყვა, სერ გავეინს მეძახიან, მეფე ართურის კარის რაინდი და მისი დის შვილი ვარო. დაბოლოს სერ პელეასის მკვლელობის ამბავი მოუთხრო.

— მართლაც რომ დასანანია მისი სიკვდილი, ისეთი კარგი და კეთილშობილი რაინდი იყო, — თქვა მწუხარებით ქალმა. — გარნა მამაკაცთა შორის ყველაზე მეტად იგი მძულდა, რადგან მისი მხრიდან მოსვენება არა მქონდა. რაკილა სერ პელეასი თავიდან მომაცილეთ და მოჰკალით, თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები და რაც თქვენ გესიამოვნებათ, იმასა ვიქმ. — ასე რომ, ლედი ეტარდამ სერ გავეინი დიდად შეიტკბო და მიეფერა.

\* გაგორილება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 4.



სერ გავეინი ლედი ეტარდას გამოუტყდა, ერთი ქალი მიყვარს, მაგრამ იმას არ ვუყვარვარო.

— შეჩვენებისა და გაკიცხვის ღირსი ყოფილა, — აღშფოთებით თქვა ლედი ეტარდამ, — რაკი თქვენ არ თანაგიგრძნობთ, ასეთი კეთილშობილი ჩამომავლობის, უმამაცეს რაინდს უარი როგორ გითხრათ გრძნობაზე. ამქვეყნად არც კი შეგულება ისეთი ქალი, თქვენი შესაფერი რომ იყოს.

— აღმითქვამთ და შემომფიცავთ, რომ ყველაფერს იღონებთ, რაც კი თქვენს ძალას არ აღემატება, რათა ჩემი სატრფოს გული დავისაკუთრო?

— რაღა თქმა უნდა, სერ, გარწმუნებთ, და ფიციც შემიძლია მოგცეთ.

— ახლა კი დროა, ქალბატონო ეტარდა, თქვენი ფიცქვეშ მოცემული დანაპირები შეასრულოთ, რადგან ის ქალი, ვინც მე აგრეგიგად მიყვარს თქვენა ხართ.

— რა გაეწყობა, რაკი ფიცი მოცემული მაქვს, პირობაც უნდა შეგისრულოთ.

ქალბატონმა ეტარდამ შეუსრულა განზრახული სერ გავეინს.

მაისის თვე იდგა. ლედი ეტარდა და სერ გავეინი ციხე-კოშკიდან გარეთ გამოვიდნენ და იქვე ციხესთან ახლოს დადგმულ კარავში სხვათა თვალს განერიდნენ. კარავში იყო გაშლილი მათთვის სარეცელი. ორივენი დაწვნენ და განცხრომას მიეცნენ. მეზობელ კარავში კი ლედი ეტარდას პირისფარეშებს ეძინათ. შესამე კარავი რამდენიმე რაინდისათვის იყო განკუთვნილი, რაკიღა ლედი ეტარდას სერ პელეასის გამოჩენის შიში აღარა ჰქონდა. სერ გავეინმა და ლედი ეტარდამ კარავში გატარეს მშვენიერი მაისის ორი დღე და ორი ღამე. შესამე დღეს სისხამ დილით სერ პელეასმა იარაღი აისხა. მას მერმე, რაც სერ გავეინმა რაინდის ღირსების ფიცქვეშ უთხრა, მონასტრის გვერდით დადგმულ კარავში, სადაც თავის რაინდებთან ერთად სერ პელეასი ცხოვრობდა, ერთი დღე-ღამის განმავლობაში მელიოდე და აუცილებლად მოვალე, სერ პელეასს თვალი აღარ მოუხუჭავს. სერ პელეასი ცხენს მოახტა და ლედი ეტარდას ციხე-კოშკის ალაყაფის კარის წინ დადგმულ კარვებთან მივიდა. პირველ კარავში სამი საწოლი იდგა და სამ რაინდს ეძინა, მათ ფერხთა სიახლოვეს სამი საქურველთმტვირთველი ზრინავდა. მეორე კარვის კალთა რომ გადასწია, ოთხი საწოლი იხილა. ოთხივეზე ლედი ეტარდას მხევლები იწვნენ. სერ პელეასი შესამე კარვისაკენ წავიდა, კარვის კალთა გადასწია და, რას ხედავს, სერ გავეინი და ლედი ეტარდა სარეცელზე გაშლართულნი ერთმანეთს უსურვაზივით ჩაპკვროდნენ. ჯავრისა და სიბრაზისაგან სერ პელეასს გული ღამის შუა გაუსკდა. „ასეთი ფლიდი და მატყუარა რაინდი ქვეყნად მეორე არ მინახავს“, — გამოსცრა კბილებში.

რაკიღა გულმოკლულს იქ დარჩენა აღარ შეეძლო, ისევ ცხენს მოახტა და თავი ტყეს მისცა, მაგრამ ნახევარი მილიც არ გაევილო, რომ ცხენი მოაბრუნა და ისევ ლედი ეტარდას ციხე-კოშკისაკენ გამოჰქუსლა. სერ პელეასმა ასე განიზრახა: მაგ მრუშებს ერთმანეთს დავაკლავო. კარავში შესულს ისევ ის სურათი წარმოუდგა თვალწინ. ერთმანეთს მაგრად ჩახვეულ წყვილს ტკბილად ეძინა.

— მართალია, ამქვეყნად ეს ყველაზე ფლიდი და მატყუარა რაინდია, მაგრამ მძინარის მოკვლა, ჩემი მხრივ, ვერაფერი ვაუკაცობა იქნება, — გაიფიქრა თავისთვის სერ პელეასმა, — მძინარეს არ მოვკლავ და რაინდული ორდე-



ხის მტკიცე წესს არ დავარღვევ, — ამ აზრმა რომ გაუელვა გონებაში, ისევ ცხენს მოახტა და ტყისკენ გააჭენა ბედაური. მალე ისევ უკან შემოიქცა. დავხოცავო, ისევ ის იფიქრა. გზაზე სულ ოხრავდა, კბილებს აღრქიალებდა, ჰგოდებდა და დრტვინავდა. კარვებს მიუახლოვდა თუ არა, ცხენიდან ჩამოხდა, ბედაური ხეზე მიაბა, ხმალი იშიშვლა და იმ კარვისაკენ წაფრქვნილა მოლაღატე რაინდსა და ლედი ეტარდას ეძინათ. ისევ იმ აზრმა რომ გონებაში, მძინარე რაინდის მოკვლა სამარცხვინო საქმე იქნებოდა, თავისი შიშველი ხმალი მძინარეთა გაშიშვლებულ ყელთ დააბჯინა, ცხენს მოახტა და განერიდათ.

მონასტერთან დადგმულ თავის კარავში რომ მივიდა, თავისი რაინდები და საჭურველმტვირთველნი იხმო, ნანახი და განცდილი მოუთხრო და ასეთი ანდერძი დაუგდოთ:

თქვენი კარგი, ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის მადლი მომიბრუნებია და. რაც გამაჩნია, საჩუქრად დამიგდია, ახლა საწოლში ჩავწვები და, ვიდრე სული არ ამომძვრება, აღარც ავდგები. და როს მოვკვდები, აღასრულეთ ჩემი ნათქვამი: მკერდიდან გული ამომაცალეთ, თავდახურულ ვერცხლის ლანგარზე დადეთ, იმ ქალბატონს მიართვით და უთხარით, როგორ ვიხილე იმ ფლიდ, მოლაღატე სერ გავეინთან ერთად მწოლი თავის კარავში. — ესა თქვა, განიარაღდა, საწოლზე ოხვრით მიეგდო და მწუხარებისაგან დრტვინვასა და გოდებას მოჰყვა.

სერ გავეინმა და ლედი ეტარდამ გაიღვიძეს და ყელთ დაბჯენილი შიშველი ხმალი იხილეს. ქალმა იცნო პელეასის ხმალი.

— ვაჰმე. — აღმოხდა ქალს, — სერ გავეინ. თქვენ სერ პელეასიცა და მეც ჰოგვადორეთ, თქვენ მითხარით, სერ პელეასი მოვკალიო, ახლა კი ვხედავ, მართალი არ გითქვამთ. იგი ცოცხალია. ისიც რომ თქვენსავეთ უსინდისოდ მოქცეულიყო, ახლა აქ, თქვენს მაგიერ თქვენი გვამი იქნებოდა. თქვენ მე მაცთუნეთ, სერ გავეინ. დაე, ჩემი ეს თავსგადახდენილი ამბავი ყველა ქალსა და ქალწულს გაკვეთილად გამოადგეს მომავალში. — სერ გავეინი კი ამასობაში საძგზავროდ გაემზადა და თავი ტყეში შერგო.

სერ პელეასის მწუხარებისაგან გულმოკლული ერთ-ერთი რაინდი ტყეში დაბორილობდა.

ისე მოხდა, რომ ტბის მფლობელი ნინევა სერ პელეასის იმ რაინდს გადაეყარა. ნინევამ ჰკითხა რაინდს, რა პირი დაგიღრეჯია, ავრე რამ დაგამწუხრაო. გულდათუთქულმა რაინდმა თავისი პატრონის შესახებ ყველაფერი უამბო. არც ის დაუმაღავს, როგორ უღალატა რაინდის ღირსებასა და ფიცს სერ გავეინმა, როგორ მიუწვა კარავში გვერდით მის სათაყვანებელ სატრფოს და როგორ განმარტოებით გადაწყვიტა სიკვდილი ყველაფერზე ხელჩაქწყულმა სერ პელეასმა.

— მიმიყვანეთ მასთან, — შესთხოვა რაინდს ნინევამ, — და მე გადაგიჩენთ პატრონს. იგი სიყვარულის გამო აღარ მოკვდება, ხოლო ის ქალი, ვინც მას უიღბლო სიყვარული აგემა და ასეთ სასოწარკვეთამდე მიიყვანა, სულ მალე თვითონ აღმოჩნდება უყისმათო სიყვარულის ცეცხლში. არ შეიძლება სიხარულს ეზიაროს ისეთი ამაყი ქალი, ვინც ასეთ კეთილშობილ და მამაც რაინდს არ შეიბრალებს და ყოველივეზე ხელს ააღებინებს.

რაინდი ნინევას თავისი პატრონის კარავში შეუძღვა, როს ნინევამ სერ პელეასის სახეს დაჰხედა. ასე გაიფიქრა: ტანად და პირად ამაზე ლამაზი რაინ-



დი არც მინახავსო. იმწამსვე მოაჯადოვა იგი და სერ პელეასმა მაგრად ჩაიძინა. ნინევამ ცხენით გაჰქუსლა ლედი ეტარდას ციხე-კოშკისაკენ, რაინდებსა და საჭურველმტვირთველებს კი სიტყვა დაუგდო, ჩემს დაბრუნებამდე სერ პელეასი არავინ გააღვიძოსო. ორ საათსაც არ გაეგლო, რომ ნინევა ლედი ეტარდასთან ერთად დაბრუნდა და სერ პელეასი მოსულთ ისევ ღრმა ძილში მყოფი დაუბნდათ.

— შეხედეთ, — მიმართა ნინევამ ლედი ეტარდას, — უნდა გრცხვენოდეთ, რომ ასეთ მშვენიერ რაინდს ცოცხლადა მარხავთ.

მერმე იმასაც თილისმა გაუკეთა და უცებ ჰკუთის დაკარგვამდე შეაყვარა სერ პელეასი.

— ოჰ, დიდებულო იესო! — წამოიძახა ლედი ეტარდამ, — როგორ მოხდა, რომ იმისი სიყვარულით ვთრთი და ვცახცახებ, ვინც ჰვეყნად ყველა მამაკაცზე უფრო შეჯავრებოდა?

— ასეთია ღვთის მართალი სამართალი, — უთხრა პასუხად ნინევამ.

ამასობაში სერ პელეასმაც გაიღვიძა, ლერი ეტარდას დააცქერდა, იცნო. ჰვეყნად ყველა ქალზე უფრო შეზიზღდა და უთხრა: მომწყდი აქედან და გაეთრიე ჩემი კარვიდან, შე გამყიდველო!

ლედი ეტარდამ რომ სერ პელეასის სიტყვები გაიგონა, ხმამაღლა აქვითინდა. ქალს მოძალებული ცრემლები ახრჩობდა და გიჟივით გაჰკიოდა.

### თავი ოცდამეხუთე

აქა ახავი, როგორ შეიძულა ტანსაცმელი ნინევას თილისმითა და ხიზლით სერ პელეასმა ლედი ეტარდა და როგორ საუკუნოდ შეიყვარა ის ქალწული

— რაინდო პელეას, — მიმართა ტბის მფლობელმა სერ პელეასს, — ახლავე შეჩექით თქვენს ბედაურზე, დატოვეთ ეს ჰვეყანა. თქვენ იბოვით ქალს, ვისაც გულით შეიყვარებთ და ისიც მზურვალე გრძნობით გიპასუხებთ.

— სიამოვნებით, — გამოეპასუხა სერ პელეასი, ტბის მფლობელ ლედის, — ამ ქალმა ფეხქვეშ გათელა ჩემი წმინდა გრძნობა, შემარცხვინა და თავს ლაფი დამასხა. — მერმე სერ პელეასმა ტბის მფლობელ ლედის თავიდან ბოლომდე უამბო თავს გადახდენილი ამბავი. დაბოლოს ისიც უთხრა, განზრახული მქონდა აღსასრულამდე ლოგინიდან აღარ წამოვმდგარიყავიო. — ახლა კი ყოვლად მოწყალემ კეთილი თვალთ გადმომხედა, შევებრალე და თვითონ შემაძულა ლედი ეტარდა ისე ძლიერ, როგორც მიყვარდა ადრე.

— მაგისათვის მადლობა უფალს კი არა, მე უნდა გადამიხადოთ, — უთხრა სერ პელეასს ტბის მფლობელმა ლედიმ.

სერ პელეასი იარაღით აღიჭურვა, ცხენზე შეჯდა, თავის რაინდებსა და საჭურველმტვირთველებს უბრძანა: — კარვები მოშალეთ და მთელი ჩემი ავლა-დიდება თან წამოიღეთ, იქ დავსცემთ კარვებს, სადაც ტბის მფლობელი ლედი მიგვითითებს.

ლედი ეტარდა სერ პელეასის სიყვარულის ჯავრმა მოკლა. ტბის მფლობელმა ლედიმ სიხარულით აღვსილი გულით დაამშვიდა სერ პელეასი და მათ მთელი სიცოცხლე უყვარდათ ერთმანეთი.



თავი ოცდამეოთხე

აქა ამბავი, როგორ იმგზავრა ქალიშვილთან ერთად სერ მარკაუსმა და როგორ ჩააღწიოს მათ საუთ მარჩიზ ღუასს — სამხრეთის მიწის პერცოგის — ციხე-კოშკამდე

სერ მარკაუსმა  
სამხრეთის მიწის  
პერცოგის — ციხე-კოშკამდე

ახლა კი სერ მარკაუსის ამბებს მივხედოთ. ის ხომ ოცდამეოთხე წლის ქალწულთან ერთად გაემგზავრა ქვეყნის სამხრეთისაკენ. ისინი სადღაც გაუვალი ტყის სიღრმეში შეიჭრნენ და იქ შემოაღამდათ. ბევრი იხეტიალეს უსიერ ტევრში. ბელად შენობა დაინახეს და ღამის გასათევი ითხოვეს. სახლის პატრონმა მათი ხვეწნა-მუდარა არ შეიწყნარა, თავი გადაიკლა და შიგნით არ შეუშვა. დამოძღვრით კი ასე დამოძღვრა: — თუ ხიფათიანი თავგადასავლისა არ გეშინიათ, მე მიგიყვანთ იქ, სადაც მშვენივრად მოისვენებთ და ღამის გასათევი საც იშოვითო.

— რა ხიფათიანი თავგადასავალი მოგველის იქ? — ჰკითხა სერ მარკაუსმა

— აი, მივალთ და ნახავთ. — წყნარად უთხრა კეთილმა კაცმა.

— სერ, — მიმართა მარკაუსმა, რა ხიფათიც უნდა გველოდეს წინ, მაინც მარდად წაგვიძეხი, რადგან მეც გავსავათდი, ჩემი თანმხლები ქალიც დაღლილ-დაქანცულია და ცხენსაც ილაჯი გაუწყდა.

ის კეთილი კაცი ტყის ბილიკზე წინ გაუძღვა და დაახლოებით ერთ საათში ისინი მშვენიერი ციხე-კოშკის ალაყაფს მიაღწენ. იმ კეთილმა კაცმა ციხე-კოშკის მეკარეს ასძახა და გააგონა კიდევ, ალაყაფის კარი გახსნეს და დაღლილ-დაქანცული მგზავრები შიგნით შეუშვეს. მეკარე ციხე-კოშკის მფლოზელთან გაიქცა და უთხრა, ვილაც მოხეტიალე რაინდი ქალის თანხლებითაა და ღამის გასათევი ითხოვსო.

— შემოუშვით და გაათიოს ღამე, — უთხრა მეკარეს ციხე-კოშკის მფლობელმა, — იქნებ ინანოს კიდევ, რომ კარს მოგვადგა და ღამის გასათევი გვთხოვა.

ჩირალდნების, სანათებისა და ლამპრების შუქზე სერ მარკაუსი შეუშვეს. დიდებული სანახავი იყო, როგორ შეხვდნენ მას მშვენიერი აღნაგობის რაინდები და „კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო“, უთხრეს, სერ მარკაუსის ცხენი საჯინიბოში წაიყვანეს, თვითონ და მის თანმხლებ ქალიშვილს კი დარბაზში შეუძღვნენ, სადაც ბრწყინვალე რაინდებით გარშემორტყმული მათი მასპინძელი ზორზოხი ჰერცოგი დაუხვდათ. მასპინძელმა მარკაუსს ჩვეულებრივი კითხვები დააყრა: ვისი კარის რაინდი ხარ, სადთ მიემგზავრები, სადაური ხარ და რა გქვიათ?

— სერ, — წამოიწყო პასუხი მარკაუსმა, — მე მეფე ართურის კარის, მრგვალი მაგიდის რაინდი ვარ, ჩემი სახელი მარკაუსია, დაბადებული ვარ ირლანდიაში და თავგადასავლების მაძიებელი რაინდი გახლავართ.

— ეს ამბავი არ მომწონს, — თქვა ჰერცოგმა, — რადგან პატივს არა ვცემ მეფე ართურს და არც მრგვალი მაგიდის რაინდები მიყვარს. ამალამ დაისვენე და მომავრდი, ხვალ კი მე და ჩემს ექვს შვილს ორთაბრძოლაში შეგვები.

— განა ეს ორთაბრძოლები აუცილებელია? — იკითხა სერ მარკაუსმა, — აბა ერთბაშად შეიდ კაცთან ბრძოლა გავგონილა?

— აუცილებელია, — უპასუხა ჰერცოგმა, — და გეტყვით, რატომაც. რას მრგვალი მაგიდის რაინდმა სერ გავეინმა ჩემი მეშვიდე შვილი ორთაბრძო-



ლაში გამოასალმა საწუთროს, მე ფიცი დავდე, მეფე ართურის კარის რაინდი, ჩემი სტუმარი იქნება იგი თუ სხვისა, თუ დავლანდავ სადმე, სულერთია, ისე ვერ წავა ჩვენგან, რომ რომ პირადად მე და ჩემს შვილებს ორთაბრძოლაში არ შეგვებას, ჩემი დაღუპული შვილისათვის შური უნდა ვიძიოთ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — იკითხა მარჰაუსმა, — მინდა თქვენს მსახურს ვიწყო და ვიხაობა ვიციოდე.

— მე საუთ მარჩიზ დუკა, სამხრეთის მიწის ჰერცოგი ვარ, — უპასუხა მასპინძელმა მარჰაუსს.

— აჰა, ახლა ყოველივე გასაგებია, — უთხრა სერ მარჰაუსმა, — გაგონილი მაქვს, რომ თქვენ მეფე ართურისა და მისი რაინდების ძველთაძველი მოძულე ბრძანდებით.

— ამაში ხვალ დარწმუნდებით, — უპასუხა დუკამ, — თუ უფალმა ხვალამდე სიცოცხლე გაცალათ.

— მაშ, გადაწყვეტილია, უნდა ვიბრძოლოთ, არა? — თქვა მარჰაუსმა.

— დიახ, ეგ ზეცაში გადაწყვეტილივითაა და სხვა არჩევანი თქვენ არა გაქვთ. ახლა კი, — მსახურთ მიუბრუნდა, — წაიყვანეთ, სადაც უნდა მოისვენოს და არაფერი მოაკლოთ. — ასე და ამრიგად გაუშვა დუკამ სერ მარჰაუსს მოსასვენებლად. მისი თანმხლები ქალი კი საქალებოში წაიყვანეს და იქ გაუშალეს საწოლი.

დილაადრიან დუკამ მსახური მიუგზავნა სერ მარჰაუსს და შეუთვალა, ორთაბრძოლისათვის მოემზადეო. სერ მარჰაუსი ადგა და იარაღი აისხა. სერ მარჰაუსისათვის მესა იგალობეს და საუზმე მიართვეს. მერმე ცხენზე შეჯდა და სასახლის ეზოში გავიდა, სადაც ორთაბრძოლები უნდა გამართულიყო. დუკა და საბრძოლოდ გამზადებული მისი ექვსი შვილი ეზოში შუბმომარჯვებულები ელოდნენ სტუმარს. ბრძოლა დაიწყო. ჰერცოგმა და მისმა შვილებმა შუბები ზედ მიამსხვრიეს მარჰაუსს. მას კი თავისი შუბი ხელთა ჰქონდა და თავსა ზედა იბრუნებდა ისე, რომ არცერთისათვის არ უძგერებია.

### თავი ოცდამეხუთე

აჰა ამბავი, როგორ ებრძოდა სერ მარჰაუსს ჰერცოგსა და მის

ექვს ვაჟიშვილს და

როგორ დამოკრილა ისინი

დუკას შვილთაგან ოთხი წყვილ-წყვილად დაიძრა მარჰაუსის წინააღმდეგ. ორმა მათგანმა ზედ მიაგდო ცხენი, სცეს ჰოროლები და შეაღწეს. მერმე სხვა ორნი დაიძრნენ, ახლა იმათ მოიმარჯვეს შუბები და მათ იარაღსაც იგივე ბედი ეწია. სერ მარჰაუსი კი არც ერთს არ შეხებია. მერმე თვითონ სერ მარჰაუსი მიეჭრა დუკას, ლახვარი აძგერა და ცხენი და კაცი ერთად დასცა მიწაზე. უმაღ მიბრუნდ-მობრუნდა და შვილებიც მამის ყოფაში ჩაყარა. მერე ჩამოქვეითდა და წაქცეულ დუკას წაადგა თავზე, მახვილი დააღირა, დამნებდი, თორემ გაგათავეო, უკივლა. ამასობაში, ჰერცოგის შვილთაგან რამდენიმე უკვე წამომდგარიყო ფეხზე, სერ მარჰაუსს მისჭროდნენ და აქეთ-იქიდან უტევდნენ. გაგულისებულმა სერ მარჰაუსმა ჰერცოგს მიმართა: „ბატონო ჰერცოგო, შეაჩერეთ თქვენი ვაჟიშვილები, თორემ ჩემგან დანდობას ნულარ მოელით!“



ჰერცოგმა ნახა, რომ საფრთხე მართლაც გარდაუვალი იყო და ვაჟიშვილებს შესძახა, დანებდითო. ჰერცოგის ვაჟიშვილებმა დაიჩოქეს, თავი დამარცხებულად სცნეს, ხმლები ტარით გაუწოდეს სერ მარპაუსს და მერმე მამა წამოაყენეს. საერთო შეთანხმების შემდეგ მთელმა ოჯახმა სერ მარპაუსს შეპფიცა, ამიერიდან მეფე ართურის მტრები აღარ ვიქნებითო. ნსაშეშობა დღეს კი ყველანი კამეტოლში ჩამოვალთ, მეფე ართურს წარვუდგებით და მის მოწყალებასა და სამართალს დაველოდებითო. სერ მარპაუსი კეთილი გულით გამოემშვიდობა ჰერცოგსა და მის ვაჟიშვილებს. ორი დღის შემდგომ სერ მარპაუსი თავისმა თანმხლებმა ქალმა იმ ტურნირზე მიიყვანა, რომელიც ლედი ვეივს მოეწყო. ასპარეზობაში გამარჯვებულისათვის ძვირფასი ოქროს გვირგვინი იყო დანიშნული, ხოლო იმ ოქროს გვირგვინის ღირებულება ათას ბენზაუხტად\* იყო აღიარებული. ამ შეჯიბრზე სერ მარპაუსმა დიდად გაითქვა სახელი. მან ტურნირზე ორმოცი რაინდი დაამარცხა და ოქროს გვირგვინი მოიპოვა. იქაურობას სახელნაშოვნი და დიდად პატივდებული გაეცალა.

მეშვიდე დღის ბოლოს ქალიშვილმა იგი გრაფის ციხე-კოშკში მიიყვანა. იმ გრაფის სახელი ფერგუსი გახლდათ. მერმე იგი სერ ტრისტრამის რაინდი შეიქნა. როს სერ მარპაუსი ესტუმრა, იგი უღინდლო ყმაწვილი იყო და მამულის ბატონ-პატრონობაც თავზე იმზანად მოაზვიეს. გრაფი ფერგუსის მეზობლად ცხოვრობდა ვილაც გოლიათი, სახელად ტაულურდი. ამ გოლიათს ერთი ძმა კორნუელშიც ჰყავდა. ამ ძმას ტაულასს ეძახოდნენ. მას, როცა შეიშალა, სერ ტრისტრამმა აუგო ანდერძი. ყმაწვილმა გრაფმა სერ მარპაუსთან საუბარში დაიჩივლა, ის გოლიათი მთელ ჩემს ავლა-დიდებას მინადგურებსო. მისი გამოისობით ვეღარც ცხენით წავსულვარ სადმე და ვეღარც ფეხით გამივლიათო.

— სერ, — მიმართა გრაფს სერ მარპაუსმა, — ის თქვენი გოლიათი ქვეითად იბრძვის თუ ამხედრებული?

— იმისთანა ცხენი სად მოიძებნება, იმ გოლიათის ტარება რომ შეიძლოს, — უპასუხა ნაღვლიანად გრაფმა ფერგუსმა.

— რა გაეწყობა, იმ გოლიათს მეც ქვეითად შევებში და ძალას მოვუსინჯავ.

სისხამ დილით სერ მარპაუსმა სთხოვა გრაფს, ვინმე გამყოლი მესაჭიროება, ვინც გოლიათის ადგილსამყოფელს მიჩვენებსო. გრაფმა იმწამსვე აახლა მეგზური და სერ მარპაუსი გზას გაუდგა. მალე გოლიათიც იხილეს. იგი მუხის ქვეშ იჯდა, გარშემო საბრძოლო ცულები და რკინით შეჭედილი კომბლები ეყარა. სერ მარპაუსი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, ფარი იფარა და გოლიათს შეუტია. გოლიათმა კომბალს დასტაცა ხელი და პირველივე დარტყმით სერ მარპაუსს ფარი გაუგლიჯა. რაინდი სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგან გოლიათი, ეტყობოდა, დახლოვებული მებრძოლი იყო. სერ მარპაუსმა გონი მოიკრიბა, იმარჯვა და ბასრი ხმლით იდაყვს ზემოთ ჩამოათალა მარჯვენა გოლიათს. მაშინ კი იკადრა გოლიათმა, ზურგი აჩვენა მომხდურს და გაიქცა. სერ მარპაუსი დაედევნა, გოლიათმა მდინარეში შეასწრო, სიღრმეში შევიდა და თავი საფრთხისაგან გადარჩენილი ეგონა, რაკილა ვეება იყო, წყალი აგრე ადვილად ვერ დაფარავდა და რაინდი მოსაკლავად ვერ მისწვდებოდა. სერ

\* besauntis — ბიზანტიური ფულის ერთეული. მერმე ევროპაშიც გავრცელდა. უდრიდა გირვანქა სტერლინგს, მაგრამ ხშირად მერყეობდა ნახევარი გირვანქიდან ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულებამდე.



მარპაუსმა თავის თანამგზავს ქვები მოაზიდვინა, გოლიათს დაუშინა და ვიდრე თავგახეთქილი აბეზარი მდინარეში არ ჩააბრჩო, არ მოეშვა.

გოლიათი იმქვეყნად გაისტუმრა თუ არა, სერ მარპაუსი მისი ციხე-კოშკისაკენ გაეშურა და ციხის ბნელი სარდაფებიდან ოცდაოთხი რაინდი და თორმეტი ქალი გაათავისუფლა. იმ ციხეში სერ მარპაუსი იმოდენსა დასმინდობისა და სარჩო-საბადებელს დაეუფლა, რომ მთელი სიცოცხლე ეყრ, ღარიბი და საწყალი კაცი აღარ ეთქმოდა. მერმე გრაფ ფერგუსის სასახლეში დაბრუნდა. გახარებულმა გრაფმა მადლობა შესწირა და მთელი თავისი ქონების ნახევარი აძლია, მაგრამ სერ მარპაუსმა შეთავაზებული მიწები და ქონება არ აიღო. გრაფის სასახლეში სერ მარპაუსმა სრული ნახევარი წელი დაჰყო და გოლიათისაგან მიყენებულ კრილობებს იშუშებდა. დაბოლოს დატოვა მადლიერი მასპინძლის კარმიდამო, დაემშვიდობა გრაფ ფერგუსს და ქალიშვილთან ერთად გაემგზავრა, რათა დათქმულ დროს სერ გავეინს და სერ ივეინს შეხვედროდა.

გზად მიმავალი სერ მარპაუსი ართურის კარის ოთხ რაინდს გადაეყარა. ესენი იყვნენ: სერ საგრამურ დეზირუსი — სერ საგრამურ "სასურველი, სერ ოზანა ლე გიურ პარდი — სერ ოზანა გულმამაცი, სერ დოდინას ლე სივიეჯი — სერ დოდინას მრისხანე, და სერ ფელოტ ლისტინოიზი. ოთხივე რაინდი სერ მარპაუსმა მხოლოდ ლახვის ძგერებით ჩამოყარა ცხენებიდან და მძიმედაც დაკოდა თითოეული მათგანი, ჰქმნა ეს სავაეკაცო საქმე და გულარხეინად გაეშურა დათქმული ადგილისაკენ.

### თავი ოცდამეექვსე

აჰა აგაპი, როგორ გაემგზავრა სერ ივეინი სამოცი წლის ქალწულთან ერთად და როგორ მოიკოვა შეჯიბრში პირველი ადგილი

ახლა კი სერ ივეინის ამბავს უნდა მივუბრუნდეთ, რომელიც სამოცი წლის ქალწულთან ერთად ქვეყნის დასავლეთით გაემგზავრა. მათ კარგა ხანს იარეს და უელსის საზღვრებში შევიდნენ. იქ დიდი ტურნირი იყო გამართული, სადაც სერ ივეინმა ოცდაათი რაინდი დაამარცხა, რისთვისაც საჩუქრად მიიღო სოხლული და ოქროწულ ფარდაგით დაფენილი თეთრი თულუნი. მერმეც იმ შინაბერა ქალწულის დარიგების მიხედვით გარჯილმა სერ ივეინმა ბევრი სასწაულებრივი გმირობა ჩაიდინა. დაბოლოს შინაბერა ქალწულმა იგი ერთი ლედის სამფლობელოს მიაყენა. ამ ქალწულის სახელი გახლდათ კლდის მფლობელი ოიდი. მას ახლომახლო მწყალობელისა და კეთილი ქალბატონის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

იმ ქვეყანაში ორი რაინდი ცხოვრობდა. ისინი დვიძლი ძმანი იყვნენ და სასტიკ რაინდებად იწოდებოდნენ. ერთს სერ ედუარდ წითელციხელს ეძახოდნენ, ხოლო მეორეს ჰიუ წითელციხელს. იმ ორ ძმას კლდის მფლობელი ლედისათვის ძალით წაერთმია მთელი საბარონეტო მამული. როს სერ ივეინი ლედის სახლში დადგა, კლდის მფლობელმა ლედის შესჩივლა, წითელციხელმა ძმებმა მამული წამართვესო.

— ძვირფასო ლედი, — მიმართა ქალს სერ ივეინმა, — ისინი, რალა თქმა უნდა, დამნაშავენი არიან, რაკიდა რაინდული ორდენის უმაღლესი კანონი დაურღვევიათ. თუ თქვენი თანხმობა იქნება, მე მათ მოველაპარაკები, როგორც



მეფე ართურის კარის რაინდი, რათა დარღვეული სამართლიანობა მშვიდობიანად აღვადგინო. თუ ამაზე უარს იტყვიან, მე მათ ღვთიური კანონიერების სახელით შევებრძოლები და თქვენს უფლებებს იარაღით დავიცავ.

— ღმერთი იყოს თქვენი მწყალობელი, დიდი მადლუბანი მტყუბუნებია, — უთხრა ლედიმ სერ ივეინს, — ღმერთმა მოგაგოთ სიკეთის სათქმელსა და სიხალისეოდ ყოველივე, რაც მე არ შემიძლია გადაგიხადოთ.

დილაადრიან კლდის მფლობელმა ლედიმ და სერ ივეინმა კაცი აფრინეს სასტიკ რაინდებთან და მოსალაპარაკებლად იხმეს ისინი. რაინდებმა არ დააყოვნეს და ასი მხედრის თანხლებით შემოადგნენ კლდის პატრონი ლედის სამფლობელოს. როცა ლედიმ თავისი თვალთ ნახა, რომ ძლიერი რაზმის თანხლებით იყვნენ მოსული სტუმრები, სერ ივეინს წინ გადაუდგა და არაფრის გულისათვის მათთან მოსალაპარაკებლად დაბლა არ ჩაუშვა. სერ ივეინი იძულებული გახდა, ძმებს ციხის გოდოლიდან დალაპარაკებოდა. ძმებმა მიტაცებული მამულის ნებით დათმობაზე მტკიცე უარი განაცხადეს, არაფერმა არ გაქრა, არც შეგონებამ და არც რაინდთა ორდენის კანონების შეხსენებამ.

— რა გაეწყობა, — უთხრა მათ დაბოლოს სერ ივეინმა, მაშინ ერთ-ერთ თქვენგანს შევებრძოლები და დავიმტკიცებთ, რომ კლდის მფლობელი ლედის წინაშე მართალნი არა ხართ.

— ეგ არ მოხდება, — ერთხმად შესძახეს ძმებმა, — თუ ჩვენ ორთაბრძოლაში ჩავებმით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ორივენი ერთად შეგებრძოლებით. ჩვენ ასეთი ჩვეულება გვაქვს, ერთის წინააღმდეგ მუდამ ორივენი ვიბრძვით ხოლმე. თუ ჩვენი პირობა ხელს გაძლევთ, მაშინ დანიშნულ ადგილზე, დათქმულ დროსა და საათზე გეახლებით. თუ ძლევთ თქვენ დაგრჩებათ, ეგ ქალბატონი თავის მიწებს უკან დაიბრუნებს.

— ძალიან კარგი, — უთხრა სერ ივეინმა, — მოემზადეთ და ხვალ აქ გამოცხადდით, შეგებრძოლებით და კლდის მფლობელი ლედის კანონიერ უფლებებს მე დავიცავ.

### თ ა ვ ი ო ც დ ა ა მ ა ზ ვ ი დ ე

აქა ამავენი, როგორ შეეპოვოდა სერ ივეინი ორ ძმას და როგორ დაამარცხა ისინი

ორივე მხარემ ფიცი დადო, რომ ჭეშმარიტად რაინდულად, პატიოსნად და ყოველგვარი მზაკვრობის გარეშე ებრძოლათ. მერმე ძმები გაემგზავრნენ, რათა ბრძოლისათვის მომზადებულიყვნენ.

იმ ღამეს სერ ივეინი დიდ პატივისცემაში იყო. მეტად კარგად უმასპინძლეს, მერმე საწოლში ჩააწვინეს და წყნარად მოასვენეს. დილით იგი ადრე ადგა, დილის ლოცვა მოისმინა, ისაუზმა, ციხე-კოშკის ალაყაფი უკან მოიტოვა და დათქმულ ტბის პირას მივიდა, სადაც ძმები უკვე ელოდებოდნენ. ძმები შუბებმომარჯვებულნი გამოემართნენ სერ ივეინისაკენ, შუბები შესტყორცნეს და ზედ შეამსხვრიეს. სერ ივეინმა კი ისე აძგერა ლახვარი სერ ედუარდს, რომ ის უბედური უნაგირიდან ჯერ მაღლა ავარდა, მერე ცხენს მთელ სიგრძეზე გადაევლო და მიწაზე გაიშხლართა. სერ ივეინმა ლახვარი მოსინჯა, რაწამს დარწმუნდა, არ ვატეხილაო, ცხენი ქუსლების ამოკვრით გააფიცხა, სერ პიუსაკენ დაიძრა, ლახვარი აძგერა და ძირს დასცა. ცხენებიდან ძირს ჩამოყრილი ძმები



გონს მალე მოეგნენ, ფარები მოიმარჯვეს, ხმლები იწიშვლეს და სერ ივეინი ახლა ქვეითად გაიწვიეს ხმალში, თან იმას გაჰყვიროდნენ, ბრძოლა ბოლომდე დათქმულიო.

სერ ივეინი ცხენიდან ჩამოხტა, იმანაც დარაკი მოიმარჯვა, ხმლები ქარქაშიდან ამოაძრო, ძმებს მიეჭრა და შეიქმნა ბასრ მახვილთა ავეთუბა და წიხტა წიხტნი. პირველად ძმებმა სერ ივეინი ისე მაგრად დაჭრეს, რომ კლდის მფლობელმა ქალმა იფიქრა, არ გადარჩებაო. დაჭრილმა სერ ივეინმა ბრძოლა განაგრძო. გონი და გაგება არც ერთ მხარეს აღარა ჰქონდა. მთელი ხუთი საათი ასე იბრძოლეს. ამასობაში სერ ივეინმა იყოჩაღა, ჩაფხუტში ისე მძლავრად დაჭრა სერ ედუარდს, რომ კენჩხაც გაუპო და იქიდან ასხლელილმა ხმალმა ლავიწსაც უწია. ამის დანახვაზე სერ ჰიუ წახდა და ილათიანად ვეღარ იბრძოდა, — სერ ივეინი კი უფრო და უფრო მძლავრად მიეტია. სერ ჰიუმ იფიქრა, აღსასრული მომიახლოვდაო, დაიჩოქა, გნებდებოო, უთხრა და ხმალი ტარით გაუწოდა. სერ ივეინმა რაინდულად ჩამოართვა ხმალი, ფეხზე დააყენა, ხელი გადაჰხვია და ციხე-კოშკში ხელგადახვეულნი შევიდნენ.

კლდის მფლობელი ლედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, სერ ჰიუ კი საყვარელი ძმის დაკარგვით ღმუნავდა და გოდებდა, ლედის თავისი მამული დაუბრუნდა. სერ ჰიუს კი ებრძანა, სამეზობა დღეს მეფე ართურის კარზე გამოცხადებულყო. სერ ივეინმა კლდის მფლობელი ლედის სახლში მთელი ექვსი თვე იცხოვრა. იგი ჭრილობებმა იშუშებდა, ისვენებდა და მკურნალობდა. ამასობაში სერ მარჰაუსთან და სერ გავეინთან შეხვედრის დათქმულმა დრომაც მოაწია. ისინი ხომ ერთმანეთს გზაჯვარედინზე უნდა შეხვედროდნენ. სამივე რაინდი იქით გაეშურა, რათა კვლავ ერთად შეყრილიყვნენ და პირობა შეესრულებინათ.

თავი ოცდახუთე

აბა ამბავი, როგორ შეიყარნენ ერთად წლის დასასრულს ისევ იმ შპაროსთან სამივე ძალწული და სამივე რაინდი

სწორედ ერთი წლის თავზე, როგორც დათქმული ჰქონდათ, სამივე რაინდი სამი ქალწულის თანხლებით წყაროსთან შეიყარა. იმ ქალწულს, ვინც სერ გავეინმა აირჩია თანმხლებად, სერ გავეინის რაინდულ ღირსებაზე ძალიან ცოტა რამ ჰქონდა სათქმელი. წყაროს თავთან ისინი ქალწულთ განშორდნენ, ტყის ტევრს შეერიენ და მალე მეფე ართურის მაცნეს გადაეყარნენ. მანვე შეატყობინა რაინდებს, რომ მეფეს დიდი ხანია მათ ძებნაში შეჭერებული აქვს მთელი ინგლისი, უელსი და შოტლანდია. ნაბრძანები მაქვს, თუ სადმე გიპოვნიდით, — მიმართა მან სერ ივეინსა და სერ გავეინს, — თქვენთვის მეთქვა, რომ მეფის კარზე მისვლა დაგეჩქარებინათ. — ასეთი ამბის მოსმენამ ორივე რაინდი გული სიხარულით აავსო. ორივენი იმწამსვე მიუბრუნდნენ სერ მარჰაუსს და მეფე ართურის კარზე მიიპატიყეს.

მეთორმეტე დღე ილეოდა, როს რაინდები კამელოტის სანახებს მიადგნენ, მათ დანახვაზე მეფემაცა და სამეფო კარზე ყველამ გულით გაიხარა. მეფე ართურის ბრძანებით იმათ ბიბლიაზე ხელდადებულთ ფიცის ქვეშ გულმართ-



ლად უნდა მოეთხოვროთ, რაც თორმეტი თვის მანძილზე თავს გარდახდათ. ასეც მოიქცნენ. ართურის კარზე სერ მარკაუსს კარგად იცნობდნენ. მასთან ბევრს ჰქონდა გადახდილი ორთაბრძოლა და იგი მთელ ქვეყნიერებაზე უბედულო რაინდად იყო აღიარებული.

სამების დღესასწაულის წინადღით ტბის მფლობელმა ლედიმ<sup>ქვეყნის მფლობელი</sup> უნდა სერ პელეასის თანხლებით ჩამოვიდა. დღესასწაულის დღეებში დიდი ტურნირები მოეწყო. ყველა რაინდი იმ ტურნირზე სერ პელეასმა დაჯაბნა. შეჯიბრება ისე წარიმართა და დამთავრდა, რომ ტურნირის შედეგების მიხედვით თვითონ სერ მარკაუსიც კი მეორე რაინდად აღიარეს. სერ პელეასი ისე მარჯვედ ირჯებოდა, რომ მის ლახვართა ძვერებას თითქმის ვერავინ გაუძლო. მეორე დღესასწაულზე სერ პელეასი და სერ მარკაუსი, ორივენი, მრგვალი მაგიდის რაინდებად აკურთხეს. მრგვალი მაგიდის გარშემო სწორედ რომ ორი ადგილი იყო, ბრძოლებში მოკლულ რაინდთა გამო თავისუფალი.

მეფე ართურმა დიდი ალერსით მიიღო ახლად ნაკურთხი რაინდები. სერ პელეასს, ის დღე იყო და ის დღე. ჭირივით შესძულდა სერ გავეინი და თუ მის ამქვეყნად არსებობას ითმენდა, — მეფე ართურის ხათრითა და პატივისცემით. მხოლოდ თამაშობებზე და ტურნირებზე თუ იყრიდა ხოლმე მის ჯავრს და რამდენჯერმე ჰკუთაც ასწავლა, როგორც ეს მოთხრობილია ფრანგულ წიგნში.

ამ ამბების მერმე კარგა ხანი გავიდა. ერთ-ერთ კუნძულზე სერ მარკაუსი და სერ ტრისტრამი შეიბნენ. მათ შორის დიდი ბრძოლა გაიმართა, რაც ბოლოს და ბოლოს ტრისტრამის გამარჯვებით დასრულდა და მან მოკლა სერ მარკაუსი. თვითონ სერ ტრისტრამიც ძალიან დაშავდა. მთელი ექვსი თვე იწვა მონასტერში მონაზვნებთან და კარგი მოვლა-პატრონობა რომ არა, ვინ იცის, რითი მოთავდებოდა საქმე.

სერ პელეასიც სახელგანთქმული რაინდი იყო. ის გახლდათ ერთი იმ ოთხთაგანი, ვინც წმიდა გრაალის\* თასის რაინდობას მიაღწია.

ტბის მფლობელმა ლედიმ თიფის<sup>ქვეყნის მფლობელი</sup> მფლობელისმით იმას მიაღწია, რომ სერ პელეასი და სერ ლანსელოტი ბრძოლაში ერთმანეთს არ შეებნოდნენ. როს სერ ლანსელოტი რომელიმე ტურნირში იღებდა მონაწილეობას, ტბის მფლობელი ლედი ისე აწყობდა საქმეს, რომ სერ პელეასი იმ დღეს იქ საერთოდ არ იმყოფებოდა, ანდა, თუ იყო, ლანსელოტის მხარეზე იბრძოდა.

აქ თავდება ეს ამბავი, როგორც ეს მოთხრობილია ფრანგულ წიგნში. იგი მეფე ართურის ქორწინებიდან დაიწყო, მეფე ართურის ზეობის ამბებსაც გადასწვდა. ტახტზე მეფე ართურმა შეცვალა მეფე უთრი, დიდხანს მართა ქვეყანა, მრავალი გამარჯვება იზეიმდა და მრავალბრძოლაშიც გაიმარჯვა.

ეს წიგნი თავდება სერ ლანსელოტისა და სერ ტრისტრამის გამოცხადებით სამეფო კარზე. ის, ვინც მოინდომებს თხრობის გაგრძელებას, იმან უნდა სხვა წიგნი მოძებნოს მეფე ართურზე, სერ ლანსელოტზე, ან სერ ტრისტრამზე. ეს წიგნი კი ტყვე-რაინდმა თომას მელორიმ გაასრულა, რისთვისაც იგი ღვთისაგან სულის დახსნასა და შენდობას ითხოვს. ამინ.

\* რაინდი პელეასი იყო წინევის შეყვარებული, ხოლო მეფე პელეასი იყო მეფე პელამის ვაჟიშვილი. ერთსაცა და მეორესაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ წმიდა გრაალის თასთან, მაგრამ წმიდა გრაალის თასის რაინდები ისინი არ იყვნენ.



მოთხრობა კათილზოგილ მეფე ართურის თუ როგორ შეიქმნა იმპერატორად თავისი სიმაგონის წაღობით



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი პირველი

აქა აშხაპი, თუ როგორ ჩამოვიდა რომიდან თორგობი მოხუცი ელჩი და მოითხოვა ხარკი

როს ართურ მეფემ გვინივერაზე ჯვარი დაიწერა, მრგვალი მაგიდის გარშემო ყველა ადგილი შეავსო, თავისი ჩინებული რაინდებით ყველა თავისი მტერი სძლია და დააჩოქა, მას მერე გამოცხადდა მის კარზე სერ ლანსელოტ ტბელი. ამ რაინდს, ხალხში როგორც იტყვიან, ფეხდაფეხ მოჰყვა სერ ტრისტრამი. მეფე ართურმა მრგვალი მაგიდის გარშემო დიდი სამეფო წვეულება გამართა.

მერმე ის იყო, რომის სახელმწიფოს პროკურატორისა იმპერატორის ლუციუსის გამოგზავნილი ელჩები მოუვიდნენ, რომის ელჩებმა მისგან იმ ხარკის გადახდა მოითხოვეს, რომელსაც ჯერ კიდევ მეფე ართურის წინაპრები იხდიდნენ. როს მეფე ართურმა გაიგო, რასაც მოითხოვდნენ მისგან, ელჩებს ცეცხლის მკვესავი, რუხი ფერის თვალნი შეანათა და ძალზე გაჯავრდა. ელჩიონი მეფის მრისხანე გამომეტყველებამ შეაკრთო და შეაშინა. ისინი ცახცახმა აიტანა, მუხლებზე დაემხნენ და წამოდგომა ველარ გაბედეს.

როგორც იქნა, ელჩიონიდან ერთ-ერთმა გაბედა კრინტის დაძვრა: — გვირგვინოსანო მეფევ, ელჩების შეურაცხყოფა ვერაფერი ვაქცაობაა, ჩვენ აქ მისი იმპერატორობით უდიდებულესობის ნებით მოვედით, როგორც მისი ერთგული და ქეშმარიტი მსახურნი.

მერმე დამპყრობელმა დასძრა სიტყვა:

— თუ შენ საცოდავი და მხდალი რაინდი არა ხარ, ჩემმა გამომეტყველებამ როგორ შეგაშინა? ამ დარბაზში ისეთი რაინდები სხუდან, ვის შეზუღვასა და თვალის გასწორებას მრისხანების უამს შენ, მოხუცი საჭურველო რომ შეზგვენ, მაინც ვერ გაბედავ.

— სერ, — წინ წამოდგა ერთი სენატორი, ქრისტევ შემეწიერ, თქვა და ძვედრებელი თვალნი მალლა აღაპყრო, — თქვენი სახის დანახვაზე ისე შევშინდი, რომ გული გამეყინა, სიტყვა ველარ დავძარი და დანაბარებ და მთავარი ამბავი ვერ გადმოგეცით. ამჟამად ჩემი სურვილი და ნება ის გახლავთ, რომ ჩემზე დაკისრებული მოვალეობა აღვასრულო, რომის იმპერატორი ლუციუსი სალამს მოგიძღვნით და სასჯელის მუქარით გიბრძნებთ კუთვნილი ხარკი გაუგზავნოთ. ის კუთვნილი ხარკი, რასაც მამათქვენს უთრ პენდრაგონიც იხდიდა. თუ ხარკს არ გადაიხდით, ჩამოგერთმევათ სამფლობელო მამულები, სამეფო და სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების დამრღვევად და მოჯანყედ იქნებით გამოცხადებული, რაკილა კენხარს არ მოუზღავთ კეიხარისას და არ გადაიხდით იმას, რაც თქვენგან ერგებათ. გამოცხადებული იქნებით იმ კანონების დამრღვევად, რაც თქვენი ქვეყნის დამპყრობელმა სულდიდმა, სახელგანთქმულმა და ღირსეულმა იულიუს კოსარმა დაადგინა.

— გასაგებია და კარგად ჩამოაყალიბე ის, რაცა თქვი, — უთხრა სენატორს მეფე ართურმა, — თუმცა მუქარით აღსავსე და საზღვარს გადასული იყო ეგ სიტყვა, პასუხისათვის მე მაინც არ ავჩქარდები. შენცა და მთელს ელ-



ჩიონს შვიდი დღე მოვიწევთ პასუხის მოლოდინი. პირველ ყოვლისა, ჩემი რჩეული რაინდები უნდა მოვიწვიო, დავეთათბირო, სასახლეში უნდა მოვუხმო პერცოგებს, ჩემს დამორჩილებულ მეფეთ, ბარონებს, გრაფებს, ჩემს სწავლულ, გონითა და აზრით ამაღლებულ ბრძენთ, მოვესაუბრო, რჩევა ვკითხო, უნდა განვსაჯოთ, განვბრჭოთ ყოველივე, მისხალ-მისხალად დაწინაურდეთ და, როს გადაწყვეტილებას მივიღებთ, თქვენს მოთხოვნაზე ისეთ ამომწურავ პასუხს გაგცემთ, როგორსაც საჭიროდ ჩავთვლი.

როს ახალგაზრდა რაინდების ყურს მისწვდა ელჩიონის ჩამოსვლის მიზანი, რაინდებმა მათი დახოცვა მოიწყადინეს. ყველა ჩვენგანის შეურაცხმყოფელია ის, რომ ჩვენს მეფეს ასეთი კადნიერი მოთხოვნები წაუყენესო, გაიძახოდნენ ისინი. ვინც ელჩებს ვნებას მიაყენებს ან სიტყვით შეურაცხყოფს, სიკვდილით დაისჯებაო, შეუვალად განაცხადა მეფე ართურმა და ყველანი ჩააწყენარა.

სულდიდმა მეფემ სერ კლეგისს დაავალა ელჩიონისათვის მიეხედა. სადგომი, სასმელ-საჭმელი, მომსახურება ყველაფერი უმაღლეს დონეზე უზრუნველყავით, მათ ძარღვებში ხომ მეფური სისხლი ჩქეფსო, ბრძანა გვირგვინოსანმა. არც პაესა და არც მეჭინიბეს არ ვაპატიებ, თუ ელჩებს რამე აწყენინესო, ერთხელ კიდევ გაათრთხილა დამსწრენი მეფემ.

— და თუმცა მეც შეურაცხმყვეს და სამეფო კარიც, ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ, რათა ჩვენი ღირსება არ დაეცეს.

ელჩიონს მდიდრულ სადგომებში შეუძღვნენ და გულუხვად გაუმასპინძლდნენ. რომაელნი განაცვიფრა მათმა საქციელმა.

მეფემ სათათბიროდ იხმო თავისი სახელოვანი ბარონები და რაინდები. ისინი სასახლის კოშკში შეიკრიბნენ. მრგვალი მაგიდის რაინდები თითქმის ყველა აქ იყო. გასაბრჭობად დასხდნენ და მეფემ ბრძანა, ყველას გამოეთქვა კარგად აწონილ-დაწონილი მოსაზრება ელჩიონის მოტანილი ამბის ირგვლივ.

— სერ, — წამოიწყო კადორ კორნუელელმა და მეფეს მიმართა, — მე თუ მკითხავთ, მძიმე საქმედ არ მეჩვენება ელჩიონის მოტანილი ამბავი, რადგან საკმაოდ დასვენებულნი კარგა ხანია მშვიდობიანად ვცხოვრობთ. მეტსაც მოგახსენებთ: მიხარის კიდევ, რომ იმპერატორმა ლუციუსმა ასეთი ელჩიონი გვიახლა. ჩვენ ვიომებთ და სახელსა და დიდებას მოვიზივებთ.

— ქრისტეს ვფიცავ, — მაშინვე უბასუხა მეფემ, — ვიცი, რომ შენ ჭეშმარიტად გახარებს ომი და ლუციუსის წერილი. მაგრამ ელჩებსაც ხომ მაგდაგვარ პასუხს ვერ გავცემთ. რომაელთა მოთხოვნამ შიგ გულში დამჭრა. ეგენი ჩვენგან ხარკის მიცემას ვერ ეღირსებიან. ჩემო კეთილო რაინდებო, ქრისტეს გულისათვის, მირჩიეთ რამე, რადგან ქრონიკებში მაქვს ამოკითხული, რომ ჩემი წინაპრები სერ ბელინი და სერ ბრინი\*, დაბადებულნი ინგლისში, ას სამოც წელს ფლობდნენ იმპერატორის ტახტს, მათ მერმე კი ჩვენი ნათესავი, დედოფალ ელენე ინგლისელის შვილი, კონსტანტინე მეფობდა. ეს ის კონსტანტინე გახლავთ, ვინც ხელთ იგდო ცხოველი სვეტი, რომელზეც მაცხოვრის ჯვარცმა მოხდა. დიახ, ჩემი გვარ-გუჯაბი, ჩემნი თვისტომნი, ჩემი წინაპრები იმპერატორები იყვნენ და იმპერატორის გვირგვინის მფლობელნი. ასე რომ, ჩვენი უფლებები მთელი რომის იმპერიაზე ვრცელდება.

\* სერ ბელინი და სერ ბრინი — ინგლისის ლეგენდარული მეფეები. მოხსენიებულნი არიან ლათინურ „ბრიტანეთის მეფეთა ისტორიაში“. კონსტანტინე დიდი, ელენე ინგლისელის ვაჟი-შვილი, რომის იმპერატორი 306-337 წწ.



თავი მეორე

როგორ აღუთქვას მფეიბა და ლორღეა მფე ართურს რომის  
წინააღმდეგ ომში თანადგომა



ქართული

მერმე მეფე ანგვისანსი წამოდგა და მეფე ართურს უთხრა: — სერ, საერთო მტრის წინააღმდეგ ყველა ქრისტიანი მეფის მეთაურობა თქვენ უნდა იკისროთ. თქვენი გონებრივი შემართება და რაინდული სიმამაცე არის ამის საფუძველი და თავმდეები. მას მერმე, რაც თქვენ გამეფდით, შოტლანდიას ნაენები აღარ მოსვლია. რომაელთა მმართველობის უამს კი ჩვენს ხალხს უწყალოდ ძარცვავდნენ და სიცოცხლის სახსარი აღარავისა ჰქონდა. წმიდა მარიაშისა და ქრისტეს წინ მინდა შემოგფიცო, რომ მე მზადა ვარ, ვაზღვევინო რომაელებს მათი ცოდვები. ბრძოლაში მხარის მოსაცემად კი ოცი ათას გაწვრთნილ, ნამდვილ მეომარს მოგიყვან. მათი შენახვისა და გადაყვანგადმოყვანის ხარჯებსაც მე ვიკისრებ, თავიანთი ბარგი-ბარხანიანად ორ გემში მოვათავსებ და საითაც გინდა, საჭე იქით მიმართე.

მერმე მცირე ბრიტანეთის\* მეფემ აიღო სიტყვა:

— სერ, ნუ დააყოვნებთ უცხოელთათვის ღირსეული პასუხის გაცემას, ჩემი მხრივ, ოცდაათ ათას კაცს გამოგიყვან. ლაშქარი უზრუნველყოფილი იქნება სურსათ-სანოვავით.

— კარგი ნათქვამია, — უთხრა მეფე ართურმა.

მერმე დასავლეთ უელსის ლორღმა, ძალგულოვანმა ჰერცოგმა წარმოთქვა:

— ღვთის წინაშე ვდებ ფიცს, სამაგიერო მივუზღა რომაელებს. მე გავაგზავნი იქ ჩემს რაზმსა და რომის ვიკონტს კუდიტ სულ ქვას ვასროლინებ. როს წმინდა მიწის მოსახილველად და თაყვანსაცემად ვიყავი, გზად პონტტრემოლი გავიარე. ვიკონტი ტოსკანაში იმყოფებოდა. ჩემი რაინდები დაატყვევა და ტყვეობიდან თავდასახსნელად უზომო თანხა გამოსძალა. ამის თაობაზე თვითონ ყოვლისშემძლე რომის პაპთან ვიჩივლე. მოქარგული სიტყვების მეტი დახმარება მე იქიდან არ მიმიღია. სხვა შემწე რაინდთა დასახსნელად რომში აღარ მიძებნია და სულიან-ზორციანად შეურაცხყოფილმა ჩემი გზა განვაგრძე. მათზე შურისგებისათვის ოცდაათი ათას მამაც ეულსელს შევყრი და ჩემი ხარჯით გაახლებთ.

დამპყრობელის ახლო ნათესავებმა ირლანდიის, არგაილის და სხვა კუნძულთა მფლობელებმა სერ ივეინმა და მისმა ვაჟიშვილმა იდრისმა მიმართეს მეფე ართურს: — ქრისტეს წინაშე ვდებთ აღთქმას, ლომბარდიის გზით მოვალთ მილანის კედლებთან, იქიდან კი პონტტრემოლის გავლით ვიტერბოს ველზე გავინავარდებთ და ლაშქრის გამოსაკვებად სარჩო-საბადებელს იქ ვიშოვით. რომაელებს რომ სამაგიერო ვაზღვევინოთ, ოცდაათი ათას გამოცდილ მოლაშქრეს მოგგვრით.

მერმე ახალგაზრდა ლანსელოტ ტბელი წამოხტა ფეხზე, მეფე ართურს მიმართა და გულლიად თქვა: მართალია, ჩემი მამული შენი მტრების სამფლო-

\*დიდი ბრიტანეთის საპირისპიროდ მცირე ბრიტანეთი, საფრანგეთის ბრიტანეთი. რომაელთა ბატონობის უამს არმარია ეწოდებოდა. თანამედროვე სახელწოდება მას მერე მიიღო, რაც ბრიტებმა და კელტური მოდგმის სხვა ტომებმა დაიპყრეს.



ბელოებს ეკერის, მაგრამ შენდა სამსახურად, ვფიცავ, მეფევ, თავი არ დავზოგო და ჩემი სისხლისანი ოცი ათასი მუზარადიანი ვაჟკაცი მოგვგვარო. ისინი, ვიდრე პირში სული ედგმებათ, არ გიღალატებენ.

სერ ლანსელოტ ტბელის ცეცხლოვანი სიტყვის შემდეგ სერ ჰეუდიუინი წამოდგა და მეფეს ღიმილით უთხრა: — ფიცს გაძღვევთ, მეფე, ათასი ლომივით გააღმასებული უღალატო ვაჟკაცი მოგვგვაროთ.

— ყველასათვის მადლობა მომიხსენებია, — თქვა მეფემ, — გულითა და სულით გწირავთ მადლობას. თქვენს შემხედვარეს, აგრე მგონია, რომაელები შეინანებენ ამაყი ელჩიონის ჩვენთან გამოგზავნას.

როს შვიდი ღამე მიინავლა, სენატორებმა მეფისაგან პასუხი ითხოვეს.

— რაკი ასე გინდათ, პასუხი იქნება, — თქვა მეფემ. — გადაეცით თქვენს იმპერატორს, რომ ჩემი გულადი რაინდებით, რაც შეძლება მექნება, ვიჩქარებ რომისაკენ. ვეცდები ჩემი მრგვალი მაგიდა იმ მდინარის ნაპირზე დავდგა, რომელზეც რომია გაშენებული. თან თხუთმეტ სამეფოში ამორჩეულ რაინდებს ვიახლებ. მათთან ერთად დავლაშქრავ თქვენს მთებსა და ველებს. ჩემი ლომების თანხლებით ამაყი მილანის კედლებს მივადგები და იქიდან რომში ჩამოვალ. აი, ჩემი პასუხი. ახლა კი გუდა-ნაბადი აიკარით და აქედან მალე მოპკურცხლეთ. შვიდი დღე მომიცია იმისათვის, რომ სენდუიჩამდე ჩაადწიოთ. იჩქარეთ, ესაა ჩემი რჩევა, ცხენებს ნუ დაზოგავთ, მხოლოდ უიტლანგის ვზით იარეთ, სხვა გზაზე ნუ გამოჩნდებით. სად დაგიღამდეთ, სოფელი ადგილი იქნება თუ ველ-მინდორი იქვე გაითენეთ. ღამით ადგილიდან ფეხს ნუ მოიცვლით, თორემ აქაურებს არ უყვართ უცხოელები. თუ რომელიმე თქვენგანი გზიდან გადაუხვევს, ან ჩვენი ქვეყნის საზღვრებს შვიდ დღეში არ დატოვებთ, ტყვეობიდან თქვენს დასახსნელად არა ოქრო არ იკმარებს.

— სერ, — უპასუხეს სენატორებმა, — ძალზე მძიმე პირობებს გვიყენებთ, ჩვენ თავისუფალ უხიფათო გზას მოვითხოვთ.

— გზა გექნებათ, მცველები თქვენ არა გჭირდებათ, მეფის კანონები დავიცავთ.

ისინი კარლაილიდან გამოვიდნენ და გეზი სანდუიჩისაკენ აიღეს. მთელი ქვეყნის გასავლელად შვიდი დღე უნდა ეკმარათ. თან სერ კადორი მიჰყვებოდათ. სენატორები არც თავს იზოგავდნენ და არც ცხენებს, ქალაქიდან ქალაქამდე ჭირაობდნენ მარქაფა ცხენებს და თავდაუზოგავად მიაქენებდნენ. როგორც იქნა, მეშვიდე დღეს, მზის ჩასვლისას, ელჩებმა სანდუიჩს მიატანეს. ალბათ ამაზე ჩქარა თავის სიცოცხლეში არ უვლიათ.

იმ ღამესვე ელჩები გემში ჩასხდნენ, ინგლისის სანაპიროს გამოეთხოვნენ და ფლანდრიაში ჩავიდნენ. იქიდან მაღალი მთა გოდარდი გადალახეს, ლომბარდია და ტოსკანა გადაიარეს, რომში იმპერატორ ლუციუსს ეახლნენ, მეფე ართურის წერილი ჩაუტანეს და თან მისი გულადობის ამბავი მოახსენეს.

როს იმპერატორმა ლუციუსმა წერილები წაიკითხა, განრისხებისაგან ღამის ჭკუა დაკარგა.

— მე აგრე მეგონა, — უთხრა მან ელჩებს, — ართური მოვისმენდათ, და თვითონ მოგემსახურებოდათ, რადგან ყველა ქრისტიანი მეფე მოვალეა ჩემგან გაგზავნილ სენატორს მოუსმინოს და დამორჩილდეს.

— სერ, — უპასუხეს იმპერატორ ლუციუსს სენატორებმა, — სიტყვით იმ ხალხთან ვერას გააწყობთ. ცოცხლები რომ გადავრჩით, ღვთის ნება-სურ-



ვილი იყო და ალბათ გადარჩენისათვის მთელი სიცოცხლე უნდა მადლობა ვწიროთ უფალს. გვერწმუნეთ, იმაზე ავი მტერი თქვენ არ გეყოლებათ, ნურც ეძიებთ მასთან შეხვედრას. ნახევარი წელი არ გაივლის, რომ თვითონ მოგადგებათ კარზე, რაკილა იმპერატორად გახდომა სწადია. პირდაპირა თქვა, თითქოს თქვენ ათასგვარი ხრიკებით მოგეპოვებინოთ მბრძანებლის ქვანტან შოლოძისი წინაპარნი, მამამის უთრის გარდა, თითქოს ყველანი რომინ იმპერატორები ყოფილიყვნენ.

მბრძანებლებს შორის, რაც კი ქვეყნად გვინახავს, ეგ ყველაზე უფრო დიდი მეფეა. ახალ წელს მაგის მრგვალ მაგიდას ცხრა მეფე და დედამიწაზე რჩეულთა შორის რჩეული რაინდები უსხდნენ. ისინი არც ჭკუა და გონებაზე არიან მწყრალად, მკვერმეტყველნიც გახლავან. მამაცნიცა და მდიდარნიც, სწორედ ამიტომ, ჩვენი რჩევა ასეთი იქნება: გულით მისანდო ხალხი შევკრიბოთ და თქვენი საბრძანებლის განაპირა მხარენი გავამაგროთ. იქ გავაგზავნოთ დამორჩილებული მეფენიცა და პერცოგებიც. ყველაზე მეტად კი ალემანის მთათა უღელტეხილები უნდა შევკრაოთ და ჩავხერგოთ.

— აღდგომა დღეს, — წამოიწყო იმპერატორმა ლუციუსმა, — განზრახული მაქვს ალემანში შევიჭრა, იქიდან საფრანგეთს შევესიო და მისი კუთვნილი მიწები მოვარბიო. თან უნდა გენუელი გოლიათები ვიახლო. თითოეული მათგანი ას რაინდს არ დაუდებს ტოლს. რაც შეეხება უღელტეხილებს, ჩემი რჩეული რაინდებით ჩავკეტავ და ჩავრახავ.

იმპერატორმა ლუციუსმა თავისი ჭარმაგი და ბრძენი რაინდები წარგზავნა ელჩებად ამბეგიაში, არაგიაში,\* ინდოეთში, ალექსანდრიაში, ერმონიაში, იქ, სადაც მდინარე ეფრატის წყალი მდინარებს, აზიასა, აფრიკასა და ევროპაში, ერეტანიაში, ელამითში, არაბეთში, ეგვიპტეში, დამასკოში, დამიაკში, ყველა სახელოვან დუკასთანა და მთავართან დაიგზავნენ ელჩიონები. მისი წარგზავნილები ჩავიდნენ კაპადოკიის მეფესთან, ტარსის და თურქეთის მბრძანებლებთან, პონტოსა და პამპოლიის ხელმწიფეებთან, ყოვლად წმიდა იოანეს\*\* ქვეყანაში, სუდანში, სირიაში, ნეროდან ნაზარეთამდე, საბერძნეთიდან გალიამდე, სადაც სარკინოზები რომის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ. და იწყეს მოსვლა დამორჩილებული გაღერებით. კვიპროსის მეფეც ეახლა, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ბერძნებიცა და მაკედონიის ხელმწიფეც, მეფენი და პერცოგნი კალაბრიისა და კატალონიისა, პორტუგალიის მეფე მრავალ ათას ესპანელთან ერთად ჩამოვიდა.

ასე და ამრიგად, შეიკრიბნენ მეფენი და პერცოგები. სულ თექვსმეტი მეფე შეგროვდა. ყველანი რომში ჩამოვიდნენ და თან უამრავი ხალხი ახლდათ. როს იმპერატორმა მათი ჩამოსვლა შეიტყო, ბრძანება გასცა, ყველა სახელოვან რომაელს იარაღი აესხა და რომიდან ფლანდრიამდე ყველა მოლაშქრე მზად ყოფილიყო. ლუციუსმა თან იახლა ორმოცდაათი გოლიათი, ისინი განუშორებლად იმპერატორთან უნდა ყოფილიყვნენ. გოლიათები იმპერატორს ართურის მეწინავე რაინდთა დასალეწად ჰყავდა გამიზნული. ცხენებს უჭირ-

\* რომელ ქვეყნებში იქნენ წარგზავნილი ელჩები და დღეს როგორ იწოდებიან ის ქვეყნები, ზოგიერთი დასახელების დადგენა ძნელდება.

\*\* ლეგენდარული ქრისტიანული სახელმწიფო სადაც აზიაში. ბევრ ლეგენდაშია მოხსენიებული, მათ შორის წმიდა გრაალის თასის ამბავში. ერთხელ რომის პაპს ალექსანდრეს იქ ელჩიონიც გაუგზავნია. მაგრამ პასუხი ვერავისგან მიუღია. (1181 წ.).



დათ გოლიათების ტარება. მთელი ამ საშინელი ძალის მხედრობით დაიძრა ლუციუსი ალემანიისაკენ, რათა ართურის მიერ პატიოსანი ბრძოლით დაპყრობილი მიწებისათვის მუსრი გაეცლო და ბრე ედინა.

ლუციუსი კულეინში ჩავიდა, ალყა შემოარტყა ციხესიმაგრეს, მალე გატეხა მეციხოვნეთა წინააღმდეგობა და გასაძარცვავად დაუდგა თავის სარკინოზებს დაუგდო. ლუციუსმა მოკლე ხანში ნაცარტუტად აქცია მეფე ართურის მიერ მეფე კლაუდასისათვის წართმეული მიწები. თავის მოლაშქრეთა ბანაკი ლუციუსმა სამოც მილზე გაშალა. შეყრის ადგილად კონსტანტინეს კუთვნილი ნორძახდია დაასახელა.

— თქვენ იქ ბარფლეტში დამელოდეთ. მე კი მანამდე ბრეტონის საჰერცოგოს მოვსპობ.

### თ ა ვ ი მ ა ს ა მ ე

აქა ამავე იმე ართურის მიერ იორკში კარლამენტის მოწყობისა და ბრძანების გაცემა, თუ როგორ უნდა ემართათ ქვეყანა მის იმ აკოფნაში

ახლა სერ ლუციუსი დროებით დავტოვოთ და მეფე ართურის ამბებს მივუბრუნდეთ. მეფე ართურმა ყველა თავის ქვეშევრდომს უბრძანა, წმიდა პილარის\* დღესასწაულის შემდეგ გალავანშემორტყმულ იორკში შეკრებილიყვნენ, პარლამენტის სხდომაზე. პარლამენტის იმ სხდომაზე დიდი დებატები არ ყოფილა, ძალიან მოკლედ ილაპარაკეს და გადაწყვიტეს მთელი ქვეყნის გემებისათვის მოეყარათ თავი და თხუთმეტ დღეში სენდუიჩში სალაშქროდ მზადმყოფნი ჩასულიყვნენ. — ბატონებო, — მიმართა ართურმა თავშეყრილთ, — მე გადავწყვიტე ხიფათიან გზაზე შედგომა, რაკილა იმპერატორის ტახტის გვირგვინის ხელში ჩაგდება დავისაზე მიზნად, რომელიც ჩემს წინაპრებს ეკუთვებოდა ოდესღაც. ახლა აქ იმისათვის შეგყარეთ, თქვენი ღირსების შესაფერისად მირჩიოთ, როგორ უკეთ მოვაგვაროთ ეს საქმე.

საქმის გასაბრჭობად შეკრებილიყვნენ მეფენი და რაინდები. ბჭობის შედეგად გადაწყდა, ორი მმართველი დაენიშნათ. ერთი მათგანი იყო სახელოვანი და ჭარმაგი რაინდი ბეუდიუინ ბრეტონელი. მასვე ევალეებოდა დათათბირება და წესრიგის დაცვა, მეორე კი გახლდათ სერ კადორ კორნუელელის შვილი კონსტანტინე, ვინც მეფე ართურის სიკვდილის შემდეგ გამეფდა. ლორდთა თანდასწრებით მეფემ ამ ორ ბარონს და დედოფალ გვინივერას დაავალა ქვეყნის მოვლა-პატრონობა.

მეფე მარკ კორნუელელთან დარჩა მშვენიერ იზოლდაზე გამიჯნურებულ სერ ტრისტრამი, რის გამო საოცრად განრისხდა სერ ლანსელოტი.

დედოფალი გვინივერა ძალზე წუხდა მეფისა და ლორდების გამგზავრების გამო. მან გრძნობა დაკარგა და პირფარეშებმა ციმციმ შეიტანეს თავის საწოლ ოთახში.

მეფე ართურმა ღვთის ლოცვა-კურთხევასთან ერთად დაუტევა წმინდა

\* წმიდა პილარის დღესასწაული აღნიშნება 14 იანვარს. არის კიდევ მეორე დღესასწაული წმინდა პილარისა, რომელსაც დასავლეთის ეკლესია 5 მაისს აღნიშნავს.



ინგლისი და დედოფალი სერ კონსტანტინესა და სერ ბეუდიუინს, როგორც უმჯობესად ჩათვლიდნენ. ქვეყანა ამ ორს ისე უნდა ემართა.

როს ცხენზე შეჯდა, ყველას ვასაჟონად მეფემ ასე თქვა:

— თუ ამ ომში სიკვდილი მიწერია, შენ, სერ კონსტანტინე, იქნები ჩემი მემკვიდრე. მამაშენის, სერ კადორის შემდეგ შენა ხარ ჩემი უახლოესი მემკვიდრე. ნათესავი და ჩემი სურვილია ჩემს შემდეგ მეფედ შენ იქნე.

იმავე წამს მეფემ ცხენი შეაბრუნა და სენდუიჩისაკენ გაქუსლა. მრგვალი მაგიდის რაინდები მეფეს იქ დაუხვდნენ გასამგზავრებლად გამზადებულები.

რაც კი შეეძლოთ, ისე სწრაფად ავიდნენ გემებზე, წინასწარ აიყვანეს. დატვირთეს და გადაიტანეს ხომალდებზე მთელი პირუტყვი, საომარი საჭურველი, კარვები, ჩარდახები, საგზალი.

ამას მოსდევს მეფე ართურის სიზმარი.

### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ამა ამბავი, როგორ ჩაჯდა ზემო მუჟა ართური, როგორ იხილა ძილში საკვირველი სიზმარი და როგორ ახსნა მისმა ახლობლებმა ეს სიზმარი

ზღვაზე მგზავრობისას მეფეს ჩასთვლიმა და დაესიზმრა, თითქოს დასავლეთიდან მოფრენილმა საშინელმა ურჩხულმა მთელი მისი ლაშქარი ზღვაში ჩაძირა. ურჩხულს თავი ცისფრად ჰქონდა მომინანქრებული, მხრები — მოოქროვილი, მუცელზე რაღაც საოცარი, ფერად-ფერადი ქერცლი ჰქონდა გადაკრული, კუდი — ნაფლეთებად ქცეული. ფეხები კი შავი ღინღლით დაფარული. ჰანგები სუფთა ოქროსი ჰქონდა. ყელიდან ისეთ საშინელ ალს აფრქვევდა, რომ მიწაცა და წყალიც ცეცხლმოდებული იყო.

ამ დროს აღმოსავლეთის მხრიდან ღრუბლებში შავი, ვეება დათვი აღჩნდა. ფეხები რაღაც უზარმაზარი სვეტებივით ჰქონდა, მთელი ტანი — აბურღული ბანჯგვლით დაფარული და იმაზე საშინელი მხეცი ალბათ ადამიანის შვილს არასოდეს უნახავს. დათვი ისე ღრიალებდა და ავად ბრდღვინავდა, საკვირველი სანახავი და მოსასმენი იყო.

უცებ საშინელი ურჩხული იმ დათვისაკენ შებრუნდა, ქორივით შეინავარდა და დათვს ეცა. საშინელმა დათვმაც გამოიღო ხელი, ეშვებითა და ტორებით შეებრძოლა მტარვალს. ყელ-კისერი და მკერდი სისხლით მოერწყო და ზღვაც წითლად შეიღება. უცებ ურჩხული უკან გახტა, ისევ ზეცაში აფრინდა, დათვის თავზე კამარა შეკრა და ზედ ხერხემალსა და ჯიდაოზე დაახტა. დათვის სიგრძე თავიდან კუდამდე ალბათ ათი ფუტი იქნებოდა. ურჩხულმა იძალა, იმ საშინელ დათვს ჰანგებს ასობდა გვერდებში, პირიდან ამობოლქვილი ცეცხლით სწვავდა მის ძვალსა და ხორცს და ფერფლი ზღვის ზედაპირს ეფინებოდა.

უცნაური სიზმრით შეშფოთებულმა მეფემ გაიღვიძა. ფილოსოფოსნი და ბრძენნი მომგვარეთო, თქვა და, როს ბრძენი წარუდგინეს, სიზმრის ახსნა მოსთხოვა.

— სერ, — წამოიწყო დინჯად ფილოსოფოსმა, — ურჩხული, რომელიც სიზმრად ნახეთ, თვითონა ხართ, იმ მამაც რაინდებთან ერთად, რომლებიც თან გახლავან. ურჩხულის ფრთათა ფერი თქვენს სამეფოში შემავალი



იმ სამეფოების ფერებია, რომლებიც რაინდთა შემწეობით დაიპყარით. მისი დაგლეჯილი, დაფლეთილი კუდი თქვენი მრგვალი მაგიდის რაინდობა გახლავთ. დათვი, რომელიც ურჩხულმა ღრუბლებში გააცამტვერა, თქვენი ხალხის მჩაგვრელ ტორანს, ანდა იმ გოლიათს აღნიშნავს, რომელსაც ორთმბრძოლაში განგძირავთ. თქვენი საშინელი სიზმარი სრულიადაც არაა სწამსი, მშვენიერ ნუ იღარდებთ! პირიქით, მშვიდად იყავით და იმზიარულეთ.

ცუტავა დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე ისინი ნორმანდიის სანაპიროს შიადგნენ. იმავე დინებამ მეფე ბარფლეტში მიიყვანა, სადაც სალაშქროდ მზადყოფი თავისი ბარონები დაუხვდნენ, როგორც თვითონ ჰქონდა აღდგომის კვირახალში ნაბრძანები.

თ ა ვ ი ა ნ ხ უ თ ა

აქა ავგავი. თუ როგორ მოუთხრო ართურს ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებელმა უცნაური გოლიათია შესახებ, როგორ შეეპოვლა მისი გოლიათა და აქლია ორთაბრძოლაში

მეფე ართურს ვილაც გლეხი, იქაური მკვიდრი ეახლა და საოცარი ამბავი უამბო: — სერ, ამ მიდამოებში გამოჩნდა ერთი გენუელი გოლიათი, რომელიც შენს ხალხს ანადგურებს. ამ კაციჭამიამ ხუთასი, შეიძლება კიდევ მეტიც, ბავშვი უკვე გადასანსლა. ეს უკანასკნელი შვიდი ზამთარი დიდი შიშისა და 'ხაფრის ქვეშ გაგვატარებინა. მაგრამ მის მუცელს რა ამოყორავს. კონსტანტინეს სამფლობელოში ყველა ბიჭი მოკლა და შესანსლა. წუხელ მდიდარი ამალის თანხლებით მდინარის პირას მიმავალი ბრეტონიის ჰერცოგის ასული შეიპყრო და აი, იმ მთისაკენ წაიყვანა, რათა თანაეყოს, ვიდრე ქალი სულს გააცხებდეს.

ქალის გამტაცებელს მღევარი ბევრი დაედევნა, მათ შორის ხუთასი ბარონი, მეომრები და სახელოვანი სულდიდი რაინდებიც, მაგრამ დატყვევებულის გამოხსნა გოლიათის ხელიდან არ მოხერხდა. მერედა, რა გულგამგძირავად კიოდა და წიოდა უბედური. განწირული ქალის ზმა ახლაც ყურებში მიდგას და სულს მიშფოთებს. ის ქალი, თქვენი ბიძაშვილის სერ პოუელის ცოლი გახლავთ, თქვენი სისხლიერი ნათესავის და ახლობლისა. როგორც ჩვენს კანონიერ მპყრობელ მეუფესა და მბრძანებელს შეჰფერის, მოწყალება მოიღეთ და იმ საშინელი მტარვალისაგან ის ქალიც დაიხსენით და თქვენს ქვეშევრდომებსაც საშველი დააყენეთ.

— ვაგლახ, — თქვა მეფე ართურმა, — მართლაც დიდი უბედურება დაგტენიათ თავს, ჩემი სამფლობელოს ყველა მამულს დავთმობდი, ოღონდაც ქალის გატაცების ეამხ აქ ვყოფილიყავი და იმ კაციჭამიას ხელიდან დაძებხსნა იგი. ახლა კი, მეგობარო, თუ შეგიძლია, ის ადგილი უნდა მიჩვენო, რაიც იმ მტარვალს თავის ბუნაგად უქცევია. მწამს, რომ ბოლოს მოვუღებ იმ გოლიათს, ვიდრე ვზას გავაგრძელებდე.

დიდო მპყრობელო და მბრძანებელო, — მიმართა გლეხმა მეფე ართურს, — აი, იმ ორ კოცონს თუ ხედავთ? გვერდით ცივ-ცივი ნაკადული მოხუხჩუხებს, სწორედ იქ წააწყდებით იმ წყეულს და ვინძლო, მის მიერ დატაცებული, უამრავი დოვლათი და განძეულიც ნახოთ. იმდენი ქონება ალბათ მთელ საფრანგეთში არ მოიძევება.



— იყუჩე და დამშვიდდი, კეთილო კაცი, — მიმართა მეფემ, — გულიდან მომდინარე შენმა მართალმა სიტყვებმა და ჩუმი საყვედურმა გულს ჩამწყვიტა. — თქვა ეს, უკან გამობრუნდა და კარავში უჩუმრად შევიდა, მერმე სერ კეი და გულადი სერ ბედივერი მხოლოდ თავისთან და უთხრა: მწუხრის მიწურულს თორი და მუხარადი აისხით, კარგად შეიარაღდით, რაღაც ნივთებს ცხენებზე შესხედით და, როცა ღვთისმსახურება გათავდება, გადაწყვეტილი ჰქვას, თქვენი თანხლებით, იღუმალო გავემგზავრო წმინდა მიქელის მთისაკენ. ამბობენ, იქ რაღაც სასწაულს იხილავსო კაცი.

მეფე განმარტოვდა, აბჯარი აისხა და ფართო ვეშაკი შეირჩია. მოაჯირზე მიბმულ ცხენთან მივიდა, აღვირს მიასწვდა, თვალი დახამხამებაში ცხენა ზედ ძოველო, გააჭენა და მალე, დათქმული სიტყვისამებრ, ველზე თავისი უერთგულესი რაინდები იხილა. კარგა ხანს ხმაამოუღებლივ აქენეს ბედაურები, დაბლა ბარაქიანი მოხასხასე მინდორი იყო გადაშლილი, ირგვლივ კი სირთა გალობა არღვევდა მღუმარებას. სწრაფად მიაღწენ მთის ძირს და მეფემ რაინდებს იქ დარჩენა უბრძანა.

— ახლა კი, შორს რომ არსად წავიდნენ, ცხენები ახლო-ახლო დავაბათ. მე მარტო მოვიხილავ ამ წმინდა ადგილს და მოვესაუბრები იმ კაცს, ვინც ამ მთას დაჰპატრონებია.

მეფე მთის მწვერვალზე ავიდა. მაცოცხლებელი ცივი ნიავი ჩაისუნთქა. გავრილდა, შეება იგრძნო, მერმე ორ ნაკადულს შუა იარა, დაინახა ორი მოგიზგიზე კოცონი, აბრიალებული ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა. ერთ-ერთ კოცონს მიუახლოვდა, იქვე ახალი, მიწაშეუმშრალი საფლავი იყო, მის წინ ვიღაც შაოსანი დედაკაცი იდგა, სიმწრისაგან ხელებს იმტვრევდა და გულამოსკვნილი ქვითინებდა. ართური მიესალმა ქალს და აკითხა, რას იგლოვ აგრე ძწარედ და თავს რისთვის იკლავო?

— ვაგლახ, საწყალო რაინდო! — წარმოთქვა ქალმა, — გამბედაობა არ გაკლია! აი, იქა ზის ბორცოტი სული, რომელიც ორივეს ბოლოს მოგვიღებს, შენ უბედურება გელის, საცოდავო! ანდა რას დაეძებ ამ მთის კორტოხზე? შეხისთანა ორმოცდაათიც რომ იყოს, მაშინაც ვერ შეიპყრობდით ამ შეჩვეუბებულს, ანდა რაინდის აბჯარი რისთვის აგისხამს? იარალი აქ არ გამოგადგება, შენს დასალუბად ამ წუნკალს ცარიელი მუშტიც ეყოფა, ამ მიწაში კი ჰერცოგის ულამაზესი ასული ასვენია, ამ წყეულმა შეუბრალებლად იმსხვერპლა იგი, ძალა იხმარა, დაამდაბლა, კიპამდე გახია და მოაკვდინა.

— კეთილშობილო ქალბატონო, — მიმართა მეფემ, — მე სახელოვანი და კეთილშობილი დამპყრობელის ართურის სახელით ვარ აქ მოსული, დავალებული მაქვს მის ქვეშევრდომთა დაწიოკებისათვის სამაგიერო მივუზლა ამ ურჩხულს.

— თავსლავი დავასხი მაგდაგვარ დავალებას! — აღშფოთდა ქალი, — მას არც შენი მეფე მიაჩნია რამედ და არც სხვა ვინმე ძუხორციელი, აი, ართურის ცოლი, ქალბატონი გვინივერა რომ მოგეყვანა, ძალზე გაახარებდი, ეგ ურჩხული გვინივერას ამჯობინებდა ნახევარ საფრანგეთს, რაკი ქალბატონი გვინივერა ვერ მოუყვანე, გირჩევ, თვალით ნუ დაენახვები, იქნებ არც ის იცი, როგორ მოექცა თხუთმეტ გვირგვინოსანს? ძვირფასი თვლებით შემკული ერთი წამოსასხამი შეიკერა და ზედ ყველაზე ძველი დინასტიის მეფეთა წვერი ქობად შემოავლო, სხვა ხარაჯა და ხარკი მეფეთაგან არც მოუთხოვია, მათი



წვერები კი ქრისტეშობის წინ საჩუქრად მიიღო. სხვა გზა არც იმ მეფეებს ჰქონდათ. წვერები ამ ურჩხულს გამოუგზავნეს, რათა თავიანთი ხალხი დაეხსნათ. აქ, ამ კორტოხზე იმიტომ დაიღო ბინა, რომ მეფე ართურის მეუღლე, გვინივერა იგდოს ხელთ, აბა სიმდიდრე რაღა ჯანდაბად უნდა. ამ წუნკალს რომა აქვს, იმდენი განძი არც მეფე ართურს და არც მის წინამორბედს სიზმრადაც არ მოლანდებიათ. ახლა, თუ იმ კოცონთან მიხვალ, სწორედ ჭამის დროს მიუსწრებ, ექვსიოდე ბიჭუნა შეაწვევინა, ზედ მწნილულს, მურაბებსა და ძვირფას ღვინოს აყოლებს. სამი ულამაზესი ქალიშვილი უმზადებს საჭმელს, ჭამას რომ მორჩება, ის გოგონები გვერდით უნდა მიუწვენენ და სამივეს დამდაბლება და სიკვდილი მოელის. ოთხ საათში, რაც გითხარით, ყველაფერი მომთავრებული ექნება. იგი მხოლოდ თავისი ხორცის სიამოვნებაზე ფიქრობს.

— მართალია, თქვენ ძალზე საშინელი ამბები მითხარით, მაგრამ მე დავალებას შაინც აღვასრულებ.

— მაშინ აი, იმ კოცონთან მიდი და იმ ურჩხულს იქ იხილავ.

მეფე ართური ისევ მთის კორტოხზე ავიდა. იქიდან კარგად მოჩანდა, როგორ მისჯდომოდა მაგიდას სრულიად შიშველი გოლიათი მარტოკა, იგი ადამიანის ფეხის ძვალს ხრავდა და უზარმაზარი ბარძაყები ცეცხლისთვის მიეფიცებინა. სამი ქალიშვილი სამ შამფურს ატრიალებდა ცეცხლზე. იმ შამფურებზე მწყრებივით წამოევოთ თორმეტი ახალშობილი. ამ სულის აღმშფოთი სურათის ხილვაზე მეფეს სისხლი ყელში მოაწვა და მრისხანებისაგან ანთებულმა გოლიათს შესძახა:

— ღმერთმა მოგაგოს ის სასჯელი, რასაც შენ იმსახურებ, წყეულო სატანავ! სახით საზარო ტარტაროზო, რას ხეთქავ, აგრემც ეშმაკმა დანთქას შენი სული მაგ ჯოჯოხეთში. რა უფლებითა და მიზეზით დახოცე, კაციჭამიავ, ეგ ქრისტიანი ბაღლები? ზღვა სისხლი გაქვს დაღვრილი და ბევრი ადამიანი გიმსხვერპლია. ახლა კი, წმინდა მიქელის შეწევნით, ყველაფრისთვის აგებ პასუხს. ანლა იმ მშვენიერმა ქალიშვილმა რა დაგიშავა, რომ მხეცურად დაღუპე? ახლა კი დადგა, ძაღლისშვილო, შენი განკითხვის დღე. თუ რამე სამამაკაცო ხნე შეგრჩენია, მოემზადე საბრძოლველად, რადგან ჩემი ხელით გიწერია სიკვდილი!

ღორმეცელა ჯოჯოხეთის მოციქულმა ერთი მხეცურად შეჰღმუვლა. პირად და ტანად მასზე ამაზრზენი სანახავი ალბათ ცოტა რამ თუ არსებულა ქვეყნად. მონადირე ძაღლივით გადმოყრილი ეშვები მოუჩანდა ჩანებიდან, მისი მსგავსი ბილწება ალბათ არც შობილა მთელ დუნიაზე. შესახედაობით თვითონ ქვესკნელის სატანას არ დაუთმობდა პირველობას. თხუთმეტ წყრთამდე სიმადლისა იქნებოდა. არც განი ჰქონდა ნაკლები. იგი ნადირივით უცებ წამოხტა და ხელი ნაჭედი რკინის კომბალს დასტაცა. ამ იარაღით მიეჭრა მეფეს, მოუქნია და სამეფო გვირგვინმა ზრიალი მოიღო მიწაზე. მეფემ ვეშაკი იფარა, ხმალი იშიშველა, შიგ შუბლში აძგერა გოლიათს, ქალა გაუბო და ხმლის წვერმა თავის ტვიანამდე შეაღწია. თითქოს აქ არაფერიყო, გოლიათი ისევ მაგრად უტევდა მეფეს. მეფე განზე გახტა, ოდნავ წელში მოიხარა, ხმალი მოიქნია, გოლიათი ახლა ბარძაყში დაჭრა და სასირცხო მთლიანად მოათალა.

დაჭრილი და სიკვდილისაგან დასუნთქული გოლიათი საშინლად ღრიალებდა, ღმუოდა და უფრო საშინელი ძალით შემოუქნია მეფეს რკინის კომბალი. ამკერად, მიზანი გაუცუდდა, ააცდინა და სამი ფუტის სიღრმეზე მიწაში ჩაარ-



ყო კომბალი. მეფე მიეჭრა და ისეთი ძალით დაჰკრა მახვილი, რომ ქალა გაუხეთქა. სისხლმა იფეთქა და ირგვლივ მიწა-ბალახი წითლად შეღება.

გოლიათმა კომბალი გადააგდო, მეფეს ხელები შემოჰხვია და ისეთი ძალით მოუჭირა, რომ ნეკნებს სულ ლაწალუწი დააწყებინა. ამ ამბის შემყურე უბედურმა ქალიშვილებმა დაიჩოქეს, ხელები მალლა აღაპყრეს და სიკვითლად გადარჩენას ქრისტეს ევედრებოდნენ. შეყვარებულე<sup>ბრწყინო</sup> ჩნქრნებულ<sup>ი</sup> სამკვდრო-საციცოცხლოდ შერკინებულნი მთის კორტოხიდან დაბლა დაგორდნენ. მათთვის აღარც ქვა და ღორღი არსებობდა ამქვეყნად და აღარც ჩირგვები. ისინი მარწუხებივით აკდობდნენ მკლავებს ერთმანეთს, მეფე ართური ხან ზევით მოექცეოდა ხოლმე და ხან ქვევით, ასე იგორეს მთის ძირამდე, ვიდრე იქ ჩუხჩუხით მომდინარე წყლის პირს არ მიაღწიეს. პირველ დაცემაზე ძაღლთაპირ გოლიათს სამი ნეკნი ჩაემტვრა, ვიდრე დაბლა ჩამოაღწევდნენ, მეფემ მოკლე ხანჯალი ვადამდე რამდენჯერმე ჩაასო და კიდევ რამდენიმე კრილობა მიაყენა გოლიათს.

საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ ერთმანეთს მაგრად გადაკდობილი მტრები მთის კორტოხიდან სწორედ იმ ადგილზე ჩამოგორდნენ, სადაც რაინდები ელოდებოდნენ თავიანთ მბრძანებელს. სერ კეიმ პირველმა დაინახა მტერს ჩაფსკვნილ-ჩახვეული მეფე ართური და თქვა:

— ვაგლახ, მგონი სამუდამოდ დავიღუპეთ. ჩვენი მბრძანებელი გოლიათს მაგრად ჩაუბლუჯავს თავის მარწუხებში.

— ნუ გეშინიათ, — წარმოთქვა რაინდების გასაგონად მეფემ, — ოღონდ ეთილი ინებეთ და მომეხმარეთ, სერ კეი, აი, როგორი წმინდა ნაწილები მოვიპოვე მალლა მთის კორტოხზე გამოქვაბულ მღვიმეში...

— მართლა რა მახინჯი ყოფილა, — თქვა სერ ბედივერმა, მეფე გაათავისუფლა და ახლა თვითონ ჩაავლო ხელები გოლიათს, — ნუთუ წმინდა მიქელი ასეთი მახინჯია? მაშინ ჩვენი ღმერთი რატომ ამყოფებს ამასაც ზეცაში? თუ სხვა წმინდანებიც ამდაგვარი შესახედაობისანი არიან, რჯულს გეფიცები, ჩემს სულსა და გულს არც ერთი ახლოს აღარ გაეკარება.

მეფეს ვაეცინა ბედივერის სიტყვებზე და მერმე თვითონ თქვა:

— ეგ წმინდანი ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, ისე ჩამოვათრიე მთის კორტოხიდან. თავი მოჰკვეთეთ, შუბზე წამოაგეთ და ვინც მსახურთაგან უკეთესი მხედარი გყავთ, იმას ჩააბარეთ, რათა სერ პოუელს მიუტანოს, აჩვენოს მტრის მოკვეთილი თავი და გაახაროს. მერმე კი ბარფლეტში, ქალაქის ციხის კედელზე გამოკიდეთ მაგ ურჩხულის მოჭრილი გოგრა, რათა მთელმა ქვეყანამ ნახოს, თქვენ კი ორივენი მთის კორტოხზე ადით, ჩემი ხმალი და ვეშაქი აქ ჩამომიტანეთ. მაგისი რკინის კომბლის წამოღებაც არ დაგავიწყდეთ. თუ განძეულობა მოგეწონათ, რამდენიც ვინდათ, იმდენი წაიღეთ, სიმდიდრე უთვალავია. ჩემთვის წამოსასხამი და კომბალი დამიტოვებია, მის მეტი არა მინდა რა. ეგ გოლიათი მძვინვარე იყო და საშინელი ძალაც ჰქონდა. უკანასკნელი თხუთმეტი წელია, მაგდაგვარი აღნაგობისა და ფიზიკური ძალ-ღონის პატრონს არავის გადავყრივარ. ერთხელ, არაბეთის მთიანეთში შემხვდა მაგისი მსგავსი დევკაცი, მაგრამ სიშმაგით იმ აფრიკელს კიდევ ეს აღემატებოდა. ბედი მქონია, თორემ ცუდ დღეში ჩავვარდებოდი.

რაინდებმა მეფეს რკინის კომბალი და მოსასხამი მოართვეს. თვითონ კი, თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით ურიცხვ განძს დაეპატრონენ. მერმე სა-



მივენი ბედაურებზე შესხდნენ და იქითკენ გაქუსლეს, საიდანაც მოვიდნენ.

გოლიათის მოკვლის ხმა მალე გავარდა მთელ იმ არემატეში, მოდიოდნენ და მოდიოდნენ უწყვეტ ნაკადად ქვეშევრდომნი და ღმერთსა და მეფეს მადლობას სწირავდნენ მტარვალის მოშორებისათვის.

— ყოველივეს ღმერთს უმადლოდეთ და არა მოკვდავთა თავედაბლად უცხადებდა მეფე ართური. — ქონება და განძი კი, რაც მას წავართვი, თანაბრად გაიყავით, რათა ყველას თავისი წილი ერგოს.

მეფემ თავის ბიძაშვილს სერ ჰოუელს დაავალა წმინდა მიქელის სახელობის ეკლესიის აგება იქ, სადაც გოლიათი მოკლა.

მეორე დღეს, სისხამ დილით, მთელ თავის ლაშქართან ერთად, მეფე ბარფლეტიდან დაიძრა, მდინარე გადალახეს და ნაყოფიერ და უხვმოსავლიან ველზე დასცეს კარვები.

დასანაყრებლად ისხდნენ, როს ორი დესპანი ეახლათ. ერთი მათგანი საფრანგეთის მარშალი აღმოჩნდა. მეფე ართურს მათ აცნობეს, იმპერატორი საფრანგეთის საზღვრებში შემოიჭრა, ცეცხლით და მახვილით გადაწვა და ააოხრა ჩვენი აყვავებული მხარე, ბურგუნდიამდე უწიეს მისმა მოლაშქრეებმა, იქ ბევრი ქალაქი ცეცხლს მისცეს, დაანგრირეს და შენს ერთგულ ქვეშევრდომთ დიდი ზიანი უყვეს. სადაც ხელი მიუწვდა, ყველაფერი მოსპო და ნაცარტუტად აქცია. დაძრწის ამ ულამაზეს მხარეში და ქვეყნისათვის ნგრევა და ცეცხლი მოაქვს. ამჟამად დიდებულნი, ორივე პერცოგი, პარიზის ყველა პერი ნიდერლანდებში, რომის ნაპირებისკენ დაიძრნენ და, თუ თქვენ დროულად არ უშველეთ, ისინი თავიანთ ქალაქებს მტერს ჩააბარებენ, თვითონაც ტყვედ დაწებდებიან, რადგან ხსნის სხვა გზა და საშველი იმათ არა აქვთ.

თ ა ვ ი მ ე ე ჟ ვ ს ე

აქა ამავენი, რომორ გააგზავნა მფფე ართურმა სარ გავიინი და სხვანი ლუციუსთან, რომორ მოიგერიეს მათ გზრის თავდასხმა და რომორ სახელოვნად გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან

მერმე მეფე ართურმა სერ ბორსს უთხრა: ახლავე შენს ბედაურზე შექექი, სერ ლიონელსა და ბედივერთან ერთად გაემგზავრე, არც ჩემი დისშვილი სერ გავეინი დაივიწყოთ, თან ბრძოლაში გამობრძმედილი რაინდები იახლეთ, სერ ლუციუსს გამოეცხადეთ და გადაეცით, რომ მოვითხოვ, დაუყოვნებლივ დატოვოს ჩემი ქვეყნის ფარგლები, თუ უარს იტყვის, მაშინ ლაშქარი საბრძოლველად მოამზადოს და ჩვენ ჩვენი მარჯვენით გადაეწყვეტთ ამ დავას. ეს უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე უმწეო ხალხის რბევა და განადგურება. კეთილშობილი რაინდები სასწრაფოდ შესხდნენ ცხენებზე, ბედაურები ტყესთან მიაცენეს და იქ, მდინარის პირას, მწვანე მოლზე, სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ქსოვილის მდიდრული ჩარდახები იხილეს. ჩარდახების შუაგულში იმპერატორის სხვათაგან გამორჩეული კარავი იდგა და ზედ თავზე არწივის გამოსახულება ჰქონდა. რაინდებმა გეზი პირდაპირ იმპერატორის კარვისაკენ აიღეს. უკან, ლიონელისა და ბედივერის სარდლობით, ის რჩეული რაინდები მოიტოვეს და ჩაასაფრეს, რომლებიც თან ჰყავდათ წაყვანილი. დესპანებად კი სერ გავეინი და სერ ბორსი გაემართნენ.



რაინდები ამაყად მიადგნენ იმპერატორის ჩარდახს და ორივემ ერთად ხამაღლა წარმოთქვა: — ვაი შენი და შენი მოლაშქრეების ბრალი, იმპერატორო! შენ ხომ უკანონოდ გიჭირავს რომის იმპერატორის ტახტი! იგი მეფე ართურს ეკუთვნის წინაპართა მემკვიდრეობის უფლებით, რომლებიც ფლობდნენ რომის იმპერატორის ტახტს. მეფე ართური გიბრძანებს, უკანსაქნაქნა-ტოვო მისი სამფლობელო, ანდა, როგორც რაინდთა წესია, შეებრძოლო და ყოველივე გამარჯვებულს დარჩეს.

— კარგად თქვით, — უპასუხა მათ ლუციუსმა, — როგორც დესპანთ შეეფერებოდათ, ისე გაისარჯეთ, სხვა რა გზა გქონდათ. ახლა კი უკან გაბრუნდით და თქვენს მეფეს გადაეცით ჩემი სალამი, ისიც დაუმატეთ, რომ ვაჟკაცთა ლანძღვა-გინება ვერაფერი კეთილშობილებაა. მოახსენეთ მეფე ართურს: განზრახული მაქვს, სენის ნაპირებს დაბლა დავუყვე და მდინარის მიმდებარე ადგილ-მამულები დავიბყრო, მერმე კი რონის სანაპიროს მივადგები და პირწმინდად დავიმორჩილებ.

— შენისთანა ქონდრისკაცს არ შეფერის ასეთი კვებნა და ბაჭიბუჭი, — მკვახედ მიახალა სერ გავეინმა. — მთელ საფრანგეთს დავთმობდი, ოღონდ შენთან ხმალდახმალ შემახვედრა.

— ჩემი სურვილიც ეგაა და სანაცვლოდ არც ბრეტანი მჭირდება და არც ბურგუნდია, — თქვა სერ ბორსმა.

კამათში ლუციუსის ძმისშვილი სერ გაიუსი ჩაერია: ეს რა მკვეხარანი და ბაჭიები ყოფილხართ ინგლისელი ბრიტანელები, ისე იქადნებით, თითქოს მსოფლიოს დაპყრობა შეგეძლოთ.

სერ გაიუსის ყოყლოჩინობამ მოთმინებიდან გამოიყვანა სერ გავეინი, მოღუნული ორლესული ქარქაშიდან იძრო და სერ გაიუსს თავი წააცალა.

მერმე სერ გავეინმა და სერ ბორსმა ცხენები შემოაბრუნეს და თავიანთ ჩასაფრებულ თანამოძმეთა მიმართულებით გააქენეს. რომაელები კი, მხედრებიცა და ქვეითნიც, კვალში ჩაუდგნენ გაქცეულთ და ხშირ ტევრში შესდიეს.

უცებ სერ ბორსი შემობრუნდა და თითქმის მთლიანად ოქროში ჩამჯდარ რომაელ რაინდს მოკრა თვალი. რომაელი მეფე ართურის რაინდებს სჯაბნიდა. სერ ბორსმა პოროლი სტყორცნა რაინდს. მახვილის წვერმა მეორე მხარეს გაიტანა, რომაელს ნაწლავები გადმოაყრევინა და მაშველს მხმობელი უსულოდ დასცა.

უცებ წითლებში მორთულ-მოკაზმული მძლე ბარონი გამოჩნდა ბრძოლის ველზე. იგი ართურის კარის რაინდთა რიგებში შეიჭრა და მრავალი მათგანი ხმლით მოსრა. ეს რაინდი პავიელი კალიბურნი ვახლდათ. სერ ბორსმა ახლა მისკენ მიმართა მახვილი. ჯერ ვეება ვეშაკი გაუხვრიტა და მერე მახვილის წვერმა რაინდის ფართო მკერდიც მოინახულა. პავიელი გოლიათი ქვასავით უგრძნობელი ვანერთხო მიწაზე.

ძლიერმა და სახელგანთქმულმა სერ ფელდენაკმა მოკლული სერ გაიუსის და სხვა თანამოძმეთა სისხლის აღება მოიწადინა და სერ გავეინისაკენ გაეშურა. სერ გავეინმა დროზე შენიშნა მისკენ მომავალი მტერი, თავისი გალანტინი იშიშვლა და ისეთი ძალით დაჰკრა სერ ფელდენაკს, რომ მკერდამდე გააპო, მერმე ცხენი დაიჭირა და თავისიანებისაკენ გაჰქუსლა.

ერთმა მდიდარმა რომაელმა სენატორმა თავისიანებს ურჩია, უკან დაებრუნდეთო. ეს მოსაზრება კი ასე გაამართლა: „ჩვენ წინ ქვეიანი დესპანები და



მამაცი მკვებარანი დგანან და კარგი დღე არ დაგვადგება“. რომაელებმა კარ-  
ვებისაკენ იბრუნეს პირი და იმპერატორს ყოველივე წვრილად უამბეს: რო-  
გორ დაეცა ბრძოლაში რომის მარშალი და როგორ გაწყდა ხუთი ათასი რომ-  
მაელი მებრძოლი.

ვიდრე ისინი ტყიდან გააღწევდნენ, ჩასაფრებული ინგლისელები, ორივე  
მხრიდან გამოუხტნენ მტერს და თავგანწირვით ეკვეთნენ. მამაცი სერ ბედივე-  
რი და სერ ლიონელი ყველგან იყვნენ და ყოველის მხრიდან უტევდნენ. მზია-  
რული ინგლისის ღვიძლი შვილები ყველივით კრიდნენ რომაელთა მბზინვარე  
მუზარადებსა და ვეშაკებს. ისინი ცხენებიდან დაბლა ყრიდნენ იმპერატორის  
მოლაშქრეთ, ვინც ცოცხალი და თავმთელი გადარჩა, ჩარდახებში დაბრუნდ-  
ნენ და იმპერატორს ორიოდ სიტყვით მოუთხრეს, ლაშქრიდან ათი ათასი კაცი  
დაგვედუბათ. არც მოწინააღმდეგის ქება დავიწყებიათ: ასეთი გამობძმედილი  
რაინდები ბრძოლის ველზე არც გვინახვსო. სერ ბორსმა და სერ გავეინმა ოტე-  
ბულთ თითქმის იმპერატორის ჩარდახამდე სდიეს. უცებ ურიცხვი რომაელი  
მოლაშქრენი, ცხენოსნებიცა და ქვეითნიც, ყოველი მხრიდან გამოუხტნენ  
მდეგრებს. სერ ბორსი და სერ ბერელი, როგორც მამაც რაინდებს შეჭფერით,  
მოწინავეთა რიგებში იღვნენ და მშვიდად იგერიებდნენ თავდამახმელთ. სერ  
გავეინი მარჯვენა ფლანგზე იბრძოდა. მის წინააღმდეგ იმდენმა რომაელმა მებ-  
რძოლმა მოიყარა თავი, რომ სერ გავეინმა ბრძოლის გაგრძელება უაზრობადაც  
ჩათვალა. მას ან უკან უნდა დაეხია, ან დაღუპულიყო. სერ ბორსი და სერ ბე-  
რელი, გარეული ტახებივით გაშმაგებულნი, მძვინვარედ იბრძოდნენ. ბოლოს  
მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი ჰქმნა, ორივენი დაატყ-  
ვევეს, შეიბყრეს, განაიარაღეს და სერ გავეინის დასანახად, ოდნავ მოშორე-  
ბით, დააყენეს. სერ გავეინი მწარედ დრტვინავდა და გოდებდა თანამებრძო-  
ლთა უბედობას.

ამ დროს ბრძოლის ველზე გამოჩნდა ახალი რაზმი, რომელსაც წინ აბჯარ-  
გაკრიალებული, კეთილშობილი მებრძოლი, სერ ივეინის შვილი იდრისი მოუ-  
ძლოდა. იდრისს თან ხუთასი რჩეული ჯავშანმოსილი მეომარი ახლდა. როცა  
მან სერ ბორისსა და სერ ბერელის ტყვედ ჩავარდნის ამბავი შეიტყო, კბილე-  
ბში გამოცრა:

— ვაგლახ! რა სამარცხვინო ამბავი დაგემართნია და რა აუნაზღაურებელი  
დანაკლისი მოგვსვლია! მეფე ართური რომ შეიტყობს, რაც მის ორ რაინდს  
შეემთხვა, ვერ მოისვენებს. ვიდრე შურს არ იძიებს და სამაგიეროს არ მიუზ-  
ღავს მტერს.

— სახელოვანო რაინდო, — მიმართა იდრისს სერ გავეინმა, — შენ ისე-  
თი მამის შვილი ხარ, ვიცი, კეთილშობილებით აღსავსე კაცი იქნები, დედაშენ-  
საც კარგად ვიცნობ. შენ ხომ ინგლისის მიწაზე ხარ დაბადებული და იმ მიწის  
ღვიძლი შვილი ხარ. დღეს რომაელნი კურდღელს დადევნებულნი მონადირეე-  
ბივით გვდევდნენ, და ჩვენი მეთაური ტყვედ ჩაიგდეს. მასზე უფრო მედგარი  
რაინდი ჯერ ცხენზე არ ამხედრებულა. აი, გახედე იმ ფართო ველს, საით მი-  
ჰყავთ ჩვენი ლორდები. და მე ფიცს ვდებ, — თქვა სერ გავეინმა, — თვალით  
არ ვეჩვენები ჩემს მეფე ართურს, თუ მათ ახლავე ტყვეობიდან არ გამოვიხსნი.

— სწორედ რომ რაინდული სიტყვებია, — თქვა სერ იდრისმა, ცხენს სა-  
დავე მიუშვა და ფართო ველისაკენ გააქენა. შეიქნა შუბთა ძგერება და ხმალ-  
თა ჩახაჩუხი. სერ გავეინმა თავისი გალანტინით ბევრი სასწაულებრივი ბრძო-



ლა გარდაიხადა. მან ბრძოლით გაიკვლია გზა და სერ ბორსის დამტყვევებლამდე მიაღწია. იქ ერთხელ კიდევ ისახელა თავი, სერ ბორსის მცველს ხმალი აძგერა, ვადამდე შეურჭო სხეულში, სერ ბორსი გაათავისუფლა და თავისიანებთან მოიყვანა. სერ ივეინის შვილმა, ჭაბუკმა სერ იდრისმა კი სერ ბერელის დამტყვევებელ რაინდს ისეთი ძალით დაჰკრა ხმალი, რომ ტვენტიდენსუხელი ერთმანეთში აურია.

ამასობაში, ერთმა ამაყმა სენატორმა დრო იხელთა, სერ გავეინს მიეჭრა და მუზარადში ძლიერად დაჰკრა. სერ იდრისმა დროზე შენიშნა ეს ამბავი, სერ გავეინის დასახმარებლად გაეშურა და, თუ რომელი ჰაიჰარად ტყვედ არ დანებებოდა სერ იდრისს, იგი მზად იყო ამაყი სენატორი ხმლით შუაზე გაეპო. მართალია, რომელს ტყვედ დანებება არ უნდოდა, მაგრამ, რას იზამ, ძალა აღმართსა ხნავსო, უთქვამთ. სერ იდრისმა თავისი ტყვე სერ ლიონელსა ომის ძმა სერ ლორუელს ჩააბარა. „მკაცრად ადევნეთ თვალყურით“, — უთხრა და ისევ ბრძოლაში გადაეშვა.

რომაელთა მხრივ ბრძოლაში სულ ახალი და ახალი ძალები ებმებოდნენ. სერ გავეინმა ნახა, რომ გაჭირდა საქმე, და მეფე ართურთან რაინდი აფრინა.

— წვრილად უამბეთ ჩვენი გასაჭირი, რაც თავს გარდაგვხდა. ისიც მოახსენეთ, რომ რომის მთავარი ხაზინადარი დავატყვევეთ. ჩვენივე ტყვეა პეტრეკეთილშობილი რომაელი სენატორი. ბევრი ამაყი რომაელი თავადი ვიგდეთ-თქო ტყვედ, რომელთა სახელები ჯერ კიდევ არ ვიცით. სთხოვე ჩვენს მაგიერ ჩვენს მეუფეს და ბატონს, გვიჭირს და დამხმარე ძალა დროზე მოგვაშველოს, თორემ რაც ამ ტყვეებში გამოსასყიდი გველის, ხელიდან გამოგვეცლება. ისიც დაუმატე, რომ მე მძიმედ დაჭრილი ვარ.

როს წარგზავნილთ მეფე ართურს სერ გავეინისაგან დანაბარები უამბეს, მეფემ იესოსადმი სამადლობელი სიტყვები აღავლინა და ხელი ხელს შემოჰკრა.

— რაიც შენ მამცნე თუ ვიცოცხლე, იმისათვის ისე დაგაჯილდოებ, როგორც ჯერ არავინ დაუსაჩუქრებიათ. მაგრამ, თუ სერ გავეინი მძიმედ დაჭრილია და სიკვდილი მოელის, ღმერთსა ვფიცავ, რომაელთა სიცოცხლეს ოქრო ველარას უშველის. უმჯობესია, იმპერატორიცა და მისი დიდებულნიც ცეცხლსა და გეენაში ჩაიწვან, ვიდრე მრგვალი მაგიდის თუნდაც ერთი რაინდი მძიმედ დაიჭრას.

ამასობაში მეფე ართურს ტყვეები მოჰგვარეს. მეფემ კონსტებლებს დაავალა მათი მეთვალყურეობა და ისიც უთხრა, როგორც კეთილშობილთ შეჰფერით, ტყვეებს ისე მოეპყარითო.

სრულიად მოულოდნელად მეფეს დაწინაურებული მხედრები ეახლნენ და სერ ბორსის, სერ ბედივერის, სერ ლიონელის, დაჭრილი სერ გავეინის და მათ მოლაშქრეთა მოახლოება ამცნეს, არც ერთი რაინდი არ აკლდათ. მეფე ართურმა ბრძანა, სერ გავეინისათვის მის წინ მოებანათ კრილობები და კეთილშობილ რაინდს ასე მიმართა:

— ჩემო ძვირფასო ნათესავო, შენი კრილობები გულს მითუთქავს! რომ ეიცოდე, შევბას მოგგვრიდა იმათ მოკვეთილი თავების ხილვა, ვინც შენ შავ დღეში ჩაგაგდო, ახლავე დავაყრევიანებდი.

— ეგ არ მიშველის, — უბასუხა სერ გავეინმა. — მაგათი თავების დაყ-



რევილება მეც შემეძლო, რომ მომენდომებიანა, მაგრამ ტყვედ დანებებულ რაინდთა დახოცვა სამარცხვინო საქციელია.

იმ დღეს მრგვალი მაგიდის რაინდები ილხენდნენ, მსიარულობდნენ და დიდი თამაშობებიც გაიმართა. იხარებდნენ და ილხენდნენ, კი ვინც გამო, რომ რაინდთა მიერ იმ დღეს ჩადენილ გმირობათა ამბებს პყვიანდნენ. მტრძოლის ველიდან მოსული მაცნენი.

მეორე დღეს, როგორც კი ინათა, მეფემ თავისთან იხმო სერ კადორ კორნუელელი, ხმალში უძლეველი სერ კლარუს კლერმონთელი, სერ კლოუდრი-სი, სერ კლევისი, სახელგანთქმული, ხანდაზმული ბრწყინვალე ორი რაინდი; სერ ბორსი და სერ ბერელი, კუნძულელი სერ ბრიანი, უშიშარი რაინდი სერ ბედივერი და სერ ლანსელოტი, მეფემ ყველას გასაგონად თქვა:

— ჩემი პირადი თხოვნაა, — მიმართა მეფემ ართურმა სერ ლანსელოტსა და სერ კადორს, — ჩემდამი თქვენი სიყვარული მაძლევს მე უფლებას ასეთი თხოვნით მოგმართოთ, სათავეში ჩაუდგეთ რჩეულ რაინდებს და ეა ჩვენი ტყვეები პარიზ ქალაქში უვნებლად ჩაიყვანოთ და იქ მათი საიმედო მეთვალყურეობა და დაცვა უზრუნველყოთ. თუ ტყვეთა გამოხსნის მიზნით თავს დაგესხმიან, ყველაზე მეტად თქვენი იმედი მაქვს. აგრეც ღმერთი შემეწყევა.

სერ ლანსელოტმა და სერ კადორმა სხვა რაინდებთან ერთად ათი ათასი უმამაცესი, უკეთესი საომარი იარაღით აღჭურვილი მოლაშქრე შეარჩიეს, ბაი-რადები გაშალეს, ააფრიალეს, საყვირებს ჩაჰბერეს და გზას გაუდგნენ.

### თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ე

აჲა აჲჲაჲი, როგორ გააგზავნა იმპერატორმა ლუციუსმა თავიანი მობრძოლნი ჩასასაფრებლად, რათა დატყვევებული გამოეხსნა, და მისი ზეგონი ჩაშლა

ჩვენ კი ახლა რომის იმპერატორის ლუციუსის ბანაკში გადავინაცვლოთ, ვისაც მზვერავეებმა შეატყობინეს ტყვეების ადგილსამყოფელი, მათი გადაადგილების ასავალ-დასავალი და თავმოყრის საბოლოო ადგილი. ლუციუსმა თავისთან იხმო უძლიერესი მებრძოლი მეფენი: სერ ედოლფი და სერ ედუარდი, სერ სექტორ ლიბიელი, სენატორები, სირიის მეფე და ქალაქ რომის ერთი სენატორი. ამ ამაყმა და უმამაცესმა რაინდებმა გეზი ტრუის ველისაკენ აიღეს, სადაც ტყვეები უნდა გაეტარებინათ. იქ ეპირებოდნენ ისინი ტყვედ ჩავარდნილი რომაელების გამოხსნას ართურის რაინდთა ხელიდან.

ართურის კარის რაინდები ქალაქ პარიზისაკენ მიემართებოდნენ, გზად კი ჩასაფრებული სამოცი ათასი რომაელი მებრძოლი ელოდათ.

— ლორდებო! — მიმართა თანამგზავრებს სერ ლანსელოტმა, როცა ტყის პირს მიადგნენ, — ერთი წუთით მომაპყარით საამენელნი, აქ, ამ უსიერ ტყეში, შეიძლება ჩასაფრებული მტერი გვიდარაჯებდეს, ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, წინ, ადგილის დასათვალიერებლად და დასაზვერად სამი სახდო რაინდი გავუშვათ.

— თანახმა ვარ, კარგი მოსაზრება გახლავთ, — თქვა სერ კადორმა, დანარჩენებმაც კვერი დაუკრეს. მერმე შეთანხმდნენ, რომ მზვერავეებად სერ კლარონი, სერ კლემენტი და სერ კლევისი ამოერჩიათ. მათი მოვალეობა ის



იყო, რომ, სადაც ლაშქარს უნდა გაეცლო, ტყე, ხევ-ხუვები, მინდორ-ველი ერთი სიტყვით, მთელი შემოგარენი კარგად მიეჩხრიკ-მოეჩხრიკათ.

შზვერავებად გამოყოფილმა რაინდებმა, როგორც კი ტყეში შევიდნენ, შენიშნეს, რომ ტყე შეიარაღებული რომელი მოლაშქრეებითაა დასავსე-მაშინ სერ კლეგისმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხმამაღლა შეუხუროთქუა:

— არის აქ, თქვენს შორის, თუნდაც ერთი რაინდი, ვინც მრგვალი მაგიდის რაინდთან შებრძოლებას გაბედავს? და ის გულადი თუნდ მეფე იყოს, და თუნდ უბრალო რაინდი, მისი მოწინააღმდეგე აქა ვარ და მოუთმენლად ველი მასთან შეყრასა და შებმას.

სერ კლეგისის მოწოდებას ვიღაც განრისხებული გრაფი გამოეხმაურა:

— შენს უფალს აგრე ჰგონია, თავისი რაინდებით მთელ ღუნისა დაიპყრობს. აგერ სულ მალე ნახავთ, მაგ თქვენს მოჩვენებით სიმამაცეს ველად როგორ გაპფანტავს პატარა სიო.

— თავსლაფი დაგასხი შენცა და შენს წინასწარმეტყველებასაც! — უთხრა წყრომით სერ კლეგისმა, — ლაჩარი ხარ პირადად და სიტყვაც ისეთი გაქვს, როგორც მხდალსა და მშიშარა კაცს შეპფერის. იესოს ვფიცავ, ინგლისსა და ბრეტანში ჩემი იარაღითა და სიჩაუჭით განთქმულიცა ვარ და სახელმწიფეჭილიც, წარმოშობით კი ძირძველ, კეთილშობილ ბარონთა ჩამომავალს. მათივე სიამაყე მომდგამს, სერ კლეგისი მქვიან. მრგვალი მაგიდის რაინდი ვარ და ჩემი წინაპარნი ტროადან ბრუტოსს<sup>1</sup> ჩამოპყოლიან ინგლისში.

— კარგადა ვხედავ, — უპასუხა სერ კლეგისს გრაფმა, — ბრწყინვალე იარაღში ხარ ჩამჯდარი და სახელოვანი რაინდი უნდა იყო, მაგრამ რაც უნდა თქვა და მოიმოქმედო, დღეს აქ არავინ შეგებრძოლება.

მაშინ სერ კლეგისმა ცხენი ყალყზე შეაყენა, შემოაბრუნა და სერ ლანსელოტისა და სერ კადორის სამყოფელის მიმართულებით გაპქუსლა. როგორც კი რაინდებს მიეახლა, მაშინვე მოუთხრო. სამოცი ათასი მოლაშქრე ტყეში ჩაუსაფრებიათ და ჩვენზე თავდასხმას აპირებენო. — მაშ, ასე, ჩემო ძვირფასო ბატონებო, ან უნდა ვიომოთ, ან სამარცხვინოდ ზურგი ვაქციოთ და თავი გადავირჩინოთ. არჩევანი თქვენზეა, როგორც მოგენებებათ, ისე მოვიქცეთ.

— სჯულის მადლმა, — წამოიწყო სერ ლანსელოტმა, — ახლა უკან დახევის დრო არაა. ჩვენთან ერთად, აქ ძველი, სახელმწიფეჭილი, ღირსეული რაინდებიც არიან, რომელთაც უკანდახევისა და გაქცევის სირცხვილი არასოდეს უჭამიათ და თავისი ღირსება აროდეს შეუღახავთ. რაც შემეხება პირადად მე და ჩემს ახლობელ სისხლიერ ნათესაებს, ვინც ცოტა ხანია, რაინდებად გვაკურთხეს, ჩვენს წინაპართაგან მოპოვებულ სახელს, დიდებასა და ღირსებას არ შევბღალავთ.

— კარგადა სთქვი. — ჩამოართვა სიტყვა სერ კადორმა, გულში სხვა რაინდებიც უწონებდნენ სერ ლანსელოტს ნათქვამს. — თქვენმა რაინდულმა სიტყვამ ყველანი გაგვამხნევა და გაგვახარა. მე აგრე მგონია, აქ ისეთი არავინაა,

<sup>1</sup> იგულისხმება ბრიტანეთის ლეგენდარული დამაარსებელი ბრუტოსი, ენეასის თვისტო-ში, ვინც რომიდან გამოძევების შემდგომ საბერძნეთში წავიდა, იქ ტროელებს დაუახლოვდა, მათთან ერთად ჩრდილო-დასავლეთისაკენ გაემართა და ბოლოს და ბოლოს ალბიონი დაიმორჩილა. დაპყრობილ ადგილას მისი სახელის მიხედვით უწოდეს brutunnia ანუ britannia — ეს ლეგენდა ამოღებულია ჩალფრიდ მონმეტის „ბრიტანეთის მეფეა ისტორიიდან“



უკან დახევა ეწადოს, რაც პირადად მე შემიხება, მირჩევნია დღეს ჩავაბარო სული უფალს, ვიდრე მტერს ზურგი ვუჩვენო.

— ძალიან კარგი, — თქვა სერ ბორსმა, — მაშ <sup>ფიცხლად მივესიოთ</sup> მტერს, როგორც ეს ჩვენს ღირსებას შეჰფერის და ჩვენი მეუფის ქება-დიდება დავიმსახუროთ. სახელოვან საქმეთა გამო კი მისგან მამულეები და პატრივი გველის. ვინც ბრძოლას განერიდოს, ეშმაკთან იყოს წილნაყარი და მიწამ გამოხრას მისი ძვლები; ის, ვინც ბრძოლაში საკუთარ თავსა და რაინდებს დაზოგავს, რათა ჯერ ის იხილოს, ვისკენ გადაიხრება გამარჯვების სასწორი, მეტი ხადავლისა და ნაალაფევის მოპოვებისა და ქონების შოვნის სურვილი გადასძლევს, ღმერთსა ვფიცავ, რაინდულად არ მოიქცევა.

ორმა ყოვლისშემძლე ჰერცოგმა, სერ ლანსელოტმა და სერ კადორმა ომში სახელისა და დიდების შარავანდედის მოსაპოვებლად რაინდებად აკურთხეს: პირველად სახელოვანი მოყმე იოანიკი, სერ ჰექტიმერი და სერ ალიდუკი, სიმამაციოთა და სიჩაუქით გამორჩეულნი, ორივე ინგლისის მიწაზე დაბადებულნი; სერ ჰამერელი და სერ ჰარლდოფი, მამაცი მებრძოლნი. სერ ჰარრი და სერ ჰარიგალი.

— აბა, ყმაწვილებო! — მიმართეს სერ ლანსელოტმა და სერ კადორმა თანამებრძოლთ, — ახლა კი დროა სერ ბედივერმა და სერ ბერილმა თან წაიყვანონ სერ როლანდის ვაჟიშვილები: სერ რეინოლდი და სერ ედუარდი და თავს იღონ ამ კეთილშობილ ტყვეთა პატრონობა და მოვლა. ჩვენ როგორ და რა დღეშიაც არ უნდა ჩავცვივდეთ, თქვენ ტყვეებსა და საკუთარ თავს გაუფრთხილდით. რა გულმოდგინებითაც შეასრულებთ ჩვენს ნაბრძანებს, პასუხიც მეფის წინაშე ისეთივე მოგეკითხებათ. ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ, რაც უნდა მოხდეს, ტყვეები არ მიატოვოთ და ჩვენს მოსაშველებლად არ დაიძრათ. თუ დაატყობთ, რომ მტერმა დაგვჯაბნა, აიყარენით, რომელიმე ციხე-კოშკში გამაგრდით და იქიდან ჩვენს მეუფეს შეატყობინეთ ჩვენი გასაჭირი.

ბანაკი აიშალა და ყველანი ერთბაშად დაიძრნენ მტერზე იერიშის მისატანად. მათზე მამაც რაინდებს ალბათ ქვეყნად არც უცხოვრიათ. სულ წინ ზუთასი შუბმომარჯვებული მებრძოლი მოაგელვებდა ბედაურებს. მხოლოდ საბრძოლო ბუკებს აკივლებდნენ, სხვა რამ ხმა არ ისმოდა.

რომაელმა მებრძოლებმა ოდნავ უკან დაიხიეს. მალე მათი მხრიდან წინ წამოვიდა მოწინავეთა მეთაური ლიბის მეფე. მან პირდაპირ სერ ბერილზე მიიტანა იერიში. ლიბიელმა ლახვარი ისეთის ძალით სცა სერ ბერილს, რომ ყელი გაუპო, ცხენიცა და მხედარიც ძირს დასცა და სიცოცხლეს გამოასალმა.

— ვაგლახ, — სთქვა სერ კადორმა. — გული მეწურება. უსაყვარლესი ნათესავი მომიკლეს. — იგი ცხენიდან ჩამოხდა, სერ ბერილის ჯერ კიდევ თბილი გვამი ხელში აიტატა, მოახლოებულ რაინდებს გადასცა და დაავალა, მკვდარი მაინც რომ არავინ შეურაცხყოს, საიმედო ადგილზე წაიღეთო.

სერ ბერილის სიკვდილით გახარებულმა ლიბის მეფემ კი ხმამაღლა გადაიხარხარა და ამაყად თქვა:

— ერთმა ინგლისელმა მკვებარა რაინდმა უკვე მიაბარა სული უფალს!

მაშინ გაცეცხლებულმა სერ კადორმა წარმოთქვა: — გულმოცემული ლიბის მეფე ბაქიობამ გაიტაცა, მაგრამ თუ დასალამოვებამდე ვიცოცხლე, მე შევებრძოლები მას და, ღვთის შეწევნით, სეირს ვაყურებიანებ.



— სერ კადორ, — მიმართა სერ ლანსელოტმა, — ახლა კმუნვის და გლოვის დრო არაა, შუბი მოიმარჯვეთ, ბრძოლაში გადავეშვათ და ჩვენ არ შევარცხვენთ.

სახელოვანმა მეომრებმა სერ კადორმა, სერ ლანსელოტმა და სერ ბორსიმ პოროლები მოიმარჯვეს და შიგ შუაგულ ბრძოლაში შეიჭრნენ და მძვინვარე შევიდნენ ბრძოლაში და სამჯერვე ძლევით გამოვიდნენ იქიდან. როს პოროლები დაღეწეს, ხმლები იშიშვლეს და ახლა ხმალდახმალ დაერივნენ მოწინააღმდეგეს. ასზე მეტი რაინდი აკუწეს და მერე ძლევით მოსოლნი უკან, თავიანთ ბანაკში შემოიქცნენ. სწორედ ამ დროს გაისმა ლიბიის მეფის მკვექარე ხმა. იგი სერ კადორს უყიოდა:

— შურისგება და სამაგიეროს მიზღვა ასწილად გცოდნიათ, თქვენი ერთი რაინდის სიცოცხლემ ჩემი ასი, თუ ას ორმოცდაათი მებრძოლი შეიწირა!

შეიყარნენ და შეიბნენ, ორივე მხარე დაუზოგავად ირჩებოდა, უფრო მეტი სარაცინელთაგან გაწყდა, ტყე თითქოს მათ სასაკლაოდ გადაიქცა, გარნა მეფე ართურის რაინდთაგან ათიოდე ტყვედ ჩავარდა. მწარედ დაამწუხრა სახელოვან რაინდთა დატყვევებამ სერ ლანსელოტი. სერ კადორი და მძვინვარე სერ ბორსი. ამ რაინდთა შემართება ლიბიის მეფემ საკუთარი თვალით იხილა, დაუოკებელ ბედაურზე შეჯდა და თავისი მებრძოლებით ალყაში მოაქცია ისინი. ბევრი ძლევამოსილი რაინდი დაეცა იმ დღეს, სერ ალიდუკი მოკლეს, სერ ასკამური მძიმედ დაიჭრა, სერ ჰეროუდი და სერ ჰერინგალი აკუწეს, სერ ლოუელი და სერ ლიონელი ტყვედ ჩაცვივდნენ, ხოლო სერ კლეგისმა და სერ კლერმონტმა ძლივს დააღწიეს თავი სამარცხვინო ტყვეობას. ჭეშმარიტი რაინდი სერ ლანსელოტი რომ არა, ტყვეობას ვერც ისინი გადაურჩებოდნენ.

უცებ ლიბიის მეფეს სერ კადორი მოეჭრა და ისეთი ძალით დაჰკრა ხმალი ზუჩიან თავში, რომ ტვინი ადგილზე დაანთხევინა.

— ესეც შენ, — მიაძახა შურისგებით აღფრთოვანებულმა სერ კადორმა. — ახლა კი ეშმაკსაც წაუღია შენი ძვალი და ტყავი, რაკილა ამქვეყნად დაბადებულთა შორის მაინც იყავი!

ლიბიის მეფის მოკვლამ სირიის სულთანი აღაშფოთა და გაამძვინვარა. მახ თავისიანებს შეუძახა, გაამზნევა და ინგლისელები კიდევ უფრო შეავიწროვეს.

მაგრამ არც ინგლისელები დაუხვდნენ მომხდურთ, როგორც ჯაბანთ შეჭფეროდათ. მალე სერ ლანსელოტი და სერ ბორსი მიესივნენ სარაცინელთ და, როგორც თვალთმხილველნი მოგვითხრობენ, ხუთი ათასზე მეტი მებრძოლი ამოხოცეს. უშიშარმა სერ კეიმ მათი სარდალი დაატყვევა, ხოლო ედუარდმა ორი გრაფი იგდო ხელთ. ვერც სირიის სულთანი გადაურჩა ტყვეობას, იგი ლანსელოტის ხელთ აღმოჩნდა, ხოლო სენატორი საუტრი სერ კადორს დახებდა.

მალე რომაელებმა და სარაცინელებმა პირი იბრუნეს და თავის გადასარჩენად გაქცევა ამჯობინეს. ინგლისელები უკან დაედევნენ და მარჯვნივ და მარცხნივ ჩებდნენ უგზო-უკვლოდ ლტოლვილთ.

იმ დღეს სერ ლანსელოტმა იმდენი გმირობა ჩაიდინა, რომ თავისიანებიცა და რომაელებიც გააოცა. ვერც ერთმა მეფემ, ვერც ერთმა გვირგვინოსანმა და ვერც ერთმა რაინდმა ვერ გაუძლო მის მძლავრ დარტყმებს. იმ დღიდან აგორდა ჭური მისი დიდებისა და ის ხმა მთელი მისი სიცოცხლე არ დამცხრალა.



მანამდე კი ცოტა ვინმემ თუ იცოდა მისი სახელი — ის ხომ სერ ბორსთან და სერ ლიონელთან ერთად, რომაელებთან ბრძოლამდე სულ ცოტა ხნით ადრე აკურობეს რაინდად.

ასე და ამრიგად დაამარცხეს რომაელნი და სარკინოზნი რმდღევანდელ ბრძოლაში. ცოცხალთა შორის დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ბრძოლა და თავი ახლომანლო ერთ პატარა ციხე-სიმაგრეს შეაფარა. მერმე შრგვალი მაგიდის რაინდებმა ბრძოლის ველიდან აკრიფეს კეთილშობილ რაინდთა გვამები და მეფე ართურთან გააგზავნეს, რათა ისინი მეფეს მიწისათვის მიეზარებინა. თვითონ რაინდებმა პარიზისაკენ გაქუსლეს და იქ წმინდა წინამძღვარს ჩააბარეს ტყვეები. წინამძღვარმა კი სამხედრო მანდატურთა გამგებლობაში გადასცა ისინი. მერმე რაინდებმა ცივი ღვინით ჩაისველეს ყელი, ჰოროლები ხელთ იპყრეს და მეფე ართურისაკენ შემოიქცნენ.

როს მეფემ თავისი რაინდები იხილა, გულით გაიხარა, ყოველი მათგანი ღირსჰყო მოხვევნი და უთხრა:

— რაც კი რამ პატივია ქვეყნად, თქვენ ყოველივე დაიმსახურეთ! მთელ ღუნიანზე არ მეგულება მეფე, ვისაც ასეთი რაინდები ჰყავს.

— სერ, — მიმართა მეფეს სერ კადორმა, — არც ერთ ჩვენგანს არ უჭამია სირცხვილი, ყველამ სასახელოდ იომა, მაგრამ სერ ლანსელოტის გმირობა ენით არ აიწერება. მტერთა ზოცვით მისმა მამაცმა ძმათაშვილებმაც ძალიან ისახელეს თავი, მაგრამ ჰკუჲადამჯდარი და უძლიერესი სერ ლანსელოტის გარდახდილი ბრძოლები მაინც სულ სხვაა. მას ბრძოლაში თანასწორი არა ჰყავს.

როს მეფემ სერ კადორის სიტყვები მოისმინა, ყველას გასაგონად თქვა: — სერ ლანსელოტს, როგორც შეჰფეროდა, ისე უსახელებია თავი.

სერ კადორმა მეფეს ბრძოლებში დახოცილთა სახელები ჩამოუთვალა:

— ლიბიის მეფე, ვინაც პირველმა დაღვარა ჩვენი რაინდების სისხლი და მოკლა სერ ბერილი, სახელგანთქმული სერ ალიდუკი, სერ მაურელი, სერ მორისი და შესანიშნავი რაინდები, ძმანი სერ მენადუკი და სერ მენადიფი.

მეფემ ცხარე ცრემლები დაღვარა, მერმე შეიშრო ცრემლნი და თქვა:

— ბრძოლაში თქვენმა სიმამაცმა და სიფიცხემ ლამის გიმსხვერპლათ, უკან დახევა პატივს არ აგზდიდათ, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს და მტრის ჰარბ ძალას გონით, ზერხითა და ილათიანობით უნდა აჯობო.

— არა, მეფეო, — შეჰკადრა სერ ლანსელოტმა, — ჩვენგან გაცლა სირცხვილს გვაჰმევედა და იმ სამარცხვინო ლაქას ვეღარასოდეს ჩამოვირეცხდით.

— მართალს ამბობს, მეფეო, — დაუმოწმეს ნათქვამი სერ ლანსელოტს სერ კლეგისმა და სერ ბორსმა, — ერთხელ სირცხვილნაქამი კაცი სამუდამოდ სახელმოყივნებული და თავსლაფდასხმული რჩება.

### თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

როგორ შეატყობინა ერთმა სენატორმა ლუციუსს ბრძოლაში დამარცხების ამბავი და მიჴე ართურსა და ლუციუსს შორის მომხდარი დიდი ბრძოლის შესახებ

ახლა მეფე ართურსა და მის კეთილშობილ რაინდებს დროებით დავშორდეთ და იმ სენატორს ჩავუდგეთ კვალში, ვინც ბრძოლის ველი მიატოვა. როს ის სენატორი რომის იმპერატორ ლუციუსს ეახლა, გულახდილად უთხრა:



— სერ! შინ დააბრუნე შენი ლაშქარი! უდანაშაულო, საწყალ ხალხს ცუდ-უბრალოდ რჩი და აწვალე. აქ შენ ვერაფერს დაიპყრობ და დაეპატრონები. ხოლო თუ მეფე ართურსა და მის მამაც რაინდებს გადაეყარე, მას ძიდას/საკუთარ თავზე გამოსცდი და უსაშველო დარტყმებისა და ქრელობების მეტს ვერას მოიმკი, რადგან დღევანდელ ბრძოლაში მეფე ართურს ვერაფერს დაეყარა ას ჩვენსას ჯაბნიდა.

— ფურთხის ღირსია ეგ შენი ლაყბობა! — უთხრა ამყად იმპერატორმა, — რადგან არანაკლებ დამაღონა შენმა ნათქვამმა, ვიდრე იმ ნავნებმა და ზარალმა, რაც ბრძოლაში განვიცადეთ. — მერმე თავისიანთაგან სისხლით კეთილშობილნი და გამორჩეულნი იხმო სათათბიროდ, მათი რჩევა მიიღო და ლაშქრის წინ რაინდი ლეომიუსი გაუშვა. ლეომიუსმა საომრად შეჰყარა რჩეულთა შორის რჩეულნი და იმპერატორის ლაშქარს წინ წაუძღვა.

მეფე ართურს მტრის განზრახვა და გამოლაშქრების ამბავი მსტოვრებმა წინასწარ ამცნეს საიდუმლოდ, მეფე აიყარა და თანამებრძოლებთან ერთად სისოინის ციხე-სიმაგრესა და გალავანშემორტყმულ ქალაქებში გამაგრდა. მაშინ დაიფიცა მეფის წინ მამაცმა უილარმა, ან მეც მოვკვდები, ან ტყვედ ჩავიგდებ, ან მოვკლავო რომის იმპერატორს. მერმე სერ კადორს დაავალა მეფემ ზურგში მოქმედი ნაწილის სარდლობა — მრგვალი მაგიდის რაინდთაგან, ვინც გინდათ, ის შეარჩიეთ და წაიყვანეთ თან, — უთხრა მეფემ, — გარდა სერ ბორსისა და სერ ლანსელოტისა. სერ კეი და სერ კლეგისიც ჩვენთან დარჩებიან. სერ მაროკი და სერ მარჰაუსიც აქ უნდა იყვნენ. მეფე ართურმა ისე რიგად განალაგა თავისი ლაშქარი, რომ მტერს საშუალება აღარ ჰქონოდა, ბრძოლისათვის თავი აერიდებინა.

როს იმპერატორი თავისი ლაშქრით სისოინის ველზე გამოვიდა, მან საკუთარი თვალთ იხილა გაშლილი დროშებით მისკენ მიმავალი მეფე ართური, რომელიც თავისიანებს წინ უძღოდა. იმპერატორი მიხვდა, მისი ლაშქარი ალყაში იყო მოქცეული. ახლა ან უნდა ებრძოლათ, ანდა ტყვედ დანებებულ იყვნენ. — კარგადა ვხედავ, სულმდაბლებმა და გამყიდველებმა მილალატეს, — თქვა ლუციუსმა. ხსნის სხვა გზა არ იყო, იმპერატორმა რაინდები სხვადასხვა მხარეს ჩააყენა მხედრობის წინ. მერმე აღმართეს ორთავიანი შავი არწივებით მორთული ურჩხული, წინ წამოიმძღვარეს, ჩაჰბერეს ბუკებს, აახშიანეს დოლ-დაფდაფები და გამაყრუებელმა, უსიამოვნო ხმებმა ველზე მყოფნი ერთიანად შეზარა, იმპერატორმა ისეთი ხმამაღალი შეძახილით მიმართა ლაშქარს, რომ თითოეულ მებრძოლს ესმოდა მისი ხმა: — თქვენ უწყით, უფალნო, რომაელთ ბრძოლებში მუდამ თან სდევდათ გამარჯვება, სახელი და დიდება, ახლაც ნუ შევდრკებით და ნუ დავკარგავთ მოხვეჭილ სახელსა და დიდებას. დღევანდელი დღე ალბათ ბევრ სიკვდილს დათესს, მაგრამ სიკვდილი ერთხელაც არის ყველას გვეწვევა, ამიტომ მისი საშინელება თავგზას ნუ აგიბნევთ. გამხნევდით, გულადად იბრძოლეთ და გამარჯვება ჩვენ დავგვრჩება.

უელსის მეფე ისე ახლოს იყო მტრის ბანაკთან, რომ, რაც სერ ლუციუსმა თავისიანებს უთხრა, ყოველივე წვრილად მოისმინა. მერმე დაიძრა იგი რომაელი ვიკონტის წინააღმდეგ, რათა თავისი ფიცი აღესრულებინა და რაინდული სიტყვა არ გაეტეხა. ერთ რომაელ ვიკონტს საშინელი ურჩხულებით მიხატულ-მოხატული საომარი საჭურველი ერთიანად უბზინავდა, მხედრებს წინ უძღოდა, და ხელთ უმაგრესი ლახვარი ჩაებლუჯა. ჰენებით მავალი ვიკონტი სერ



უილარ უმამაცესს შეეჯახა. სერ უილარმა ვიკონტს ლახვარი სცა, შუბის წვერი სხეულის მეორე მხარეს გაახედა, სისხლი ორივე მხრიდან თქრილვით დაადინა და დაჭრილი მიწაზე ჩამოაგდო. ვიკონტს ხმის ამოდება აღარ დასცალდა, ისე დალია სული.

მერმე ის იყო, უშიშარი ვითარცა უხორცო, სერ ივერე <sup>უკრეწუნულნი</sup> ~~მეფე~~ რომაელთა რიგებში, შიგ შუაგულ ბრძოლაში შეაღწია და ალმის მცველი დიდი ლორდი განგმირა, არც თვითონ რომაელთა ალამს დააყენა კარგი დღე, ხმლის დაკვრით ისიც ჩამოხია და ალაფიანად თავისიანებისაკენ გაჰქუსლა.

ახლა მუხლმაგარ ცხენზე ამხედრებულმა სერ ლანსელოტმა გამოახტუნა ბრძოლის ველზე ტაიჭი და სერ ლუციუსისაკენ დაიძრა. მან ბრძოლით გაიკაფა გზა იმპერატორის ამალამდე და იქ თვითონ იმპერატორის გვერდით მდგომ, სარაციუნელ კეთილშობილ ჯოკონდს განუგმირა გული. მერმე იმპერატორს დაჰკრა მუზარადში მახვილი, ცხენიდან ჩამოაგდო, ზედ სამჯერ გადაუარ-გად-შოუარა, რომაელთა საბრძოლო დროშა ხელში აიტაცა და მეფე ართურს მიაართვა. იმ დღეს ყველას სერ ლანსელოტის საბრძოლო შემართება ეკერა პირზე.

სერ ბორსმა ვიდაც ახმახ რაინდს ისე ძლიერად დაჰკრა მუზარადზე ხმალი, რომ კისერი და კინჩხი გადაუმტვრია. მერმე საშინელი გოლიათისაკენ მოაბრუნა ცხენი და ორივე გვერდი გადაუსერა, გზად მიმავალმა კიდევ მოჰკლა ორი რაინდი.

ინგლისელმა და ბრეტანელმა მშვილდოსნებმა ისრების წვიმა დააყარეს რომაელთ. სარკინოზმა და რომაელმა მოლაშქრეებმა კი არბალეტებისა და ხელშუბების სროლით უპასუხეს. შეიქნა ცხარე ბრძოლა, ბევრი რომაელი გამოსალმა სიცოცხლეს. ნავნები არც ინგლისელებსა და ბრეტანელებს მოუვიდათ ცოტა, რადგან რომაელთა მხარეზე მეტბოლი ჰოლანდიელი ისართა სროლით მათ დიდ ზიანს აყენებდნენ. უზარმაზარმა გენუელმა გოლიათებმაც ბევრი რაინდი იმსხვერპლეს. ისინი ფოლადის ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, გიგანტებმა ბევრ რაინდს დაანთხვეინეს მიწაზე ტვინი და ბევრ ცხენს გაუხეთქეს თავი. მეფე ართურმა რომ ნახა, რასაც გოლიათები სჩადიოდნენ, შეწუხდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყველას გასაგონად იყვირა:

— მოწყალეო ხელმწიფენო, ფრთხილად იყავით და სახელსა და დიდებას ნუ შეირცხვენთ! ამ ფეხშიშველა ტლანქ გოლიათებს ნუ გაათელინებთ თქვენს ღირსებას! ხოლო მე რასაც ახლა ვიქმ, თქვენი თვალით იხილავთ.

მეფე ართურმა ექსკალიბური იშიშვლა, გოლიათ ჰალაპასს მიუხტა, ერთის მოქნევით მუხლები მოჰკვეთა და ხმამაღლა თქვა:

— ახლა კი ტანად ჩვენს რაინდებს გაუთანაბრდი! — მერმე ბევრი აღარ დაუხანებია, კიდევ მოიქნია სასწაულმოქმედი ხმალი და თავიც გააგდებინა.

ბრძოლაში ჩაებნენ სერ კადორი და სერ კეი, სერ გავეინი და მამაცი სერ ლანსელოტი, სერ ბორსი, სერ ლიონელი, სერ ექტორ მენაპირე, თავისი პატრონის უერთგულესი ყმა სერ ასკამური, ბრძოლებში მრავალნაცადნი და სახელმოხვეჭილნი სერ პელეასი და სერ მარჰაუსი. მკაცრი და ომში ულმობელი რაინდები ერთბაშად მიესივნენ გოლიათებს, და, როს ყოველივე მომთავრდა და ღვთის სამართალმა გაიმარჯვა, ორმოცდაათივე გოლიათი მიწაზე გართხმული აღმოჩნდა.

ასე მოიწვედნენ წინ მეფესთან ერთად მრგვალი მაგიდის მამაცი რაინდე-



ბი. ქვეყნიერების შექმნიდან ალბათ არც ყოფილან ბრძოლებში ასე წარმატებული მეფე და გამორჩევით მქმნელი რაინდები. ისინი მარჯვნივ და მარცხნივ დიდი ხელოვნებით იქნევდნენ გრძელ ხმლებს, თავებს უპობდნენ მოწინააღმდეგეთ და სიკვდილს სთესდნენ. ვერც დარაკნი და ვეშაკნი, ვერც ლორნი და აბჯარნი ვერ იცავდნენ მათ მოპირდაპირეთ უწყალო ჩეხვისაგან. ვიღვრე ვართის ამოსუნთქვით ათი ათასი კაცი არ გაელიტეს. არც შეჩერებულან. მაშინ კი შეკრთნენ რომაელნი, შიში შეეპარათ და უწესრიგო უკანდახევა იწყეს, მეფე ართური და მისი ღირსეული რაინდები კი ოტებულ მტერს დევნიდნენ და ავიწროებდნენ.

სერ კეი, სერ კლეგისი და მძლეოთა მძლე სერ ბედივერი კლდის მხრიდან მიეტივნენ რომაელთ და სამმა ხუთასზე მეტი მეომარი იმსხვერპლა. სერ კეი ცხენდაცხენ მიუხტა ეთიოპიის მეფეს. მახვილი აძგერა და გვერდი იაე გაუფატრა, რომ მახვილმა მეორე მხარეს გაიხედა, უკანმობრუნებულ სერ კეის მოწინააღმდეგემ შუბი დაადევნა და მკერდსა და მუცელშუა ჩაურჭო ლახვარი. მძიმედ დაჭრილმა სერ კეიმ მხნეობა მოიკრიფა, ცხენი შეაბრუნა, ხმალი აღწართა და ისეთის ძალით დაჭრა თავში, რომ ზუჩიანად მხრებამდე გააბო მომხდური და კბილებში გამოცრა:

— დაე, თუნდ შენი ხელიდან მოვკვდე, მაგრამ ჩემი სიკვდილით შენ დიდებას ვეღარ ეღირსები! — სერ კლეგისი და სერ ბედივერი დაჭრილი სერ კეის ხილვამ სულ გააცოფა. ისინი რომაელებს, როგორც მონადირე ძაღლები კურდღელს, ისე მიეტივნენ.

მერე სამივენი შემოიქცნენ, მეფე ართურის წინაშე წარსდგნენ და ყოველივე წვრილად უამბეს.

— მეფეო ართურ, — წარსთქვა დაჭრილმა სერ კეიმ, — მე თქვენ დიდი ხანი გემსახურეთ. ახლა კი აქ, სადმე დამმარხეთ, თქვენს მეუღლეს დედოფალ გვინივერას ჩემ მაგიერ თაყვანი ეცით და ჩემი გამოსათხოვარი სალამი აუწყეთ ჩემს წყნარ, ღირსეულ მეუღლეს, ვინც არასოდეს განმრისხებია. მასვე შემვედრეთ, მეფეო, რათა ჩემი სულისათვის ილოცოს.

ამის გაგონებაზე მეფე ართურმა სულის სიღრმიდან მომდინარე ცრემლები ღვარა: — გული მეუბნება, იცოცხლებ, — თქვა მეფემ, სერ კეის ჭრილობიდან საკუთარი ხელით გამოუღო ნამსხვრევი, დასტაქართ დაავალა, კარგად დაეთვალაიერებინათ ჭრილობა და ნავნები ადგილი. მკურნალნი უმაღ შეუდგნენ საქმეს და მეფეს მოახსენეს, არც ღვიძლი, არც ფილტვები და არც ნაწლავები დაზიანებული არა აქვსო. მეფემ სერ კეი თავის კარავში დააწვენინა, ერთგული რაინდები მიუჩინა მცველებად და უთხრა: — ვაზღვევინებ რომაელთ შენი ტკივილის საფასურს!

მეფე ართური ცხენს მოახტა, გაჰქუსლა, ვილაც მეფეს გადაეყარა და ექსკალიმბერით ზურგი გაუგმირა. მერმე ისევ წინ წავიდა, ახლა მეორეს მისწვდა, გაჯავრებულმა აძგერა ხმალი, გვერდი გაუპო და ხმლის წვერი მეორე მხარეს გაახედა. ასე დაათარეშებდა თავის ბედაურს ბრძოლის შუაგულში აღმაღალმა და უმოწყალო სიკვდილსა თესდა. ოცდაათჯერ აუარ-ჩაუარა გარდიგარდმო მეფე ართურმა ბრძოლის ველს.

სერ ლანსელოტი, სერ გავეინი და მისი ვაჟი სერ ლოუელი იქაურობას გაეცალნენ თუ არა, იქვე ახლოს, მინდვრად მდგომ თვითონ იმპერატორ ლუციუსს გადაეყარნენ. სერ ლუციუსმა რომ სერ გავეინი დაინახა, ხმამაღლა



შესძახა: „კეთილი იყოს შენი აქ მობრძანება, სადაც უბედურება და დამარცხების სირცხვილი გელის!“ სერ ლანსელოტი აღაშფოთა იმპერატორის ბაქია სიტყვებმა და ხმალი ისე ძლიერად დაჰკრა ბზინვარე მუზარადში, რომ ჩამოქონილმა სისხლმა ფეხებამდე უწია.

თავისი გრძელი ხმლით სერ გავეინმა, ერთი ვაიუშველქმწილი დაატრიალა. მან საკუთარი ხელით განგმირა სამი ემირი. უფროსებს არც სერ ლოველი ჩამორჩათ. მან ერთი მეფე და ერთი პერცოგი, ბრწყინვალე რაინდები გაისტუმრა იმქვეყნად, რომელელები თითქოს გამოერკვნენ, გაახსენდათ, რომ პრძოლაში მეტი სიმარჯვე მართებდათ. როცა ნახეს, რა დღეც დაადგა მათ მბრძანებელს, ისინი ინგლისელებს გააფთრებით ეკვეთნენ, ბევრი ჩეხეს, იმჯერად ცხენიდან ჩამოაგდეს სერ ბედივერი და ცივსა და სველ მიწაზე გაშლართეს. სერ ბედივერი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა, მაგრამ სერ ლანსელოტმა და სერ ლოუელმა აიტაცეს მისი სხეული და სასწაულებრივად გადაარჩინეს სიკვდილს.

მერმე ის იყო, უცებ მრგვალი მაგიდის რაინდთა თანხლებით მეფე ართურმა მოაქენა ცხენი და თავისიანებს სწორედ დროზე უშველა, თორემ ხშირად ხდება ხოლმე, როცა შურისა და მტრობის გამო, ერთი დროშის ქვეშ მდგარი რაინდებიც ტოვებენ განსაცდელის ჟამს ერთმანეთს. სიტყვით ისინი ტოლსა და ფარდს არავის დაუდებენ თანადგომასა და ბედისაგან განაწირის მიშველებაში, მაგრამ პრძოლის ჟამს ყველას თავის გამოჩენა სურს და იმას ესწრაფვის.

როგორც კი იმპერატორ ლუციუსს მოჰკრა თვალი მეფე ართურმა, მისი დაყოვნება უკვე აღარაფერს შეეძლო. ისინი გაშიშვლებული ხმლებით დაიძრნენ ერთმანეთისაკენ. სერ ლუციუსმა იმარჯვა და პირველმა დაჰკრა მეფეს მახვილი. კრილობამ ცხვირიდან ენამდე უწია მეფე ართურს. განრისხებულმა სერ ართურმა იმპერატორს მთელი ძალით დაჰკრა მალლიდან მუზარადში ხმალი და მუზარადიან-ბექთარიანად მკერდამდე გააპო ლუციუსი. ეს იმპერატორის აღსასრული გახლდათ.

იქიდან გამობრუნებული ხელმწიფე თავის ნათესავს, მრისხანე კადორს შეეყარა და დაავალა: — ჩემი ძუძუმტის სერ კეის სისხლის სანაცვლოდ ხოცე და ვუფე ეგ შეჩვენებულები, სერ ბედივერის სისხლიც აიღე, რომელიც დიდხანს შემსახურა კეთილად და უანგაროდ! არც ოქროსა და ვერცხლის გულისთვის არავინ დაინდო. ვინც სარკინოზების მოკავშირეა, დანდობისა და შეწყალების ღირსი არ არის, დახოცე ყველანი. წარმართნიცა და ქრისტეს მოსაყენიც.

ისევ მახვილი აიღეს ხელთ სერ კადორმა, სერ კლეგისმა, სერ ლანსელოტმა, სერ ბორსმა, სერ ლიონელმა და სერ ექტორ მენაპირემ. ისინი თითქოს გნოლის ჯოგს მიხეულო ქორები იყვნენ, ისე დაქროდნენ აღმა-დაღმა მტრის რიგებში. მერმე სერ გავეინი, სერ გაპერისი, სერ ლოუელი და სერ ფლორენსი მიემატნენ და მრგვალი მაგიდის სხვა რაინდებთან ერთად მეწინავეთა რიგებში იბრძოდნენ. ისინი ხან აქ და ხან იქ გამოჩნდებოდნენ ხოლმე. მათი ტაიჭებისათვის სულ ერთი იყო ბორცვი, ველო და ტყე, ყველგან ასწრებდნენ ყოფნას და უაძრავი ხალხი ჩახოცეს. ათასობით გვამი ეყარა აქა-იქ ზვინებად და გროვად.

როგორ არ ეცადნენ მათ მოგერიებას რომაელნი და სარკინოზნი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ისინი გაპყვიროდნენ, ტყვედ ვნებდებითო, მაგრამ მათი შემბრალებელი აღარავინ იყო. ყველანი მახვილის ლუკმა ხდებოდნენ. მეფე



ართური აღმა-დაღმა დააჭენებდა ბედაურს. ბრძოლის შუაგულში შეიჭრებოდა ზოლში, როგორც პირგამხეხებული ლომი, და კეთილშობილ სენატორთ თავს რისხვად ატყდებოდა. ერთიც არავინ დაუნდიათ, ყველას ხოცავდნენ, ვიდრე დახოცილთა რიცხვმა ასი ათასს არ მიაღწია. მრავალმა ათასმა კი მეფობართა შეწყვენით და უჩუმარი გაქცევით უშველა თავს. მხოლოდ მაშინ დასცხრა თვეს სახელოვან რაინდებთან ერთად მეფე ართური.

მეფემ დაჭრილთა და ტყეში თვალს მიფარებულთა დასაძებნად სხვადასხვა კუთხეს აფრინა ხალხი. ვინც ბრძოლის ველზე პპოვა აღსასრული, ყველას თავისი წარმოშობის მიხედვით მარხავდნენ, ბევრი სამო საფლავებში ჩააწვინეს, ხოლო ვისი გადარჩენა და მკურნალობაც შესაძლო იყო, მათთვის ოქროსა და ვერცხლზე შეძენილ იშვიათ წამლებსა და ნუგბარ სანოვავეს არ იშურებდნენ. მზრუხველმა მეფემ ასე შეუნარჩუნა სიცოცხლე მრავალ რაინდს, ვისი გადარჩენის იმედი და სასოება აღარ იყო და თვითონაც ჩაქნეული ჰქონდათ ხელი სიცოცხლეზე. მაგრამ ყველაზე მეტად მეფე სერ კეისა და მძლეთამძლე სერ ბედივერის გადარჩენას შეჰხაროდა.

ბოლოს მეფე ართური იმ მზარისაკენ გაეშურა, სადაც მისი ხელით მოკლული იმპერატორი იწვა. მეფე ართურმა ბრძანა, მეფური პატივი მიეგოთ მოკლული იმპერატორისა და ბრძოლაში დახოცილი კეთილშობილი რაინდებისათვის. მათ რიცხვში იყვნენ სირიის ზონტქარი, ეგვიპტის, ინდოეთისა და ეთიოპიის მეფენი, კიდევ ორი კეთილშობილი მბრძანებელი, ჩვიდმეტი, სიცოცხლეში მორჭმით მჯდომარენი საბეფო ტახტზე, და სამოცი რომაელი სენატორი. მეფე ართურმა ბრძანა, ძვირფასი ფისი და სურნელოვანი ნელსაცხებელი არ დაეშურებინათ, მუშიებად ექციათ გვამები, სელის თხელი ქსოვილი სამოც ფეხად დაეხვიათ თითოეულისათვის, ტყვიის სადგომებში ჩაესვენებინათ და მიცვალებულნი ხრწნისა და სიმყრალისაგან დაეცვათ, მერე მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ კუბოებში ჩაესვენებინათ და ზევიდან, განრჩევისათვის, მათი ადრე კუთვნილი სამეფო დროშები და ფარები დაეწყოთ, რათა მხილველთ გაერკვიათ, ვინ იყვნენ დახოცილნი.

მეორე დილით ბრძოლის ველზე სამი რომაელი სენატორი შეიპყრეს და სამივენი მეფეს მიჰგვარეს. მეფე ართურმა ტყვეებს უთხრა: სიცოცხლე მხოლოდ იმ პირობით შეგინარჩუნდებათ, თუ რომში გაეშურებით, მიცვალებულთა გვამებს თან წაიღებთ, გოროზ მბრძანებლებს ჩაუტანთ, ჩემს წერილს საკუთარ ხელში ჩააბარებთ და ჩემს დანაბარებს ეტყვიან. დიად რომში მალე გვიხილავენ აღბათ ჩემს რაინდებსა და მეც, ამის მერმე მაინც რიდიტა და კრძალვით მოგვექცევიან და ხუმრობას იოლად ვეღარ შემოგვბედავენ.

იმპერატორ ლუციუსის გვამი ოთხთვალა ეტლზე მოათავსეს, მერმე ორ-ორი რაინდისა იქვე და ორ-ორი სენატორისა კატაფალკზე დააწყეს და რომისაკენ გასამგზავრებლად მოამზადეს.

— კეთილშობილ რომაელთ აუწყეთ ჩემგან დანაბარები, რომ ვუგზავნი ბარკს, რაც რომს ჩემგან და ჩემი წინაპრებისაგან ერგებოდა ამ ორაბი წლის მანძილზე. მე მგონი, ვალში არ დავრჩენილვარ, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ, რასაც ვუგზავნი, ცოტაა, და კიდევ მმართებს რაიმე მათი, მზად ვარ ჩამოსვლისას საქმე გამოვასწორო. გიბრძანებთ, კარგად ჩაუკენჭოთ ჩემგან დანაბარები: ნურასოდეს მოითხოვენ ხარკს ჩემგან, თორემ ამდაგვარი საგანძური, რასაც ახლა ვუგზავნი, არასოდეს მოაკლდებათ.



რომაელი სენატორები სისხამ დილით გაემგზავრნენ სამშობლოსაკენ. მეთვრამეტე დღეს მიაღწიეს თავიანთი ქალაქის სანახებს, მბრძანებელს წარუდგინენ და მოახსენეს, რაც ორასი წლის მანძილზე ინგლისის, ირლანდიის და აღმოსავლეთის მიწებიდან ხარკი და ხარაჯა გვერგებოდა, ექვემდებარებოდნენ მოვიტახეთო.

ბიზანტიისა

— მეფე ართურმა კი ბრძანა, გადმოგცეთ: „ჩვენი დაშინებით ხარკი და ხარაჯა მანამ არ მოითხოვოთ, ვიდრე ამისი ნამდვილი უფლება არ გექნებათ, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, ვიდრე თქვენს წინაპრებსა ჰქონდათ“. ჩვენ საფრანგეთის მიწაზე ვიბრძოლეთ, ვიომეთ, მაგრამ საქმე ავად წაგვივიდა, ბრალიანიცა და უბრალონიც ამოგვიხოცეს და ამოგვიწყვიტეს. ჩვენი რჩევა ის გახლავთ, რაც შეიძლება მეტი სურსათი მოიმარაგოთ, რადგან ომი ჩვენს მიწაზე გადმოინაცვლებს. ეს ამბავი მაისის თვეში, კონსტანტინეს ქვეყანაში მოხდა, იქ, სადაც ანკარა მდინარენი მიედინებიან, მისმა რაინდებმა მოგვეკრიბეს, ვინც ბრძოლაში დაიჭრა და დასახიჩრდა, იმათ იმდღესვე მკურნალობა დაუწყეს, დახოცილნი კი მიწას მიაბარეს.

თავი მეთხრე

ამა ამბავი, რომაელთა დამარცხების შემდეგ, როგორ შეიჭრა ართური ალემანიაში და იქიდან იტალიაში

ახლა კი მეფე ართურისა და მისი კეთილშობილი რაინდების გზასა და კვალს მივყვით. ისინი პირდაპირ ლუშბორნისაკენ\* გაემართნენ, ფლანდრიაზე გაიარეს და გეზი ლორეინისაკენ\*\* აიღეს. მეფე ართურმა და მისმა ლაშქარმა გზად ყველა საპერცოგო და საგრაფო დაიბყრო, მერმე ალემანიაზე გადაიარა, ლომბარდიის მდიდარ მიწებს დაეპატრონა და იქ თავისი მმართველობა დაამყარა. იმ ქვეყნებში მეფე ართურის მიერ შემოღებულმა მმართველობამ და მისმა დაწესებულმა კანონებმა კარგა ხანს იარსებეს. მერმე ტოსკანის ქვეყანა დალაშქრა და იქაური ტირანები დაამხო. იმ მხარეში ბევრნი იყვნენ მოხერხებული და ილათიანი სტრატეგოსები, რომლებმაც იცოდნენ მეფე ართურის ლაშქრობის ამბავი. ისინი ვიწროებში უსაფრთღებოდნენ მეფე ართურის ჯარს, ბევრ მოლაშქრეს უხოცავდნენ და მრავალ ქალაქში თავიანთ მეციხოვნეთ აყენებდნენ.

იყო იქ ერთი დიდი ქალაქი, რომელმაც კარგა ხანს გაუძლო მეფე ართურის: რაინდთა და მოლაშქრეთა ალყას. მეციხოვნეთა თავდადებამ მოთმინებისას გამოიყვანა მეფე ართური და მრისხანების ჟამს ხმამაღლა წარმოათქმევინა:

— იერიშით ავიღებ ამ ქალაქს და ქვას ქვაზე არ დავტოვებ!

აბჯარმოსილი მეფე უვეშაკოდ მივიდა ქალაქის კედლებთან.

— ბატონო მეფევ, — მიმართა მას სერ ფლორენსმა, — არა მგონია თქვენი საქციელი გონივრული იყოს, რაკილა ასეთ საშიშ, ხიფათიან ქალაქს უიარაღოდ უახლოვდებით.

— თუ გეშინია, — უბასუხა გამწყრალმა მეფემ, — შეგიძლია გაქცევით უშველო თავს. ისინი ჩემს წინააღმდეგ ვერას გააწყობენ, მხოლოდ შუბებს

\* Sushburne — იგულისხმება ლუქსემბურგი.

\*\* Sorayne — ლოთარინგია.



ზეჲ შემალეწენ, სხვას ვერაფერს მომიხერხებენ, რადგან ღმერთი მირონცხე-  
ბულ გვირგვინოსანს არ გასწირავს და მდაბიოთა სასიკვდილოდ არ გახდის.

მეფის შემხედვარე მოდგნენ და მოდგნენ მრგვალი მაგილის რაინდები  
ქალაქის კედლებთან. მათ ერთსულოვნად შეუტიეს ქალაქის ხიდწინა სიმაგრეს,  
ყვილა და ყველაფერი ცეცხლითა და მახვილით მოსპეს, და ხიდს რჩენილი ნაწილი  
ხიდწინა სიმაგრის ხელთ მპყრობთ, იქ მდგარი გარნიზონი რომ არა, ქალაქის  
ალაყაფში შესვლა და ქალაქის აღება უკვე ძალედგათ.

აეფე ართურის კეთილშობილმა რაინდებმა ოდნავ უკან დაიხიეს, მეფეს  
ეაღიხეს და სთხოვეს, ღამე აქ გავათიოთო. მეფე ართურმა ბრძანა და მისმა  
ძოლაშქრებმა ქალაქის კედლებთან დასცეს ტილოს ჩარდახები და სალაშქრო  
კარავები. მეფემ ბრძანა და მალულად ციხის კედლების შესანგრევი მანქანებიც  
უწვად მოხიდეს ქალაქის გალავანთან.

ღერშე მეფე ართურმა სერ ფლორენსი იზმო და უთხრა:

— სურსათ-სანოვაგის სიმცირემ მოლაშქრენი გამისავათა, ჩვენ გარშემო  
დაბურული ტყეა და ჩვენი მტრები იქ იმალებიან. მე აგრე მგონია, ტყეში ბევ-  
რი საჭოხელი უნდა ჰყავდეთ. შენ იცი და შენმა კაცობამ, ის საქონელი აქ მიწ-  
და მოძირეკოთ. შენთან ერთად სერ გავეინი, ღირსეული რაინდები სერ უაჩა-  
რდი და სერ უალჩერი წამოვლენ. ისინი დასავლეთის მხარის ბრძოლაში ნაცად  
მებრძოლებს იახლებენ თან. სერ კლერმონტსა და სერ კლევისსაც ებრძანებათ  
თქვენი თახხლება, შენ კარგად უწყი, იმათ იარაღის მოხმარება არ შეეშლე-  
დათ. კარლიფის ერისმთავარსაც ვუბრძანებ, თქვენთან ერთად წამოვიდეს,  
ისიც ძესახიშხავი რაინდია. ახლა კი წადი და, ვინც დავასახელე, ყველანი გაა-  
ფრთხილე, გამგზავრების თადარიგი დაიჭირონ.

სერ ფლორენსი იმწამსვე გაეშურა მეფის ბრძანების აღსასრულებლად.  
მისი წინამძღოლობით მოლაშქრე ტყეს, მიწდვრებს, ხევ-ხუვებსა და ბორცვ-  
გორაკებს იჩქითად მოედგნენ. მალე ყვავილებით მოფარდაგულ გაშლილ მიწ-  
დორზე გავიდხენ და თავიანთი ცხენები იქ დაათვალმანდეს.

იხათა თუ არა, სერ გავეინი იღუმალ მოახტა თავის ბედაურს და სასწაულ-  
ფათერაკების საძებნელად გაეშურა. მდინარის ნაპირს რომ მიადგა, უცხო მხე-  
დარი შეხიშხა. უცნობს ნელა მოჰყავდა ტყის პირას თავისი მალალკანჭება ცხე-  
ხი. ფარი ზურგზე გადაეგდო, თან ახლდა მხოლოდ ერთი საჭურველმტვირთ-  
ველი, რომელსაც მძიმე შუბი აეჩანთრა და ძლივს მოათრევდა.

რაინდის ფარზე, რომელსაც მოფარდაგულ ველზე ციალი გაუდიოდა, სამი  
გრიფოხი იყო მოსევადებული, ღალეებით შემკული და ვერცხლის ზარნიშით  
გარიემოვლებული. სერ გავეინმა დაინახა თუ არა მხიარული ფერებით აჭრე-  
ლებული, საომარი იარაღით აღჭურვილი რაინდი, დიდი შუბი მოიმარჯვა და  
აირადაპირ ძისკენ გაჰქუსლა, რათა იმ რაინდს სწორედ ტყის პირას შეჰყროდა.  
ძიუანლოვდა თუ არა, სერ გავეინმა ინგლისურად ჰკითხა, ვინა ხარო. უცხო  
რაინდმა თავის ენაზე, ტოსკანურად გასცა პასუხი: „რა შუბმომარჯვებული  
მომვარდი, შე წუნკალო! რაც არ უნდა სცადო და მიდგე-მოდგე, ჩემგან შენ  
რა ხეირი უხდა ნახო, გარდა იმისა, რომ ჩემი ტყვე შეიქნები!“

— აძაყად და დიდგულად კი ლაპარაკობ, — უთხრა სერ გავეინმა, — მაგ-  
რა! გირჩევ შავ სიტყვების რახარუხს მოეშვა, საჭურველი მოიმარჯვო და თავი  
დაიცვა, თორემ ვაი არ აგცდება.



თ ა ვ ი მ ა ა თ ა

აჲა აგბავი იჲ ორთაბრომლია, სერ გავეინმა რომ ერთ სარკინოზს გაუგართა, ტყვედ იგდო და ჰრისტიან სჯულზე მოაქცია

ქ რ ი ე ნ ე უ ლ ი

ჯერ შუბებით ეკვეთნენ ერთურთს და ფარები დაუხუტავდნენ. მარჯვედ იბრძოდა, მერმე ჯავშნებიც დააცვდათ, მხრები გაუშიშვლდათ და ერთმანხეაის სისხლი დაღვარეს. ჭრილობებმა ორივე ისე გააშმაგა, რომ მახვილები იძიშვლეს და უწყალოდ ჩეხდნენ ერთურთს. ჩაფხუტებზე ხმლის ცემისას გამაყრუებელი ზრიალი მოისმოდა, მერმე ფერდებში აძგერეს ერთმანეთს მახვილი. ასე იბრძოდნენ უკვე დაქვეითებული რაინდები და მათ მახვილთაგან ზუჩებზე ცემისაგან ავარდნილი ცეცხლოვანი ნაპერწკლები დაბლა ცვიოდა. სერ გავეინი წინანდელზე უფრო გავეშებული მიეჭრა მოწინააღმდეგეს, ხმალი გალახტიხი აღძართა, მთელი ძალით დასთხლიშა სარკინოზს, ფარი ორად უქცია, ჯაჭვის თორანი გაუპო, მდიდრული სამოსი დაუფლითა და ჭრილობამ ფილტვებსა და ღვიძლამდე უწია. ძალზე მძიმე ჭრილობისაგან უცნობმა რაინდმა აღძოიკვხესა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სერ გავეინს მხრიდან გვერდულად დაჰკრა მახვილი. მან სერ გავეინს ზურგსა და მკერდზე გაუპო ჯავშანი და მთავარი ძარღვი გადაუჭრა. უცნობმა რაინდმა ისე მძიმედ დაჰკრა სერ გავეინი, რომ ცნობიერება დაუხშო და საჭურველი ერთიანად სისხლით შეუღება.

მაშინ სარკინოზმა სერ გავეინს სიტყვა უთხრა და ჭრილობების შეხვევის ხება დართო.

— შეიხვიე, თორემ სიცოცხლეს გამოესალმები. შენს ცხენსა და ჭრელ ტანსაცმელს სისხლითა ღებავ. მაგ ჭრილობათაგან სისხლის დენის შეწყვეტა ბრიტანეთის არც ერთ დალაქს არ ძალუძს. ვისაც ჩემი ხმლის წვერი გაუხსნის ჭრილობას, ის სიკვდილამდე სისხლის დენამ უნდა მიიყვანოს.

— ვფიცავარ ზენას, — უპასუხა სერ გავეინმა, — მაგის დარდი არა მაქვს, შენ კი ყოყლოჩინობით ვერ შემაშინებ. ნუ გგონია, მაგ სიტყვებით ჩემს მრისხანებას დააცხრობ. ვიდრე წახვიდოდე, ჯერ კიდევ ბევრ ჭირსა და ვნებას გადაეყრები, თუ არ გამიმყლავნებ, ვის შეუძლია შეაჩეროს ჩემი ძარღვებიდან სისხლის დენა.

— ეს შე ძალმიძს მხოლოდ და ვიქმ კიდევ, თუ დამეხმარები და წმინდა ნაილისღებას მაზიარებ, ცოდვების მონანიების საშუალებას მომცემ, რადგან ვვედრი უფალს გულმოწყალებას და მსურს კეთილ ქრისტიანად მოქცევა. შენს სულს კი შენივე სიმამაცის გამო ციური სასუფეველი ელოდება.

— თანახმა ვარ, — უთხრა სერ გავეინმა, — შენი სურვილის შესრულებაში თვითონ უფალი შემეწყვეა, შენ ეგ ჯილდო დაიმსახურე მანამდე კი ის უნდა მითხრა, ამ მხარეში რას დაეძებდი, მარტოსული რას დაეხეტებოდი და რომელი ბატონის ვასალი ხარ?

— სერ, მე პრიამოსს მეძახიან, მამაჩემი პრინცი გახლდათ, რომს გაუდგა, ებრძოდა და ბევრი მიწა გამოჰგლიჯა ხელიდან. წარმოშობით მამაჩემი ყოველთა შეფეთა შეფის ალექსანდრეს სისხლიერი ჩამომავალი იყო. პირდაპირი ხაზით იგი ჰექტორის მემკვიდრეც გახლდათ. ჩემს წინაპართა შორის ბევრი სხვა სააელგახთქმული ადამიანიც ყოფილა: იუდა მაკაბელი, ისუ ნავინი და სხვანი. მე პირდაპირი მემკვიდრე ვარ ალექსანდრიის, აფრიკისა და გარე კუნძულების



სამეფოთა, მაგრამ მზადა ვარ იმ ღმერთის მსახური და ამღიარებელი შევიქნე, რომელიც შენ გწამს და რწმენით ემსახურები, შენი შრომა-გარჯა კი ძვირფასი საჩუქრებით ავანაზღაურო, რადგან ისეთი ქედმაღალი და ამაყი ვიყავი, ჩემი ტოლი და ფარდი ამ ქვეყანაზე არ მეგულებოდა. მამის თანხმობით რაინდთა ძვიდი ოცეული ვიახელი და ამ ომში მონაწილეობის მისაღებად წაიყვანეთ აქ კი შეხთან ორთაბრძოლაში ვნახე, რომ მჯობნის მჯობნი არ დაიღვეა. ახლა კი, სერ, შენ იმ შეფის სახელს გაფიცებ, ვისაც ემსახურები, მითხარი, ვინა ხარ და რა გქვია?

— სერ, — წამოიწყო სერ გავეინმა, — მე რაინდად აღიარებული არცა ვარ. კეთილშობილი მეფე ართურის ტანსაცმელისა და საჭურველის მწმენდავი და ჭეშხანავი გახლავარ. წლების მანძილზე ჩემს პატრონს ამ საქმეში ერთგულად ვემსახურები. ვწმენდ მის საომარ საჭურველს, ჯაჭვის თორანის ქვეშ ჩასაცმელ ტყავის ჩიფთანებს, ვწმენდ მისი ერთგული პერცოგებისა და გრაფების იარაღსა და ტანსაცმელს. ამ ცოტა ხნის წინათ კი ჩემმა პატრონმა იომენის\* წოდება მომანიჭა და გვარიანი საჩუქრებიც მიბოძა. ამავსო წყალობით, მომცა აღკაზმული ცხენი და ასი გირვანქა ფულად. თუ ჩემს პატრონთან დაბრუნება ძელირსა, ალბათ კრილობებიც უმაღვე მომიშუშდება.

— თუ მეფე ართურს მსახურები ასეთი გულადები ჰყავს, მაშინ რაინდები როგორებილა იქნებიან! რაინდი ხარ თუ მსახური, მამა ღმერთსა და შენს მეფეს გაფიცებ, დაუფარავად მითხარი შენი სახელი! — შეევედრა სერ პრიამოსი.

— მამა ღმერთის მადლი გამიწყრეს, თუ დოველივე სიმართლე არ ვითხრა. მე სერ გავეინს მეძახიან. მეფე ართურის კარზე და თვითონ სასახლეში კარგად მიცნობენ, მრგვალი მაგიდის რაინდად ვითვლები, დუკად თვითონ მეფეშ საკუთარი ხელით დამლოცა. ასე რომ, კეთილო რაინდო, ჩემთან ორთაბრძოლაში დაბარცხება ნუ შეგაშფოთებს, ღვთის ნება იყო და შენზე ძლევა მოძეცა.

— მთელი პროვანსისა და ირანის სიმდიდრე რომ შემოეთავაზებინათ, მაინც იმას ვარჩევდი, გარეულ მხეცებს ლუკმა-ლუკმა ვექციე, ვიდრე ბრძოლაში იომენის, პაყის ან საჭურველმტვირთველისაგან ვძლეულიყავი, მაგრამ ახლა ამას თავი ვანებოთ. მრგვალი მაგიდის ბატონო რაინდო! მინდა გაგაფრთხილო, რომ აქვე, სულ ახლოს, თავისი მხნე რაინდებით ლორეინელთა დუკა იმყოფება. აქვე არიან თავმოყრილი დოფინიელი მოლაშქრენი, პოლანდიელნი, ლომბარდიელი ლორდები, გოდარდელნი, ლომგული ვესტფალელნი, საქსონელები და აურაცხელი სამხრეთელი სარკინოზნი. ალბათ სულ სამოცი ათასი დარჩეული მეომარი იქნება. ამიტომ, თუ არ ვიჩქარეთ, და ეს ბრძოლის ველი ჰაიპარად არ მივატოვეთ, კარგი დღე არ დაგვადგება. თანაც ორივენი ნძიმედ დაჭრილები ვართ და, ოდესმე განოვჯანმრთელდებით თუ არა, ერთმა ღმერთმა უწყის. მხოლოდ გაფრთხილდი, ჩემმა მსახურმა რქის საყვირს არ ჩაბიეროს და მშველელთ არ უხმოს, თორემ ჩემს ძხლებელთაგან ასი რაინდი ჩვენ-

\* იომენი — შუა საუკუნეების ინგლისში რაინდთა შვილები, ვიდრე რაინდობას ეზიარებოდნენ, საწვრთნელ მომზადებას გადიოდნენ მეფის კარზე. ჯერ პაყად ჩაირიცხებოდნენ ხოლმე, მერმე იომენად (ახალგაზრდა), მერმე საჭურველმტვირთველად, სამივე წოდება გულისხმობდა რაინდის ხელქვეით ყოფნას. როგორც ბრძოლის დროს, აგრეთვე შინა მსახურის მოვალეობის შესრულებისას.



გან სულ ახლოს იმყოფება, და თუ ხელთ ჩაგიგდეს, მათი ტყვეობიდან ვერა ბაჯალლო ველარ გამოგიხსნის.

სერ გავეინმა ფონი მოძებნა, მდინარე გადალახა და გაღმა გავიდა. ის კეთილშობილი მძიმედ დაკრილი რაინდიც უკან მიჰყვა. აქეჟეჟე სემშვიდობოს იყვნენ. მერმე იმ მიმართულბეით იარეს, საითაც სერ გავეინმა მგზავრთა ცხენები ძოვდნენ. დალილ-დაქანცული, თავიანთ ფარებზე დაყრდნობილი ლორდები დასასვენებლად იქვე, პირდაპირ მწვანეზე მიყრილიყვნენ. ისინი ხმამაღლა ხარხარებდნენ და ოხუნჯობდნენ. როგორც კი სერ უიჩარდმა სერ გავეინს მოჰკრა თვალი, უმაღლ წამოიჭრა და მის შესაგებებლად გაემართა, როცა მისი მძიმე ჭრილობები იხილა, ტირილსა და ხელების მტვრევას მოჰყვა. სერ გავეინმა უამბო, როგორ შეეება იმ მძლავრ რაინდს, რომელიც თან ახლდა.

— ჰმუნვასა და დარდს ნუ მიეცემით, ძვირფასო სერ, — უთხრა უიჩარდს სერ გავეინმა, — მართალია, ჩემი ვეშაკი ნაფოტებადაა ქცეული, მხარში დაკრილი ვარ და სუნთქვაც მიმძიმს, მაგრამ არანაკლებ მძიმე ჭრილობები აქვს ჩემს მოწინააღმდეგე სერ პრიამოსს. როგორც თვითონვე მითხრა, რაღაც შინაური სასწაულმოქმედი წამალი აქვს და იმედია, ორივენი განვიკურნებით. მინდა ერთი ამბავი გაუწყოთ. ალბათ გუმანითაც ვერა ხვდებით, რაც ნაშუადღევამდე თავს დაგვატყდება.

სერ პრიამოსი და სერ გავეინი ცხენებიდან ჩამოხდნენ და პირუტყვი საძოვარზე მიუშვეს. მერმე უბრძანეს, მათთვის მუზარადები შეეხსნათ, და დაღეწილი ფარებიც მოიშორეს. მაშინ ისევ თქრიალით იწყო დენა სისხლმა მათი ჭრილობებიდან. ან ცხენებზე როგორ ისხდნენ, ან ფეხზე როგორღა დგანანო ასეთი ნაჭრილობევი რაინდები, ჰკვირვობდნენ მზირალნი.

— ახლა აქ მომიტანეთ ფიალა, ჩემს მსახურს რომ ქამარზე ჰკიდია, — თქვა სერ პრიამოსმა, — იმ ფიალაში სამოთხიდან გამომავალი ოთხი მდინარის წყალია\*, სიცრუის ყვავილი და ნაყოფი, რომელიც ყველამ უნდა ვიგემოთ. იმ წყლით მოგვბანეთ ჭრილობები, შეგვიხვიეთ და ოთხ საათში გამოჯანმრთელბულთ გვიხილავთ.

სერ პრიამოსსა და სერ გავეინს ჭრილობები თეთრი, ცივი ღვინით მოჰბანეს, მერე სასწაულმოქმედი წამალი რამდენჯერმე წაუსვეს. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ისინი თავს ისევ მხნედ და ჯანმრთელად გრძნობდნენ.

განზანილთ და გამოჯანმრთელბულთ მალე ღვინო, პური და ნანადირევი ხორცი უხვად მოართვეს. როცა პურობა მომთავრდა, რქის საყვირებს ჩაჰბერეს და ყველას სათათბიროდ უხმეს. სერ გავეინმა ასე მიმართა თანამებრძოლთ:

— იარალი აისხით, ლორდებო!

საომრად მზადმყოფთ სერ გავეინმა ყოველივე გაანდო.

— უმჯობესია, სერ პრიამოს, თქვენა თქვათ, რისთვის არიან თავშეყრილნი ის ჩინებული რაინდები.

— ბატონებო, — წამოიწყო სერ პრიამოსმა, — მათ განგებას შეჰფიცეს, ან გამომიხსნან, ან თავიანთი ძვლებიც აქ, ამ მიწაზე დატოვონ. ასეთია მათი ერთადერთი მიზანი მას შემდეგ, რაც მე მათ ჩამოვცილდი და მათი ნების წი-

\* ბიბლიაში ნათქვამია: ედემიდან გამოდიოდა მდინარე, რომელიც შემდგომ ოთხად იყოფოდა. მათი სახელებია: ფისონი, გიჰონი, პიდეკელი და ეფრატი.



ნააღმდეგ გადაწყვიტე მარტოდმარტოს მეძებნა ხიფათიანი თავგადასავალი.

— ჩემო კეთილნო, — მიმართა ვარს შემოკრებილთ სერ გავეინსმა, — გამხნევდით და სასმენელნი მომაპყარით, თუ დავლა-ალაფი არ ვიშოვეთ და აქაურობას ისე გავეცალეთ, ჩვენს მეფეს ძალზე დავამწუხრებთ. სერ ფლორენსი, ვინც მეფემ უფროსად და გამრიგედ ამოგვირჩია, აქ, ადგილზე დარჩება და აქედან ფეხს არ მოიცივლის. იბრძოლებს თუ ბრძოლის ველს განერიდება იგი, ჩვენ ყველგან სერ ფლორენსს გავყვებით. მე კი იმ რაინდებს ბრძოლის ველს უომრად ვერ დავუთმობ.

— როგორც მამას, ისე გეტყვით, — მიმართა სერ გავეინს ფლორენსმა, — რაცა თქვით, მშვენიერადა თქვით, მაგრამ თქვენთან შედარებით ომში მე მართლაც გამოუცდელი ბავშვივითა ვარ. მე რომ ბრძოლის თადარიგი ვერ დავიჭირო და რაიმე შეცდომა მომივიდეს, ისევ თქვენი სირცხვილი იქნება. ამიტომ თქვენი მოპოვებული კეთილი სახელი და დიდება დაიცავით კარგად, იცით, რომ მე ჯერჯერობით დიდი გამოცდილება არ გამაჩნია, თქვენ კი ჩვენი თავდათავი ხართ, ისე იმოქმედეთ, როგორც უფრო გონივრულად მიიჩნევთ.

— ძვირფასო ლორდებო, — წამოიწყო სერ პრიამოსმა, — თავი ანებეთ მკვერმეტყველებაში შეჯიბრს, თორემ გვიან იქნება თითზე კბენანი. იმ ტყეში აურაცხელი ძლიერი რაინდია მიმალული. ახლა ისინი თქვენი თვალის ასახვევად საქონელს გამორეკავენ. თქვენ კი სულ შვიდასი თუ იქნებით. შვიდასი რაინდი ძალიან ცოტაა ურიცხვ მტერთან პირისპირ შესაყრელად. მდაბიოთაგან კი ვის რა სარგებელი უნახავს, ეგენი ხომ გაჭირვებისას ჩირგვნარში შეძვრებიან, ქადილი და კვებნა კი, იცოცხლეთ, კარგი იციან.

— მართალი ნათქვამია, ისე ღმერთი შემეწევა! — თქვა სერ გავეინმა. — ახლა კი, ჩემო საყვარელო შვილო, — მიმართა სერ ფლორენსს სერ გავეინმა, — წაიყვანე ბრძოლაში გამოწრთობილი ასი რაინდი მტერზე, რათა შენი გულოვნება და მკლავის ძალაც აჩვენო და ალაფიც იშოვო.

— დიდი სიამოვნებით ვიქმ მაგ საქმეს! — შესძახა ფლორენსმა.

### თავი მეთერთმეტი

როგორ გამოუხდენ სარკინიოხნი მუხე ართურის რაინდებს  
 ტყიდან, როგორ უნდოდათ საკონლის უკან დაბრუნება  
 და დიდი ბრძოლების აგაპი

სერ ფლორენსმა სერ ფლორიდასი იხმო, თან ასი რაინდი იახლეს, სარკინოხთა საქონელი წინ გაირეკეს და ნადავლს უკან ჰენებით მიჰყვნენ. ფლორენსსა და მის რაინდებს მდევარი, შვიდასი კაცი, იმწამსვე ჩაუდგა კვალში. მდევრებს წინ მშვენიერ ცხენზე ამხედრებული, ფარმაგოსს ნაზარდი, ეშმას ნასხლეთი, სერ ფერონტ ესპანელი მიუძლოდათ. ფერონტმა ბედაური პირდაპირ მიაფრინა სერ ფლორენსთან და ჩაჰკითხა:

— საით მიგეჩქარება, უღირსო რაინდო?

ლანძღვისაგან შეურაცხყოფილმა გაშმაგებულმა სერ ფლორენსმა შუბი უნაგირზე დააყრდნო და მდევრისაკენ დაიძრა. სერ ფლორენსმა ისე მაგრად აძგერა სერ ფერონტს შიგ შუბლში შუბი, რომ ორ ადგილზე კისრის მალეებიც



გადაუმსხვრია. ამის დამნაშავემა, სერ ფერონტის სისხლიერმა ნათესავმა საწყალობელი ტყება-ტირილი მორთო და თქვა:

„შენ მოკალი რაინდი და მირონცხებული მეფე, რომლის დარტყმის ძალას დღევანდელ დღემდე ვერავინ გაუძლო. ახლა კი შენი სიკვდილის რიგიც დადგა. აქედან ცოცხალი ვერავინ წაგვიხვალთ!“

— ფუი, შე უბადრუკო ერეტიკოსო! — უთხრა ფლორიდასმა, მიეჭრა და ისე მაგრად დაჰკრა გვერდში მახვილი, რომ ნაწლავები მიწაზე გადმოაყრევინა. იმავე წამს მის ადგილზე სხვა რაინდი გაჩნდა, რომელსაც ბარონის ხსნა გადაეწყვიტა. რაინდი როდოსზე იყო დაბადებული და ქრისტეს სჯულისაგან გამდგარი. იგი ბრძოლის შუაგულში შეიჭრა და მსხვერპლს მიუხდა. მაგრამ სიცოცხლის გზაზე მრგვალი მაგიდის რაინდი რიჩარდი გადაუდგა. ჩალისფერ ბედაურზე მჯდომი რიჩარდი როდოსელის წინ აღიმართა, მახვილი დაჰკრა, ფარი გაუპო და მისმა მახვილის წვერმა კიდევ ერთ მღვეარს გაუგმირა გული. სიკვდილის წინ როდოსელმა სულის შემძვრელი ყივილი მორთო, მაგრამ ფეხზე წამოდგომა აღარ ეწერა.

სერ ფლორენსსა და მის ასეულს ხუთასმა რაინდმა შემოუტია. სერ ფლორენსმა და სერ ფლორიდასმა შუბები მოიმარჯვეს და მომხდურთა პირველი რიგიდან ხუთი რაინდი განართხეს მიწაზე. მაგრამ მტერმაც სასტიკად შემოუტიათ. იყო ჯავშან-ბეგთარ-მუზარადთა ლეწვა, ჩახაჩუხი და ძირს ბევრი რაინდი დასცეს.

როცა კეთილშობილმა სერ პრიამოსმა ნახა, რომ სერ ფლორენსს და მის რაინდებს უჭირდათ. სერ გავეინს მიეახლა და სთხოვა:

— შენს ყველაზე მამაცსა და გულოვან რაინდებს უჭირთ, სარკინოზნი ხომ ხუთას კაცამდე არიან. შენი ღმერთის სახელს გაფიცებ, ნება მომეცი, მცირე რაზმით მივეშველო.

— ეგ ამბავი ტყუილად გაწუხებთ, ძვირფასო სერ, — უბასუხა სერ გავეინმა, — ეგენი ხომ ჩემი მეფისაგან მდიდრულ საჩუქრებს იღებენ და სულ ერთია, მოსაგებლის გულისათვის გაიმარჯვებენ კიდევ. იომონ, ვიდრე უკანასკნელი ძალი შესწევთ, ბევრ მათგანს ხუთი წელიც იქნება, ხმლის ვადა მაგრად აღარ ჩაუბლუჯავს ხელში და გულდაგულ არ უომია. ამიტომ ჩემს ცხენს ფეხს არ მოვაცვლევიანებ, თუ არ დავატყვე, რომ მართლაც ძალიან უჭირთ.

სწორედ ამ დროს სერ გავეინმა დაინახა, რომ ტყის პირას, ჭრელ-ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი აურაცხელი რაინდი გიჟური ჭენებით გამოხტა. ეს გრაფი ეთელვოლდი გახლდათ, აქეთ-იქიდან რომ მხარში ათასობით რაინდი ედგა. ეთელვოლდს უკან პოლანდიელი დუკა და პრიამოსის რაინდები მოსდევდნენ. მაშინ მხნე და გულოვანმა გავეინმა თავისიანებს ასე მიმართა:

— ეს სასტიკი სანახაობა ნუ შეგაკრთობთ, ჩემო კეთილნო! ნურც მათი ბრწყინვალე სამოსი შეგაშინებთ, თუ მარჯვედ ვიომებთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

სერ გავეინის რაინდებმა ლაგამ-ავშარა დაქაჩეს და ჭენებით გავიდნენ მდელოს პირზე, მაგრამ ვიდრე იქამდე მიაღწევდნენ, ბევრი რაინდი ჩამოაგდეს დაბლა. ქვეყნად ამაზე კარგი თამაში და სეირი რალა უნდა ყოფილიყო. მრგვალი მაგიდის შუბებმომარჯვებული გულოვანი რაინდები ბრძოლის შუაგულისაკენ დაიძრნენ. ბევრს კი მიაგეს მისაგებელი და უჩვენეს სეირი. მხოლოდ ყვე-



ლაზე მამაცი დარჩენ ბრძოლის ველზე, ვინც სულით გლახაკი იყო. გაქცევა ირჩია.

— ღვთის მადლს ვფიცავ, — თქვა სერ გავეინმა, — მათი გაქცევა გულზე მალამოსავით მომეცხო. აურაცხელი კი იყვნენ. ახლა ჩვენი მოწინააღმდეგე ალბათ ოცი ათასი კაცით მაინც შემცირდა. ახლა მაგათ კვეთსა და მოკლავს გროშის ფასი აქვს.

უზარმაზარმა ჯუბეანს გენუელმა შუბი სახელგანთქმული უელსელი სერ გერარდის წინააღმდეგ შემართა, თავს დაესხა და გული განუგმირა. სერ გავეინის მხედრობა ისევ ერთად მიესია მომხდურთ. ბევრი სარკინოზი გაისტუმრეს იმ ქვეყნად, ბევრმა შესვა ლარტაფის სამსალა და წაიცხო საუკუნო მირონი.

ამასობაში მეფეთა და ლორდთა თვალწინ კეთილშობილი პრინცი სერ პრიამოსი თავის ბაირალთან მივიდა, ხელში აიტაცა და მრგვალი მაგიდის სამეფო რაზმთან ერთად გააქენა ბედაური. იმწამსვე მისი ყოფილი თანმხლებნი ტყიდან გამოვიდნენ და თავის წინამძღოლს, როგორც ცხერის ფარა, ისე დაედევნენ. ისინი გარს შემოერთყნენ თავის მეფესა და მეთაურს.

დუკას კი ასე შეუთვალეს:

— სერ, შვიდი ზამთარი ისე გემსახურეთ, არც ოქრო მიგვიღია, არც მასველი ჯარი, ისე რომ, უფლება გვაქვს, საკუთარი შეხედულებებისამებრ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი.

— ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი და ტანი! თქვენ ხომ ჯარისკაცები არ ყოფილხართ!

დუკამ თავისი პოლანდიელთა ჯარი სერ გავეინისა და სერ პრიამოსის წინააღმდეგ გაგზავნა. შუბებმომარჯვებული სერ გავეინი და სერ პრიამოსი მხნედ დაუხვდნენ მომხდურთ. სერ პრიამოსი მარკიზ მოისისლონდს დაეტაკა. გული გაუგმირა და ძირს დასცა.

მეფე ართურის კარზე აღზრდილი, პირადად სერ გავეინის გაწვრთნილი ჩესტელეინი, კეთილშობილ ბელადს სერ ჩელდრაკს გამოედევნა და შუბით გული ორად გაუპო. ყრმა იმ წამს ბედის რჩეული შეიქმნა, რაკილა ფორტუნამ ასეთი დიდი წარმატება არგუნა წილად. მაგრამ იმწამსვე გამოედევნენ და ვილაციის მურდალმა ხელმა კაბუკს კისერი გადაუჩეხა. ამის დანახვაზე სერ გავეინს გული აუჩუყდა და მწარედ ატირდა.

ჩესტელეინის დაღუპვის დანახვაზე ვერც მამაკმა გოტელეიკმა შეიკავა ცრემლი. ლაწვებზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა მლაშე სითხე. სერ გავეინმა ბედაური შემოაბრუნა და პირდაპირ დუკასაკენ აიღო გეზი, სერ დოლფინმა შენიშნა მისკენ მიმჭროლავი მტერი და მანაც მთელი სისწრაფით აფრინა ტაიჭი. სერ გავეინმა იმარჯვა, თავისი მძიმე შუბი ისე მოხერხებულად დაამაგრა უნაგირზე, რომ მოწინააღმდეგის სისწრაფე მისივე დამლუპველი აღმოჩნდა. იგი გულით შეასკდა შუბს, ზედ წამოეგო და სული განუტევა. სერ გავეინმა შუბი გაითავისუფლა და ახლა უძლეველი მეომრის სახელის მქონე სერ პარდოლფზე მიიტანა იერიში. მოხერხებულად ჩასცა გვერდში შუბი და მიწაზე ჩამოაგდო. იმ დღეს სამოცმა რაინდმა ჰპოვა სერ გავეინის ხელით სიკვდილი.

სერ გავეინმა უცებ დალანდა თავისი აღზრდილის ჩესტელეინის მკვლელი. ხმალი იშიშვლა, ორად გაჩეხა და კბილებში გამოსცრა:

— შენ რომ დაუსჯელი დარჩენილიყავი, სირცხვილით თავი არსად გამოგვეყოფოდა!



სერ გავეინი ისევ შებრუნდა ბრძოლის ველზე, თავისი დაუღალავი ტაიქი გააქროლა, მარჯვნივ და მარცხნივ მუზარადებს სულ ჩახაჩუხი უჩვენა და უმოწყალოდ მუსრავდა მტერს. სერ პრიამუსი მის გვერდით მიაქნებდა ბედაურს და სერ გავეინს გზას უჩვენებდა. ბევრი კერპთაყვანისმცემელი რაინდი გაისტუმრეს იმქვეყნად და ბევრიც ძირს დასცეს. სერ ფლორენსმა უფროდით ედგა სერ გავეინს. ბრძოლაში თავი არ დაუზოგავს, მარჯვედ და ილათიანად მოქმედებდა.

ლორეინისა და ლომბარდიის ლორდები ტყვედ ბევრნი ჩაბარდნენ. დატყვევებულები განზე გაიყვანეს. დიდძალი იყო დავლა და ნაალაფევი.

როს სერ ფლორენსმა და სერ გავეინმა დაინახეს რომ მტერზე საბოლოოდ გამარჯვება მოიპოვეს, წინ ასი რაინდი გაუშვეს და უკან ტყვეები და ნაალაფევი მიაყოლეს. თვითონ სერ გავეინი კი მანამდე იდგა ვიწრო ბილიკზე მცველად, ვიდრე მთელი საქონელი არ ჩაატარეს, მაინც ფრთხილობდა, მიმალული არსად იყოსო მტერი. მერმე გზას გაუდგნენ, ერთი დიდი ქალაქის ბჭეს მიაღწიეს, ალყა შემოარტყეს და იმავე დღეს აიღეს.

სერ ფლორენსმა და სერ გავეინმა რაინდები საომარ წესზე განალაგეს. მერმე მეფეს ეახლნენ ჩარდახში, მოუთხრეს თავიანთი თავგადასავალი და არც ისინი დავიწყებით, ვინც ყველაზე უფრო გამოიჩინა და ისახელა თავი ბრძოლებში.

— ბევრი შენი მტერი წავიდა მოუსავლეთში, მეფეო, ბევრიც დავატყვევეთ. მხოლოდ ეგაა, შენი აღზრდილი ჩესტელეინი მას მერმე, რაც ერთი მრისხანე რაინდი აკუწა, თვითონაც ემსხვერპლა ჩვენს დუშმანს.

თავი მეთორმეტე

ამა ანგაფი, თუ როგორ დაბრუნდა სერ გავეინი მეფე  
ართურთან თავისი ტყვეებით, როგორ აიღო მეფემ  
ქალაქი და როგორ დასრულდა იმპერატორად

— ღვთის შეწევნით გიმოქმედიათ, — სთქვა კეთილშობილმა მეფემ. — მაგრამ ეგ ძალგულოვანი რაინდი მაკვირვებს და მაოცებს, გვერდში, რომ გიდგას, არც ტყვესა ჰგავს და უცხოელად კი მეჩვენება.

— ძვირფასო სერ, — უპასუხა სერ გავეინმა, — ეს მართლაც მხნე და გულოვანი მებრძოლია, მასთან ორთაბრძოლაში დღეს, დიდი ჯაფა დამადგა და თუ თვითონ არ დამხმარებოდა, ახლა საიქიოში ვიქნებოდი. მერმე ის იყო ჭკუას მოეგო და ჩვენს ღმერთსა და მე ჩამბარდა, მართლმორწმუნე ქრისტიანად მოიქცა, ჩემო ძვირფასო მეფევ, და კეთილი სჯული იწამა. როცა მოინათლება და ქეშმარიტ სჯულზე მოეგება, მთელს დუნიაზე მაგაზე კეთილშობილი და მამაცი რაინდი არ მოინახება.

მეფე ართურმა უცხო რაინდი სასწრაფოდ მონათლა, ძველი სახელი პრიამოსი უწოდა, ჰერცოგობა უბოძა და მრგვალი მაგიდის რაინდებში ჩარიცხა.

მეფე ართურმა ბრძანა და საიერიშოდ საყვირებს ჩაჰბერეს, კიბეები გალავანს მიადგეს და ქალაქის მცხოვრებთა ვაი-უშველებელი დაიწყო. ძვირფას ფარჩებში გამოკვალთული ჰერცოგის მეუღლე, მისი სეფე ქალები, გრაფის



მეუღლე კლარისინე თავისი წმინდა ქალწულებით მეფის წინ მუხლებზე დაემ-  
ხნენ და ღვთის სახელით შემწეობა და ხსნა შესთხოვეს:

— კეთილი სიტყვა გვითხარი და შენს ხალხს უბრძანე ქალაქის გალავანს  
ჩამოეხსნენ, თორემ იერიშისას ბევრი შენს წინაშე უცოდველი დაიღუპება.

მეფემ თავაზიანად დაიჩოქა ჰერცოგის მეუღლის გვერდით დამჯდომლი-  
ლად უთხრა ალერსიანი სიტყვები:

— ჩემი ხალხი თქვენ არას გავნებთ, ქალბატონო! თქვენ და თქვენს სეფე  
ქალებს, ბავშვებსა და ახლობლებს წყალობის სიგელებს გიბოძებთ, მაგრამ  
თქვენი მეუღლე ჩვენი ტყვე შეიქნება და ღირსების კვალობაზე, დაგიწესდე-  
ბათ სარჩო-საბადებელი.

მეფე ართურმა, რაკი ქალაქი დანებდა, ორთავ მხარეს გააგზავნა ხალხი  
და ბრძანა იერიში შეეწყვიტათ. მეფეს მაშინვე ეახლა ჰერცოგის უფროსი ვა-  
ჟი, მუხლი მოიყარა მის წინ, ქალაქის გასაღები მიართვა და მეფური მოწყა-  
ლება ითხოვა. ლორდთა თანხმობით იერიში შეწყდა. ჰერცოგი მეფის საიმე-  
დო, რაინდთა ბადრაგის, თანხლებით დღევრს გააგზავნეს, რათა აღსასრულამდე  
ტყვედ ჰყოლოდათ. გვირგვინდადგმული მეფე ართური ქალაქში შევიდა. და-  
მარცხებული მტრის ლაშქრის მთელი უფროსობა იქ დაუხვდა და მეფე არ-  
თური თავის მბრძანებლად აღიარეს. მეფემ თავისი ლორდებისა და დამარც-  
ხებული მტრის ლაშქრის მეთაურთა თანდასწრებით ჰერცოგის ცოლსა და მ  
შვილებს სარჩო-საბადებელი განუწესა. იქვე დანიშნა დაპყრობილი მიწის გა-  
ნმკარგულებლად თავისი ხალხი.

ასე შეიქმნა მეფე ართური ლორეინისა და ლომბარდიის მფლობელად.  
მან თავისი შეხედულებით დააწესა დაპყრობილი მიწების მართვის წესები და  
კანონები. იგი ლამასსა და ლიუცერნში, სანამ დასვენება ენება მანამდე დარ-  
ჩა. მერმე მთები გადალახა, ბევრი საბრძოლო სასწაული ჩაიდინა და ის  
გოტარდი დალაშქრა, რომელიც შემდგომ გარეთმა დაიპყრო. ლომბარდიას რომ  
სიმაღლიდან გადახედა, მეფე ართურმა ხმამაღლა განაცხადა:

— ჩემს გულს აქაურობა ისე მოსწონს. ისე ძვირფასად მიაჩნია, რომ  
საცხოვრებლად აქ უნდა დავრჩე.

სერ ფლორენსი და სერ ფლურიდასი ხუთასი რაინდის თანხლებით იმ  
დღესვე ქალაქ იურვინისაკენ გაემართნენ. მათ პირდაპირი გზით იარეს, ქალა-  
ქის კარიბჭეს მიადგნენ და ჩასაფრდნენ, ქალაქიდან რამდენიმე ასეული მხე-  
დარი გამოვიდა და ჩასაფრებულთა მოწინავეებს სამკვდრო-სასიცოცხლო  
ეკვეთნენ. ამ დროს საფრიდან სხვებიც გამოვიდნენ და გააფთრებული ბრძო-  
ლის შედეგად ხელთ ჩაიგდეს ხიდი, მერმე იძალეს და გაშლილი დროშებით  
ხელში ქალაქის გარეუბნებში შეიჭრნენ. სერ ფლორენსისა და მისი გაშმაგე-  
ბული რაინდების შიშით მოქალაქეთა დიდი ნაწილი ივლტო. სერ ფლორენსის  
რაინდებს დრო არ დაუკარგავთ, ქალაქის კარიბჭეზე თავიანთი ალამი აღმარ-  
თეს და გამარჯვების სიხარულს მიეცნენ.

მეფე ართური თავის სადგომიდან გამობრძანდა, ბორცვის თხემზე ავი-  
და და ქალაქის კედლისაკენ გაიხედა:

— იმ ალამის მიხედვით შემოძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ქალაქი  
ჩვენია.

მეფემ ბრძანა და მხლებლებმა მოწოდებით მიმართეს ლაშქარს, ვისაც სი-



კვდილი, სხეულის დასახიჩრება და მოპოვებული ქონების დაკარგვა არ ეწა-  
და, ძალა არ უნდა ეხმარათ: ქალწულებზე, ქალბატონებსა და ვაჭართა ცოლე-  
ბზე. დამპყრობელი ქალაქში შევიდა და ქალაქის მცველი ციხეც გავლით მოი-  
ნახულა. თავისი რაინდული დინჯი სიტყვით ბევრნი დააშოშმინა. კაპიტნად თავისი  
ქვეყნელი რაინდი დანიშნა, რაზედაც დაპყრობილთა კანონებზე კანონობა  
განაცხადეს.

როცა მილანის გამგებლებმა შეიტყვეს, ქალაქი იურვინი ართურის რაინ-  
დებმა დაიპყრესო, მათ დიდძალი, სამოცი ცხენკიდებული ვერცხლი ააბლეს  
მეფე ართურს, და ხალხზე მოწყალება მოიღეო. შეუთვალეს. — მუდამ შე-  
ერთგული ქვეშევრდომნი ვიქნებით, გემსახურებით და პლუზანსზე, პავიაზე,  
პეტრესაინტსა და პორტ-ტრემბილის მიწებზე გაწერილ ხარჯსაც გადავიხდი-  
თო, — დასძენდნენ. მილანიდან მათ ოქროთი მილიონის გადხდა ივალდებუ-  
ლეს და სიკვდილამდე ჩვენს მეფედ გალიარებთო. ისიც შემოუთვალეს. მეფე  
თავის ახლობელთ დაეთათბირა, მილანელთ ხელშეუხებლობის სიგელები და-  
უგზავნა და მუხლთ მოსადრეკად თავის კარავში გამოცხადება მოსთხოვა.

ჟამი რომ დაუდგა, ტოსკანისაკენ დაიძრა. საბრძოლო გზაზე მალალი ცი-  
ხე-კოშკები და ქალაქები დაიპყრო, გააჩანაგა და მოაოხრა. მერმე აჩქარებით  
სპოლუტისაკენ დაიძრა, თავისი სწრაფ რაინდებთან ერთად უიტერბი გაიი-  
რა. აქ ჯარი სურსათ-სანოვაგით მოამარაგა და დასასვენებლად ვენახებით მდი-  
დარ ვისკაუნტის დაბლობზე გავიდა. გულით გახარებული, ძლიერი და დიდე-  
ბით მოსილი ხელისუფალი აქ ელოდებოდა სენატორთაგან მოწყალების თხო-  
ვნას. შაბათ დღეს სენატორთაგან, ვინც ცოცხალი გადარჩენილიყო, და ცბი-  
ერი და ვერაგი კარდინალები, მეფე ართურს ეახლნენ, მშვიდობა ითხოვეს,  
ხარკად დიდძალი სიმდიდრე აღუთქვეს. მერმე, როგორც ეს ქვეშეთში უმ-  
ლესს, ექვსი კვირის ვადა სთხოვეს, რათა რომში, რომელსაც სიონს ეძახი-  
ან, შეკრებილიყვნენ და მთელი ბრწყინვალეებითა და დიდებულებით სკიპტ-  
რით, მირონცხებითა და ხელდასხმით იმპერატორად ეკურთხებინათ.

— მე თანახმა ვარ, — ბრძანა მეფემ, — იყოს ისე, როგორც თქვენ მო-  
გიფიქრებიათ. თანახმა ვარ, მირონცხება შობა დღეს მოხდეს. ამიერიდან აქე-  
დან უნდა ვმართო ქვეყანა და აქვე ჩემი შეხედულებით უნდა მყავდნენ მრგვა-  
ლი მაგიდის რაინდები, თქვენს ხარჯზე. მერმე კი, როგორც მირჩევენ, განზრ-  
ახული მაქვს, ჩემი მამა რაინდებით ზღვა გადავლახო და, ვინც ჩვენ გამო გვარს  
ეცვა, მისი გულისათვის შური ვიძიოთ.

მეფე ართურის პასუხი რომ მოისმინეს, სენატორები რომში დაბრუნდნენ  
და სადღესასწაულო მირონცხების დღისათვის მზადებას შეუდგნენ. და, აი,  
დანიშნულ დღეს, როგორც რომაელნი მოგვითხრობენ, თვითონ რომის პაპმა  
თავისი ხელით, სადღესასწაულო ცერემონიალის დაცვით, მეფე ართური იმ-  
პერატორად აკურთხა. იქ ყოფნისას მეფე ართურმა, თავისი შეხედულებისა-  
მებრ, რომიდან ვიდრე საფრანგეთამდე თავის რაინდებს შორის დაანაწილა მი-  
წები და მისი შემოსავალი. რაინდებს დიდთა და მცირეთ, ყველას თავისი დამ-  
სახურებისამებრ მიეზღათ წყალობა. არც ქონებით ჩაქცეულა ვინმე და არც  
ღარიბად დარჩენილა. სერ ლანსელოტსა და სერ ბორსს ებრძანათ, მამაკაპე-  
ული მიწები მიეღოთ: — იყოს ეს ვრცელი მიწა-წყალი თქვენს მფლობელო-  
ბაში, იზრუნეთ იმაზე, რომ ქვეშევრდომნი გალიარებდნენ მოწყალე ბატონე-



ბად და არ დაარღვიონ ბატონყმური წესი და რიგი გამორჩილებდნენ და გაღიარებდნენ თავიანთ უფლად. მეფე კლაუდასის სამფლობელოც თქვენი თვის მიბოძებია, გაიყავით და გამოჰკვებეთ თქვენი თვისტომი კეთილშობილი რაინდები, რათა მრგვალი მაგიდის რაინდთა შორის ღირსეული ადგილი გეჭიროთ. სერ ლანსელოტმა და ბორს განელმა წყალობისათვის მძღვრებულნი შეხუზადეს მეფეს და თავიანთი ღირსების სადარი სიტყვით დაარწმუნეს მარადიულ ერთგულებასა და სიყვარულში.

— შენ სადღა დაიკარგე, პრიამოს? შენ ხომ ჯერ საბოძვარი არ მიგიღია. მე მინდა, შენ და შენს შთამომავლობას უკუნითი უკუნისამდე ღორენი დაგიმკვიდროთ წყალობის წიგნით. ინგლისში რომ დავბრუნდებით, ჯამაგირს დაგინიშნავთ და წელიწადში ოთხგზის მიიღებ ორმოცდაათიათასს, მსახურთა და ცხენების შესანახად. ჩვენს სამსახურში დარჩი და რაც ვთქვით, ყოველივე შენად იგულე.

სერ პრიამოსმა თავაზით დაუკრა თავი მეფეს და ასე მიუგო: — ვიდრე ცოცხალი ვარ, თქვენს მსახურად მიგულვით. მეფევ!

ასე დაარიგა მეფე ართურმა მიწები, უხვი საბოძვრის გარეშე არავინ დარჩენილა. ვინც კი მიმართა მეფეს, გასასაჩუქრებელი კი უღვევი და უთვალიავი პქონდა. მერმე რაინდებმა და მეფის ღორდებმა ერთ ნათელ დილას თათბირი მოიწვიეს და მეფეს მიმართეს:

გთხოვთ მოგვისმინო, მეფეო! ღვთის შეწევნითა და თქვენი წყალობით სიმდიდრით აღვივსენით. მაგრამ ჩვენს ჯვარდაწერილ თანამეცხედრეთა დავიწყებაც არ ეგების. მადლობა ქრისტე ღმერთს, ეს ლაშქრობა ღირსეულად დავაგვირგვინეთ, გთხოვთ, ნება დაგვართოთ, ჩვენს ოჯახებს მივაშუროთ.

— ყველაფერს თავის დრო და ალო აქვს და ვისაც ზომიერების გრძნობა არ ღალატობს, ქეიფსა და დროსტარებაშიც კარგი კაცია. ჩვენგან უგუნური საქციელი იქნებოდა, თუ უფლისაგან ძალიან ბევრ რასმეს მოვითხოვდით. მოემზადენით, სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ.

ტვირთის ჩალაგება მდიდრულ საზიდრებში დაიწყეს. მეფე წმინდა პაპს, პატრიარქებს, კარდინალებსა და მდიდარ სენატორებს გამოეთხოვა. რომში სანდოდ ადამიანები დატოვა მმართველებად, ამ სახელგანთქმული ქალაქის შემოგარენისა და რომის მიწების გამგებლობაც ყველაზე უფრო საიმედო ადამიანებს ჩააბარა ხელთ, რომელთაც თვალყური უნდა სჭეროდათ. რათა ყოველი მისი ბრძანება უსიტყვოდ აღსრულებულიყო, თუ არადა, სიკვდილს მოიმკიდნენ. ყველა საქმე რომ გაარიგა, მეფე ართური სხვადასხვა ქვეყნებისა და მიწების გავლით სამშობლოსაკენ გაემგზავრა. მეფე ართური სენდუიჩის ნავსადგურიდან გავიდა და გეზი ინგლისისაკენ აიღო. დედოფალმა გვინივერამ მეფე ართურის ინგლისში დაბრუნების განზრახვა რომ გაიგო, თვითონაც ლონდონისაკენ გაემგზავრა. ასევე მოიქცნენ სხვა დედოფლები და კეთილშობილი ქალბატონები, ამაზე უფრო სადღესასწაულო შეხვედრა სხვა არც არსად არ მომხდარა, ვინაიდან გამარჯვებულებმა თან ურიცხვი და უთვალავი სიმდიდრე ჩაიტანეს.

აქ თავდება თავგადასავალი ართურ მეფისა, ვინც იმპერატორად თავისი გამკრიახობით, სიმამაცის წყალობითა და მკლავის ძალით შეიქნა. ამ ამბავს მოჰყვება ბევრი კეთილი თქმულება სერ ლანსელოტ ტმელზე.



ამბავი სახელოვან სერ ლანსელოტ ტბელისა

თავი პირველი



აქა ამბავი, როგორ დააჯდეს სათარაპების მსმინებლებმა სერ ლანსელოტმა და სერ ლიონელმა სამეფო სასახლე, როგორ გიატოვა უმადებ ლიონელმა მძინარე ლანსელოტი, რომელიც დაატყვივეს.

მცირე ხანი გამოხდა მას შემდეგ, რაც მეფე ართური რომიდან ინგლისს დაბრუნდა და მრგვალი მაგიდის ყველა რაინდმა ხელმწიფესთან მოიყარა თავი. ტურნირებსა და ორთაბრძოლებს ბოლო არ უჩანდა. იქ ბევრი უბრალო რაინდიც მოხვდა, მაგრამ ისეთი ძლიერნი და გამორჩევი მკმნელნი მხედრულ ხელოვნებაში, რომ ყველა დანარჩენ თანამებრძოლთ აღემატოდნენ და ბევრმა მათგანმა ეს უპირატესობა თავისი საგმირო საქმეებით დაამტკიცა.

მაგრამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სერ ლანსელოტ ტბელმა, რამეთუ ყველა ასპარეზობაზე, ორთაბრძოლასა და შეტაკებაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულთა შორის ყველა დაჯაბნა და არ დამარცხებულა, ჯადოქრობასა და მუხანათობას კი ვერარა მოუხერხა. ამიტომ იყო, რომ მისი მხედრული სახელ-დიდება ერთბაშად განითქვა-გახმაურდა. შემთხვევით როდი იხსენიებს მას ფრანგული წიგნი ართურ მეფის რომიდან დაბრუნებისთანავე რომხდარ ამბებში. სწორედ ამიტომ დედოფალი გვინივერა სხვა რაინდთა შორის სერ ლანსელოტს გამორჩეული გულისხმიერებით ეკიდებოდა და თვითონ ლანსელოტსაც დედოფალი უყვარდა უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქალი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. სერ ლანსელოტი მისი სახელით სჩადიოდა მრავალ საგმირო საქმეს და კოცონზე დაწვისაგან იხსნა თავისი რაინდული კეთილშობილებით დედოფალი.

დიდხანს ცხოვრობდა ასე და ამრიგად სერ ლანსელოტი, თავს იქცევდა და ცხოვრება თამაშად მიაჩნდა. ერთ დღეს განიზრაბა, რაიმე სასწაულებრივ თავგადასავალს უნდა გადაეყარო და თავის ახლო ნათესავს სერ ლიონელს უბრძანა, სალაშქროდ გაემზადე, ხიფათის საძებნელად გავემგზავრებით.

მძიმედ აღჭურვილ-შეჯავშნულები შესდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ. გაიარეს ხშირი ტყე, გადასერეს ფართო მინდორი. შუადღე იყო და ცხელოდა. სერ ლანსელოტს ძილი მოერია. სერ ლიონელმა ხშირტოტებიანი ვაშლის ხე დალანდა და ეუბნება:

— სერ, ეგერ იმ ხის ჩრდილში შეგვიძლია წამოვწვეთ და ცხენებიც დავასვენოთ.

— მართალი ხარ. — მიუგო ლანსელოტმა. — შვიდი წელია, ჯერ ასე არ მომძალებია ძილი.

ორივე რაინდი დაქვეითდა, ცხენები ხეებზე მიაბეს. სერ ლანსელოტი ვაშლის ხის ძირში დაწვა და თავქვეშ თავისი მუზარადი ამოიღო. სერ ლიონელი კი ფხიზლობდა და მძინარე მეგობარს დარაჯობდა. სერ ლანსელოტს მაგრად ჩაეძინა.

ამასობაში ცხენთა ჭენებით სამი რაინდი მოახლოვდა. კვალში ერთი რაინდი მოჰყვებოდათ. შეხედა ლიონელმა და მაშინვე გაიფიქრა, რომ ასეთი მძლე



ვაჟკაცი, ასეთი დახელოვნებული მხედარი და ასეთი ფუფუნებით მოსილი რაინდი არასოდეს ენახა. ამასობაში ის უცნობი ერთ-ერთ გაქცეულს დაეწია, შუბი ჰკრა და გრილ მიწაზე დასცა — ის საბრალო აღარც ამდგარა. ახლა მუორეს დაუარა თავი, ეკვეთა და ცხენიცა და მხედარიც ძირს გაშხლართა. მერმე მესამისთვისაც მოიცალა, დაეწია, გაუსწორდა და შუბის ძვერებით ისევ ჩამოაგდო. ბოლოს დაქვეითდა, სათითაოდ მივიდა დაბლა ჩამოყრილებთან და თავიანთივე ცხენების ლაგამ-აღვირებით დაბორკა.

ყველაფერი ეს საკუთარი თვალით იხილა სერ ლიონელმა და იმ რაინდთან შებმა გადაწყვიტა. ცხენი უხმაუროდ ახსნა, ამხედრდა, ლანსელოტის გაღვიძება არც უფიქრია, ისე გამოედევნა უცნობ რაინდს და უყვილა, სად წიხვალო. შემოუბრუნდა მძლე რაინდი და ისეთი ძალით ჰკრა შუბი, რომ ცხენიცა და მხედარიც ძირს დასცა. რაინდი ცხენიდან ჩამოხდა, ლიონელიც შეკრა, თავის ცხენზევე ხურჯინივით გადაჰკიდა და იმ სამთან ერთად თავისი ცხის გზას გაუყენა. იქ ჯერ აბჯრები შემოაძრო, მერმე ოთხივეს ტანზე გახადა, შიშვლებს ეკლიანი წკნელით სცემა და ჩაყარა ბნელ დილეგში, სადაც უკვე რამდენიმე სხვა რაინდიც იტანჯებოდა, გოდებდა და ჩიოდა.

თ ა ვ ი მ ი ო რ ა

როგორ განმზავრა სერ ექტორი სერ ლანსელოტის სამხედროდ და როგორ დაატყვევა სერ ტარპინმა

ამასობაში სერ ექტორ მენაპირემ შეიტყო, სერ ლანსელოტმა მეფე ართურის სასახლე მიატოვა და ხიფათის საძებნელად გაეშურაო. ეწყინა, საკუთარ თავზე მოუვიდა გული და სერ ლანსელოტის საძებნელად გასწია. მიჰყვება ტყეს, ხედავს, ვიღაც კაცია, მეტყევებს ჰგავს.

მიუბრუნდა სერ ექტორი და ჰკითხა:

— მათხარი, კეთილო კაცი, აქაურობას თუ კარგად იცნობ, ხომ არაფერი გსმენია ახლომახლო მომხდარ სასწაულებსა და ფათერაკებზე?

— სერ, — მიუგო მეტყვევმ, — ამ მიდამოებში უცხო კაცი არა ვარ. აქვე მახლობლად, ასე ერთი მილის დაშორებით, ერთი გამაგრებული ციხეა, თხრილით შემოვლებული, თხრილი ერთობ ღრმაა. იქით, ხელმარცხნივ, ერთი წყაროა, ცხენს წყალს დააღევინებ, კიდევ ცოტა მოშორებით ტოტებგაბარჯლული დიდი ხე დგას. იმ ხეზე მრავალი ფარი ჰკიდია, ოდესღაც მამაც რაინდებს რომ სჭერიათ ხელთ, ძირსაც ორი ტაშტია მიჭედილი, სპილენძისა და თითბრისა. თუ იმ ტაშტებს შუბის ტარს სამჯერ დაჰკრავ, ახალ ამბებს გაიგებ და იქნებ ისეთ ბედსაც ეწიო, როგორც ამ მხარეში მრავალი წელია არც ერთ რაინდს არ ღირსებია.

— გრამერსი, — მიუგო სერ ექტორმა და ცხენი გააქროლა. იგი მივიდა იმ ხესთან, რომელზეც მეტყვევმ მოუთხრო, მართლაც მრავალი ფარი კონწიალებდა ხეზე და მათ შორის მისი ძმის სერ ლიონელის ფარიც იყო. ასევე სხვა ფარები, რომელთა შორის იცნო მრგვალი მაგიდის სხვა რაინდების, თავისი მეგობრების ფარებიც.

დალონდა და დაიფიცა, ძმის დამჩავგრელს სამაგიეროს მივუზღავო.



ცხენს წყალი დააღვინა, შემდეგ კი გიჟივით დასცხო შუბი სპილენძის ტაშტს. მაშინვე ზურგს უკან გამოჩნდა რაინდი და შესძახა:

— გამოდი, საომრად გაემზადე!

სერ ექტორს ბევრი არ უფიქრია, უცებ მოაბრუნა ცხენი უნაგირის ტახტაზე დაამაგრა და ისეთი ძალით ეტაკა მოწინააღმდეგეს, რომ მისი ცხენი ორჯერ გადატრიალდა.

— რაც კარგია, კარგია, — თქვა ძლიერმა რაინდმა, — ჭეშმარიტად, რაინდულად იბრძვი.

ამის შემდეგ პირდაპირ სერ ექტორს მიეტანა, გაქანებული ცხენიდან გადასწვდა, მარჯვენა ხელით ცხენიდან აიტაცა, თავის კოშკში გააქროლა და იქ იატაკზე დააგდო.

მძლე რაინდმა ტარქვინმა სერ ექტორს უთხრა:

— იმისათვის, რომ უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში ყველა სხვა რაინდზე უკეთ შემებრძოლე, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ, იმ პირობით, რომ თავს დამარცხებულად ცნობ, თავს ჩემს ტყვედ აღიარებ და ერთგულებას შემომფიცავ.

— არა, ასეთ სიტყვას ვერ მოგცემ, და თუ დრო ვიხელთე, თავისუფლებას თვითონვე დავიბრუნებ, — მიუგო სერ ექტორმა.

— რა გაეწყობა, სამწუხაროა, — უთხრა სერ ტარქვინმა.

შემდეგ ბრძანა, საჭურველი ახსენით, ტანზე გახადეთ, ეკლიანი ჯოხით სცემეთ, მერე კი დილეგში ჩააგდეთო. ბნელ საკანში სერ ექტორმა თავისიანები ნახა. მაგრამ როცა სერ ლიონელი იცნო, ხმამაღლა გმინვა-გოდებას მოჰყვა.

— აფსუს, ჩემო ძმაო! ეს როგორ მოხდა? რატომ არ ვხედავ სერ ლანსელოტს, ჩემს ძმას? სად დასცილდით ერთმანეთს?

— ჩემო ძმაო, მე ის ვაშლის ხის ძირში მძინარე დავტოვე და შემდეგ რა შეემთხვა, ამას ვერ გეტყვი.

— ვაი ჩვენი ბრალი! — შესძახეს ტყვეებმა, — თუ სერ ლანსელოტი ვერ მოგვეშველა, ჩვენი საქმე წასულია, რადგან ამქვეყნად მეორე რაინდი არ გვეგულება, ჩვენს ახლანდელ ბატონს ტარქვინს რომ ძალით გაუსწორდეს და დაამარცხოს.

### თ ა ვ ი მ ა ს ა მ ა

როგორ ნახა ოთხმა დედოფალმა მძინარე ლანსელოტი, როგორ შეიკარეს ჯადოსნურ ფეხთვარდით და ციხეში წაიყვანეს

ახლა ეს ტყვე რაინდები მივატოვოთ და დავბრუნდეთ სერ ლანსელოტთან, რომელიც ვაშლის ხის ძირში იწვა და ეძინა. შუადღისას იმ ადგილას ოთხმა დედოფალმა გამოიარა. ზაფხულის მზეს რომ დედოფლები არ შეეწუხებინა, ოთხ რაინდს ჯოხებზე გადაკიმული მწვანე აბრეშუმის საჩრდილობელი ეჭირა და ისე მიჰყვებოდნენ. ოთხივე დედოფალი თეთრ ჯორებზე იჯდა.

უცებ ცხენის ჭიხვინი შემოესმათ. მიმოიხედეს და დაინახეს მძიმედ შეიარაღებული რაინდი, ხის ძირში იწვა და ეძინა. როგორც კი მიუახლოვდნენ



და სახეზე შეხედეს, მაშინვე იცნეს სერ ლანსელოტი. მერმე დავა იმაზე გა-  
მართეს, რომელს უფრო გვერგებოთ საყვარლად რაინდი.

— მოდით, ტყუილად ნუ ვიდავებთ, — თქვა ფეა მორგანმა, ათურ მე-  
ფის დამ, — მე ისე მოვაჯადოვებ, რომ კიდევ შვიდი საათი ვერ გაიღვიძოს,  
ამასობაში ჩემს ციხეში გადავიყვან. როცა ამგვარად ჩემს ხელში აღმოჩნდ-  
ება, ჯადოს მოვხსნი და მაშინ თვითონვე ამოირჩევს საყვარლად სასურველს.

ფეა მორგანმა რაინდი გრძნებით შეკრა, უფრო ღრმად ჩააძინა და მსა-  
ხურებს ციხეში გადააყვანინა.

### თ ა ვ ი მ ე მ თ ხ ა

როგორ დაიხსნა ერთვა ქალწულმა სერ ლანსელოტი

შუადღისას ის ქალწული დაბრუნდა, სადილი მოუტანა და მოიკითხა.

— ქეშმარიტად, კეთილშობილო ქალწულო, — მიუგო სერ ლანსელოტ-  
მა, — ამაზე უარეს დღეში, მე რომ ვარ, კაცის შვილი ვერ იქნება.

— სერ, — თქვა ქალიშვილმა, — ძალიან ვწუხვარ, რომ ასეა, მაგრამ თუ  
გამიგონებთ, მე დაგეხმარებით, რომ აქედან პატიოსნად და შეურცხვენლად  
გაზვიდეთ, ოღონდ სიტყვა უნდა მომცეთ, ყველაფერს დამიჯერებთ.

— მშვენიერო ქალწულო, ამას კი დაგპირდებით, მაგრამ მეშინია ამ დე-  
დოფლების ჯადოქრობისა, მათ ბევრი რაინდი დაღუპეს.

— სერ, თქვენი დიდი სახელის, გმირობისა და სიკეთისათვის, რაც კიდით-  
კიდე გაისმის და მათ ამბად მოუსმენიათ, ისინი თქვენი სიყვარულის მოპოვე-  
ბას ცდილობენ. ამბობენ, რომ თქვენ სერ ლანსელოტ ტბელი ბრძანდებით,  
რაინდობის გვირგვინი. დედოფლებმა სიყვარულზე დაგპატიყეს, თქვენ ისინი  
უარჰყავით. თქვენმა უარმა დედოფლები გააცოფა. მაგრამ, სერ, თუ მომავალ  
სამშაბათს დაეხმარებით მამაჩემს, რომელიც ტურნირზე ჩრდილოეთ უელსის  
მეფეს უნდა შეებას, — რადგან წინა სამშაბათს ართურის კარის სამი რაინ-  
დის მიზეზით მამაჩემი დამარცხდა. — ჰოდა, იმას ვამბობდი, თუ მომავალ  
სამშაბათს მოხვალთ და მამაჩემს მიეშველებით, ხვალ დილით, ღვთის შეწევ-  
ნით, აქედან გაგათავისუფლებთ.

— აი, რა ძვირფასო ქალიშვილო, — მიუგო ლანსელოტმა, — ოღონდ  
მითხარით მამათქვენის სახელი და მაშინ გიპასუხებთ.

— სერ რაინდო, — მიუგო ქალიშვილმა, — მამაჩემია მეფე ბაგდემაგუ-  
სი, რომელიც წინა ტურნირზე ასე უსახელოდ დამარცხდა.

— მე კარგად ვიცნობ მამათქვენს, — თქვა სერ ლანსელოტმა, — კეთილ-  
შობილი მეფეა და კარგი რაინდი, სულით და ხორციით შემოგფიცავთ, მასაც  
და თქვენც სიამოვნებით გემსახურებით.

— გრამერსი, სერ, მზად იყავით, ხვალ დილით აქედან გაგიშვებთ. დაგი-  
ბრუნებთ თქვენს ხმალს, აბჯარს, ცხენს, შუბსა და ფარს. აქედან ათი მილის  
მოცილებით თეთრი ბერების სავანეა იქ დამელოდეთ, იქ მოვიყვან მამა-  
ჩემს.

— ყველაფერი დათქმულის მიხედვით მოხდება, მე ერთგული და ქეშმა-  
რიტი რაინდი ვარ.



ქალი წავიდა და დილით ადრე გამოეცხადა სერ ლანსელოტს, ის კი უკვე გამზადებული დახვდა. მეფე ბაგდემაგუსის ქალიშვილმა თორმეტი კარი გაუღო სერ ლანსელოტს, ცხენიც დააჩვედრა და იარაღიც. სერ ლანსელოტი მერანს მსუბუქად მოახტა, გააქროლა და ქალიშვილს მიაძახა:

— კეთილშობილო ქალწულო, ღმერთია მოწამე, <sup>საქუცავას ქვეყნის</sup> შენთვის შევასრულებ.

აი, მთელი დღე მიუყვება ტყეს და გზას ვერ პოულობს. ასე დაღამდა და სადღაც ხნარცვის ძირას აბრეშუმის კარავი დაინახა. დაქვეითდა, ცხენი კარავთან მიაბა და საჭურველი მოიხსნა. კარავში ლოგინიც აღმოჩნდა. დაწვა და შეწუბებულმა დაიძინა.

### თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ე

როგორ ნახა ერთმა რაინდმა ლანსელოტი თავისი საშვარლის საწოლში და როგორ შეეპოვნა სერ ლანსელოტი ამ რაინდს

საათიც არ ვასულა, რომ იმ კარვის პატრონი რაინდი მოვიდა. იფიქრა, ჩემი საყვარელი ქალი წევსო ჩემს ლოგინში და სერ ლანსელოტს გვერდით მიუწვა. მერმე მოეხვია და კოცნა დაუწყო. როგორც კი ლანსელოტმა იგრძნო, რომ ვიღაც სახეგაუპარსავი კაცი ჰკოცნიდა, მარდად წამოიჭრა ფეხზე და რაინდიც თან აჰყვა, ორივემ იარაღი იშიშვლა. გარეთ გამოცვივდნენ და იქ, ხნარცვში, ლანსელოტმა ლამის სასიკვდილოდ დაჭრა რაინდი, მაშინ კარვის პატრონმა პატიება ითხოვა და სერ ლანსელოტმაც შეუხდო ერთი პირობით: ამიხსენი, რისთვის შემოძვერიო ჩემს საწოლში.

— სერ, — მიუგო დაკრილმა, — ეს ჩემი კარავია. სწორედ აქ, დღეს დავიბარე ჩემი საყვარელი და ახლა კი ამ კრილობისაგან სიცოცხლეს უნდა გამოვესალმო.

— გული მომიკლა თქვენმა სიტყვამ, — უპასუხა ლანსელოტმა, — ვწუხვარ, რომ ასე მძიმედ დაგკოდეთ, მაგრამ ღალატის სიმწარე ახლახან ვიგემე და ისევ ვერაგობისა შემეშინდა. ახლა კი შემომყევით კარავში, დაწეკით და ვეცდები სისხლის დენა შეგიჩეროთ.

ორივე კარავში შევიდა. სერ ლანსელოტმა სისხლის დენა მალე შეუწყვიტა. ამასობაში დაკრილის სატრფოც მოვიდა, პირმშვენიერი ქალი. რა სახა. მისი ბატონი ბელეუსი ასე მძიმედ დაკრილი, სერ ლანსელოტს დაუწყო ყვირილი და ხმამაღლა გოდება მორთო.

— დამშვიდდით, ჩემო საყვარულო და ქალბატონო. — უთხრა სერ ბელეუსმა, — ეს კაცი კეთილი ადამიანი და მოხეტიალე რაინდია.

შემდეგ მოუთხრო, რა მოხდა და როგორ დაიჭრა.

— როგორც კი დავნებდი, კეთილი გულით მომეშვა და სისხლიც შემეჩერა.

— სერ, — უთხრა მაშინ ლანსელოტს ქალმა, — მითხარით, ვინა ხართ და რა გქვიათ?

— მშვენიერო მანდილოსანო, ჩემი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი.

— თქვენ რომ გისმენდით, ასეც ვფიქრობდი, — თქვა ქალმა, — რადგან



უწინაც არაერთხელ მინახინართ და უკეთ გიცნობთ, ვიდრე გგონიათ. აღმი-  
თქვით, რომ იმ სიავისათვის, რაც მოგვაყენეთ, ჩემს მეგობარს დაეხმარებით,  
და როცა ართურ მეფის კარზე დაბრუნდებით, მრგვალი მაგიდის რაინდად  
აკურთხებთ. ის ხომ ბრწყინვალე რაინდია და სამთავროს ღირსი. ამასთან  
მრავალი გარე კუნძულის გამგებელიცაა.

— მშვენიერო ქალბატონო, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — შიშვენიერ არ-  
თურის კარზე მომავალ ასპარეზობაზე და უსათუოდ თქვენც ჩამოჰყევით. ყვე-  
ლაფერს ვილონებ იმისათვის, რომ თქვენი სურვილი ასრულდეს და, თუ და-  
ხელოვნებული, მკლავმაგარი რაინდი აღმოჩნდება, მიზანსაც მიაღწევს.

ამასობაში ირიჟრაჟა კიდევ. ლანსელოტი წასასვლელად გაემზადა და მას-  
პინძლებმაც ასწავლეს, თეთრი მონასტრის გზა.

### თ ა ვ ი მ ე ე მ ე ს ე

როგორ მიიღო სერ ლანსელოტი მთხე ბაგდემაგუსის ასულმა და როგორ გაანდო  
თავისი მამის ბასაჰირი

სელ ლანსელოტი მონასტერს მიუახლოვდა. მეფე ბაგდემაგუსის ასულმა  
ცხენის მძიმე ფლოქვების თქარუნი გაიგონა თუ არა, სარკმელში გაიხედა და  
სერ ლანსელოტი დაინახა. ქალმა მაშინვე თავისი ხალხი გააგზავნა რომ ლა-  
ნსელოტისათვის ცხენი ჩამოერთმიათ და სადგომში შეეყვანათ, თვითონ რა-  
ინდზე კი უბრძანა, სამყოფელში ამოიყვანეთ და აბჯრის გახდაში მიეშვე-  
ლეთო. გრძელკალთებიანი ფერიაზი გაუგზავნა, შემდეგ თვითონაც მივიდა,  
გულლიად შეხვდა და უთხრა, არც ერთი რაინდის ხილვა ისე არ გამახარებდა,  
როგორც შენმა ნახვამ გამახარაო.

შემდეგ სასწრაფოდ მამასთან აფრინა კაცი. მეფე ბაგდემაგუსი შვილის  
სამყოფელიდან თორმეტი მილის დაშორებით ცხოვრობდა. დაღამებულიც არ  
იყო, რომ მოვიდა კიდევ, თავისი სახელოვანი რაინდების თანხლებით. რო-  
გორც კი ცხენიდან ჩამოქვეითდა, მკლემ ლანსელოტის სამყოფელს მიაშუ-  
რა, მისი ასულიც იქ იყო. მეფე და რაინდი ერთიმეორეს გულითადად მიესა-  
ლმნენ და მეფე ბაგდემაგუსი სერ ლანსელოტს გადაეხვია.

შემდეგ სერ ლანსელოტმა შესჩივლა მეფეს, რა ვერაგულად შეიპყრეს,  
როგორ გაქრა მისი ძმა სერ ლიონელი უგზოუკვლოდ და როგორ დაიხსნა მის-  
მა ასულმა დილეგიდან.

— ამიტომ, ვიდრე ცოცხალი ვარ, მას და მისიანებს ვემსახურები.

— მაშ იმედი მექნება თქვენი დახმარებისა მომავალ სამშაბათს, — უთხ-  
რა მეფემ.

— დიახ, სერ, შეგიძლიათ მენდოთ, რადგან სიტყვა მივეცი თქვენს  
ასულს. თლონდ ის მითხარით, სერ, მრგვალი მაგიდის რომელი რაინდები იბ-  
რძოდნენ ჩრდილოეთი უელსის მეფის მხარეზე?

— სერ, მოგახსენებთ: სერ მადორ დე ლა პორტე, სერ მორდრედი, სერ  
გაპალანტინი, აი ესენი გახლავან ჩემი რაინდების დამმარცხებელნი, რადგან  
არც მე, არც ჩემს რაინდებს არ შეგვწევდა მათი ძლევის ღონე.

— სერ, — უთხრა ლანსელოტმა, — როგორც გავიგე, ტურნირი ამ მო-  
ნასტრიდან სამი მილის დაშორებით ეწყობა. მაშ ასე, გამომიგზავნეთ ტურ-  
ნირის წინ თქვენი სამი ბრძოლაში ყველაზე უფრო საიმედო რაინდი. ყველას



თეთრი ფარი ჰქონდეს, გამოსახულებების გარეშე და ჩემთვისაც თეთრი ფარი შეუკვეთეთ. ჩვენ ოთხნი გამოცვივდებით ტყიდან, როცა მოპირდაპირენი უკვე ველზე იქნებიან და, თუ შევძლებთ, მათს რიგებს ავფრ-დავფრევთ. მე არ უნდა მიცნონ.

იმ ღამეს დაისვენეს, მეორე დღე კვირა იყო. მეფე წაჭრდნენ და ჩაინდი გამოუგზავნა და ფარიც გამოატანა.

სამშაბათისთვის ოთხივე რაინდი პატარა ტყეში დაიმალა, საასპარეზო მინდვრის მახლობლად, სადაც უკვე გაეწყობთ ფიცარნაგები და ლოყები, რათა ლორდებსა და მანდილოსნებს საშუალება ჰქონდათ სკამებიდან ელევნებით თვალი ბრძოლისათვის და გამარჯვებულები ამოერჩიათ.

ველზე გამოვიდა ჩრდილოეთ უელსის მეფე ას ოთხმოცი მუზარადი ციმციმებდა მისი დროშის ქვეშ, ხოლო მეფე ართურის სამი რაინდი ცოტა განზე იდგა. გამოვიდა მეფე ბაგდემაგუსიც, თან ოთხმოცი მუზარადიანი რაინდი ახლდა. შუბები აღმართეს და ერთიმეორისაკენ მთელი ძალით გაეჭანენ. პირველ შეტაკებაში დაეცა ბაგდემაგუსის თორმეტი რაინდი და ჩრდილოეთ უელსის მეფის ექვსი მეომარი. ბაგდემაგუსის რაინდთა რიგები ძლიერ შეავიწროვეს და უკან დაახევინეს.

თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ა

როგორ გამოვიდა ტურნირზე სერ ლანსელოტი და როგორ გადაამხარა სერ ბარსიმონს, რომელსაც სერ გაპერისი ტყვედ მიჰყავდა

უეცრად ტყიდან გამოიჭრა სერ ლანსელოტი და მოჰყვა შუბის კვეთებას მარჯვნივ და მარცხნივ. ხუთი რაინდი ისე გადმოაყირავა ცხენიდან, შუბი არ გამოუცვლია, აქედან ოთხს ხერხემალი გადაუტეხა. სერ ლანსელოტი ბრძოლაში შექმნილ სივიწროვეში გადაეყარა ჩრდილოეთ უელსის მეფეს და ცხენიდან ჩამოაგდო. დაცემისას ხელმიწფემ თეძო გადაიმტვრია. ყველაფერს ამას ართურ მეფის რაინდები მშვენივრად ხედავდნენ და თქვეს:

— აი, რა საშიში სტუმარი მოგვევლინა. აბა, ვიჩქაროთ.

გამოვიდა სერ მადორ დე ლა პორტე. ლანსელოტმა შუბი აძგერა და უნაგირიდან დაბლა გადმოუშვა. დაეცა მისი ცხენიც. პირუტყვი ზედ დააწვა რაინდს და მხარი სახსრიდან ამოუგდო.

— ვხედავ, დროა საქმეს რიგიანად შევუდგე. — თქვა სერ მორდრედმა. — სერ მადორი ცხენიდან გადმოვარდა და მხარი იტკინა.

როგორც კი ლანსელოტმა ახალი მოწინააღმდეგე დაინახა, შუბი მოიმარჯვა და მისკენ გაეჭანა. სერ მორდრედს შუბი გაუტყდა, სერ ლანსელოტმა კი ისეთი ძალით ატაკა შუბი, რომ უნაგირის კოტა გაიპო, თვითონ რაინდი ცხენიდან გადაფრინდა, მუზარადით მიწაში ერთ მტკაველზე ჩაერკო, ლამის კისერი მოიტეხა და დიდხანს უგრძნობლად ეგდო.

უეცრად გამოახტუნა ცხენი გრძელშუბიანმა სერ გაპალანტინმა. ლანსელოტი ახლა მის შესახვედრად გაეშურა. ქარის სისწრაფით ეტაკნენ ერთიმეორეს, ორივეს შუბი ნაფოტებად იქცა. მაშინვე მახვილები იშიშვლეს და დაიწყეს უმოწყალოდ ქნევა და ჩეხვა. უზომოდ განრისხდა სერ ლანსელოტი, ისეთი ძალით დაჰკრა მუზარადზე, რომ მოპირდაპირეს ცხვირიდან, ყურები-



დან, პირიდან ერთბაშად მოსკდა სისხლი. მაშინ კი დაჰკიდა თავი უნაგირზე. ცხენიც გაიქცა და დარეტიანებული მხედარი ძირს გადმოაგდო.

სერ ლანსელოტი კი ახალი შუბი აიღო და, ვიდრე გადაუტყდებოდა, ედევნებდა თექვსმეტი რაინდი დასცა. ზოგი უნაგირიდან გადააყირავა, ზოგიც ცხენიანად წააქცია. საოცარი იყო, რომ ვისაც იმ დღეს შუბით შესრულდნენ, ყველა განიარაღებული აღმოჩნდა. შემდეგ მესამე შუბი აიღო და კიდევ ორმოცეტი რაინდი წააქცია. ბევრი მათგანი დარტყმის ძალისაგან ფეხზე ველარ დადგა. ჩრდილოეთ უელსის მეფემ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა და გამარჯვება მეფე ბაგდემაგუსს დარჩა.

ორივე მხარე აქეთ-იქით გაიფანტა და ლანსელოტი ბაგდემაგუსთან ერთად მისი სიმაგრისაკენ გაეშურა. მეფემ და მისმა ასულმა სერ ლანსელოტი უდიდესი პატივით მიიღეს და საჩუქრებით აავსეს.

დილით კი ციხე მიატოვა, მეფეს და მის ასულს დაემშვიდობა და განუცხადა, ჩემი დაკარგული ძმის საძებნელად მივდივარო. ცხენზე რომ ჯდებოდა, მამა და შვილი განგებას შეავედრა და მეფის ასულს უთხრა:

— თუ ოდესმე ჩემი სამსახური დაგჭირდეთ, გთხოვთ, მოურიდებლად შემატყობინოთ, მე ისეთი ადამიანი ვარ. ერთგულება ვიცი და თქვენთვის ყველაფერს ავასრულებ.

ასე წავიდა სერ ლანსელოტი და შემთხვევამ მიიყვანა იმავე ტყის განაპირას. ერთხელ ვაშლის ხის ძირში რომ ეძინა, მოტიტვლებულ მინდორზე ცხენს რომ მიაქროლებდა თეთრ ცხენზე მჭდარი, მისკენ ჭენებით მომავალი ვიღაც ქალი დაინახა. ერთმანეთს სალამი უთხრეს.

— მშვენიერო ქალიშვილო, — უთხრა სერ ლანსელოტმა, — რაიმე საკვირველი ფათერაკების ამბავი ხომ არ გსმენიათ ამ მხარეში?

— სერ რაინდო, აქ მახლობლად შეგიძლია თვითონვე ნახო ფათერაკები, თუ არ შეგეშინდება და ხელს გამოიღებ.

— რისა უნდა მეშინოდეს? — თქვა სერ ლანსელოტმა. — მე ხომ ფათერაკებს დავეძებ.

— ჰოდა, კეთილი, თვალადაც კარგი რაინდი ჩანხარ, და თუ მეორე კარგი რაინდთან ღონის გამოცდას არ შეუშინდება, ჩვენი დროის ერთ-ერთ უძლიერეს რაინდთან მიგიყვან. მაგრამ ჯერ მითხარი შენი სახელი, ვინა ხარ და საიდან.

— კეთილშობილო ქალიშვილო, თუ ჩემი სახელი გაინტერესებთ, მე სერ ლანსელოტი ტბელს მეძახიან.

— სერ, აქ სწორედ რომ დროულად მოსულხარ. აქვე მახლობლად სწორედ შენი საკადრისი თავგადასავალი მოგელის. აქ ცხოვრობს ერთი რაინდი, რომლის სადარი არ მეგულება. მაგრამ თქვენ იმაზე ძლიერი ხართ. მისი სახელი ტარქვინია. ამბობენ, მის დილეგში ართურის კარის სამოცდაოთხი რაინდი იტანჯებო. ყველანი თავისი საკუთარი ხელით დაუჭერია. მაგრამ ჯერ უნდა დამპირდე, რომ მისი დამარცხების შემდეგ ჩვენც მოგვეშველები, რადგან მე და ჩემნაირი სხვა ქალიშვილებიც ერთი უღირსი რაინდის შიშით გარეთ ვერ გამოვსულვართ.

— რასაც მეტყვით, კეთილშობილო ქალიშვილო, ყველაფერს ავასრულებ, ოღონდ ახლა იმ მძლე რაინდთან მიმიყვანეთ.

— ახლავე, სახელოვანო რაინდო, მომყევო.



ქალმა მიიყვანა იმ ხესთან, სადაც ტაშტი ეკიდა. ლანსელოტმა ცხენს წყუ-  
ივილი მოუკლა და შემდეგ მანამდე ურტყა ტაშტს შუბის ტარი, ვიდრე ძი-  
რი არ გააგდებინა. თუმცა ეს ამბავი დიდხანს გაგრძელდა, ძეხორციელი არ  
გამოჩენილა. მაშინ ცხენს გარს შემოუარა და ასე ციხის გარშემო ატყენებდა  
ცხენს მთელი ნახევარი საათი. უეცრად დაინახა, რომ მის წინ ერთი მკლავრი  
რაინდი ცხენს მოაქროლებს და თან მოერეკება სხვა ცხენს, რომელზედაც  
ხელფეხშეკრული და აბჯარაღჭურვილი რაინდია დაბმული. რაც უფრო ახლო-  
ვდებოდნენ, სერ ლანსელოტს მით უფრო ნაცნობი ეჩვენა დატყვევებული რა-  
ინდი. ტყვე სერ გაჭერისი, გავეინის ძმა და მრგვალი მაგიდის რაინდი აღმო-  
ჩნდა.

— მშვენიერო ქალწულო, მიმართა ქალწულს სერ ლანსელოტმა, — ან-  
ლა ვხედავ, რომ შებოჭილია ჩემი ამხანაგი და სერ გავეინის ძმა. ასე რომ,  
ღვთის შეწევნით, ამ რაინდს გავათავისუფლებ. შემდეგ, თუ ეს რაინდი ჩემზე  
მაგრად არ ზის უნაგირზე, იმ დანარჩენებსაც გამოვიხსნი, აგრე მგონია დი-  
ლეგში ჩემი ორი ძმაც უნდა იყოს.

ამასობაში სერ გაჭერისის დამტყვევებელმაც შეამჩნია ლანსელოტი. რაი-  
ნდებმა შუბები მოიმარჯვეს და ერთმანეთისაკენ დაიძრნენ.

— აი, რას გეტყვი სახელოვანო რაინდო. — მიმართა ლანსელოტმა, —  
ვერ ბს დაჭრილი რაინდი ჩამოუშვი ცხენიდან. ცოტა შეისვენოს, ამასობაში კი  
ჩვენ გამოვცადოთ მკლავის ღონე, რადგან, როგორც გაგებულნი მაქვს, მრგვა-  
ლი მაგიდის რაინდებს ემტერები, ბევრი უსიამოვნება მიაყენე, ბევრი სირც-  
ხვილი და დამცირება არგუნე, არაერთი წყენა მახსოვს მეც; ასე რომ, თავი და-  
იცავი!

— აჰ, მაშ შენც მრგვალი მაგიდის წევრთა საკრებულოს ეკუთვნი? — შე-  
სძახა ტარქვინმა. — მომიფურთხებია შენთვისაც და შენი ყველა თანამებრ-  
ძოლისთვისაც.

— მეტად ბევრს ყბედობ! — უთხრა სერ ლანსელოტმა. — მგონი, კმარა,  
თავს გასვლა მეტიმეტი არ მოგივიდეს.

### თ ა ვ ი მ ა რ ვ ა

როზორ იბრძოდნენ სერ ბარძვინი და სერ ლანსელოტი

და ჰა, მიაბჯინეს თავთავიანთი შუბები უნაგირის საყრდენებს და ერთ-  
მანეთს დაეტაკნენ იმ ძალით, როგორი ძალითაც შეეძლოთ ეჭროლათ მათ  
ცხენებს. ისე ღონივრად აჯახეს შუბები ერთიმეორის ფარებს, რომ ორივე  
ცხენს ბერბემალი გადაუტყდა და მხედრები ძირს დაყრუებულებივით დაცვიე-  
დნენ. გონს რომ მოეგენ, ფეხები ვაივაგლახით გაითავისუფლეს ავეანდებიდან,  
ხმლები იშიშვლეს და გაშმაგებით შეიბნენ. ისე გამეტებით ურტყამდნენ ერთ-  
მანეთს, რომ ასეთ დაკვრას ვერც ჯავშანი უძლებს, ვერც ფარი და ვერც ხმა-  
ლი.

მალე მძიმედ დაიჭრნენ კიდევ და სისხლიდან იცლებოდნენ. ორ საათზე  
მეტ ხანს იბრძოდნენ. ხან უკან იხევდნენ, ხან ისევ იერიშზე გადადიოდნენ.  
ბოლო! ორივეს ჭანცი გაუწყდა, ერთიმეორის პირისპირ დადგნენ, ხმლებზე  
დაკრძობილნი. და სულს ძლივსლა ითქვამდნენ.



— აი, რა, მეგობარო, — უთხრა ტარქვინმა, — ხელი შეასვენე და მიპასუხე, რასაც შეგეკითხები.



— მკითხე.

მაშინ სერ ტარქვინმა თქვა:

— შენ მაღალი ხარ და უფალს შენთვის ფართო მხარ-ბეჭი მოსთქვამს. შენგბარი რაინდი ჯერ არ შემხვედრია, გაძლებითაც ყველა სხვაზე მეტს ძლებს, სული არ გეხუთება. შენი სადარი რაინდი მხოლოდ ერთი ვიცი, იგი ვინც ქვეყნად ყველაზე მეტად მძაგს. თუ შენ ის ერთი არა ხარ, მზადა ვარ შეგიროგდე და შენი ხათრით გავათავისუფლო ყველა ტყვე, სამოცდაოთხივე. მაგრამ ჯერ მითხარი შენი სახელი. მაშინ კავშირს შევკრავთ და, სანამ სული მიდგას, შენი ერთგული ვიქნები.

— კარგი ნათქვამია, — თქვა სერ ლანსელოტმა, — მაგრამ რაკი მეგობრობას მთავაზობ, ჯერ მითხარი მისი სახელი, ვინც ქვეყნად ყველაზე მეტად გძულს.

— სიმართლე რომ გითხრა, მისი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი, — მიუგო ტარქვინმა, — მან მომიკლა ძმა სერ კარადოსი ცრემლთა ციხელი, ის კი ქვეყნად ყველაზე უკეთესი რაინდი იყო. ამიტომ ყველა რაინდს შორის ჩემთვის გამონაკლისია ის ერთი. ოღონდ სადმე შევეყრებოდე და ერთი ჩვენგანი ცოცხალი ვეღარ დარჩება, ეს ფიცით მაქვს ნათქვამი. იმ ლანსელოტის მიზეზით დავასამარე ასობით რაინდი, ამდენივე დავასახიჩრე და მთელს სოცოცხლეში ხეიბრებად დარჩებიან. მრავალიც დილეგში ამოვალბე. ახლაც მიწაში მყავს სამოცდაოთხი რაინდი და ყველას თავისუფლებას მივცემ, ოღონდ შენი სახელი მითხარი, თუ, რასაკვირველია, ლანსელოტი არა ხარ.

— მაშ ყველაფერი იმაზე ყოფილა დამოკიდებული, ვინა ვარ მე: ან მშვიდობით მოვრიგდები შენთან, ან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მექნება. ჰოდა, რას იზამ, მაშ, მოისმინე ჩემი სახელი, სერ: მე ვარ სერ ლანსელოტ ტბელი, ბანის ძე, ბენვიკის მეფისა, და მრგვალი მაგიდის ერთგული რაინდი. ახლა კი თავი დაიცავი, როგორც შეგეძლოს!

— აჰა! — შესძახა სერ ტარქვინმა — ყველა რაინდზე მეტად შენი გაცნობა მახარებს. ახლა კი ვერ დავშორდებით, ვიდრე ერთი ჩვენგანი არ მოკვდება.

მძვინვარე ხარებივით ეკვეთნენ ისევ ერთმეორეს. ჰქონდათ მცირე კრილობებიც, პირდაპირი იარებიც, დაკოდილობა სიგრძისა. იბრძოდნენ შეუსვენებლივ, ფარს იფარებდნენ, ეცემოდნენ და ისევ დგებოდნენ. ასე იბრძოდნენ კიდევ ორი საათი და არ იცოდნენ, რა არის სულის მოთქმა, სერ ტარქვინმა კიდევ მრავალგან დაჭრა სერ ლანსელოტი, ასე რომ იქაურობა სისხლით შეიღება.

თავი მესამე

როგორ მოკლა სერ ლანსელოტმა სერ ტარქვინი და როგორ უბრძანა სერ ზაპორისს ყველა ტყვის გათავისუფლება

მაგრამ ბოლოს სერ ტარქვინი დასუსტდა, შედრკა, უკან დაიხია და დაღლილობისაგან ფარი ოდნავ დაუშვა. ეს არ გამოეპარა ლანსელოტს. ერთი



ნახტომით მასთან გაჩნდა, მუზარადის შესაკრავს ჩააფრინდა, დაბლა დაქაჩა, წამოაჩოქა, მუზარადი მოხადა და ხმლით თავი მოჰკვეთა. შემდეგ ქალიშვილთან მივიდა და უთხრა:

— კეთილშობილო ქალიშვილო, მზად ვარ გამოგყვენი ნახტომის მიბრძანებით, მაგრამ ცხენი აღარა მყავს.

— კეთილო რაინდო, — უთხრა დაჭრილმა რაინდმა, — წაიყვანეთ ჩემი ცხენი, მე კი გამიშვით, ტყვეებს დილეგის კარი გავულო.

ლანსელოტმა მადლობა უთხრა და დასძინა: ცხენის დარდი ნუ გექნებაო.

— რასა ბრძანებთ, სერ, ცხენი თქვენია. მე მოხარული ვარ, რადგან თქვენ გვიხსენით სიკვდილისაგან მეცა და ჩემი ცხენიც. მე დღეს მოწმე გავხდი საარაკო ბრძოლისა, თქვენ მოკალით ჩემს თვალწინ ამქვეყნად მავალთა შორის უძლიერესი რაინდი, რაღა თქმა უნდა, თქვენი გამოკლებით. მაგრამ გთხოვთ, კეთილშობილო რაინდო, მითხრათ თქვენი სახელი.

— სერ, ჩემი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი, და ყოველთვის იქონიეთ ჩემი იმედი. როცა იმ დილეგში შეხვალთ, იქ მრგვალი მაგიდის ბევრ რაინდს ნახავთ, რადგან ბევრი მათგანის, ეგერ ხეზე დაკიდებული, ფარები შევიცანი. იქაა სერ კეის, სერ ბრანდელის, სერ გალიჰუდის, სერ ბრიან ლისტენოიზელის, სერ ალიდუკის, სერ მარჰალტის და კიდევ ბევრთა, რომელთაც ველარ ვიხსენებ, აგრეთვე ჩემი ორი ძმის: სერ ექტორ მენაპირისა და სერ ლიონელის ფარები. გთხოვთ, გადასცეთ ყველას ჩემი სალამი და ნება-სურვილი, რომ იალაფონ ამ ციხეში ყველაფერი, რაც მოეწონებათ. ჩემი ძმები მეფის სასახლეში წავიდნენ და იქ დამელოდონ, რადგან ორმოცდაათი ქალწულის დღეობისათვის ვაპირებ სასახლეში დაბრუნებას. ახლა კი ამ ქალიშვილს უნდა გავყვე და მისი სურვილი ავასრულო.

ასე დაემშვიდობა ლანსელოტი გაჰერისს. გაჰერისი კი ციხეში შევიდა, ნახა მედილეგე-მეკარე და მეკლიტური, რომელსაც ჰქონდა ყველა გასაღები. გაჰერისმა მიწაზე დასცა მეკლიტური და გასაღებები აართვა. მერმე დაუყოვნებლივ გააღო დილეგის კარი და ყველა პყრობილი გაათავისუფლა. რაინდები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ბორკილების მოხსნაში. როცა სერ გაჰერისი ნახეს, მადლობის თქმას ვერ აუდიოდნენ, რადგან ისიც დაჭრილი იყო და მხსნელად მიიღეს. ეგონათ, იმან მოკლა ტარქვინი.

— ო, არა ბატონებო! — შესძახა გაჰერისმა, — ტარქვინი მე კი არა, სერ ლანსელოტმა მოკლა პატიოსან ორთაბრძოლაში თავისი ხელით, ის გიგზავნით სალამს და ბრძანებს, რომ ყველანი ართურის კარზე წახვიდეთ. თქვენ კი, სერ ლიონელო და სერ ექტორ მენაპირე, სასახლეში დაცდა გიბრძანათ.

— არა, სერ, ჩვენ წავალთ და ვიპოვით, თუ სიცოცხლე გვიწერია.

— მეც, — შესძახა სერ კეიმ, — თუ ართურის კარზე მისვლამდე ვერ ვიპოვი, რაღა რაინდი ვიქნები.

მთელი სახლი გადაქექეს, მონახეს იარაღის საწყობი და თორნი შეიმოსეს. რაინდებმა იპოვეს თავთავიანთი ცხენებიც და ნივთებიც. ამ დროს მეტყვევებ მოვიდა და თან მსუქანი ირმის ხორციით დატვირთული ოთხი ცხენი მოიყვანა.

სერ კეიმ ირმის ხორცის დანახვაზე თქვა:



— აი, მესმის ვახშამი! რამდენი ხანია, რიგიანი საქმელ-სასმელი არ გვიგემნია.

ირმის ხორცი მოხრაკეს, ზოგი მოხარშეს და ზოგიც მოშუშეს. ასეთი ვახშამის შემდეგ ბევრი რაინდი ღამის გასათევად იქვე დარჩა. მხოლოდ ერთი კალიონელი, სერ ექტორი და სერ კეი დაუყოვნებლივ გაუდგნენ ზეობისკენ ლანსელოტი ეპოვათ.

### თ ა ვ ი მ ი ა თ ი

როგორ გაიმგზავრა სერ ლანსელოტი ძალიწვილის თანხლებით, როგორ მოკლა რაინდი, რომელიც ძალიწვილას აწიოკებდა, და კიდევ უზირი ვინამ, ვინც ხილვა გამვლელს უშვებდა

ახლა კი მივუბრუნდეთ ისევ სერ ლანსელოტს, რომელიც ქალიშვილის თანხლებით მიაქროლებდა ცხენს ფართო შარაზე.

— სერ, — უთხრა ქალმა, — აი, ამ გზაზე ერთი რაინდი ხშირად ესხმის თავს მანდილოსნებს, ძარცვავს და ხანდახან შეურაცხყოფს კიდევ.

— როგორ? — შესძახა ლანსელოტმა, — რაინდი და ქურდი? მოძალადე? ქალთა გამაუბატიურებელი? ის არღვევს რაინდთა ფიცს და არცხვენს რაინდის სახელს. სამწუხაროა, რომ დედამიწაზე ასეთი რაინდებიც დადიან. მაშ, წადით, წინ, ღამაზო ქალო, მე კი შეუმჩნევლად აგედევნებით. თუ სადმე გამოჩნდება და დააპირებს რაიმეს, ვასწავლი, როგორ უნდა მოიქცეს რაინდი.

ქალიშვილი წყნარი, აუჩქარებელი ნაბიჯით ვილოდა თავის გზაზე. უეცრად ტყიდან გამოვარდა რაინდი, რომელსაც უკან პაეი მოჰყვებოდა. რაინდმა ძალით გადმოიყვანა ქალი ცხენიდან. ქალმა ყვირილი ატეხა. ლანსელოტი მაშინვე იქ გაჩნდა, რაინდს მიეჭრა და შესძახა:

— აჰ, შე უკეთურო რაინდო, რაინდთა წესის მოლაღატევ! ვინ გასწავლა კეთილშობილ ბანოვანთა, ქალთა და ქალწულთა განაწყენება?

ამ კითხვებზე რაინდს პასუხი არ გაუცია, მაგრამ უსიტყვოდ იშიშვლა მახვილი და მის შესახვედრად გამოეშურა. ლანსელოტმა შუბი განზე გადაადგო, თვითონაც ხმალი იშიშვლა და ისე დაჰკრა ზურგზე, რომ გაუბო თავი, სახე და ლავიწის ძვლამდე გაკვეთა.

— ახლა ხომ მიიღე ჯილდო, რაც დიდი ხანია დამსახურებული გაქვს!

— მართლაც! — გაუხარდა ქალიშვილს. — როგორც ტარქვინი ზვერაგდა და ლუპავდა რაინდებს, ისევე ეს მუხანათი რაინდი აწიოკებდა ბანოვანებს, ქალებსა და ქალწულებს. მისი სახელია სერ პერის ტყიური!

— ახლა, კეთილო ქალიშვილო, კიდევ გნებავთ ჩემგან რაიმე სამსახური?

— არა, სერ, — მიუგო ქალიშვილმა, — ჯერჯერობით მეტი არაფერი. ყოვლისშემძლე იესო იყოს თქვენი მფარველი და შემწე, სადაც არ უნდა იყოს, რადგან რაინდთა შორის ყველაზე უფრო მამაცი, თავაზიანი ბრძანდებით და ყველა ქალის მორჩილ მონად რაცხთ თავს. მაგრამ არის ერთი რამ, ძვირფასო რაინდო, რაც თქვენ, ჩემის აზრით გაკლიათ: უცოლო რაინდი ხართ და არც გინდათ ვინმე კეთილშობილი მანდილოსანი შეიყვაროთ. არა მსმენია, ვინმე გყვარებოდეთ, წარჩინებული ან უბირი, ეს ძალიან საწყენია. ამბობენ, რომ გიყვართ დედოფალი გვინივერა და იმ ქალმა ისე მოგაჯადოვათ, თქვენს



მზერას ვერც ერთი სხვა ქალი ველარ წარიტაცებს. ამ ქვეყანაში ამის გამო ყველა საგონებელშია ჩავარდნილი.

— მშვენიერო ქალწულო, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — ხალხს ვერ ავუერძალავ ჩემზე ლაპარაკს, რაც შეეხება ქორწინებას, ცოლს და შვილს არ ვაპირებ, რადგან ცოლი რომ მყავდეს, მასთან უნდა ვინმე მსგავსი ბრძოლა, ლაშქრობა, ტურნირები და ფათერაკები. სხვადასხვა ქალთა შეყვარებას და დროსტარებას კი ჩვეული არა ვარ, თუნდაც უპირველესად ღვთის შიშით, გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ მოხეტიალე რაინდი არ უნდა იყოს გარყვნილი, ქალთა შემაცდენელი, თორემ ბრძოლაში წარმატებას ველარ მოიპოვებს, ვინმე უბირი რაინდი სძლევს, ან თვითონ უცაბედად მოკლავს თავისზე უფრო წარჩინებულს. ვისაც საყვარლები ჰყავს, მარცხი თანა სდევს და ბედნიერი ვერასოდეს იქნება.

ამის შემდეგ სერ ლანსელოტი ლამაზ ქალს დაემშვიდობა, ორი თუ სამი დღე ასე იარა ტყე-ტყე, ჭრილობებს იშუშებდა და ლამეს იქ ათევდა, სადაც დაუღამდებოდა. მესამე დღეს ერთ ხიდზე გავიდა და უეცრად ვიღაც ტურტლიანი ბრიყვი გადაედო. მან ლანსელოტის ცხენს დრუნჩში მუშტი ჩასცხო, რომ უკან დაებრუნებინა და მერმე ლანსელოტს მიმართა: როგორ შემოდგიო ფეხი ხიდზე უნებართვოდ?

— რატომ არ უნდა გავიდე ამ ხიდზე? — კითხვითვე მიმართა ლანსელოტმა, — აქ ხომ სხვა გზა არ არის?

— გზის არჩევას შენ არავინ გეკითხება, — შეუბღვირა უბირმა გლეხმა და რკინით მოჭედილი კეტი აღმართა დასარტყმელად. მაგრამ ლანსელოტმა მოასწრო, ხმალი შეაგება, კეტი აიცილა და თავზელი მკერდამდე გააბო. ხიდს გაღმა დიდი სოფელი აღმოჩნდა. დიდმა თუ მცირემ, ქალმა და კაცმა შესძახა:

— სერ რაინო, ისეთი უბედურება დაიტეხეთ თავს, რომ უარესი არ იქნება, თქვენ ხომ ამ ციხის მთავარი მეკარე მოკალით!

ლანსელოტმა არ დაუშალა ლაპარაკი, თვითონ კი პირდაპირი გზით გაემართა ციხისაკენ. ჭიშკარშიც შევიდა, ცხენიდანაც ჩამოხდა, პირუტყვი ექვე კედელში ჩატანებულ რგოლს მიაბა. მერმე დაინახა განიერი მწვანე ეზო და იქით გაემართა, რადგან ბრძოლა თუ მოუწევდა, იქ უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. მიმოიხედა, ყველა ფანჯარაში უამრავი ხალხი ჩანდა და ყველა მათგანი იმას გაიძახოდა:

— მამაცო რაინდო, შენმა უბედობამ მოგიყვანა აქ.

### თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ბ ე

როგორ მოკლა სერ ლანსელოტმა ორი გოლიათი და ციხე გაათავისუფლა

ლანსელოტმა კარგად დაინახა, როგორ გამოვიდა ციხიდან აბჯარში ჩამჯდარი ორი დევკაცი. თავზე მუზარადები არ ეხურათ, სამაგიეროდ, ხელთ ვეება კომბლები ეჭირათ. ლანსელოტმა ფარი იფარა, შემოქნეული კეტი აიცილა და თვითონ მომხდურს თავი ხმლით გაუპო. ამხანაგის სიკვდილი რომ



ნახა, მეორემ მოჰკურცხლა. ლანსელოტი გამოუდგა, დაჰკრა ხმალი ბეჭებში და ჭიპამდე გაკვეთა.

შემდეგ ლანსელოტი ციხეში შევიდა. სამოცი ბანოვანი და ქალიშვილის წინ მუხლებზე დაემხო. მადლიერები ლოცავდნენ მასაც და ღმერთსაც, რომელმაც მხსნელი მოუვლინათ.

— აგერ შვიდი წელია თითქმის ყველანი ამ ტყვეობაში ვიტანჯებით. აბრეშუმს ვქსოვდით, ვკერავდით, ყოველგვარ ხელსაქმეს ვასრულებდით ლუკმაპურისათვის. არადა, ყველანი წარჩინებული გვარისანი ვართ. ის საათი დაილოცოს, რაინდო, რა საათსაც ქვეყანაზე დაიბადე, რადგან შენ ისეთი გმირობა ჩაიდინე, რასაც დედამიწაზე სხვა ვერავინ იქმოდა, ყველანი ამის მოწმენი ვართ. გვედრებით, თქვენი სახელი გვითხარით, რომ ჩვენს ნათესავენს გადავცეთ და ვიცოდეთ, ვინ გვიხსნა ამ მონობისაგან.

— მშვენიერო მანდილოსნებო, ჩემი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი.

— ოჰ, სერ, — შესძახა ყველამ, — მაშ ვინ იქნებით, ლანსელოტის გარდა. აბა თქვენს მეტი რომელი რაინდი სძლევდა ბრძოლაში იმ ორ გოლიათს, რომელთაც მრავალ რაინდს დაუბნელეს მზე. რამდენჯერ გვინატრია თქვენი თავი! თვითონ მათაც თქვენს გარდა არავისი ეშინოდათ.

— მაშ, ასე ჩემი მდაბალი სალამი გადაეცით თქვენს მახლობლებს, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — ყველა მოიკითხეთ და, თუ თქვენს მხარეში მოვხვდეთ, ისე მიმიღეთ, როგორც უმჯობესად ჩათვალთ. ამ ციხეში რაც რამე ქონებაა, თქვენთვის მიბოძებია ყველა იმ გასაჭირისათვის, რაც აქ გადაგიტანიათ. მფლობელმა ლორდმა კი ციხე ისევ ჩაიბაროს, როგორც წესია.

— საყვარელო სერ, — უთხრავს ტყვეებმა, — ამ ციხის სახელია ტინტაჯილი, ერთ დროს ის ჰერცოგის კუთვნილება გახლდათ. მან შეირთო მშვენიერი იგრიენა. შემდეგ ის ქალი გახდა უთრ პენდრაგონის ცოლი და იქ გააჩინა ართური.

— დახე, როგორ ყოფილა საქმე! ახლა კი ვიცი, ვისაც ეკუთვნის ეს ციხე. — თქვა ეს ლანსელოტმა და ყველას დაემშვიდობა. ამხედრდა და თავისი გზით გასწია, უცხო მხარეში. მრავალი მდინარე გადალახა და მრავალი ხეობა გადაიარა. სადაც უღამდებოდა, იქ უთენდებოდა. ბოლოს ბედმა ერთ მდიდრულ სახლთან მიიყვანა. ბინდდებოდა. იმ სახლის კარზე ერთი დედაბერი გამოეგება. გულითადი, სიხარულით შეიპატიჟა, აჭამა, ასვა, დაუგო. არც ცხენი დაივიწყა. მოსასვენებელშიც თვითონ გაიყვანა. იქ სერ ლანსელოტმა აბჯარი გაიხადა, გვერდით დაიწყო, დაწვა და მაშინვე ტკბილად დაიძინა.

ღამით ვიღაცამ იმ მდიდრულად ნაგებ სახლთან ცხენი მოაჭენა და ალაცაფის კარზე დააკაკუნა. ლანსელოტმა გაიგონა ხმაური, წამოდგა და სარკმელში გაიხედა. ხედავს, როგორ მიიმწყვდია სამმა ხმალშემართულმა მხედარმა ერთი უბედური კედელთან. რაინდი უკან კი მიდგა, მაგრამ თავდამსხმელთ მამაცურად დაუხვდა. თავს იცავდა.

— ვფიცავ, — თქვა გულში სერ ლანსელოტმა, — ამ რაინდს უნდა მივეშველო, რადგან სირცხვილია ვუყურო, რა უსინდისოდ ებრძვის სამი ერთს და, თუ მოკლავენ, ჩემი ბრალიც იქნება!

ადგა, სასწრაფოდ აღიჭურვა, ფანჯარაზე ზეწარი ჩამოაბა, დაბლა ჩამოსრილდა და იმ ოთხი რაინდის გასაგონად შესძახა:

— აქეთ მობრუნდით, რაინდებო, მე შემებით და იმ ერთს მოეშვით!



მაშინ იმ სამმა სერ კეი მიატოვა, სერ ლანსელოტს მიუბრუნდნენ და სამივე მხრიდან შემოუტყეს. სერ კეი მისაშველებლად გაეშხადა.

— არა, არა, სერ, — შესძახა ლანსელოტმა, — თუ შეველა გინდათ, მაცალეთ, სამივეს უნდა გავუსწორდე.

სერ კეიმ დაუთმო კეთილ რაინდს და განზე დადგა. ლანსელოტმა შვიდი დარტყმით დასცა ყველანი. ისინი ერთხმად შეევედრნენ:

— სერ რაინდო, გნებდებით, როგორც უძლიერესს!

— იმ რაინდს დანებდით მხოლოდ ამ პირობით შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს, სხვაგვარად არა.

— კეთილშობილო რაინდო, თქვენს პირობას ვერ შევასრულებთ, ჩვენ მას დავედევნეთ, თქვენ რომ არა, კიდევ ვძლევდით! მას რატომ უნდა დანებდეთ?

— რას იზამ, თქვენი ნებაა, მაგრამ კარგად დაუფიქრდით, სიკვდილს არჩევთ თუ სიცოცხლეს. თუ დანებებაა, მხოლოდ სერ კეის დანებდებით!

— მაშინ, კეთილშობილო რაინდო, — თქვეს ძლეულებმა, — სიცოცხლის გადასარჩენად ისე მოვიქცევით, როგორც თქვენ გვიბრძანებთ.

— მომავალ სამებას, — უთხრა ლანსელოტმა, — ართურ მეფეს სასახლეში ესტუმრებით და იქ ეთაყვანებით დედოფალ გვინივერას, სამივემ მის მოწყალებას დაუკარით თავი და შეევედრეთ, უთხარით, სერ კეი უგზავნის ამ ტყვეებს.

— სერ, — თქვეს ძლეულებმა, — ყველაფერი ისე აღსრულდება, როგორც თქვენ გვიბრძანებთ! სულსა და ზორცს გეფიცებით, თუ ცოცხლები ვიქნებით, თქვენს ნათქვამს აღვასრულებთ.

სამივემ ხმალზე დაიფიცა და ლანსელოტმა ისინი გაუშვა. შემდეგ მახვილის ვადით სახლის ჭიშკარზე დააკაკუნა, დიასახლისმა გაუღო კარი და ორივე შიგნით შეიყვანა — ლანსელოტი და სერ კეი.

— სერ, — უთხრა მოხუცმა ქალმა, — მეგონა, ლოგინში იწექით.

— ლოგინში ვიყავი, მაგრამ მერე ფანჯრიდან გადავხტი, რომ ჩემს ძველ მეგობარს მივშველებოდი.

როცა ცეცხლთან მივიდნენ, სერ კეიმ იცნო სერ ლანსელოტი, მაშინვე მუხლებზე დავარდა და მადლი შესწირა, ეს ორჯერ დამიხსენიო სიკვდილისაგან.

— სერ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — მე მხოლოდ ის მოვიმოქმედე, რასაც მოვალეობა მკარნახობდა. ახლა კი კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, აქ ღამეს გაათევთ.

სერ კეიმ აბჯარი მოიხსნა და საჭმელი ითხოვა. საჭმელი გამოუტანეს, მაღიანად შეექცა, შემდეგ მოსასვენებლად წავიდნენ და იმ ღამეს ორნი ერთ ლოგინში იწვნენ.

ღილით სერ ლანსელოტი ადრე ადგა და სერ კეი მძინარე დატოვა. აიღო სერ კეის საჭურველი, ფარი და იარაღი, შევიდა საჯინიბოში, ახსნა ცხენი, შეკაზმა, პატივისცემით დაემშვიდობა დიასახლისს და გზას გაუდგა. მალე კეისაც გამოეღვიძა, გაიხედა, სადღა იყო ლანსელოტი! აბჯარი და იარაღიც გამოცვლილი ნახა.

— ვფიცავ, ახლა ზოგ ვინმეს ართურის კარზეც მოხვდება მისგან! — შე-



სძახა კეიმ. — იქაური რაინდები აითვალწუნებენ, ეგონებათ, მე ვარ, სასტიკად კი შეცდებიან. მე კი მისი ფარ-ხმალი და ნიშნები დიდ სამსახურს გამოწევს. შემოდლა დამშვიდებით ვიმგზავრო.



სერ კეიმ დიასახლისს მადლობა გადაუხადა და წავიდა.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ბ ე

როგორ იმგზავრა სულ ლანსელოტმა სერ კეიმს აღჭურვილობით და როგორ ჩამოაბდო ძირს ერთი რაინდი

ჩვენ კი ახლა გავყვეთ სერ ლანსელოტს, რომელიც დიდხანს მიდიოდა უსიერ ტყეში. ბოლოს ერთ მშვენიერ, სამოთხესავით მხარეში ჩავიდა, სადაც მწვანე ველზე სუფთა ნაკადულები მიედინებოდა. დაინახა ერთი გრძელი ხიდი, რომელზედაც სამი სხვადასხვა ფერის აბრეშუმის კარვეები იდგა. კარვეების წინ შუბისტარებზე სამი თეთრი ფარი გამოეკიდათ, იქვე იყო მიყუდებული გრძელი შუბები და ყოველი კარვის წინ იდგა მხნე, დასვენებული რაინდი. სერ ლანსელოტმა გვერდით ისე ჩაუარათ, კრინტიც არ დაუძრავს. სამივე რაინდმა იცნო: ეს პატივმოყვარე და ამაყი სერ კეი მიდის და არც გვესალმებაო.

— ყველა რაინდზე მაღალი ჰგონია თავი, საქმით კი არაერთხელ დაამტკიცა საწინააღმდეგო, — თქვა ერთმა, სერ გაუტერმა. — დავეწევი და ასეთი ქედმაღლობისათვის ბრძოლაში გამოვიწვევ. თქვენ ნახავთ, რა ვუყო.

სერ გაუტერმა აბჯარი ჩაიკცა, ფარი გადაიკიდა, ცხენს მოახტა და სერ ლანსელოტს დაედევნა. დაეწია და შესძახა:

— ცოტა ნელა იარე, სერ კეი, ამაყო და ამპარტავანო რაინდო! აქედან ასე მშვიდად ველარ წახვალ.

სერ ლანსელოტი მოუბრუნდა, შუბი მოიმარჯვა და ერთმანეთს ეტაკნენ. გაუტერს შუბი გაუტყდა. ლანსელოტმა კი ცხენიანად ძირს დასცა.

ძმებმა რომ დაცემული ნახეს, თქვეს:

— ეს რაინდი სერ კეი არაა, უფრო ძლიერი ვილაც უნდა იყოს.

— კისერი მომჭერით, თუ სერ კეი ამ რაინდის ხელით არ იყოს მოკლული. ალბათ მისი საჭურველი მიტომ აუსხამს ტანზე, ცხენიც მისი იქნება.

— ასეა თუ ისე, — მიუგო სერ რეინოლდმა, — რაღას ვუყურებთ, ცხენებს მოვახტეთ და დავიხსნათ განსაცდელში ჩავარდნილი ძმა გაუტერი. თავს აფიციები, ძალიან კი გაგვიჭირდება მასთან ბრძოლა, რადგან ვატყობ, იგი ან სერ ლანსელოტი უნდა იყოს, ან სერ ტრისტრამი, ან სერ პელეასი.

ცხენებს მაინც მოახტნენ და ლანსელოტს დაედევნენ. ჯერ გილმერმა სცადა ბედი, შუბით ეძგერა ლანსელოტს, მაგრამ ლანსელოტმა ძირს დასცა ისეთი ძალით, რომ გრძნობა დააკარგვინა.

— სერ რაინდო, — მიმართა მაშინ სერ რეინოლდმა, — ჩანს ძალიან ლონიერი ხარ და, მგონი, სასიკვდილოდ დაკერი ჩემი ორი ძმა, ამიტომ გული შენდამი სიძულვილით ამევსო. რაინდის ღირსება რომ ამის ნებას მაძლევდეს, შებმას ვერ გაგიბედავდი, მაგრამ იძულებული ვარ, მათი ბედი გავიზიარო. ამიტომ, რაინდო, თავი დაიცავი!



მთელი ძალით ეტაკა რაინდი რაინდს, ორივეს ხელში შუბები შეელეწა. მაშინ ხმლები იშიშვლეს და გაიმართა თავგამოდებული ბრძოლა, ამასობაში სერ გაუტერმაც წამოიწია, თავის ძმას გილმერს მიუახლოვდა და ეუბნება:

— ადექი და მივეშველოთ ჩვენს ძმას, ეგერ იბრძვას მამაციის სასწაულს ახდენს.

შინჯღირითეჟა

მართლაც, ორივე სერ ლანსელოტს დაესხა ისევ თავს, მაგრამ როცა ლანსელოტმა ნახა, რომ ის ორი ძმა უახლოვდებოდა, ერთი მძლავრად მოიქნია მარჯვენა, დაჰკრა სერ რეინოლდს და უნაგირიდან გადააგდო. შემდეგ იმ ორს მიუბრუნდა და თითო დარტყმით ძირს დაყარა.

ახლა რეინოლდი წამოდგა სახედასისხლიანებული და ლანსელოტს მიუახლოვდა.

— კმარა, — უთხრა ლანსელოტმა, — მე ხომ დავესწარი შენს რაინდად კურთხევას და ვიცი, კარგი რაინდი ხარ, არ მინდა მოგკლა.

— გრამერსი, — უთხრა რეინოლდმა. — სიკეთისათვის მადლობას გიხდით. მე და ჩემი ძმები მზად ვართ, დავყაროთ იარაღი და თავი თქვენს ტყვეებად გამოვაცხადოთ, ოღონდ გვითხარით თქვენი სახელი. ჩვენ ხომ ვიცი, რომ თქვენ სერ კეი არა ხართ.

— როგორც გენებოთ, მაგრამ თქვენ დედოფალ გვინივერას უნდა ჩაბარდეთ. იყავით იქ სამეზბის დღეს და უთხარით, რომ სერ კეის გამოგზავნილები ხართ.

ფიცი მისცეს, ასე მოვიქცევითო. ლანსელოტიც თავის გზას დაადგა, ძმები კი, როგორც შეეძლოთ, ერთიმეორეს დაეხმარნენ.

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე

როგორ ეპროვდა ლანსელოტი  
მრავალი ვაგიდის ოთხ რაინდს და ოთხივე სძლია

მიდის ლანსელოტი ხშირ ტყეში და ხედავს, მდელიოზე მუხის ძირში ოთხი რაინდი დაქვეითებულა, ოთხივე ართურის სასახლისა. ერთი იყო სერ საგრამურ სასურველი, მეორე სერ ექტორ მენაპირე, მესამე სერ გავეინი, მეოთხე კი სერ ივეინი. აღჭურვილობის მიხედვით ოთხივემ სერ კეი შეიცნო.

— აი, რა, — თქვა სერ საგრამურმა, — ვფიცავ, ახლავე გავყვები ბრძოლაში სერ კეის და გამოვცდი, რა ღონის პატრონიცაა, — შუბი აიღო და სერ ლანსელოტს დაედევნა. ლანსელოტმა სერ საგრამური მაშინვე იცნო, აძგერა შუბი და ცხენიანად ძირს დააგორა.

— შეხეთ, ბატონებო, — თქვა სერ ექტორმა. — ნახეთ, რა დარტყმა იყო? მე მგონია, ეს ვაჟბატონი სერ კეიზე უფრო ძლიერია. ახლა ნახავთ, როგორ გავუსწორდები.

მოიმარჯვა შუბი სერ ექტორმა და ლანსელოტს დაედევნა.

მაგრამ სერ ლანსელოტმა მაგრად შემოუტია, ფარიც გაუხვრიტა, მხარშიც დაჭრა, ცხენიანად ძირსაც დასცა, თვითონ კი შუბიც მთელი შერჩა.

— ღმერთს გეფიცებით, — ჩაილაპარაკა სერ ივეინმა, — ეს რაინდი ძალიან და უძლეველი ვინმეა. რა თქმა უნდა, მაგან მოკლა ჩვენი სერ კეი. მის ღონეს რომ ვხედავ, გაგვიჭირდება მასთან შებმა.



ამ სიტყვებზე სერ ივეინმაც აიღო შუბი და ლანსელოტს ჩაუდგა კვალში. ლანსელოტმა იცნო, ჭიჭურ მივარდა ცხენით, ეძგერა და ისე დასცა, რომ სერ ივეინი დიდხანს გონს ვერ მოეგო, სად ვარ და რა მომივიდაო!

— რა გაეწყობა, — თქვა სერ გავეინმა, — ვატყობ, ამ რაინდთან მე მომიხდება ბრძოლა და ანგარიშსწორება.

გავეინმა ფარი გადაიკიდა, ხელთ მაგარი შუბი აიღო და ლანსელოტზე მიუშვა ცხენი. შეიბნენ და ფარების შუაგულში ჰკრეს შუბერი ერთმანეთს, მაგრამ სერ გავეინის შუბი ამ დროს გადატყდა, ლანსელოტის შუბის ძალამ კი მისი ცხენი უკან გადააყირავა და რაინდს რის ვაივაგლახით მოუხდა მისგან თავის დაღწევა. ლანსელოტმა გაიწია, გაიციხა და თქვა:

— ღმერთმა გაახაროს ამ შუბის გამომთლელი, ამისთანა ხელთ ჭერ არაფერი მჭერია.

ოთხი ძლეული რაინდი კი ერთგან შეიყარა და თათბირი გამართეს.

— რას იტყვით ამაზე? — თქვა სერ გავეინმა, — ოთხი ერთმა რომ დაგვაგაბნა და ძირს დაგვაწყო?

— ეშმაკს მივანდოთ მაგისი თავი, მეტისმეტად ძლიერია ვილაცა!

— მართალს ამბობთ, რომ ძლიერია და მაგარი, — მიუგო სერ გავეინმა, — თავს დავდებ, რომ ეს სერ ლანსელოტია, მიხვრა-მოხვრით ვცნობ.

— თავისი გზით წავიდეს, — დაასკვნა სერ ივეინმა, — სასახლის კარზე რომ შევიყრებით, მაშინ გავიგებთ.

ცხენები ძლივს დაიჭირეს.

თ ა ვ ი მ ა თ ო თ ხ მ ა ტ ა

როგორ მიჰყვა სერ ლანსელოტი მწვერარ მუკანა ხალხის ავალს და მივიდა კონახში. სადაც იპოვა მკვდაკი რაინდი, და როგორ სთხოვდა მხრე ერთი ხალხივილი, ამა მომიჩინეო

მივატოვოთ ოთხი რაინდი და ისევ ლანსელოტს გავყვით, დაბურულ ტყეში რომ მიდის. დიდხანს მიდიოდა. უცებ დაინახა შავი მწვერარი ძუკნა ძალლი მიწას ისე სუნავს, თითქოს დაჭრილი ირმის კვალს მისდევდეს. ლანსელოტი მიჰყვა, ძალღმა ჭაობში გადაუხვია, ლანსელოტი არ მოეშვა. ბოლოს წინ ციხე-კოშკი გამოჩნდა, ძალლი დახავსებულ ხიდზე პირდაპირ იმ კოშკისაკენ გარბოდა. ლანსელოტიც იქით გაეშურა, კოშკში შევიდა და ერთ დიდ დარბაზში აღმოჩნდა. შუაში მკვდარი რაინდი ესვენა, დასანახავად მშვენიერი; ძალლი მივიდა და მისი ჭრილობების ლოკვა დაიწყო.

უცებ დარბაზში ტირილითა და ხელების მტვრევით მანდილოსანი გამოვიდა და სერ ლანსელოტს მიმართა:

— რაინდო, შენ მე მწუხარებით ამივსე გული.

— რატომ ამბობთ ამას? — უთხრა სერ ლანსელოტმა. — მე არ მომიკლავს ეს რაინდი და აქ ძალღმა მომიყვანა სისხლიან კვალზე. ნუ გამიჯავრდებით, მშვენიერო მანდილოსანო, მე თქვენი მწუხარების მოზიარე ვარ.

— მართალია, სერ, — მიუგო ქალმა, — მჯერა, რომ ჩემი ქმარი თქვენ არ მოგიკლავთ, რადგან, ვინც ეს ჩაიდინა, თვითონაც სასიკვდილოდ უნდა იყოს დაჭრილი და თავის ჭრილობებს ვერ მოიშუშებს.



— რა ერქვა თქვენს მეუღლეს? — ჰკითხა ლანსელოტმა.

— სერ, მისი სახელია სერ გილბერდ-ბასტარდი, ქვეყნად ურჩეულესი რაინდთაგანი იყო, მისი მკვლელის სახელი კი არ ვიცი.

— ღმერთი იყოს თქვენი მანუგეშებელი, — ამ სიტყვებზე სერ ლანსელოტი დაქვრივებულ ქალს დაემშვიდობა და ისევ ბნელ ტყეს მიჰყურებდა.

მალე ერთი ახალგაზრდა ქალი შეხვდა, რაინდი მაშინვე იცნო და გოდებით შესჩივლა:

— კარგია, ჩემს ბედზე რომ შეგხვდით, ჩემო ბატონო! თქვენს რაინდულ პატიოსნებას გაფიცებთ. დაეხმარეთ ჩემს ძმას, მძიმედაა დაჭრილი და სისხლისაგან იცლება. ამ დილით შეებრძოლა სერ გილბერდ-ბასტარდს და პატიოსან ორთაბრძოლაში მოკლა, თვითონაც მძიმედ დაიჭრა. ერთმა ჯადოქარმა კი, რომელიც აქვე მახლობლად ერთ ციხეში ცხოვრობს, მითხრა, რომ ჩემი ძმა მხოლოდ იმ შემთხვევაში განიკურნება, თუ გამოჩნდება ვინმე რაინდი, რომელიც დაღუპულ სამლოცველოში წავა, იქ იპოვნის მახვილს და ტილოს, რომელშიც შენი ძმის მოკლული რაინდი იყო გახვეულიო. იმ ტილოს ნაჭერი და ის მახვილი განკურნავენ ჩემს ძმას, თუ ჭრილობაზე მიაღებენ.

— საკვირველი ამბავია, — თქვა ლანსელოტმა, — რა ერქვა შენს ძმას?

— სერ, მისი სახელია მელიოტ ლოგრელი.

— ძალიან ვწუხვარ! — თქვა სერ ლანსელოტმა, — ის მრგვალი მაგიდის ერთ-ერთი რაინდია, და, რაც შემძლია, ყველაფერს ვილონებ.

ქალმა უთხრა:

— სერ, გაჰყევით ჭენებით ამ შარას, არსად გადაუხვიოთ და ის მიგიყვანთ დაღუპულ სამლოცველოსთან, მე კი აქ დაგელოდებით, ვიდრე უფალი ისევ ამ ადგილას არ მოგიყვანთ. თუ თქვენ ვერაფერს გახდებით, აღარ ვიცი, სხვა რომელი რაინდი შეიძლებს ამ საქმის აღსრულებას.

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ა

როგორ მივიდა სერ ლანსელოტი დაღუპულ სამლოცველოში, სადაც ნიშტიდან აიღო ტილოს ნაჭერი და მახვილი

სერ ლანსელოტი გზას ჭენებით გაუდგა და მივიდა დაღუპულ სამლოცველოსთან, დაქვეითდა და ცხენი ჭიშკართან დააბა. ზღუდის შიგნით რომ შევიდა, ნახა, რომ კედელზე ჰკიდია გადაბრუნებული ფარები. ყველაფერი მდიდრულად მორთული იყო. ბევრი ფარი იცნო. აღრე ენახა მათ მფლობელ რაინდებს როცა ხელთ ეპყრათ. მოიხედა და ერთბაშად ოცდაათამდე რაინდი შემოადგა, მთელი იარდით უფრო მაღალი, ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით. ოცდაათივე ბოროტად იკრიჭებოდა და კბილებს აღრქენდა. სახეებს რომ დააკვირდა, ტანში გააჟრჟოლა. უკან დაიხია, ფარი იფარა და საომრად გაემზადა.

ბუმბერაზებს ერთიანად შავი აბჯარი ემოსათ, ფარები და ხმლები სამტროდ აღემართათ. მაგრამ როცა ლანსელოტმა მათ შუა გავლა მოიწადინა, გზა მისცეს, გაიწიეს და გაატარეს. იისც თამამად წავიდა და სამლოცველოში შევიდა. შიგნით მხოლოდ ერთი სუსტი ბაზმა ბეუტავდა. სიღრმეში გაიხედა, ნეშტი ესვენა. აბრეშუმის სუდარა ეხვია. დაიხარა, ერთი კიდე მოაჭრა. ამ დროს მოეჩვენა, თითქოს მის ფეხქვეშ მიწა იძრა და ელდა ეცა.



შემდეგ ხედავს: მკვდარი რაინდის გვერდით მახვილი დევს. სასწრაფოდ აიღო და გავიდა. როგორც კი გარეთ დაინახეს, ოცდაათივე რაინდი ტოტანტი ხმით ამეტყველდა და ასე უთხრეს:

— რაინდო ლანსელოტ, დაგდე ეგ მახვილი, თორემ მოკვდები.

— მოკვდები თუ არა, მუქართა და სიტყვებით მახვილს შეგე მოკვდები მევეთ. საამისოდ ჩემთან ბრძოლა მოგიხდებათ.

ამ სიტყვებზე პირდაპირ მიიწია, მაგრამ ყველამ გზა დაუთმო. ზღუდის გარეთ, მშვენიერი ქალწული შეხვდა და უთხრა:

— სერ ლანსელოტ, დატოვეთ ეს ხმალი იქვე, საიდანაც აიღეთ! არადა, მოკვდებით.

— არ დავტოვებ, არც რამე მუქარას შევუშინდები.

— მართალი ხართ, — უთხრა მაშინ ქალიშვილმა, — რომ დაგეტოვებინათ, დედოფალ გვინივერას ველარ იხილავდით.

— მაშ უკანასკნელი სულელი ვიქნებოდით, ამ ხმალზე რომ ხელი ამეღო.

— მაშინ, თავაზიანო რაინდო, მხოლოდ ერთხელ მაკოცეთ.

— არა, — მიუგო ლანსელოტმა, — არ შემიძლია. ღმერთს არა სწადს ეგ საქმე.

— სერ, რომ გეკოცნათ, თქვენი აღსასრულიც დადგებოდა, — უთხრა ქალწულმა, — ახლა კი ვხედავ, მთელი ჩემი ჯაფა ამათა, რადგან ეს სამლოცველო აღიმართა ჩემი ბრძანებით. მხოლოდ თქვენთვის და სერ გავინისათვის. ერთხელ ის მოვხიბლე, იმ დღეს, როცა ორთაბრძოლა ჰქონდა იმ რაინდთან, რომელიც ახლა შიგნით წევს მკვდარი, სერ გილბერდ-ბასტარდთან. იმ დღეს მოჰკვეთა მან მარჯვენა გილბერდს, ახლა კი, სერ ლანსელოტ, საიდუმლოს გაგიმხელ, შვიდი წელია მიყვარხარ. მაგრამ ვერც ერთი ქალი ვერ ეღიროსება შენს სიყვარულს, დედოფალ გვინივერას გარდა, რაკი სიცოცხლეში შენი სიახლოვით ვერ გავიხარე, ისღა დამრჩენოდა, რომ შენი გვამი მაინც ჩამეგდო ხელში. მაშინ მუშკ-ამბრით დაგზელდი, ჯრტახებში შეგახვევდი, სამუდამოდ ჩემთან მუმიასავით შეგინახავდი. ყოველდღე გაკოცებდი, მოგებვეოდი, დედოფალ გვინივერას ჯიბრზე.

— დაწყობილად კი ლაპარაკობთ, — თქვა ლანსელოტმა, — იესო ქრისტემ დამიფაროს თქვენი ეშმაკური ხრიკებისაგან!

მაშინვე ცხენს მოახტა და იქაურობას გაეცალა. ქალი კი დარდისაგან ჩამოხმა, როგორც წიგნშია მოთხრობილი, და ისე გახდა, რომ ორ კვირაში გარდაიცვალა. მისი სახელი იყო ჯადოქარი ჰელივისა, ზანგთა ციხის პატრონი. სერ ლანსელოტი კი სერ მელიოტის გადარაჯებულ დას შეხვდა. დაინახა თუ არა ქალიშვილმა, ხელი ხელს შემოჰკრა და სიხარულისაგან ატირდა. მაშინვე გააქროლეს ცხენები იმ ციხეში, სადაც სერ მელიოტი იწვა. ლანსელოტმა შეხვდა და მაშინვე იცნო სერ მელიოტი, თუმცა ფერწასული იყო. დაჭრილს იმდენი სისხლი დაეკარგა, სახეზე მიწისფერი დასდებოდა.

სერ ლანსელოტის მზილველი სერ მელიოტი მუხლებზე წამოიმაართა და ხმამაღლა შესძახა:

— ო, ბატონო ჩემო, სერ ლანსელოტ! მიშველე!

მივარდა სერ ლანსელოტი, შეახო გილბერტის მახვილი, გადაუსვა კრილობებზე მისივე სუდარის სისხლიანი ნაჭერი და მელიოტი ზეზე წამოიჭრა. მთელი და უვნებელი, უწინდელზე ჯანსაღი.



უზომო იყო მათი სიხარული. ლანსელოტს თავს ევლებოდნენ, დილით კი მხსნელი ადრიანად დაემშვიდობათ და სერ ფელიოტს უბრძანა, სულიწმიდის მოსვლის დღეობისათვის მეფე ართურს ეახლეო. „მაშინ ღვთის შეწევნით ისევ შევხვდებით“, — უთხრა და წავიდა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე თ ე ა ვ ს მ ე ტ ა

როგორ შემსინა ერთ ქალწულს სანადირო ნავარდენი სერ ლანსელოტმა პილიპე თხოვნით და როგორ მოტყუვდა

მიდის სერ ლანსელოტი უცხო მხარეში, მიუყვება ქაობებსა და ველებს. ბოლოს ერთ მშვენიერ ციხესიმაგრესთან მოხვდა. მიდის და თითქოს ზანზალაკების ელარუნი ესმის, მერე კი ხედავს: თავზე შავარდენმა გადაუჭროლა და მაღალ თელაზე დაჯდა, ფეხებზე თასმებდახვეული. შავარდენი ტოტზე დაჯდა და ველარ აფრინდა, თასმა ტოტებში გაიხლართა, სკადა აფრენა, დავარდა და დაეკიდა. ხედავს ლანსელოტი თავდაღმა დაკიდებულ მონადირე ფრინველს და ებრალება. ამასობაში ციხიდან ამხედრებული ქალი გამოვიდა, ხმამაღლად დაუძახა:

— ლანსელოტ! ლანსელოტ! შენ ღომ მთელი რაინდობის შუქი და გვირგვინი ხარ, ჩამომიხსენი შავარდენი! თუ გაწვრთნილ ფრინველს ვერ დავუბრუნებ, ჩემი ბატონი ნამდვილად მომკლავს, რადგან მის მომვლელად დამაყენა, მე უბედურს კი გამეჭვა შავარდენი თუ ჩემი ბატონის მეუღლე გაიგებს. ულაპარაკოდ ამკუწავს.

— რა ქვია შენს ბატონს? — ჰკითხა ლანსელოტმა.

— მისი სახელია სერ ფელიოტი, ჩრდილოეთ უელსის მეფის რაინდია.

— რა გაეწყობა, ლამაზო ქალო, რაკი ჩემი სახელი გცოდნია და ჩემს რაინდულ ვალს მაფიცებ, გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ ეს შავარდენი ჩამოგიხსნათ, მაგრამ, ღმერთია მოწმე, ხეზე ცოცვაში დახელოვნებული არა ვარ. თანაც მაღალი ხეა და ტოტებიც ცოტა აქვს, რომ ზედ შევდგე.

სერ ლანსელოტი დაქვეითდა, ცხენი იმავე თელაზე მიაბა, რომელზედაც შავარდენი ეკიდა. მერმე ქალს სახიოვა, აბჯარი შემომხსენიო; მთელი აღჭურვილობა ქალს ჩააბარა, მხოლოდ პერანგისა და შარვლის ამარა დარჩა. მძლავრი სხეულით ხეს მოეჭიდა, აცოცდა, ტოტი მოტეხა და შავარდენიანად ძირს გადმოაგდო.

ქალმა ხელი სტაცა შავარდენს. სად იყო და სად არა, უეცრად შამბიდან გამოვიდა აბჯარმოსილი და ხმალომღებელი სერ ფელიოტი, ქალის ქმარი, და ლანსელოტს ეუბნება:

— აბა, რაინდო ლანსელოტ! როგორც იქნა, ხელში ჩამივარდი! — იგი ხის ქვეშ დადგა ხმალომარჯვებული, რომ სერ ლანსელოტი ჩამოსვლისთანავე აეკუწა.

— აჰ, ქალბატონო, — თქვა სერ ლანსელოტმა. — რისთვის მიმუხთლეთ?

— მაგან მხოლოდ ის მოიმოქმედა, რაც მე ვუბრძანე. — მიუგო ფელიოტმა, — ამიტომ აქ ველარაფერს გააწყობ, შენი აღსასრულის დღე დადგა.

— სირცხვილი შენი! — უთხრა ლანსელოტმა, — ეგ როგორი ვაჟკაცობაა, თვითონ იარაღში ჩამჯდარი რომ შიშველ კაცს აკუწვით ემუქრები?



— სულერთია, არ დაგინდობ, — უპასუხა ფელოტმა. — თუ შეგიძლია, თავი დაიხსენი.

— ჭეშმარიტად, — თქვა სერ ლანსელოტმა, — თავი მოგეჭრება, მაგრამ, რაკი არაფერზე არ თანხმდები, აიღე ჩემი აბჯარი, აღტურვილობა, მხოლოდ ჩემი ხმალი ისე დაკიდე ტოტზე, რომ მივწვდე და შერე მომკალო, თუ შეგიძლია.

— ვერ მოგართვებს, — უპასუხა ფელოტმა, — უკეთ გიცნობ, ვიდრე გგონია. ამიტომ, ვიდრე ჩემი ნებაა, იარაღს ვერ მიიღებ.

— აფსუს! — შესძახა ლანსელოტმა. — რაინდს უიარაღოდ უხდება სიკვდილი. — მიმოატარა თვალნი და ხეზე ნახა ერთი გრძელი, სწორი, წვერ-მახვილი, ხმელი ტოტი, უფოთლო და უკორძო. მძლავრი მკლავით ძირში მოტეხა ის მსხვილი ტოტი, კარგად გათვალა, სადაც მისი ცხენი იდგა და უეცრად მის უკან გადმოხტა მიწაზე. მაშინვე მოუქნია ხმალი სერ ფელოტმა, რომ აეკუწა, მაგრამ სერ ლანსელოტმა ტოტი შეახვედრა, მოქნეული მახვილი აიციდინა, უმაღლ თვითონ მოიქნია ტოტი, დაჭრა თავში სერ ფელოტს და ძირს გაშლართა, მყის მიეახლა, ხმალი აართვა და თავი მოჭკვეთა.

— აფსუს! — შესძახა ვერაგმა ქალმა. — რატომ მომიკალი ჭმარი?

— ჩემი ბრალი რომ არ არის მისი სიკვდილი, შენც კარგად უწყვი, — მიუგო ლანსელოტმა. — განა შენ არა სცადე მუხანათურად ჩემი დაღუპვა? თქვენი სიძვე თქვენვე შემოგიბრუნდათ.

დავარდა ქალი მიწაზე და გრძნობა დაკარგა, თითქოს აღსასრული დაუდგაო. სერ ლანსელოტმა კი სახელდახელოდ ჩაიყვა აბჯარი, აისხა იარაღი და აჩქარებით მოახტა ცხენს, რადგან ახალი ხიფათი იყო მოსალოდნელი: მოკლულის ციხე ხომ იქვე იდგა. გზა განაგრძო და ღმერთს მადლობა უძღვნა, რომ ასეთ საფრთხეს გადაარჩინა.

### თ ა ვ ი მ მ ჩ ვ ი ღ მ ე ბ ა

როგორ დამწია სერ ლანსელოტი რაინდს, რომელიც თავის ცოლს მოსაკლავად მისდევდა, და რა უთხრა იმ ქაცვას

უვალი გზებითა და გაუკვალავი ბილიკებით ვიდოდა ფათერაკებან მათი-ებელა რაინდი. ბევრი გორაკი გადაიარა და ბევრი ხეობა დალაშქრა. ერთგან ვილაც რაინდს გადააწყდა, იგი ხმალამოდებული მისდევდა ქალს მოსაკლავად. ბედზე ქალმა ლანსელოტი შეამჩნია და დაუწყო ძაბილი, მიშველეო.

ლანსელოტმა დაინახა, რაღაც ავი, ბორბოტი საქმე ხდებოდა, ცხენი მათ შორის შეაყენა და რაინდს მიმართა:

— რაინდო, სირცხვილი შენი, რისთვისა კლავ ამ მანდილოსანს? ეს მარტო შენი სირცხვილი და თავის მოჭრა კი არა, მთელი რაინდებისათვის თავსლაფის დასხმა იქნება.

— აბა, რა შენი საქმეა, ჩემსა და ჩემს ცოლს შორის რომ დგები? გადამიწყვეტია მისი მოკვლა და მოკვლავ კიდევ, შენ ვინა ხარ, რომ მოგერიდო.

— არა და არა, — უთხრა ლანსელოტმა. — მაშინ ჩემთან შებრძოლება მოგიწევს.



— სერ ლანსელოტი, — ეუბნება რაინდი, — ვფიცავ, ურთავ, საქმეს ესარჩლები. ეს ქალი მოლაღატეა.

— არ არის ეგ მართალი! — შეტკივლა ქალმა, — ვფიცავ ყოველივე წმინდას, ცილი დამწამა! უბრალოდ ნათესაური საყვარელია მისი, ალერსით ვხვდებოდი ჩემს ბიძაშვილს, ქმარმა კი იეჭვიანა. ღმერთმა უწყის, ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. ო, სერ! შენ ხომ ქვეყნად ყველაზე უბატოსნეს რაინდად ითვლები, იმ შენს რაინდულ პატიოსნებას გაფიცებ, დამიცავი, ამ კაცმა რაც უნდა გითხრათ, არ დაუჯეროთ, თორემ უსათუოდ მომკლავს, რადგან დაუნდობელი და უღმობელია.

— ნუ გეშინიათ, ამის ნებას არ მივცემ.

— სერ, რაკი თქვენ აქა ხართ, ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანებთ. — უთხრა რაინდმა.

ისინი გზას დაადგნენ. ლანსელოტი შუაზე ედგათ. დიდხანს არ უვლიათ. რაინდმა უცებ თქვა:

— მობრუნდით, სერ ლანსელოტი. უკან შეიარაღებული ხალხი მოგედევს.

სერ ლანსელოტი უცებ შებრუნდა, მართალი ეგონა. რაინდი კი იმავე წამს თავის ცოლთან გაჩნდა და ერთი მოქნევით თავი წაჰკვეთა.

როგორც კი ეს საქციელი დაინახა, ლანსელოტმა შეტყვირა:

— მუხთალო! შენ სამუდამოდ მომჭერი თავი!

სერ ლანსელოტი ცხენიდან გადმოხტა, ხმალი იშიშელა და რაინდის მოკვლა დააპირა, ის კი ძირს დავარდა, ფეხებზე მოეხვია და შეწყალება შესთხოვა.

— სირცხვილი შენი! — შესძახა ლანსელოტმა, — შე სინდისგარეცხილო, შენ შებრალების რა ღირსი ხარ, ადექი და შემებრძოლე!

— არა, არ ავდგები, ვიდრე არ შემიწყალებთ.

— მაშინ პატიოსნად ვილაპარაკოთ: მე აბჯარს გავიხდი, მხოლოდ შიშველ შალს დავიცავებ და, თუ მძლიე, დანაშაულს გამოისყიდო.

— არა, სერ, ამას არ ვიზამ!

— მაშ აიღე ამ ქალის მოკვეთილი თავი და სხეული, ზურგზე აიკიდე, და ხმალზე შემომფიცე, რომ არ შეისვენებ და დაბლა არ დადებ ტვირთს, ვიდრე ჩემი დედოფალს გვინივერას არ წარუდგები.

— სერ, გეფიცები სულსა და სხეულს, ავასრულებ.

— რა გქვია?

— ჩემი სახელია სერ პედივერი.

— სამარცხვინო საათს შობილხარ დედამიწაზე!

წავიდა თავისი ტვირთით დამძიმებული სერ პედივერი, იარა და უინჩესტერში ჩავიდა. იგი ართურ მეფესა და დედოფალ გვინივერას წარუდგა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— სერ რაინდო, — უთხრა დედოფალმა, — საშინელი და სამარცხვინო საქციელი ჩავიდენიათ. ეგ ამბავი სერ ლანსელოტის შეურაცხყოფაცაა, თუმცა მისი სახელი ქვეყნიდან ქვეყნად გაჰქუხს, აი, რა სასჯელს გადაგიწყვეტ დანაშაულის გამოსასყიდად: საკაცე გააკეთეთ და ეს მკვდარი ქალი რომის პაპს წაუღეთ, ის დაგადებთ საკანონოს თქვენი შავი საქმისათვის. სადაც მი-



ავალით, ერთ ლამეზე მეტი არ გაათიოთ და, სადაც დაიძინოთ, გვერდით ცოლის ნეშტი დაიწვინეთ.

რაინდმა ფიცი მისცა, ყოველივეს აღვასრულებო, და გზას გავუდგა, როცა რომის პაპს წარუდგა, როგორც ფრანგული წიგნი მოგვითხრობს. პაპმა უბრაძანა, ისევ დედოფალ გვინივერას ეახლეო. მისი ცოლი რომელიღაც ქალი იყო, თვითონ სერ პედივერი კი იმ დღიდან კეთილ გზას დაადგა, განდევნილი და წმინდა კაცი შეიქნა.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ბ ა

როგორ ჩავიდა ანთროპოლოგის კარზე სერ ლანსელოტი და როგორ ვახდა ის ცნობილი ყველა მისი საბჭირო საქმე

ახლა ისევ სერ ლანსელოტის ამბავს განვაგრძობთ. ორმოცდაათთა დღესასწაულამდე ორი დღით ადრე ახლა იგი ართურ მეფეს და მთელმა სასახლემ ვაიხარა მისი მშვიდობით დაბრუნებით. ხოლო როცა სერ გავეინმა, სერ ივეინმა, სერ საგრამურმა და სერ ექტორ მენაპირემ სერ ლანსელოტი სერ კეის აბჯრით მოსილი დაინახეს. უკვე ექვციც აღარ შეეპარათ, რომ ოთხივენი მან დასცა ერთი შუბით. ამაზე სასახლეში დიდი სიცილი და მზიარულება იყო. ამასობაში დაიწყეს დენა სერ ტარქვინის ტყვეებმა და ყველას ქებით ცაში აპყავდა სერ ლანსელოტი. სერ გაპერისმა მისი ხმა გაიგონა და თქვა:

— მე ვნახე მთელი ბრძოლა თავიდან ბოლომდე.

იქვე მოუთხრო ართურ მეფეს, როგორ მოხდა ყველაფერი და დასძინა, რომ ტარქვინი იყო რაინდთა შორის უძლიერესი. ისეთი ძალის პატრონი რაინდი, სერ ლანსელოტის გამოკლებით, არც შემხვედრია და არც მსმენიაო. ყველამ იგივე დაადასტურა. სულ სამოცი რაინდი ჩამოვიდა.

სერ კეიმაც მოუთხრო მეფეს, როგორ იხსნა ლანსელოტმა დალუპვისაგან.

— შერე კი, იესოს ვფიცავ. — თქვა სერ კეიმ, — ჩემი აბჯარი ჩაიცვა, თავისი კი მე დამიტოვა და მეც არხეინად ვმოგზაურობდი, რადგან ჩემთან შებმის მსურველი არავინ გამოჩენილაო.

შემდეგ მოვიდა ის სამი რაინდი, ლანსელოტს რომ ებრძოდა გრძელ ხიდზე და სამივემ თავი სერ კეის ტყვეებად გამოაცხადა. მაგრამ სერ კეიმ უარი თქვა ასეთ პატივზე: არც მიბრძოლია და არც საღმე მინახავსო ეს კაცები.

— მაგრამ მე დაგამშვიდებთ, — თქვა ბოლოს, — ეგერ არის სერ ლანსელოტი, აი, ვინ დაგამარცხათ.

ეს რომ გაიგეს, რაინდებმა გულით გაიხარეს.

ახლა სერ მელოტიც დაბრუნდა შინ და სერ კეის და მეფეს უამბო, როგორ იხსნა ლანსელოტმა სიკვდილიაგან. სასახლეში ყველა მისი საბჭირო საქმე გახმაურდა. ისიც შეიტყეს, როგორ დაატყვევეს სერ ლანსელოტი ჯადოქარმა დედოფლებმა და როგორ იხსნა იგი მეფე ბაგდემაგუსის ასულმა.

სასახლეში ცნობილი გახდა ის გმირობაც, ორი მეფის — ჩრდილოეთ უელსისა და ბაგდემაგუსის დიდ ტურნირზე რომ მოახდინა ლანსელოტმა. მთელი სიმაართლე გაიგეს სერ გაპალანტინის, სერ მადორ დე პორტეს და სერ მორდრედის მონაყოლიდან, რომელნიც იმ ტურნირში მ წილეობდნენ.



ბოლოს გამოჩნდა ის ქალიც, რომელმაც სერ ლანსელოტი კარგეთან იცნო. როდესაც მისი საყვარელი სერ ბელეუსი დაჭრა, სერ ლანსელოტის შუამდგომლობით სერ ბელეუსი მრგვალი მაგიდის რაინდი გახდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, სერ ლანსელოტის სახელი იმეორეს უსწუქუხდა, როგორც არც ერთი სხვა რაინდისა, და პატივსა სცემდა ღმერთს მსგავსად. აქ თავდება სერ ლანსელოტ ტბელის საბელოვანი ამბავი.

### ამბავი სერ ბარათ მრკაველის, მატსახელად ბიუზეინისა

## VII

### თავი პირველი

როგორ ესტუმრა ართურ მეფეს ბიუზეინი და სთხოვა სამი სურვილის ასრულება

როცა მრგვალი მაგიდა მთლიანად შეივსო, ართურმა ბრძანა მეერგასე დღის დღესასწაული გადაეხადათ ქალაქსა და შიდა ციხეში, რომლის სახელიც იმ დროს იყო კინკე-კინადონი. ის ციხე-ქალაქი უელსის საზღვრის ქვიშიან ადგილზე იყო აღმართული. მეფეს ჩვეულებად ჰქონდა, რომ მთელი წლის განმავლობაში, ამ ერთადერთ დიდ დღესასწაულზე, მთელი დღე სუფრას არ გაჰკარებოდა, ვიდრე არ მოხდებოდა რამე სასწაული, ან არ მოისმენდა მომხდარ სასწაულზე მონათხრობ ამბავს. ამ ჩვეულების მიზეზით ყოველნაირი ამბავი პირველად ართურთან მიჰქონდათ და ყველაზე მეტად მეერგასე დღის დღესასწაულზე ცდილობდნენ მეფე ესიამოვნებინათ. აი, ამ დღეობაზეც სადილობის წინ გავეინმა ფანჯრიდან დაინახა სამი მხედარი, რომელთაც უკან ერთი ჭუჭია ფეხით მოჰყვებოდათ. როს სამივე დაქვეითდა, ართურმა დაინახა, ერთი მათგანი ორ დანარჩენს ერთ-ნახევარი ფუტით აღემატებოდა. მაშინ სერ გავეინი წავიდა და ართურს მიმართა:

— სერ, მიბრძანდით, სუფრას მიუჯექით, რადგან სასწაული უკვე ჰიშვართანაა.

მეფე სავსე სუფრას მიუჯდა, სხვა მეფეებიც მასთან ერთად ნადიმობდნენ. მრგვალი მაგიდის ყველა რაინდიც იქ იყო, ტყვეთა და დაღუპულთა გარდა. მრგვალ მაგიდასთან რომ ცარიელი ადგილი არ ყოფილიყო, ამ დიდ დღესასწაულზე რაინდთა რიცხვი კვლავ ას ორმოცდაათამდე გაზარდეს. უცებ დარბაზში შემოვიდა ორი მდიდრულად მორთულ-მოკაზმული კაცი, რომელთაც მხრებზე ეყრდნობოდა ვიღაც ახალგაზრდა, რომლის შესადარიც სილამაზითა და ტანადობით არავის ენახა. იგი მაღალი იყო და ჭანმაგარი, მხარბეჭვანიერი, სახით მომხიბლავი და ხელებიც ისეთი ლამაზი ჰქონდა, უკეთესს ვერას ინატრიდით. მაგრამ იმ ორს ისე ეყრდნობოდა, თითქოს ზედ ეკიდა და თავისით გავლა არ შეეძლო. როგორც კი მათ მეფემ თვალი მოჰკრა, დარბაზში მყოფნი დადუმდნენ და ყველამ კრძალვით გაუშვა ისინი სამეფო ამაღლებული ადგილისაკენ. სამივემ ისე გაიარა, კრინტი არ დაუძრავთ.

უცებ ის ახალგაზრდა იმ ორს გამოეყო, ნაბიჯი უკან გადადგა, გასწორდა და თქვა:

— ო, მეფეთა შორის უკეთილშობილესო ართურ მეფეო! ღმერთმა და-



გლოცოთ თქვენა და თქვენი სახელოვანი თანამებრძოლნი, მრგვალი მეგიდის რაინდებს ცალკე გამოვყოფ და ასგზის ვლოცავ. მოვსულვარ, რათა წყალობა გთხოვოთ. სამი სათხოვარი მაქვს და ისეთს არაფერს ვითხოვ, რისი შესრულებაც არ შეგეძლებათ, ან რაც შელახავს თქვენს მეფურ ღირსებასა და ზიანს მოგაყენებთ ჩემი სურვილებით. პირველ წესდებოდა გთხოვოთ. მეორეს და მესამეს კი ზუსტად ერთი წლის შემდეგ, სადაც არ უნდა იყოთ, ამავე დღესასწაულზე.

— ითხოვეთ, და ყველაფერს მიიღებთ, — მიუგო ართურ მეფემ.

— სერ, აი, ჩემი სურვილი სულიწმიდის მოსვლის დიდი დღესასწაულზე: მთელი წლის განმავლობაში მაჭამეთ და მასვით მაძღროსად. შემდეგ კი მერგასე დღეს დანარჩენ ორ სურვილს მოგახსენებთ.

— შეილო ჩემო, — უთხრა მეფე ართურმა. — ითხოვე რამე ღირებულს, ასეთია ჩემი რჩევა, რადგან შენი თხოვნა თხოვნად არა ღირს. გული მეუბნება, წარჩინებული გვარისა უნდა იყო, ან ძლიერ ვცდები, ან იქნებ მერმე და მერმე გამოიჩინო თავი და სასახელო კაცი გახდეს, ეს არ ვიცი.

— სერ, — მიუგო ჰაბუკმა, — ეს როგორც იქნება, მერე გამოჩნდება, ახლა კი გთხოვეთ ის, რაც შესაჭიროება.

— რა გავწყობა, საკმელ-სასმელი აქ არ დაგაკლდება, მე მტერსაც ვაჭმევ და მეგობარსაც. მაგრამ სახელი წითხარი შენი.

— სერ, სახელს ვერ მოგახსენებთ.

— სასწაულია, — თქვა მეფემ, — კაცმა რომ თავისი სახელი არ იცოდეს, არადა შენისთანა მზექაბუკს პირველად ვხედავ.

მეფემ მისი თავი სერ კეი-სენეშალს ჩააბარა და უბრძანა, რჩეული სასმელ-საკმელი არ დააკლდეს, ისე უმასპინძლეთ, თითქოს ლორდის შვილი იყოსო.

— ესლა გვაკლდა, ახლა ამ მუქთახორას უნდა ვატენოთ სასმელ-საკმელი უსარგებლოდ. — თქვა თავისთვის სერ კეიმ. — აი, ნახავთ, ვინმე უბირი იქნება და მისგან რაინდი არ დადგება. ლორდი რომ ყოფილიყო, ცხენსა და ხმალს ითხოვდა, მაგრამ როგორც თვითონაა, თხოვნაც ისეთი მოგვახსენა. რაკი სახელი არა აქვს, მე მოვნათლავ: იყოს ბიუმეინი, რაც ნიშნავს „მშვენიერ ხელებიანს“. მე მას სამზარეულოში გავამწყესებ. იყოს იქ, ჰამოს ყოველდღე მსუქანი კერძები და თორმეტი თვე რომ მიიწურება, დაკოდილი ტახვიით იქნება გასუქებული.

თ ა ვ ი მ ე რ ა მ

როგორ გაბრაზდნენ სერ ლანსელოტი და სერ გავეინი იმის გამო, რომ სერ აბი ბიუმეინს დასცინოდა და როგორ ეძიებოდა ერთი მანდილოსანი რაინდს, რათა კალისათვის ორთაგანოლაში გასულიყო

ბიუმეინის მზღებლები მაშინვე წავიდნენ. ჰაბუკი ჩააბარეს სერ კეის, რომელიც ყოველნაირად დასცინოდა და აბუჩად იგდებდა სტუმარს. ამისათვის სერ კეის ჯერ სერ გავეინი გაუჯავრდა. კიდევ უფრო გაუწყრა სერ ლანსელოტი, რომელმაც სერ კეის უბრძანა, ნულარ დასცინო.

— აცალე, თავს დავდებ, თუ ეს ყმაწვილი სახელოვანი კაცი არ დადგეს.



— ვნახავთ, — მიუგო სერ კეიმ. — მე კი შეეჭვება, რადგან როგორცაა, ისეთი სათხოვარი ჰქონდა.

— ნახეთ, — უთხრა სერ ლანსელოტმა. — აი, თქვენ <sup>რომ საჩუქრის რა-</sup> ინდს ბრიუნორ დინადანის ძმახაც „კონკია“ უწოდეთ, მაგრამ თვითონვე შეი-  
ნანეთ.

— თქ, იმ მაგალითით ამ ამბავს ვერ გაამართლებთ. <sup>სერ ბრიუნორი ყო-</sup> ველთვის სახელ-დიდებაზე ოცნებობდა, ეს კი მხოლოდ პურსა და სასმელზე ფიქრობს, ჭამა-სმა რა ვაფაცობაა: სანადლეოს დავდებ, სადმე მონასტერში იქნება აღზრდილი, სადაც საკმაო სმა და ჭამა არასოდეს ღირსებია, დაჰკრა ფეხი და აქ მობრძანდა, რომ კარგად გამოძღეს.

ამის შემდეგ სერ კეიმ უბრძანა, სუფრასთან ადგილი მონახე და ჭამეო; ბიუმეინ-მშვენიერბელებიანი დარბაზის ბოლოში წავიდა, ბავშვებსა და მსახურებს შორის ჩაჯდა და დაღვრემილმა დაიწყო ჭამა. სერ ლანსელოტმა სადილის შემდეგ თავის სამყოფელში გადაიპატიჟა, სუფრა გაუშალა და კარგად გაუმასპინძლდა. სერ გავეინმაც სთხოვა, სტუმრად მეწვიეო, მაგრამ არ წავიდა. მხოლოდ იმას აკეთებდა, რასაც სერ კეი უბრძანებდა.

რაც შეეხება სერ გავეინს, ცუდ-უბრალოდ როდი ირჩებოდა, რადგან ჭაბუკი სისხლით ნათესავად მოხვდებოდა, თუმცა თვითონ ეს არ იცოდა. სერ ლანსელოტს კი მხოლოდ კეთილი გული და დიდი ადამიანობა კარნახობდა, რომ უცხო ჭაბუკისათვის ხელი გაემართა.

ახალგაზრდა კაცი სამზარეულოში გაგზავნეს და იქ ხშირად მსახურ გლებთან იწვა. ასე გაატარა წელიწადი და კაცი ნაწყენი არა ჰყავდა, არც დიდი, არც პატარა, ისე მორიდებულად და მორჩილად ეჭირა თავი. მაგრამ ყოველთვის, როცა რაინდები ასპარეზობას მართავდნენ, თუ შეეძლო, უეჭველად წავიდოდა და ორთაბრძოლას თვალს ადევნებდა. სერ ლანსელოტი ოქროს აძლევდა ხოლმე სახარჯოდ, ბევრჯერ სამოსიც უჩუქნია ასევე იტყუოდა სერ გავეინი. ბიუმეინი ყოველ შეჯიბრზე და თამაშზე გამოცხადდებოდა ხოლმე და ქვებსა და მორებს ამ საქმეში დახელოვნებულ თავის მეტოქეებზე ორი იარდით უფრო შორს ისროდა. სერ კეი მაშინ იტყუოდა ხოლმე:

— აბა, როგორაა ჩემი სამზარეულოს გლები?

ასე ვიდოდა ქამი და დადგა ისევ სამება, ართურ მეფემ დღესასწაული კარლიონში გადაიხადა, ისეთი მდიდრული დღესასწაული, როგორც სამებობა იყო, სხვაგან არსად არ ტარდებოდა. მხოლოდ ართურს ჰქონდა დაწესებული წელიწადში ერთხელ მისი გადახდა. მეფე ამჯერადაც ფეხზე იდგა და ახალი სასწაულის პოლოდინში არ ჯდებოდა.

ამ დროს მიიღობინა მეფესთან პაემა და შეჰკადრა:

— სერ, შეგიძლიათ სუფრასთან დაბრძანდეთ. აქეთ ვილაც საოცარი ქალწული მოდის და უსათუოდ საგულისხმო რამეს იტყვის.

მეფეს გაუხარდა და სუფრას მიუჯდა.

მალე დარბაზში ის ქალწული შემოვიდა, მეფეს თავი დაუკრა და საქმეში შეწევნა და ქომავლობა სთხოვა.

— რისთვის გამოგესარჩლო? — ჰკითხა მეფემ. — გამაგებინეთ, რა შეგემთხვათ?

— სერ, — მიუგო ქალმა, ერთი და მყავს, უკეთილშობილესი ადამიანია, ტირანი ტანჯავს. ციხიდან შიშით ფეხი ვერ გამოუდგამს. გავიგე, რომ



ქვეყნიერების რჩეულ რაინდებს თქვენთან მოუყრიათ თავი. თხოვნით მოგ-  
მართავთ და შევლასა გთხოვთ.

— რა ჰქვია იმ ქალს? სად ცხოვრობს? ვინაა მისი დამჩაფრებული კისა  
შიშითაც კარში ვერ გამოდის?

— სერ. — მიუგო ქალწულმა. — იმ ქალის სახელს ჯერ ვერ ვიცი. მხოლოდ  
გეტყვით მხოლოდ იმას, რომ უკეთილშობილესი ქალია და დიდძალი მრწის  
მფლობელია. რაც შეეხება ტირანს, რომელიც მის ციხეს შემოსდგომია და  
მის მიწა-წყალს აოხრებს, მისი სახელია წითელი მინდვრის წითელი რაინდი.

— მე ასეთი არავინ ვიცი. — თქვა მეფემ.

— სერ, — უთხრა სერ გავეინმა. — მე იმას კარგად ვიცნობ. რადგან  
ქვეყნიერების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრისხანე რაინდი გახლავთ. ამბო-  
ბენ, შვიდი მამაკაცის ღონე აქვსო და მე თვითონ ერთხელ კინალამ მისი  
მსხვერპლი შევიქენი.

— კეთილო ქალიშვილო, — უთხრა მამინ მეფემ მავედრებელს. — აქ  
ბევრ რაინდს აწადია მოგეშველოთ და თქვენი და იხსნას განსაცდელისაგან.  
მაგრამ რაკი თქვენი დის სახელს არ გვეუბნებით და არც იმას გვიმხელთ, სად  
ცხოვრობს იგი, არც ერთი რაინდი არ წამოგყვებათ. ასეთია ჩემი ნება.

— რა გაეწყობა, ჩანს. დახმარებისათვის სხვა ვინმეს უნდა მივმართო.

### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ა

როგორ ისურვა გიუმეინმა ორთაბრძოლაში ზასვლა, როგორ შემსრულეს სურვილი  
და როგორ ითხოვა, რომ ზამოლის წინ რაინდად სერ ლანსელოტს  
დაურთხებინა

ქალი ჯერ არ იყო სასახლიდან გასული, რომ მეფეს ბიუმეინ-მშვენიერ-  
ბელებიანი ეახლა და უთხრა:

— ო, მეფეო, დიდ მადლობას მოგახსენებთ. უკვე თორმეტი თვეა, რაც  
თქვენს სამზარეულოში ვარ და ჩინებულად ვიკვებები. ახლა კი ვითხოვ ორი  
დანარჩენი სურვილის შესრულებას. თქვენ ხომ დამპირდით?

— სწორია, მეფური სიტყვით სამი სურვილის შესრულება აღგიტკვი.

— სერ, მეორე ჩემი სურვილი ასეთია: დამავალეთ ის საგმირო საქმე,  
რასაც ეს ქალიშვილი ითხოვს. მე მაქვს ამისი უფლება.

— ნება დამირთავს.

— ახლა მესამე სურვილი: რაინდად მაკურთხოს სერ ლანსელოტმა. რად-  
გან სხვისგან კურთხევას არ მივიღებ. როცა ამ სახლიდან გავალ და იმ ქალ-  
წულს გავყვები, ლანსელოტიც წამოვიდეს და რაინდად მაკურთხოს მამინ, რო-  
ცა მე ვისურვებ.

— ესეც აღსრულდება, — უთხრა მეფემ.

— ვაგლახ შენს საქმეს, მეფეო, — შეიცხადა ქალიშვილმა. — ნუთუ სამ-  
ზარეულოს ერთი გლებუქის მეტი ვერავინ გამოგიყოლებია ჩემთვის?

ქალწული გაწიწმატებული წავიდა, ცხენს მოახტა და გააქენა, მაგრამ ამ  
დროს ბიუმეინ-მშვენიერბელებიანთან კაცი მივიდა და უთხრა, ჭუჭამ უკვე მო-  
ვიტანა ცხენით აბჯარი, იარაღი და მდიდრული შესამოსელიო. მთელი სასახლე  
გაკვირვებული დარჩა, საიდან მოვიდაო ეს ყველაფერი? ხოლო როცა რაინ-



დული სამოსითა და აბჯარმოსილი გამოჩნდა, ქვეყნად ბევრი ვენმე არ იყო მასავით ლამაზი და წარმოადეგი.

ის კი დინჯად შევიდა დარბაზში, გამოემშვიდობა მეფეს, სერ გავეინს, სერ ლანსელოტს კი სთხოვა, დაუყოვნებლივ გამომყევით. მეტყვესაჲსაჲსა სასახლიდან ჰაიპარად გავიდა, ცხენს მოახტა და ქალიშვილს დაუდევნა. ყველა გარეთ გამოეფინა: ვნახოთ, როგორ გაემგზავრებაო. გამოჯეკილი მხედარივით იჯდა სანაქებო ცხენზე, მხარზე ოქროქსოვილის მოსასხამი უფრიალებდა, ისე შვენოდა. ერთ ნახვად ღირდა, მაგრამ არც შუბი ჰქონდა, არც ფარი.

თ ა ვ ი მ ა ო თ ხ ა

როგორ გაიმგზავრა ბიუმეინი, როგორ წაართვა შუბი და ფარი სერ კეის და როგორ აბრძოდა სერ ლანსელოტს

სერ კეიმ ხმამალლა შესძახა:

— ერთი მივიდე ჩემი სამზარეულოს გლენტან და ვნახო, მიცნობს თავის ბატონს თუ ვერაო.

— არა ხართ საჭირო, შინ დარჩით. — ურჩიეს სერ ლანსელოტმა და გავეინმა. მაგრამ სერ კეიმ არ დაიშალა, შეიარაღდა და გზას გაუდგა. ის იყო მშვენიერხელებიანი უცხო ქალიშვილს წამოეწია, რომ კეიც მიეახლათ და მიაცხადა:

— ჰეი, მშვენიერხელებიანო! ან იქნებ, სერ, ველარა მცნობ?

ჭაბუკმა ცხენი მოაბრუნა, რალა თქმა უნდა, მაშინვე იცნო სერ კეი, რომელიც სულ დასცინოდა და უთხრა:

— როგორ არა, ჩინებულად გიცნობთ: თქვენ სულმდაბალი კარისკაცი ხართ და უღირსი რაინდი. ამიტომ მიფრთხილდით!

მაშინ სერ კეიმ თავისი შუბი მყისვე მიაბჯინა უნაგირის საყრდენს და პირდაპირ მისკენ გაექანა, რომ განეგმირა.

მშვენიერხელებიანმა ბიუმეინმა ხმალი იშიშვლა, სერ კეის შუბი დააგლებინა, მერე გვერდში დაჭრა, ასე რომ, სერ კეი ცხენიდან მკვდარივით გადაეშვა, მშვენიერხელებიანი კი დაქვეითდა, დაჭრილს ფარი და შუბი აართვა. ისევ ამხედრდა და თავის გზას გაუდგა.

ყველაფერი ეს ნახეს სერ ლანსელოტმაც და ქალიშვილმაც. მხედარმა თავის ჯუჯას უბრძანა, კეის ცხენზე შეჯექით, ჯუჯა დაემორჩილა. სერ კეის ცხენს მოახტა და ბიუმეინს უკან გამოედევნა. მალე დაწინაურებულთ სერ ლანსელოტიც წამოეწია და კეის დამმარცხებელმა ორთაბრძოლაში თვითონ ლანსელოტი გამოიწვია. პირისპირ დადგნენ, შუბები მოიმარჯვეს და ბედაურებს სადავეები მიუშვეს, ერთმანეთს შუბები ზედ შეაღწეეს, ორივე ძირს დავარდა, ორივე დაშავდა. სერ ლანსელოტი ჭაბუკს მიეშველა, ავეჯანდებიდან თავის დახსნაში. მშვენიერხელებიანმა კი ფარი გადააგდო და ხელჩართული ბრძოლა მოითხოვა.

ორივენი მძვინვარე ტახტებით ეკვეთნენ ერთმანეთს, ურტყამდნენ, სერავდნენ, კუიქცეოდნენ, უტევდნენ, გარს უვლიდნენ, აწვებოდნენ და ასე გაგრძელდა მთელი საათი. ხედავს ლანსელოტი, რა ღონის პატრონიცაა ბიუმეინი და გაოცებულია, რადგან იბრძვის არა როგორც რაინდი, არამედ როგორც



ბუმბერაზი, ბრძოლაში მარდია და მრისხანე. იოლი არ იყო მასთან ბრძოლა. გაუჭირდა ლანსელოტს და სირცხვილს მოლაპარაკება ამჯობინა:

— მშვენიერხელებიანო, ნუ იბრძვი ასე გააფთრებით! ჩვენ არა გვბქვს პრძოლის საბაბი, შეგვიძლია დავასრულოთ.

— ჭეშმარიტად, ეს მართალია, — მიუგო ჭაბუკმა, — უბრალოდ მსიგმრე-ნებს ძალას რომ ვგრძნობ, მაგრამ მე ხომ, ბატონო ჩემო, მთელი ძალით კიდევ არ ვიბრძოდი!

### თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

როგორ გაანდო ბიუმბერაზი სერ ლანსელოტს თავისი სახელი, როგორ ააურობა რაინდად სერ ლანსელოტმა და დაეწია ძალიწვილს

— ღვთის გულისათვის, — თქვა სერ ლანსელოტმა, — სულსა და ხორცს გეფიცები, დიდი გასაჭირი დამადგა და მცირე ჯაფა არ გამიწევია, რომ შენგან სირცხვილი არ მექამა. ამიტომ იცოდე, რომ დედამიწაზე არც ერთი რაინდისა არ უნდა გეშინოდეს.

— თქვენ ფიქრობთ, რომ შემოძლია ოდესმე ნამდვილი რაინდი გავხდე?

— ყოველთვის ისე იბრძოლე, როგორც ახლა მებრძოდი, — მიუგო ლანსელოტმა, — და შენი ჭეშმარიტი რაინდობის თავდები მე ვიქნები.

— თქვენს საფიცარს გაფიცებთ, სერ. მაკურთხეთ რაინდთა ორდენის წევრად.

— სერ, ამისათვის საჭიროა მითხრათ თქვენი ნამდვილი სახელი და ჩამომავლობა. ვისი გვარ-გუჯაბისა ხართ.

— სერ, თუ არ გამცემთ, სახელს გეტყვით.

— ვფიცავ, სერ, საიდუმლოს შეგინახავთ. ვიდრე თვითონ არ ისურვებთ მის გამხელას.

— ჩემი სახელია გარეთი. სერ გავეინის ღვიძლი ძმა ვარ.

— აჰ, სერ, ახლა კიდევ უფრო მომწონხართ. სულ ასე ვფიქრობდი, რომ კეთილშობილთაგანი ხართ და სასახლეში საჭმელ-სასმელისათვის არ მოსულხართ.

სერ ლანსელოტმა მაშინვე რაინდთა ორდენის წევრად აკურთხა. მერმე კი გარეთმა სთხოვა ლანსელოტს, ჩამომცილდიო. მარტოს უნდოდა დასწეოდა ქალიშვილს, და მოსარჩლედ და ქომაგადაც მარტო ყოფილიყო.

სერ ლანსელოტმა ცხენი უკან გააჭროლა, იქვე დაბრუნდა, სადაც სერ კეი ეგდო, იზრუნა იმისათვის, რომ დაჭრილი სერ კეი ფარზე დაესვენებინათ და შინ მიეყვანათ, სადაც ძლივს გადაარჩინეს სასიკვდილოდ განგმირული. ყველა მას დასცინოდა, ყველაზე მეტად კი სერ გავეინი. ლანსელოტიც ეუბნებოდა, ახლა ხომ მაინც მიხვდი, რომ კარგი არ არისო სასახლის კარზე მოსული ახალგაზრდების დაცივნა.

— ჩვენ ხომ გულთმისნები არა ვართ, ვიცოდეთ, რა გვარისანი არიან და რა მოსაზრებით მოდიან სასახლეში.

ახლა კი სერ კეის ამბებს თავი ვანებოთ და ბიუმბერაზ-მშვენიერხელებიანს მივუბრუნდეთ.

აი, უკვე დაეწია ქალიშვილს, ის კი ეუბნება:

— შენ აქ რა გინდა? ერთ მილზე იგრძნობა შენგან მონადენი სამზარეუ-



ლოს სურნელი, ტანზეც ჩამოთხვრილ-გაქონილ-გაზიბული სამოსი ვაცვია. როგორა გგონია, შენ თავს გაგიყადრებ და ჩემს დასახმარებლად წავიყვან, იმისათვის, რომ რაინდი მოკალი? იმედი გადაწურული გქონდეს. შენ ხომ ის შემთხვევითა და ლაჩრული მზაკვრობით მოკალი. ამიტომ გეჭოქუნე მოუბრუნო ცხენი და აქედან გამეცალო, სამზარეულოს ტურტლიანოს ცდუნებით მოვუბრუნო ვიცი. ვინცა ბრძანდები: სერ კეი ხომ მშვენიერხელებიანს გეძახდა, მხოლოდ მოუქნელი აყლაყუდა ხარ, შამფურების დამტრიალებელი და ჩამჩების მრეცხავი.

— კეთილშობილო ქალწულო, — მიუგო ჭაბუკმა, — რაც გენებოთ, ის ილაპარაკეთ, სულ ერთია, არ გაგეცლებით, რადგან მეფე ართურმა დამავალა ამ გმირობის აღსრულება და მეფურ დავალებას ან აღვასრულებ, ან დავიღუპები.

— ფუი შენა, მართლაც სამზარეულოს გლახუკავ! ამ ფათერაკის აღსრულებას ქეშმარიტი რაინდის შემართება სჭირდება. აი, მალე შეხვდები ისეთ რაინდს, რომელსაც თვალს ვერ გაუხსწორებ და, რაც მეფე ართურთან გისვამს და გიჭამია, ძმრად წამოგედინება.

— ჰო, ეს ვნახოთ, როგორ გამოვა.

აი, მიდიან ტყეში და უეცრად ტყის სიღრმიდან დაფეთებული კაცი გამოვარდა.

— საით გარბიხარ? — ჰკითხა მშვენიერხელებიანმა.

— აჰ, ბატონო, — მიუგო, — მიშველეთ! აქვე მახლობლად, მოლზე ექვსმა ავაზაკმა ჩემი ბატონი შეიპყრო, მაგრად შეკრეს, შებოჭეს და მეშინია, ვაითუ მოკლეს კიდევაც!

— წამიყვანე იქით, — უბრძანა ბიუმეინმა.

წავიდნენ და ნახეს, მოლზე შებოჭილი რაინდი გდია. მშვენიერხელებიანმა ცხენი ჩიქურ მიაგდო ავაზაკებზე, ერთი პირველივე დარტყმით მოკლა, მეორეც ზედ მიაყოლა, მესამეც მესამე დარტყმით გააცივა. დარჩენილმა სამმა მოკურცხლა. ბიუმეინი დაედევნა, დაეწია. ისინიც მოუბრუნდნენ და დაუშინეს, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლეს, სამივე დაჩეხა და უკან გამობრუნდა, რომ შებოჭილი რაინდი გაეთავისუფლებინა. თოკები რომ შემოხსნეს, რაინდი მადლობის თქმას ვერ აუდიოდა, თავის ციხეში ეპატიებოდა: აქვე მახლობლად არისო, ღირსეულად დასაჩუქრება მინდაო ჩემი გადარჩენისათვის.

— სერ, — მიუგო მშვენიერხელებიანმა, — საჩუქრებს არ ვსაჭიროებ. მხოლოდ დღეს ველირსე რაინდად ხელდასხმას სერ ლანსელოტის ხელით და სხვა საჩუქარი აღარ მინდა, უფლის წყალობის გარდა. გარდა ამისა, ამ ქალიშვილს უნდა გავყვე.

ქალიშვილმა კი, მოუახლოვდა თუ არა, კვლავ ის უთბრა, აქედან დამეკარგეო:

— სამზარეულოს სუნი გდის! ხომ არა გგონია, რაც გააკეთე, იმის გამო შენს გვერდით ყოფნა სასიხარულოდ მიჩნდეს? რაღაც კვიმატი შემთხვევა მოგეცა, თორემ ნახავ ნამდვილ ფათერაკს, შიშისაგან ცხენს მოაბრუნებ და წამსაც არ დააყოვნებ, ისე მოკურცხლავ.

გადარჩენილი რაინდი ახლა ქალიშვილთან მივიდა და სთხოვა, ეს ერთი ღამე ჩემსას გაათიეთო. მართლაც, ღამდებოდა, ამიტომ ქალი დათანხმდა. რა-



ინდი სტუმრებს უხვად გაუმასპინძლდა. ვახშმად რაინდმა სერ ბიუმეინი ქალიშვილის პირისპირ დასვა.

— ფუჰ, რა სირცხვილია. — ამბობს ქალიშვილი. — თქვენ ვერ უნდა იცნობთ თავაზიანი, სერ რაინდო, რომ ჩემს პირდაპირ ეს სამზარეულო მსახური დასვით. მაგას უფრო შეეფერება ღორების დაკვლა. ვიდრე ქალიშვილი ქალიშვილის პირისპირ ჯდომა.

რაინდმა ქალიშვილის სიტყვებზე დაირცხვინა, ბიუმეინი გვერდით მაგიდაზე გადასვა და მის პირდაპირ თვითონ ჩამოჯდა.

ტკბილად ივახშმეს და ტკბილადაც ეძინათ ის ღამე ასე გაატარეს.

### თ ა ვ ი მ ე ნ ა ვ ს ა

როგორ შეეგა და მოკლა ბიუმეინმა გადასასვლელთან ორი რაინდი

დილით ქალიშვილი რაინდს დაემშვიდობა, მადლობა უთხრა და გზას გაუდგა. ასე იარეს, ვიდრე უსიერ ტყეში არ შევიდნენ. შუაში დიდი ფართო მდინარე ჩამოდიოდა, მხოლოდ ერთი გადასასვლელი ფონი იყო და სწორედ იმ ადგილზე მძიმედ აღჭურვილი ორი რაინდი იდგა.

— ახლა რას იტყვი? — მიუბრუნდა ქალი ბიუმეინს. — მკლავის ღონეს გამოსცდი იმ ორ რაინდთან, თუ უკან მოძურწავ?

— არა, — მიუგო ბიუმეინმა. — უკან არ გავბრუნდები, გინდ ექვსიც იყოს! — თქვა და ცხენი წყალში შეაგდო. გაქანებულები შეხვდნენ ერთმანეთს შუა მდინარეში. დარტყმისაგან შუბები ხელებში ნაფოტებად ექცათ. მაშინ ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს დაუშინეს. ბოლოს სერ ბიუმეინმა დამხდურს თავში დაჰკრა. გაბრუებული რაინდი წყალში გადავარდა და დაიბრჩო. ბიუმეინმა გზა განაგრძო და მეორე ნაპირზე სხვა რაინდი დაესხა თავს. აქაც ჯერ შუბები შეაღწეს ერთმანეთს და მერმე ხმლები იშიშვლეს. ასე იბრძოლეს, ვიდრე ბიუმეინმა არ გაუპო მუზარადიც, თავიც და მკერდამდე არ გაჰკვეთა. შემდეგ ბიუმეინი უკან გაბრუნდა და ქალიშვილი გაიხმო.

— აფსუს! — ოხრავდა ქალწული, — ასეთი უღირსი საქმე ვაგონილა! ბრალი არ არის, რომ ასეთი უბედურება მოხდეს და სამზარეულოს გლეხმა მოკლას ორი სახელოვანი რაინდი? შენ რა გგონია, ვაჟკაცურად იბრძოდი? სულაც არა. პირველ რაინდს ცხენმა უღალატა, წაიბოროძიკა და მხედარიც მდინარეში დაიბრჩო. ეს სულაც არაა შენი დამსახურება და გამარჯვება. მეორე რაინდი კიდევ იმიტომ დამარცხდა, რომ ბედზე მის ზურგს უკან აღმოჩნდი და ზურგიდან მოკალი.

— კეთილშობილო ქალიშვილო, — მიუგო მშვენიერხელებიანმა, — რაც გენებოთ, ის ილაპარაკეთ, მაგრამ მე მხოლოდ ღმერთსა ვთხოვ შეწევნას და იმედიცა მაქვს მისი, ძლევას მომცემს მტრებზე. გარდა ამისა, ჩემთვის სულიერთია, თქვენ რას იტყვით, ოღონდ თქვენი ქალბატონი გავათავისუფლო.

— ფუი, აყროლებულო მზარეულო გლეხო! აი, დაიცადე, შეხვდები რაინდებს, დაგიმოკლებენ მაგ ენას, ბევრს რომ ტრაბახობ.

— კეთილშობილო ქალიშვილო, ჩემთან რომ თავაზიანად ილაპარაკებდეთ, სხვა სადარდელი არა მექნებოდა რა, რადგან, ვინც არ უნდა შემხვდეს და შემეგას, არავისიც არ მეშინია.



— მაგრამ მე ხომ შენივე გულისათვის გელაპარაკები. — მიუგო ქალიშვილმა, — ხომ შეგიძლია პატიოსნად გაბრუნდე უკან, ვიდრე უფხებელი ხარ, თორემ თუ კიდევ გამყვები, თავი მიცვალებულად ჩათვალე. ხომ ვნახე, რაც გააკეთე, უბრალოდ ბედმა გაგიმართლა. შენი ღონითა და მსხვერპლებით კი არ მოგიპოვებია გამარჯვება.

— რას იზამ, კეთილშობილო ქალიშვილო, ილაპარაკეთ, რაც გენებოთ, მაგრამ საითაც თქვენ წახვალთ, მეც იქით მოვდივარ.

მიპყვებოდა ბიუმეინ-მშვენიერხელებიანი იმ მანდილოსანს, დილიდან მწუხრამდე და მთელს გზაზე ლანძღავდა ქალი, მოსვენებას არ აძლევდა, არ ამოუქაქანია. ბოლოს შავ ველზე გავიდნენ, სადაც შავი ქუნელი იზოდებოდა. ზედ ცალ მხარეს შავი დროშა ეკიდა, მეორე მხარეს — შავი ფარი. იქვე დიდი გრძელი შუბი აღმართულიყო, დევგმირული შავი ცხენი იდგა, აბრეშუმის ასალიანი, გვერდით კიდევ — შავი ლოდი. ამ ქვაზე იჯდა რაინდი, ერთიანად შავ აბჯარში ჩამჯდარი და მისი სახელი იყო შავი მინდვრის რაინდი.

თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ა

როგორ ებრძოდა ბიუმეინი შავი მინდვრის რაინდს, და ებრძოდა მანამდე, ვიდრე ის არ დაივა და არ მოკვდა

ქალიშვილმა ის რაინდი რომ დაინახა, ბიუმეინს უბრძანა, თავქვე დაეშვი და თავს უშველე, ვიდრე იმ შავ რაინდს ცხენი არ შეუკაზმავსო.

— გრამერსი, — მიუგო მშვენიერხელებიანმა, — ასეთი ლაჩარი რომ გგონივართ.

შავმა რაინდმა კი ქალის დანახვაზე იკითხა:

— კეთილშობილო ქალწულო, ართურ მეფის კარზე ქომაგად ეს ყმაწვილი ამოირჩიეთ?

— არა, თავაზიანო რაინდო, ეს რაინდი კი არა, მზარეული გლეხია, საოწყალოდ რომ ჰყავდა ართურ მეფეს სამზარეულოში.

მაშინ რაინდმა თქვა:

— მაშ რისთვის არის ასე გამოწყობილი? ეს ხომ სირცხვილია, ასეთი მხლებელი რომ გყავთ?

— სერ, ვერ დავაღწიე თავი ამ აბეზარს, რადგან თავისი სურვილით ამყვა, ღმერთმა ქნას, ჩამომაშოროთ! თუ გნებავთ, მოკალით, თუ შეგიძლიათ, რადგან ერთი ბედუკუღმართი გლეხი გახლავთ და დღეს მარცხენა ფეხზეა ამდგარი. მე თვითონ ვნახე, როგორ აჩება მდინარეზე ორი რაინდი, იმაზე აღრე კიდევ საკვირველი საქმეები მოახდინა, სულ ბედის უკუღმართობით.

— მართლაც საკვირველია, — მიუგო შავმა რაინდმა, — ნუთუ თუნდაც ერთი ნამდვილი რაინდი დათანხმდა მასთან შებმაზე?

— სერ, მათ არ იცოდნენ ამისი გლეხუჭობის ამბავი, — აუხსნა ქალიშვილმა, — რაკი ჩემთან მოდიოდა, კეთილშობილი სისხლისა ეგონათ.

— შეიძლება, — თქვა შავმა რაინდმა, — მაგრამ, რაც უნდა იყოს, თუმცა უბირი ვინმე ყოფილა, როგორც თქვენ ამბობთ, მეტად წარმოსადეგია და უთუოდ ძალზე ღონიერიც იქნება, მაგრამ გპირდებით, — განაგრძო შავმა რაინდმა, — ვაიძულებ დაქვეითდეს, ცხენსა და საჭურველს ჩემთვის დავიტო-



ვებ. მაგრამ მეტს არაფერს დავუშავებ, რადგან ჩემი ღირსების შელახვად მიმაჩნია მისი ხელყოფა.

ეს ყველაფერი ესმოდა ბიუმეინს და თავისივე თქვა:

— სერ რაინდო, კარგად კი დაეპატრონე ჩემს ცხენსა და აღჭურვილობას. თუმცა ცარიელა სიტყვას რა ფასი აქვს. მაგრამ გინდა, რომ შენი სურვილი უნდა შევლახო და ეს მინდორი ვადავიარო. ცხენსა და იარაღს კი მხოლოდ ხელისა და იარაღის ძალით დაეპატრონები. ამიტომ ვნახოთ, რა შეგიძლია.

— ეს შენ მელაპარაკები ასეთ რამეებს. — უთხრა შავმა რაინდმა, — აბა, ჩამოშორდი შენს მანდილოსანს და მოუსვი აქედან. სამზარეულოში გამოზრდილი გლეხი ასეთ ბანოვანს არ უნდა ახლდეს.

— ტყუი! — შესძახა ბიუმეინმა, — მე კეთილშობილი გვარისა ვარ და შენზე უფრო მაღალი მოდგმისა. რასაც ახლავე დაგიმტკიცებ.

გამძვინვარებული მოქიშპეები მინდორის სხვადასხვა ნაპირზე გავიდნენ, მოინავარდეს, შუბები მოიმარჯვეს და მობრუნებულნი ისეთი ძალით ეტაკნენ ერთმანეთს, თითქოს მეხმა იქუხაო. შავ რაინდს შუბი გადაუტყდა, ბიუმეინმა კი თავისი შუბით შავ რაინდს გვერდი შეუნგრია. მხოლოდ ამის შემდეგ გადაუტყდა შუბი და ნატეხი დაჭრილი რაინდის გვერდში ჩარჩა. შავმა რაინდმა ნაინც მამამად იძრო ქარქაშიდან მახვილი, მძლავრი დარტყმები აგემა ბიუმეინს და მიიმედ დაჭრა. საათ-ნახევარი იბრძოლეს, ბოლოს შავი რაინდი უგობნობლად დაეცა ძირს და სულიც განუტევა. ბიუმეინმა ნაალაფვევი შეათვალიერა, მეტისმეტად კარგი ცხენი ჰყოლია და რჩეული აღჭურვილობა ჰქონიაო, თქვა. მოახტა მის ცხენს და ჭენებით დაეწია ქალიშვილს. ის კი ეუბნება:

— მომშორდი, სამზარეულოს გლეხო, რომ შენი მხრიდან ქარი არ მეცეს! შენი ჭუჭყიანი სამოსიდან ცუდი სუნი მოდის და გული ჯავრით მევსება. აფსუს! რა ღმერთი დაგებმარა, მდაბიო გლეხს, რომ ასეთი სახელოვანი რაინდი მოკალი! ყველაფერი ეს უბრალოდ ბოროტი ბედის ხუმრობაა. მაგრამ დაიცა, მალე ისეთი ვინმე შეგხვდება, რომ ყველაფრისათვის გიზღავს! ამიტომ ისევ გირჩევ: გაიქეცი!

— შესაძლებელია მართლა მომკლან, ძლეული. — თქვა ამაზე ბიუმეინმა, — მაგრამ მერწმუნეთ, არ მიგატოვებთ და არ გავიქცევი, რაც უნდა მკადროთ. სულ ამას მეუბნებით, გაჯობებენ და მოგკლავენო, მაგრამ ჭერჯერობით მიწაზე ჩემი მკვლელები რჩებიან, მე კი მოვდივარ. ამიტომ ჯობს, მაგ დაცინვას თავი ანებოთ. სულ ერთია, არ მოგეშვეებით, ვიდრე არ მივალ ამ თავგადასავლის ბოლომდე, ან არ მომკლავენ და არ მოისვენებთ. იარაღი თქვენი გზით და, რაც უნდა მოხდეს, მე მოგყვებით.

თ ა ვ ი მ ა რ ა ვ ი

როგორ შეხვდა ბიუმეინს მოკალე რაინდის ძმა და აბრძოდა, ვიდრე დაეპატრონებოდა მორჩილება არ გამოეცხადა

გზა განაგრძეს და ხედავენ: მორბის კვალდაკვალ ერთი რაინდი. მთლიანად მწვანე — თორნიც, ასალიც, დაეწია და ქალს ჰკითხა:

— ჩემი ძმა, შავი რაინდი, გახლავთ?



— არა, როგორ გეკადრებათ! ეს სამზარეულოს გლეხია, ამ შეჩვენებულ-  
მა ბედის უკუღმართობით მოკლა შენი ძმა.

— ვაგლახ! — შესძახა მწვანე რაინდმა. — საგოდებელი ამბავია, რომ  
ისეთი მამაცი რაინდი, როგორც ჩემი ძმა იყო, ასე უბედურად მოკვდა და  
ისიც ყმა გლეხის ხელით! აბა, მუხანათო! — მიუბრუნდა მწვანე რა-  
ინდი, — იმისათვის, რომ ჩემი ძმა, კეთილშობილი სერ პერარდი ვერაგულად  
მოგიკლავს, შენც მოკვდები!

— არ მეშინია შენი მუქარის, — მშვიდად მიუგო სერ ბიუმეინმა, — ესეც  
იცოდე, შენი ძმა მოკვალი არა ვერაგულად, არამედ პატიოსან რაინდულ ორ-  
თაბრძოლაში.

მწვანე რაინდი კუნელის ბუჩქთან მივიდა, მწვანე რქა ჩამოიღო, ტოტზე  
რომ ეკიდა, პირთან მიიღო, სამჯერ ჩაჰბერა და სამი მრისხანე ხმა გაისმა, ორი  
ყმაწვილი ქალი მოვიდა, რაინდი შემოსეს, საომრად გაამზადეს. საბრძოლო  
ცხენზე დაჯდა, მწვანე ფარი გადაიკიდა, მწვანე შუბი აიღო, და დაიწყო ბრძო-  
ლა. ორივეს შუბის ტარიღა შერჩა ხელში, მაშინ ხმლები იშისვლეს, დაჰკრეს  
და ცეცხლი დააკვესეს. მრავალი მძიმე დარტყმა აგემეს ერთმანეთს და ორი-  
ვე მძიმედ დაიჭრა. ბოლოს ბიუმეინმა ცხენი გვერდზე მიაგდო, ეტაკა, მწვანე  
რაინდის ცხენმა ვერ გაუძლო და მხედრიანად ძირს დავარდა. მწვანე რაინდ-  
მა ფეხები გამოიხსნა, წამოიჭრა და ხელჩართული ბრძოლისათვის გაემზადა.  
მშვენიერბელებიანიც დაქვეითდა, და ისევ ეცნენ ერთმანეთს, როგორც ორი  
გაზარეული მუსტებით მოჩხუბარი, დაუზოგავად ურტყეს და მძიმედ დასერეს  
ერთიმეორე.

ქალწული მივიდა და თქვა:

— ჩემო ბატონო, მწვანე რაინდო, როგორ არა გრცხვენიათ, რომ ასე  
დიდხანს ებრძვიოთ ამ მზარეულ გლეხს? აფსუს! ტყუილად გაკურთხეს რაინ-  
დად, თუ ეს სოფლელი ისე გერყვათ, როგორც სარველა ერევა ხორბალს!

შერცხვა მწვანე რაინდს და მთელი ძალით დაჰკრა ბიუმეინს. ისეთი  
მძლავრი იყო ეს დარტყმა, რომ ქაბუკის ფარი ორად გაიპო, მაგრამ ბიუმეი-  
ნსაც შერცხვა, ქალის სიტყვა რომ მოისმინა და ფარი შუაზე გაუპეს. განრი-  
სხებულმა ისეთი ძალით დაჰკრა მოწინააღმდეგეს მუხარადზე, რომ რაინდი  
ველარ გაუმაგრდა და ჩაიჩოქა. ბიუმეინმა წიბლი ჰკრა და მიწაზე გაშხლართა.  
მწვანე რაინდმა თავი დამარცხებულად ცნო. ბიუმეინს შეწყალება სთხოვა და  
ერთგულებს ფიცი მისცა, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნეო.

— ანდულტფუქი ვედრებაა, — მიუგო მშვენიერბელებიანმა, — შენც მოკვდები,  
თუ მშებრალეებს არ მიბრძანებს ეს მშვენიერი ქალწული, რომელსაც მე მო-  
ვხვებიო. თან მუხარადის თასმები გაუხსნა რომ თავი მოეკვეთა.

— არა გაეწყობა, მაშინ ის მოკვდება, — თქვა ბიუმეინმა.

— ფუი შენა, საძაგელო მზარეულო გლეხო! — შესძახა ქალმა, — არა-  
სოდეს არ გთხოვდა არც გიბრძანებ, შეიბრალე-მეთქი, არ მინდა თავი შენს  
წინაშე დავიმდაბლო და მოვალედ გავიხადო.

— არა გაეწყობა, მაშინ ის მოკვდება, — თქვა ბიუმეინმა.

— ნუ ხარ ასე გორთზი, ცინგლიანო აყლაყუდავ! — მიუგო ქალმა, —  
მოკალი, ამით ვერ შემაშინებ.

— აფსუს! — თქვა მწვანე რაინდმა, — ნუთუ ჩემს სიკვდილს ინებებო  
და ჩემს გადასარჩევად ერთ კეთილ სიტყვას დაიშურებო? კეთილშობილო რა-



ინდო. — მიუბრუნდა მშვენიერხელებიანს. — შემინარჩუნე სიცოცხლე და გა-  
პატიებ ძმის სიკვდილს. შენი ერთგული მსახური ვიქნები. ჩემი ოცდაათი რა-  
ინდიც შენი ყმა გახდება.

— ეშმაკმა დაგლახვროთ! — შესძახა ქალწულმა. — ნუთუ ამ პირობაზე-  
ნელ გლახუქას უნდა ემსახუროთ თქვენ და თქვენი ოცდაათი მშვენიერი

— სერ რაინდო — თქვა მშვენიერხელებიანმა, — ყველაფერი ამას იქ-  
ნება, ვიდრე მშვენიერი ქალწული არა მთხოვს თქვენს პატიებას.

თქვა და კიდევ მოიქნია, რომ თავი მოეკვია.

— მოეშვი, — იკადრა ქალწულმა, — შე ბინძურო მზარეულო გლახო!  
არ მოკლა, თორემ ინანებ!

— კეთილშობილო ქალიშვილო, — მიუგო მშვენიერხელებიანმა, — თქვე-  
ნი სურვილის ასრულება ჩემთვის სიამოვნებაა, და მხოლოდ თქვენი ბრძანე-  
ბით შევუნარჩუნებ სიცოცხლეს. სერ რაინდო, — მიუბრუნდა ძლეულს. —  
ამ ქალის სურვილით გაძლევ თავისუფლებას. რადგან მისი განაწყენება არ  
შემიძლია და, რასაც ის იტყვის, ყველაფერს ავასრულებ.

მაშინ მწვანე რაინდი წამოდგა, მუხლებზე დაემხო, ბიუშეინს მახვალი გა-  
უწოდა. ქალწულმა კი მწვანე რაინდს მიმართა:

— მწუხარებით მავსებს თქვენი დამარცხება, სერ მწვანე რაინდო, ასევე  
თქვენი ძმის დაღუპვა. ძალიან მჭირდებოდა თქვენი დახმარება. რადგან ამ  
ტყეში გავლისა მეშინია.

— ნურაფრის გეშინიათ, — მიუგო მწვანე რაინდმა, — ამ ღამეს ჩემსას  
გაათევთ, ხვალ კი მე გაგაცილებთ.

ცხენებზე შესხდნენ და მიაშურეს ციხესიმაგრეს, რაც მახლობლად იყო  
აღმართული. მაგრამ ქალიშვილი იქაც სულ აბუჩად იგდებდა ბიუშეინს და თა-  
ვის სიახლოვეს არ დასვა სუფრასთან, ასე რომ, მწვანე რაინდა მისთვის მეო-  
რე მაგიდის გაწყობა მოუხდა და პურიც მასთან ჭამა

### თ ა ვ ი მ ა ც ხ რ ა

იამვ ქალიშვილის ამგავნი, ბიუშეინს რომ სამზარეულოს გლახს მძახდა, თავის  
სიახლოვეს სუფრასთან არ აჩმარებდა

— კეთილშობილო ქალიშვილო, — უთხრა მწვანე რაინდმა, — მიკვირს,  
რომ სულ ამ სახელოვანი რაინდის ძაგებაში ხართ. შემიძლია თავდებად და-  
ვუდგე, რომ კეთილშობილი კაცია და ამისთანა რაინდი მეორე არ მეგულება.  
ამიტომ სწორედ არ იქცევით ასე რომ კილაფთ, ეს ისეთ სამსახურს გაგიწევთ,  
როგორსაც ვერც ერთი სხვა რაინდი ვერ შეიძლებს. ვინც არ უნდა იყოს ამ-  
ქამად, მოვა დრო და სახელგანთქმულ რაინდად იქცევა. უკეთილშობილესი  
სისხლისა და სამეფო გვარისა აღმოჩნდება.

— ვაგლახ თქვენს საქმეს! — მიუგო ქალიშვილმა, — სამარცხვინოა, რომ  
სამზარეულოს გლახზე ასეთი ქების სიტყვებს ხარჯავთ.

— კეშმარიტად, — მიუგო მწვანე რაინდმა, — სამარცხვინო ის იქნებო-  
და ჩემთვის, რომ ამ ახალგაზრდაზე ურიგო რაბე მეთქვა, რადგან ის ჩემზე  
უკეთესი რაინდი აღმოჩნდა, მე კი ჩემს ცხოვრებაში მრავალი რაინდი მისი-  
ლავს შუბით ხელში, მაგრამ ამისთანა არსად შემხვედრია.

ღამით კი, როცა მოსასვენებლად წავიდნენ, მწვანე რაინდმა თავის ოცდა-



ათ რაინდს უბრძანა, მთელი ღამე ედარაჯათ და დაეცვათ ყოველგვარი მუხანათობისაგან სერ ბიუმეინი. დილით აღგნენ, წირვა მოისმინეს, შემოიღო მოიკლეს, შემდეგ ცხენებზე შესხდნენ და გზას გაუდგნენ. მწვანე რაინდმა ტყის ბოლომდე გააცილა, ხოლო დაშორების დროს უთქვამს:

— ბატონო ჩემო, სერ ბიუმეინ, მე და ეს ჩემი ოცდამეცხრამეტე მუდამ თქვენი მსახური ვიქნებით, სადაც უნდა გვიხმობთ და რაზედაც არ უნდა გვიმსახუროთ.

— მომწონს თქვენი კეთილი სიტყვა. — მიუგო სერ ბიუმეინმა, — როცა მე მოგიწოდებთ, თქვენი ოცდაათი რაინდის თანხლებით გამოცხადდებით მეფე ართურთან და თავს მის ტყვეებად გამოაცხადებთ.

— რა დროსაც გვიბრძანებთ, ასე მოვიქცევით. — მიუგო მწვანე რაინდმა.

— ფუი, სირცხვილი შენი, ეშმაკი ჩაგიძვრა სულში თუ რაა? — შესძახა ქალმა, — რომ ასეთი კეთილშობილი რაინდი ვიდაც გლებს მორჩილებას უცხადებ!

ასე დაემშვიდობა ქალი რაინდს, შემდეგ კი ბიუმეინს მიუბრუნდა:

— რას დამდევ კუდში, სამზარეულოს გლებო? გადააგდე ეს ფარი, შუბიცი თან მიაყოლე და გაიქეცი! დროზე გირჩევ, მერე გვიანლა იქნება თითზე ვბენანი, რატომ არ დავუჯერებო. „აფსუს!“ რადგან სერ ლანსელოტივით ძლევა მოსილიც რომ იყო, ან ტრისტრამივით და სერ ლამორაკივით უძლეველი, მაინც ვერ გაივლი ამ ხეობას, რომელსაც იწოდება „დაღუპული გასასვლელი“.

— კეთილშობილო ქალწულო, — მიუგო მწვანე რაინდმა, — ვისაც ეშინია, იმან იხსნას თავი, მე კი სულელი ვიქნები, უკან რომ გავბრუნდე, როცა ასე შორს გამოგყევით.

— სულ ერთია, ვაბრუნდები, შენი ნება არ იქნება.

### თ ა ვ ი მ ა ა თ ა

როგორ შეეხება ბიუმეინს მისამე ძმა, რომელსაც ეძახდა წითელი რაინდი, ებრძოდა შუბით და მახვილით, ვიდრე არ დამარცხდა

კიდევ ცოტა გაიარეს და ხედავენ: მაღალი კოშკი აღმართულა, თოვლივით თეთრი, საკიდი სათოფურებით ყოველ მხარეს დასერილი, ორმაგი ზღუდით გარემოცული; კოშკის ქიშკრებთან კი ორმოცდაათი ნაირფეროვანი ფარი ჰკიდია. კოშკის წინ ფართო მინდორია, მინდორზე კი ურიცხვი რაინდი და პაეი ირევა. კარვებია გაშლილი და ეტყობა დიდი ტურნირის მოლოდინსა და სამზადისში არიან.

იმ კოშკის მფლობელი თავის მოსასვენებელში იყო, ფანჯრიდან დაინახა საომრად აღჭურვილი რაინდი, ქალიშვილი და ჯუჯა.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, — თქვა, — ამ რაინდს შევებრძოლები, რადგან ვატყობ, მოხეტიალე რაინდი უნდა იყოს.

სასწრაფოდ აღიჭურვა, თორით მოსილი გამოვიდა, ცხენზე დაჯდა, ხოლო როცა უნაგირზე იჯდა, მხარზე ფარით და ხელში შუბით, ერთიანად წითლად ციმციმებდა, მოსართავებიც, ჯავშანიც და ყველაფერი დანარჩენი, თავისი ძმა შავი რაინდი ეგონა და დაუძახა:



— ძმაო, რას აკეთებ ამ ჩვენს მხარეში?  
 — არა, არა, — შესძახა ქალიშვილმა, — ეს თქვენი ძმა კი არა, ვინმე სამხარეულოს გლეხია, სამადლოდ ართურის სასაბლეში ნაკვები.

— ასე იყოს, — თქვა წითელმა რაინდმა, — მე მაინც მიწა მასთან, ლაპარაკი, ვიდრე აქედან წავა.

— როგორ გეკადრებათ! — იწივლა ქალმა, — ამ ბრიყვმა მოკლა თქვენი ძმა. სერ კეიმ ამ გლეხუჭას მშვენიერბელებიანი უწოდა, მისი ცხენი და აბჯარი კი უწინ თქვენს ძმას შავ რაინდს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ჩემს თვალწინ სძლია თქვენი მეორე ძმა — მწვანე რაინდი. იქნებ ახლა მაინც გადაუხადოთ სამაგიერო და მეც თავიდან მომწყვიტოთ ეს ატორლიალებული გლეხი.

დაიწყო ორთაბრძოლა, შუბით ბრძოლისათვის მოემზადნენ, სხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ და ერთმანეთზე დაიძრნენ. დატაკებისას ორივეს ცხენი დაეცა, მაგრამ მარდად გამოიხსნეს თავი მოსართავეებიდან, მახვილები იშიშვლეს და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. დაპკრავდნენ, დაიხევდნენ, ისევ წაიწევდნენ, ჩაჯდებოდნენ, აღიმართებოდნენ და ასე სერავდნენ ერთმანთს. ბრძოლა ორ საათამდე გაგრძელდა. ბოლოს ქალწულმა წითელი რაინდი მოაყივნა:

— აფსუს, კეთილშობილო წითელო რაინდო! გაიხსენე შენი უცვლელი საბრძოლო სახელ-დიდება! ნუ დაიმკირებ თავს სამხარეულოს გლეხთან ავდენი ბრძოლით!

გაშმაგდა წითელი რაინდი, ერთი მძლავრად მოუქნია და უსასტიკესი დარტყმა აგემა ბიუმეინს, ასე რომ, მიწა სისხლით შეიღება და გოცდებოდით, ასეთი სასოწარკვეთილი შეხლა რომ გენახათ. მაგრამ ბოლოს მაინც ისევ მშვენიერბელებიანმა იმარჯვა და წითელი რაინდი მიწაზე დასცა.

— შემობრალე, კეთილშობილო რაინდო! არ მომკლა! მე და ჩემი სამოცი რაინდი შენი ყურმოჭრილი ყბები ვიქნებით. მიპატიებია შავი რაინდის მოკვლაც, მეორე ძმის — მწვანე რაინდის ძლევაც.

— უსარგებლო თხოვნაა, — მიუგო ბიუმეინმა, — მხოლოდ ერთი საშველია: თუ ჩემი ქალბატონი მთხოვს შენს განთავისუფლებას.

უთხრა და ისე მოაჩვენა ყოველივე, თითქოს თავის მოკვეთას უპირებდა.

— გაუშვი, ბიუმეინ, იგი კეთილშობილი რაინდია, მტრობას აღარ გაგიწევს, თუ სიცოცხლეს შეუნარჩუნებ.

ახლა ბიუმეინმა წითელ რაინდს უბრძანა, ადექი და მადლობა მოახსენე ამ კეთილშობილ ქალწულს შენი გადარჩენისათვისო.

წითელმა რაინდმა ყველანი ციხეში შეიპატიჟა, დაათვალიერებინა, ღამე გაათევინა. ქალწული დათანხმდა და კოშკში სასურველ სტუმრებად მიიღეს.

მაგრამ ქალიშვილის საქციელმა წითელი რაინდიც გააოცა, სულ რომ ბიუმეინს ქირდავდა და ამცირებდა, იმ ღამეს სამოცი რაინდო დარაჯად დააყენა, რომ ბიუმეინის წყენა და ზიანი არავის ეფიქრა.

ღილით წირვა მოისმინეს, დანაყრდნენ და კიდევაც ეახლა ბიუმეინს წითელი რაინდი თავისი სამოცი რაინდის თანხლებით. ერთგულებისა და მორჩილების ფიცი მისცეს.



— მადლობელი ვარ თქვენი, — მიუგო სერ ბიუმეინმა. — აი, რა უნდა აღმოთქვათ: როცა მოგიხმობთ, მეფე ართურს უნდა ეახლოთ, მორჩილება და ერთგულება შეჰფიცოთ.

— სერ, მე და ჩემი რაზმი მზად ვართ გეახლოთ, როცა გვეხმობთ. მშვენიერხელებიანი რაინდი ისევ გაუდგა გზას, ისევ ლაშქროვდა და სასტიკი სიტყვებით უმასპინძლდებოდა ქალიშვილი.

თ ა ვ ი მ ა თ ი რ თ მ ა ე ტ ე

როგორ მოთმინებით იტანდა სერ ბიუმეინი ქალიშვილის ლაშქარბინებას

— ქალწულო, — უთხრა მშვენიერხელებიანმა, — თქვენ არ იქცევით თავაზიანად, ასე რომ მამცირებთ. მე ხომ კარგი სამსახური გავიწიეთ. ყოველთვის შემუქრებოდით, რომ რაინდები დამამარცხებდნენ, მაგრამ ყველანი თვითონ აღმოჩნდნენ ძირს გართხმულნი. ამიტომ გთხოვთ, ნუღარ მლანძღავთ. როცა მნახოთ მტვერში დაცემული და დამარცხებული, მაშინ მთათბეთ, რამდენიც გინდათ, თუ ვინმეს დავნებდეთ და სირცხვილი ვჭამო, მანამდე კი არ მიგატოვებთ და ბრიყვი მაშინ ვიქნები, თუ მიგატოვებთ, რადგან გამარჯვება ჩემს მხარეზეა.

— არაფერია, — თქვა ქალმა, — აი, მალე შეხვდები რაინდს, რომელიც ყველაფერს გაზღვევინებს და ღირსიც იქნები, რადგან ის უწარჩინებულესი რაინდია დედამიწაზე, ართურ მეფის გამოკლებით.

— უაღრესად სასიამოვნოა, — მიუგო მშვენიერხელებიანმა. — რადგან რაც უფრო წარჩინებულ რაინდს შეხვდები ორთაბრძოლაში, მით უფრო მეტი პატივი იქნება ჩემთვის მასთან შებრძოლება.

მალე თვალწინ მდიდარი და მშვენიერი ქალაქი გადაეშალათ. ქალაქის წინ კი ახლად მოთიბული და კარვებით აჭრელებული ფართო ველი გადაჭიმულიყო.

— ეგერ, იმ ქალაქის ბატონი იმყოფება და ასეთი ჩვეულება აქვს: კარგ ამინდში დროს ამ ველზე ატარებს, ტურნირებსა და ორთაბრძოლებში ერთობა. თან ყოველთვის ხუთასი რაინდი და კეთილშობილი მეომარი ახლავს. ყოველნაირ თამაშსა და ასპარეზობას აწყობენ. როგორიც კი შეიძლება კეთილშობილმა ადამიანმა მოიგონოს.

— ძალიან მინდა ის ღირსპატივცემული ლორდი ვნახო.

— მოითმინე, გაძლები მისი ცქერით. — მიუგო ქალმა და წინ დაოთხილი ჭენებით გავარდა. იგი ლორდის კარავს დაეძებდა.

— ეგერ შეხედე, — მოუბრუნდა ბიუმეინს, — კარავი რომ დგას, ერთიანად ინდიგოს საღებავით ლურჯად შეღებილი, ხედავ? (საითაც გაახედა, იქ ყველა და ყველაფერი, ქალი, კაცი, ცხენი, ფარები, ღვედები, შუბები — სულ ლურჯად იყო შეღებილი). მისი სახელია სერ პერსიანტ ინდოელი. ესაა უდიდესი რაინდი, როგორიც ოდესმე გინახავს.

— შეიძლება ასეც იყოს, — მიუგო მშვენიერხელებიანმა. — მაგრამ რა ძლიერიც არ უნდა აღმოჩნდეს, ამ მინდორს არ მივატოვებ. ვიდრე მის ხელში ფარს არ დავინახავ.



— სულელი! — შესძახა ქალიშვილმა. — უმჯობესია თავს უშველო, ვიდრე კიდევ შეიძლება.

— რატომ? — გაიკვირვა ბიუმეინმა, — თუ მართლა ასეთი ქალია, როგორცა ბრძანეთ, მაშინ მთელ ხალხს ხომ არ დამასვენებს. მართლაც გამოვსა, ხოლო სათითაოდ, რამდენიც არ უნდა იყოს, არავის შევეჩვენებ.

— ფუი! — ამბობს ქალი, — ვილაც სამზარეულოს გლენჯია ამდენს უხდა ტრაბახობდეს?

— ქალიშვილო, — უთხრა ბიუმეინმა. — ძალიან ცუდად იქცევიან, რომ ასე დამცინით, რადგან ხუთჯერ ორთაბრძოლაში გასვლა მირჩევნია ამ ლანძღვა-გინების მოსმენას, ვიდრე გამოვიდეს ის რაინდი და მერე ხომ ვნახავთ, რა ღონის პატრონიცაა.

— სერ, — თქვა მაშინ ქალმა. — შენი საქმე მაკვირვებს. რა გვარისა ხარ, საიდან მოხვედი, რომ ასე თამამად ლაპარაკობ და გაბედულად იბრძვი კიდევ ჩემს თვალწინ? ამიტომ გთხოვ: თავს უშველე, ვიდრე დროა. რადგან შენცა და შენმა ცხენმაც დღეს უკვე საკმაო ჯაფა ნახეთ. მე კი გული აღარ მითმენს, კოშკთან მინდა მალე მივიდე: ჩემი დის ციხემდე ხომ სულ შვიდი მილი დაგვრჩენია, იქ კი ალყაა შემორტყმული. ყველა მთავარი საფრთხე უკვე გამოვიარეთ. ამ ერთის გარდა. ამიტომ მეშინია, რომ აქ მარცხი არ მოგივიდეს. მინდა აქაურობას გაეცალო, რომ ამ ძლევამოსილმა რაინდმა არ დაგაწიროს. მაგრამ ისიც იცოდეთ: პერსიანტი ინდოელი ახლოააც ვერ მივა იმ რაინდთან, რომელსაც ჩემი დის ციხისათვის აქვს ალყა შემორტყმული.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, — მიუგო ბიუმეინმა, — რაც მოსაგალია, ისედაც მომივა. რაც შეეხება ამ ინდოელს, მაინც უნდა შევხვდე. რადგან სირცხვილიც იქნება ჩემთვის, რომ გავეჭვე. ამიტომ, კეთილშობილო ქალიშვილო, ნუ გეშინიათ, ღვთის შეწყევნით, ნაშუადღევის ორ საათამდე მასთან ვახირს მოვრჩები და მერე დაღამებამდე იქაც მივასწრებთ, რომ ალყაშემორტყმულ მანდილოსანს მივეშველოთ.

— იესოს მადლს ვფიცავ, საკვირველი კაცი ხართ! მართლაც, კეთილშობილი ვინმე უნდა იყოს, რადგან, რაც მე თქვენ გლანძღეთ და გთათხუეთ, დედამიწაზე ამდენი ალბათ არც ერთი რაინდი არ ულანძღავთ და უთათხუათ. თქვენ კი ყველაფერი თავაზიანად აიტანეთ. ეს მხოლოდ კეთილშობილ ადამიანებს შეუძლიათ.

— საყვარელო ქალწულო, — მიუგო ბიუმეინმა, — ვერაფერი შეილია რაინდი, რომელსაც ქალის წინაშე თავის დაჭერა არ შეუძლია. რაც არ უნდა გეთქვათ, თქვენს სიტყვებს მნიშვნელობას არ ვაძლევდი: რაც მეტს მლანძღავდით, მით უფრო მეტი ბრაზი მომდიოდა, ამ ბრაზს გულში ვინახავდი და ჯავრს მოწინააღმდეგეზე ვიყრიდი ხოლმე. თქვენი ლანძღვა მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მომიწოდებდა და სარგებლობაც მოჰქონდა, რადგან მიძულეებდა, თავი გამომეჩინა და გამეკეთებინა ის, რაც შემეძლო. იქნებ არც ის მსიამოვნებდა, ართურ მეფე რომ სამადლოდ მაქმევდა პურსსმსიქნებ ლუკმა-აური სხვაგანაც მეშოვა. მაგრამ რაინდებს ვაკვირდებოდი, ტროლისა და ლარდის შერჩევა მეწადა, გამოცდილებას ვიძენდი. როგორმე სხვა დროს უკეთ აგობსნით, ვარ თუ არა მეც რაინდთა წოდებისა, ახლა კი გეტყვით და გახსოვდეთ, რომ ურიგო სამსახური არ გამიწევია და კიდევ მეტსაც ვაგვიწევთ. ვიდრე დავშორდებით.



— აფსუს! — თქვა ქალმა, — მაპატიეთ, ძვირფასო ბიუმეინ, ყველა წყენა, რაც ჩემგან გახსოვთ.

— უზომო სიამოვნებით მიპატიებია, რადგან იქნებ ასედაც უნდა მოქცეულიყავით. თქვენს ლანძღვას ჩემთვის ზიანი არ მოუტანია, მშვენიერო ქალწულო, — განაგრძო ბიუმეინმა, — რაკი ამიერიდან კეთილად მოქცევას ამჯობინებთ, სულითა და გულით მახარებს ეს და არა მგონია ქვეყნად ისეთი რაინდი მოინახოს, რომელსაც ვერ მოვერევი.

თ ა ვ ი მ ა თ ო რ მ ა ტ ა

როგორ ეზრდოდა ბიუმეინი სრ კარსიანტ ნახომელს და როგორ აიძულა დანებებოდა

ამასობაში სერ პერსიანტმა შეამჩნია, რომ ვიღაც უცხო ხალხი მოვიდა, მინდორში გაჩერდა და რაღაცას თათბირობს. რაინდული წესით მიუგზავნა კაცი და ჰკითხა, სამშვიდობოდ ხართ მოსული თუ საომრადო.

— გადაეცით თქვენს ბატონს, როგორც უნებოს, მშვიდობა და ბრძოლა ჩემთვის სულ ერთია.

მსახური პერსიანტთან გაბრუნდა და ეს პასუხი გადასცა.

— აჰ, ასე? მაშინ შევებრძოლები და არ დაეინდობ!

შ: არაღდა და ბიუმეინთან შესახვედრად გაეშურა.

ბიუმეინიც გაემზადა, მთელი ძალით დაძვერებულებს შუბები სამ-სამ ნაწილად დაემსხვრათ და ორივე ცხენიც ძირს დაეცა. მარჯად დაიხსნეს ფეხები ავეანდებიდან, მახვილები იშიშვლეს და ერთიმეორეს შეუტიეს. ისეთი ძალით აწვებოდნენ ერთმანეთს, რომ ძირს ეცემოდნენ.

ასე იბრძოდნენ ორ საათზე მეტ ხანს, უკვე ფარები და აბჯარიც ბევრგან გაეჭრათ და თვითონაც დაჭრილები იყვნენ. მაგრამ მალე ბიუმეინმა გვერდი შეუზღვრია და ინდოელმა თანდათან უკან დახევა იწყო, თუმცა კიდევ დიდხანს რაინდულად იბრძოდა. ბოლოს ბიუმეინმა ისე მძლავრად დაჰკრა მუზარადზე, რომ ინდოელი მიწაზე გაიშხლართა, თუმცა ასეთი ბოლო სულაც არ აძლევდა ხელს, ბიუმეინი ფეხით დაადგა ზედ და მუზარადი ახადა, რომ თავი მოეკვეტა. ახლა კი თავი დამარცხებულად ცნო პერსიანტმა და შეწყალება ითხოვა. ქალიშვილიც მივიდა და სთხოვა, სიცოცხლე შეუნარჩუნეო.

სიამოვნებით, — მიუგო ბიუმეინმა, — რადგან სამწუხარო იქნებოდა, ასეთი ბრწყინვალე რაინდი მომკვდარიყო.

— გრამერსი, — უთხრა პერსიანტმა. — ახლა ნამდვილად ვიცი, რომ თქვენ მოკალით ჩემი ძმა შავი რაინდი შავ კუნელთან, მალაღლირსი რაინდი იყო! სახელად სერ პერარდი ერქვა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ თქვენ დაამარცხეთ ჩემი მეორე ძმაც, მწვანე რაინდი, სახელად სერ პერთოლიბი. თქვენვე სძლიეთ ჩემი შესაძვე ძმა, სერ პერიმონი. ახლა კი, სერ, მეც მაჯობეთ. აი, რა შემოდია თქვენი სიკეთის სამაგიეროდ მოვიმოქმედო: მე და ჩემი ასი რაინდი ერთგულებას შემოგფიცებთ. თქვენს განკარგულებაში ვიქნები და, რადროსაც ისურვებთ, გვერდში ამოგიდგებით.



შემდეგ პერსიანტის კარავში შევიდნენ, სუფრაზე უხვად იყო ღვინო და ნუგბარი ტკბილეული. შემდეგ სერ პერსიანტმა ვახშამდე მოასვენა, ვახშამობის შემდეგ კი მოსასვენებლად დააწვინა. პერსიანტს თვრამეტი წლის მშვენიერი ასული ჰყავდა. როცა ბიუმეინს ლოგინი გაუშალეს და კარგად მოასვენეს, პერსიანტმა თავის ასულს უბრძანა, სტუმრის საძინებელში მიეწვინა.

— მიუწეჭი, ასულო ჩემო, არ დააფრთხო, მიუალერსე, მოეხვიე, აკოცე და გაფრთხილებ, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც საჭიროა, თუ ჩემს მამობრივ სიყვარულსა და კეთილგანწყობილებას აფასებ.

პერსიანტს ასული დაემორჩილა, მივიდა ლოგინთან, წყნარად გაიხადა და ვაჟკაცს მიუწვა. ბიუმეინმა გაიღვიძა, ნახა გვერდით მშვენიერი შიშველი ქალი ეწვა და ჰკითხა, ვინა ხარო.

— სერ, მე სერ პერსიანტის ასული ვარ, მამის ბრძანებით შემოგიწეჭით საწოლში.

— ქალწული ხართ თუ გათხოვილი?

— სერ, მე უმანკო ქალწული ვარ.

— ღმერთმა დამიფაროს, რომ ქალწულობა წაგართვათ და ამით სერ პერსიანტს თავი მოვჭრა! ამიტომ, კეთილო ქალიშვილო, ადექით ამ საწოლიდან, ან მე მომიხდება აღგომა.

— სერ, მე ხომ ჩემი ნებით არ მოვსულვარ, მამამ მიბრძანა!

— აფსუს! — შეწუხდა ბიუმეინი, — თავი მომეჭრება როგორც რაინდს, ჩემს მასპინძელს თუ ასეთ სამარცხვინო საქმეს დავმართებ.

ამ სიტყვებზე აკოცა, შემდეგ ქალი წავიდა და მამას ყველაფერი უამბო.

— ჭეშმარიტად, ვინც არ უნდა იყოს, უკეთილშობილესი კაცია! — შესძახა პერსიანტმა.

აქ დავტოვოთ ყველანი დილაამდე.

### თ ა ვ ი მ ა ც ა მ ა ტ ა

სერ პერსიანტის და ბიუმეინის ღვთისსათნო საუბარი და როგორ გაუმხილა ბიუმეინმა, რომ მისი სახელია სერ ბარეთი

დილით სერ ბიუმეინმა და მისმა მხლებელმა ქალმა შიმშილი მოიკლეს, წირვაც მოისმინეს და გამომშვიდობებაც დაიწყო.

— ძვირფასო ქალწულო, — უთხრა სერ პერსიანტმა, — საით მიგყავთ ეს რაინდი?

— სერ, ეს რაინდი მიმყავს მუქარის ციხეში, სადაც ჩემს დას ავიწროებენ.

— აჰა, — თქვა სერ პერსიანტმა, — თქვენი დის სამფლობელოს ალყა შემოარტყა, წითელი მინდვრის რაინდმა. იგი ყველაზე უფრო მძვინვარე და უმოწყალო რაინდია, როგორც კი ოდესმე მინახავს. მისთვის უცხოა შებრალების გრძნობა, თანაც ამბობენ, შვიდი კაცის ღონე აქვსო. ღმერთმა დაგიფაროს, სერ ბიუმეინ, იმ რაინდისაგან, მაგრამ თურმე ძალიან ავიწროებს იმ



მანდილოსანს, რომელიც ქვეყნად უმშვენიერესთაგანია და რომლის დაც, ეტყობა, ეს ქალიშვილია. თქვენი სახელი ლიონეტა ხომ არ არის?

— დიახ, სერ, ჩემს დას კი ლედი ლიონესას ეძახიან.

— აი, რას გეტყვით, — განაგრძო სერ პერსიანტმა, — უმშვენიესი მინდვრის წითელმა რაინდმა დიდი ხანია ალყა შემოარტყა ლიონესას ციხეს, თითქმის აგერ ორი წელია, რაც ალყაში ჰყავს და აქამდე აიღებდა კიდევ, მაგრამ აყოვნებს, არ ჩქარობს, რადგან ელოდება, იქნებ მასთან საომრად სერ ლანსელოტ ტბელი მივიდეს, ან სერ ტრისტრამი, ან ლამორაკ უელსელი, ან სერ გავეინი. აი, ამ იმედით აჭიანურებს ალყას. ახლა კი, ბატონო ჩემო, — თქვა ბოლოს სერ პერსიანტ ინდოელმა, — გაემგზავრეთ მსუბუქი გულით და მძიმე ხელით, რადგან ყოვლად ღირსეული მოწინააღმდეგე გელოდებათ.

— აი, ნახავთ, თავს არ შევირცხვენ. — მიუგო ბიუმეინმა.

— სერ, — თქვა ქალწულმა ლიონეტამ. — ამ ჭაბუკისათვის გთხოვთ: აკურთხეთ რაინდად, ვიდრე წითელ რაინდს შეეტაკებოდეს.

— სულითა და გულით მზადა ვარ, — მიუგო პერსიანტმა, — თუ თანაზმაა, რომ რაინდთა ორდენში შევიდეს ისეთი უმნიშვნელო კაცის კურთხევით, როგორიც მე ვარ.

— სერ, — უთხრა ბიუმეინმა, — მადლობელი ვარ, მაგრამ ასეთი პატივი უკვე მხვდა წილად: სერ ლანსელოტ ტბელმა მაკურთხა რაინდად.

— ო! — შესძახა სერ პერსიანტმა, — ამაზე უფრო საპატიო კურთხევას ვერც ინატრებდით, რადგან რაინდთა სამყაროში მთავრის წოდება მას ეკუთვნის და ქვეყნად ხმა დადის, ქეშმარიტი სარაინდო დიდება დაინაწილაო სამმა: სერ ლანსელოტ ტბელმა, სერ ტრისტრამ ლიონელმა და სერ ლამორაკ უელსელმა. ეს სამი რაინდთა შორის უწარჩინებულესნი არიან, მაგრამ არიან სხვა კეთილშობილი რაინდებიც: სერ პალომიდ-სარკინოზი, სერ საფირი, მისი ძმა; სერ ბლეობერისი და მისი ძმა ბლამურ განელი; სერ ბორს განელი, სერ ექტორ მენაპირე და სერ პერსივალ უელსელი. ყველა ხსენებული და კიდევ ბევრი სხვა — კეთილშობილი რაინდები არიან, მაგრამ მათ შორის ერთიც არ მოიძებნება ხსენებული სამის შესადარი. ამიტომ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, რადგან, თუ წითელ რაინდსაც მოერევით, ქვეყნად მეოთხე უდიდეს რაინდად ჩაითვლებით.

— სერ, — მიუგო ბიუმეინმა, — გულით ვისურვებდი, მქონოდა რაინდული დიდება და კეთილი სახელი. იცოდეთ, კარგი გვარიშვილიც ვარ. მამაჩემი კეთილშობილი ბარონია და თუ საიდუმლოს შემინახავთ, თქვენცა და ეს კეთილშობილი ქალიშვილიც, მოგახსენებთ, რომელი გვარისა ვარ.

— არ გაგცემთ, — დაჰპირდა ორივე. — იესოს ვფიცავ, ვიდრე თვითონ არ ისურვებთ, არავის ვეტყვით.

— ქეშმარიტად, — თქვა მაშინ, — ჩემი სახელია სერ გარეთ ორკნელი. მეფე ლოტი მამაა ჩემი, დედაჩემი კი ართურ მეფის დაა, სახელად მორგაუზა. სერ გავეინი ძმად მხვდება, აგრეთვე სერ აგრავეინი და სერ გაპერისი. მე მათი უმცროსი ძმა ვარ. მაგრამ არც ართურ მეფემ, არც სერ გავეინმა არ იციან, ვინა ვარ.



თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ა ბ ა

როგორ აცნობა ალჟამინორბაჟულ ჯალს ვინაა ჯარ, რომ იკოცა ლიონეტს  
რაინდი, როგორ იბრძოდა ეს რაინდი და როგორ ბანიმარჯვა



ქალბატონო

ამასობაში, როგორც წიგნი მოგვითხრობს, ჯუჯამ ციხის მფლობელს ქალს მიუტანა დის, ლიონეტას, ცნობა, რაინდი მოვიყვანე და ყველა სიძნელე, რაც გზაში შეგვხვდა, გადავლაბეთო.

— ვინ არის ასეთი? — იკითხა ქალმა. — ვინ აკურთხა რაინდად?

— ქალბატონო, — მიუგო ჯუჯამ, — ის კაცი ორქნის მეფის შვილია, მაგრამ სახელს ჯერ ვერ გეტყვით, ეს კი იცოდეთ, რომ რაინდად აკურთხა სერ ლანსელოტ ტბელმა, რადგან სხვა ხელდამსხმელად თვითონ არაფერ ინდობა, და სერ კეიმ უწოდა ბიუმეინ-მშვენიერბელებიანი.

— როგორ დააღწია თავი სერ პერსიანტის ძმებს?

— როგორც კეთილშობილ რაინდს შეჰფეროდა, ისე, უფრო ადრე ფონთან ორი რაინდი მოკლა.

— აჰ! ის ორნი, სახელოვანი რაინდები იყვნენ, მაგრამ უმოწყალო მკვლელები, ერთს ერქვა სერ გერარდ ლე ბრიუსი, მეორეს სერ არნოლდ ლე ბრიუსი.

— შემდეგ, ქალბატონო, შავ რაინდს შეხვდა და პატიოსან ბრძოლაში მოკლა, შეჯდა მის ცხენზე, მისი აბჯარი ჩაიკვა და პატიოსან ბრძოლაში დაამარცხა მწვანე რაინდი, ასევე მოექცა წითელ რაინდს, აგრეთვე ლურჯ რაინდს, პატიოსან ბრძოლაში დაამარცხა ისიც და დაიმორჩილა.

— მაშ, მან დაამარცხა სერ პერსიანტი ინდოელი, ქვეყნიერების ერთ-ერთი უწარჩინებულესი რაინდი?

— ჭეშმარიტს ბრძანებთ, ქალბატონო, ოთხივე ძმა დაამარცხა, შავი რაინდი სულაც მოკლა, მაგრამ ამაზე მეტიც გააკეთა: სერ კეი ცხენიდან ჩამოაგდო და ძირს გაშლართული დატოვა—კიდევ: საკვირველი ბრძოლა გადამადა სერ ლანსელოტთან, ისინი კეთილად განშორდნენ ერთმანეთს და აი, მაშინ აკურთხა ლანსელოტმა რაინდად.

— ჯუჯავ, — უთხრა ქალმა, — მახარებს თქვენი ცნობები, ახლავე გაეშურე სავანეში, რაც, აქვე მახლობლადაა, ჩემს მიწაზე, წაიღე ღვინით სავსე ვერცხლია ორი ჭურჭელი, აგრეთვე ორი შოთი პური, მსუქანი ირმის მონრუკული და რჩეული ნანადირევის ხორცი, გაძლევ ამ ოქროს თასსაც, მდიდრულად მოოჭვილს პატიოსანი თვლებით, ყველაფერი ეს მიიტანე ჩემს განდევნილთან და პირდაპირ ხელში ჩააბარე, შემდეგ ჩემს დასთან დაბრუნდი, გადმოეცი ჩემი გულითადი სალამი, გულწრფელი მადლობით მოიკითხე ის რაინდიც და სთხოვე, გემო გაუსიანჯოს ჩემს საჭმელ-სასმელს და მშ რაინდმა კარგად გაიმაგროს ჯანდ, გადაეცი, რომ უზომოდ მადლობელი ვარ ჩემი გულისათვის რომ ასეთი მძიმე საქმე იკისრა, თუმცა არასოდეს არც საჩუქრებო მიუღია ჩემგან და არც პური გაუტეხია ჩემს ჭურჭელში, გამხნევდეს და გული გაიმაგროს, რადგან ბრძოლა მოუხდება უმამაცეს და უძლიერეს რაინდთან, მაგრამ ვერაგ კაცთან, რომელმაც არ იცის არც თავაზი, არც კეთილშობილება აქვს და არც სიკეთით აღსავსეა, მხოლოდ მკვლელობა და ძალადობაა მისი ხელობა, ამიტომ არ შემიძლია შევაქო და შევიყვარო.

ჯუჯა დაემშვიდობა და პერსიანტთან გაბრუნდა, ბიუმეინი და ქალწული



ლიონეტა იქვე დახვდნენ. ყველაფერი ისე გადასცა, როგორც ლედი ლიონეტამ დააბარა. სერ პერსიანტს დაემშვიდობნენ. მაგრამ რაინდი ტანმოკრილ ცხენზე შეჯდა და გზამდე მიაცილა. იქ მათი თავი ღმერთს შეაფუძრა და გამობრუნდა.

მალე მივიდნენ განდუგილის სავანეში. მადიანად ისტეკლეს უხვად მიირთვეს ღვინო, ირმის მოხრაკული და სხვა ნანადირევის ხორცი. როცა ამას მორჩნენ, ჭუჭამ ცარიელი ბოთლები და ოქროს თასი ისევ ციხეში წაიღო. მაგრამ გზად შეხვდა წითელი მინდვრის წითელი რაინდი და ეკითხება. სად ყოფილხარ და საიდან მოდიხარო?

— სერ, — მიუგო ჭუჭამ, — მე ვიყავი ციხის მფლობელის დის, ჩემი მბრძანებლის დავალებით. მას ვახლდი ართურ მეფის სასახლეში და იქიდან მოგვეყავს რაინდი.

— ვფიქრობ, მაგ საქმიდან არაფერი გამოვა და მთელი მათი ჯაფა ფუჭი აღმოჩნდება, რადგან თუნდაც სერ ლანსელოტი მოეყვანათ, ან სერ ტრიანტრამი, ან ლამორაკი და გავეინი, არავის წინაშე უკან არ დავიხევდი.

— შესაძლებელია ასედაც იყოს, — მიუგო ჭუჭამ, — მაგრამ ამ რაინდმა გზაში ყველა დაბრკოლება გადალაბა. მოკლა შავი რაინდი, ორი სხვა — მდინარის ფონთან. დაამარცხა მწვანე რაინდი, წითელი რაინდი და ლურჯი რაინდი. ყველას მიყოლებით მოუგო ორთაბრძოლა.

— მაშ ის ერთი იმ ოთხთავანია, რომელნიც ახლა ჩამოვთვალე?

— არა, მაგრამ მეფის შვილია.

— სახელი რა ჰქვია?

— ამას ვერ გეტყვით. მაგრამ სერ კეიმ ბიუმეინ-მშვენიერხელებიანი უწოდა.

— რა მესაქმება მის სახელთან! — თქვა რაინდმა, — მალე გავუსწორდები და, როცა დავამარცხებ, სამარცხვინო სიკვდილით მოკვდება, როგორც ბევრნი მასზე უადრეს.

— სამწუხარო იქნება, თუ ასე მოხდა, — უთხრა ჭუჭამ, — და სამწუხაროა, რომ კეთილშობილ რაინდებს ასე სამარცხვინოდ ებრძვიან.

თ ა ვ ი მ ა თ ხ უ თ მ ა ბ ა

როგორ მივიდნენ კალწული და ბიუმეინი სიკამოროს ხასთან, როგორ იძუბა ბიუმეინის ბუჯა და როგორ გამოვიდა მასთან საოგრაფ წითელი მინდვრის რაინდი

ახლა დავტოვოთ რაინდი და ჭუჭა. ვესტუმროთ ისევ ბიუმეინ-მშვენიერხელებიანს, რომელმაც მთელი ღამე განდუგილის ქოხში გაატარა. დილით მან და ლიონეტამ წირვა მოისმინეს, შიმშილი მოიკლეს, ცხენებზე შესხდნენ და ხშირ ტყეში შევიდნენ. კარგა ხანს იარეს ქენებით. ველზე გამოვიდნენ და დაინახეს: მრავალი კარავი და საჩრდილობელი დგას, შუაში კი მშვენიერი ციხე აღმართულა, გარშემო კვამლი ბოლქვებად აღის და დიდი ხმაურია. უფრო უახლოვდებიან ალყაშემორტყმულ ციხეს და ხედავენ: მრავალი რაინდია ჩამოხრჩობილი, ფარებიც ზედვე ჰკიდიათ, ხმლებიც წელზე არტყიათ, მოოქ-







წითელი ჰქონდა: აბჯარი, შუბი, ფარი. თავზე მუზარადი დაახურა გრაფმა, წითელი ცხენი მოჰგვარეს და წითელი შუბი მოართვეს. ციხის წინ გაშლილ კორდზე გამოვიდა, რომ ორთაბრძოლა ციხიდანაც დაენახათ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე თ ე მ ვ ს მ ე ბ ე

როგორ გამოვიდა ორივე რაინდი, რაზე ილაპარაკეს და როგორ დაიწყო ორთაბრძოლა

— სერ, მიუბრუნდა ქალიშვილი ლიონეტა ბიუმეინს, — უფრო მზიარული იყავით და გიხაროდეთ, რადგან ეგერ გამოვიდა თქვენი დაუძინებელი მტერი და აქვე, ფანჯრიდან შემოგცქერით ჩემი და, ქალბატონი ლიონესა.

— სადაა? — ჰკითხა ბიუმეინმა.

— აგერ, — ხელით უჩვენა.

— ჰეშმარიტად, — თქვა ბიუმეინმა, — მისებრ ლამაზი ჯერ არავინ მინახავს. მართლაც, უკეთესი შემთხვევა თავის გამოჩენისა არც მინდა. მისთვის გავალ ამ ორთაბრძოლაში და ის იქნება ჩემი გულის რჩეული.

ამ სიტყვებზე გაციკროვნებული სახე ფანჯარას მიაპყრო, თავაზიანად მიაშტერდა ქალს. ლიონესამ ხელები მალლა აღმართა და თავი დაუკრა, მაგრამ აქ ბიუმეინს წითელი რაინდის ძაბილი მოესმა:

— სერ რაინდო, მოაშორე ფანჯარას ეს მოსიყვარულე მზერა და მე შემომხედე, ასეთია ჩემი რჩევა, რადგან იცოდე, ის მანდილოსანი ჩემია და მისი გულიასთვის უკვე ბევრი ორთაბრძოლა გადავიხადე.

— თუ ასე იყო, ვფიქრობ, ამაოდ გარჯილხართ, რადგან იმ ქალს გულზე არ ახატებარ. ხოლო გიყვარდეს ის, ვისაც არ უყვარხარ. — დიდი უაზრობაა. მე რომ არ დამენახა, როგორ გაუხარდა ჩემი გამოჩენა, ბრძოლის წინ კიდევ ნოვიფიქრებდი. ღირდა თუ არა მის გამო ორთაბრძოლაში გასვლა, მაგრამ მისი ციხის ალყას რომ ვხედავ, ვრწმუნდები, სულაც არ მოუწევს გული შენსკენ. ამიტომ, წითელო რაინდო, ის ქალი მე მიყვარს და ან დავიხსნი, ან დავიღუპები.

— შენ აქ ასეთ ლაპარაკს ბედავ? — შეჰყვირა წითელმა რაინდმა. — ვფიქრობდი გონს მოგიყვანდა იმ რაინდთა გვამების ხილვა, ხეებზე რომ კონწიალებენ.

— სირცხვილი და თავის მოჭრა შენი! — თქვა ბიუმეინმა. — ასე რომ ლაპარაკობ და ასეთ საზიზღარ საქმეებს სჩადი! ამით ხომ თავსაც ირცხვენ და მთელს რაინდობასაც! მაშ, იცოდე და ეჭვი არ შეგეპაროს, არც ერთი ქალი არ შეგიყვარებს, შენს ბინძურ საქმეებს რომ შეიტყობს. შენ გგონია ჩამოხრჩობილი რაინდების დანახვა შემაშინებს? ცდები! ეს სამარცხვინო საქმე მხოლოდ კვებას ჩემს სიმამაცეს, ამძვინვარებს შენს წინააღმდეგ ჩემს გულს უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, პატიოსანი რაინდი რომ ყოფილიყავი.

— მოემზადე ბრძოლისათვის, — დაიღრიალა წითელმა რაინდმა, — მეყოფა შენი ქადაგება!

აი, მოიმარჯვეს შუბები, გამოქანდნენ და მთელი ძალით აძგერეს ერთმანეთს. შუბები ორივემ შუა ფარში მოახვედრა, ისე რომ გაწყდა მოსართა-



ვები, საძუეები, სამკერდეები. მოეხსნა ცხენებს უნაგირები და ორივე ძირს აღმოჩნდა. ოღონდ ხელი არ გაუშვიათ სადავეებისათვის. დიდხანს იწვა რაი-  
 ცე ასე გაშეშებული; ციხეში და ველზე უკვე ფიქრობდნენ, რომ ორივემ წა-  
 სერი მოიტება.

ეროვნული

ალყაშემორტყმულთა და მოალყეთა შორის ბევრი ამბობდნენ, რომ რაინდი  
 ლაც რაინდი განუზომელი ღონის პატრონია, რადგან ჯერ არ გამოჩენილა კა-  
 ცი, რომელიც წითელი მინდვრის წითელ რაინდა ბრძოლაში გაუტოლდებოდა.  
 ასე ამბობდნენ კარვებთანაც და კედლების იქითაც.

მაგრამ უეცრად ორივე მსუბუქად წამოიჭრა, ფეხები გაითავისუფლეს.  
 მოსართავეებს ხელი უშვეს, ხმლები იშეშლეს და ორი მძვინვარე ლომივით ეკ-  
 ვეთნენ ერთიმეორეს. ორივემ ისე მძლავრად დაჰკრა მოპირდაპირის მუზა-  
 რადს, რომ თავბრუ დაესხათ და ორი ნაბიჯით უკან დაიხიეს. მაგრამ მაშინვე  
 გონს მოვიდნენ. კვლავ შეუტყეს და ზედიზედ დააყრევინეს ფარსა და აბჯარ  
 მოზრდილი ნამუსრევი, რაც მთელს ველზე მიმოიფანტა.

თ ა ვ ი მ ი რ ვ ი ღ მ ე ტ ა

როგორ სძლია ხანბრძლივი ბრძოლის შემდეგ ბიუმეინსა ის რაინდი და უნდა  
 სიმკლა, მამრამ, ლორდების თხოვნით, სივოცხლემ შეუნარჩუნა, ოღონდ კაშალა,  
 კალს დაგონებოდა

ასე იბრძოდნენ. ამასობაში შუადღეც დადგა, მაგრამ ბრძოლის დასრუ-  
 ლებაზე არც ფიქრობდნენ, ვიდრე ბოლოს სული არ შეეზუთათ და არაქათგა-  
 მოცლილები ერთიმეორის პირისპირ არ გაჩერდნენ. ფეხზე ძლივს იდგნენ და  
 ძირს იხრებოდნენ, ქშენით ირწეოდნენ და სისხლისაგან იცლებოდნენ. ასე  
 რომ, ყველა იქ მყოფი ლამის ტიროდა მათი სიბრალულით. მაგრამ შეისვენეს  
 თუ არა, ისევ ეკვეთნენ ერთმანეთს როგორც გარეული ტახები, ისევ იქნევ-  
 დნენ, ჩეხდნენ, დაიხრებოდნენ, აიწევდნენ და ხან შორიდან გამოქანებულები  
 ეძგერებოდნენ ერთმანეთს გარეული ირმებივით და ძირს ეცემოდნენ, ხანაც  
 ამ ორომტრიალში საკუთარის მაგიერ მოპირდაპირის მახვილს ავლებდნენ  
 ხელს.

ასე გაგრძელდა მწუხრამდე, და ვერც ერთი იქ მყოფი ვერ იტყოდა, რო-  
 მელი რომელს სჯობნიდა. აბჯარი დაჭრილ-დასერილი ჰქონდათ, ასე რომ  
 შიშველი გვერდები უჩანდათ, მაგრამ შიშველ ადგილებს მახვილით იცავდნენ  
 წითელი რაინდი ბრძოლებში უფრო გამოცდილი და ეშმაკი იყო. ბიუმეინს  
 ამან ჰკუთასწავლა. მაგრამ ეს ჰკუთის სწავლება ძვირად დაუჯდა.

საღამოს ორივე დათანხმდა მცირე შესვენებაზე და ორივე დაბალ ბელ-  
 ტზე ჩამოჯდა, ორივემ გაიხსნა ღვედები და მოიხადა მუზარადი, რომ გრილა  
 ნიავი მაინც მოხვედროდა ოფლიან ტანს. მათი პაეები მუდამ სიახლოვეს იდგ-  
 ნენ, სამსახურისთვის მზად მყოფნი. როცა პაემა მუზარადი მოხადა, ბიუმეინ-  
 მა მალლა აიხედა, პირველად მშვენიერი ლიონესა იხილა, და ქალმაც ისე შე-  
 ხედა, რომ ერთბაშად გულში სიმსუბუქე და ხალისი იგრძნო. მაშინვე ისევ  
 მოუხმო წითელი მინდვრის წითელ რაინდს და გააფრთხილა საბრძოლველად  
 მოემზადეო.







— მართლაც, უფრო გონივრული იქნება თქვენი მხრით, რომ მისგან ერთგულებისა და სამსახურის ფიცი მიგეღოთ და თავისი მიწა-წყალი თქვენი ნებართვით განეგო, ვიდრე მოგეკლათ, რადგან მისი სიკვდილი არაფერს გარგებთ და, რაც დანაშაული ჩაუდენია, იმას მაინც აღარაფერი ემკვიდრება. ციხეში, წყენა გამოისყიდოს, ჩვენც ყველანი ერთგულებას ვიქნებით და თქვენი ყმები ვიქნებით.

— ძვირფასო ლორდებო, — მიუგო ბიუმეინ-მშვენიერხელებიანმა, — ძალიანაც არ მინდა მოვკლა ეს რაინდი, თუმცა მრავალი ბოროტი საქმე აწევს ტვირთად, მაგრამ რამდენადაც ეს ყველაფერი თავისი გულის რჩეულის ბრძანებით უკეთებია, ეს მისი დანაშაულის სიმძიმეს ამსუბუქებს და, თქვენი ხატრით, მზადა ვარ ცოცხალი დავტოვო, ოღონდ ეს მოხდება მხოლოდ ასეთი პირობით: ციხეში მივიდეს და მისი მფლობელის ნება-სურვილს მიენდოს. თუ ის ქალი აპატიებს, მხოლოდ მაშინ შევიწყალებ, ოღონდ ისიც იმ პირობით, რომ აუნაზღაუროს ყველა წყენა და ზარალი, რასაც წლების განმავლობაში ლედი ლიონესას აყენებდა, მის მიწებს რომ არბევდა და აპარტახებდა. როცა ამას შეასრულებს, ართურ მეფის სასახლეში გაემგზავროს, სერ ლანსელოტსა და სერ გავეინს შეეხვეწოს, აპატიონ ბოროტი ზრახვა, რასაც მათ მიმართ უსამართლოდ ატარებდა გულში.

— სერ, — მიუგო წითელმა რაინდმა. — ყველაფერი ეს აღსრულდება, რასაც ითხოვთ, ამისათვის მიიღებთ საიმედო თავდებობას და საწინდარს.

წინდისა და რწმუნებების წარდგენის შემდეგ გარეთმა გრაფებისა და ბარონების დასწრებით წითელი რაინდისაგან მიიღო ერთგული სამსახურის ფიცი, ასევე შეჰფიცეს მისმა გრაფებმა და ბარონებმა.

მაშინ მივიდა სერ ბიუმეინთან ქალწული ლიონეტა, აბჯარი გახადა, გასინჯა, მობანა კრილობები, შეუხვია, უწამლა, სისხლისდენის შესაჩერებელი წამლები დაადო; ასევე მოექცა წითელი მინდვრის წითელ რაინდს. ამის შემდეგ იგი დღე კარვებში, საწოლებში გაატარეს. იშუშებდნენ კრილობებს და იკრებდნენ ღონეს. წითელმა რაინდმა თავის ხალხს უბრძანა, ეამებინათ სერ ბიუმეინისათვის და უკლებლივ შეესრულებინათ მისი ყველა ბრძანება. მალე ციხეშიც ეახლა ქალბატონს და იმანაც შეუხნდო, თან მიიღო ყველა საწინდარი და რწმუნება, რომ აუნაზღაურებდა ყველა ზარალს, რასაც წარუდგენდა. შემდეგ გაემზადა და ართურ მეფის სასახლის გზას გაუდგა. იქ საჯაროდ ჩააბარა თავი სერ ლანსელოტსა და სერ გავეინს, ამასთან მთელი ხალხის დასწრებით აღიარა, როგორ იქნა ძლეული და ვისგან, უკლებლივ თქვა ყველა სხვა საგმირო საქმეც, რაც სერ ბიუმეინს ჩაუდენია, თავიდან ბოლომდე.

— მოწყალეო იესო! — შესძახეს ართურ მეფემ და სერ გავეინმა, — აი, სასწაული! ნუთუ ასეთი სწორუბოვარი რაინდი გამოდგა? რა გვარის და მოდგმისა ვარო?

— ნუ გიკვირთ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — მალე გაიგებთ, რომ ყოველად წარჩინებული გვარიშვილია. რაც შეეხება ძალასა და ვაჟკაცობას, ამჟამად ცოცხალ ადამიანთაგან ბევრი ვერავინ გაუტოლდება ძალითა და კეთილშობილური ვაჟკაცობით.

— როგორც ვატყობ, თქვენთვის უკვე ცნობილია მისი სახელი და ჩამომავლობა, — უთხრა ართურმა.

— უნდა ვიფიქროთ, რომ ასეა, — უპასუხა ლანსელოტმა, — სხვანაირად



არც მივცემდი ჩემს კურთხევას, რამაც რაინდთა მაღალი ორდენის წევრად აქცია. მაგრამ მაშინ სიტყვა ჩამომართვა, რომ მის სახელსა და მოღვაწის საიდუმლოდ შევინახავდი. ვიდრე თვითონ არ ისურვებდა გამხელოს, ან სწავლინა არ გაახშიანებდა.

ქართული  
ბიბლიოთეკა

თავი მცხრამედი

როგორ შავიდა ძალი ბანოვანთან, მაგრამ ალაყაფის კარები დაკეტილი დახვდა, და რა სიტყვები უთხრა ბანოვანმა

ახლა დავბრუნდეთ სერ ბიუმეინთან, რომელიც ქალიშვილ ლიონეტას სთხოვდა, შენს დასთან შემახვედრეო.

— სერ, თვითონაც დიდი სურვილი მაქვს, ჩემს ქალბატონს შეხვედეთ.

ალიტურვა სერ ბიუმეინი, ხელთ იპყრა შუბი, ცხენს მოახტა და პირდაპირ სიმაგრისაკენ გააქროლა. მაგრამ ციხეს რომ მიუახლოვდა, შეიარაღებულმა ადამიანებმა მოძრავი ხიდი ასწიეს და ალაყაფის კარებზე რკინის გისოსი ჩამოუშვეს. გაოცდა, ციხეში რომ არ უშვებდნენ, თავი ასწია და ფანჯარაში დაინახა მშვენიერი ლიონესა, რომელმაც ხმამაღლა გადმოსძახა:

— შენი გზით გასწი, სერ ბიუმეინ, რადგან ჯერ კიდევ ადრეა ჩემს სიყვარულზე ფიქრი. ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გაქვს ქვეყნიერების ერთ-ერთი უწარჩინებულესი რაინდის სახელი. ამიტომ წადი და მოიხვეჭე სახელ-დიდება, ზუსტად თორმეტი თვის შემდეგ კი ახალ ამბებს მოისმენ.

— ვაგლახ! ძვირფასო ქალბატონო! — შესძახა სერ ბიუმეინ-მშვენიერხელებიანმა, — არ დამიმსახურებია თქვენგან ასეთი გულცივი შეხვედრა. მეგონა, უდიდესი სიხარულით შემომხვდებოდით, რადგან ძალ-ღონე არ დამიზოგავს თქვენი სიყვარულის მოსაპოვებლად, და თქვენი სიყვარულისათვის ჩემი სისხლი გამიღია.

— საყვარელო, თავაზიანო რაინდო, — მიუგო ბანოვანმა, — ნუ წყრებით, ნუ მრისხანებთ, ნუ იჩქარებთ თქვენს სამართალ-განაჩენში, რადგან თქვენს საბრძოლო გმირობასა და თავდადებულ სიყვარულს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მე ვაფასებ თქვენს თავდადებას, კეთილშობილებას, სიკეთესა და ვაყვაცობას როგორც საჭიროა. ამიტომ სულით ნუ დაეცემით და წადით თქვენი გზით, რადგან ყველაფერი უკეთესად იქნება და ნახავთ, სასიკეთოდ დასრულდება. ღმერთია მოწმე — თორმეტი თვე უცებ ჩაიქროლებს. მე კი მენდეთ, ძვირფასო რაინდო, ერთგული დავრჩები თქვენი და არასოდეს გიღალატებთ, სიკვდილამდე მეყვარებით მხოლოდ თქვენ და სხვა არავინ.

ამ სიტყვებზე ქალი ფანჯარას მოშორდა და ბიუმეინი გულმოკლული წავიდა თავის გზაზე, გიჟივით მიაქროლებდა ცხენს, თვითონაც არ იცოდა, საით და ამ კენებაში შემოალამდა. ბედად ერთი ღარიბი კაცის ქოხი გამოჩნდა და ამ ქოხში გაათია ღამე. მაგრამ მოსვენება კი არა ჰქონდა, ტრიალებდა და თვალი ვერ მოხუჭა იმ ქალის სიყვარულით.

დილით კი ადგა და გზას გაუდგა, ვიდრე მზე კარგა მაღალზე არ ამოიწვერა, იარა და ერთი ფართო მდინარის ნაპირზე გავიდა. იქ დაქვეითდა, მოეწყო, ცხენი ჯუჯას ჩააბარა და მთელი ღამე ფხიზლად გუშაგობა უბრძანა, თვითონ კი თავკვეშ ფარი ამოიღო და დასაძინებლად დაწვა.



ახლა კი ისევ სიმაგრის მფლობელ ქალთან გავბრუნდეთ. მთელი დღე და ღამე სერ ბიუმეინზე ფიქრობდა. თავის ძმას სერ გრინგამურს დაუძახა და დააფიცა, თუ მართლა გიყვარვარ, ცხენს მოაბტი და სერ ბიუმეინს დასწავნეო.

— დაუდარაჯეთ, ვიცი, ძალიან შეწუხებულია და ღია ცის ქვეშა დაიძინებს. აი, მაშინ მიეპარეთ მის ჯუჯას, სტაცეთ ხელი და, რაც შეიძლება, სწრაფად მომგვარეთ. ლიონეტა ამბობს, ჯუჯამ იცის იმ რაინდის ჩამომავლობის ამბავი, ვისი გორისა და გვარ-გუჯაბისაა. მე და ლიონეტა ციხეში გავალთ და იქ დაგელოდებით, შემდეგ კი ჯუჯას დავკითხავ, რადგან, ვიდრე იმის ვინაობას არ შევითვობ, სიმშვიდე და მოსვენება აღარ შექნება.

— დაო, — მიუგო გრინგამურმა, — ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც მიბრძანეთ.

გრინგამური გზას გაუდგა და მთელი მეორე დღეც იარა, მთელი ღამეც, ვიდრე არ მივიდა მდინარესთან, სადაც ბიუმეინს ეძინა. ჯუჯას მიეპარა, მკლავი მოაჭვია, ამოიღლიავეებული გამოიტაცა და თავის კოშკში გამობრუნდა. სერ გრინგამურს შავი სამოსი ეცვა. ცხენიც შავი ჰყავდა და შავ აბჯარში იყო ჩამჯდარი. ჯუჯამ მაინც მოასწრო დაძახება და ბიუმეინი საშველად იხმო. ბიუმეინი წამოიჭრა, დაინახა კიდევ ახით წაიყვანა ჯუჯა შავმა რაინდმა.

თავი მეოცე

როგორ გამოურა ბიუმეინი თავისი ჯუჯის გადასარჩენად და მივიდა ციხეში, სადაც ის წაიყვანეს

სერ ბიუმეინმა მაშინვე მუზარადი დაიხურა, ფარი გადაიკიდა და გიჟივით გააჭენა. მიაქროლებდა სათიბებსა და ქაობებში, გზებსა და ველობზე, ხანდახან შლამში ეფლობოდა ცხენიანად და ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, რადგან ბრაზით ატანილი გზასა და კვალს არ არჩევდა. ბოლოს მწვანე ველზე გავიდა და ერთი ვილაც ღარიბი სოფლელი შეხვდა. იმას ჰკითხა: ხომ არ ვინახავს შავად მოსილი შავი რაინდი, რომელსაც ცხენზე ჯუჯა ეყოლებოდა წამოსკუბებული?

— სერ, — მიუგო ღარიბმა კაცმა, — აქ ჩამიქროლა სერ გრინგამურმა. რაინდმა, ვისაც ჯუჯა მიჰყავდა, მაგრამ ჩემი რჩევაა, ნუ მისდევთ შავს, რადგან ქვეყნად ერთ-ერთი უსაშინლესი რაინდია და მისი ციხე აქვე მახლობლად გახლავთ, აქედან ორს მილზე. აი, ამიტომ არ გირჩევთ სერ გრინგამურის დევნას, თუ სამოყვროდ არ მიჰყვებით.

აქ სერ ბიუმეინი გზაში დავტოვოთ და ვთქვათ სერ გრინგამურის ამბავი, ჯუჯა რომ გაიტაცა. როგორც კი ციხეში მიიყვანა, დებმა ლიონესამ და ლიონეტამ ჯუჯის დაკითხვა დაიწყეს. საიდან მოვიდა შენი ბატონი და ვისი შთამომავალია?

— თუ ამას არ შეტყვი, — ეუბნებოდა ბანოვანი ლიონესა, — ველარასოდეს გააღწევ ამ ციხიდან, სამუდამო ტყვე შეიქნები.

— უშიშრად და თამამად შემძლია გითხრათ, ვინ არის და საიდანაა, — მიუგო ჯუჯამ. — მეფისა და დედოფლის შვილია და სერ გავეინი მისი ძმაა. მამამისის სახელია ლოტ ორკნელი, დედამისი კი ართურ მეფის და გახლავთ.



თვითონ მას ჰქვია სერ გარეთ ორკნეელი. ახლა კი, მშვენიერო ქალბატონო, რაკი მისი სახელი და შთამომავლობა გითხარით, გამიშვით ჩემს პატონთან, რადგან ამ მხარეს არ მიატოვებს, კიდრე მე არ მიპოვის. მერე, როცა გულმოსულია, თავის შეკავება არ იცის. ბევრ უბედურებას დაატყულებს და დიდ ზარალს ნახავთ.

— მაგ მუქარას, აჯობებს, ვისადილოთ. — უთხრა სერ გრინგამურმა.

ხელ-პირი დაიბანეს და სადილად დასხდნენ.

ყველა მხიარულობდა, რადგან ლიონესას ახლა შეეძლო მათთან ერთად თავისუფლად ყოფილიყო.

— მართლა, ქალბატონო, — ეუბნებოდა დას ქალწული ლიონეტა, — რომ შეხედავ, ნამდვილი მეფისწულია. მერე რამდენი ღირსება აქვს: თავაზიანი და კეთილია. ასეთ წყნარ კაცს არ შევხვედრივარ, არც ერთი რაინდი არ უთათხავს: ჰვეყნად ისე, როგორც მე მას ვთათხავდი და ყველაფერზე მხოლოდ წყნარი მორჩილებითა და გულკეთილობით მაძლევდა პასუხს.

ვიდრე ისინი სუფრასთან ისხდნენ და ასე ლაპარაკობდნენ, სერ გარეთი ციხის კარებთან მივიდა ხმალამოდებული და ისეთი მკვექარე ხმით დაიძახა, რომ ლამის ციხე შეირყა:

— პეი, შენ, მოლალატე რაინდო, სერ გრინგამურ! დამიბრუნე ჩემი ჭუჭა, თორემ ჩემს მოწყალე ღმერთსა და რაინდობის მაღალ ორდენს ვფიცავ, იმდენ ზიანს მოგაყენებ, რამდენსაც შეეძლებ.

სერ გრინგამურმა კი ფანჯრიდან გამოიხედა და თქვა:

— სერ გარეთ ორკნეელო, გეყოს ბაქიობა, რადგან შენს ჭუჭას უკან ვერ დაიბრუნებ.

— აჰ, ასეა, ლაჩარო რაინდო! — შესძახა სერ გარეთმა, — ჩამობრძანდი მასთან ერთად და, თუ ვაყვაცი ხარ, ხმლით დაისაკუთრე.

— ასეც ვიზამ, თუ მოვისურვე, — მოუგო სერ გრინგამურმა, — შენ კი, რა მრისხანე სიტყვებიც არ უნდა დახარჯო. ჭუჭას ვერ დაიბრუნებ.

— ძვირფასო ძმაო, — ეუბნება ლედი ლიონესა, — ჯობს დაუბრუნო, რადგან არ მინდა მისი რისხვა დავიმსახუროთ. ახლა, როცა გავიგე, რაც მინდოდა, ჭუჭა აღარ მჭირდება. მერე, ძმაო, მან ხომ ასეთი დიდი სამსახური გამიწია, წითელი რაინდისაგან დამიხსნა. ამიტომ, ძვირფასო ძმაო, მისგან ჰემ-მარიტად დავალეებული ვარ. თანაც ყველა სხვა რაინდზე მეტად ის მომწონს. ძალიან მინდა შევხვდე და ველაპარაკო. ოღონდ არამც და არამც არ უნდა იცოდეს, რომ ეს მე ვარ, სხვა ქალი უნდა ვეგონო.

— კარგი, — მიუგო სერ გრინგამურმა, — როგორც მიზრძანებთ, ისე მოვიქცევი.

დაბლა ჩავიდა და უთხრა:

— სერ გარეთ, პატიებას ვითხოვ. ყველაფერი ცუდი, რაც შეგამთხვიეთ, მინდა სიკეთით გადაგიხადოთ. ახლა კი გთხოვთ, ცხენიდან ჩამოხდეთ და ჩემს ციხეში შესტუმროთ. რაც გამაჩნია, იმით გაგიმასპინძლებდით.

— ჩემს ჭუჭას დამიბრუნებენ? — ჰკითხა სერ გარეთმა.

— დიახ, სერ, რა გელოდებათ თქვენი ჭუჭაც და გულითადი მასპინძლობაც, რადგან მხოლოდ თქვენმა ჭუჭამ გამიმხილა თქვენი ვინაობა, თუ ვინა ხართ და რა საგმირო საქმეები ჩაგიდენიათ ამ მხარეში, რის შემდეგაც მწარედ ვინანე ჩემი უწყესო მოქმედება.



სერ გარეთი ჩამოქვეითდა და ჯუჯამ ცხენი ჩამოართვა.

— აჰა, მეგობარო, — მიმართა სერ გარეთმა თავის ჯუჯას, — ლი მანძილის გავლა კი მომიხდა შენი გულისათვის!

სერ გრინგამურმა ხელი მოჰკიდა სერ გარეთს და შეიყვანა დაც მისი ცოლი შემოეგებათ.



თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე რ თ ე

როგორ შეხვდა სერ გრინგამურმა სერ გარეთს თავის საბრძოლო, როგორ გაიცნეს და მოუხვარდათ ერთმანეთი

იმავე ოთახში გავიდა პრინცესად გამოწყობილი ლედი ლიონესა. იგი გულთადად მიესალმა სტუმარს, ვაეიც ასევე შეხვდა და უალრესად თავაზიანი საუბარი გააბეს. ორივეს ნატიფი სიტყვა ჰქონდა, დახვეწილი. ბევრჯერ გაიფიქრა სერ გარეთმა: „იესო! რა იქნებოდა, მუქარის ციხის ქალბატონიც ასეთი ლამაზი ყოფილიყო!“

იმ საღამოს მოეწყო ასპარეზობა და ყოველგვარი თამაში, სერ გარეთი კი სულ იმ მანდილოსანს უმზერდა, და რაც მეტს უყურებდა, მით უფრო ეგზნებოდა მის გულში სიყვარულის საბმილი. ბოლოს კინალამ ცნობა დაკარგავაშშმად რომ დასხდნენ, გარეთის პირში ლუკმა არ ჩადიოდა, ისე იწვოდა სიყვარულით, თავი არ ახსოვდა.

მისი მზერა სერ გრინგამურმა დაიჭირა. ვახშმის შემდეგ სერ გრინგამურმა ლედი ლიონესა განაპირა ოთახში გაიხმო და უთხრა:

— ძვირფასო დამო ლიონესა, ჩინებულად ვხედავ, რაც ხდება თქვენსა და იმ რაინდს შორის. უნდა გითხრათ, რომ უკეთილშობილესი რაინდია და თუ დაიყოლიებთ. აქ, ჩემს ციხეში დარჩეს, ყოველნაირად მოვემსახურები, რადგან უკეთესიც რომ იყოთ, ვიდრე ხართ, ის მაინც ღირსია თქვენი.

— ძვირფასო ძმაო, — მიუგო ლედი ლიონესამ. — თვითონაც მშვენივრად ვიცი, რომ ის კეთილი რაინდია და სახელოვანი გვარიშვილი, მაგრამ მინდა კიდევ უფრო გამოვცადო, თუმცა ქვეყნად ყველაზე მეტად მისგანა ვარ დავალეებული. ჩემი გულისთვის მან მრავალი საგმირო საქმე მოახდინა, ბრძოლით გამოვლო ზიფათით აღსავსე ვზა და ყოველ წამს სიკვდილზე უმზერდა თვალებში.

შერბე გრინგამური სერ გარეთს მიუბრუნდა და უთხრა:

— სერ, გამხნევდით და გამხიარულდით, რადგან არავითარი მიზეზი არა გაქვთ დაღვრემილი იყოთ. ამ ქალის, ჩემი დის, გული დაპყრობილი გაქვთ და ის თქვენი იქნება, თუ მისი ღირსება დრომდე შეუღალავი დარჩება. მასაც ისე უყვარხართ, როგორც თქვენ გიყვართ, და იქნებ მეტადაც.

— ეს რომ მჯეროდეს, ქვეყნად ჩემზე მხიარული კაცი ვინ იქნება!

— პატიოსნებას გეფიცებით, — უთხრა სერ გრინგამურმა, — მინდებოდათ ჩემს სიტყვებს ენდოთ. დარჩით აქ რამდენ ხანსაც გენებოთ, და ეს ქალი ყოველდღე ჩვენთან იქნება, გაგართობთ და შეგიქცევთ, როგორც შეიძლებს.

— სიამოვნებით, — მიუგო სერ გარეთმა, — რადგან დაპირებული ვარ, თორმეტი თვე ამ მხარეში გავატარო, ამასობაში კი ართური და მისი რაინდები უთუოდ მოვლენ და მიპოვიან.



შემდეგ გარეთი ლედი ლიონესასთან შევიდა, ჰკოცნიდა, ეხვეოდა და მათს სიზარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქალი სიყვარულს ეფიქვებოდა, შენს მეტი არაფერს შეყვარებათ სიკვდილის დღემდე. ძმის ნებართვით საიდუმლოდ გაიხსნა: ის ქალი ვარ, ვისთვისაც იბრძოდი, მექარის ცეხის გამგებელი მე ვარო.

ბიზლითქა

თავი ოცდახუთე

როგორ გაუმჩნედა ღამით შეიარაღებული რაინდი და როგორ მბრძოლა სერ ბაბათს, შეაღწევი ან ბარბაქუზი დატყვევდა გარეთის რაინდს თავი მოკავშირე

ქალმა ისიც გაუგებია, სერ გრინგამური მე გავაგზავნე ჯუჯის მოსატაცებლად, რათა მისგან შენი ჩამომავლობის ამბავი შემეტყუო, შემდეგ და ლიონეტაც მოიხმო, ვისთანაც გარეთმა მთელი გზა გამოიარა. მაშინ სერ გარეთმა კიდევ უფრო გაიხარა.

მაღე ჯვარიც დაიწერეს და ერთმანეთს ერთგულების ფიცი მისცეს, რომ სამარის კარამდე არ უღალატებდნენ. რაკი მწველი სიყვარულის ცეცხლი ედებოდათ, დროზე ადრე სურვილის ფარულად აღსრულებაც განიზრახეს. ლიონესამ გარეთი გაათრთხილა, უსათუოდ დარბაზში დაწეჭი და მე შენთან ნაშუალამევა გადმოვალო.

გარეთი ისე მოიქცა, როგორც ქალმა უთხრა, მაგრამ ეს ამბავი განმიხანდა. რადგან ორივე ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი და ასეთ საქმეებზე გაუწერთნელი. არ მოეწონა ეს საქმე ლიონეტას. მოთმინება არა აქვსო ჩემს დას, ქორწილს არ უცდისო. გადაწყვიტა, დის პატიოსანებას დაეცავ და განზრახვას ჩავუშლიო. ჯადოქრობას მიმართა, რომ ქორწილის დღემდე და და სიძე ერთად არ დაწოლილიყვნენ.

ღამე კი ახლოვდებოდა. ვახშმის შემდეგ დარბაზიდან ყველაფერი გაიტანეს, კაცი და ქალი ყველანი სხვადასხვა ოთახებში უნდა მოეთავსებინათ. სერ გარეთმა კი განაცხადა, არსადაც არ წავალ, რადგან მოხეტიალე რაინდისათვის ამ დარბაზზე უკეთესი საწოლი ოთახი არ გამოინახებო. დიდი საწოლი დადგეს, ზედ რბილი ლოგინი გაშალეს და დაწვა.

სულ მაღე მასთან შევიდა სიასამურის ბეწვის ქურქში გახვეული ლედი ლიონესა და გარეთს მიუწევა. ვაჟმა მკლავები შემოაქდო და კოცნა დაუწყო. უცერად შალა აიხედა და რას ხედავს: მის წინ ცეცხლებით გარემოცული შეიარაღებული რაინდი დგას, ხელთ წათი უჭირავს, პაერში აქნევს და მრისხანედ ემუქრება. ეს რომ ნახა, გარეთი წამოიჭრა, ხელი თავის ხმალს სტაცა და გაშმაგებული რაინდს მივარდა. იმან დაასწრო, წათი ესროლა და თედოში მოახვედრა და დაჭრა. ხელისგულის სიფართე კრილობამ დაადო პირი. იმავე წამს სერ გარეთმა ისეთი ძალით დაჭრა ხმალი მუხარადზე, რომ თავდამსხმელი ინტაკზე პირქვე დავარდა. სერ გარეთი ზედ დააბტა, მუხარადი მოხადა და თავი მოჰკვეთა. თვითონ სერ გარეთს ისეთი სისხლისდენა აუტყდა, რომ ფეხზე ვეღარ გაჩერდა, თავის საწოლზე დაეცა და მკვდარივით გაირინდა.

ლედი ლიონესამ ხმამაღალი კივილი მორთო. სერ გრინგამურმა გაიგონა და დარბაზში ჩავიდა. ნახა, სერ გარეთი მძიმედ და ვერაგულადაა დაჭრილი, უზომოდ განრისხდა და თქვა:



— ქვეყანაზე თავი მომეჭრა, რომ ამ კეთილშობილ რაინდს ჩემს სახლში ასე მუნახათურად დაესხნენ თავს! როგორ მოხდა, თქვენ აქ რატი და ეს კეთილშობილი რაინდი დაქრილია?

— ძმაო, — მიუგო ლედიმ, — ვერ გეტყვით ამას, მაგრამ დანაშაულის ჩადენილია არა ჩემი მიზეზით და ნებართვით; ის ჩემგან დასაწყისად და სავსებით მას ვეკუთვნი, რადგან ჩემი მეუღლე უნდა გაბდეს, ამიტომ, ძმაო, მინდა იცოდეთ, სულაც არ შერცხვინება მის გვერდით ყოფნა და ვეცდები ყოველნაირად ვასიამოვნო.

— დაო, უთხრა გრინგამურმა, — მე კი მინდა იცოდეთ თქვენცა და სერ გარეთმაც, რომ არც ჩემი მიზეზით და ნებართვით არის ჩადენილი ეს საზიზღარი ღალატი და ვერაგული თავდასხმა.

სისხლის დენა რატიმ იქნა შეუჩერეს. სერ გრინგამური და ლედი ლიონესა დარდიანად აღარ იყვნენ. უცებ გამოჩნდა ლიონეტა, ყველას თვალწინ ასწია მოკვეთილი თავი, რალაც წამლები წაუსვა მოჭრილ მხარესაც და კისერსაც, მერე თავი მხრებზე დაადგა და რალაც ძალით წინანდელზე მაგრად მიაკერა. რაინდი მარდად წამოხტა ფეხზე და ლიონეტამ ის თავის საწოლში წაიყვანა.

ყველაფერი ეს ცხადად დაინახეს ლიონესამ და გრინგამურმა, დაინახა გარეთმაც, ეს იყო ის ქალიშვილი, რომელიც სახიფათო გზაზე ახლდა, ლანძღავდა და თათხავდა.

— აჰ, ქალწულო, ქალწულო! — შესძახა, — ამას კი არ ველოდი, ასე მომეჭეოდით.

— ბატონო ჩემო, სერ გარეთ, — მიუგო ლიონეტამ, — როგორც მოგეტყვით, ამას მოკლე ხანში აგიხსნით, და დარწმუნდებით, რომ ეს თქვენივე პატიოსნებისათვის, აგრეთვე ყველა ჩვენგანის სახელისათვის მოვიმოქმედე.

მოკლე ხანში გამოჯანსაღდა სერ გარეთი, ისევ გამზიარულდა, ისევ დაიწყო ცეკვა და სიმღერა. შეყვარებულთა გულელებშიც ისევ აგიზგიზდა სიყვარულის სახმილი, ველარ მოითმინეს და მეათე დღეს კვლავ მოილაპარაკეს, რომ ღამით ფარულად ერთ საწოლში შეიყრებოდნენ. მაგრამ სერ გარეთს წინანდელი ამბავი ახსოვდა და ამიტომ მთელი თავისი აღჭურვილობა ლოგანთან დაილაგა.

თავი ოცდამესამე

როგორ გამოჩნდა ხანმოკლე რაინდი, როგორ მოკვდითა მიოკად თავი სერ გარეთმა და როგორ გამოცხადდა ართურ მისი სასახლეში მშობასა დღეს სერ გარეთის მიერ დაპარცხებული ყველა რაინდი, რომელთა თავი მის ტყვეობად გამოაცხადეს.

ლედი ლიონესა კი დაპირებისამებრ გამოცხადდა, მაგრამ სერ გარეთი გააფრთხილა, იგივე რაინდი ახლოვდებაო. მისი ერთგულებით გაფრთხილებული გარეთი სასწრაფოდ აბჯარში ჩაქდა და გაშმაგებით დაუწყო ბრძოლა უცხო რაინდს, მთელს დარბაზში დასდევდა ხმალამოღებულის, მაგრამ სადაც არ უნდა ებრძოლათ, კუთხეში თუ შუაგულ დარბაზში, ირგვ-



ლივ ყოველი ადგილი გაჩირაღდებული იყო. თითქოს ოცამდე მაშხალა ბრიალებსო.

ძალის გაუგონარი დაძაბვისაგან სერ გარეთს ადრინდელი კრილობა გაეხსნა და სისხლისაგან იცლებოდა. მაგრამ გაცხარებულ ბრძოლაში, თავისი ძალითა და ვაჟკაცობის პატრონმა კრილობა არაფრად ჩაივალა. სწრაფად ჩადოქარ რაინდს, დასცა, მოხადა მუზარადი და თავი მოჰკვეთა.

შემდეგ მოჭრილი თავი ას ნაკუწად დააქუცრიაცა, სათითაოდ აბკეტა და ფანჯრიდან თხრილში გადაყარა. ამ დროისათვის უკვე სრულიად დასუსტდა, ძლივსღა იდგა ფეხზე და პირდაპირ აბჯარასხმული გულწასული დაეცა იატაკზე.

ისევ გაიგონა სერ გრინგამურმა ხმაური, ისევ დაეშვა დაბლა დის კივილზე და, როცა გარეთი ასეთ საცოდავ მდგომარეობაში ნახა, ღრმა და მძიმე მწუხარებამ მოიცვა. დაჭრილს ეცა, გონს მოიყვანა, ისეთი წამალი დააღვეინა, რაც ჩადოსავით მოუხდა და მალე ფეხზე დააყენა.

ლენდი ლიონესა კი ისე მწარედ ტიროდა, ისე იყო შეჭირვებული, რომ კინაღამ სული განუტევა.

ახლა ჩადოქარი ლიონეტაც გამოჩნდა, მოაგროვა ფანჯრიდან გადაყრილი რაინდის თავის ნამუსრევი, შეაკოწიწა, დააწება, თავი ტანს დაადგა და ყველას თვალწინ გააცოცხლა.

— აჰ, ქალწულო ლიონეტა, არ ველოდი თქვენგან ასეთ ბოროტებას! — შესძახა ისევ გარეთმა.

— სერ რაინდო, — მიუგო ქალიშვილმა, — ისეთი არაფერი ჩამიდენია, რასაც ცოტა ხნის შემდეგ ვერ ვალიარებ, და ნახავთ, რომ ყველაფერი ეს გავაკეთე თქვენი პატიოსნების, აგრეთვე ყველა ჩვენგანის ღირსებისათვის.

სერ გარეთს სისხლი როგორც იყო გაუჩერეს, მაგრამ მოხმობილმა მკურნალებმა განაცხადეს, ვერც ერთი მოკვდავი ადამიანი ვერ მოარჩენს ამ კრილობას, ვიდრე არ დაირღვევა და მოიხსნება ის ჯადო, რამაც ეს კაცი დაჭრაო.

ჯერჯერობით დავტოვოთ სერ გარეთი, სერ გრინგამური და მისი დები. ჩვენ კი ვესტუმროთ ართურ მეფეს, რომელიც ამ დროისათვის ისევ იხდიდა მეერგასე დღის დღესასწაულს. ამ დღეობაზე მეფეს ეახლა მწვანე რაინდი თავისი ორმოცდაათი რაინდის თანხლებით და ყველამ თავი ართურის ტყვეებად გამოაცხადა. შემდეგ მოვიდა წითელი რაინდი, მისი ძმა და თავისი სამოცი რაინდის თანხლებით თავი ართურის ტყვედ გამოაცხადეს. ასევე მოვიდა ლურჯი რაინდი, მათი ძმა და თქვეს. ჩვენც ართურ მეფის ტყვეები ვართო. მწვანე რაინდს ერქვა სერ პერთოლიპი. წითელს — სერ პერიმონი, ლურჯს — სერ პერსიანტი ინდოელი.

ამ სამმა მეფეს უამბო, როგორ დაამარცხა ყველანი ერთმა რაინდმა, რომელსაც ვილაც ქალწული ახლდა და ეძახდა სერ ბიუმეინს.

— იესო, — შესძახა ართურმა — მე მაინც ვერ გამიგია, ვინ არის ეს რაინდი, რა გვარისა და მოდგმისა. მთელი წელი ჩემთან გაატარა. მაგრამ ყველა ათვალწუნებით და ურიგოდ ექცეოდა. სერ კეიმაც აგდებით უწოდა სერ ბიუმეინს-მშვენიერხელებიანი.

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე იდგა და იმ ძმებს ელაპარაკებოდა,



შემოვიდა სერ ლანსელოტ ტბელი და მეფეს უთხრა, რომ მოვიდა ვილაც დიდი ბარონი ხუთასი რაინდის თანხლებით. მეფე ამ დროს კარლიონში იყო. რადგან იმ წელს დღესასწაულს იქ იხდიდა, იქ ეახლა ბარონიც და მეფეს ყოველად მოკრძალებული სალაში მისცა.

ერქვენული

— რას გვიბრძანებთ? — ჰკითხა ართურმა, — რა საქმისათვის მოხუტდით ხართ?

— სერ, — მიუგო ბარონმა. — ჩემი სახელია წითელი მინდვრის წითელი რაინდი, ნამდვილი სახელი კი სერ ირონსიდი — რკინის გველი. აქ გამომაგზავნა სერ რაინდმა ბიუმეინ-მშვენიერხელებიანმა, რადგან პატიოან ორთაბრძოლაში დამამარცხა, ეს კი მის გარდა, ოცი წლის მანძილზე ვერც ერთმა რაინდმა ვერ შეძლო. ნაბრძანები მაქვს, თქვენს მოწყალებას ჩავბარდე.

— გთხოვთ, — მიუგო მეფემ, — თქვენ ხომ დიდი ხანია ჩვენს დაუძინებელ მტრად ითვლებოდით, ჩემი და ჩემი კარის რაინდთა მტრად, ახლა კი ეტყობა, ღმერთი შემეწია და იქნებ ჩვენს მეგობრად გაქციოთ.

— სერ, მე და ჩემი ხუთასი რაინდი თქვენს სამსახურში ვართ და, რა დროსაც ინებებთ, თქვენთან გავჩნდებით, რომ გემსახუროთ, რითაც შეგვიძლია.

— გრამერსი, — უთხრა ართურმა, — დიდად დავალებული ვარ იმ რაინდისაგან, რომელმაც ჩემი და ჩემი სასახლის ღირსებისათვის ამდენი საფრთხე გადალაბა და ასეთ ხიფათში ჩაიგდო თავი, თქვენ კი სერ ირონსიდ-რკინის გვერდო, ზედწოდებით წითელი მინდვრის წითელი რაინდო, ცნობილი ხართ, როგორც უბრწყინვალესი რაინდი, და თუ თანახმა ხართ, რომ სამფლობელოები ჩემი სახელით გეჭიროთ, მრგვალი მაგიდის რაინდად გაკურთხებით, მაგრამ მაშინ ხელი უნდა აიღოთ ადამიანთა უაზროდ ხოცვის მავნე ჩვეულებაზე.

— მე უკვე შევფიცე სერ ბიუმეინს, რომ ასე მავნე წესს მოვიშლიდი, რადგან ამას ვაკეთებდი საყვარელი ქალის ბრძანებით. ახლა კი სერ ლანსელოტსა და სერ გავეინს უნდა გამოვთხოვო პატიება იმ სიძულვილისათვის, რაც მათ მიმართ მქონდა. ყველა რაინდს, რომელთაც მე ვკლავდი, მათი სიძულვილის გამო ვლუპავდი. ახლა ამ ბოროტების პატიება უნდა ვთხოვო თქვენს რაინდებს.

— აგერ, აქ არიან, თქვენს თვალწინ, — უთხრა ართურმა, — შეგიძლიათ უთხრათ, რისი თქმაც გსურთ.

მაშინ წითელმა რაინდმა სერ ლანსელოტისა და სერ გავეინის წინაშე დაიჩოქა და პატიება ითხოვა მთელი სიავისათვის, რასაც მათ მიმართ გულში დაატარებდა.

### თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა ო თ ხ ა

როგორ მიუხდლო მამა ართურმა და როგორ იკითხას, სად არის სერ ბარონი

ლანსელოტმა და გავეინმა უპასუხეს:

— ღმერთმა შეგინდოს და ჩვენც გვიპატიებია, ოღონდ გვითხარით, სად არის სერ ბიუმეინი?



— ძვირფასო ლორდებო, — მიუგო სერ ირონსიდ-რკინის გვერდმა — ვერ გეტყვი, რადგან მისი პოვნა ძალიან ძნელია: მასავეთ ახალგაზრდა მოხეტიალე რაინდი რომ გზას გაუდგება, ერთ ადგილზე ხომ დიდხანს არ მოისვენებს!

ენა ვერ იტყვის, რამდენს აქებდნენ ბიუმეინს წითელეგ<sup>წითელეგ</sup> ლინდერს<sup>წითელი</sup> რაინდი, სერ პერსიანტი, მისი ძმები. მათი მსმენელი გაკვირვებული დარჩებოდა.

— მაშ ასე, ძვირფასო ლორდებო, — მიმართა ბოლოს ართურმა ყველა ტყვეს და სათხოვნელად მოსულს, — ყველანი დიდ პატივში მეყოლებით სერ ბიუმეინისადმი ჩემი დიდი სიყვარულის გამო, და რა დღესაც მას ვიპოვი, ყველას ერთად ვაგზდით მრგვალი მაგიდის რაინდებად. რაც შეგეხებათ თქვენ, სერ პერსიანტი ინდოელო, ყოველთვის დიდ კეთილშობილ რაინდად ითვლებოდით და ასევე თქვენი სამი ძმა. მაგრამ მიკვირს, რატომ არ მესმის თქვენი მეოთხე ძმის — შავი რაინდის ამბავი. ისიც ხომ კეთილშობილი რაინდია?

— სერ, — მიუგო პერთოლიპმა, მწვანე რაინდმა, — ის ორთაბრძოლაში მოკლა სერ ბიუმეინმა თავისი შუბით. მისი სახელი იყო სერ პერარდი.

— უაღრესად სამწუხარო და საწყენი ამბავია, — თქვა მეფემ. მეფის აზრი ბევრმა რაინდმა გაიზიარა, რადგან ოთხივე რაინდი ართურის კარზე კარგად იყო ცნობილი, როგორც ბრწყინვალე რაინდები. ოთხივე ძმა დიდხანს ეომებოდა ართურის კარის რაინდებს.

პერთოლიპმა, მწვანე რაინდმა, მეფეს ისიც მოახსენა, როგორ დახვდა ბიუმეინს მდინარე მორტეზას ფონთან ორი ძმა, ორი მრისხანე და ულმობელი რაინდი, რომელნიც იმ გასასვლელ ფონდთან იდგნენ ხოლმე, დარაჯობდნენ და არავის ატარებდნენ. უფროსი პირდაპირ მდინარეში განგშირა და დააგდო, იქვე ჩაიხრჩო კიდევ. მისი სახელი იყო სერ გერარდ დე ბრიუსი. შემდეგ ხმელეთზე მოკლა მეორე ძმა სერ არნოლდ დე ბრიუსი.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ა ხ ა უ თ ა ო ც ლ ა მ ა ე ა ვ ვ ხ ე \*

როგორ მობრძანდა იმ მამრკასამ დღის დღესასწაულზე ორკანის დედოფალი, სარ ბავიინმა და მისმა ძმებმა კურთხევა სთხოვეს

ამის შემდეგ მეფე და მისი სტუმრები სადილად დასხდნენ და იყო გაშლილი მეფური სუფრა. იყო დიდი ნადიმე და შექცევა, როცა მობრძანდა ორკანის დედოფალი. მასთან მრავალი ბანოვანი და რაინდი. მაშინვე წამოდგნენ სერ ვავეინი, სერ აგრავეინი და სერ გაპერისი; მივიდნენ, დედას დაუჩოქეს და კურთხევა სთხოვეს. რადგან რაც შვილები არ ენახა, უკვე თორმეტი წელი გასულიყო. დედოფალმა ხმამაღლა მიმართა თავის ძმას ართურ მეფეს და უთხრა:

— სად გადამიკარგეთ ჩემი უმცროსი შვილი სერ გარეთი? თქვენთან გაუტარებია სრული ერთი წელი, სამზარეულოს გლეხად გიქცევიათ და ეს

\* ერთი თავი გამოტოვებულია (მთ. შენ.).



ყველა თქვენგანისათვის თავის მოჭრაა! აფსუს! სად გადამიკარგეთ ჩემი უმცროსი შვილი, ჩემი ნუგეში?

— ამ, კეთილთ დედა! — შესძახა გავეინმა, — მე ხომ ის ვერ ვიცი!

— არც მე ვიცი. — თქვა მეფემ, — და ახლა ვნანობ, მაგრამ მაღლო-ბა ღმერთს, მან თავი გამოიჩინა, როგორც პირველმა რაინდმა ლეებზე აღმატებულად. ვერც მოვისვენებ, ვიდრე არ ვიპოვი.

— არა, ჩემო ძმაო! — თქვა დედოფალმა, — სირცხვილი და თავის მოჭრა თქვენ ყველას, ჩემი შვილი რომ სამზარეულოში გყავდათ და ღორებთან ერთად აჭმევდით!

— ძვირფასო დაო, — მიუგო ართურმა, — უნდა შეგვიჩინო, ვერ ვიცანით, ვერც სერ გავეინმა და მისმა ძმებმა იცნეს, მაგრამ რაკი ასე მოხდა და ყველანი მიგვატოვა, ახლა უნდა ვილონოთ რამე, რომ საქმე გამოვასწოროთ და ვიპოვოთ. თქვენ თვითონ, ჩემო დაო, უნდა გეცნობებინათ ჩემთვის მისი გამომგზავრება, და თუ ურიგოდ მოვექცეოდი, საყვედურის ღირსიც ვიქნებოდი. ის ხომ სასახლეში უცნაურად გამოცხადდა, ორ კაცზე დაყრდნობილი, თითქოს სიარული არ შეეძლო. მაშინ მთხოვა საპი სურვილის შესრულება, ორი გამოიზოგა, პირველი კი ეს იყო: მთელი წელი მასვი და მაჭამეო. წლის ბოლოს გამიმხილა ორი დანარჩენი სურვილიც: მიმენდო საბიფათო თავგადასავალი და ქალწულ ლიონეტასთან გამეშვა, მესამე სურვილი კი იყო, რაინდად ეკურთხებინა სერ ლანსელოტს, როცა თვითონ გარეთი ამას მოისურვებდა. ბევრს უკვირდა სასახლეში, რა სათხოვარი იყო ეს, ერთი წლით სმაქამა, ამიტომაც მრავალმა გადაწყვიტა გულში, რომ წარჩინებული ოჯახიდან გამოსულ ყმაწვილს არა ჰგავსო.

— სერ, — უბასუხა ორკნის დედოფალმა ართურს, — ჩემი შვილი თქვენთან გამოგზავნე მდიდრულად მოსილი, ძვირფასი აღჭურვილობით, რჩეულ ცხენზე ამხედრებული, საკადრისად ჩაცმული და ჯანსაღი, არც ოქრო აკლდა და არც ვერცხლი.

— შესაძლებელია და ასეც იქნებოდა, — თქვა ართურმა, — მაგრამ ჩვენთან ასე არ წარმომდგარა. თუმცა მისი გამგზავრების დღეს რაინდებმა მი-თხრეს, რომ ვილაც ჯუჯამ ჩინებული ცხენი მოჰგვარა, მდიდრული აღჭურვილობა და სამოსი მოართვა, აბჯარ-უნაგირიც მეფური იყო. გაკვირვებული ვიყავით, საიდან მოვიდა ასეთი სიმდიდრე. მხოლოდ მაშინ მოვისაზრეთ, რომ მაღალი წოდებისა უნდა ყოფილიყო.

— ძმაო, — უთხრა დედოფალმა, — ყველაფერი ეს მჯერა, რადგან ბავშვობიდანვე უცნაური და მოხერხებული იყო, რას არ იგონებდა, სიტყვას კი არასოდეს გატეხდა. მხოლოდ ის მიკვირს, რას ჩააცივდა სერ კეი, რას მასხრობდა და რისთვის მისცა ზედწოდება ვიუმეინ-მშვენიერხელებიანი? მაგრამ ამასთან სერ კეიმვე გამოუძებნა უკეთესი სახელი, ვიდრე თვითონ ეგონა, რადგან ჩემს შვილს მართლაც მსუბუქი ხელი და კეთილი ზნე აქვს, როგორც იშვიათად ვინმეს ექნება, თუ კიდევ ცოცხალია.

— დაო, — მიუგო ართურმა, — ასეთი სიტყვა კვლავ აღარ გამაგონო, ჩვენ შვიდსავე ქვეყანაში დავძებნით და ღვთის შეწევნით ვიპოვით კიდევ ყველაფერი ეს მორჩენ და დადგეს კვლავ მზიარულების ყამი, რადგან თქვენმა უმცროსმა შვილმა უმამაცეს და უკეთილშობილეს რაინდად გამოაჩინა თავი და ეს გულს მიხარებს.



თ ა ვ ი ო ც დ ა მ ა ზ ვ ი დ ე



როგორ ბაბუავენა ართურ მეფემ მოციქულით ლედი ლიონესასთან. როგორ ბრძანა ამ ქალმა ტურნირის მოწყობა და მის ციხისნიშნავრდსთან მრავალი რაინდი მოკლავდა

ქრისტეშენი

სერ გავეინმა და მისმა ძმებმა მეფე ართურს უთხრეს

— სერ, თუ ნებას მოგვცემთ, წავალთ ჩვენი ძმის საძებნელად.

— არა, — ჩაერია სერ ლანსელოტი. — არ არის საჭირო.

ასევე თქვა სერ ბეუდიუინ ბრეტონელმა:

— ჩვენი რჩევაა ართურ მეფემ ლედი ლიონესასთან შეაკაცები გაგზავნოს და სთხოვოს, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს სასახლეში. ის უსათუოდ მოვა და ყველაზე კარგად ის გვიჩვენებს, სად ვეძიოთ სერ გარეთი.

— კარგი თათბირია, — თქვა მეფემ.

მაშინვე დაწერეს თავაზიანი წერილები, შიკრიკი აფრინეს და უბრძანეს დღე და ღამე ექროლა, ვიდრე მუქარის ციხეში ჩაალწევდა. იქიდან კი ქალბატონ ლედი ლიონესას, სერ გრინგამურის კოშკში, სადაც მაშინ სერ გარეთთან ერთად იმყოფებოდა, კაცი აახლეს და ართურ მეფის კარზე მიწვევა აცნობეს. როცა ლედიმ გაიგო, ვისგან რა წერილიც მოუვიდა, შიკრიკს უკან დაბრუნება უბრძანა და დააბარა, რომ უმოკლეს დროში თვითონვე ეახლებოდა ართურ მეფეს, როგორც კი ამისი საშუალება მიეცემოდა.

ლიონესა შემდეგ სერ გარეთსა და სერ გრინგამურს ეახლა და უთხრა, ართური მიბარებსო.

— ეს ჩემს გამო გიბარებთ. — თქვა გარეთმა.

— მაშინ დამარიგეთ, რა ვთქვა და როგორ დავიჭირო თავი, — უთხრა ლედიმ.

— ჩემო ქალბატონო და სულზე უტკბესო. — უთხრა სერ გარეთმა, — გთხოვთ არ გაამზილოთ, სად ვიმყოფები. ვიცი, იქ იქნებიან დედაჩემი და ჩემი ძმები. ქვეყანას შეაჯერებენ ჩემს ძებნაში და ჩემი სურვილიც ესაა. აი რა მინდა კიდევ უთხრათ ართურ მეფეს, როცა ჩემს ამბავს იკითხავს. თუ მისი კეთილი ნება იქნება, ღვთისმშობლის მიძინების დღეს თქვენ მალემსრბოლებს დააგზავნით ყველა მზარეს და გამოაცხადებთ, რომ ვინც ასპარეზობაზე თავს გამოიჩენს და ყველა სხვა რაინდს დაამარცხებს, მას ერგება თქვენი თავიც და თქვენი მიწა-წყალიც, ხოლო თუ გამარჯვებული ცოლშვილიანი აღმოჩნდება, მიიღებს ძვირფასი თვლებით მოჭედულ, ათას გირვანქად ღირებულ ოქროს დიადემას და თეთრ სონღულს.

ასეთი დავალებით წავიდა ლედი ლიონესა ართურ მეფესთან და, მოკლედ რომ მოვკრათ, იქ დიდი პატივით მიიღეს. შემდეგ ართურმა და ორკნეის დედოფალმა დაუწყეს დაჟინებით გამოკითხვა, სად არისო სერ გარეთი, ამაზე უპასუხა, ვერ გეტყვითო, შემდეგ კი თავისი უთხრა:

— სერ, თქვენი ნებართვით, მოვიწვევ რაინდებს ასპარეზობაზე, რაც მინდა ჩემს ციხესთან მოვაწყო ღვთისმშობლის მიძინების დღეს. გამოვაცხადებ, რომ იმ ტურნირზე თქვენც იქნებით, ბატონო მეფე, თქვენი რაინდებიც და მათთან იასპარეზებენ ჩემი რაინდები. მაშინ, ალბათ, სერ გარეთის ამბავსაც შევიტყობთ.

— კარგად მოფიქრებულია. — მიუგო ართურმა.

ქალი წავიდა, მეფემ და მისმა კარისკაცებმა კი მოილაპარაკეს და განკა-



რგულეები გასცეს იმ ტურნირის თაობაზე, როცა ლედი ლიონესა მივიდა კუნძულ ავილიონზე, — სწორედ ეს გახლდათ სერ გრინგამურის კუნძული. ყველაფერი უამბო ძმას და უთხრა, ართურს ტურნირის მოწყობას დაგვირდიო.

— ვაგლახ! — თქვა სერ გარეთმა, — მე ხომ ისე ვარ დამკვიდრებული იმ ტურნირზე გამოსვლას ვერ შევიძლებ. მე ხომ კიდევ არ მომიჩია ის წყვეული ჭრილობა! როგორ არ მომაგონდა!

— ნუ დარდობთ, ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა ქალწულმა ლიონეტამ, — მე ვკისრულობ უახლოეს თხუთმეტ დღეში იმ ჭრილობისაგან თქვენს არულ განკურნებას, — შემდეგ თავისი გამზადებული უებარი წამლებითა და თავისი ხელოვნებით სიძე ფებზე დააყენა. ბიუმეინი უწინდელზე უფრო მხნე და ჯანსაღი გახდა.

ქალწულმა ლიონეტამ ახლა განაცხადა:

— გააგზავნეთ კაცი სერ პერსიანტ ინდოელთან, შეუთვალეთ, თავისი რაინდების თანხლებით გამოცხადდეს, როგორც დაგვირდა. ასევე მიუგზავნეთ მსახურები ირონსიდ-რკინის გვერდს, წითელი მინდვრის რაინდს და უბრძანეთ მთელი თავისი რაინდობით გვეახლონ. მაშინ შეგეძლებათ გამოსვლა ართურ მეფისა და მისი რაინდების წინააღმდეგ.

ასეც მოიქცნენ. რაინდები მუქარის ციხესთან შემოიკრიბნენ. წითელმა რაინდმა ლედი ლიონესას და სერ გარეთს შემოუთვალა:

— სერ პერსიანტიც და მისი ძმებიც ართურ მეფესთან ვიყავით, თქვენი ბრძანება შევასრულეთ, მორჩილება გამოვუცხადეთ. თან პირობა დავდეთ, რომ გამოვალთ სერ პერსიანტ ინდოელთან ერთად სერ ლანსელოტისა და მისი რაინდების წინააღმდეგ. ეს მოვიმოქმედე თქვენი, ჩემი ქალბატონის ლედი ლიონესას და სერ გარეთის გულისათვის.

— სწორად მოქცეულხართ, — მიუგო სერ გარეთმა, — მაგრამ იცოდეთ. გაგიჟირდებათ ქვეყნიერების ურჩეულეს რაინდებთან ბრძოლა. ამიტომ უნდა მოიწვიოთ საუკეთესო რაინდები, როგორნიც კი ჩვენს ქვეყანაში მოიძებნებიან.

— მართალია, — თქვა სერ პერსიანტმა.

მაშინვე შიკრიკები აფრინეს და მთელს ინგლისში, უელსში, შოტლანდიაში, ირლანდიაში და კორნუელში, აგრეთვე ყველა გარე კუნძულზე, ბრიტანში და კიდევ მრავალ სხვა მხარეში გამოაცხადეს, რომ ღვთისმშობლის მიძინების დღეს ხალხი მოგროვდეს მუქარის ციხესთან, რაც კუნძულ ავილიონის პირდაპირაა. და იქ რაინდებმა ამოიჩიონ ვინ ვის მხარეზე დადგება — ციხის მხარის რაინდების მხარეს დაიჭერენ თუ ართურ მეფის რაინდებს შეუერთდებიან. დრო კი ზუსტად ორი თვე დარჩა.

იმ დროს ართურის რაინდებს მრავალი რაინდი ემტერებოდა, ასე რომ უმრავლესობა ციხის რაინდებს უჭერდა მხარს. მათგან პირველი იყო სერ უპინოგრისი, ნორთუმბერლენდის მეფის ძე, მეორე იყო სერ პალომიდ-სარკინოზი, სერ საფირი და სერ აეგვარიდი. მისი ძმები, — ორივე უკვე მონათლული და სერ მალეგარინი, სერ ბრიან-კუნძულელი, კეთილშობილი რაინდი სერ გრუმორ გრუმორსონი, კეთილი შოტლანდიელი დევგმირი, ცრემლთა კოშკის რაინდი სერ კარადოსი, სახელოვანი მეომარი სერ ტარვინი, მისი ძმა, სერ არნოლდი და სერ გაუტერი, ორი ძმა, ბრწყინვალე კორნუელელი



რაინდები. იქვე მოვიდა სერ ტრისტრამ ლიონელი, მასთან სერ დინას-სენეშალი, რა სერ სადუკი. იმ ხანებში სერ ტრისტრამი ჯერ კიდევ არ იყო მრგვალი მაგიდის რაინდი, მაგრამ უკვე მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი რაინდის სახელი ჰქონდა.

ერქუნული

ყველა ეს კეთილშობილი რაინდი მუქარის ციხის გმირებში მჭიდროდ მხარეზე იდგა. მათი მეთაური იყო წითელი მინდვრის წითელი რაინდი. რაც შეეხება სერ გარეთს, მან მხოლოდ უბრალო რაინდის სახელით იწევა გამოსვლა.

### თ ა ვ ი ო ც დ ა მ ა რ ვ ე

როგორ ბავშვავრა იმ ტურნირზე ანთურ მეფე თავისი რაინდების თანხლებით, რა კატინით მიიღო ლედიმ ყველანი და როგორ დაიწამს რაინდებმა ბრძოლა

ახლა ისევ ართურ მეფის სამზადისს მივუბრუნდეთ: მან თან იახლა სერ გავეინი, აგრავეინი და გაპერისი, სამი ძმა; აგრეთვე თავისი ძმისწულები: სერ ივეინ-თეთრხელებიანი და სერ აგლოვალი, სერ ტორი, სერ პერსივალ უელსელი და სერ ლამორაკ უელსელი. თან მოჰყვნენ: სერ ლანსელოტ ტბელი ძმებით, ძმისწულებითა და ნათესავეებით: სერ ლიონელი, სერ ექტორ მენაპირე, სერ ბორს განელი და სერ ბლეობერის განელი, სერ გალიპოდინი, სერ გალიპუდი და კიდევ ბევრი ლანსელოტის გვარიდან. ჩამოვიდა სერ დინადანი და მისი ძმა, მეტსახელად კონკია, ბრწყინვალე რაინდი, სერ საგრამურ სასურველი, სერ დოდინას მძვინვარე, და თითქმის ყველა სხვაც, თითქმის მთელი მრგვალი მაგიდის რაინდობა.

ართურ მეფეს ახლდნენ მეფეებიც: ირლანდიის მეფე ანგვისანსი, შოტლანდიის მეფე კარადოსი, მეფე ურიენსი, გოორის მიწის პატრონი, მეფე ბაგდემაგუსი და მისი შვილი სერ მელეგანტი, სერ გალაპალტიც მასთან, კეთილშობილი პრინცი, სხვა კეთილშობილი პრინციები, ბარონები, გრაფები და კეთილშობილი რაინდები, მაგალითად, სერ ბრანდილესი, სერ ივეინ თავზებულალებული, სერ კეი, სერ ბედივერი, სერ მელიოტ ლოგრელი, სერ პეტისას უანჩელსელი, სერ გოტლეიკი, ყველა ესენი ართურ მეფეს ახლდნენ, და კიდევ ბევრი სხვაც, რომელნიც არ დაგვისახელება.

ახლა მოვასვენოთ ეს რაინდები და მეფეები, გავხედოთ ციხეს და მის შემოგარენს, თუ რა უზარმაზარი სამზადისი მიმდინარეობდა, რადგან ლედი ლიონესამ განკარგულება გასცა, ყველაფერი უხვად მოემზადებინათ ღირსეული სტუმრების დასახვედრად — ყოველნაირი სანთვაგე, მდიდრული ღამისსათევები, ყოველგვარი საქონელი, რისი შოვნაც კი ზღვასა და ხმელეთზე შეიძლება, რომ არავის არაფერი დაკლებოდა და თანაც ართურსა და მის რაინდებს შეეძლოთ ოქროს ან ვერცხლის ფასად ეყიდათ.

მალემსრბოლმა ამბავი მოიტანა: ახლოვდებიანო ართურ მეფე, მისი რაინდები და მეფეები, გრაფები და ბარონები.

მაშინ სერ გარეთმა ცალ-ცალკე სთხოვა ლედი ლიონესას, წითელი მინდვრის წითელ რაინდს, სერ პერსიანტსა და მას ძმებს, სერ გრინგამურს რომ არც ერთ მათგანს არც ერთი საბაბით არ ეთქვათ მისი ნამდვილი სახელი, თანაც მოპყრობოდნენ, როგორც ვინმე უკანასკნელი რანგის რაინდს.



— არა მსურს მიცნონ. არც დიდმა, არც მცირემ, არც დასაწყისში, არც ბოლოს.

სერ გარეთს ლედი ლიონესამ უთხრა:

— სერ, მინდა მოგცეთ ჩემი ბეჭედი. მაგრამ გაფიცებთ თქვენს მზურვალე სიყვარულს, დამიბრუნეთ ტურნირის დასასრულს, რადგან ვერაღ უფრო მეტ სილამაზეს მანიჭებს, ვიდრე ვარ სინამდვილეში. ჩემი ბეჭედის ძალა კი ასეთია: მწვანეს წითლად აქცევს, წითელს კი ასევე აქცევს მწვანედ, ლურჯს თეთრად გვაჩვენებს და თეთრს ლურჯად. ასე ცვლის ყველა ფერსაც. მერე, ამ ბეჭედის მფლობელი წვეთ სისხლს არ დაკარგავს. ბეჭედს გაძლევთ ნიშნად ჩემი დიდი სიყვარულისა.

— გრამერსი, — მიუგო გარეთმა, — ჩემო საყვარელო ქალბატონო. ეს ბეჭედი დიდ სამსახურს გამიწევს, ფერს შემიცვლის და ვერავინ მიცნობს.

სერ გრინგამურმა კი სერ გარეთს მისცა წაბლა მერანი, მტკიცე აბჯარი და კეთილშობილი მახვილი, რომელიც სიჭაბუკის წლებში მამამისს აეხსნა ერთი წარმართი ტირანისათვის.

ასე ემზადებოდნენ საასპარეზოდ სხვა რაინდებიც.

ართურ მეფე მიძინების დღემდე ორი დღით ადრე ჩავიდა ციხეში. იგი მეფური ბრწყინვალეობით მოეწყო, მის ირგვლივ თავი მოიყარეს საუკეთესო მენესტრელებმა და ბარდებმა, უმჯობესებმა უმჯობესთა შორის. ჩამოსულეში იყვნენ მასთან ერთად მისი მეუღლე, დედოფალი გვინივერა და ორკნის დედოფალი. მისი და — სერ გარეთის დედა.

აი, მიძინების დღეც დადგა. ცისკრისა და წირვის შემდეგ პეროლდებმა ბუკთა ქუხილით აუწყეს ყველას, რომ იწყებოდა ტურნირი. მოედანზე გამოვიდა სერ ეპინოგრისი, ნორთუმბერლენდის მეფის ძე. მას შეხვდა სერ საგრამურ სასურველი. ეტაკნენ ერთმანეთს და ზედვე შეაღწეს შუბები, ტარებილა შერჩათ ხელში. შემდეგ ციხიდან გამოვიდა სერ პალომიდი, მას სერ გავეინი შეება და ორივე ძირს დაეცა, მათთან ერთად დაცვივდნენ ცხენებიც. ორივე მხრიდან გავარდა რამდენიმე რაინდი, რომ მიშველებოდნენ და ფეხზე დაეყენებინათ.

მაშინ ველზე გამოვიდნენ სერ საფირი და სერ სეგვარიდი, სერ პალომიდის ძმები. სერ საფირს შეხვდა სერ აგრავეინი, სერ სეგვარიდს — სერ გაპერისი. ამ შეტაკებაში სერ საფირმა დაამარცხა სერ აგრავეინი, ხოლო სერ მალეგრინი, ციხის რაინდი, სერ ივეინ თეთრხელებიანს დაეტაკა, და სერ ივეინმა ისე ჩამოაგდო ცხენიდან, რომ კინალამ კინჩხი და კისერიც მოსტება.

### თავი ოცდამეცხრე

! როგორ ეპირათ თავი ბრძოლაში რაინდებს

სერ ბრიან კუნძულელი და სერ გრუმორ გრუმორსონი, ციხის მხარის რაინდები, სერ აგლოვალისა და სერ ტორის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ამ უკანასკნელებმა ციხის რაინდებს სძლიეს.

შემდეგ გამოვიდა სერ კარადოაი ცრემლთა კოშკიდან და სერ ტარქვინი. ციხიდან. აქედან გავიდნენ სერ პარსივალ უელსელი და სერ ლამორაკი. მი-



სი ძმა და ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთიმეორეს, რომ სერ პარსივალს და სერ სკარადოსს შუბები ტარამდე შეელეწათ, სერ ტარკვინი და სერ დომორაკი ცხენებიანად გაიშხლართნენ დედამიწაზე. ორივე მხარის რაინდებმა გაყეხეს და ისევ ცხენებზე შესვეს.

ერქუნული

ციხის რაინდები სერ არნოლდი და სერ გაუტერიც გამოვიდნენ სერ ბრანდილესისა და სერ კეის წინააღმდეგ, ოთხივემ შუბები შეაღწია მოწინააღმდეგეს.

ამის შემდეგ გამოვიდა სერ ტრისტრამი, სერ სადუკისა და სერ დინასის თანხლებით და ციხის რაინდები. სერ ტრისტრამს შეხვდა სერ ბედივერი, და ეს უკანასკნელი ცხენიანად ძირს დაცემული აღმოჩნდა უმაღვე. სერ სადუკი კი სერ პეტუპასმა დაამარცხა. სერ დინას-სენეშალი დაჯაბნა სერ ივეინ თავზე-ხელოლებულმა.

შემდეგ გამოვიდა ველზე სერ პერსიანტი ინდოელი, ციხის რაინდი, მის წინააღმდეგ ართურის მხრიდან დაიძრა სერ ლანსელოტ ტბელი და მყისვე ცხენიანად დასცა ძირს სერ პერსიანტი. ციხიდან გამოსულმა სერ პერთოლიპმა, მწვანე რაინდმა, ძირს დააგდო ლიონელი, ლანსელოტის ძმა.

ყველაფერს ამას აცხადებდნენ პეროლდები, თუ ვინ დამარცხდა და ვინ ისახელა თავი. აი, გამოვიდა ველზე სერ პერიმონი, წითელი რაინდი, სერ პერსიანტის ძმა, ციხის რაინდი, და დახვდა სერ ექტორ მენაპირე, და ორივე პირველსავე დაჯახებაზე ცხენებიანად ძირს დაგორდა.

შემდეგ გამოვიდნენ სერ გარეთი და წითელი მინდვრის წითელი რაინდი, ორივე ციხიდან. შეხვდათ სერ ბორს განელი და სერ ბლეობერისი. წითელმა რაინდმა და სერ ბორსმა ისე ატაკეს ერთმანეთს შუბები, რომ დაამსხვრიეს და ორივეს ცხენიც ძირს დაეცა. სერ ბლეობერისმა კი თავისი შუბი სერ გარეთს შეაღწია, მაგრამ ცხენიდან მხოლოდ თვითონ გადავარდა. ეს დაინახა სერ გალიპოდინმა და სერ გარეთს უყვირა, მოიცადე, ველიდან გასვლას ნუ იჩქარებო. მაგრამ სერ გარეთმა ისიც ძირს დააგდო. მაშინ შუბს ხელი ჩაავლო სერ გალიპოდინმა, რომ ძმის დამარცხების გამო შური ეძია, მაგრამ სერ გარეთი მასაც ისევე გაუმასპინძლდა. ასევე დასცა სერ დინადანი, მისი ძმა, მეტსახელად კონკია, სერ საგრამურ სასურველი, სერ დოდინას მძვინვარე — ყველა ეს რაინდი ერთი შუბით დასცა მიწაზე.

როცა ირლანდიის მეფემ ანგვისანსმა სერ გარეთის საგმირო საქმეები ნახა, დიდად გაუკვირდა. ეს რაინდი ვინ უნდა იყოსო, რადგან ჯერ მწვანე ჩანდა, შემდეგ მორიგ ბრძოლაში წითლად შეფერადდა, ხანაც ლურჯად გამოიყურებოდა. ასე რომ, ყოველ ახალ წრეში ის ახალ ფერს იღებდა და ვერც შეფე, ვერც რაინდები ვერა სცნობდნენ.

აი, თვითონ ირლანდიის მეფე ანგვისანსი დაიძრა სერ გარეთის წინააღმდეგ, და სერ გარეთმა ისიც იოლად დააგდო. ცხენიან-უნაგირიანად დასცა ძირს.

შემდეგ სერ გარეთს შეეტაკა მოტლანდიის მეფე კარადოსი, მაგრამ სერ გარეთმა ისიც დაჯაბნა. ამგვარადვე დაამარცხა გოორის მეფე ურიენსი. შემდეგ გამოვიდა სერ ბაგდემაგუსი — სერ გარეთმა ისიც დათრგუნა, ცხენიც ძირს დააგდო და მხედარიც. მისმა შვილმა სერ მელეგანტმაც, შუბი შეაღწია სერ გარეთს, მთელი რაინდული ძალით რომ აძგერა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.



მაშინ შესძახა სერ გალაპალტმა, კეთილშობილმა პრინცმა:

— ჰეი, ნაირფერო რაინდო! ბრწყინვალედ იბრძვი! მაშ კიდევ გაეზახდე, რომ ჩემი ძალაც გამოვცადო!

სერ გარეთმა რომ ეს ხმა გაიგონა, უფრო მძლავრი შუბი აიღო და გაიღწინ ველზე და პრინცის შუბიც ნაფოტებად იქცა. სერ გარეთმა კვლავ იქვე დაეკეპე პეში ისეთი დარტყმა აგემა, რომ რაინდი ჰაერში დაირწა და კიდევ დავარდებოდა გარეთიანებული, მისიანებს რომ არ შეეკავებინათ.

— ღმერთს ვფიცავ, — შესძახა ართურ მეფემ, — ეს ნაირფერი რაინდი ჩინებული მებრძოლია.

ახლა სერ ლანსელოტი მოიხშო და სთხოვა, იმ რაინდს შეეპიო.

— სერ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — გული მეუბნება, რომ მასთან ბრძოლა შემდეგისათვის გადავდოთ და დღეს აღარ გამოვიდეთ, რადგან ძლიერ ბევრი საგმირო საჭმე მოახდინა. როცა რომელიმე რაინდი ასე ძლიერ გამოიჩენს თავს, იმ დღეს სხვა გამოჩენილ რაინდს აღარ ეკადება მისი დიდების შეცილება, რადგან დიდი ჯაფაა გაწეული. იქნებ აქვეა სადმე მისი მტერი და ორგული, ან იქნებ უყვარს რომელიმე ქალი, აქ რომ იმყოფება, — ასეა თუ ისე, ძალიან ცდილობს და თავს არ იზოგავს. ამიტომ, — დაასრულა სერ ლანსელოტმა, — თუ მე მკითხავთ, დღეს გამარჯვება მას ეკუთვნის და პირველობას არ შევეცილები, თუნდაც წართმევა შემეძლოს.

(გაგრძელება იქნება)





### რადიოკამეო

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ჩიკვაიშვილმა

### წინასიტყვაობა

ირლანდიელი მწერალი და დრამატურგი საქუელ ბეკეტი დაიბადა 1906 წლის 13 აპრილს ფოქსროკში, დუბლინის მახლობლად. საამების კოლეჯის დამთავრების შემდეგ 1928-30 წლებში იგი ინგლისური ლიტერატურის კუასს კოახულობდა პარიზში. 1930-32 წ. წ. იმავე კერსს კოახულობს დუბლინის საამების კოლეჯში 30-იან წლებში პარიზში ბეკეტი უერთდება ჯონისის წრეს, ეროხანს მის პირად მდივხადუე მუშაობს, მთგზაურობს ინგლისსა და გერმანი-აში. 1937 წლიდან იგი საბოლოოდ მკვიდრდება პარიზში. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ოკუ-პაციის პერიოდში იგი ფრანგ ხალხთან ერთად უბრძოდა ოკუპანტებს.

ბეკეტის შემოქმედების ირლანდიურ კუფიო-ოდს ეკუთვნის ინგლისურ ენაზე დაწერილი პოემა „პოროსკობა“ /1930 წ./, მოთხრობათ: კრებული „სჯობს მეტი ჩხელეტა, ვიდრე პანდური“ (1934 წ.), რომანებუ „მერაი“ (1934 წ.), „ვატი“ (1944 წ.) და ი. შ. იცვლება ლი-ტერატურული გარემოცვა და ბეკეტი ფრან-გულად იწყებს წერას. 50-იანი წლებიდან იგი ორენოვანი ხდება. ამიერიდან მის შემოქმედე-ბაში თანასწორი უფლებით სარგებლობენ ფრანგული და ინგლისური ენები. იგი პიესებს წერს ინგლისურად ან ფრანგულად და შემდ-გომ ან თვითვე თარგმნის მეორე ენაზე, ანდა შემოქმედებით კავშირში რომელიმე მთარგ-მნელთან. ასე, მაგალითად, 1952 წ. ფრანგულად დაწერილი რომანი „მელონი კედება“ ინგლისუ-რად ითარგმნა 1956 წ. ფრანგულად დაწერილ ნაწარმოებებში იგრძნობა ჯ. სვიფტის, ლ. სტე-რნისა და ჯ. ჯონისის გავლენა, ხოლო ინგლისუ-რად დაწერილი პიესები და რომანები თავისი უფრო დამაჯერებელი, სერიოზული და ღრმა

ტონით ახლოს დგანან დოსტოევსკის, კაუკასა და ფრანგი ეგზისტენციალისტების ნაწარმოებუ-ბთან.

1952 წ. შეიქმნა ბეკეტის ტრაგიკომედია „გოდოს მოლოდინში“, რომელმაც აერთი-საყოველთაო აღიარება მოუტანა. მას მოჰყვა პიესები: „თამაშის დასასრული“ (ფრ. ეპო, 1957 წ.), „ბედნიერი დღეები“ /1960 წ./, რა-დიოპიესები: „სიტყვები და მუსიკა“ (1961 წ.), „კასკანდო“ /1963 წ./ და სხვები. 1969 წ. ბე-კეტს 63 წლის ასაკში ნობელის პრემია მიენიჭ: „დრამატული ნაწარმოებების ახალი ფორმების“ და „ახალი თეატრალური გამომსახველობითი ხერხების“ შემოტანისათვის.

ბეკეტი ავანგარდული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია ქართულ-მკითხველისათვის ცნობილია მისი ორი პიესა: ტრაგიკომედია „გოდოს მოლოდინში“ და რა-დიოპიესა „ნავეერჩხლები“. ამჯერად მკითხველს უთავაზობთ ბეკეტის რადიოპიესას „კასკანდო“. ცნობილია, რომ პიესის თედაპირველი სათ-აური იყო „Calando“, რადგანაც „Cascando“ უკვე ბეკეტის ერთ-ერთი ლექსს ერქვა. Calando მუსიკალური ტერმინია და ნი-შნავს „კლებადს“. იგი ექვივალენტურია diminuendo-სი ან descrecendo-სი. მა-გრამ იმის გამო, რომ Calando ფრანგულ ენაში სიტყვა „ყველის“ სლენგი იყო, პიესა-საბოლოოდ მაინც „Cascando“ დაერქვა. კონტრაქტის თანახმად მუსიკა პიესისათვის უნ-და დაეწერა კომპოზიტორ მარსელ მისალოვიჩს. პიესის ფრანგული ვარიანტი 1963 წ. კალიფორ-ნიაში გამოიცა. მას ახლდა ე. ტომოვენის გერმანულ-თარგმანი. პირველი ინგლისური ვარიანტი 1964 წ. შეიქმნა და დაბეჭდა ლონდონში გა-



მოცულობულ არებულში „პიესა და ორი მოკლე ნაწარმოები რადიოსათვის“. რადიოდადგმაში გამხსნელს და ხმას სხვადასხვა შემსრულებელი ანსახიერებდა.

ჩვენი დროის არც ერთ მწერალს არ განუცხადებია ისე გადაჭრით უარი საკუთარი ნაწარმოებების ახსნა-განმარტებაზე, როგორც ბეკეტს. პარადოქსულია ის ფაქტი, რომ მისი ნაწარმოებების გარშემო შექმნილია უზარმაზარი და საკმაოდ რთული კრიტიკული ლიტერატურა მრავალმხრივი და საკმაოდ წინააღმდეგობრივი მისი ნაწარმოებების ინტერპრეტაცია.

ბეკეტის ნაწარმოებებში სიმარტოვის, ადამიანისა დეგრადაციისა და ცხოვრების აბსურდულობის შეგომნება უკიდურესობამდეა გამწვავებული. მისი გმირები არსებობენ საოცრად ბუნდოვან აწმყოში, მათი ყოფნა სულაც არ ჰგავს უოფხას. ისინი ვერ სცნობენ ვერაფერს, რაც მათ გარშემო ხდება. ისინი საკუთარ სხეულსაც ვერ სცნობენ, ადამიანი მარტოა, ღმერთსა და სამყაროს მოწყვეტილი.

„ვოდოს მოლოდინში“ ორი მათხოვარი განასახიერებს ადამიანებს საერთოდ, მათ, ვინც ცოცხალია, მაგრამ აღარ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. ამ ფაქტზე შთამაგონებლად მიგვითითებს ცარიელი სცენა გმირები მოწყვეტილი არიან სამყაროს, ეს პარალიზებული ტაქიმისხატები აბსურდულ სიტუაციაში იმყოფებიან. მათთვის არა მარტო ნივთები, არამედ სამყაროც არ არსებობს. ბეკეტის პაროდია უნივერსალური ხასიათისაა. გმირების სახელებია ვლადიმირი (რუსული სახელია), ესტრაგონი (ფრანგული), პოცო (იტალიური) და ლაქა (ინგლისური) მაგრამ აქ მნიშვნელობა ენიჭება არა ეროვნებებსა და ეროვნულ ხასიათებს, არამედ იმას, რომ ამ ფარსში მთელი კაცობრიობაა ჩათრეული.

მიუხედავად მათი არსებობის უარობისა, ბეკეტის გმირები, ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი კლასიკური ლიტერატურის გმირებთან განსხვავებით, თავს არ იკლავენ. ისინი არჩევენ „გაგრძელებას“. არსებობ, რადგანაც არსებობ — ცხოვრების ამგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე ბეკეტის ნაწარმოებებში. მის გმირებს არ ძალუძთ თავისი მდგომარეობის უაზრობა სცნონ დრო არ წარმოადგენს ბეკეტის ნაწარმოებებში რეალურ განზომილებას, რადგანაც აქ ყველაფერს აბსურდი განიგებს. იგი ხაზს უსვამს უგულაფერს, რაც კი რჩება არყოფნის ნისლით შემოსილ გმირთა აწმყოში, აწმყოში, რომელშიც არაფერი არ ხდება.

ბეკეტის გმირები მეტყველებენ როგორც სურათ. მათი დიალოგები უფრო აგონიას მოგვაგონებენ. ისინი სუფულანს ამბებს ყვებიან,

რადგან სხვა არაფერი დაჩქინიათ, ამით მათ დრო გაჰყავთ. ბეკეტის თვალსაზრისით შედმიწევნით ხუსტად აღიბეჭდება მისი ენაში, მის ენობრივ სტრუქტურებში, რომლებიც წარმოიქმნებიან სპონტანუოდ. *ქართული ნაწარმოები* ნაწილად. ტექსტი საესეა *ბუნებრივი* *მეცნიერებებით*. გმირები ხშირად უბრუნდებიან უკვე თქმულს, სხვაგვარად აყალიბებენ ნათქვამს, მის ახსნას კი არ გვთავაზობენ.

„ტექსტებში არაფრისათვის“ უფრო გასათვარ ფორმებში ვხვდებით ადამიანის შინაგან დრამას. გმირის ხანგრძლივი თვითაღსარების მანძილზე მისი პიროვნება (მისი პიბოსტახირებული შემეცნების წყალობით) წარმოგვიდგება დანაწევრებულიად. ინდივიდუუმების უცნაურ კვანძებად, რომლებიც ედავებიან ერთმანეთს და არ სცნობენ ერთმანეთს. „მე“, რამდენადაც ის არსებობს, წარმოგვიდგება ამ მიჯროსამყაროში მიმდინარე აბსურდული პანტომიმის პარალელურ მდგომარეობაში მყოფ მეთვალყურედ.

„მე“ აქ „იშად“ იტყვია, მაგრამ „ის“ ამივე დროს არის „მე“, რომელიც მოწადინებულია საკუთარი თავი უარყოს. ეს გაუთავებელი პიროცესია „კასკანდო“-შიც გამხსნელი გაუთავებელი ურთიერთობაში იმყოფება ხმასთან, რომელიც მუდამ „იქ“ არის და სწრაფად და უთავებოლოდ მოგვითხრობს ვობერნის ამბავს, ეს მეორდება კოვკლოვს, როდესაც გამხსნელი უბრუნდება „გახსნის“ რიტუალს (ფარდას ხლის თავის შინაგან სამყაროს).

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი დროის არც ერთ მწერალს არ განუცხადებია ისე გადაჭრით უარი საკუთარი ნაწარმოებების ახსნა-განმარტებაზე, როგორც ბეკეტს. მის თვალსაზრისზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნიან მის მიერ დაწერილი სტატიები (სტატია მარსელ პრუსტზე, სემუელ ბეკეტისა და ჯორჯ დუტჰიტის დიალოგები). ბეკეტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელოვნებას, რომელიც „დაიქანცა თავის მოკატუნებით, თითქოს უნარი შესწევს ოდნავ ახლებურად გადაწყვიტოს იგივე ძველი თემა იგივე მოსაწყენ გზაზე“ და ხელოვნებას. „რომელიც აღიარებს, რომ გამოსახატავი არაფერია, რომ მას არ ძალუძს გამოხატვა, მაგრამ ამივე დროს გრძნობს, რომ ვალდებულია გამოხატოს“.

პიესა „ფილმის“ სცენარის ზოგადი ხასიათის წინასიტყვაობას წინ უძღვის ირლანდიელი ეპისკოპოსის ჯ. ბერკლის გამოხატულება: *Esse est percipi* (ყოფიერება თვითშეგრძნებაა). პიესაში, როგორც ბეკეტი აღნიშნავს, „მთავარი გმირი გაყოფილია ობიექტად და თვალად. პირველი მუდამ გარბის, უკანასკნელი კი მუდამ მადევარია. პიესის ბოლომდე გაურკვეველი



რჩება, რომ მადეგარი /შემშეცნებელი/ არის არა ვიღაც უცხო, არამედ იგივე „მე“.

ბეკეტის ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსების გავლენა, თუმცა იგი საერთოდ უოველგვარ ფილოსოფიურ თეორიებთან კავშირს უარყოფს.

თვითშეგრძნება /თვითაღქმა/, ბეკეტის აზრით, ჩვენი არსებობის /ყოფიერების/ აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ჩვენ ვარსებობთ, რადგანაც უნარი შეგვქმნის შევიგრძნოთ საკუთარი თავი, თუ მართალია, რომ შემოქმედი შეგრძნებას (აღქმას) მიჰყავს მის მიერ შეგოძნებულის გამოხატვის აუცილებლობისაკენ, მაშინ გამოდის, რომ ეს აუცილებლობა წარმოადგენს შემოქმედის არსებობის მდგომარეობას და პირობასაც. ეს გაუთავებელი პროცესია. სიცოცხლეში შემოქმედს არ ასვენებს ხმა, რომელიც გუგუნებს „კასკანდოში“: „ამბავი... დასრულება რომ შეგეძლოს... მოისვენებდი... დაიძინებდი... მანამდე არა... და დავასრულე ის... ეს ის არ იყო...“. თვით შემოქმედის ყოფიერებაც მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ამიტომაც, როგორც ბეკეტი აღნიშნავს თავის ესეიში პრუსტზე, შემოქმედს ძალუძს მხოლოდ ერთგული დარჩეს უშუალო თვითშეგრძნების ყოველი წუთიერი ატომის მიმართ.

თუ სურს ერთგული დარჩეს თავისი მოწოდების, შემოქმედმა უნდა მიუძღვნას თავი ამ ცვალებად „მე“-ს აღბეჭდვას. თავის ესეიში ბეკეტი წერს, რომ შემოქმედს საქმე აქვს მოვლენების უშუალო, არალოგიკურ გადმოცემასთან, მათი აღქმის წესრიგისა და სიზუსტის დაცვით, მანამ მოხდებოდეს მათი დამახინჯება გარკვეულობისა და ლოგიკურობის შეცემის მიზნით. გვახსენდება შოპენჰაუერის გამონათქვამი: „შემოქმედებითი პროცედურა სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს კვრეტა რაციონალური პრინციპისაგან დამოუკიდებლად“.

ბეკეტის მუშაობის მეთოდი სპონტანურია, მის ნაწარმოებებს დასაბამს აძლევს ხმა, რომელიც ღრმად არის ჩაგუბებული მის არსებაში და რომელსაც იგი თავისი საკუთარი სიღრმეებიდან მოიხმობს. ამ მხრივ ბეკეტი განსწავლდება 20-30-იანი წლების სიმბოლისტებისაგან, რადგანაც მას შემდეგ, რაც ის შემოიკრებს ქვეცნობიერ ხმებს, იგი ახდენს მათ ავტომატურად ჩაწერას.

ამგვარად, რაკი ინდივიდუალური განუწყვეტლივ იცვლება და მხოლოდ უშუალო განცდა /აღქმა/ წარმოადგენს ქვეშარიტების საფუძველს, ის განზოგადოებული დებულებები, რომელთაც პრეტენზია აქვთ არსებობაზე დროის ნაკადისა და ინდივიდუალური თვითშეგრძნების მიღმა, უდავოდ არასწორნი არიან, რადგანაც დროის

უწყვეტი ნაკადის მიმდინარეობის პროცესში ყოველი მომენტი წინარეს უარყოფს.

ბეკეტი მიიჩნევს, რომ ყოფიერების ერთადერთ ნათელ საბუთს წარმოადგენს ინდივიდუალური მიერ საკუთარი ცნობიერების განცდა. შემეცნება /შეგრძნება/ უწყვეტ მუდმივად იცვლება და ამის გამოცხადებითი ხასიათისაა. საბოლოო ჯამში, ეგზისტენციალური გამოცდილება, ბეკეტის აზრით, არის სიცარიელისათვის ფორმის მიცემის ცდა.

აშკარაა ანალოგია ამ ესეიში გამოთქმული აზრებისა უდიდესი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის კირკეგორის ეგზისტენციალურ თეორიასთან. როგორც კირკეგორი აღნიშნავდა, არ არსებობს აბსტრაქტული ქვეშარიტება, რომელიც მოწყვეტილია ინდივიდუალური ეგზისტენციალური გამოცდილებას. „ეგზისტენცია წინ უძღვის არსს“ (essance): სუბიექტური აზრი უფრო მაღალი რიგისაა, ვიდრე ობიექტური, რადგან სუბიექტური აზროვნება მთელ ღონეს ახმარს გარდაქმნის პროცესს. „უარყოფითად“ მოაზროვნეებს უპირატესობა აქვთ „დადებითად“ მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, რადგან მათ იციან უარყოფითის არსებობის შესახებ.

სწორედ კირკეგორმა აღიარა, რომ მწერალი, რომელსაც ამგვარი თვალსაზრისი აქვს, აუცილებლად უნდა იყოს ერთდროულად როგორც კომიკოსი, ასევე ტრაგიკოსიც, რადგანაც ილუზორულია ისეთი პათოსი, რომელიც კომიკური ელემენტებით არ არის გაძლიერებული, და პირიქით, თუ კომიკურს პათოსი არ ახლავს, ეს მოუშწიფებლობაზე მეტყველებს. ამგვარ მწერალად გვევლინება სემუელ ბეკეტი, რომლის შემოქმედებაშიც მკიდროდ არის დაკავშირებული ტრაგიკული და კომიკური ელემენტები.

ბეკეტის ნაწარმოებებში მნიშვნელოვან ადგილი უკავია ურთიერთობას გაუთავებლად ხრწნად /თავისი ბუნებით/ მატერიალურ სამყაროსა და ცნობიერების არამატერიალურ ასპექტებს შორის. ეს უკანასკნელი მუდმივ განახლებაში იმყოფება. ცნობიერებას არ შეუძლია აღიქვას თავის თავი როგორც არარსებული, ამიტომაც იგი აღიქვამს თავს როგორც უსახლგროს, უსასრულოს. რაც უფრო მეტად იხრწნება ბეკეტის ნაწარმოებებში მატერიალური გარეგანი, მით უფრო მტკივნეული ხდება ეს დაძაბული ურთიერთობა დროებითისა და უსასრულოს შორის. ბეკეტის გმირებმა შეიძლება დაკარგონ ვადა-ადგილების უნარი, მათი გრძნობები იხრწნებიან, მაგრამ ისინი აგრძელებენ საკუთარი თავის შეგრძნებას /აღქმას/. ამის დამადასტურებელია ბეკეტის ნაწარმოებების ბოლო სიტუაციები, რომლებიც გულსხმობუნ მარადიულ განმეორე-



ბას. გავიხსენოთ თუნდაც „კასკანდოს“ ფინალი: „ამჯერად... სწორედ ის არის... დაასრულე. აღარავითარი ამბები... ძილი... ჩვენ იქ ვართ... თითქმის... არ გაუშვა... ვობერნი... მიპყვევი... მიპყვევი...“

ბეკეტის ნაწარმოებებში ინდივიდუულის „მე“ ყოველთვის გახლეჩილია იმად, ვინც უშუალოდ შეიგრძნობს და იმად, რასაც პირველი შეიგრძნობს. „მე“-ს ასპექტები ურთიერთს ავსებენ. ალბათ ამგვარ დამოკიდებულებაში უნდა განვიხილოთ „კასკანდოში“ შემოყვანილი გამხსნელი და ხმა. გამხსნელი უშუალოდ შეიგრძნობს, ხოლო ხმა „მე“-ს ის ნაწილია, რომელსაც იგი შეიგრძნობს. აღსაქმელი ნაწილი თავისი ბუნებით უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს /ხმა გამუდმებით სხვადასხვა ამბებს მოგვითხრობს/, გამხსნელი გზას უბნის ხმას და მუსიკის ნაკადს (გრძნობის უსიტყვო ნაკადს, უსიტყვო თვითშეგრძნებას), შემდეგ კი კვლავ წყვეტს მათ: „და მე ვეძიებ... ეს ჩემი ცხოვრებაა...“ და ა. შ.

ვობერნი ალბათ ის მიუღწეველი „მე“-ა, რომლის შესაცნობადაც იღწვის გამხსნელი. ის მიუღწეველი „მე“-ა, რომლისაყენაც მიიღტვის ალბათ თვით ბეკეტი, როგორც შემოქმედი და აღამიანი. მას მუდამ აქვს იმედი, რომ პილოს და ბოლოს „ეს მე ვიქნები“ („ეს ის იქნება“). ვობერნი, უმისამართოდ დადიხ, ხან გორაკებზეა, ხანაც ზღვაში, ნავში ზის, ხან კუნძულს უბრუნდება, ხან ისევ შუა ზღვაში გადის, რათა იმოვოს მოსასვენებელი ადგილი „სადმე სხვაგან“. მიაკენ მიიღტვის გამხსნელი, ხმაც იქითკენ მიიღტვის, რომ მოიპოვოს ვობერნი, რომელიც მუდამ „იქ“ არის.

პიესის განვითარებასთან ერთად გამხსნელის უშფოთველი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ მარცხს განიცდის. ჩვენ გვესმის, თუ როგორ ემსგავსება იგი თანდათან ხმას, ხმასაც აღმოხდება მასავით სურვილი ძილის და მოსვენების. ამავე დროს ისინი ორივენი სულ უფრო მეტად ემსგავსებიან ხმის გამირს — ვობერნს. გამხსნელი უწოდებს ხმას და მუსიკას ორ გამოსაჯალს. როდესაც ერთ ადგილას ხმა და მუსიკა ჩუმდება, გამხსნელი ავლენს თავის ემოციურ დამოკიდებულებას ამბის მიმართ, ბოლოს კი ის და ხმა საბოლოოდ უერთდებიან ერთმანეთს: „ახლა კი... ის არის... დაამთავრე... არავითარი ამბები...“

გამოდის, რომ „ისინი (როგორც გამხსნელი ამბობს) მართალი იყვნენ, როდესაც „ამბობდნენ“, რომ „ის მის თავშია“. მაშინ ხმა და ვობერნი უთუოდ „დაგვეგმილნი“ არიან გამხსნელის მიერ. და მაინც საოცრად ძლიერია გაგონილ ბგერათა სიძლიერე, გვაოცებს ხმისა და

მუსიკის ავტონომია და მათი უცნაური ჰარმონია, რომელიც ასე აბნევს გამხსნელს: „განა ესეც ჩემია?... თითქოს მხარში ამოვდგომიან ერთმანეთს...“



მრავალმხრივია ის ტრანსპარენტული წერხები, რომელთაც ბეკეტი მიმართავს, როდესაც მსაყურებელს თუ მსმენელს აღქმის პროცესი უფრო გაუმახვილოს. თეატრალურ წარმოდგენებში იგი ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომ მსაყურებელს ორმაგი სივრცის შეგრძნება უჩნდება. ეს განპირობებულია დინამიური ურთიერთობით ხილულსა და უხილავს შორის. თანაც უხილავი განმსაზღვრელ ელემენტად არის ქცეული.

ბეკეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სცენის ცარიელ სივრცეებს. თეატრალურ წარმოდგენებში გამირები ხშირად გადიან ვითომუცა კულისებში. ბეკეტისეული კულისები წარმოადგენენ სცენის მიმალულ ბნელ კუთხეებს, სადაც მიმდინარეობს საიდუმლოებით მოცული „გაგრძელება“.

„ჰაერისათვის“ განკუთვნილ პიესებში რადიო პიესებში/ ეს სივრცობრივი განზომილება უფრო ძნელი დასაცავია. აქ არ არის სრული სიჩუმის საშუალება, არ არის მიმალული ბნელი კუთხეები, არ შეიძლება „გასულა“ სცენიდან. სამაგიეროდ, აქ ბგერითი ეფექტები ასრულებენ ბეკეტისეული კულისების ფუნქციას. „კასკანდოში“, მაგალითად, მუსიკალურ ელემენტს შეიძლება არ მიეცეთ სათანადო შეფასება კუთხვის დროს, რადგანაც მუსიკა მხოლოდ წერტილოვან ხაზს წარმოადგენს, მაგრამ სპექტაკლში მუსიკის ნაკადი და სიტყვიერი გამოხატულება ვობერნის ამბავს დიდ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ანიჭებენ. ვობერნს პიესის დასასრულს აღვიქვამთ როგორც დამოუკიდებელ გამირს და არა „დაგვეგმილს“ გამხსნელის მიერ. თუმცა აქ ძნელია მუსიკის როლია შეფასება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვიერებისა და მუსიკის ჰარმონიას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პიესის გასაგებად.

თავის თვალსაზრისს ბეკეტი გამოხატავდა სხვადასხვა ეანრების საშუალებით. მისი ნაწარმოებების სტრუქტურა სრულად ექვემდებარება ავტორის თვალსაზრისის გამოხატვას. ცხოვრების სიშავე, გამირთა სასოწარკვეთილი მდგომარეობა, სიტუაციის აბსურდულობა — ყველაფერი ეს ემორჩილება გარკვეულ ბეკეტისეულ რიტმს, მოძრაობას, წესრიგს, სიცილსაც კი იწვევს.

ბეკეტი ეაუთვნის იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელთა სამყაროც მოკლებულია საზოგადოდ მიღებული ქეშმარიტების, სიკეთის, სი-



ლამაზის ცნებებს. იგი უარს ამბობს განზოგადობებსა და ობიექტურ ქვეშარიტებებზე.

თუმცა ბეკეტი აცხადებს, რომ მთავარია აზრის გამოხატულების ფორმა და არა თვით აზრი, თუმცა იგი მომხრეა სიტყვისაგან დამოუკიდებელი თეატრის, მაგრამ თუნდაც ის გულმოდგინება, რომელსაც იგი იჩენს საკუთარი ნაწარმოებების თარგმნის დროს, მანიშნებელია იმისა, რომ სიტყვიერი გამოხატულება ჯერ კიდევ უფასობს მისთვის.

ბეკეტის ნაწარმოებების გაგება დამოკიდებულია ალბათ თითოეული მკითხველის აღქმაზე. სხვადასხვა ინდივიდუუმის ინტელექტუ-

ლური და ემოციური აღქმის შემთხვევაში მათ გაგება შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს, ზოგჯერ საპირისპიროც.

თუ მკითხველს სურს ეზიაროს ბეკეტის ტექსტებში ჩაქსოვილ ეგზისტენციალურ გამოცდილებას, მას სრულად უნდა გასწავლოს რთულ ვერბალურ სტრუქტურებსა და ასოციაციურ ნიმუშებში ჩაქსოვილი კავშირები და მიმართებები, რადგანაც ისინი მკაცრად არიან აზრობრივად დაკავშირებული. ზოგჯერ კი მკითხველმა უნდა მიიღოს ტექსტი, როგორც სახეების, გამოსახულებების ნაკადი და სპონტანურად უნდა მიპყვეს მას.

მთარგმნელისაგან

გამხსნელი (მშრალად): მაინის თვეა...

...ჩემთვის.

კაუზი.

დიახ, ახეა!

კაუზი.

ვხსნი.

ხმა (დაბალი, მქშინავი):— ამბავი.. დასრულება რომ შეგეძლოს... მოისვენებდი... დაიძინებდი... მანამდე არა... ო, ვიცო... რამდენიც დამიშთავრებია... ათასები და ერთი... ყოველივე, რაც კი გამოკეთებია... ჩემს ცხოვრებაში... ჩემი ცხოვრებით... სულ ვეუბნებოდი თავს... დაასრულე ეს ერთი... ეს ის არის... შემდეგ მოისვენე... შემდეგ დაიძინე... აღარავითარი ამბები... არავითარი სიტყვები... და დავასრულე ის... ეს ის არ იყო... ვერ მოვისვენე... იშწამსვე მეორეს მივადექი... დაწეება... დამთავრება... ვეუბნებოდი თავს... დაასრულე ეს... შემდეგ მოისვენე... ახლა კი სწორედ ის არის... ახლა კი ხელთა გაქვს... და დავასრულე ის... ის არ იყო... ვერ მოვისვენე... მაშინათვე შემდგომს მივადექი... მაგრამ ეს კი... ის სულ სხვაა... მე მას დავასრულებ... შემდეგ მოვისვენებ... ეს ის არის... ახლა კი ხელთა გაქვს... ჩემია... ვობერნი... კვლავ ვუბრუნდები... ხანგრძლივი ცხოვრება... უკვე... სტკვი, რაც გასურს... უბედობანი... საქაოა... ხუთი... ათი წლის შემდეგ... არ ვიცო... ვობერნი... შეცვლილა... არც ისე ძალიან... ცნობა შეიძლება... საფარში... და მაინც სხვაა... დაღამებას ელოდება... დაღამებას... გარეთ გასვლას... რომ წავიდეს... სადმე სხვაგან... სადმე სხვაგან დაიძინოს... არ ჩქარობს... თავს სწევს... დროდადრო... მისი თვადები... ფანჯრისაკენ მიმართული... ბინდდება... დედამიწას ბინდი ეკიდება... ღამეა... ის ღვება... ჩერ მუბლებზე... შემ-

დეგ წამოდგება... ფეხზე... გარეთ გასხლტება... ვობერნი... ნაცნობი ძველი პალტო... მარჯნივ ზღვა... მარცხნივ გორაკები... არჩევანი აქვს... აქვს მხოლოდ —

გამხსნელი (ხმასთან ერთად): და მე ვკეტავ-

სიჩუმე.

სხვას ვხსნი.

მუსიკა:

გამხსნელი (მუსიკის თანხლებით): და მე

კეტავ-

სიჩუმე.

ორივეს ვხსნი.

ხმა და მუსიკა (ერთად) — ...ისევ... იწ-

ყო... დაასრულე... ნუ დასთმობ... შერე მოისვენე... დაიძინე... მანამდე არა... დაასრულე... ეს ის არის... ახლა ხელთა გვაქვს... ის შენია... ის იქ არის... სადღაც... ის შენს ხელთაა... მიპყევი მას... არ დაკარგო... ვობერნის ამბავი... ეწუობა... დაასრულე ის... შემდეგ... ძილი... აღარავითარი ამბები... არავითარი სიტყვები... მიპყევი... შემდეგ... ის —

გამხსნელი, ხმა და მუსიკა: და მე ვკეტავ-

სიჩუმე.

თავიდან ვიწეებ!

ხმა: — ქვემოთ... დაღმართი... ხევი... გოლიათური ვერხვები... ქარი ტოტებში... დაბინ-



დული ზღვა... ვობერნი... ნაცნობი ძველი  
პალტო... ის აგრძელებს გზას... ჩერდება...  
სულიერის ჭაჭანება არ არის... ჭერ კიდევ  
არა... მეტიხმეტად ნათელი ღამე... სიქვი, რაც  
გსურს... ნაპირი... ის ნაპირს არ სცილდება...  
ნაცნობი ძველი ჭობი... ქვემოთ ეშვება...  
ეცემა... განზრახ თუ არა... ვერ ვხედავ... ის  
ქვემოთაა... ეს არის მთავარი... სახე ტალახში...  
გაშლილი მკლავები... ესეც კარგი აზრია...  
უკვე... ჩვენ უკვე იქ ვართ... არა, ჭერ კიდევ  
არა... ის წამოდგება... ჭერ მუხლებზე... ხე-  
ლებს ეყრდნობა... ტალახში... თავი ჩარგული...  
შემდეგ წამოდგება ფეხზე... უზარმაზარი მასა...  
მიჰყევი... ის აგრძელებს გზას... ქვემოთ ეშვე-  
ბა... მიდი... მის თავში... რაზე ფიქრობს...  
სადგომი... თავსებაფარი... ჩაღრმავება... დიუ-  
ნებში... გამოქვაბული... ბუნდოვანი მოგონება...  
მის თავში... გამოქვაბულისა... ის ძირს ეშვე-  
ბა... აღარ მოსჩანს ხეები... აღარც ნაპირი...  
ის შეიცვალა... არც ისე ძალიან... მეტიხმეტად  
ნათელი ღამე... მალე დიუნები... აღარ არის  
საფარი... ის ჩერდება... სულიერი არ ჭაჭა-  
ნებს... სულიერი...

სიჩუმე.

მუსიკა:

სიჩუმე.

ხმა და მუსიკა (ერთად) — მოსვენება... ძი-

ლი... აღარავითარი... ამბები... არავითარი სი-

ტყვეები... ნუ დასთმობ... ეს კი ის არის... ჩვენ

იქ ვართ... თითქმის... მე იქ ვარ... სადღაც...

ვობერნი... მე... ის ხელთა მყავს... არ დაკარ-

გო... მიჰყევი იმას... ბოლომდე... მიჰყევი...

ახლა კი... სწორედ ის არის... დაახრულე... ძი-

ლი... ვობერნი... მიდი, მიჰყევი...

სიჩუმე.

ბამხსნელი: ამგვარად, როგორც გენებოთ.

ამბობენ, ის მას თავში აქვსო.

სულაც არა ვხსნი.

ხმა: — ეცემა... კვლავ... განზრახ თუ არა...

ვერ ვხედავ... ის ქვემოთაა... აი, რა არის მთა-

ვარი... სახე ქვიშაში... მკლავები გაშლილი...

შიშველი დიუნები... არც ერთი ბურქი... ნაც-

ნობი ძველი პალტო... ძალიან ნათელი ღამე...

სიქვი, რაც გსურს... ზღვა უფრო ხმაურია-

ნი... ჭეჭა-ქუხილივით... ქაფის ფაფარი... ვო-

ბერნი... მისი თავი... რა აქვს მას თავში... სიმ-

შვიდე... კვლავ სიმშვიდე... მის თავში... იმის  
იქით არა... წასვლა... სწრაფვა... ძილი... არა...  
ჭერ არა... ის დგება... ჭერ მუხლებზე... ხე-  
ლებს ეყრდნობა... ქვიშაში... თავი ჩარგული...  
შემდეგ წამოდგება... ფეხზე... უზარმაზარი მას-  
სა... იგივე ძველი ფართობი... კული...  
ჩამოფხატული... მიდი... მის თავში... ტონა  
წონით... ქვიშაში... მუხლებამდე ჩაფლული...  
ის ქვემოთ ეშვება... ზღვა —

ბამხსნელი და ხმა: და მე ვკეტავ.

სიჩუმე.

სხვას ვხსნი.

მუსიკა:

ბამხსნელი (მუსიკასთან ერთად): და მე ვკე-

ტავ.

სიჩუმე.

ამგვარად, როგორც გენებოთ.

ეს ჩემი ცხოვრებაა, მე ამით ვცოცხლობ.

პაუზა.

ღიამ, ასეა.

პაუზა.

რას ვხსნი?

ამბობენ, ის არაფერს ხსნის, მას არაფერი  
აქვს გასახსნელი, ის მას თავში აქვსო ისინი  
ვერ მხედავენ, ისინი ვერ ხედავენ რას ვაკე-  
ტებ, ისინი ვერ ხედავენ რა მაქვს და ისინი  
ამბობენ: ის არაფერს არ ხსნის, მას არაფერი  
აქვს გასახსნელი, ის მის თავშიაო. მე აღარ  
ვეწინააღმდეგები, არაფერს ვამბობ, აღარა-  
ფერია ჩემს თავში.

მე აღარ ვმასხვობ.

მე ვხსნი და ვკეტავ.

ხმა: — სინათლეები... მიწის... კუნძულას...  
ცის... მან მხოლოდ... თავი უნდა ასწიოს...  
თვალეები... და დაინახავს სინათლეებს... მას  
დაძნაობიან... მაგრამ არა... ის —

სიჩუმე.

მუსიკა (ხანმოკლე)

სიჩუმე.

ბამხსნელი: ამბობენ, ეს მისი ცხოვრება  
არ არის, ის ამით არ სულდგმულობსო. ისინი  
ვერ მხედავენ, ისინი ვერ ხედავენ ჩემს ცხოვ-  
რებას. ისინი ვერ ხედავენ რა მასულდგმუ-  
ლებს და ამბობენ, ეს მისი ცხოვრება არ  
არის, ის ამით არ ცოცხლობსო.

პაუზა.

მე ეს მასულდგმულებდა... კარგა ხანს...

საკმაო ხანს.

მომისმინეთ.

ხმა (სუსტდება): ამგვარად... მე იქ ვარ...

ვობერნი... ის არის... მე ის დავინახე... ის ხე-

მია... მიჰყევი... იგივე ძველი პალტო... ის ქვე-

მოთ ეშვება... ეცემა... კვლავ ეცემა... განზრახ



ან არა... ვერ ვხედავ... ეს არის მთავარი...  
მიჰყევი —

გამხსნელი (ხმასთან ერთად): რაც შეიძლე-  
ბა ხმამაღლა.

ხმა: — სახე... ქვებში... ქვიშა აღარ არის...  
მხოლოდ ქვები... ესეც კარგი აზრია... ჩვენ იქ  
ვართ... ამჟერად... არა... ჯერ არა... ის დგება...  
ჯერ მუხლებზე... ხელებს ეურდნობა... ქვებში...  
თავი ჩარგული... შემდეგ იწევს... ფეხზე დგე-  
ბა... უზარმაზარი მასა... ვობერნი... კვლავ იძ-  
ვრის ადგილიდან... უფრო სწრაფად... ქვემოთ  
ეშვება... ის —

სიჩუმე.

მუსიკა (სუსტდება)

გამხსნელი (მუსიკასთან ერთად): რაც შე-  
იძლება ხმამაღლა...

მუსიკა:

სიჩუმე.

გამხსნელი: ჯერ არ დამისრულებია.

ორივეს ვხსნი.

მომისმინეთ.

ხმა და მუსიკა (ერთად): — ძილი... აღარა-

ვითარი ცდა... მის საპოვნელად... სიბნელეში...

მის სანახავად... რომ ვუთხრა... ვისთვის... რა აზრი

აქვს... არასოდეს... არასოდეს ის არ ეოფილა...

კვლავ დაწყება... სიბნელეში... ამით დავამთავ-

რებთ... ამჟერად... ეს ის არის... ჩვენ იქ ვართ...

თითქმის... დასასრული...

სიჩუმე.

გამხსნელი: ერთი სამყაროდან მეორე სამ-  
ყაროში, თითქოს მორიგებულან.

მაღე მივალთ...

კარგია.

ხმა და მუსიკა (ერთად) — თითქმის... მე

ის ხელთა მყავს... მე ის დავინახე... მე მას

ვუთხარი... ჩვენ იქ ვართ... თითქმის... აღარა-

ვითარი ამბები... ყველაფერი სიყალბეა... ახლა...

ეს სწორედ ის არის... მე ის ხელთა მაქვს...

დაასრულე... ძილი... ვობერნი... ის არის...

ის ჩემს ხელთა... მიჰყევი მას... იქოქერ —

სიჩუმე.

გამხსნელი: კარგია.

პაუზა.

დიახ, სწორია, მაისის თვე.

ხომ იცით, გამოლევდებოდა...

პაუზა.

ვხსნი.

ხმა: — არც რუმპელი, არც ადგილი მენიჩ-  
პისათვის... არც ნიჩბები... წყალზე ქანაობს...  
გამორიყული... უკან ბრუნდება... მეჩერზე...  
ადგილს მოწყდა... ნაპირზე გამოდის... ვო-  
ბერნი... ის ნავს ავსებს... გაიშოტება... პირქ-  
ვეა დამხობილი ფსკერზე... გაშლილი მკლა-  
ვები... ნაცნობი ძველი პალტო... ხელებით ებ-  
ლაუჭება... გახაჩერებულ ძელს... არა... არ  
ვიცი... მე ვხედავ მას... ის ეჭიდება... ზღვაში  
გადის... საითკენ მიმართული... კუნძულისაკენ...  
შემდეგ აღარ... სადმე სხვაგან...

სიჩუმე...

მუსიკა:

სიჩუმე.

გამხსნელი: თქვეს, ეს ხმა მისია, ის მის  
თავშიაო.

პაუზა

ხმა: — უფრო სწრაფად... მიჰქრის... ტალ-  
ღას ებრძვის... ტალღის ქვეშ ექცევა... მიმარ-  
თული... კუნძულისაკენ... შემდეგ აღარ... სადმე  
სხვაგან... სულერთია... სულერთია საით... სი-  
ნათლები —

სიჩუმე.

მუსიკა (ხანმოკლე):

სიჩუმე.

გამხსნელი: ...ისიც ჩემია?

მაგრამ მე აღარ ვბასუბობ.

და ისინიც აღარაფერს ამბობენ.

მომეშვენენ.

კარგია.

პაუზა.

დიახ, მაისის თვეა, ახლა, მაისის დასასრულია.  
გრძელი დღეები.

პაუზა.

ვხსნი.

პაუზა.

მეშინია გახსნის.

მაგრამ უნდა გავხსნა.

ამგვარად, ვხსნი.

ხმა: — მიჰყევი... ვობერნი... გაშლილი მკლა-  
ვები... იგივე ძველი პალტო... პირქვე ჩამხობი-  
ლი ნავში... ის ეჭიდება... კუნძულს კიჩოს  
უკან... შორს უკან... მიმართულება ზღვისკენ...  
ღრმა... მიწა აღარ მოჩანს... მისი თავი... რა  
აქვს მას თავში... ვობერნს —

გამხსნელი და ხმა: მიჰყევი მიჰყევი!

ხმა: — მადლობა ღმერთს! აღარც მოხვლა.





აღარც წახვლა... სწრაფვა სხვაგან... მუდამღამს  
სხვაგან... ჩვენ იქ ვართ... თითქმის... ვობერნი...  
მოეჭიდე... ნუ გაუშვებ... სინათლეები გაქრა...  
მიწის... უველაფერი გაქრა... თითქმის უველაფე-  
რი... ძალიან შორსაა... მეტისმეტად გვიანია...  
ცის... ისინი... თუ გსურს... ხაკმარისია... გად-  
მობრუნდეს... რომ დაინახოს ისინი... მას ლაპნა-  
თიან... მაგრამ არა... ის ებლაუჭება... ვობერნი...  
შეცვლილია... ხაკმაოდ —

სიჩუმე.

მუსიკა:

გამხსნელი და მუსიკა: ღმერთო დიდებუ-

ლო.

მუსიკა:

სიჩუმე.

გამხსნელი: ღმერთო დიდებულო, ღმერთო  
დიდებულო.

პაუზა.

იყო დრო, თავს შევეკითხე, რა არის ეს?  
იყო დრო ვბახუბობდი, რომ ეს არის გამო-  
სავალი.

ორია გამოსავალი.

შემდეგ დაბრუნება.

ხად?

ხოფლად.

ფუნდუკში.

ორია გამოსავალი, ბოლოს დაბრუნება, სოფ-  
ლად, ფუნდუკში, ერთადერთი გზით, რომელიც  
იქითკენ მიდის.

გამოსახულება მსგავსი ყოველი სხვისა.

მაგრამ მე აღარ ვიძლევი პახუბს.

მე ვხსნი.

ხმა და მუსიკა (ერთად): — ნუ გაუშვებ...

დაასრულე... ეს ის არის... ის ჩემს ხელთაა...

ახლა... ჩვენ იქ ვართ... ვობერნი... თითქმის —

გამხსნელი, ხმა და მუსიკა: თითქმის ერთმა-

ნეთს ამოდგომიან მხარეკონსული

გამხსნელი

ხმა და მუსიკა (ერთად) — ძილი... არავითა-

რი ამბები... მიჰყევი... ვობერნი... ის არის... ვხე-

დავ მას... ვუთხრა მას... ბოლომდე... ნუ გაუშ-

ვებ —

გამხსნელი, ხმა და მუსიკა (ერთად): კარ-

გია.

ხმა და მუსიკა (ერთად) — თითქმის...

კიდევ ცოტა... ცოტა კიდევ... მე იქ ვარ...

თითქმის... ვობერნი... ის არის... ის იყო... ის

ჩემს ხელთაა... თითქმის —

გამხსნელი, ხმა და მუსიკა (მგზნებარედ):

კარგია!

ხმა და მუსიკა (ერთად) — ამჯერად... ჩწო-

რედ ის არის... დაასრულე... აღარავითარი

ამბები... ძილი... ჩვენ იქ ვართ... თითქმის...

ცოტა კიდევ... არ გაუშვა... ვობერნი... ის ებ-

ლაუჭება... მიჰყევი... მიჰყევი —

სიჩუმე.





# სრეჩკო კოსოველი

## ლექსები



თარგმნა ბივი ქნელაძემ.

სლოვენი პოეტის — სრეჩკო კოსოველის ლექსები პირველად 1922 წელს გამოქვეყნდა. მისი პოეზია გამოირჩევა მელოდიურობით, გამომსახველობითი პოეტური ხერხების მრავალნაირობით, ეროვნული და სოციალური უსამართლობის მძაფრი შეგრძნებით.

სრეჩკო კოსოველი 22 წლისა გარდაიცვალა.

### წმინდა სიმშვიდე

ჩვენს თავზე ახლა  
ერთადერთი ანათებს თვალი  
და ნაცრისფერი, მწკლარტე ბოლი  
სულშემხუთავად იწმანება  
სახურავეებზე.

დაურიდებლად  
საკურთხეველს ბილწავენ წმინდას,  
ჯერ არ დამდგარა ჩვენი ჯერი,  
ჯერ ხანძარი არ ანთებულა.

შუბლზე სუყველას გვანერია  
ჩვენ-ჩვენი ბედი,  
სულშიც სიშავე გაჩონჩხილა,  
რომლის სახელი არის სიკვდილი, —  
რა მოხდა მერე..

მალე,  
სულ მალე გაღვივდება  
მთვლემარე სული  
და სისხლი ჩვენი  
ხანძარივით აგიზგიზდება.

### ივადის გაცრუება

I  
დაუმარცხებელ  
სიტყვებით გწყევლით.  
იმქვეყნიურნი —  
მიწიერთ გწყევლით.

ჩვენ გვეყოფოდა  
ცოტა მზე.

ჩვენ გვეყოფოდა  
ცოტა ქარი.  
მზიანი ქარი,  
ქარიანი მზე.  
გულს გაგვითბობდა  
სულ ცოტა მზე, —  
სულ ერთი სხივი.



ცოტა ნიავი  
დასიცხულ შუბლებს  
გაგვიგრილებდა!..

თქვენ კი გაგვიდეთ  
და ჯურღმულში გვიკარით თავი  
ვკვდებით  
ოქროზე გაყიდულნი,  
უუფლებონი.

დაუმარცხებელ სიტყვებით  
გწყევლით.  
იმქვეყნიურნი —  
მინიერთ გწყევლით.

2

აღმოდებული სიტყვებით  
გწყევლით.  
განმგმირავი და  
მკაცრია ეს ხმა.

გადავეჩვიეთ ქალის სიყვარულს.  
როცა თვალეში,  
როცა გულში  
და როცა სულში  
სიკვდილის ცივი აჩრდილია  
გამეფებული, —

იქ სიყვარული ვერ იბოგინებს.  
დაცხრომაზეა  
შემოდგომის მზის ეღვარება, —  
ეულ ველებზე  
სიჩუმე სუფევს.

დაუმარცხებელ სიტყვებით  
გწყევლით.  
აღმოდებული სიტყვებით  
გწყევლით.  
განმგმირავი და  
მკაცრია ეს ხმა.  
იმქვეყნიურნი —  
მინიერთ გწყევლით.

3

მე ახლა მინდა განმარტოება,  
საკუთარ თავთან <sup>დაჩრქუნა</sup> მინდა.  
მე ვტირი, <sup>ბიზლიყოთქა</sup>  
მაგრამ  
ჩემი ტირილი,  
ჩემი ტირილი სიმღერას ჰგავს,  
სულის სიმღერას.  
მე ნავალ,  
როცა დრო დადგება,  
და... ისევ მოვალ!..

მე მისი თმების ჩუმი ჩრდილი  
მეცვება შუბლზე.  
ბარემ წამართვით სიყვარულიც  
და მომასვენეთ!

მზე გაშიშვლებულ, შავ ტოტებში  
შიშინით ჩადის, —  
ირგვლივ ყველაფრის უარმყოფი  
მელანქოლია  
გამეფებულა.  
მზე ჩადის, როგორც  
სულის ამოსვლა!..

4

გვეყო ტანჯვა და  
გვეყო სიცოცხლე.  
ჩვენ უნდა მოვკვდეთ,  
მაგრამ იცოდეთ, —  
არარაობა არა და არა,  
ვერ შეგვეხება!  
ვერ შეგვეხება!..

ჩვენ აღმოდებულ  
სიტყვებად ვცოცხლობთ,  
დაუმარცხებელ სიტყვებად  
ვცოცხლობთ.  
აი, ეს არის ჩვენი ლოცვა, —  
ჩურჩულით თქმული.



### ლოდინის მელანქოლია

ყვითელ-ყვითელი ფოთლებით  
მოფენილია გზა...  
გალურსულა და სოფელი  
ყურს უგდებს მწუხრის ზარს.

რაღაც გულს აწევს ლოდინით,  
რეკს მწუხრის ზარს... დინ!  
გამეფებულა ლოდინი,  
უნდა მოვიდეს ვინ?!

### იმაჩინა

ფანჯარაში შემოიჭრა  
გაზაფხულის ქარიშხალი,  
თბილ-თბილი ვარსკვლავები  
მინდვრებზე როკავენ, —  
გაზაფხულდა.  
გაზაფხულდა.  
ძორს, სილურჯეში  
თეთრი სახე ციმციმებს მკრთალად...

აბრეშუმივით აშრიალდა  
მზიანი ნისლი.  
ოქროს ნამსხვრევი  
მოცვივა ციდან, —  
ჩვენს თავზე თხელი ღრუბლებია  
და... აბრეშუმი.

### შემოდგომა

მეგობრის საფლავს ახალისებს  
მწვანე გვირგვინი.  
მოიპარავენ, —  
ეკლესია აქვეა, ახლოს...  
ნეტა ეს თეთრი,  
თოვლივით თეთრი  
მატარებელი როდის მიდის  
ლუბლიანაში?  
ლურჯ მთათა შუა  
ვერცხლისფერი  
ზიმზიმებს ბოლი.  
თეთრი სიცივე  
შემოდის გულში  
და ხედვის არეს აფართოებს  
აუროპლანი.  
მალღდება შეგნება კოსმიური.  
სულს სიყვარული ალაგზნებს ისევ.  
დაცემის გზაზე  
დგას ღირიკა მოდერნისტული.

თუ მხნედ მიდიხარ  
შემოდგომის მოვერცხლილ გზაზე —  
შენ გადაასწრებ  
თვით კოსმიურ განზომილებას;  
ცა აღარ არის მისტიკა უკვე —  
ცა არის: სივრცე!  
მე ახლა სხვენში  
ვშიმშილობ და ვიმოკლებ დღეებს,  
გამომელია მწარე პურიც  
ჩემი ცხოვრების.  
აქედან, —  
თეთრი აივნიდან, —  
ყვითლად ჩანს სივრცე.  
მრუმეა ღამე.  
ქალიც ცივი — შემოდგომური.  
ჩაქრობაზეა ცივ წვიმაში  
სექტემბრის მთვარე!



ტყვეები

1  
ჩუმად იღვიძებს  
პირქუში დილა,  
სახლების თავზე  
და ქუჩებში  
თიმთიმებს ხვატი, —  
თითქოს ნაცრისფერ სახურავებზე  
მიიზღაზნება გოგირდის ორთქლი...

მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს,  
გალავანს იქით,  
ციხის ყომრალ გალავანს იქით,  
ოცნების შუქით  
ნათდება არე,  
ხოლო თვალებში  
ძიება და შური გვინთია!...

2  
მტვერში და ხვატში  
გახვეულები —  
გუშინ მთელი დღე  
მივდიოდით,  
მივეთრეოდით.

მტვერი და ბული,  
ხვატი და ალხი...  
შუადღის სიცხე —  
ჩამხოვლი გოგირდის წყლებში.

რას ვეძებდით და ვინ მიგველოდა?  
იღვიძებს გული და ფიქრი ხედავს:  
შუქი ანთია <sup>წინა</sup>  
ნაცრისფერი ფარდების იქით!

მთვარის ვერცხლისფერი შუქის  
გაყოლებით...

მთვარის ვერცხლისფერ შუქით  
გაკვალულ,  
წინ-წინ წაწვართულ წვრილ  
ბილიკზე  
წყნარი სიმღერით  
ღამის გულიდან გამოცურდა უცებ  
მენავე!..



3  
შავი ალვები გზისპირას იდგებიან,  
თმაგანწილნი, შიშლინი...  
ქვრივებივით თმაჩამოშლილნი...  
გაძვალტყავებულ,  
ვედრებად ქცეულ ყვითელ ხელებით,  
მონყალე თვალით გადმოხედვას  
შესთხოვენ ზენას!..

საით მივდივართ?  
ვინ მიგველის?  
ისთან და რისთვის?

იღვიძებს გული და ფიქრი ხედავს:  
შუქი ანთია ფარდებს იქით  
ცოცხლებისათვის.  
დახოცილთათვის —  
ფარდებს იქით წკვარამი სუფევს!..

4  
მოთმენაშია ვაჟკაცობა  
და გაძლებაში.  
ახალ სინათლეს  
თან მოჰყვება ახალი ძალა!..

ვინ დაეცემა?  
ან — ვისი სული აენტება სინათლის  
ცაზე?  
ვინ გაათენებს დღეს უღამებელს, —  
ახალს,  
ახლებურს, როგორც ნახატს,  
პიკასოს ნახატს?!..  
ვინ ააყვავებს ახალ სიმართლეს!..

სანაპიროზე შეშრიალდა  
მწვანე ფოთლები...  
ზღვიდან მენავე  
ტალღათა კვეთით  
გადაეშვება და გადავა ოკეანეში!  
— ოკეანიდან?...



# პაღია კოქეენიკოვი

## მარტი-აკრილი



მთხრობა

თარგმნა ნათელა ბაბაშელა

კაპიტან პეტრე ჟავრონკოვს კოცონთან ლამისთევით გამომწვარი, დაფლეთილი კომბინიზონი ტანზე მოფამფალებოდა. წითურა გაბურძგნული წვერი და ქუჭყჩამჯდარი შავი ნაოჭები ბებრულ იერს აძლევდა.

მარტში პარაშუტით გადახტა მტრის ზურგში საგანგებო დაჯალების შესასრულებლად და ახლა, როცა თავი გადნა და ყველგან ნაკადულები აფუთვუთდა, წყლით გაჟიჟინებული ჩექმებით ტყეში უკან გამოლწევა მეტისმეტად გაუჭირდა.

თავდაპირველად მხოლოდ ღამლამობით მოდიოდა, დღისათ კი თხრილებში იწვა. მაგრამ ახლა, სანამ შიმშილით დაუძლურდებოდა, აღარც დღისით სიარულს ერიდებოდა.

კაპიტანმა დავალება შეასრულა. ოღონდ ორი თვის უკან აქეთ გადმოსროლილი რადისტო-მეტეოროლოგის პოვნალი იყო საჭირო.

ბოლო ოთხი დღე თითქმის არაფერი უჭამია. ნოტიო ტყეში მომავალი მშიერ მშერას ესროდა ხოლმე თეთრ არყის ხეებს; იცოდა, რომ ქილაში მოხარშული მათი დანაყილი ქერქი მწარე ფაფასავით იჭმეოდა და გემო და სუნიც ხისა დაკრავდა.

მძიმე წუთებში რომ დაფიქრდებოდა, კაპიტანი საკუთარ თავს, ვით ღირსეულ და მამაც თანამგზავს, ისე მიმართავდა.


„განსაკუთრებულ მდგომარეობას თუ გაითვალისწინებ, — ფიქრობდა, — შარავზაზე გასვლა შეგიძლია. მაშინ ფებსაცმლის გამოცვლასაც მოახერხებ. მაგრამ ისე კი მარტო მიმავალ რომელიმე ვერმანულ მანქანაზე თავდასხმა თქვენს ადგილმდებარეობას გათქვამს. და, როგორც იტყვიან, მუცლის ყუყუნი ჩავიბშობს განსჯის უნარს“.

ხანგრძლივ მარტოობას შეჩვეული კაპიტანი საკუთარ თავს იმდენ ხანს ესაუბრებოდა, სანამ არ დაიღლებოდა, ანდა როგორც თავს არაერთხელ გამოსტეხია, სისუღელის როშვას არ მოპყვებოდა.

კაპიტანს ეჩვენებოდა, რომ ის მეორე, ვისაც თავად ემასლაათებოდა, კარგი ბიჭი იყო, გამგები, კეთილი, გულწრფელი მხოლოდ იშვიათად თუ შეაწყვე-



ტინებდა უხეშად. და ისიც მაშინ, რაღაც რომ გაიფაჩუნებდა. ანდა შემთხვევით  
გასიბულ რაღაც ნაკვალევს შეამჩნევდა.

მაგრამ საკუთარ ორეულზე, გულწრფელისა და გამგებ  ტინის  
ანრი მაინცდამაინც არ ემთხვეოდა ამხანაგთა აზრს. რაზმში იგი ბევრს გულზე  
არ ეხატებოდა. სიტყვაძვირი და თავშეკავებული კაცი სხვესწრეს ეწვეოდა  
მეგობრული გულწრფელობის ხალისს. არც დასაზვერად პირველად მოსული  
ახალბედებისთვის იმეტებდა ხოლმე თბილ, გამამხნეველ სიტყვებს.

დავლებიდან დაბრუნებული კაპიტანი მუდამ გაურბოდა აღფრთოვანებულ  
შეხვედრებს. ხვევნა-კოცნისთვის რომ თავი აერიდებინა, ბურტყუნს მოსყვე-  
ბოდა:

— უნდა გავიპარსო, თორემ ლოყები ზღარბს მივაფს, — და უმაღვე  
მიწურში შევარდებოდა.

არ უყვარდა გერმანელების ჩუყრგში მუშაობაზე ლაპარაკი და მხოლოდ  
უფროსთან მოხსენებას სჯერდებოდა. დავალებას რომ შეასრულებდა, ტაქტზე  
წამოწვებოდა: სადილს ნამძინარევი, მოლუშული მიუჯდებოდა.

— დიდი უცხვირპირო და მოსაწყენი კაცია, — ამბობდნენ მასზე.

ერთხანს ხმა დაირბა, რაც მის ქცევას ამართლებდა: ომის პირველსავე  
დღეებში ოჯახი ფაშისტებმა ამოუწყვიტესო.

ამ ლაპარაკისთვის კაპიტანს ყური მოეკრა. ერთხელ, სადილად გამოსულ-  
მა, წერილი გამოიტანა და წვნიანის ხერება არ შეუჩერებია, ისე ჩაილაპარაკა:

— ცოლი იწერება.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. ბევრი გაწბილებული დარჩა, რადგან ვუ-  
ლით სჯეროდათ, კაპიტანი პირადმა უბედურებამ გახადა ასეთი უკარებაო.  
თურმე კი არავითარი უბედურება არ მომხდარიყო.

თანაც კაპიტანს წუწუნი არ უყვარდა.

გაძარცული, სისველეგამჭდარი ტყე... ჭანჭრობი მიწა, მღვრიე წყლით გა-  
ლიცლიცებული თბრილები, თხლედწასული, ჭყანტი თოვლი. უჭირს ამ გავერა-  
ნებულ ადგილებში მარტოხელა, დაღლილ-დაქანცულ, ნატანჯ ადამიანს ხე-  
ტიალი.

მაგრამ კაპიტანი განგებ ირჩევდა უკაცრიელ ადგილებს, სადაც გერმანე-  
ლებთან შეხვედრა ნაკლებად იყო მოსალოდნელი. და რაც უფრო მივარდნილი  
და ფეხდაუკარებელი იყო მიდამო, კაპიტანი მით უფრო გულდაჩერებულად  
მიაბიჯებდა.

მხოლოდ ეგ იყო, შამშილმა შეაწუხა. დროდადრო თვალთ უბნელდებოდა.  
შედგებოდა, თვალებს მოისრესდა, თუ ეს არ უშველიდა, სისხლის მიმოქცევის  
აღსადგენად თბილთათმანებიან მუშტებს ყვრიმალეებზე წაიშენდა.

ხევში ჩასული კაპიტანი ყინულის არშიამოვლებული კბოდედან გადმოშკ-  
დარი ციცქნა ჩანჩქერისაკენ დაიხარა და წყალს დაეწაფა თუ არა, გამლღვარი  
თოვლის გულისამრევი, მტკნარი გემო შეიგრძნო, მაგრამ მაინც განაგრძო უგე-  
მური წყლის სმა, რათა გამოკარიელებული კუჭი ამოევსო.

საღამოვდებოდა. სოველ თოვლზე ჩრდილები გაიწელა, აცივდა, გუბუ-  
რები გაიყინა და ყინულიც ფეხქვეშ ახრაშუნდა. სველი ტოტებიც წა-  
ითოშნენ და ხელის ყოველ მიკარებაზე ერთი წკარაწყური გაძქონდათ. და რო-  
გორც არ ცდილობდა კაპიტანი უხმაუროდ სიარულს, არა და არ გამოსდიოდა.



მთვარე აღმოჩნდა. ტყე აბრჭყვიალდა. უთვალავ ლოლუებსა და თავწაყი-  
ნულ გუბეებს, რომლებშიც მთვარე არეკლილიყო, უცეცხლო აღი ეკიდა.

სადღაც ამ კვადრატში უნდა ყოფილიყო რადისტის მაგრამ განა ასე იოლი  
იყო მისი პოვნა, როდესაც კვადრატი ოთხი კილომეტრის ტოლია: იგი ალბათ  
თავისთვის მხეცის ბუნაგზე ნაკლებ საიდუმლო თავშესაფარს წარმოადგენდა.

ხომ არ დადგებოდა კაპიტანი და ტყეში ყვირილს არ დაიწყებდა? —  
სად ხარ ამხანაგო?!”

კაპიტანი მთვარის შუქით გაღალანებულ ტყეში მიაბიჯებდა; თექის ჩექ-  
მები თოშმა დაუმძიმა და ჭირკვივით გაუქვავა.

გული მოსდიოდა რადისტზე, რომლის მოძებნა ასე გაუჭირდა, მაგრამ კი-  
დეც უფრო გაბრაზდებოდა, იგი უმაღვე რომ ეპოვნა.

წაყინულ თოვლქვეშ ამოჩრილ ფარჩხს ფეხი წაჰკრა და გაიშხლართა. თოვ-  
ლზე ხელდაყრდნობილი ძლივძლივობით რომ დგებოდა, ზურგს უკან დამბა-  
ჩის ჩხაკუნის მოესმა.

— ჰალტი! — უთხრეს წყნარად, — ჰალტი!

მაგრამ კაპიტანს საკმაოდ უცნაურად ეჭირა თავი, არც შებრუნებულა,  
ასე მოჰყვა ნატკენი მუხლის ზედას. როცა გერმანულად ასევე წყნარად სთხო-  
ვეს ხელების მალლა აწევა. კაპიტანი შეტრიალდა და დამცინავად წარ-  
მოთქვა:

— როცა კაცი მიწაზეა გართხმული, „ჰალტი“ რაღა შუაშია? უცებ უნდა  
მომვარდნოდი და ქუდში გახვეული დამბაჩა დაგეხალა, რათა გასროლა ყრუ  
და ჩუმი ყოფილიყო. ამას გარდა, გერმანელი „ჰალტს“ მეზობლის გასაგონად  
ხმამალლა ყვირის, რათა საჭიროების შემთხვევაში მიეშველოს. ასწავლიან სქვე-  
ნისთანებს, ასწავლიან და სულ ამოდ... — კაპიტანი ფეხზე წამოდგა.

პაროლი მხოლოდ ბაგეებით წარმოთქვა. პასუხი რომ მოისმინა, თავი და-  
აქნია და „ზაუერი“ ჯიბეში ჩაიღო.

— დამბაჩა კი მაინც ზელში გჭკერიათ!

— მაშ, რა გეგონა, მხოლოდ შენი სიბრძნის იმედზე ვიქნებოდი? —  
და მოუთმენლად მოითხოვა: — ბარემ მაჩვენე, სადაა შენი ბინა!

— უკან მომყევით, — თქვა მუხლებზე უხერხულად მდგარმა რადისტმა. —  
მე ხოხვით წამოვალ.

— ხოხვა რა საჭიროა? ტყეში სიმშვიდეა.

— ფეხი მომეყინა, — ხმადაბლა აუხსნა რადისტმა, — ძალიან მტკივა.  
კაპიტანი უკმაყოფილოდ მოიღუშა და ოთხით მიმბობლავ ადამიანს უკან  
გაჰყვა. შემდეგ დამცინავად ჰკითხა:

— რაო, ფეხშიშველა დარბოდი?

— გაღმობტომისას თვითმფრინავი ძალიან ირყეოდა და ჩექმა პაერშივე  
წამძვრა.

— ყოჩაღ! კიდეც კარგი, შარვალიც ზედ არ მიაყოლე. — და მერე დაუმა-  
ტა: — არ გინდა ახლა აქედან შენი გაყვანა?!

რადისტის დაჯდა, თოვლს ხელით დაეყრდნო და განაწყენებული ხმით  
თქვა:

— ამხანაგო კაპიტანო, აქედან გასვლას არც ვაპირებ. დამიტოვე სანო-  
ვავე და თქვენს გზას ეწიეთ. მომიშუშდება თუ არა ფეხი, თვითონ გამოვალ-  
წივ.



— როგორ არა, ახლა სანატორიუმშიც მომთხოვე! გერმანელებმა შენი რაციის ამბავი უკვე იცნოსეს, გასაგებია? — და უცებ, დაბლა დახრილმა მღელვარე ხმით ჰკითხა: — მოიცა, მოიცა, რა გვარი ხარ? რაღაც მეცნობი.

— მიხაილოვა.

— ერიპა! — ჩაიბუზლუნა შემცბარმა თუ განაწყენებულმა კაპიტანმა, კარგი, როგორმე მოვრიგდებით. — შერე თავაზიანად მიმართა: — ეგებ მოხმარება გინდათ?

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა, მიხობავდა და თოვლში მხრებამდე ეფლობოდა.

გალიზიანება კაპიტანს სხვა, ნაკლებგამოკვეთილი, მაგრამ უფრო ძღელვარე გრძნობით შეეცვალა. მიხაილოვა ჯერ კიდევ ბაზიდან, მისი კურსანტობის დროიდან ახსოვდა. პირველი დანახვისთანავე მტრული გრძნობა აღუძრა, უფრო სწორად, გულისწყრომა. ვერაფრით მიხვდა, რა უნდოდა ბაზაში ამ ტანკენარ, ლამაზ, მეტისმეტად ლამაზ, ამაყად ყელმოღერებულ ქალიშვილს, ლაპარაკისას თვალს რომ ვერ მოწყვეტდი მის ალისფერ, დიდ და მკვეთრად მოხაზულ ბაგეებს.

ქალიშვილს ერთი უსიამოვნო ზნე სჭირდა: მოსაუბრისთვის უეჭველად თვალი თვალში უნდა გაეყარა. უსიამოვნო იმიტომ კი არ იყო, მისი თვალები შეგეზიზღებოდა, პირიქით, ამ დიდრონი, ყურადღებიანი, მშვიდი, ოქროსფრად ანაპერწყლებული თვალების დანახვას რა ჯობდა. მაგრამ უბედურება ის იყო, კაპიტანი მათ დაჟინებულ ცქერას ვერ უძლებდა, და ეს არც ქალიშვილს დარჩენია შეუმჩნეველი.

ან ის რას ჰგავდა, ლუნდულა, მზინვარე და ასევე ოქროსფერი თმა მანარის საყულოზე რომ გადმოეშვა!

კაპიტანმა აკი რამდენჯერმე შენიშნა:

— თმა აიწიეთ. სამხედრო ფორმა სამასკარადო კოსტიუმი არ გეგონოთ! რაც მართალია, მართალია, მიხაილოვა მონდომებით მეცადინეობდა. ხანდახან მეცადინეობის შემდეგაც რჩებოდა და კაპიტანს საკმაოდ ჰკვიანურ შეკითხვებს აძლევდა, მაგრამ იმაში დარწმუნებული კაპიტანი, ცოდნა არაყერში გამოადგებო, მოკლე-მოკლედ და უხეშად პასუხობდა, თან წამდაუწუმ საათს დასცქეროდა.

კურსების უფროსმა ერთხელ კიდევ უსაყვედურა, მიხაილოვას ძალზე მცირე დროს უთმობო.

— რას ერჩი, მშვენიერი ქალიშვილია.

— მშვენიერი ოჯახური ცხოვრებისთვისაა, — და კაპიტანმა მოულოდნელად, ფიცხლად და მგზნებარედ წარმოთქვა: — მოგეხსენებათ, ამხანაგო უფროსო, ჩვენნაირ ხალხს არავითარი ზედმეტი ზიზილების უფლება არა აქვს. შესაძლოა მდგომარეობამ ისე მოიტანოს, შუბლზე დამბაჩა მიიშვირო. ეგ კი, ეგ ამის გამკეთებელია? აუცილებლად დაენანება თავი. განა შეიძლება ეგეთი, ეგეთი... — და კაპიტანს ენა დაება.

თავიდან რომ მოეცილებინა, ადგა და მიხაილოვა რადისტთა ჯგუფში გადაიყვანა.

მედესანტეთა კურსები მოსკოვის ერთ-ერთი გარეუბნის დასასვენებელ სახლში იყო მოთავსებული. შემინული აივნები, წითელი ხალიჩები, ღია ფერის გალაქული ავეჯი, ჯერაც რომ არ დაეკარგა მშვიდობიანი ცხოვრებისდროინ-



დელი პეწი, ხალხს სალამოობით გასართობად განაწყობდა. ვილაც როიალს მიუჯდებოდა და იწყებოდა ცეკვები. სამხედრო ფორმა რომ არა, კაცი უნებლოეთ იფიქრებდა, მოსკოვის განაპირა სოლიდურ დასასვენებელ სახლში / ჩვეულებრივი კვირადღააო.

ტახტახებდა საზენიტო ქვემეხები, პროექტორების თქმის ნაშრომს მიყიფე საცეცებს არიალებდა ცაზე, მაგრამ შეიძლებოდა ყოველივე ამასზე წაეკვირებოდა გეფიქრა.

მეცადინეობის შემდეგ მიხაილოვა ხშირად იჯდა ხოლმე ტახტზე ფეხმოკეცილი და ვეებააბაჟურიანი ლამპის შუქზე წიგნს კითხულობდა. ამ ლამაზი მშვიდსახიანი ქალიშვილის შესახედაობა. მისი უდრტვინველი გამოხედვა, მხრებზე დაფენილი თმა, თეთრი და ნატიფი თითები არაფრით არ უკავშირდებოდა ასაფეთქებელ ტექნიკასა და ნახერხიან ფიტულზე რეზინაშემოხვეული ღანით ვარჯიშს.

დაინახავდა თუ არა კაპიტანს, მიხაილოვა უმაღლვე ფეხზე წამოხტებოდა და ისე გაიჭიმებოდა, როგორც საზოგადოდ მეთაურის დანახვისას არის მიღებული.

უაკორონკოვი თავს დაუდევრად დაუკრავდა და გვერდით ჩაუვლიდა. ეს წითურსახიანი სპორტსმენივით ძლიერი ადამიანი, ოდნავ დაღლილი და სევდიანი გამოხედვა რომ ჰქონდა, საკუთარი თავის მიმართაც მკაცრი და მომთხონი იყო...

კაპიტანი მხოლოდ საქმეს ამჯობინებდა. ყველაფერს და კიდევ ჰქონდა ამის უფლება, მტანჯველ ტკივილად ჩაეკირა გულში ცოლისა და ბავშვის სიკვდილი: ისინი 22 ივნისს სასაზღვრო დაბაში ტანკმა გადასრისა რკინის მუხლუბებით.

კაპიტანი საკუთარ დარდს არავის უმხელდა. არ უნდოდა, მისი უბედურება მისივე სიმამაცის მამოძრავებელ მიზეზად მიეჩნიათ. ამიტომაც ცდილობდა ამხანაგებისთვის თვალის ახვევას. აქი თავსაც შთააგონა: „ჩემი ცოლ-შვილი არავის მოუკლავს, ისინი ცოცხლები არიან და მეც ისეთი ვარ, როგორც სხვები. ახლა მშვიდად უნდა ვიოზო“. და მთელი თავისი სასიცოცხლო ძალები მტერთან საბრძოლველად მიმართა. მასავით ამაყი, მჭმუნვარე და ძლიერი ადამიანები ამ ომში კოტანი როდი იყვნენ.

ჩემო კეთილო, მხიარულო, ალალო ხალხო! რა უბედურებით გაგიქვავა მტერმა გული!

და აგერ, ახლა ფართხვით მიმავალ რადისტის უკან რომ მიაბიჯებდა, ცდილობდა ისეთ რამეზე არ ეფიქრა, რაც საკუთარი მოქმედების განსჯაში ხელს შეუშლიდა. მშიერი იყო, დასუსტებული, ხანგრძლივი სიარულით ქანცმილეული. ქალიშვილს კი უეჭველად მისი იმედი ჰქონდა, რა იცოდა, რომ კაპიტანი უკვე აღარაფრად ვარგოდა.

ეთქვა ყველაფერი? აჰ, არა! ჯობდა, როგორმე ფეხზე დაეყენებინა, მერე თავადაც მომჯობინდებოდა და ეგებ როგორმე...

ხევის დამრეც ფერდობზე გაზაფხულის ნიაღვრებს რაღაც მღვიმისმაგვარი გამოეთხარა. მალლიდან ხის მაგარი ფესვები გადმოკადებულებოდა, ზოგი წვრილი, ზოგიც თანგიანი გვარლებივით დაღლვარჯნილ-დაძარღვული, მღვიმეს გარედან ყინულის ფარდა ფარავდა და დღის შუქი აქ ისე აღწევდა, როგორც შემხუთლ ორანჟერეაში. სუფთა, მშრალ სადგომში ნაძვის ტოტების საფენი ეგო.



მოჩანდა რაციის ოთხკუთხა ყუთი, საძილე ტომარა და კედელზე მიყრდნობილი თხილამურები.

— მყუდროა ქვაბულია. — შენიშნა კაპიტანმა. საფენს ხელი დაარტყა და თქვა: — დაჯექით და გაიხადეთ.

— რაო? — მკაცრად ჰკითხა გაოცებულმა ქალიშვილმა.

— ფეხზე გაიხადეთ-მეთქი. უნდა ვიცოდეთ, შეძლებთ თუ არა სიარულს.

— თქვენ ხომ ექიმში არ ხართ. თანაც...

— იცით რა, — უთხრა კაპიტანმა, — უმჯობესია, ახლავე შევთანხმდეთ: ნაკლები ილაპარაკეთ.

— ვაი, მტკივა!

— ნუ კნავით, — უთხრა კაპიტანმა და შესიებულ, კანგალურჯებულ ტერფზე ხელი შეახო.

— მოთმენის თავიც აღარ მაქვს.

— არა უშავს, მოითმენთ, — თქვა კაპიტანმა და შალის შარფი მოიხსნა.

— მე თქვენი შარფი არ მჭირდება

— მაშ კუჭყიანი წინდა სჯობია?

— სუფთაა!

— იცით, რა, — კვლავ გაიმეორა კაპიტანმა, — თავს ნუ იგდებთ თოკი ხომ არა გაქვთ?

— არა.

კაპიტანმა ხელი ასწია, წვრილი ფესვი მოწყვიტა, შარფშემოხვეულ ფეხზე შემოუჭირა და განაცხადა:

— კარგად დაიჭერს!

მერე თხილამურები გარეთ გაიტანა და დანით რალაც უჩხიკინა. შემობრუნდა, რაცია აიღო და თქვა:

— შეგვიძლია წავიდეთ.

— თხილამურებით გინდათ წამათრიოთ?

— დავუშვათ, მე სულაც არ მინდა, მაგრამ იძულებული ვარ.

— რას ვიზამ, მეტი რა გზა მაქვს.

— სწორია, — დაეთანხმა კაპიტანი, — ჰო, მართლა, წასახემსებელი ხომ არაფერი მოგეძვეება?

— აი... — თქვა ქალმა და ჯიბიდან ორცხობილას ნატეხი ამოიღო.

— ცოტაა.

— ამის მეტი აღარ დამრჩა. აგერ უკვე რამდენიმე დღეა..

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა კაპიტანმა, — სხვები ჯერ ორცხობილას ჰამენ, შოკოლადს კი შავი დღისათვის იონახავენ.

— თქვენს შოკოლადს არავინ გეცვილებათ.

— განაწილებას არც ვაპირებ. — რაციის სიმძიმით მოხრილი კაპიტანი გარეთ გავიდა.

ერთი საათი, რომ იარა ასე, მიხვდა, მისი საქმე წასული იყო და თუმცა თხილამურებზე (უფრო სწორად, თხილამურებისაგან ნაკეთებ მარხილზე) წამოწოლილი ქალიშვილი ხელის წაბიძგებით ეხმარებოდა, ღონე უმაღვე გამოეცვლია. ფეხები უკანკალებდა, გული კი ასე უცემდა, სუნთქვა უჭირდა.

„ახლა რომ ვუთხრა, აღარაფრის თავი არა მაქვს-მეთქი, დაიბნევა. თუ ისევ ვიყოჩაღე, უცებ წავხდები“.



კაპიტანმა საათს დახედა და თქვა:

— ურიგო არ იქნებოდა, ცხელი რამ დაგველია.

თოვლში ორმო ამოთხარა, ჯონით საკვამური ამოჩიჩქნა და ხვრელში მწვანე ტოტები და თოვლი ჩაჩურთა. ტოტებსა და თოვლს კვამლი უნდა გაეფილტრა და უცხო თვალისათვის შეუმჩნეველი გაეხადა. კაპიტანმა ახლა ხმელ-ხმელი ტოტები დაამტვრია და ორმოს თავზე დააწყობა, მერე ჯიბიდან აბრეშუმის ტომსიკა ამოიღო, ტოტებს ერთი მუჭა დენთი გადააყარა და ასანთი მიუმარჯვა.

ცეცხლის ალმა იფეთქა და ტოტები მოლოკა. კაპიტანმა კოცონზე შემოდგმულ თუნუქის ქილაში ლოლუები და ყინული ჩაყარა. მერე ორცხობილა ამოიღო, ცხვირსახოცში შეახვია და დანის ტარით დაფშენა. ნახვზნებს მდულარეში ყრიდა და თან ურევდა. ცეცხლიდან გადმოდგმული ქილა გასაცეცხლად თოვლზე დადო.

— გეპრიელია? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— რაღა ყავა და რაღა ეს, — მიუგო კაპიტანმა და ყავისფერსალათავიანი ქილა გაუწოდა.

— არ მინდა, მოვითმენ, — უთხრა ქალიშვილმა.

— მოთმენა კიდევ მოგიწევთ, — თქვა კაპიტანმა, — ახლა კი ბევრს ნუ მიედ-მოედებით, დალიეთ.

სალამო ხანს კაპიტანმა ბებერი ჰილყვაფი მოკლა.

— ყვავის ხორცი უნდა ჰამოთ? — ჰკითხა მიხაილოვამ.

— ეს ყვავი კი არა, ჰილყვაფია. — მიუგო კაპიტანმა.

ადგა და ფრინველი კოცონზე შეწვა.

— გინდათ? — ნახევარი ქალიშვილს შესთავაზა.

— არავითარ შემთხვევაში! — ზიზღით თქვა მიხაილოვამ.

კაპიტანი ერთი შეყოყმანდა და ფიქრიანად წარმოთქვა:

— აა, ეგ კი სწორია, — და მთელი ჩიტი თავად შექამა.

გააბოლა და გამხიარულებულმა ჰკითხა:

— რაო, ფეხი როგორ გაქვს?

— მე მგონია, ერთხანს მაინც შევძლებ სიარულს, — უპასუხა ქალიშვილმა.

— კარგით ერთი!

კაპიტანი მთელი ღამე მიათრევდა თხილამურებს, ქალიშვილი კი თვლემდა. განთიადისას ხრამში შეჩერდა.

მიწაზე ქარიშხლისაგან მოთხრილი ვეებერთელა ფიჭვი ეგდო. მის მძლავრ ფესვებქვეშ მოზრდილი ორმო მოჩანდა. კაპიტანმა ორმოდან თოვლი ამოყარა, ტოტები დაამტვრია და ზედ ლაბადა-კარავი დააგო.

— ძილი გინდათ? — ჰკითხა გამოფხიზლებულმა ქალიშვილმა.

— მხოლოდ ერთ საათს წავთვლემ, — თქვა კაპიტანმა, — თორემ ძილი სულ დამავიწყდა.

ქალიშვილი საძილე ტომრიდან ამოძვრა.

— რას ოინბაზობ? — ჰკითხა კაპიტანმა და წამოიწია.

ქალიშვილი ახლო მიუჩიოჩდა.

— ერთად დავწვეთ, ასე უფრო თბილად ვიქნებით. ზემოდან კი ტომარა წავიფაროთ.

— იცით, რას გეტყვით... — აღშფოთდა კაპიტანი.



— მიიწიეთ, — უთხრა ქალიშვილმა, — თოვლზე ხომ არ დაეწვები... ვერ მოთავსდით?

— თმა აიკარიოთ, თორემ ცხვირში მილიტინებს, სადაცაა ცეზინება ამოტყდება და ისედაც...

— ძილი თუ გინდათ, დაიძინეთ, ჩემი თმა ხელს არ გიშლით.

— მიშლას. — მოთენთილი ხმით თქვა კაპიტანმა და უმაღლვე ჩაეძინა.

ისმონდა დნობაშეპარული თოვლის ფაჩუნი, წვეთების წკაპაწყუპი. თოვლას საფარზე კვამლივით დაილანდებოდა ღრუბლის ჩრდილები.

ეძინა პირზე მუშტმიბჯენილ კაპიტანს. სახე დაღლილი ჰქონდა, განაწამები... ქალიშვილი წამოიწია, ფრთხილად ამოუდო ხელი თავქვეშ.

ორმოზე გადმოხრილ ხის ქვევს მძიმე-მძიმე წვეთები სწყდებოდა და მძინარეს სახეზე ეცემოდა. ქალიშვილმა ხელი ისევ გამოინთავისუფლა და წვეთებს მუჭი შეუშვირა. აევესებოდა თუ არა, წკალს ფრთხილად ღვრიდა.

კაპიტანმა გაიღვიძა. წამოჯდა და სახე ხელისგულებით მოისრისა.

— აგერ, — უთხრა ქალიშვილმა, — ჭალარა გაგრევიათ. ეს, ალბათ, იმ შემთხვევის ბრალია.

— რომელი შემთხვევისა? — უთხრა ზმორებამორეულმა კაპიტანმა.

— რომელი და, რომ დაგხვრიტეს, იმისა.

— არ მახსოვს, — თქვა კაპიტანმა და დაამთქნარა. არ უნდოდა ახლა იმ ამბის გახსენება.

მაშინ, ავვისტოში, კაპიტანმა გერმანელთა ტყვია-წამლის დიდი საწყობი ააფეთქა. აფეთქების ტალღამ კონტუზია დამართა და ალმა გვარიანად შეტრუსა. გამურულსა და ტანსაცმელშემოფლეთილს წაადგნენ თავს გერმანელები და თავიანთ დაჭრილ ჯარისკაცებთან ერთად ლაზარეთში გადაგზავნეს. კაპიტანი სამი კვირა იწვა და ყრუმუნჯობას იგონებდა. მაგრამ ეჭიმებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ სმენა არ დაკარგვოდა. გესტაპოელებმა იგი სამ გერმანელ სიმულანტ ჯარისკაცთან ერთად დახვრიტეს. მძიმედ დაჭრილი კაპიტანი ღამით რის ვაი-ვაგლახით ამოძვრა თხრილიდან, ოცი კილომეტრი იხოხილა და ასე მიაღწია დანიშნულების ადგილამდე.

საუბარი რომ შეეწყვიტა, მიზაილოვას ჰკითხა:

— კიდევ გტკივათ ფეხი?

— ხომ გითხარით, სიარული შემიძლია-მეთქი, — მიუგო გაღიზიანებულმა ქალიშვილმა.

— კეთილი, დაჯექით, თუ გაჭირდა, გარბენინებთ კიდევ.

კაპიტანი მარხილში შეეხა და გამლღვარ თოვლზე წაკვანჭალდა.

თოვლ-ჰყაპი მოდიოდა. კაპიტანს ფეხები ეკეცებოდა, წამდაუწუმ ეფლობოდა ყაპით ამოვსებულ ღრანტეებში. უღიმღამო ამინდი იდგა და სევდიანად ფიქრობდა, მოახერხებდნენ თუ არა ღლობაშეპარული თოვლით დაფარულ მდინარეზე გადასვლას.

გზაზე მოკლული ცხენი ეგდო.

კაპიტანი ლეშს მიუცუცქდა და დანა მოიმარჯვა.

— იცით, — თქვა ქალიშვილმა, — ყველაფერს ისე მარჯვედ აკეთებთ, ცქერაც არ მეზიზღება.

— გშიათ და იმიტომ, — მშვიდად უთხრა კაპიტანმა.



ახელ-თხელ ნაკრებად აქნილი ხორცი ანტენის ღერძზე წამოაცვა და ისე შეწვა.

— გემრიელია? — გაოცდა ქალიშვილი.

— გემრიელია და მერე როგორ! — გაეღიმა კაპიტანს, — შებწვარი ცხენის სორცი საქონლისას სჯობია.

მერე ადგა და თქვა:

— წავალ, გავივლი, ვნახავ, რა ხდება, თქვენ კი დარჩით.

— კარგით, — დაეთანხმა ქალიშვილი, — ეგებ სისულელედაც კი ჩამომართვათ, მაგრამ ძალიან მიჭირს ახლა მარტო დარჩენა, ისე შეგეჩვიეთ.

— აბა, აბა! ეგეთები არ იყოს. — ჩაიბუზღუნა კაპიტანმა.

— მაგრამ ეს ნათქვამი თავად მას უფრო ეხებოდა, რადგან ქალიშვილის სიტყვებმა, ცოტა არ იყოს დააბნია.

იგი ლამით დაბრუნდა.

დამბაჩამომარჯვებული ქალიშვილი მარხილზე იჯდა. კაპიტანის დანახვაზე გაიღიმა და ადგა.

— დაჯექით, დაჯექით, — იმგვარად უთხრა, მისი გამოჩენისას ფეხზე წამომდგარ კურსანტებს რომ ეტყოდა ხოლმე.

გააბოლა, ქალიშვილს უნდობლად გადახედა და მერეღა თქვა:

— ხათაბალაა პირდაპირ. გერმანელებს აქვე, სულ ახლო, აეროდრომი გაუკეთებიათ.

— მერე რა? — გაიკვირვა ქალიშვილმა.

— არაფერი, — თქვა კაპიტანმა, — ძალიან მარჯვედ მოწყობილან. — და საქმიანად ჰკითხა: — თქვენი გადამცემი თუ მუშაობს?

— დაკავშირება გინდათ? — გაუხარდა ქალიშვილს.

— მინდა და როგორ! — თქვა კაპიტანმა.

მიხაილოვამ ქუდი მოიხადა და ყურსაცვაში მოირგო. რანდენიმე წუთიც და კაპიტანს ჰკითხა, რა გადავცეო. კაპიტანი გვერდით მიუჯდა, ხელისგულზე მუშტი დაირტყა და უკარნახა:

— ერთი სიტყვით, ასე: რუკა დამისველდა, აეროდრომის კვადრატის განსაზღვრა არ შემოძლია. კოორდინატებს კომპასის მიხედვით გადმოგცემთ. დაბალი ღრუბლიანობის გამო სახაზო ორიენტირი დათარული იქნება. ამიტომაც აელენგად ჩვენი გადამცემის ტალღას გამოიყენებთ. რომელ ტალღაზე მუშაობთ, თავად ეტყვი.

ქალიშვილმა ყურსაცვაში მოიხსნა და კაპიტანს სახეგაბადრული მიუბრუნდა.

პაპიროსის გახვევით გართულ კაპიტანს კი მისკენ არც აუხედავს.

— ახლა კი აი, რას გეტყვით. — თქვა ყრუდ, — გადამცემი მიმაქვს და მათკენ მივდივარ, — ხელი ჩაიქნია და განმარტა: — რათა მიზანთან უფრო ახლო ვიყო. თქვენ კი აქედან თავად უნდა გააღწიოთ. დაღამდება თუ არა, მდინარისაკენ დაეშვებით. ყინული თხელია და ჭოკი წაიღეთ. წყალში თუ ჩავარდით, ის გიშველით. მერე მალინოვკამდე კიდევ სამი კილომეტრი უნდა იჯახიროთ, იქ კი შეგხვდებიან.

— კა, ბატონო, — მიუგო მიხაილოვამ, — ოღონდ გადამცემს ვერ მოგცემთ.

— აბა, აბა, — შესძახა კაპიტანმა, — ეგეთები არ იყოს.



შემწვარი ცხენის სორცი საქონლისას სჯობია  
ბიზნისიქიქა



— გადამცემზე პასუხს მე ვაგებ და არც მოვიცილებ.

— მკვდარი მკვდარს აეკიდაო, — ჩაიბურტყუნა კაპიტანმა და გაბრაზებულმა ხმამაღლა წარმოთქვა: — გიბრძანებთ.

— კარგად იცით, კაპიტანო, რომ ყოველგვარი თქვენი ბრძანება შესრულდება. მაგრამ გადამცემის წართმევის უფლება არა გაქვთ.

— როგორ ვერ გაგაგებინეთ!.. — აენტო კაპიტანი.

— მშვენიურად მესმის, — მშვიდად წარმოთქვა მიხაილოვამ, — ეს დავლება ნბოლოდ მე მეხება. — და კაპიტნისაკენ მრისხანედ მომზირალმა დაუმატა: — ფიცხობთ და სხვის საქმეში ერევით.

კაპიტანი სხარტად შეტრიალდა მიხაილოვასაკენ, უნდოდა, რაღაც ძალზე მკვახე ეთქვა, მაგრამ თავს სძლია და ესლა მოახერხა:

— კარგი, მიდით, საქმეს მიხედეთ, — და შეურაცხყოფისთვის როგორღაც შური რომ ეძია, დასძინა: — თვითონ ვერ მოიფიქრა და ახლა თავი გამოიდო!..

მიხაილოვამ დამცინავად ესროლა:

— იდეისათვის მადლობელი ვარ, კაპიტანო.

კაპიტანმა სახელო წამოიწია და საათს დახედა.

— რაღას უზიხართ? დრო არ ითმენს.

მიხაილოვა ღვედებს მოუჭიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე მობრუნდა.

— ნახვამდის, კაპიტანო!

— წადით, წადით, — ჩაიბურტყუნა კაპიტანმა და მდინარისაკენ გაემართა.

მიწას ნისლიანი ბურუსი დასწოლოდა, პაერში ნესტის სუნი იდგა და იქაურობა ლამითაც კი გაუყინავეი მდინარის ჩქატუნს აევსო. ამგვარ ამინდში სიკვდილი განსაკუთრებთ უსიამოვნო იყო. თუმცა საკითხავია, რანაირ ამინდშია სიკვდილი სასიამოვნო!

მიხაილოვას რომ ამ სამიოდ თვის წინათ წაეკითხა მოთხრობა, რომლის გმორებსაც მსგავსი თავგადასავალი გადახდომოდათ, ლამაზ თვალეში უეჭველად მეოცნებე გამომეტყველება ჩაუდგებოდა. თივთიკის შალში გახვეული, თავს იმ გმირი ქალის მაგივრად წარმოიდგენდა; ოღონდ სულ ბოლოს, ყველაფრისათვის ჯავრის ამოსაყრელად, აუცილებლად გადაარჩენდა გმირ ვაჟკაცს, რომელიც მას შეიყვარებდა, თავად კი არამც და არამც ზედ არ შეხედავდა.

იმ საღამოს, როდესაც მიხაილოვამ მამას თავისი გადაწყვეტილება გაანდო, ჯერ კიდევ არ იცოდა, რა არაადამიანურ დაძაბვას მოითხოვდა ეს საქმე, ჭუჭყში ძილს, შიმშილს, სიცივესა და მარტოობას რომ უნდა შეგუებოდა. ამ სიძნელეებზე ვინმეს რომ დაწვრილებით მოეთხრო, იგი უბრალოდ ჰკითხავდა:

— კი მაგრამ, სხვებს ხომ შეუძლიათ?

— რომ მოგკლან?

— ყველას ხომ არ კლავენ.

— რომ გაწამონ?

დაფიქრდებოდა და წყნარად მიუგებდა:

— არ ვიცი, თავს როგორ დავიქერ. მაგრამ თქმით რომ არაფერს ვიტყვი, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

მამამ რომ მისი გადაწყვეტილება გაიგო, თავი ჩაქინდრა და ხრინწიანი, ძნელადსაცნობი ხმით ამოღერდა:



— აწი მე და დედაშენს ძალიან მძიმე დღეები დაგვიდგება, ძალიან მძიმე.

— მამა, — წკრიალა ხმით უთხრა შვილმა, — მამა, გამიგე, არ შემიძლია შინ დარჩენა.

მამამ თავი ასწია და შვილს შიშის ერუანტელმა დაუხარა, თვალებს და ხელს შუა მოტეხილიყო.

— მესმის, — თქვა მამამ, — რას ვიზამ. კიდევ უარესი იქნებოდა, ასეთი შვილი რომ არ მყოლოდა.

დედას დილით გაუმხილეს, სამხედრო ტელეფონისტთა კურსებზე მოწყობას რომ აპირებდა.

ქალი გაფითრდა, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ სთხოვა:

— ფრთხილად იყავი, შვილიყო.

მიხაილოვა კურსებზე ბეჯითად სწავლობდა და გამოკითხვისას ისე დელავდა, სკოლაში, გამოცდებზე რომ იცოდა ხოლმე, და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბრძანებაში, გადაცემის ნიშანთა რიცხვის გარდა, მისი წიგნიერებაც აღნიშნეს.

ამ გაუსაძლის, ცივ და მიუსაფარ დღეებში მარტო დარჩენილი, თავდაპირველად ტიროდა და შოკოლადი მთლიანად შემოეჭამა. ცნობებს კი მაინც ზუსტად გადასცემდა ხოლმე და თუმცა ზოგჯერ საშინლად მოუნდებოდა, საკუთრად რაღაც ორიოდ სიტყვა მიემატებინა, რათა ასე ეულად აღარ ეგრძნო თავი, ამას მაინც არ აკეთებდა, რომ ელექტროენერგია დაეზოგა.

ახლა, აეროდრომისაკენ ჯახირით მიმავალი, გაოცებული იყო, ყველაფერი რა უბრალოდ ხდებოდა. აგერ, გალუმპული, ფეხმოყინული მიხობავს თოვლქვაპში. ადრე კი, გრიბი რომ შეეყრებოდა, მამა სასთუმალთან დაუჭდებოდა და წიგნს ხმამაღლა უკითხავდა, რათა თვალები არ დაღლოდა. შემფოთებული დედა კი თერმომეტრს ხელისგულში უთბობდა, რადგან შვილს ილიაში ცივის ჩადება არ უყვარდა. ხოლო ტელეფონი რომ დარეკავდა, მომკითხველს დამწუხრებული ამცნობდა: ავად გამიხდაო. მამა ტელეფონში ქალაღს შეარჭობდა, რათა შვილი ზარის ხმას არ შეეწუხებინა. ახლა კი, თუ გერმანელები გადამცემს სწრაფად მიაკვლევდნენ, მიხაილოვას სიცოცხლეს გამოასალმებდნენ.

მოკლავდნენ ასეთ კარგ, ლამაზ, კეთილ და შესაძლოა, ნიჭიერ ქალი-შვილს. ალუფხულ, საძაგელ თოვლში უნდა წოლილიყო. ბეწვის კომბენეზონი ეცვა, მაგრამ, ალბათ, გახდიდნენ. შიშის ზარი სცემდა, როდესაც საკუთარ თავს დედიშობილას წარმოიდგენდა და ისიც ჭუჭყში დაგდებულს. მისი შიშველი სხეულისთვის ფაშისტებს ბილწი თვალებით უნდა ეცქირათ.

ეს ტყე საოცრად ჰგავდა კრასოვსკის ტევრს, სადაც იგი აგარაკზე ისვენებდა. იქაც ასეთივე ხეები იყო. პიონერულ ბანაკშიც მსგავსი ხეები ენახა. პამაკიც ორ ასეთ ტყუბ ფიჭვზე ჰქონდათ გაბმული.

როდესაც დიშკამ ამგვარსავე არყის ხეზე მისი სახელი ამოკვეთა, ხის დასახიჩრებისათვის საშინლად გაუბრაზდა და ხმას აღარ სცემდა. ის კი კვალდაკვალ დასდევდა და ნაღვლიანი, ლამაზი თვალებით შესცქეროდა. შერიგებისას დიშკამ სთხოვა, გაკოცებო. გოგონამ თვალები დახუჭა და საცოდავად წაილულლულა: „ოღონდ ტუჩებში არა“. მღელვარებისაგან დაბნეულმა ბიჭმა ნიკაპზე აკოცა.

ძალიან უყვარდა ლამაზი კაბები. ერთხელ, მოხსენების წასაკითხად რომ



გაგზავნეს, თავისი ყველაზე კობტა კაბა ჩაიცვა. ბიჭებმა დასცინეს:

— ნეტა რას გამოპრანჭულხარ?!

— რა მოხდა, ვანა არ შეიძლება ლამაზი მომხსენებელი ვიყო?

ახლა კი, გალუმპული, ჭუჭყიანი, თვალყურგაფაცოცებული მიფორთხავს მიწაზე და გაკირვებით მიათრევს მოყინულ, დარუმბებულ ფეხს. „მომკლავენ და მომკლან! დიდი ამბავი! ხომ მოკლეს დიშკა და სხვა კარგი ბიჭები. ჰოდა, მეც მომკლან. მათზე ნაკლები რით ვარ?“

თოვდა, გუბეებს ჭყაპუნი გაუდიოდა. ღრანტეებში ჩაქამებული თოვლი იდო. ის კი მოხობავდა და მიხობავდა. სველ მიწაზე გაწოლილი სულის მოსათქმელად თავს მოხრილ მკლავზე თუ ჩამოასვენებდა.

ნესტიანი მიწა მთლად ჩამუქდა და უკუნი ღამე ჩამოწვა. სადღაც მალლა უზარმაზარი ხომალდები მოცურავდა. მოწინავე ხომალდის სავარძელში გადაწოლილი, ნახევრად თვალდახუჭული შტურმანი მეგაფონის შრიალსა და სტვენას აყურადებდა, მაგრამ გადამცემის ნიშანი არა და არ ისმოდა.

თავიანთ სკამებზე მსხდარი მფრინავები და რადისტ-მსროლელიც ყურს უგდებდნენ მეგაფონის ხმაურს, მაგრამ ნიშანი არ ჩანდა. პროპელერები ჩალუსკუმებულ ზეცას ბურღავდნენ. ღამეული ზეცის წყვილიაღში მოქცეული ხომალდები წინ მიცურავდნენ, ნიშანი კი კვლავაც არ ჩანდა.

და უცებ წყნარად, ფრთხილად გაისმა პირველი მოწოდებანი. ამ უწვრილეს აბლაბუდას ჩაჭიდებულმა ვეებერთელა ხომალდებმა შემოტრიალება იწყეს. მძიმედ და ღმუილ-ღმუილით შეერკინნენ სქელი ღრუბლების საბურველს. კრიკინობელას სიმღერის მსგავსი, ტრამალის ქარით დარწეული ხმელი თავთავის წკრიალისდარი, შემოდგომის ფოთოლივით მოშრიალე და მშობლიური ბგერა გახდა უზარმაზარი ფოლადის ფრთოსნების გზამკვლევი.

ხომალდთა ჯგუფის მეთაურმა, მფრინავებმა, რადისტ-მსროლელებმა, მექანიკოსებმა და თვით მიხაილოვამაც იცოდნენ, რომ ბომბები ამ მშობლიური მოწოდების მიმართულებით უნდა ესროლათ, რადგან აქ მტრის თვითმფრინავები ეგულებოდათ.

შლამიან ორმოში მუხლებზე დაჩოქილი მიხაილოვა გადამცემისაკენ დახრილიყო და გასაღებს აკაკუნებდა. თავს ზემოთ მძიმე ზეცა გადმომხობოდა. მაგრამ იგი ცარიელი იყო და უტყვი. სველ შლამში ჩაფლული, მოყინული ფეხი მთლად გაუშეშდა, საფეთქლებში მოწოლილი ტკივილი გავარვარებულ სალტესავით შემოეჭდო თავზე. აციებდა. დროდადრო ხელი პირთან მიჰქონდა — ბაგეები ცხელი ჰქონდა და გაფიცებულნი. „გავცივდი, — გაიფიქრა ნაღვლიანად, — თუმცა ახლა ამას რაღა აზრი აქვს“.

ხანდახან ეჩვენებოდა, რომ გონებას ჰკარგავდა. თვალს გაახელდა და შეშინებული ყურს ცქვეტდა. ყურსაცვამებში მკვეთრად და მქლერად ვაისმოდა გადაცემის ნიშნები. მაშასადამე, ხელი მაინც უნებლიეთ აწვებოდა გასაღების ბერკეტს. „რა წესრიგის მოყვარული ვარ! კიდევ კარგი, მე წამოვედი და არა კაპიტანი. ვანა მისი ხელი შესძლებდა ასე უნებურ მუშაობას? არადა, აქ რომ არ წამოვსულიყავ, ახლა მალინოვკაში ვიქნებოდი და შესაძლოა ჩემთვის ჯუბაჩაც მოეცათ... იქ ახლა ღუმელი გუგუნებს... ეჰ, ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა. ახლა კი მორჩა, აღარავინ და აღარაფერი არ იქნება... რა საოცარია, აი, ვწევარ და ვფიქრობ. არადა, სადღაც მოსკოვი არსებობს, იქ უამრავი ხალხია, მაგრამ ჩემი აქ ყოფნის ამბავი არავინ იცის. ყოჩაღ მე! ეგებ მა-



მაცი ვარ, ჰა? არა, შიში სრულებით არ მეკარება... ალბათ ავად რომ ვარ, იმიტომ. ოღონდაც მალე დამთავრდეს! მართლა და მართლა, სად ბრძან აქამდე? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ მეტი აღარ შემიძლია?"

ერთი ამოისლუკუნა, ორმოს კიდეზე წამოწვა, გვერდზე გადაბრუნდა და კაკუნი განაგრძო. ახლა უფრო გარკვევით გამოჩნდა თვალშეუფლებელი ტყვიისფერი ზეცა. აგერ, პროექტორების შუქმა მოლოკა ცის თავახი და სმენას ჩასწვდა ხომალდების შორეული. მძიმე ქშენა. მიხაილოვამ ცრემლები გადაყლაპა და ამოიჩურჩულა:

— ძვირფასებო, კარგებო! ბოლოს და ბოლოს ხომ მოფრინდით ჩემთან. ისე ძალიან მიჭირს... — და ანაზღად შიშმა გაჰკრა: „ვაითუ ნიშნების ნაცვლად ეს სიტყვები გადავეცი? რას იფიქრებენ ჩემზე?“

წამოჯდა და ბერკეტი მწნედ, მკაფიოდ ააკაკუნა, თან შიფრს ხმამაღლა იმეორებდა, რათა ნიშნები წელანდელივით არ არეოდა.

ხომალდთა გუგუნის თანდათან მოახლოვდა. აგერ, საზენიტო ზარბაზნებმაც იქუხა.

— ოპო, არ ნოგწონთ?

ფეხზე წამოდგა. ვერც ტკივილი იგრძნო, ვერც ვერაფერი. მთელი ძალით უკაკუნებდა გასაღებს, თითქოს ნიშნებს კა არ გადასცემდა, თვითონ კიოდა: „მიდით! დასცხეთ!“

სიბნელე გაჰკვეთა პირველმა ჭურვმა და მიწას დაისკდა. ჰაერის ბიძგისაგან მიხაილოვა ზურგზე დაეცა. ანარეკლი ალის ნარინჯისფერი ლაქები გუბურებში ჩაეშხეფა. ყრუ დარტყმებისაგან მიწა იძრა. გადამცემი წყალში ჩავარდა, მიხაილოვამ მისი ამოღება სცადა. აწივლებული ჭურვები გეგონებოდნენ, პირდაპირ მისკენ, ორმოში მოფრინავსო.

თავი მხრებში ჩარგო და თვალმოჭუტული იქვე ჩაჯდა. ალის შუქმა ქუთუთოებში შეაღწია. ჭურვების აფეთქებათა შუალედებში აეროდრომზე რაღაც სკდებოდა და ტკაკუნებდა. შავი ნისლი მთლად ბენზინის სუნით აქოთდა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა, საზენიტო ზარბაზნებიც დადუმდნენ.

„ეჰე, — ნაღვლიანად გაიფიქრა მიხაილოვამ, — ისევ მარტო დავრჩი!“ წამოდგომა სცადა, მაგრამ ფეხები...

ველარ გრძნობდა, ფეხები თუ ჰქონდა, ნეტა რა დაემართა: მერელა გაახსენდა, ასეთი რამ ხდება, როდესაც ადამიანს ფეხები წაერთმევა. ეს კი კონტუზიამ იცის. ეგაა და ეგ. დაწვა და სველ მიწას დაწვით დაეკრა. ნეტა ერთი ჭურვი მაინც დასცემოდა! მაშინ ყველაფერი იოლად გადაწყდებოდა... ყველაზე საშინელსაც ველარ გაიგებდა.

„არა, — გადაჭრით განუცხადა საკუთარ თავს, — სხვები უარეს დღეში ჩავარდნილან, მაგრამ მაინც გაულწევიათ, არაფერი ცუდი არ უნდა შეემთხვეს. მე ასე მინდა“.

სადღაც მანქანის ძრავა ათუხთუხდა და თეთრი, გამყინავი შუქი რამდენჯერმე დაეცა ჩაშავებულ ჩირგვნარს; მერე აფეთქების ხმა გაისმა და იქვე, თითქმის ყურისძირში, ტყვიამ გაუზუზუნა.

„მეძებენ. არადა, რა კარგია წოლა, ნუთუ ესეც აღარ იქნება?“

ზურგზე გადაბრუნება სცადა, მაგრამ ფეხის ტკივილი გავარვარებული შანთივით ეძგერა გულზე. შეჰკივლა. ისევ დააპირა წამოდგომა და... მოცულილივით დაეცა...



ცივი, ძლიერა თითები ჩაეჭიდა საკინძეში.

მიხაილოვამ თვალები გაახილა.

— თქვენა ხართ? ჩემს წასაყვანად მოხვედით? — თქვა და ატორდა.

კაპიტანმა სახე ხელისგულებით მოწმინდა და ქალიშვილმა ფეხლებზე ისევ დახუჭა. განძრევის თავი არ ჰქონდა. კაპიტანი ცალი ხელით ჩაუფლანდოდა წინიზონის ქამარში და მალლა აათრია. მეორე ხელი ძონძივით დაჰკიდებოდა.

ესმოდა ქალიშვილს, როგორ მიჭრიალებდა მარხილი თოვლზე.

მერე კაპიტანიც დაინახა. იგი კუნძზე იჯდა, ქამრის ერთი ბოლო კბილებით ეჭირა და შიშველ მკლავზე მის შემოჭერას ცდილობდა. მკლავიდან თქრიალით სდიოდა სისხლი. მიხაილოვას შეხედა და ჰკითხა:

— რაო, როგორ ხარ?

— არ ვიცი, — ამოიჩურჩულა ქალიშვილმა.

— სულ ერთია, — კბილებშუა გამოსცრა კაპიტანმა, — მე უკვე აღარაფრად ვვარგვივარ. ღონე გამომელია. ეგებ თავად წახვიდეთ, ცოტალა დარჩა.

— მერე თქვენ?

— მე ცოტას დავისვენებ.

კაპიტანს წამოდგომა უნდოდა, მაგრამ როგორღაც შორცხვად გაიღიმა და კუნძიდან გადმოვარდნილი მიწაზე გაიშხლართა.

ძალიან მძიმე იყო და მიხაილოვამ დიდხანს იჯახირა, სანამ მის უღოხო სხეულს მარხილზე დადებდა. მოუხერხებლად იწვა, პირქვე. ზურგზე მისი გადაბრუნება ქალიშვილს უკვე აღარ შეეძლო.

მარხილის ადგილიდან დასაძრავად დიდხანს ექაჩებოდა ღვედებს. ყოველ ნაბიჯი გაუსაძლის ტკივილს აყენებდა. ღვედებს კი მაინც ჯიუტად ეწეოდა და მარხილს სველ, ვალუფხულ მიწაზე მიათრევდა.

აღარაფერი ესმოდა. ანდა, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? რატომ იდგა დაუძლურებული, რატომ მიწაზე არ იწვა? ნახევრად თვალდახუჭული ხეს მიყრდნობოდა და წაქცევისა ეშინოდა, რადგან მერე წამოდგომას ველარასოდეს შესძლებდა.

თვალი მოჰკრა, როგორ ჩამოფორთხდა კაპიტანი მიწაზე და მარხილზე მხოლოდ თავი და მკერდი ჩამოდო. სალი ხელით კადონს მოეჭიდა და წაიჩურჩულა:

— ასე უფრო გაგიადვილდებათ.

მიფორთხავდა მარხილზე ჩამოკიდებული. ხანდახან კადონს მოსწყდებოდა და სახით მიწას ჩაასკდებოდა. მიხაილოვა მკერდქვეშ მარხილს შეუყენებდა და ძალა აღარ ჰყოფნიდა, თავი გვერდზე მიებრუნებინა, რათა მისი გაშავებული, დასახიჩრებული სახისთვის აღარ ეცქირა.

მერე თავად დაეცა და მის სმენას კვლავ მისწვდა კავებქვეშ ატეხილი ტალახის ჭყაპუნი. მერე ყინულის სკდომის ხმა შემოესმა. გამხდარი, გაყვითლებული, წვერჭუჭყიანი კაპიტანი ტახტზე იჯდა და ფიცრის ნაპობებშუა ჩაჭედილი ხელი მკერდზე ეკიდა.

— გაიღვიძეთ? — ჰკითხა ძნელად საცნობი ხმით.

— არ მძინებია.

— სულ ერთია, — თქვა, — ეგეც ძილს ჰგავს.


ქალიშვილმა ხელი ასწია და... თავისი შიშველი მკლავი დაინახა.

— თვითონ გავიხადე? — იკითხა საცოდავად.



— მე გაგხადეთ, — ბრაზიანად მიუგო კაპიტანმა. თითები დაჭრილ ხელზე მოითათუნა და აუხსნა: — ჩვენ ხომ თითქმის ვიბანავეთ... მდინარეში. თანაც დაჭრილი მეგონეთ.

— სულ ერთია, — წყნარად თქვა ქალიშვილმა და კაპიტანს თვალებში შეხედა.



— რასაკვირველია, — დაეთანხმა ისიც. მიხაილოვამ გაიღიმა.

— ვიცოდი, რომ ჩემს წასაყვანად დაბრუნდებოდით.

— ვითომ რატომო? — ღიმილი მოერია კაპიტანსაც.

— ისე, ვიცოდი.

— სისულელეა, — თქვა კაპიტანმა, — არაფრის ცოდნა თქვენ არ შეგძლოთ. დაბომბვისას თითქმის სამიზნე იყავით და თქვენი მოკვლაც შეეძლოთ. ეს რომ გავითვალისწინე, თივის ზვინი მოენახე, თუ საჭირო იქნებოდა, ცეცხლით მიმეცა ნიშანი. მეორეც, თქვენს საძებრად რადიოსადგურიანმა ჯავშნოსანმა მთელი ტყე გაცხრილა, სანამ ყუმბარა არ ვგლიჯე. მესამეც...

— მესამეც რაღაო? — წკრიალა ხმით ჰკითხა მიხაილოვამ.

— მესამეც, — დარბაისლურად უთხრა კაპიტანმა, — ძალიან კარგი ვოგონა ხართ, — და მყისვე სწრაფად დაუმატა: — ანდა, საერთოდ თუ გსმენიათ ვინმე სხვაგვარად მოქცეულიყო?

მიხაილოვა წამოჯდა, ტანსაცმელი გულში ჩაიკრა, კაპიტანს გაბრწყინებული თვალები შეანათა და ხმამაღლა უთხრა:

— იცით, მგონია, ძალიან მიყვარხართ.

ყურებგაფითრებულმა კაპიტანმა თავი გვერდზე მიაბრუნა.

— აბა, ეგეთებს თავი დაანებეთ!

— ისე კი არა, უბრალოდ მიყვარხართ, — ამაყად განუცხადა მიხაილოვამ.

კაპიტანმა ამოჰხედა და მორცხვად თქვა:

— მე კი ხშირად არ მყოფნის გამბედაობა ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ. ეს კი ძალიან ცუდია.

და უცებ, ფეხზე წამომდგარმა, ისევ მკაცრად ჰკითხა:

— ცხენზე თუ მჯდარხართ?

— არა, — მიუგო მიხაილოვამ.

— ახლა შეჯდებით, — უთხრა კაპიტანმა.

— გავრიუშა, პარტიზანი, — წარუდგა თმაწვერწამოზრდილი, ტანდაბალი, მხიარული, თვალებმოჭუტული კაცი, რომელსაც ორი გაძვალტყავებული და უკუდო გერმანული ცხენი აღვირით ეჭირა. მიხაილოვას დაჟინებული მზერა რომ იგრძნო, აუხსნა: — ბოდიშს ვიხდი და ახლა მე ნაგაზსა ვგვევარ. გავდენით თუ არა რაიონიდან გერმანელებს, გავიპარსები. იცით, რა სადალაქო გვქონდა? სარკე იყო — უუ! კაცი შიგ თავიდან ფეხებამდე ჩანდა.

მიხაილოვა რის ვაივაგლახით რომ შესვა უნაგირზე, დარცხვენილმა წაიბუტბუტა:

— კუდმა არ დაგაეჭვოთ, ცხენი ნამდვილია. რას ვიზამთ, ასეთი ჯიშია. მე კი ფეხით სიარული მიჩვევია. ამაყი კაცი ვარ, უკუდო ცხენზე შეჯდომას ნაღდად არ ვიკადრებ. ჩვენებურ, ღალატს დაცინვას არაფერი ურჩევნია. ომი დამთავრდება, ზედმეტი სახელი კი შეგრჩება.



ვარდისფერი, მშვიდი დილა იდგა. ნაზ სურნელს გამოსცემდა მწეჩამდგარი ტევრი და გამთბარი მიწა. უნაგირიდან გადმოხრილმა მიხაილოვამ კაპიტანს მღელვარედ მიმართა:

— ახლა საოცრად კარგად ვარ, — თვალეში ჩახედა, თავი დახარა და ღიმმორეულმა ჩაიჩურჩულა: — ახლა ბედნიერი ვარ.

— ეგ არაფერი, — თქვა კაპიტანმა, — ბედნიერი კიდევ იქნებით. კაპიტანის გვერდით მიმავალ პარტიზანს მისი ცხენის უნაგირისთვის ხელი ეკიდა. უცებ თავი ასწია და თქვა:

— უწინ ქათმის დაკვლა არ შემეძლო. გუნდში ვმღეროდი. მეფუტკრე ვიყავი. ეს ისეთი ხელობაა, კაცს რომ ფიქრს აჩვენებს. ახლა კი რამდენი პიტლერელი გავისტუმრე იმქვეყნად! — და ტაში შემოჰკრა. — გამაბოროტეს კაცი და ეგაა!

მზე კარგა მაღლა აიწია. ნასვენ მიწაზე უკვე ამოწვერილიყო ხასხასა, უნაზესი მოლი. გერმანულ ცხენებს ყურები დაეწურათ და ვეება ხეების დანახვაზე, იქაურობა გაფოფრილი ჩრდილებით რომ მოერთოთ, წამდაუწუმ თრთოდნენ და განზე ხტებოდნენ.

ლაზარეთიდან ნაწილში დაბრუნებული კაპიტანის ცნობა ამხანაგებს ძლიერ გაუჭირდათ. მზიარული, აღგზნებული ქავორონკოვი ლაპარაკით ველარ ძლებოდა, ხმამაღლა იცინოდა, ხუმრობდა, ყველასთვის გამონახა თითო-ორი-ლა გულთბილი სიტყვა. მუსაიფობდა, თან თვალეებით ვილაცას ეძებდა, ეს რომ შეამჩნიეს, ამხანაგებმა თითქოს შემთხვევით წაილაპარაკეს:

— მიხაილოვა კი ისევ დავალებაზეა.

კაპიტანს სახე წამიერად მოელრუბლა, მაგრამ თავს უმაღვე სძლია... არავისთვის შეუხედავს, ისე თქვა:

— ყოჩალი გოგონაა, ვერაფერს იტყვი, — გიმნასტურა შეისწორა და მე-თაურის კაბინეტისაკენ გაემართა, რათა თავისი დაბრუნება მოეხსენებინა.



# ივან კოტლიარევსკი

„ენეადა“ (ნაწილი პირველი)



უკრაინულიდან თარგმნა ამირან ასანიძემ

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის, საზოგადო მოღვაწის, ივან პეტრეს ძე კოტლიარევსკის (1769-1838) პოემა „ენეადა“ ხალხურ ენით დაწერილი პირველი ნაწარმოებია, რომლითაც იწყება ახალი უკრაინული ლიტერატურა. იგი ორგანულადაა დაკავშირებული მე-18 საუკუნის უკრაინულ ბურჟუაზიულ მწერლობასთან, ხალხურ შემოქმედებასთან, მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსულ სატირულ ლიტერატურასთან.

ვერგილიუსის „ენეადადან“ ი. კოტლიარევსკიმ მხოლოდ და მხოლოდ სიუჟეტური ქარგა აიღო და ორიგინალური ნაწარმოები შექმნა. „ენეადაში“ ფართოდაა წარმოდგენილი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენა. ტროელთა, კართაგენელთა და რომაელთა სახეებით წარმოსახულა თვით უკრაინელთა ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები. ენესი და მისი რაზმელები ზაპოროჟიელები არიან, რომლებიც ცარიზმის მიერ სიჩის გაუქმების შემდეგ აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ, ვიდრე მათი უმეტესობა ყუბანში არ დამკვიდრდა იქ კაზაკთა შაგი ზღვის ქარი არ შექმნა.

თუ პირველ სამ ნაწილში ტროელები თავზებულალებულ, ლამის გაყაჩაღებულ ბოგანობად არიან წარმოსახულნი, მომდევნო თავებში ისინი დახატული არიან ქვეიან და მამაც პატრიოტებად, რომლებიც სამშობლოსათვის თავსაც წირავენ. დამახასიათებელია ერთ-ერთი გმირის, ვერიალის სიტყვები საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი ვალის შესახებ:

„როდესაც უჭირს საქმეს ხერთოს,  
იქ კაცი ძმასაც აღარ დაინდობს.  
თავიხიანთა დასახმარებლად...“

მომდევნო თავებში იცვლება ენესის სახეც. იგი ახლა მოქეიფე, მოარშიყე და დარდიმანი ამბოჯარი კი არაა, კაზაკთა ბაშაკი მეთაური, გმირი და სახელმწიფო მოღვაწეა:

პოემა იმდენად რეალისტურია, რომ მასში ხშირადაა ნახსენები უკრაინელი კაზაკობა, კერძოდ ლუბენსკის, გადიაცკის და პოლტავის პოლკები. ღმერთების პაროდულ სახეებსა და ადამიანებთან მათ დამოკიდებულებაში სატირულადაა ასახული შემამულეები, ჩინოვნიკები, მეჭრთამენი და ეკლესიის მსახურნი. პოემის მე-3 თავში, ჯოჯობეთისა და სა-



მოთხის სურათებში, ნხილებულია შემამულური ყოფის დამახასიათებელი  
სოციალური უთანასწორობანი და საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი,  
გაკრიტიკებულია ბატონყმობა.

ნაწარმოები დაწერილია ლალი, ხალხური ენით და გაქვნილია ლექ-  
ბული ოუმორით.

რუსულ ენაზე პოემის რამდენიმე თარგმანი დაიბეჭდა <sup>რუსულ ენაში</sup>  
თარგმნილია ჩეხურად. <sup>ბიზანტიურ ენაში</sup>

ქართულად პირველად ითარგმნება და მისი წიგნად გამოცემა განზრ-  
ხული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული  
თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო  
კოლეგიას.

მთარგმნელი სანან

ცეცხლივით ბიჭი იყო ენეას<sup>1</sup> —  
კაზაკზე აბა ვინ თქვას აუგი! —  
ჭირსა და ლხინში სუფრის მშვენება,  
შფოთსა და ჩხუბში მხნე და ჩაუქი.  
როცა ბერძნებმა გადანვეს ტროა,  
აქციეს ფერფლად და ქვების გროვად,  
მან, ხიფათებში ასე ნაცადმა,  
გუდამშიერი ხალხი შეყარა,  
დაგლეჯილ ხალთას ხელი სტაცა და  
ზურგი აქცია მშობელ ქვეყანას.

შიშველ-ტიტველი რაზმის ამარამ,  
ხელად გაჩალხა ნავები ზღვასთან,  
შიგ ჩასხდნენ, — ის და მისი ამაღა  
სამშობლო მიწის ნაპირებს გასცდა.  
მაგრამ მზაკვრულად დამზერდა მალლით  
ფლოტს იუნონა<sup>2</sup>, ის შობელძალდი:  
ხალხი რომ ნახა ზღვაში გასული,  
გაუცხოველდა გულის წუხილი —  
კრიახს და ქოთქოთს მოჰყვა კრუხივით, —  
ცოცხალიაო ჯერაც ავსული!

არ უთხოვია ენეასს ჭირში  
მისთვის შეწვენა და მიშველება,  
მიტომაც თვლიდა სიკვდილის ღირსად —  
გულ-ღვიძლს უწვავდა მისი ხსენება!  
გაფიქრებაც კი ზარავდა ტანში,  
რომ ტროას იშვა ვენერას<sup>3</sup> ვაჟი;  
ბოლოს პარისმაც<sup>4</sup> — ბიძამ ტროელის —  
სულ ერთიანად გააავგულა,  
რადგან ის ვაშლი, ოქრომთოველი,  
მან ენეასის დედას არგუნა!





ჰოდა, ქალღმერთმა ზეცით რა ჰკიდა  
 ბატონ ენეასს ბოროტი თვალი,  
 (ტროელი ძუკნა ჰებემ<sup>5</sup> გაყიდა!..)  
 შიშით კინალამ გათავდა ქალი!  
 და ეოლოსი<sup>6</sup> რადგან სწყალობდა,  
 ფარშავანგშებმუელს უხმო ნალოს და  
 ბოლო ჩაუნნა კიკურქვეშ<sup>7</sup> დალალს;  
 გამოიკვანჭა კორსეტით წელი,  
 პურ-მარილითაც მოირთო ხელი  
 და, როგორც ბზიკი, გაენტო შარას.

მიადგა კიდეც მოხუც ეოლოსს,  
 უთხრა: „—სალამი ჩემო მძახალო,  
 როგორ ბრძანდები ხელკურთხეულო,  
 მიმიღებ? ეგრემც ღმერთმა გახაროს,  
 კვლავ შემწეობა მჭირდება შენი“, —  
 და მოწინებით მიართვა ძღვენი.  
 „— ჩემო მძახალო, შენ გეთაყვანე, —  
 განაგრძო, როცა სკამზე ჩამოჯდა, —  
 ტანჯვად უქციე იმ შლეგს გზა-კვალი —  
 ენეას ახლა ზღვაზე გამოჩნდა!

ხომ კარგად იცნობ მუდრეგს და ტიალს,  
 თაღლითს და ყაჩაღს, ოხერს და უღირსს,  
 უნდა მოეღოს ბოლო მის ყიალს,  
 ვისაც კაცის კვლა არაფრად უღირს;  
 ნუმცა გყოლია ტოლი რისხვაში —  
 უნდა დაინთქას ტროელი ზღვაში  
 და გაცამტვერდეს მისი ამაღა!  
 ჰოი, ამ სურვილს თუ ამისრულებ,  
 ერთ იმისთანა გოგოს ვკისრულობ,  
 ნერწყვი სდიოდეთ სხვებს წარამარა“.

„— მაგ ფასად ვის რა დაეზარება,  
 ჰაი, ჰაი, რომ უარი არ ღირს,  
 მაგრამ გამომჭრეს ყელი ქარებმა, —  
 და ეოლოსმა შეიკრა წარბი,  
 ლოთი ნოტოსი<sup>8</sup> თავს ვერ სწევს მაღლა,  
 ბორეას დღესაც ქორწილში გახლავს,  
 ზეფიროსი კი, ის ვიგინდარა,  
 სადღაც ქალებში ბულრაობს მრუშად,  
 გინდ დაიჯერე ახლა, გინდ-არა,  
 სხვების კარზეა ვეროსიც მუშად...“



თუმცა... შენ მაინც ვერ გეტყვი უარს,  
 ენეასს ვაჭმევ ისეთ ალიყურს,  
 საშვილიშვილოდ ისწავლოს ჭკუა,  
 რომ ქვეყნად მისი ბურღლა არ იყოს!  
 გასწი, მშვიდობით! არსად — ხმა, კრინტი!  
 არ დაივიწყო რასაც დამპირდი,  
 თუ გსურს გავაქრო შენი ტროელი!  
 მაგრამ თუ დაგძლევს რამე ცდუნება  
 და მოინდომებ ჩემს გაცურებას,  
 ნაშინ ხვიშტის მეტს ნურას მოელი“



მართო რომ დარჩა კარ-მიდამოში,  
 მოხუცმა მყისვე მოუხმო ქარებს;  
 გააფუჭეთო, ბრძანა, ტაროსი  
 და აირია ამინდიც გარეთ:  
 ნავებს მოაწყდა ტალღა ტალღაზე —  
 შავი ზვირთების მოჰყვნენ ალყაში,  
 ცას ენეასის ხმა მისწვდა ავი —  
 მოჰყვა საზარელ მოთქმას და ღრიალს,  
 სამოსი ტანზე შემოიხია,  
 ლამის კეფიდან მოიბდღვნა ტყავი.

ერთად გაგიჟდა ოთხივე ქარი —  
 ზღვას დაანთხიეს ბალღამი მთელი;  
 ცრემლების დასდით ტროელებს ღვარი,  
 ენეასს კუჭი უჭირავს ხელით.  
 ჭირი დაატყდათ მრისხანე მაშინ,  
 დაცაილენა ნავები ზღვაში —  
 ტალღებმა დანთქა ჯარი დიდძალი;  
 ბლავის ენეას: „ვფიცავარ, ღმერთო,  
 ხუთშაურიანს ვაჩუქებ ნეპტუნს“, (ქოლეფთონ)  
 ოღონდ დააცხროს ეს ქარიშხალი“

ნუნკი ნეპტუნი, მექრთამე ძველი,  
 გაშოტილიყო ღუმელზე უქმად;  
 — ჰა, მოვითბეო ნამდვილად ხელი,  
 წამოხტა — რისთვის დაკარგოს ლუკმა?!..  
 აღარც აცხელა, აღარც აცივა —  
 კირჩხიბს მოახტა გლეხიკაცივით,  
 ზე ამოყვინთა, როგორც კარჩხანამ,  
 და ზღვას ბობოქარს რისხვით გახედა,  
 მერე შლეგივით დაუცაცხანა  
 ქარებს: „ახლავე მოწყდით აქედან!“





მრისხანე ხმაზე ოთხივე ქარმა  
 თავშესაფარზე ფიქრი ინება,  
 ვით ლიახებმა ძახილზე — „უკან!“<sup>10</sup>  
 ანდა — დამფრთხალმა ზღარბით ქრ  
 მიჰყვა ნეპტუნიც და ზღვა მთლიანად  
 წითარცა სარკე მოაკრიალა;  
 ენეას თითქოს მეორედ იშვა,  
 მზეს რომ მიეცა ცხოველი ძალა:  
 ჯერ წამდაუნუმ ინერდა პირჯვარს,  
 ბოლოს, სადილი ჩქარაო, ბრძანა.

და ჰა, გარანდულ ფიჭვის ფიცრებზე  
 კერძებით სავსე ჯამს მიჰყვა ჯამი;  
 ხორაგს დააცხრნენ გაფაციცებით,  
 დამშეულები ვერ დაძღნენ ჭამით;  
 აქეთ თუ ერთი თქვლევს ხალიფაფას,  
 იქ სხვა ქონიან ატრიას ყლაპავს  
 და აქაფებულ ლუდზე ირევა;  
 არყის რუმბებიც როცა დაცალეს,  
 ფეხზე წამოდგნენ ბანცალ-ბანცალით  
 და მიეყარნენ დასაძინებლად.

ყველაფერს ჭვრეტდა გამოქეჩილი  
 ვენერა, კახპა კახპათაგანი;  
 დამიჩაგრესო ოხრებმა შვილი —  
 ეს იყო მისი ჯაფრის საგანი;  
 სხვა საქმეს გული ველარ დაუდო —  
 იტყოდით, მიდის საცეკვაოდო,  
 ისე გაბრწყინდა და გალამაზდა:  
 გრიზეთის<sup>11</sup> ქუდით მოირთო თავი,  
 ნახა ლუსტრინის<sup>12</sup> წამოსასხამიც  
 და გაუტია ძღვენით მამასთან.

ზევსს<sup>13</sup> კვარტიანი მოედგა გვერდით,  
 თან ქაშაყს ბდღვნინდა თავგამეტებით...  
 სმას შეჰყოლოდა, და მამა-ღმერთი  
 იმედად იყო ბოლო წვეთების,  
 ამ დროს მტირალი და ცინგლიანი  
 ქალიც მოიჭრა, მორთო ღრიალი:  
 „— რა დავუშავეთ სულთამხუთავეებს,  
 ან რა ცოდო აქვს ჩემს ენეიკოს,  
 ზვირთებით ისე რომ აბურთავეს,  
 თითქოსდა ბავშვი — ჩიკორი იყოს.



რე უბედური ბიჭი ყოფილა,  
რომს ალბათ მაშინ იხილავს თვალით<sup>14</sup>,  
როდესაც ხეზე ავა ჩოკინა,  
ან დაბრუნდება ყირიმში ხანი...<sup>15</sup>  
უპ, იუნონა!.. ხომ იცნობ, არა?  
ვინმეს გოგრაში თუ ჩააფარა,  
საშვილიშვილოდ არეტიანებს,  
თავგასულრობით ყველას აჯობა,  
გულბოროტობას და აღქაჯობას  
უბრძანე, მორჩეს ეგ სატიალე“.



გადაიგრიხა ზევსმა ქოჩორი  
და რახის ბოლო წვეთებიც დანთქა:  
„— თვითონაც კარგად უწყი, გოგონი,  
რომ არ გაუვა წყალი ჩემს ნათქვამს —  
სამეფოს შექმნის ენეას დიადს,  
სიბრძნით და მორჩებით იმეფებს ფრიად,  
ძლევით შემოსავს ტახტს და იარაღს,  
დაემონება ხალხი მრავალი,  
იბარტყებს მისი შთამომავალი,  
უმეთაურებს ჯილაგს სვიანად.“

ჯერ კი იხილავს ლამაზ დიდონას<sup>16</sup>,  
მის გულს არშიყით მოინადირებს,  
სულში ჩაიძვრენს ქალი, თვითონაც  
დროს გაატარებს და ინადიმებს.  
ჰოდა, ჩაიდე გული საგულეს,  
წადი, ილოცე და იმარხულე,  
სიტყვა გითხარი ბეჭედდასმული“.  
თაყვანი რომ სცა თავმდაბლად ქალმა  
და მამა-ბატონს გამოესალმა,  
ზევსმა ამბორჰყო თვისი ასული.

ენეასმა კი ისევ სალაშქროდ  
აჰყარა თავის მანანნალები,  
განვლილი ჭირი ვითომ არც ახსოვს,  
უტევს და უტევს ზღვას გამალებით;  
მიდის და მიდის, მიდის და მიდის,  
საცაა გული დაუწყებს ზიდილს,  
ისე მოყირჭდა ამ ზღვის ყურება,  
„ო, ღმერთო, — გმინავს სასომიხდილი, —  
ისევ ტროაში ჯობდა სიკვდილი,  
ამდენ ტანჯვას და უბედურებას!“





იმ შიშველ-ტიტველ ტროელთა ჯაფით,  
 ზღვაზე ასწორა მან დღე და ღამე  
 და ბოლოს, როცა მიადგა ნაპირს,  
 იკითხა: ხემსი თუ დარჩა რამე?  
 მიმოიძიეს საგზალი უცებ,  
 წინ გზა ედოთ და დაფუყულ მუცლებს  
 მყისვე შესწირეს ბოლო ზვარაკი.  
 მიმოიფანტა ვინ საით მერე,  
 ტროელიც ადგა, გაუყვა ხმელეთს,  
 იბლაცუნა და... ბიჭოს, ქალაქი!

ეს იყო სწორედ ის კარტაგენი,  
 რომ უწოდებდნენ დიდონას ქალაქს;  
 მისი პატრონი, ქმრის დამკარგველი,  
 მართლაც რომ ღირდა მეფედ და ქალად:  
 წარჩინებული, სათნო, ჭკვიანი,  
 საქმიანი და ხალისიანი —  
 ასე იცნობდა მთელი ქვეყანა;  
 ეშხით ავსებდა ქალაქის ქუჩებს —  
 დასეირნობდა, როდესაც უცებ  
 ჩამოძენდილ ხალხს გადაეყარა.

შეკრთა: „—გლახაკებს ნეტავ რა გნებავთ?  
 დონიდან თევზი მოგაქვთ ნავებით,  
 ბურლაკებს<sup>17</sup> გინდათ აქ დასახლება  
 თუ ლოცვას ფიქრობთ ღვთისმოსავები?  
 იქნებ არცა ხართ მანანწალები  
 და მოგზავნილნი მტრის დავალებით  
 ბოლოს აღმოჩნდეთ კაცისმკვლელები?!  
 ატყდა მგზავრებში ერთი ყაყანი,  
 ჯერ მუხლმოდრეკით ქალს სცეს თაყვანი,  
 მერე აღაპყრეს ცისკენ ხელები:

„ტროელები ვართ, ქრისტიანები,  
 ქვეყნად მფარველი არ გვეგულება,  
 ზღვა გადმოვლახეთ ტანჯვა-წვალებით,  
 ენეასისგან მონუსხულებმა;  
 დავწყდით, აღარ გვაქვს მეტი შეძლება...  
 ჩვენი რალა ვთქვათ, როცა ბერძნებმა  
 თვით ენეასიც დააპანღურეს —  
 ბრძანა, ტროადან გამოეყოლოდით,  
 და, აჰა, მასთან დაერჩით ბოლომდის —  
 ბედი უარესს რალას გვარგუნებს!





გემუდარებით... ო, ქალბატონო,  
 თქვენგან მოველით ხსნას და დანდობას;  
 თუ შეგვიფარებთ და გვიპატრონებთ,  
 თვით ენეასი გიძღვნით მადლობას!  
 ხედავთ ქალამნებს და ჩვენს ტყაპუჭებს,  
 მოსასხამებიც მთლად გავაფუჭეთ,—  
 გავტყიურდებით ალბათ სულ მალე,  
 ლეკვებივით ვართ გალუფხულები,  
 ჯიბეში გროშიც არ გვაქვს სრულებით,  
 ეგებ მოგვხედო მშიერ-მწყურვალებს.“

ეს რა ვნახეო, ხალხო ამ დილით —  
 ცრემლი მოასკდა დიდონას თვალებს,  
 იწმენდს და იწმენდს კურცხალს მანდილით, —  
 „მომადებინა ხელშიო მალე  
 გმირი, ამდენი რამის ჩამდენი,  
 მერე ნახეთო ლხინი ნამდვილი  
 დადგებოდაო ჟამი აღდგომის!“  
 „მე თუ მკითხულობთ, — დასჭეჯა კაცმა, —  
 მეც აქ გახლავარ, ესა ვარ, რაც ვარ!“  
 და ქალთან გაჩნდა ერთის ნახტომით.

შეხვედრას მოჰყვა ამბორი ცხარე,  
 ამბორს -- ალერსი მძაფრი და მწველი,  
 ბაგეებიდან სულ თაფლი ღვარეს,  
 როცა გვრიტებმა ხელს მისცეს ხელი.  
 ქუჩაბანდები განვლე! ხალისით  
 და რომ შეუძღვა სტუმარს ქალი შინ,  
 არც ტახტზე მსხდარან უქმად და უბრად...  
 თან თავი რახით შეიყოლიეს,  
 კანაფის კოპტონს კვნიტდა ორივე,  
 ვიდრე დარბაზში გაშლიდნენ სუფრას.

მერე კი... ოღონდ გენატრა რამე —  
 გაჩნდა ჭამადი ნაირ-ნაირი...  
 ცვლის ქაშანურის მოჭიქულ ჯამებს  
 ლეკას-ხის თეთრი ჭურჭელ-საინი;  
 ჩიტის რძეცაა სუფრაზე მგონი—  
 პირშუშხაში ძევს თავები ღორის,  
 სხვა საჭმელებიც ყრია ყელამდი...  
 მოაქვთ ატრია, ფაფა, წანდილი,  
 ტკბილი კვერები — თანაც რამდენი! —  
 და ინდაური საწებელათი...



დამწვარი ღვიის დადგა სურნელი,  
 თასით სვეს თაფლი, ლუდი, არაყი  
 ჯერ სუფთა, მერე მისცხეს ნაყენიც  
 ქლიავისა თუ მარწყვა ბალახის.  
 გული საამო ჰანვით გართულა --  
 ვიოლინოსთან კვენესის ბანდურა,  
 თუ „ჰორლიციას“<sup>18</sup> ქუხან სტვირები,  
 „ზუბს“, „სანჟარიკვას“ სტვენს სალამური  
 და სვიტიანი<sup>19</sup> ქალიშვილები  
 ისე ცეკვავენ, ასდით აღმური!



ერთი და ჰყავდა დიდონას — ანა,  
 სიცოცხლით სავსე, მარდი, ცქრიალა,  
 ისიც იქ გაჩნდა, არ დაახანა,  
 თავის ფლანელის წინსაფრიანად;  
 მორთულ-მოკაზმულს, მკვირცხლსა და კობტას,  
 ხატავს თივთიკის წითელი კოფთა,  
 საყურე, მძივი, სამკაულები...  
 სხვაგან სად ნახავს ასპარეზს ასეთს! —  
 და ტროელის წინ დუდუკის ხმაზე  
 ცეკვავს კვანწებით და კაურებით<sup>20</sup>.

და ენეასიც გაშმაგდა ისე,  
 თითქოს მოსდესო ულაცს ქამანდა,  
 მოიტეხავსო, იტყოდით, კისერს,  
 როცა ანასთან წრეში გავარდა.  
 უბე შარვლისა ჩაბლუჯა ხელით  
 „მიდი, მოვდივარ!“.. უსტვენს და მღერის,  
 თან გახელებით ბუქნავს და ბუქნავს;  
 ფეხთა ცემისგან წკრიალებს ნალი,  
 თრთიან მყესები კაცის და ქალის...  
 ბანდურა, სტვირი „ტრეტიაკს“<sup>21</sup> უკრავს...

ბოლოს ფინჯნებით რანგის დალევამ  
 თავის საქმე ქნა, გითხრათ მართალი,  
 და გათხოვილმა ჭორიკანებმა  
 იცოცხლე, იწყეს ენის ჭარტალი...  
 დიდონა ასე არ ატეხილა:  
 სასმელით სავსე გატეხა ქილა!..  
 გახურდა ლხინი — ჯამებს და ჯამებს  
 ენაცვლებოდა თასი და თასი,  
 გამოიბრუჟნენ... წვებოდა ლამე —  
 წამოაყენეს როს ენეასი;



ძლივს აათრია ღუმელზე წელი,  
 ფეტვში იწება გამტყვრალმა ძილი,  
 ვინ ქობში შერგო კისერი მერე,  
 ვინ თავლა ნახა, ვინ — თივის ზვინი...  
 ბევრს კინწი ისე მოსწყვიტა სირჩამ,  
 სადაც დავარდა — ეგრევე მირჩა,  
 გაუშვა ერთი სტვენა და ხვრენა,  
 მაგრამ ვინც იყო ნაღდი მსმელი და  
 არ წასულიყო ჯერაც ხელიდან —  
 ბოლომდე დანთქა სასმისი ყველა.



დიდონა დილით ადრე წამოხტა,  
 ბურახი ხუხა ნაბახურევმა,  
 ჩაიცვა ისე ეშხით და კობტად,  
 თითქოს დუქნისკენ მიეშურება<sup>23</sup>:  
 ხელი დაავლო მოჩითულ მერდინს,  
 ძვირფასი ძეწკვით: მოირთო მკერდი,  
 კოფთასთან ერთად საჩქაროდ ნახა  
 წითელ-წითელი ჩექმები ტყავის;  
 დასწვდა ქვედანელს, წინსაფარს ახალს,  
 კარაბლიკითაც<sup>24</sup> შეიმკო თავი.

ტროელიც ადგა, ადგა და მყისვე,  
 მწნილი მიართვეს წინადლის ნასმურს,  
 მერე ჩაიცვა, მოირთო ისე —  
 სასიძოს ნახავთ ამგვარად ჩაცმულს;  
 მას ხომ დიდონამ, მოახლის ხელით,  
 უძვირფასესი მოართვა ძღვენი:  
 შარვალ-პერანგი, ჩექმა, ქამარი,  
 ქუდი, ხიფთანი და ხელსახოცი —  
 რაც გადაურჩა ქმარს და სამარეს,  
 არ დაეზოგა თურმე დალოცვილს.

და როცა ქალი კვლავ შეხვდა სტუმარს,  
 დილაადრიან, დაძღნენ თუ არა,  
 დროის ტარების მწველმა ხუშტურმა  
 ტკბილად მოუბრებს კვლავ მოუარათ;  
 ვენერას ვაჟმა ისეთი ძალით  
 მოაჯადოვა, მოხიბლა ქალი,  
 დიდონა დიდხანს გონს ვერ მოეგო,  
 რას ლაქლაქებდა აღარ იცოდა,  
 ის მხოლოდ ერთი ცეცხლით იწვოდა, —  
 როგორმე კაცის გული მოეგო.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

დახუჭობანაც მისთვის დაიწყო,  
სულ გვერდით ჰყავდეს ტროელთა გმირი,  
თან შეიქცოს და დააფინყოს  
თავს გადამხდარი საფრთხე და ჭირიზიზღი  
ახვევინა საჩქაროდ თვალი,  
დარბის სტუმარი და დედოფალიც  
ვაჟს უკან დასდევს, ვით ცეტი გოგო.  
კაცმა იყნოსა მდევარს რაც ნებავეს —  
გლასუნ-გლასუნით ქალს ეტმასნება,  
რამენაირად მოჩანგლოს ოლონდ.

თავშესაქცევი სუყველას ყოფნის,  
ცეკვავს, ვისაც რა მოეპრიანა:  
ვის „დუდოჩკათი“<sup>25</sup> ასკდება ოფლი,  
ვინ კი „ჟურაველს“ აჰყვა მთლიანად;  
დაჭერობანა, „ხრეშჩიკი“<sup>26</sup>, „პარი“  
გაჩაღდა — ერთურთს აუბეს მხარი,  
ზოგს შაში მოსწონს, ზოგი „ხლუსტს“ არჩევს,  
თავაშვებულებს არაფინ ზღუდავს,  
ცემა-ტყეპაში ვერ გამოარჩევთ,  
როცა ხურდება „ვიზოკ“ და „ჟგუტა“.

ნაზარხოშევთა გულგასახარად,  
მოსჩქეფს არაფი წყაროს წყალივით,  
იშლება სუფრა ახალ-ახალი,  
დაბანდალებენ ირგვლივ მთვრალეები,  
ენეასს — თითქოს იყოს სნეული —  
ციება ჰქონდეს გმირს მორეული —  
დიდონა ჰკვებავს სხვა მიძალებით.  
ტროელნი დაძღნენ მართლაც გემოზე,  
ყველა, ვით ერთი, ისე შემოსეს,  
თუმც მოტანტალდნენ ტიტლიკანები.

მთელი დღეები ღრეობენ ასე,  
თან შეჩენიან მაცდურად ქალებს...  
სტუმარმა ერთად ბანაობაზე  
დაიყოლია დიდონა მალე.  
აბანოს ორთქლში შეცურდნენ ხელად,  
გაიქაფნენ და... მერე ნელ-ნელა,  
რალა დავმალო, კიდეც შეცოდეს...  
ქალს ისე უყვარს ვაჟკაცი, მგონი  
სულ ერთიანად დაჰკარგა გონი,  
ისიამოვნა თუმცა ესოდენ...



განცხრომით ცხოვრობს ტროელთა ლომი,  
 ლამის დაისვას დიდონა ცოლად;  
 სულ დაივინჯა გზა-კვალი რომის,  
 რის იუნონა, რა იუნონა! —  
 კაცი გრიალებს საყვარელ ქალთან,  
 და როგორც სოფლად მიშვებულ სალდათს,  
 შვებად მიუჩანს განვლილი ჭირი;  
 არ იცის რაა აღერსით დაღლა,  
 მკვირცხლი და ზორბა ფხიანიც გახლავთ,  
 ვით სამართებლის ლაპლაპა პირი.



ისე დაათრევს ქალს ენეასი,  
 კატა რომ ქაშაყს დაათრევს მსუქანს,  
 ოფლად გაღვრილებს აღმური ასდით,  
 როცა ერთმასეთს დასდევენ უკან.  
 ერთხელაც, ოდეს გადინადირეს  
 და ტყეს და მინდორს ბღვირი ადინეს,  
 გზაში მოუსწროთ ჭექა-ქუხილმა...  
 ქვაბს შეეფარნენ მარტოდმარტონი,  
 კაცი არ ჰყავდათ ბნელში პატრონი,  
 ამიტომ რა ქნეს, არვის უხილავს...

ვინ თქვა — ყველაფერს ეშველოს სწრაფად,  
 ყოველი ისე იოლი იყოს,  
 ვით გაასრულებ დაწყებულ ზღაპარს,  
 ან კიდევ კალმით გაავლებ სტრიქონს.  
 დროსტარებაში ხანი გავიდა,  
 ამოუვარდა ტროელს თავიდან  
 რომში წასვლაზე ზევსის ბრძანება;  
 მისი სტუმრობა ორ წელს გაგრძელდა,  
 ალბათ გასტანდა ერთი ამდუნსაც,  
 გასტანდა, მაგრამ ვინ დაანება!..

ზევსმა კართაგენს მიაპყრო თვალი  
 და ოლიმპოდან რომ დაინახა  
 ვენერას ვაჟი თავქარიანი, —  
 გადაირია კაცი კინალამ!  
 გაშმაგებულმა ცოფები ყარა! —  
 მთელი სამყარო შეაზანზარა,  
 მოჰყვა საშინელ ლანძღვა-გინებას:  
 „გველის წიწილი... კვლავ დიაცს უზის! —  
 მიჰკვრია, როგორც თაფლის წვეთს ბუზი!  
 თაღლითი, არც კი მემორჩილება!



სულ გათახსირდა ჩქარა, ახლავე  
 მორბედს მოუხმეთ — აჯობოს ქარსაც!  
 უნდა ვაფრინო, გადასაკრავად  
 არ გაუხვიოს დუქნისკენ არსად!..  
 დახეთ, ენეასს, რაებსა ბედავს!..  
 იქით ვენერაც, მაგ ოხრის დედა,  
 ისე ქიჩმაჩობს, ვით მაჭანკალი —  
 ჩაცვიებია დიდონას ბედშავს  
 და ენეიკოს იმგვარად გეშავს,  
 ლამის ჭკუიდან შეშალოს ქალი!”



შოლტშემართული, ელვაზე სწრაფად  
 მოვარდა ზევსის მაცნე მერკური,  
 თავზე ხელდახელ მოეგდო შლაპა,  
 უბრჭყვიალებდა წინ სამკერდული;  
 თასმებში ჩამჯდარს, გახვითქულს ოფლად,  
 ორცხობილებით აევსო თოფრა,  
 გადაეკიდა მხარზე სამასრე;  
 ქლოშინს დაელრჩო ნარბენი ლამის,  
 მაინც რიხით თქვა: „მიბრძანე, მამი —  
 საითაც მაფრენ, ვერვინ გამასწრებს!“

„კართაგენისკენ სასწრაფოდ გასწი!  
 გაფრინდი, არსად არ დაახანო,  
 რომ იქ დიდონას და ენეასის  
 ატროკებული წყვილი გაყარო!..  
 ახლავე მორჩეს ხვევნა-ფერებას,  
 მოუსვას რომის ასაშენებლად!  
 გაუტკბა ქალი ქეციან ნაგაზს! —  
 ცოცხალ ღუმელთან მოიკალათა;  
 ქალსა და ქეიფს ვაჩვენებ მაგას,  
 ჩემს ნება-სურვილს თუ უღალატა!“

მყის მოიშვლიბა მერკურმა ქუდი,  
 თავი დაუკრა მეუფეს მდაბლად,  
 არ დაუკარგავს არც ერთი წუთი,  
 ბრაზისგან ლამის შელენა თავლა;  
 შოლტი დააგდო და გაშმაგებით  
 ეტლში შეაბა ზორბა ჭაკები;  
 მერე გაენტო ჭრიალ-გრიალით,  
 შორეულ გზებზე მრავალნაცადი,  
 ცას შეატოვა კვალი მტვრიანი —  
 სულ ტლინკებს ყრიდა ხელნის ფაშატი.





ენეასს, არყით გამტყვერალ-გალეშილს  
 არც ზმანებია ბრძანება ავი,  
 ძირს გორაობდა, როცა კარებში,  
 მაცნემ შლეგივით შემორგო თავი;  
 ჭვინტი ამოსცხო ღრეობით დაღლილს,  
 და რომ ააგდო ზეზე, ვით ძალლი,  
 დასჭექა რისხვით: „კაცი ხარ განა? —  
 ისევ სავსე გაქვს რახით ჭიქები,  
 და კვლავ მაგ ძუკნას ეარშიყები,  
 როდესაც ზევსმა ლაშქრობა ბრძანა!

ნუთუ ამისთვის წამოხველ აქეთ, —  
 გესვა, გეცეკვა, გესიამტკბილა?  
 სიამტკბილობა შენ ახლა ნახე —  
 ზევსს გააცურებ ასე ადვილად?  
 თუ დროსტარებას გააბამ ისევ,  
 წინილასავით წაგაცლის კისერს,  
 ცხვირში ძმარს გადენს, თუკი ინება;  
 რაც ილლაბუცე გეყოს, იკმარე,  
 ჩუმად ადექი და გაიპარე! —  
 მეტს აღარ მოვალ გასაფრთხილებლად!”

ტროელმა კუდი ამოიძუა  
 და აძაგდაგდა, როგორც კაენი —  
 ზევსის სასჯელი ელოდა მტყუანს,  
 ნუ იტყვი, მკაცრი და რანაირი!  
 ჩამოენკვინტლა უშნოდ ცხვირი და  
 როგორც ნაცემი გაძვრა შინიდან;  
 თავისიანი მოიხმო ყველა  
 და საიდუმლო ბრძანება გასცა:  
 „ბარგი-ბარხანა მოხვეტეთ ხელად  
 და როგორც, ერთი დამიხვდით ზღვასთან!”

თვითონ კი თავის ძველმანებისთვის  
 კვლავ ფეხაკრეფით მიადგა ბინას,  
 აავსო ორი პატარა სკივრი  
 და ნავებისკენ გაგზავნა ფრთხილად;  
 რომ მილულავდა თუ არა თვალებს,  
 გამოპარვოდა დიდონას ბარემ...  
 მთელი დღე სწუხდა, ღმერთი და რჯული,  
 უძინელდებოდა მიჯნურთან გაყრა,  
 სულ დაეთუთქა ძარღვები გულის,  
 მაგრამ ბრძანეს და რა ექნა ახლა!



ხოლო დიდონა მიხვდა მაშინვე  
 სტუმრის იდუმალ ზრახვას და ჭმუნვას,  
 ლამის დაენტქა ფიქრებს საშინელს,  
 სულ ბაგაბუგი დაუნყო გულმა.  
 ღუმელზე ისე გატრუნა სული,  
 მოერიას თითქოსდა რული;  
 და რომ ეგონა, თვლემს მასპინძელი,  
 მყისვე განზრახულს შეუდგა ვაჟი —  
 ნამოინია და სწორედ მაშინ  
 ქოჩორში სტაცა დიდონამ ხელი:



„— სად მიეთრევი შე ნაძირალა,  
 უნდა გავსწორდეთ ეშმაკეულო,  
 ასე მიფასებ პურ-მარილს, არა?  
 დასალრჩობი ხარ მართლა, წყეულო!  
 რამდენს დაუგე ჩემამდე მახე,  
 მეც გამიტეხავ საქვეყნოდ სახელს —  
 ასე გჩვევია მყრალსა და ბოროტს,  
 მითომ გაგათბე უბეში გველი,  
 გამოგელადრა მზაკვრულად ყელი?  
 ბუმბულში წოლამ განყინა, ღოროს..

იმ დასაქცევ დღეს ჩემს საუფლოში  
 როგორც გამოჩნდი, გახსოვს, ვერაგო?  
 არ გიჭყაოდა ჯიბეში გროშიც, —  
 უქალამანო და უპერანგო —  
 კარზე მომადექ თურმე მტარვალი,  
 გამოგდღღეზოდა ნიფხავ-შარვალი,  
 და რაც გებადა, შიგვე გიჩანდა;  
 ძონძილა იყო შენი ხიფთანი,  
 ჰოდა, ჩემს მეტი, ერთი მითხარი,  
 თავს ვინ გაცვლიდა შენებრ ხიზანთან?!

საჭმელ-სასმელი არ გეყო, არა?  
 რომ ვერ ეტევი ჩემთან უძლები;  
 რა ჭირი გაკლდა, რა დარდუბალა,  
 უსირცხვილოდ რომ მიიძუძგები! —  
 ვით კიბორჩხალა, განითლდა ქალი,  
 გადაფიჩინდა გულამომჯდარი,  
 იწყო მუშტების თავში ნაშენა,  
 შეშლილი, ჰგავდა ლენცოფანაჭამს,  
 დორბლმორეულმა, ქცეულმა ქაჯად,  
 დასწყევლა კაცი და შეაჩვენა, —





„ბაცაცავ, ლოთო, ყაჩაღო, მრუშო,  
 შე კათოლიკევი და მწვალებელო,  
 წყალწაღებულო და უნამუსო,  
 ბილწო, სიცოცხლის გამმწარებელო,  
 უწმინდურ დინგში ისეთი გლენო,  
 ეშმაკის კერძად გაქციო მხეცო, —  
 ეგრე არ უნდა სირცხვილის ჭმევა!  
 ახლავე დაგთხრი, სატანავ, თვალებს!  
 ცახცახებ არა? ხომ დაემგვანე  
 ზამთარში გარეთ გაგდებულ მწევარს?!“

გასწი, მოუსვი რქიან ეშმასთან,  
 ძილშიც გზარავდეს მისი ზმანება,  
 ძალღიშვილებო, ავსულისაგან,  
 არ გაიხარონ თქვენისთანებმა!  
 უსახადოდ და სენშეუყრელად  
 ერთ დღეს, ერთბაშად დაწყდით სუყველა,  
 დამინდი შენც და შენიანებიც,  
 სადაც ეთრიოთ, დედაბუნებამ,  
 თავს დაგატეხოთ უბედურება,  
 ტანჯვით დაგივსოთ ყველას თვალები!“

ენეას უკან-უკან იხევდა,  
 და რომ უნია ზღურბლსა და კარებს,  
 გარშემო აღარც მიმოუხედავს —  
 როგორც ქოფაკმა, მოძურნა გარეთ.  
 როცა ქოშინით მიიჭრა ნავთან,  
 კლასში შევარდნილ იმ შეგირდს ჰგავდა,  
 ბაზრის დახლზე რომ ასწაპნის რამეს.  
 ოფლად გაღვრილმა „— ჩასხედით!“ — ბრძანა,  
 ნავში პირველმა ისკუპა თანაც,  
 და შეერია ზვირთებს და ღამეს.

დიდონას ის დღე გადექცა ჭირად,  
 არ დააკარა არაფერს პირი,  
 დარდმა დაჯაბნა და მოუხშირა  
 მოთქმას და კვნესას, ღრიალს და ტირილს;  
 გახევებოდა სახე მეფური,  
 ხან რბოდა სიმწრით გახელებული,  
 ფრჩხილებს იკვნეტდა შლეგივით ხანაც;  
 ფეხზე ძლივს იდგა ის საცოდავი,  
 დაჯდა და ზღურბლზე ჩაჰკიდა თავი,  
 გამოელთა მუხლებში ძალა.





მერე მოუხმო თავის დაიკოს,  
რომ შეეტირა ვარამი გულის,  
რომ ენეასის მასაც გაეგო  
ლალატი მწველი და ვერაგული.  
„ანუსი, გვრიტო, შენი კვნესამე,  
ჩემო სიცოცხლევე, მიშველე რამე —  
მთლად მომითავა მუხთალმა ხელი,  
რალა ვარ ანი მისგან შთენილი,  
გაბახებული და შერცხვენილი,  
კაცი კი არა, გველია, გველი!“

გადავინყების ვინ მომცა ძალა,  
ანდა რომელი გული გამიძლებს,  
შერცხვენილს რამე თუ დამიფარავს,  
ისევ სამარე მიხსნის, სამიწეს!  
ხალხსა და სახელს, დიდებას ყოველს,  
მისი გულისთვის გამოვეთხოვე,  
გაგანანყენეთ ღმერთებო, თქვენაც;  
იმნაირ ნამალს თუ მომცემს კაცი,  
ყოველ ცისმარე არ მედგას თვალწინ,  
მე სასიკვდილემ ვის ვთხოვო შველა.

გულს ველარავინ ვერ მოჰგვრის შვებას,  
ცრემლი გამიშრა ორთავე თვალზე,  
უენეასოდ — ნათელი ქრება,  
მისით — ქვეყანა მზითაა სავსე!..  
დატკბი, კუპიდონ, ბლარტო ლამაზო,  
ენეასმა ხომ ტანჯვით ამავსო!..  
შენ კი მომიკვდი, ეგრე პატარა!..  
არ შეგეპაროთ ქალებო ეჭვი —  
სუყველა მუსუსს ტროელის ზნე ჭირს!  
ყველა ორგული ზიდოს სატანამ!“

ასე ოხრავდა ჩვენი დიდონა,  
თავს არ აკლებდა წყევლას და კრულვას,  
დამ ღვიძლი დისთვის რა არ იღონა,  
მაგრამ ვერაფრით დაუცხრო ურვა,  
ნუგეში ვერ სცა გულგაუხარელს,  
თვითონვე ღვრიდა ცრემლებს მდულარეს  
და სლუკუნებდა: „რა ქნა, ოხერმა...“  
მალე დატოვა დაიკო ანამ,  
რადგან დიდონამ ამგვარად ბრძანა,  
გულის გემოზე მოსაოხებლად.



რომ ველარ ჰმოვა შვება მჭმუნვარემ,  
სანოლზე მიწვა გულგალეულყო,  
სულ თვალწინ ედგა ბილწი სტუმარი,  
წამოხტა ბნელი ფიქრით ძლეული —  
ნელთბილ ლუმელზე ხელის ცეცებით;  
მონახა კვესი, რალაც ძენძები  
და ეზოს კარი გაალო ფრთხილად;  
სუფევდა ჟამი უკაცრიელი —  
დიდი, პატარა, ძეხორციელი —  
მივარდნილიყო სუყველა ძილად.



გალმა, მინდორზე, შეშის მაგიერ  
ლელის ზვინები ედგა კურთხეულს, —  
ეს არ შვენოდა მის ჯილაგს ძლიერს,  
მაგრამ რა ვუთხრა ტრამალს უტყეოს;  
გამოაღრუა ცახცახა ხელით  
ზვინი, ზამთრისთვის ზომაზე ხმელიც;  
შიგ შეუკეთა ძენძი მთლიანად;  
და რომ უმარჯვა ტალ-კვესი ქალმა,  
იფეთქა ლელმა დენთივით მშრალმა  
და ზეცას მისწვდა ცეცხლი ბრიალა.

მერე გაიძრო ტანზე უმძრახად, —  
კოცონმა შიშველს შუქი მოჰფინა,  
ყოველგვარ სამოსს შიგ შეუძახა  
და განძარცული, დედიშობილა,  
მყისვე თვითონაც აღხს შეერია —  
წამსვე დაბურა ის გვენიაშ  
და ცისკენ კვამლი აიჭრა შავი;  
ისე უყვარდა ბედშავს ვაჟკაცი,  
არად ჩააგდო ცეცხლის კაშკაში  
და ჯოჯოხეთში დაინთქა თავი.

პირველი ნაწილის დასასრული

#### შენიშვნები

1. ენეასი — ტროას ომის გმირი, ანჭიზესა და ვენერას ვაჟი. ენეასმა, თანახმად მითოლოგიისა, ხანძარმოდებული ტროადან მხარზე შესმული გამოიყვანა მოხუცი მამა ანჭიზე. ხანგრძლივი, ფათერაკიანი მოგზაურობის მერე ლაციუმში (დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე) თავის სამეფო დააარსა.
2. იუნონა — (ბერძნული მითოლოგიით — ჰერა) ქალღმერთი, ქორწინების მფარველი; ცოლიც და, ამავე დროს, დაცე ზევსისა (რომაული მითოლოგიით — იუპიტერის). ტროას ომის დროს იუნონა ბერძენთა მხარეს იყო და ტროელებს დევნიდა. მათ შორის ენეასსაც.
3. ვენერა — სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი. ბერძენ-ტროელთა ომში ტროელებს ეხმარებოდა. ენეასი მისი ვაჟი იყო — ანჭიზესაგან შეძენილი.
4. პარისი... ტროელთა მეფის პრიამოსის ძე (პოემის მიხედვით ენეასის ბიძა).
5. ჰეზე — ზევსისა და ჰერას ქალიშვილი, სიყმაწვილის ქალღმერთი, რომელიც ღმერთებს ნადიმებზე ემსახურებოდა ჩოღზე; პოემის თანახმად, სწორედ ჰეზემ უჩურობდა და მიანიშნა იუნონას, ენეასი და მისი რაზმი ისევ ზღვაში გასულიყო.
6. ეოლოსი — ღმერთი, ქართა მბრძანებელი; იუნონას წაქეზებით იგი ენეასის დაღუპვას ცდილობდა.



7. **კიკურა** — გათხოვილი ქალის ძველებური თავსაბურავი; შდრ. უკრ. Кибалка და რუს. Кирка.

8. **ნოტოსი, ბორეასი, ზეფიროსი, ევროსი**, — ქართა მითოლოგიური სახელებია.

9. **ნექტუნი** — პოსეიდონი, ზღვათა ღმერთი, ზეუსის ძმა.

10. „**ვით ლიახებმა ძახილზე** — „უკან!“ — უკრ. До ляся, мов ляхи, шатнулись... ляс — ტყე. ლიახები პოლონელები; До лясу!.. — (სიტყვა-სატყვემო ნექტუნი — „ტყისკენ“). ძველ პოლონურ არმიაში ბრძანება იყო უკან დახევაზე. იღრმად იქცა და ნიშნავს „მოკვერცხლოთ!“, „თავს ვუშველოთ!“ საფიქრალია, რომ კოტლიარევსკი აქ მიახიზნებს პერიფერიებიდან პოლონელი პანების გაქცევაზე ქვეყნის ცენტრისაკენ, რაც გამოწვეული იყო 1794 წლის აჯანყებით, რომელსაც კოსტიუშკო ედგა სათავეში. ასე აირეკლა კოტლიარევსკის დროინდელი პოლიტიკური მოვლენა „ენეადაში“, რომლის პირველი თავიც სწორედ 1794 წელსაა დაწერილი.

11. **გრიზეთი** — ძველებური შალის ქსოვილი, თეთრი ფერისაა. ნაყშებიანი.

12. **ლუსტრინი**, — შალის ან ნახევრად შალის პრიალა ქსოვილი.

13. **ზევისი** — (რომაულ მითოლოგიაში — იუპიტერი. კოტლიარევსკი ხანდახან პოლონური სახელითაც იხსენიებს — იოვიში) და უზენაესი ღვთაება და არსთა განმრიგე. მპყობელი ცათა და ხმელთა, მეუფე ღმერთთა და კაცთა, განმგებელი ჭექა-ქუხილისა და ღრუბელთა; აწესრიგებდა წელიწადის დროთა მონაცვლეობას, აყო სამართლიანობის უპირველესი დამცველი, არკვედა ადამიანთა ბედს, ოქროს სასწორზე სწონიდა მათ ავ-კარგს, მფარველობდა მოგზაურებსა და მლოცველებს და ა. შ.

14. „**რომს აღმათ მაშინ იხილავს თვალით..**“ — ვერგილიუსის „ენეადას“ მიხედვით ენეასი იტალიას უნდა გაემგზავროს, რომ იქ ღმერთების სურვილის თანახმად, საფუძველი ჩაუყაროს ახალ სახელმწიფოს, რომელსაც შემდეგ რომის სახელმწიფო დაერქმევა.

15. „**ან დაბრუნდება ყირიმში ხანი...**“ — იგულისხმება 1783 წ. ყირიმში თურქეთის აგრესიის კერის — სახანოს გაუქმება და რუსეთთან მისი ტერიტორიის შეერთება.

16. **დიდონა** — ფინიკიელთა მითური დედოფალი, რომელსაც თავისივე ძმამ, დის ქონებაზე დახარბებულმა პიგმალიონმა მოუკლა ქმარი სიქვესი (ვერგილიუსის მიხედვით). ქმრის ვერაგული მკვლელობის შემდეგ დიდონამ მოკრიბა მთელი განძეულობა, აავსო ხომალდები, გაიქცა ფინიკიიდან, მიადგა აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს და, გადმოცემის თანახმად, იქ ქალაქი კართაგენი დააარსა.

17. **ბურლაკები** — რუსული бурлак-ისაგან განსხვავებით, რაც რევოლუციამდელ რუსეთში ნიშნავდა მუშას, რომელიც სხვა მუშებთან ერთად ჭაპნით ეწეოდა გემს ნაპირის გაყოლებით, ანდა ნიჩბებით მიყავდა იგი, უკრაინული бурлак — (რუსული — бобыль) მარტობელა, უცოლო კაცს ერქვა, ვისაც არ გააჩნდა არც რაიმე გარკვეული სამუშაო და არც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შდრ. ქართული: ეული, ამბოვარი, უსახლკარო, ბოვანო და სხვ.

18. **პორლიცია, ზუბა, სანფარიცა** — უკრაინული ხალხური ცეკვები და მათი საცეკვაო მისამღერები.

19. **სვიტა** — უკრაინული ხალხური სამოსი, რომელსაც შინნაქსოვი მაუდასაგან კერავენ.

20. **კაური** — ერთგვარი მოძრაობა ცეკვის დროს.

21. **ტრეტიაკი**, — ცეკვა (რუს. трепак-ი).

22. **ჩანგი**, — თაფლისაგან დამზადებული სსმელი, შეზავებული არყით ან სპირტით, თავლის ღვინო.

23. **თითქოს დუქნისკენ მიეშურება**, — ძველად უკრაინაში ახალგაზრდობა დღესასწაულის დღეებში საცეკვაოდ თუ დროის გასატარებლად დუქნებთან იკრიბებოდა.

24. **კარაბლიკი** — ქალის თავსაბურავია. ფარჩის ან ზაფერდისა, ბეწვის არშიაშემოვლებული. უმთავრესად მემამულეებისა და შეჭლებული კაზაკის ქალებს ეხურათ. ამ ქედს караблик-ი შეარქვეს იმიტომ, რომ ფორმით ხომალდს მიაგავდა.

25. **დულოჩკა, ყურაველი**, — საქორწინო ცეკვები.

26. **ხრეშჩიკა** — საგაზაფხულო საფერხულო თამაშია, რომელსაც უმთავრესად გოგონები აჩაღებდნენ. **პარი, ხლუსტი, ვიზოკი** — ბანქოს თამაშობები. **ყგუტა** — საყმაწვილო. თამაში, სადაც დამარცხებულს რამდენჯერმე მიართყამდნენ ხოლმე „ყგუტს“ ანუ მაგრად დაგრებილ ცხვირსახოცს. „ყგუტს“ ურტყამდნენ აგრეთვე ბანქოში წაგებულსაც.





### წინათქმა

ფრანც კაფკას თხზულებებმა, რომელთა მიხედვითაც მსჯელობენ ამ საკვირველი, თვითმყობადი, უფაქიზესი ალლოს მქონე, ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებაზე წარუშლელი კვალი დატოვა ყველა ხალხის მკითხველებზე. გარდა ცნობილი რომანებისა: „პროცესი“, „კოშკი“, „ამერიკა“, ეგრეთწოდებული შემზარავი მოთხრობების „ფერიცვალება“, „მსჯავრი“, „გამასწორებელ კოლონიაში“, — დაწერილი აქვს მცირე ფორმის ერთგვაროვანი ნაწარმოებები — პარაბოლები, სადაც მწერლის ნიჭი და შესაძლებლობანი ახლებურად არის წარმოჩენილი. ზოგიერთი პარაბოლა ბიბლიურ იგავს, ზოგიერთ აღმოსავლურ არაქს მოგვაგონებს, ხოლო ბევრი ფორმით, ლაქონურობით, სტილისტური დახვეწილობით პოეზიას უტოლდება და ეს ამოუხსნელი ენერჯით დამუხტული პოეზია გენიოსური სულის გამობრწყინებაა, რომელიც ასე ალღელებს თანამედროვე მკითხველს, დიდი და თავისებური მწერლის ჭეშმარიტ თავჯანისმცემლებს.

### მსჯავრი

გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

**გ**აზაფხულის მშვენიერი კვირა დილა იდგა; ახალგაზრდა ვაჭარი კაცი გეორგ ბენდემანი იჯდა თავის ოთახში, მდინარის პირას ჩადგმული ერთი იმ დაბალი სახლთაგანის მეორე სართულზე, ერთმანეთისგან მარტოოდენ ფერითა და სიმაღლით რომ გამოარჩევდი. ბენდემანმა ეს ხანია მოათავა წერილის წერა, რომელიც საზღვარგარეთ, ყრმობის მეგობრისთვის უნდა გაეგზავნა, მერე აუჩქარებლად დაკეცა წერილი, საწერ მაგიდას ჩამოეყრდნო და ფანჯრიდან გახედა მდინარეს, ხილსა და ვალმა ნაპირზე ახალამწვანებულ გორაკებს.

ბენდემანი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ მისმა მეგობარმა, აქაოდა, შინ საქმე უხეიროდ მიმდისო, ამ რამდენიმე წლის წინათ დაჰკრა ფეხი და თავი რუსეთში ამოჰყო. მერე ერთ სავაჭრო საქმეს მოჰკიდა ხელი პეტერბურგში, რასაც თავიდან სასიკეთო პირი უჩიანდა, მაგრამ ამ ბოლო დროს თურმე, მეგობრის თქმით (სულ უფრო და უფრო იშვიათად რომ ჩამოდიოდა), უკან-უკან წავიდა; ჰოდა, მეგობარი მაინც მუშაობდა უცხო ქვეყანაში, თუმცა დიდი ვე-



რაფერი სარგებელი ენახა; ბავშვობიდანვე ნაცნობ სახეს უცხოფერად მოშვე-  
ბული ხშირი წვერი კი უფარავდა, მაგრამ ამ გამოყვითლებულ პირისახის  
შემყურე მაინც იფიქრებდი, რაღაცა ფარსავი უნდა სჭირდესო. მისივე სიტყ-  
ვით, მეგობარს თურმე არ ჰქონია ახლო მისვლა-მოსვლა იქაურ თანამემამულე-  
ებთან, არც ადგილობრივთა ოჯახებში ყოფილა დიდად მღვდლები-მღვდლები და ამ-  
გვარად, საბოლოოდ მარტოხელა კაცის ცხოვრებას შეჰგუებია.

აბა, რა უნდა მისწერო ამნაირ ჰკუანადრობ კაცს; შეიძლება უთანაგრ-  
ძნო, მაგრამ დახმარებით მაინც ვერას დაეხმარები. იქნებ გერჩია, უკან დაბ-  
რუნდე და აქ იცხოვრო, რა გიშლის ხელს, ძველი მეგობრობა განაახლო, და-  
ნარჩენში კი ახლობლებს მიენდო? მაგრამ ეს ხომ იმის თქმას ნიშნავს (რაც  
უფრო დაზოგავ, მეტად განაწყენდება), აქამდე ყველაფერში ხელი მოგეცარა,  
ბოლოს და ბოლოს მოეშვი მაქაურობას და შინ ჩამოდიო; მის დანახვაზე ხომ  
ყველა თვალს დააჰყუეტდა, ჰოდა, ისევ მეგობრები თუ გაუგებდნენ; ეს იმის  
თქმას ნიშნავს, დიდი ბავშვი ხარ და ყველაფერი მეგობრებს უნდა დაუჯერო,  
შინ რომ დარჩნენ და წარმატებას მიაღწიესო. და მერე, განა შეიძლება დარწ-  
მუნებულ იყო, რომ ამ ტანჯვას ამაოდ არ მიაყენებ? შეიძლება ვერც კი და-  
გერწმუნებია, შინ ჩამოსულიყო, აკი თვითონაც იმას ამბობდა, აქაური ურთი-  
ერთობისა ველარაფერი გამიგიაო. ჰოდა, ისე გამოვა, რომ რჩევა-დარიგებით  
გაღიზიანებული სამუდამოდ უცხოეთში დარჩება და კიდევ უფრო დაშორდება  
მეგობრებს. მაგრამ თუკი მართლაც დაჰყვება ზვეწნა-მუდარას და თავს ნელი-  
ნელ დამცირებულად იგრძნობს, ცხადია, ბრალი არავის დაედება; ისე, გარე-  
მოებათა გამოისობით, თუ თავის მეგობრებში ველარ იტრიალებს და უიმათო-  
დაც წელში ველარ გაიმართება, თავისი დღევანდელი მდგომარეობა მისთვის  
აუტანელი გახდება და თავს ისე დაიგულებს, ახლა მართლა უსამშობლო და  
უმეგობრო კაცი მქვიაო, მაშინ განა ბევრად უმჯობესი არ იქნება, თუ ისევ უც-  
ხოეთში დარჩება? ჰოდა, რაკი საქმე ასეა, ზედმეტია იმაზე ფიქრი, აქ ყველა-  
ფერი სხვანაირად აეწყობოდაო.

ამ მოსაზრებათა გამო, თუკი მეგობართან საერთოდ კვლავ მიმოწერას აპი-  
რებდი, არ იყო საჭირო ისეთი პირადული რამ შეგეტყობინებინა, რასაც სრუ-  
ლიად უმტკივნეულოდ მისწერდი შორებელ ნაცნობს. მეგობარი უკვე სამ წე-  
ლიწადზე მეტია სამშობლოში აღარ ჩამოსულა და ამას იმით ხსნიდა, რუ-  
სეთში ერთობ მერყევი პოლიტიკური ვითარებაა და ამიტომ წვრილ ვაჭრებს  
მოკლე დროითაც კი არ შეუძლიათ ადგილის დატოვება, ამასობაში კი ასი  
ათასობით რუსი მთელ მსოფლიოში თავისუფლად მოგზაურობსო. სწორედ ამ  
სამ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა თვით გეორგის ცხოვრებაში. გეორგის  
დედის გარდაცვალება ამ ორიოდ წლის წინათ და ის ამბავი, რომ ახლა იგი  
და მისი მოხუცი მამა ერთად უძღვებიან მეურნეობას, მეგობარმა უკვე შე-  
იტყო და თანაგრძნობა წერილით, თუმცა მშრალად გამოხატა; ეს, ალბათ, იმისი  
ბრალი იყო, რომ უცხოეთში შეუძლებელია მთელი სისავსით შეიგრძნო ის  
ტკივილი, რასაც ამ დიდი უბედურების გამო განიცდი. მას აქეთ გეორგმა კი-  
დევ უფრო მეტი მონდომებით მოჰკიდა ხელი საქმეს ისევე, როგორც ყველა-  
ფერს დანარჩენს. შეიძლება დედის სოცოცხლეში მამა არ აძლევდა გაქანების  
საშუალებას, რადგან სავაჭრო საქმეში თავის თავს ყველაზე წინ აყენებდა,  
შეიძლება დედის გარდაცვალების შემდეგ, თუმცა მამა კვლავ მუშაობდა. მაგ-  
რამ იგი რაღაცნაირად თავის თავში ჩაიკეტა, შეიძლება და, ეტყობა, ასეც იყო.



ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მრავალმა ბედნიერმა გარემოებამ. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ამ ორ წელიწადში მათი ფირმა მოულოდნელად წელში გაიშალა და ისინი იძულებული იყვნენ მოსამსახურეთა რიცხვი ორჯერ გაედიდებინათ, სავაჭრო ბრუნვა ხუთჯერ გაიზარდა და არავის ეეჭვებოდა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაშლიდა მხარს.

მაგრამ მეგობარმა ამ ცვლილებისა არა იცოდა რა. ადრე, უკანასკნელად, აღბათ, ამ სამძიმრის წერილში, იგი ცდილობდა დაეთანხმებინა გეორგი რუსეთში გადასვლაზე და დაუხატა ბრწყინვალე მომავალი, რაც მათ ფირმას თითქოსდა პეტერბურგში ელოდა, მაგრამ მეგობრის დასახელებული ციფრები სრულიად უმნიშვნელო იყო იმ დიდ აღმავლობასთან შედარებით, რასაც ახლა გეორგის სავაჭრო საქმე განიცდიდა; და მაინც გეორგს არ უნდოდა მეგობრისთვის თავისი ფირმის წარმატება შეეტყობინებინა და თუ მოგვიანებით მაინც მისწერდა, შეიძლება ამას მასზე უცნაური შთაბეჭდილება მოეხდინა.

ამიტომ იყო, რომ გეორგი მეგობარს ჩვეულებრივ იმ უმნიშვნელო ამბებს სწერდა, რაც მყუდრო კვირა დღეს ხსოვნაში ამოუტივტივდებოდა ხოლმე. გეორგს მხოლოდ ერთი მიზანი ამოდრავებდა, არ გაეხუნებინა ის შთაბეჭდილება, რაც მეგობარს ამ ხნის განმავლობაში მშობლიურ ქალაქზე შეექმნა და რასაც თანდათან შეეჩვია. ჰოდა, მოხდა ისე, რომ როცა გეორგმა ერთიბოროტზე კარგა ხნის შემდეგ მინაწერ სამ წერილში მათთვის სრულიად განურჩეველ ქალიშვილზე ასევე განურჩეველი ყმაწვილი კაცის დანიშვნა შეატყობინა, ამან მეგობარი, ბოლოს და ბოლოს, მართლა დააინტერესა, თუმცა გეორგი ამას სრულებითაც არ ცდილა.

მაგრამ გეორგს ბევრად უფრო სიამოვნებდა ასეთ რამეებზე წერა, ვიდრე იმაში გამოტყდომოდა, რომ ამ ერთი თვის წინათ თვითონაც დაინიშნა ფრიდა ბრანდენფელდზე, შეძლებული ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილზე. იგი ხშირად ელაპარაკებოდა საცოლეს თავის მეგობარზე და იმ განსაკუთრებულ მიწერ-მოწერაზე, რაც მასთან ჰქონდა.

— მაშ, ჩვენს ქორწილს ვერ დაესწრება? — ჰკითხა ფრიდამ ერთხელ. — განა მე არ უნდა ვიცნობდე ყველა შენს მეგობარს?

— არ მინდა შევაწუხო, — უპასუხა გეორგმა. — კარგია თუ გამიგებ: იგი, რა თქმა უნდა, ჩამოვა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, მაგრამ დარცხვენა დაეტყობა და თავს გაუბედურებულად იგრძნობს, იქნებ შეშურდეს კიდევაც ჩემი. ამასთან, რასაკვირველია, უკმაყოფილოც იქნება და ამ უკმაყოფილებას ვერასგზით ვერ დამალავს, რადგან უკან მარტო უნდა დაბრუნდეს, მარტო-მეთქი, იცი, ეს რას ნიშნავს?

— ჰო, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება ჩვენი ქორწინების ამბავი სხვამ შეატყობინოს?

— ცხადია, ამას მე ხელს არ შევუშლი, მაგრამ მისი ცხოვრების წესს რომ ვიცნობ, ეს დაუჯერებლად მეჩვენება.

— შენი მეგობრების პატრონი, გეორგ, საერთოდ არ უნდა დანიშნულიყავი.

— ამაში ორთავეს მიგვიძღვის ბრალი, მაგრამ ახლა ველარაფერს შეცვლი კაცი.

და მერე, როცა მისი კოცნით გულაჩქროლებულმა ფრიდამ უთხრა, მე მაინც მწყინს ეს ამბავიო, გეორგს თავში გაუელვა, არაფერიც არ მოხდება.







— მე, მართალი გითხრა, მხოლოდ იმის სათქმელად მოვედი, რომ ბოლოს მაინც მივწერე პეტერბურგში ჩემი ნიშნობის ამბავი, — განაგრძო გეორგმა, თან დაბნეული ადევნებდა თვალს მოხუცია მიხვრა-მოხვრას. მერე ჩაბიდან წერილის ყური ამოაცურა, მაგრამ უმაღლესი უკანვე ჩააბრუნა.

— პეტერბურგში? — ჰკითხა მამამ.

— ჰო, ჩემს მეგობარს, — მიუგო გეორგმა და მამას თვალებში შეხედა. „სამსახურში იგი სულ სხვანაირია, — გაიფიქრა გულში. — აქ კი არხეინად მოუკალათებია და ხელები გულზე დაუკრებია“.

— დიახ, შენს მეგობარს, — ხაზგასმით წარმოთქვა მამამ.

— შენ ხომ იცი, მამა, არ მინდოდა მეცნობებინა ჩემი ნიშნობა, ისევ მასზე ვფიქრობდი, თორემ სხვა მიზეზი არ მქონია. თვითონაც კარგად მოგეხსენება რა მძიმე ადამიანიცაა. ჰოდა, გადავწყვიტე, თუ ჩემგან არა, სხვისგან მაინც გაიგოს-მეთქი ჩემი ნიშნობის ამბავი, თუმცა მისნაირი კაცისთვის მე ეს აუჭერებლად მიმაჩნია, შველითაც ვერაფერს ვუშველი.

— ახლა გადაიფიქრე, ზომ? — ჰკითხა მამამ, გაზეთი ფანჯრის რაფაზე დადო, გაზეთზე კი — სათვალე და ზემოდან ხელი დააფარა.

— დიახ, ახლა გადავიფიქრე; თუ ის მართლა ჩემი ახლობელი მეგობარია, მაშინ ჩემი ბედნიერება მისი ბედნიერებაც უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე, ამიტომ ბევრი აღარ მიყოყმანია. ავდექი და ყველაფერი მივწერე, მაგრამ სანამ წერილს ყუთში ჩავუშვებდი, ჯერ შენთვის მინდოდა ეს მეთქვა.

— ყური დამიგდე, გეორგ, — უთხრა მამამ და კბილებჩაცვიფნული პირი გააღო. — შენ ჩემთან იმითომ მოხვედი, რომ ამაზე გელაპარაკა. ეს, რა თქმა უნდა, სანაქებოა! მაგრამ სულ არაფერია, არაფერზე უარესია, თუკი არ მეტყვი სრულ სიმართლეს, არ მინდა ახლა იმას შევეხო, რაც სალაპარაკო არ არის. მას შემდეგ, რაც ჩვენი საყვარელი დედა გარდაიცვალა, ერთობ ცუდი ამბები დატრიალდა. შეიძლება მათი ჯერიც დადგეს და ისიც შესაძლებელია, უფრო ადრეც კი დადგეს, ვიდრე გვგონია. ჩვენს სავაჭრო საქმეში რაღაც-რაღაცები მხედველობიდან მეპარება, იქნებ არაფერსაც არ მიმაღავენ, არ მინდა ახლა ვიფიქრო, რომ რაიმეს მიმაღავენ, მაგრამ დავბერდი, ძალი გამომელია, მეხსიერება მღალატობა და ყველაფერს თვალს ველარ ვადევნებ. ჯერ ერთი, ეს ბუნების კანონია და ასეც უნდა მომხდარიყო. მერე, ჩვენი დედის სიკვდილმა ჩემზე უფრო იმოქმედა, ვიდრე შენზე. მაგრამ რაკი ამაზე სიტყვა უკვე ჩამოვაგდეთ და შენს წერილზეც ვილაპარაკეთ, გთხოვ, გეორგ, ნუ მომატყუებ. ეს ხომ სულ უმნიშვნელო რამაა, სათქმელადაც არ ღირს; ჰოდა, ნუ მომატყუებ-მეთქი: მართლა გყავს მეგობარი პეტერბურგში?

გეორგი შეცბუნებული წაშოდგა.

— მოვეშვათ ჩემს მეგობრებს. ათასი მეგობარიც კი ვერ შემიცვლის მა-  
მაჩემს. იცი, რა მგონია? თავს სულ არ უფრთხილდები, მაგრამ ასაკი მაინც ასაკია. ჩვენს საქმეში შეუცვლელი ხარ, ეს თვითონაც კარგად მოგეხსენება, მაგრამ მუშაობა ვნებს შენს ჯანმრთელობას; ხვალვე ერთხელ და სამუდამოდ მივაკეტავ ფირმას. ასე არ გამოვა. ცხოვრების ყაიდა უნდა შეცვალო, ძირ-  
ფესვიანად უნდა შეცვალო. აქ, ამ სიბნელეში გამოკეტილხარ, როცა სასტუმ-  
რო ოთახი გაჩახჩახებულა. იმის ნაცვლად, რომ კარგად დანაყრდე, საუზმეზე პირი არ დაგიკარებია, ფანჯარა მოგიხურავს, ჰაერი კი წამალივით გჭირდება. არა, მამაჩემო! მოგიყვან ექიმს და როგორც გვეტყვის, ისე მოვიქცეთ. ოთახებიც



უნდა გავცვალოთ. შენ წინა ოთახში გადახვალ, მე — აქეთ. ეს ისე მოხდება, რომ ვერავითარ ცვლილებას ვერ იგრძნობ, შენს ნივთებსაც აქეთ გადამოვიტანთ. ამისი დროც დადგება, ახლა კი ლოგინში შეწეკი, სიმშვიდე გჭირდება. მოდი, ტანსაცმელს გაგხდი, ნახავთ თუ არ შემძლება; ანდა იქნებ, ახლავე გინდა წინა ოთახში გადასვლა? მაშინ ჭერჯერობით ჩემს ოთახში დაწვენი დასვი ჩუბუბებს.

გეორგი ახლოს იდგა მამასთან, რომელსაც თავი ჩაეჭინდრა და სპეტაკი თმა გასწეწოდა.

— გეორგ, — არც კი განძრეულა, წყნარად უთხრა მამამ.

გეორგმა უმაღ ჩაიჩოქა და მამის დაქანცულ სახეს დააკვირდა: უჩვეულოდ გადიდებული თვალები პირდაპირ მას მიბჯენოდა.

— შენ არ გყავს მეგობარი პეტერბურგში. ყოველთვის ასეთი მასხარა იყავი; ახლაც თავი ვერ შეიკავე და დამცინე. აბა, საიდან უნდა გყავდეს იქ მეგობარი? ვერაფრით ვერ დაგიჭერებ.

— აბა, კარგად გაიხსენე, მამა, — უთხრა გეორგმა, მერე იგი სავარძლიდან წამოაყენა და, რაკი მას არაფრის თავი არ ჰქონდა, ხალათი გახადა. — აი, უკვე სამი წელი იქნება რაც ჩემი მეგობარი სტუმრად გვეწვია. ისიც კარგად მახსოვს, რომ იგი გულზე მაინცდამაინც არ გეხატებოდა. ყოველ შემთხვევაში, ორჯერ მაინც ვითხარი, ჩვენგან წავიდა-მეთქი, თუმცა სწორედ იმწუთს ჩემს ოთახში იჯდა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მესმის შენი ამოჩემების მიზეზი, ჩემს მეგობარს ხომ ათასი უცნაურობა სჭირს, მაგრამ ისიც მომხდარა ხოლმე, რომ ერთმანეთთან გაცხოველებით გისაუბრიათ. ოჰ, როგორ შეამაყებოდა, რომ ჩემს მეგობარს ყურს უგდებდი, რალაცას ეკითხებოდი და დასტურის ნიშნად თავს უქნევდი. თუკი იფიქრებ, უეჭველად გაიხსენებ. მაშინ მან მრავალი საოცარი რამ მოჰყვა რუსეთის რევოლუციაზე. აი, თუნდაც ის ამბავი, რალაც საქმეზე კიევში რომ ჩავიდა და ხალხის მღელვარების დროს აივანზე გამოსული მღვდელი დაინახა. მან თურმე ხელის გულზე დიდი ჭვარი ამოიჭრა. გასისხლიანებული ხელი მალლა ასწია და ბრბოს მიმართა. ამ ამბავს განა ყველას არ უყვებოდი?

ამასობაში გეორგმა იმარჯვა, მამა ისევ სავარძელში ჩასვა და ფრთხილად გახადა ბამბის შარვალი, რომელიც ტილოს ნიფხავზე ეცვა, მერე წინდებიც გააძრო. გაჭუჭყიანებულ საცვალს თვალი როცა შეავლო, გეორგმა თავს უსაყვედურა, ეს რა მომივიდა, მამაჩემი სულთმლად მივივიწყეო. განა მისი ვალი არ იყო თვალყური ედევნებინა, როდის გამოიცვლიდა მამა საცვალს? თავის საცოლესთან გარკვევით ჭერ კიდევ არაფერი ულაპარაკია მამის მომავალზე, თუმცა უთქმელადაც იყვნენ შეთანხმებული, რომ მას ძველ ბინაზე დატოვებდნენ. მაგრამ ახლა გეორგმა მტკიცედ გადაწყვიტა, მამას ჩვენს მომავალ ოჯახში წავიყვანოთ. ისე, კარგად თუ ჩაუკვირდებოდი, იქნებ დაგვიანებულიც კი იყო, გეორგი რომ ფიქრობდა, მამაჩემს მზრუნველობას ამიერიდან მაინც აღარ მოვაკლებო.

გეორგმა მამა ხელში აიყვანა და საწოლისკენ გაემართა, მაგრამ ორიოდ ნაბიჯი გადადგა თუ არა, შეამჩნია, რომ მამა მის მკერდზე ჩამოკიდებული საითის ძეწკვს ათამაშებდა და შიშმა შეიპყრო. მამას ისე მაგრად ჩაებლუჯა ძეწკვი, რომ ლოგინში ძლივს ჩააწვინა.

მოხუცმა, როგორც კი ლოგინში დაიგულა თავი, მაშინვე მოიხედა. თვი-



თონვე შემოიკეცა საბანი, ზედ ნიკაპამდე წაიხურა. ახლა თითქოს აღერსითაც კი უყურებდა გეორგს.

— მაინც ველარ გაიხსენე ჩემი მეგობარი? — ჰკითხა გეორგმა და თავი გამამხნეველად დაუქნია.

— ხომ კარგად შემოვიკეცე საბანი? — ჰკითხა მამამ, თითქოს უკვე დასრულებული ჰქონდა, რომ ფეხებზე წახურული ჰქონდა.

— გესიამოვნა ლოგინში წოლა? — იქით ჩაეკითხა გეორგი და საბანი გაუსწორა.

— ახლა კარგად მახურავს? — ისევ ჰკითხა მამამ და გაფაციცებით მიაჩერდა, რას მეტყვისო.

— დაწყნარდი, ახლა კარგად გახურავს.

— არა! — იყვირა მამამ, კოთხვაზე როგორ დამემოწმეო და ფეხი ისე მძლავრად მოიქნია, რომ საბანი მალლა ავარდა და მერე ლოგინში ყალუზე დადგა. მამა ახლა ცალი ხელით ოდნავ მიჰყრდნობოდა ჰერს. — ვიცი, კარგად ვიცი. გინდოდა სამუდამოდ დაგეფარე, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დამფარე. ჩემო ჯიშო და ჯილაგო. თუმცა ძალ-ღონე მალაატობს, შენ მაინც გეყოფა, გეყოფა კი არა, მეტიც იქნება. დიახ, ძალიან კარგად ვიცნობ შენს მეგობარს. სწორედ ასეთი შვილი მეკუთვნოდა მე. ამიტომაც ატყუებდი ამდენი წელია. სხვა აბა რა უნდა ყოფილიყო? იქნებ გგონია, რომ მე არ მიტირია მის გამო? მართალი თუ გინდა, ამისთვის იკეტები შენს ბიუროში, — უფროსი ისედაც დაკავებულია, პოდა, ხელს სხვა ვინ შეგიშლის, სწერ და სწერ ყალბ წერილებს რუსეთში. მაგრამ, საბედნიეროდ, მამას სწავლება არ სჭირდება, ხუთი თითივით იცნობს შვილს. გეგონა, მამაჩემს ხელი ისე მოვუთავე, ისე მოვუთავე, თავზეც რომ დავაჯდე, ზმას არ ამოიღებსო, ამიტომაც გადაწყვიტე, ჩემო ბატონო შვილო, დაქორწინება!

გეორგი შესცქეროდა მამის საშინელებით აღსავსე სახეს; როგორც არასოდეს, ისე ნათლად წარმოუდგა თვალწინ პეტერბურგელი მეგობარი, ვისაც მამამისი თურმე ასე კარგად იცნობდა. სადღაც შორეულ რუსეთში ჩაკარგული ეგულებოდა იგი მას; ხედავდა გამოცარიელებული და გაძარცული მალაზიის კარებში ატუზულს. აი, დვას ის თაროების ნამსხვრევეებში, დაფლეთილ საჭონელსა და ჩამოქცეულ ბათქაშს შორის. აბა, რა სჭირდა იმ მოუსავლეთში გაგადასაკარგავი!

— ერთი აქეთ შემომხედე! — უყვირა მამამ და თავგზააბნეული გეორგი საწოლისკენ გაექანა, მაგრამ შუა გზაშივე შეჩერდა.

— რაკი მან კაბა წამოიხადა, — ტკბილად დაიწყო მამამ, — რაკი იმ საძაგელმა კახამ კაბა ასე წამოიხადა, — მან პერანგი ისე მალლა აიწია, რომ თედოზე ომში დამჩნეული ნაჭდევი გამოუჩნდა. — რაკი კაბა ასე და ასე წამოიხადა, შენც მიუდექი და როცა კი მოგესურვებოდა, ვნება რომ დაგეცხრო, ჩვენი დედიკოს ხსოვნა შეურაცხყავი, მეგობარი გაყიდე და მამაშენი ლოგინში ჩააწვინე, განძრევა ველარ შესძლოსო. პოდა, შესძლებია განძრევა თუ არა?

იგი ახლა არაფერს არ ეყრდნობოდა, იდგა და ფეხებს აქეთ-იქით იქნევდა. სახეზე ნათელი გადაჰფენოდა, ეს რა გულთამხილავი ვარო.

გეორგი მისგან, რაც შეიძლება შორს, ოთახის კუთხეში იდგა. თავიდანვე გადაწყვიტა, ყურადღებით ედევნებინა თვალი, რომ მამა არ მიბრვოდა და ან აქედან, ან იქიდან, ან წინიდან ან უკანიდან თავს არ დაცხრომოდა. ახლა



კვლავ გაახსენდა, რაც კარგა ხანია მოიფიქრა, მაგრამ მაშინვე დაივიწყა, თითქოს ნემსის ყურში ძაფი გაუყარაო.

— მაგრამ შენი მეგობარი ჯერ არ გაყიდულა! — წამოიძახა მამამ და დაატურის ნიშნად სალოკი თითი გააქნია. — მე ვიყავი მისი დამცველი აქ.

— ტაკიმასხარა! — წამოიძახა გეორგმა და მყისვე მიჰქარა, ენაზე ისე მაგრად იკბინა, სიმწრით მზერა გაუხევედა და ჩაიჩოქა.

— დიახ, ცხადია, კომედიას ვთამაშობდი, კომედიას! ზედგამოჭრილი სიტყვაა! სხვა რაღა დამრჩენოდა სანუგეშოდ მოხუც, დაქვრივებულ მამას? ჰო, მითხარი და როცა მეტყვი, მაშინ კვლავ იყავი ჩემი მოსიყვარულე შვილი, — სხვა რაღა უნდა მექნა ამ მიგდებულ ოთახში მიხრწნილ ბერიკაცს, ვერაფერი ახლობლებისგან მოძულეებულს? ამასობაში ჩემი ვაჟი თავის ქეიფზე ცხოვრობდა, ჩემს ჩაწყობილ საქმეებს აკვარაბჭინებდა, სიხარულისგან ყირაზე გადადიოდა და მამას ისე უცხოფრად უყურებდა, თითქოს მართლა პატიოსანი კაცი იყო! შენ რა გგონია, მე არ მინდა, რომ მიყვარდე? ჩემი ნაგრამი არ ხარ?

„ახლა იგი წინ წამოიხრება, — გაიფიქრა გეორგმა. — ნეტა დაეცემოდეს და თავს გაიხეთქავდეს!“ ამ აზრმა გასჭოლა მისი გონება.

მამა წინ წამოიხარა, მაგრამ არ დაცემულა, და რაკი გეორგი არ მიშველებია, თუმცა ამას კი ელოდა, იგი ისევ წელში გასწორდა.

— იყავი იქ, სადაც ხარ, მე შენ არ მჭირდება! იქნებ გგონია, კიდევ შეგერჩა ჩემთან მოსვლის ძალა და მხოლოდ იმიტომ არ მოდიხარ, რომ თვითონ არ გინდა? იცოდე, არ მოტყუვდე! მე შენზე ბევრად ძლიერი ვარ. მართლაც რომ ვიყო, იქნებ ვერ მოგჩუქებდი, მაგრამ დედამ მომცა თავისი ძალა; შენს მეგობარს დიდებულად შევექარი, შენი ყველა მუშტარი აგერ ჯიბეში მყავს!

„ხედავ, პერანგზეც კი ჯიბე აკერია!“ — გაიფიქრა გეორგმა და მერე მოიაზრა, საკმარისია, ეს სიტყვები სხვას ვუთხრა, ხალხში თავი ველარ გამოჰყოსო, მაგრამ ფიქრი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა, შემდეგ ყველაფერი დავიწყებას მისცა.

— აბა, მოსინჯე და ხელიხელგაყრილი მომიყვანე შენი საცოლე! ერთი ისეთი მივფერთხო, რომ შენი მოწონებული!

გეორგს სახე დაემანჭა, თითქოს ამ სიტყვების არ სჯერაო, მამა კი იმ კუთხისკენ აქნევდა თავს, სადაც გეორგი იდგა და ამით ეუბნებოდა, რასაც ახლა ისმენ, ტყუილი არ გეგონოსო.

— რომ იცოდე, რა გამახარე, როცა დღეს ჩემთან მოხვედი და მკითხე, მეგობარს ჩემი ნიშნობა თუ მივწეროო. მან ხომ უკვე ყველაფერი იცის, ყვეეჩო, ყველაფერი! მე თვითონ მივწერე, შენ დაგავიწყდა ჩემთვის დაგემალა ქალღი და საწერ-კალამი. ამიტომაც არ ჩამოსულა აი, უკვე რამდენი წელია, ასჯერ შენზე უკეთესად იცის ყველაფერი, შენს წერილებს არც კი კითხულობს, ისე ჭმუჭნის და აგდება. ჩემი კი სულ ხელში უჭირავს!

აღტაცებისგან მამამ ბელები ზემოთ შეჰყარა.

— ათასჯერ შენზე უკეთესად იცის ყველაფერი! — იყვირა მან. — ათი ათასჯერ უკეთესად!

— ათი ათასჯერ! — გამოაჯავრა გეორგმა მამას, მაგრამ სახუმარი არაფერი ეტყობოდა.

— მე უკვე ამდენი წელია გელოდები, რომ ამ კითხვით მომმართავ! იქნებ გგონია, სხვა რამ მაწუხებდეს. ან ეგებ ფიქრობ, ვაზე ეს ვკითხულობდე?



„აბა, შენ!“ — და მან გეორგს გაზეთი მიახეთქა, რომელიც შემთხვევით ლოგინში ეპოვა. ამ ძველსძველ გაზეთს გეორგისთვის სრულიად უცნობი სახელწოდება ჰქონდა.

— რამდენ ხანს ყოყმანობდი, სანამ კარგად არ მოიწიფე! დღედაღნი ისე მოკვდა, ვერ მოესწრო ამ დღეს, შენი მეგობარი რუსეთში იღუპებოდა. კიდევ სამი წლია წინ ისე გამოყვითლებული იყო, იტყოდი, აგერ-აგერ წასასვენებელი იქნებოა, მე კი, თვითონაც ხედავ, რა დღეშიც ვარ. თვალს არ გაკლია!

— მაშ, უკან დამდევდი, არა? — წამოიძახა გეორგმა.

— ეს, ალბათ, ადრევე გინდოდა გეთქვა, ახლა მნიშვნელობა აღარა აქვს, — თანაგრძნობით, თითქოს სასხვათაშორისოდ უთხრა მამამ.

და ხმამალლა დაუმატა:

— ახლა მაინც იცოდე, რაც უშენოდ ხდებოდა; აქამდე მხოლოდ შენს თავს იცნობდი! გულახდილად რომ ითქვას, უმწიკვლო ბავშვი იყავი, მაგრამ უფრო გულახდილად თუ გინდა, ეშმაკის კერძი ხარ! — ამიტომ ისმინე: შენთვის წყალში თავის დახრჩობა მომისჯია!

გეორგმა იგრძნო, თითქოს ვიღაცა ერეკებოდა ოთახიდან, ყურებში ისევ ის ხმაური ედგა, რაც საწოლზე მამის წაქცევისას გაიგონა. კიბეზე როცა ჩარბოდა და საფეხურიდან საფეხურზე, როგორც დამრეც სიბრტყეზე, ისე ხტებოდა, თავის მოახლეს შეეჩახა. იგი ზემოთ აღიოდა ოთახების დასალაგებლად.

— ღმერთო! — იყვირა მან და სახეზე წინსაფარი აიფარა, მაგრამ გეორგი უკვე თვალს მიეფარა.

იგი ჭიშკრიდან გარეთ გავარდა, ქუჩა გადაჭრა და მდინარისკენ გაექანა. მშიერი რომ საკმელს დაეძგერება, ისე ჩაეჭიდა მოაჯირს და გაწვრთნილ ტან-მოვარჯიშესავით ზედ გადაევლო, ჭაბუკობისას ამით ეამაყებოდათ იგი მშობლებს. მოფამფალეებული ხელებით კვლავ მოაჯირს ჩაბლაუჭებოდა და ავტობუსს ელოდებოდა, მისი დაბლა ვარდნის ხმას რომ ჩაახშობდა, და წაიჩურჩულა:

— საყვარელო მშობლებო, მე თქვენ ყოველთვის მიყვარდით, — და მოაჯირს ხელი უშვა.

ამ დროს ხილზე დიდი მოძრაობა იყო.

□

### მესაჭე

**მ**ე რა, მესაჭე არა ვარ? „შენ?“ — მკითხა მალაღმა შავგერემანმა კაცმა და, თითქოს სიზმრის განდევნას ლამობსო, თვალეზე ხელი მოისვა. კუნაპეტ ლამეში საჭესთან ვიდექი, თავზე მბჟუტავი ფარანი დამნათოდა. ამ დროს ეს კაცი მოვიდა, გავდებამომინდომა. რომ არ შევეპუე, მკერდზე ფეხი მკრა და ძირს დამცა. წაქცევამდე საჭეს ჩავებლაუჭე და



ჩემკენ შემოვაბრუნე. მან საჭეს ხელი ჩაავლო, გაასწორა, მე კი განზე მიმაგდო. უმაღლესი მოვიკრიბე, მეზღვაურებთან შევიკერი და დავიყვირე: „მეზღვაურებო! მეგობრებო! ჩქარა გამომყევით! ვილაც უცნობმა საჭე წამართვა!“ ზღაზღიანით გამოემართნენ, გემის კიბეს ტორტმანით ამოჰყვნენ, დაიწყეს მოქანცულნი. „ვარ თუ არა მესაჭე?“ — ვკითხე მათ. თავი დაიქანცეს, მისკობ კი უცხო კაცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ირგვლივ ნაბევაარ წრედ რომ შემორტყმოდნენ, და მანაც ბრძანა თუ არა, ხელს ნუ მიშლითო. — ერთად შექუჩდნენ, თავი დაიკრეს და კვლავ კიბეს დაუყვნენ. „ეს რა ხალხია! ნეტა ფიქრობენ კი რამეზე საერთოდ, თუ უაზროდ დაჩერჩეტობენ დედამიწაზე?“

### პრომეთეა

პრომეთეზე ოთხი თქმულება არსებობს: ერთის მიხედვით მან ადამიანის გულისათვის ღმერთებს უღალატა, ღმერთებმა კი სასჯელად კავკასიონს მიაჩაქვეს და არწივები მიუსიეს გულ-ღვიძლის საკორტნად, მაგრამ გულ-ღვიძლი ისევ და ისევ უმთელდებოდა.

მეორე თქმულებაში ნისკარტებით დაძიებნილი, გაწამებული პრომეთე ისევ ეკვროდა კლდეს, ბოლოს კიდევაც შეეზარდა მას.

მესამის მიხედვით — ათასწლეულია მანძილზე ეს ამბავი დავიწყებას მიეცა. მისი ღალატი დაივიწყეს ღმერთებმა და არწივებმა, თავად მასაც დაავიწყდა ყველაფერი.

მეოთხის მიხედვით, ყოველივე უაზრობად იქცა და ამ უაზრობამ ყველა მოქანცა. დაიქანცნენ ღმერთები, დაიქანცნენ არწივები, ქრილობაც კი გაბეზრდა და შეხორცდა.

დარჩა გაუგებარი კლდე. თქმულება ცდილობს გაუგებარი ახსნას. ვინაიდან ამ თქმულებას საფუძვლად ჰეშმარიტება უდევს, იგი გაუგებრადვე უნდა დასრულდეს.

### ერთობა

ჩვენ ხუთნი ვართ. ერთხელ ერთმანეთის მიყოლებით სახლიდან გამოვედით. ჯერ ერთი გამოვიდა და ჰიშკართან დადგა; მერე მეორე გამოვიდა, უფრო სწორად, ვერცხლის წყალივით გამოსხლტა ჰიშკრიდან და პირველის შორიახლო აიტუზა; მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე. ბოლოს ყველანი ერთ რიგში ჩავმწყრივდით. ხალხმა ყურადღება მოგვაქცია, ჩვენკენ ხელს იშვერდნენ და ამბობდნენ: „ეს ხუთეული ახლახან გამოვიდა ამ სახლიდან“. მას შემდეგ ერთად ვცხოვრობთ. მშვიდად ვიცხოვრებდით, მეექვსე რომ წარამარა არ გვეჩრებოდეს. არაფერს გვიშავებს, მაგრამ თავს კი გვაბეზრებს და ესეც საკმარისია; რატომ ეკვეხება იქ, სადაც ზედმეტად თვლიან? ჩვენ მას არ ვიცნობთ და არც გვსურს ჩვენს წრეში მივიდოთ. მართალია, ადრე არც ჩვენ ხუთნი ვიცნობდით ერთმანეთს და, თუ მოვისურვებთ, არც ახლა გვეცნობება ერთმანეთი. მაგრამ ის, რაც ჩვენ ხუთს შორისაა შესაძლებელი და ასატანი, მეექვსესთან შეუძლებელი და აუტანელია. გარდა ამისა, ჩვენ ხუთნი ვართ და არ გვსურს ექვსნი ვიყოთ. და საერთოდაც რა აზრი აქვს ამ გაუთავებელ ერთად ყოფნას. არც ჩვენი ხუთეულისთვის აქვს ამას რაიმე აზრი. მაგრამ რაკი ერთად ვართ,



ასე დავრჩებით! ახალი ერთობა კი არ გვსურს, სწორედ ჩვენი გამოცდილების გამო. მაგრამ როგორ გინდა ყველაფერი ეს შეექვსეს გააგებინო. ახსნა-განმარტებანი ხომ თითქმის იმას ნიშნავს, ჩვენს წრეში მივიღოთ. უმჯობესო არც არაფერი ავუხსნათ და არც ჩვენს წრეში მივიღოთ. თუ ძალიან გაბბერა ხელს ვკრავთ და გავაგდებთ, მაგრამ რაც არ უნდა მოვიხდომოთ. მასწავლებლები რუნდება.

### სირინოზების ღუმელი

ესეც დასტური იმისა, რომ ყოვლად უსუსურსა და ბალღურ ხერხებსაც ძალუძს გადაგვარჩინოს.

სირინოზებისაგან თავის დასაცავად ოდისევსმა ყურები ცვილით ამოივსო და თავი ანძაზე მიაჯაჭვინა. ამის გაკეთება, რასაკვირვებელია, ყველა მგზავრს შეეძლო, იმათ გარდა, ვისაც სირინოზები შორიდანვე აჯადოებდნენ. მაგრამ მთელმა ღუნიათ იცოდა, რომ ეს ხერხი არ გასჭრიდა. სირინოზების სიმღერა ყველაფერს მსჭვალავდა და მონუსხულთა ვნება ანძასა და ჯაჭვებსაც დაამსკრევდა. მაგრამ ოდისევსს ამაზე არ უფიქრია, თუმცადა ეა ამბავი გაგონილი ექნებოდა. თავისი ხრიკით ბავშვივით გახარებულმა, ერთი მუჭა ცვილისა და ჯაჭვების იმედით გასცურა სირინოზების შესახვედრად.

მაგრამ სირინოზებს სიმღერაზე უფრო საშიში იარაღიც აქვთ, სახელდობრ, ღუმელი. მართალია, ჯერ არასოდეს მომხდარა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, სიმღერას რომ კიდევაც დაუსხლტე, ღუმელს მაინც ვერ გადაურჩები. გამარჯვებულის სიხარულს, საკუთარი გამჭრიახობით მახეს დავუძვერიო, და აქედან გამომდინარე ყოვლის წამლეკავ მედიდურობას წინ ვერა მიწიერი ვერ აღუდგება.

და მართლაც ოდისევსის ჩავლისას ყოველი სულიერის მძლე მომღერლები ღუმდნენ, თითქოს იცოდნენ, ასეთ მოწინააღმდეგეს მხოლოდ ღუმელით თუ დაამარცხებდნენ, ან იქნებ, ოდისევსის სახეზე აღბეჭდილმა ნეტარებამ, მარტო ცვილსა და ჯაჭვზე რომ ფიქრობდა, სიმღერა სულ გადაავიწყათ?

ხოლო ოდისევსს, ასე ვთქვათ, არც ესმოდა მათი ღუმელი. მას ეგონა, ისინი მღერიან, მე კი ცვილი მშველისო. წამიერად თვალი შეავლო მათ მოღერებულ ყელს, დანამულ თვალებს, ოდნავ გაბობილ ბაგეებს, მკერდს, რომელიც აუღ-ჩაუდიოდათ, და იფიქრა, ისინი მღერიან, ჩემ ირგვლივ მათი ჰანგები ყლერს, მე კი არ მესმისო. მაგრამ მალე ოდისევსის შორეთს მიპყრობილმა მზე-რამ ყოველივე აისხლიტა. სირინოზები გააქრო, გააუჩინარა მისმა გამბედაობამ და სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ახლოს იყო სირინოზებთან, უკვე აღარაფერი იცოდა მათზე.

ხოლო ისინი — მომხიბლავნი, როგორც არასდროს — ხან წელში იმართებოდნენ, ხან იზნიქებოდნენ, გაშლილ თმას ქარში შემზარავად აფრიალებდნენ და კლდეს ბრჭყალებით ისეთი ძალით აღარ ეჭიდებოდნენ, რამეთუ აღარ ეწადათ ცთუნება, რამეთუ მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტხანს ეცქირათ ოდისევსის ელვარე თვალებისათვის.

სირინოზებს რომ განსჯა ჰქონოდათ, უთუოდ დაიღუპებოდნენ. ასე კი გადარჩნენ, მხოლოდ ოდისევსი დაუსხლტათ.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, ოდისევსი ისეთი ცბიერი და ეშმაკი



იყო, თვით ბედისწერის ქალღმერთმაც ვერ შეძლო მის გულში ჩახედვამ. თუმცა  
 ცალა ამას ადამიანის გონება ვერ შესწვდება, იქნებ ოდისევსმა მართლაც შე-  
 ამჩნია სირინოზების დუმილი. მაგრამ თავი მოიკატუნა, რათა დურგობიცა და  
 სირინოზებიც გაეცურებინა.

ერეკლე  
 შიგლით

**მეფის დანაბარები**

ამბობენ, რომ მეფემ შენ, სწორედ შენ, მარტოსულ, ბეჩავ ქვეშევრდომს  
 სამეფო მზის ბრწყინვალეობას გარიდებულ ნამცეცა ჩრდილს, სასიკვდილო სა-  
 რეცლიდან რაღაც შემოგითვალა. შიკრიკი იხმო და ყურში ჩასჩურჩულა; და-  
 ნაბარები ისე დიდ რასმე ნიშნავდა მისთვის, რომ შიკრიკს ჩურჩულითვე გა-  
 ამეორებინა და თქმულის სისწორე თავის ქნევით დაუდასტურა. და აი, დამს-  
 წრეთა თვალწინ ყველა ხელის შემშლელი კედელი ჩამოინგრა, ცად აზიდულ  
 აივნებზე დიდებულებმა წრე შეჰკრეს, და მეფემ შიკრიკი შენკენ გამოისტუმრა.  
 ისიც გზას გაუდგა დაუყოვნებლივ: ღონიერი, დაულაღავი, წინ გაწვდილი ხე-  
 ლებით ბრბოს მიარღვევს იგი; თუ ვინმე წინ გადაუდგა, მკერდზე მიანიშნებს,  
 იქ მზის ნიშანი აქვს გამოსახული; ადვილადაც მიიწევს წინ, სხვა რომ ვერავინ  
 მოახერხებდა, ისე. მაგრამ ბრბო იმოდენაა, რომ ბოლო არ უჩანს. ალბათ რა სის-  
 წრაფით გამოფრინდებოდა, წინ რომ ტრიალი მიხდორი ედოს. შენც რა მალე  
 გაიგონებდი კარზე მისი მუშტების ბრახუნს. ახლა კი ამაოდ ირჩება; ისევ და  
 ისევ მოიკაფავს გზას შიდა სასახლის ოთახებში, ვერასოდეს გადალახავს მათ  
 ზღურბლს; რომც მოახერხოს, მაინც არა გამოვა რა — კიბეები ექნება დასაძ-  
 ლევი, ესეც რომ შეძლოს, ეზოების გადაჭრა მოუხდება და ეზოების შემდეგ  
 მეორე სასახლეში, გამოემწყვდევს; მერე კვლავ კიბეები და ეზოები დახვდება,  
 კვლავ სასახლე; და ასე ათასწლეულთა წიაღ, და თუ ოდესმე მაინც გამოაღწია  
 ბოლო კიშკარში — ეს კი არასოდეს, არასოდეს არ მოხდება — შიკრიკის  
 წინაშე სატახტო ქალაქი აღიმართება, სამყაროს შუაგული, პირთამდე სავსე  
 საკუთარი დანაღვით. ვერავინ შეაღწევს შიგ, მით უმეტეს, მკვდრის დანაბა-  
 რებით. შენ კი ზიხარ შენს ფანჯარასთან და შებინდებამდე მასზე ოცნებობ.

გერმანულიდან თარგმნა ხათუნა კოპალეიშვილმა



**უცაგედი გასეირნება**

თუ საღამოს თითქოსდა საბოლოოდ გადაწყვიტე შინ დარჩენა, საშინაო  
 ხალათი ჩაიცვი, ნავახშმევს განათებულ მაგიდას მიუჯექი და ის საქმე ან თა-  
 მაში წამოიწყე, რომლის დამთავრების შემდეგაც ჩვეულებრივ დასაძინებ-  
 ლად მიდიხარ; თუ გარეთ უსიამოვნო ამინდია, რაც შინ დარჩენას თავისთა-  
 ვად გულისხმობს, და თუ უკვე იმდენ ხანს იჯექი მაგიდასთან, რომ ახლა შენი  
 წასვლა საყოველთაო განცვიფრებას გამოიწვევს; თუ სადარბაზო უკვე ჩაბნე-  
 ლებულია და კარიც ჩარაზული, და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, უცა-



ბედად უგუნებობა წამოგადებს, ტანთ გამოიცივლი და, საგარეოდ ჩაცმული, აუცილებლად უნდა წავიდეთ, გამოაცხადებ, რასაც მოკლე გამოთხოვების შემდეგ კიდევაც აკეთებ, და იმ სიჩქარის მიხედვით, რითაც ბინის კარს გარჯობუნებ, გჯერა, რომ უგუნებობაც ასე თუ ისე უკან მოიტოვებ; თუ ქუჩაში გონს მოდიხარ და შენი კიდურებიც ამ მოულოდნელ თავისუფლებას გარჯობუნებ, ბული ხალისით ეხმაურება; თუ გრძნობ, რომ ამ ერთი გადაწყვეტილებით დაწყვეტილების უნარი მთლიანად მოიკრიბე, თუ ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობით შეიცნობ, რომ სურვილზე მეტად ძალა შეგწევს — უსწრაფესი ცვლილება მოახდინო და აიტანო, და თუ ამგვარად გრძელ და ვიწრო ქუჩებს ჩაათავებ, — მაშინ ამ საღამოს შენს ოჯახს სრულიად მოსწყდები, თითქოს არც არსებულაო, თავად კი, მტკიცე და ფართო ნაბიჯებით მიმავალი, შენს ქეშმარიტ სახეს დაიბრუნებ.

ყოველივე ეს კიდევ უფრო განმტკიცდება, თუ გვიან ღამით მეგობარს მოინახულებ.

### მგზავრი

ტრამვაის ბაქანზე ვდგავარ და სრულიად ვერ გამიგია, რა ადგილი მიჭირავს ამ ქვეყნად, ამ ქალაქში, ჩემს ოჯახში. გაკვრითაც არ ძალმიძს მივუთითო, რა სამართლიანი პრეტენზიების წამოყენება შემიძლია რაიმეს მიმართ. იმასაც ვერ დავიჩემებ, რომ ამ ბაქანზე ვდგავარ, ამ სახელურს ვეჭიდები, ამ ტრამვაით ვმგზავრობა, რომელსაც გამვლელები გზას უთმობენ, ნელა მიაბიჯებენ ან ვიტრინებთან ჩერდებიან. ამას არც არავინ მოითხოვს ჩემგან, მაგრამ მერე რა.

ტრამვაი გაჩერებას უახლოვდება; ერთი გოგონა კიბესთან მიდის და ჩასასვლელად ემზადება. მას ისე ცხადად ვხედავ, თითქოს ხელით შევხებოდე. შავი კაბა აცვია. კაბის ნაოჭები თითქმის სულ არ ირხევა. წელზე მომდგარ ზედატანს წვრილად ნაქსოვი თეთრი მაქმანის საყელო უკეთია. მარცხენა ხელისგულით კედელს მიყრდნობია, მარჯვენა ხელით ქოლგა კიბის მეორე საფეხურზე დაუბჯენია. შევგვრემანია, აქეთ-იქით ოდნავ შეზნექილი ცხვირი ბოლოში მრგვალდება და ფართოვდება. ხშირი წაბლისფერი თმა აქვს და მარჯვენა საფეთქელთან გაწეწილი ბუსუსები მოუჩანს. პაწია ყური ზედ მიკვრია და რაკი ახლოს ვდგავარ, მარჯვენა ყურის ზურგსაც ვხედავ და მის ძირში მიყუჟულ ჩრდილსაც.

მაშინ ჩემ თავს ვკითხვ: როგორ არის, რომ თავისი თავი არ აოცებს, პირი მოუკუშავს და ამაზე არაფერს ამბობს?

### ქველი ფურცელი

ასე მგონია, თითქოს ბევრი დაუდევრობა გამოვიჩინეთ სამშობლოს დაცვაში. აქამდე ამაზე თავი არ შეგვიწუხებია და ჩვენ-ჩვენს საქმეებს მივსდევდით, მაგრამ ბოლო ხანებში დატრიალებულმა ამბებმა მართლაც რომ საზრუნავი გაგვიჩინა.

ჩემი სახარაზო მოედანზე დგას, მეფის სასახლის პირდაპირ. დილაუთენია გავაღებ თუ არა სახელოსნოს კარს, ვხედავ, მოედნისკენ მომავალი ყველა ქუჩა იარაღასხმულ ხალხს გაუჭედია; ისინი ამკარად ჩრდილოელი ნომადები არიან



და არა ჩვენებური ჯარისკაცები. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შემოაღწიეს დედაქალაქში; ასეა თუ ისე, ახლა აქ არიან და თითქოს დღითიდღე მრავლდებიან.

თავიანთი ბუნების შესაბამისად ღია ცის ქვეშ დაბნელებულნი უნდადგან სახლები ეჯავრებათ. მათი საქმიანობა ხმლების ლესვა, ისტრუბანის წასახება ცხენებით ჯირითია. ეს მყუდრო, მუდამ საგანგებოდ მოვლილ-დასუფთავებული მოედანი ნამდვილ საჯინიბოდ აქციეს. მართალია ზოგჯერ ჩვენ-ჩვენ საქმეს თავს ვანებებთ და გამოვრბივართ, რათა ყველაზე დიდი სიბინძურე მაინც გავხვეტოთ, მაგრამ ეს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხდება, რადგან ჩვენი გარჯა უსარგებლოა და, გარდა ამისა, ხიფათშიაც გვაგდებას, ვაითუ ველურმა ცხენებმა გადაგვთელონ, ან მათრახი მოგვხვდეს.

ნომადებთან ლაპარაკი შეუძლებელია. მათ ჩვენი ენა არ იციან და არც თავიანთი უნდა ჰქონდეთ, ერთმანეთის ჭილყვავისებურად აგებინებენ. დროდადრო გაისმის ხოლმე მათი ჭილყვავისებური მოძახილი. ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი ჩვეულებები მათ არც ესმით და ფეხებზეც ჰკიდიათ. ამიტომ ყოველგვარ ეესტის ენას უარყოფენ. თუნდაც ყბები მოგედრიცოს და ხელებიც სახსრებიდან ამოგვცვივდეს, მათ ვერაფერს გააგებინებ და ნურც ნურასოდეს გექნება ამის იმედი. ხშირად იტყვიან; ამ დროს თვალებს გადაკარკლავენ და პირი დუჟით ევსებათ, მაგრამ ამით არც არაფრის თქმა უნდათ და არც არავის აშინებენ; ამას უბრალოდ სჩადიან, ვინაიდან ასე სჩვევიათ. რაც სჭირდებათ, იღებენ. ვერ იტყვი, რომ ძალადობას მიმართავენ. თუ რასმე ხელი ჩაავლეს, განზე ვდგებით და ყველაფერს გაუძალიანებლად ვუთმობთ.

ჩემი ქონებიდანაც ბევრი კარგი რამ წაიღეს. მაგრამ ამაზე როგორ დავიჩივლებ, როცა ვხედავ, რა დღეშია ჩემს პირდაპირ მოვაჭრე ყასაბი. დააწყობს თუ არა თავის საქონელს, ნომადებიც მყისვე მოსტაცებენ და შესანსლავენ. მათი ცხენებიც მიირთმევენ ხორცს. ხშირად დაინახავთ, მხედარი თავის ცხენთან წევს და ხორცისთვის აქეთ-იქიდან კბილები ჩაუვლიათ. ყასაბი მშიშარაა და ხორცის მიწოდება ვერ შეუწყვეტია. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის მისი, ერთმანეთში ფულს ვაგროვებთ და ასე ვეხმარებით. ნომადებს რომ ხორცი შემოაკლდეთ, ვინ იცის, რას ჩაიდენენ, თუმცა კი, ხორციც რომ არ შემოაკლდეთ, არავინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს თავში რა მოუვათ.

ბოლოს ყასაბმა იფიქრა, იქნებ საქონლის დაკვლა მაინც ამცდესო და ერთხელ დილით ცოცხალი ხარი მოიყვანა. მაგრამ ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს კიდევ განმეორდეს. ერთი საათი მაინც ვეგდე სახელოსნოს კუნჭულში პირქვე დამხობილი და რაც რამ ტანსაცმელი, ფარდაგი თუ ლოგინი მქონდა, ყველაფერი თავზე დავიყარე, ხარის ბლავილი რომ არ გამეგონა; ნომადები ხარს ყველა მხრიდან მიცვივდნენ და კბილებით თბილ ხორცს გლეჯა დაუწყეს. ყველაფერი კარგა ხნის ჩაწყნარებული იყო, როცა გავბედე და გარეთ გამოვედი; ისინი დაოსებული ეყარნენ ხარის ნარჩენებთან, როგორც ლოთები ღვინის კასრებთან.

მგონი, სწორედ მაშინ დავინახე მეფე სასახლის ფანჯარაში; ჩვეულებრივ იგი არ გამოდის ქუჩისპირა ოთახებში და ბაღის სიღრმეში ცხოვრობს. ამჯერად კი იდგა, ან მომეჩვენა, რომ იდგა ერთ-ერთ ფანჯარასთან და თავდახრილი დაპყურებდა სასახლის წინ ატეხილ ორომტრიალს.



„რა მოგველის?“ — ვეკითხებით ჩვენ თავს ყველანი. „როდემდე უნდა ავიტანოთ ეს ტანჯვა და უბედურება? მეფის სასახლემ ნომადები მიიზიდა, ის კი აღარ იცის, თუ როგორ მოიცილოს თავიდან; კარიბჭე ისევ ჩაკეტილია; თუ წინათ გუშაგები საზეიმო ნაბიჯებით შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ახლა ისინი ვისოსიან ფანჯრებს ამოფარებიან. სამშობლოს გადარჩენა ჩვენი ერთადერთი ღონისძიებაა და წვრილ ვაჭრებს, მოგვანდეს; ჩვენ კი ასეთ ამოცანას თავს ვერ ვაგვართმევთ. არც დაგვიკვებნია ოდესმე, ამის ძალა შეგვწევს-თქო. ეს გაუგებრობაა და იგი ბოლოს დაგვლუბავს კიდევ.“

### ვიზიტი მალაროში

დღეს მთავარი ინჟინრები გვეწვივნენ. დირექციის რომელიღაც დავალებით ახალი გვირაბები უნდა გავიყვანოთ და, აი, ინჟინრებიც მოვიდნენ პირველი დაზვერვის ჩასატარებლად. რა ახალგაზრდები არიან და თან რა სხვადასხვანაირები. ყველანი ძალდაუტანებლად განვითარდნენ და ამიტომ მათი ცხადად გამოკვეთილი ხასიათი სიჭაბუკეშივე უშუალოდ ვლინდება.

ერთი მათგანი, შავგვრემანი, მკვირცხლ თვალებს სულ აქეთ-იქით აცეცებს.

მეორე, უბის წიგნაკით ხელში, გზადაგზა რაღაცას იხაზავს, ყველაფერს აკვირდება, ადარებს, ინიშნავს.

მესამეს ჯიბეებში ხელები ჩაუწყვია, ისე, რომ სამოსი ზედ შემოტმასნია და წელში გამართული მიაბიჯებს. ღირსებას იცავს; მხოლოდ ტუჩების გაუთავებელ კენეტაზე ეტყობა ფიცხელი, მოუთოკავი სიჭაბუკე.

მეოთხე მესამეს რაღაცას ისეთს უხსნის, რაც მესამეს სრულიად არ სჭირდება. იგი, ტანით მასზე დაბალი, ეშმაკივით გვერდით მისდევს და თითქმის რამარა პაერში იქნევს, თითქოს ქადაგებას უკითხავსო ყველაფერზე, რაც აქ ხდება.

მეხუთე, ალბათ, წოდებით ყველაზე მალალი, გვერდით არავის იკარებს; ხან წინაა, ხან უკან; დანარჩენები მას უწყობენ ნაბიჯს; იგი ფერმკრთალია და საუსტი; პასუხისმგებლობისაგან თვალები ჩასცივნიან; ფიქრში წასული ხშირად შუბლზე ხელს იტაცებს.

მეექვსე და მეშვიდე ოდნავ მოხრილან, თავი თავთან მიუდვიათ, მკლავი მკლავში გაუყრიათ და გულითადად საუბრობენ; აქ რომ ჩვენი მალარო და ჩვენი სამუშაო აღგილი არ ყოფილიყო, იფიქრებდით, ეს ძვალმსხვილი, უწვეურულვაშო, ზორბაცხვირიანი ჭაბუკები სასულიერო პირები არიანო. ერთ-ერთი მალიმალ ისე ჩაიციინებს ხოლმე, თითქოს კატამ დაიკრუტუნაო; მეორე ასევე სიცილით ლაპარაკობს და თან თავისუფალი ხელით პაერში რაღაც ტაქტი გამოჰყავს. რაოდენ დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ეს ორი ახალგაზრდა თავიანთ მდგომარეობაში, თავიანთი სიყმაწვილისდა მიუხედავად რაოდენი დამსახურება უნდა ჰქონოდათ მოხვეჭილი ჩვენს საქმეში, რომ აქ, ესოდენ მნიშვნელოვან სიტუაციაში, თანაც მათი მეფის თვალწინ, ასე არხეინად ემუსაიფათ საკუთარ, ან ყოველ შემთხვევაში, ისეთ საქმეებზე, რომლებსაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ამჟამინდელ ვითარებასთან. ან იქნებ, სიცილისა და უყუ-



რადღებობის მიუხედავად, ყველაფერსაც კარგად ამჩნევენ? ასეთ ადამიანებზე ღარწმუნებით ვერაფერს იტყვი.

მაგრამ ისიც უეჭველია, რომ, მაგალითად, მერვე გაცილებით უფრო ჩანედულია საქმეში. ვიდრე ეს ორი და ვიდრე ყველა დანაქნევი ყველაფერს სინჯავს პაწია ჩაქუჩით, რომელსაც ხან ჯიბიდან ამოიღებს და სინჯავს აბრუნებს. მიუხედავად ელეგანტური ჩაცმულობისა, მუხლებით პირდაპირ ჭუჭყში დგება და მიწას უკაკუნებს, მერე სიარულს აგრძელებს და გზადაგზა კედლებს სინჯავს, ან ჭერს უკაკუნებს. ერთხელ მთელი სიგრძით გაწვა და გაინაბა: ჩვენ გავიფიქრეთ, უბედურება ხომ არ შეემთხვაო, მაგრამ თავისი მოქნილი სხეულით მარდად წამოხტა. ესე იგი, კვლავ რაღაცას სინჯავდა. მალაროსა და მის ქვებს, მგონი, კარგად ვიცნობთ, მაგრამ ის, რასაც ეს ინჟინერი წარამარა იკვლევს, ჩვენთვის გაუგებარია.

მეცხრე ახალგაზრდა თავის წინ რაღაც საბავშვო ეტლისმაგვარს მოაგორებს. მასში გამზომი ხელსაწყოები აწყვია. მეტად ძვირფასი ხელსაწყოები ზამბაში სათუთად არის გაჩვეული. ამ ეტლს წესით მსახური უნდა მოაგორებდეს, მაგრამ მას არ ანდეს; ერთ-ერთ ინჟინერს ჩააბარეს და მანაც, როგორც ვხედავთ, ხალისით იკისრა ეს საქმე. იგი ყველაზე უმცროსი ჩანს და, ალბათ, ჯერ კარგად არც იცნობს ყველა ხელსაწყოს, მაგრამ თვალს არ აშორებს მათ, ზოგჯერ ხიფათშიაც ვარდება და თავისი ეტლით, ლამის არის, კედელს დაეჯახოს.

მაგრამ აქვეა მეორე ინჟინერი, რომელიც ეტლს გვერდით მიჰყვება და საფრთხეს თავიდან აცილებს. იგი, ეტყობა, ძირფესვიანად იცნობს ხელსაწყოებს და ისინი, როგორც ჩანს, უშუალოდ მას აბარია. დროდადრო, ეტლის გაუჩერებლად, ხელსაწყოს ამა თუ იმ ნაწილს ამოიღებს, გახედავს, ხრახნს მოუჭერს ან მოუშვებს, შეანჯღრევს, კაკუნით მოსინჯავს, ყურთან მიიტანს და უსმენს; ბოლოს, ამ პაწია ნივთს, შორიდან რომ ძლივს მოჩანს, დიდი სიფრთხილით კვლავ ეტლში აბრუნებს. ხელსაწყოების გამო, ცოტა არ იყოს, მედიდურადაც უჭირავს თავი; თითის უსიტყვო დაქნევისთანავე ეტლს ათი ნაბიჯით უნდა მოეშორდეთ, იქაც კი, სადაც უკან დასახევი ადგილი არ არის.

ამ ორ ახალგაზრდას უქმად მოსდევს ერთი მსახური. ჰაბუკებმა, როგორც ეს მათ დიდ ცოდნას შეეფერება, კარგა ხანია ყოველგვარი ქედმაღლობა უკუაგდეს, სამაგიეროდ, იგი თითქოსდა მსახურში შესახლდა. ცალი ხელი ზურგზე შემოუდვია. მეორე ხელით ხან მოოქროვილ ღილებს ეფერება და ხან ლივრების ძვირფას ნაჭერს, მარჯვნივ და მარცხნივ თავს გვიკრავს. თითქოს ვესალმებოდეთ და სალამზე პასუხს გვაძლევდეს. ან თვლის, რომ მივესალმეთ, მაგრამ თავისი სიმაღლიდან ამის შემოწმება არ შეუძლია. რასაკვირველია, ჩვენ მას არ ვესალმებით, მაგრამ რომ შეხედავ, ლამის არის, დაიჯერო, თითქოს მალაროს დირექციის კანცელარიის მსახურობა მართლაც დიდი რამე იყოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ზურგს უკან დავცინით, მაგრამ ვინაიდან მას თვით მეხის გავარდნაც კი ვერ აიძულებს თავის მობრუნებას, ამიტომ იგი ჩვენს წარმოდგენაში რჩება, როგორც რაღაც გაუგებარი.

დღეს გაცილებით ნაკლები ვიმუშავეთ; საქმე დიდი ხნით შეჩერდა; ასეთი ვიზიტი მთელ ყურადღებას ნთქავს. ცდუნება გაიძულებს, თვალი გააყოლო სტუმ-



რების გაუჩინარებას საცდელი გვირაბის სიბნელეში. მალე ჩვენი ცვლაც დამთავრდება; სტუმრების მობრუნებას ვეღარ ვნახავთ.

ოჯახის თავადაცის საზრუნავი



ქართული

ერთნი ამბობენ, სიტყვა „ოდრადეჭი“ სლავურიდან მომდინარეობს და ცდილობენ ამ საფუძველზე განმარტონ „ოდრადეჭის“ წარმოშობა. სხვები კი თვლიან, რომ იგი გერმანულიდან მომდინარეობს და სლავურმა მხოლოდ ზეგავლენა მოახდინა მასზე. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე განმარტების ნაკლებდამაჯერებლობა სამართლიანად გვაფიქრებინებს, რომ ორივე მცდარია და ვერც ერთი მათგანი ვერ გვაპოვინებს ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას.

რასაკვირველია, ამის გარკვევით არც არავინ აიტკივებდა თავს, მართლა რომ არ იყოს ისეთი არსება, რომელსაც „ოდრადეჭი“ ჰქვია. თავდაპირველად იგი წვრილ ვარსკვლავისებურ ძაფის კოჭს მოგვაგონებს და მას მართლაც რაღაც კაფშირი აქვს ძაფთან. რა თქმა უნდა, ეს ალბათ, მხოლოდ ძველი, დაგლეჯილი, ნასკვით გადაბმული და, ამავე დროს, ერთმანეთში ჩახლართული სხვადასხვა ფერის ძაფებია. მაგრამ ეს მარტო კოჭი როდია; ვარსკვლავის შუაგულში გარდიგარდმო თავი ამოუყვია პაწაწინა ჯოხს, რომელსაც მარჯვენა კუთხეში კიდევ ერთი ნამცეცა ჯოხი უერთდება. ერთი მხრივ ამ ჯოხის დახმარებით და მეორე მხრივ ვარსკვლავის ერთ-ერთი ჭიმის შემწეობით მთელ საგანს ძალუძს როგორღაც ორ ფეხზე დადგეს.

ლამის არის დაიჭეო, რომ ამ საგანს წინათ რაღაც მიზანშეწონილი ფორმა ჰქონდა, ამჟამად კი გატეხილია. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში, ამის ნიშან-კვალი არ ჩანს, არც რაიმე ბზარი ეტყობა, ამაზე რომ მიგვანიშნებდეს; თუმცა საგანი უაზრო გეგონება, მაგრამ იგი თავისებურად დასრულებულიცაა. კაცმა რომ თქვას, მასზე მეტს ვერც ვერაფერს იტყვი, რადგან „ოდრადეჭი“ არაჩვეულებრივად მოძრავი და მოუხელთებელია.

იგი ხან სხვენზეა, ხან სადარბაზოში, ხან დერეფანში, ხან წინკარში. ზოგჯერ თვეობითაც იკარგება; მაშინ იგი სხვაგანაა შესახლებული; მერე კი უეჭველად უბრუნდება ჩვენ სახლს. ზოგჯერ, როცა კარს გასცდები და დაინახავ, რომ იგი პირდაპირ ქვემოთ კიბის მოაჯირს მიყრდნობია, მასთან გამოლაპარაკება მოგიწდება. რა თქმა უნდა, სიმცირის გამო ბალღვით ებყრობიან და რთულ შეკითხვებს არ იძლევენ. „რა გქვია?“ ეკითხებიან მას. „ოდრადეჭი“, მიუგებს იგი. „სად ცხოვრობ?“ „გაურკვეველ ადგილას“, ამბობს იგი და იცინის; მაგრამ ამ სიცილში თითქოს ფილტვები არ ურევია. იგი ხმელი ფოთლების შრიალს მოგაგონებს. საუბარი უმეტესად ამით მთავრდება. ზოგჯერ პასუხსაც არ იძლევა; ხშირად დიდხანს დუმს, მსგავსად ხის ნაჭრისა, რომელიც, მგონი, თავად არის კიდევაც.

ამაოდ ვეკითხები ჩემ თავს, რა მოუვა მას, მოკვდება? ყველაფერს, რაც კვდება, მანამდე რაღაც მიზანი მაინც ჰქონია, რაღაც უკეთებია და ამ საქმეში გაცვეთილა: „ოდრადეჭი“ კი სხვანაირია. გამოდის, რომ ოდესმე ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ფეხითაც ასევე დაგორდება კიბეზე, უკან გამობმული ძაფებითურთ. აშკარად არავის არაფერს უშავებს; მაგრამ წარმოდგენამ ამისა, რომ იგი ჩემს შემდეგაც იცოცხლებს, ლამის ვული მატკინოს.



სიზმარი



იოზეფ კ-ს ესიზმრა:

მშვენიერი დღე იდგა და კ-მ გასვირნება გადაწყვიტა, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ სასაფლაოზე ამოყო თეფრიქიქ და მტად ხელოვნური, არაპრაქტიკულად დაკლავნილი გზები. მშვენიერად ასეთ გზაზე ისე გასრიალდა, თითქოს ჩქარი მდინარე მიაქანებდნო, მსუბუქად და აღუღელვებლად. შორიდანვე თვალი მოჰკრა ახლად გათხრილი საფლავის ბორცვს. სადაც შეჩერება მოისურვა. ეს ბორცვი გრძნეული ძალით იზიდავდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მიადწევდა იქამდე. ზოგჯერ საფლავის ბორცვს ველარც ხედავდა, მას დროშები ფარავდნენ, რომლებიც ფრიალებდნენ და ერთმანეთს მთელი ძალით ეხეთქებოდნენ; მედროშენი არ ჩანდნენ, მაგრამ გეგონებოდა რომ იქ დიდი ზეიმი იყო გამართული.

მისი მზერა ჯერ კიდევ შორს იყო მიპყრობილი, როცა უეცრად იმავე საფლავის ბორცვმა გზაზე ჩაუელვა, თითქოს გასცდა კიდევ. მან სწრაფად ისკუბა ბალახში. ვინაიდან გზა ფეხქვეშ სრბოლას განაგრძობდა, იგი წაბარბაცდა და პირდაპირ საფლავის ბორცვთან მუხლებზე დაემხო. საფლავის უკან ორი კაცი იდგა და ხელში საფლავის ქვა აღემართათ; კ-ს გამოჩენისთანავე ქვა მიწაში ჩაარქეს და ისიც ჩადუღაბდა. მყისვე ბუჩქებიდან მესამე კაცი გამოძვრა. მასში კ-მ მხატვარი შეიცნო. მას მარტო შარვალი და ცუდად შეკრული ხალათი ეცვა; თავზე ხავერდის ქუდი ეხურა; ხელში ჩვეულებრივი ფანქარი ეჭირა, გვიანლოვდებოდა და თან ფანქრით პაერში ფიგურებს ხატავდა.

ქვაზე ხატვას ზემოდან მიჰყო ხელი; ქვა ძალზე მაღალი იყო და მხატვარს დახრა სულ არ სჭირდებოდა, წინ გადახრა კი მოუხდა, რადგან საფლავის ბორცვი, რომელზეც არ მსურდა ფეხის დაბიჯება, ქვას აშორებდა. იგი, მაშ, ფეხის წვერებზე იდგა და მარცხენა ხელით ქვის ზედაპირს ეყრდნობოდა. განსაკუთრებული ოსტატობით შეძლო ჩვეულებრივი ფანქრით ოქროს ასოების გამოყვანა. იგი წერდა: „აქ განისვენებს“ — ყოველი ასო იყო მკაფიო და ლამაზი. ღრმად ამოკვეთილი და ბაჯადლო ოქროსი, ორი სიტყვა რომ ჩაათავა, კ-სკენ მოიხედა; კ-ს, რომელიც ხარბად მისჩერებოდა წარწერას, სულაც არ აინტერესებდა ეს კაცი; კაცმა მართლაც განაგრძო წერა, მაგრამ გაუჭირდა, რაღაცამ შეუშალა ხელი, ფანქარი ძირა დაუშვა და კვლავ კ-სკენ მოიხედა. ახლა კ-მაც შეხედა მხატვარს და შეამჩნია, რომ იგი დიდ ვაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, მიზეზს კი ვერ ამბობდა. მისი წინანდელი ხალისი მთლიანად გამქრალიყო. კ-ც საგონებელში ჩავარდა; ისინი უმწეოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს; საზარელი გაუგებრობა ჩამოწვა მათ შორის, რომლის გაფანტვა ვერც ერთს ვერ მოეხერხებინა. უდროოდ დროს ჩამორეკა სამრეკლოს პაწია ზარმაც, მაგრამ მხატვარმა ხელები გაასაფხა და ზარის ხმაც შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩამორეკა, ამჯერად ხმადაბლა და უბრეტენზიოდ. მერე კვლავ შეწყდა. თითქოს თავის ხმას ამოწმებდა. კ-ს უნუგეშოდ ატირდა და ხელებში თავჩარგული დიდხანს სლუკუნებდა. მხატვარმა შეიცადა, ვიდრე კ-ს სულს მოითქვამდა და, რაკი სხვა გზა არ ჰქონდა, გადაწყვიტა, წერა გაეგრძელებინა. პირველმავე პაწია ხაზმა, მან რომ გაავლო, კ-ს შვება მოუტანა, თუმცა მხატვარმა ეს აშკარად დიდი ვაჭირვებით მოახერხა. ნაწერიც აღარ იყო ისე ლამაზი, რაც მთავარია, ოქრო აკლდა, ხაზი მკრთალი და სუსტი გამოუვიდა, ასო კი ძალზე გაიზარდა.



ეს განლდათ „ი“. იგი თითქმის დამთავრებული იყო, როცა მხატვარმა ისეთი გამეტებით ჩასცხო ფეხი საფლავის ბორცვს, რომ ირგვლივ ბული ავარდა. ბოლოს კი მიუხვდა კ., გადათქმევინება გვიანლა იყო; ათივე თითით დახრია მიწას, მიწა კი თითქმის სულ არ უწევდა წინააღმდეგობას, თითქოს ყველაფერი წინდაწინ იყო მომზადებული; მხოლოდ თვალის დასანახავად ამოხსნილი იქნა მისი ზედაპირი; მის ქვეშ პირი დაებჩინა დიდ ორმოს, რომელშიაც სუსტი ბიძგით ზურგზე ამოტრიალებული კ. ჩაცურდა. ვიდრე მას, ჯერ კიდევ თავაშვებოდა, გაუვალა სიღრმე შთანთქავდა, ზემოთ ქვაზე-ლონიერი ჩუქურთმებით ამოკვეთილმა მისმა სახელმა გაიელვა.

ამ სანახაობით აღტაცებულს გამოეღვიძა.

### ხიდი

ცივი ვიყავი და გაშეშებული, ხიდი ვიყავი, უფსკრულზე გადებული. ვალმა ფეხის წვერებით, გამოღმა კი ხელებით ფხვიერ მიწას ჩავჭიდებოდი. კაბის კალთები აქეთ-იქით მიფრიალებდა. ქვევით მოქუხდა კალმახებით სავსე და ყინულივით ცივი მთის მდინარე, ჯერ არც ერთ ტურისტს არ დაუდგამს ფეხი ამ მიუვალ სიმაღლეზე და არც ხიდია რუქებში აღნიშნული. მეც ვიწექი და ვიცდიდი: უნდა დამეცადა. ვერც ერთი ოღესმე გადებული ხიდი ვერ შეწყვეტს ხიდობას, თუ არ დაინგრა.

ერთხელ, ზაფხულში, შებინდებისას, — არ ვიცი, პირველი იყო თუ მეათასე, — ჩემი აზრები გამუდმებით ერთ რაღაცას დასტრიალებდა და დომხალივით ირეოდა. პოდა, შებინდებისას, მდინარის ყრუ ხმაურში, ფეხის ხმა შემომესმა! ჩემკენ, ჩემკენ. აბა, ხიდი, დაიძაგრე. უმოაჯირო მორო, მოემზადე, დაუბვდი იმას, ვინც შენ მოგენდო. მის ნაბიჯებს შეუმჩნევლად მოაშორე სიფრთხილე, ხოლო თუ წაბარბაცდა, მაშინ შენი ძალა აჩვენე და მთის დმერთივით მიწაზე მოისროლე.

ის მოვიდა, რკინის წვეტიანი ჯოხით მომსინჯა. მერე კაბის კალთები ამიწია და ზედ გულზე დამაწყო. გაჩერდნენ თმაში ჯოხის წვეტი გამიყარა და ერთხანს შიგ გააჩერა, თან გიყვივით აქეთ-იქით იყურებოდა. მერე კი, — როცა უკვე ცხრა მთას იქით მეგულებოდა, — ორივე ფეხით ზედ შუა წელზე დამახტა. მწარე ტკივილმა შემამჩრწუნა, მცოდნოდა მაინც, ვინ იყო: ბავშვი? სიზმარი? ყაჩაღი? თავისმკვლელი? ეშმაკი? თუ დამაქცევარი? — და მეც შემოვბრუნდი, მისთვის რომ შემეხვდა. მაგრამ, სად ხიდი და სად შემოვბრუნება! ჯერ ხეირიანად შემოვბრუნებული არც კი ვიყავი, რომ ჩავიქეცი, ჩავიქეცი, და წყვეტიან ქვებს, გახლებული წყლიდან მუდამ ასე უშფოთველად რომ მომშტერებოდნენ, ზედ დავასკდი.

### ნაჯვარი

ერთი თავისებური ცხოველი მყავს, არც კატაა, არც ბატკანი. მამაჩემისგან მერგო მემკვიდრეობით. ჩემს ხელში ჩამოყალიბდა. წინათ კი უფრო ბატკანი იყო, ვინემ კატა. ახლა ორთავეს ბევრი რამით ჩამოჰგავს. კატის თავი და ბრწყალეები აქვს, ბატკნის სიდიდე და აღნაგობა; თვალეები ორთავეს მიუგავს — ველური და ანთებული, ბეწვი რბილი და შემოტმასნული, მიხრა-



მოხრა ქურდული, თან კუნტრუსაც მოვაგონებს. მზიან ამინდში ფანჯრის რაფაზე მოკალათდება და კრუტუნებს, მინდორში გიჟივით დარბის და ვერ დაიქვრ. კატებს გაურბის, ბატკნებს თავს ესხმის. მოვარაბ თამბუქში სახურავის ღარში სეირნობას არაფერი ურჩევნია. უხვილი არ შეუძლებს კლავირთხები ეზიზლება. საქათმის გვერდით საათობით წევს ჩასაფრებულად იწვივს ვერ არასოდეს უსარგებლია შემთხვევით და არავინ მოუკლავს.

ტკბილი რძით ვკვებავ, ყველაზე მეტად რძე რგებს. ნადირის კბილებით დააცხრება და დიდი ყლუბებით თქვლეფავს; რა თქმა უნდა, ბავშვებისთვის ეს დიდ სანახაობას წარმოადგენს; კვირაობით, შუადღისას, ვიზიტის საათი გვაქვს. ცხოველი კალთაში მიზის და რაც ახლომახლო ბავშვებია, სულ გარს მახვევია.

ისეთ განსაცვიფრებელ კითხვებს სვამენ, რომ პასუხის გაცემა შეუძლებელია: რატომ არსებობს ასეთი ცხოველი, რატომ მაინცდამაინც მე მყავს იგი, არსებობდა თუ არა მანამდე ასეთი ცხოველი, როგორი იქნება იგი სიკვდილის შემდეგ, მარტობას თუ გრძნობს, რატომ არა ჰყავს შვილები, რა ჰქვია და ასე შემდეგ.

მე თავს არ ვიწუხებ პასუხის გაცემით, არამედ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ვაფარგლები იმის ჩვენებით, რაც გამაჩნია. ზოგჯერ ბავშვებს კატები მოჰყავთ, ერთხელ ორი ბატკანიც მოიყვანეს. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ და ნაცნობობა არ შედგა. პირუტყვები ერთმანეთს მშვიდად შესცქეროდნენ პირუტყვეული თვალებით და თავიანთ არსებობას აშკარად ღვთაებრივ ფაქტად მიიჩნევდნენ.

ჩემს კალთაში ცხოველს არც შიში უჩნდება და არც სხვისი გამოკიდების სურვილი. ტანზე მომეკრობა და თავს საუცხოოდ გრძნობს. იგი შეეჩვია იმ ოჯახს, სადაც აღიზარდა. ეს რაღაც განსაკუთრებული ერთგულება კი არ არის, არამედ იმ ცხოველის უტყუარი ინსტინქტია, რომელსაც დედამიწაზე აუარებელი მოყვარე კი ჰყავს. მაგრამ ალბათ, არც ერთი სისხლით ნათესავი არ გააჩნია. ამიტომ ჩვენი მფარველობა მისთვის წმიდათაწმიდა რამეა.

ზოგჯერ სიცილი ამივარდება, როცა დამყნოსავს, ფეხებშუა გამოძვრება და ვერაფრით ვერ ვიშორებ. იმას აღარ სჯერდება, ბატკანი და კატა რომ არის, ლამის არის, ძალღობაც მოინდომოს. ერთხელ, — და ეს შეიძლება ყველას დაემართოს, — როცა საქმეები ამერ-დამერია, გამოსავალი ვერ ვნახე, ხელის ჩაქნევა დავაპირე და ამ გუნებაზე მყოფი სავარძელში ვიჯექი. ცხოველი კი კალთაში ძეჯდა. უეცრად დავინახე, რომ მისი უშველებელი უღვაშებიდან ცრემლები მოწვეთავდა, ჩემი იყო ეს ცრემლები, თუ მისი? ნუთუ ამ კატას, ბატკნისულიანს, ადამიანის პატივმოყვარეობაც ჰქონდა? მამაჩემისგან მემკვიდრეობით ბევრი არაფერი მრგებია, ამ მემკვიდრეობით კი, ღმერთმანი, შემიძლია ვიამაყო.

მასში ორნაირი მოუსვენრობა, კატისაც და ბატკნისაც, თუმცა კი ისინი განსწავებულა. ამიტომ არის, რომ თავის ტყავში ვერ ეტევა. ზოგჯერ ისკუბებს და სავარძელში გვერდით მომიჯდება, წინა თათებს მზრებზე მომაბჯენს და დრუნჩს ყურზე მომადებს, თითქოს რაღაცას მეუბნებაო; მერე მართლაც წინ გადმოიხრება და თვალეში მიყურებს, აბა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო. მეც საამებლად თავს ვუკრავ, ვითომ რაღაცა გავიგე. ის კი ძირს ჩახტება და ცეკვა-ცეკვით გარს მივლის.



იქნებ ამ ცხოველს ყასაბის დანა მხსნელად მოვლენოდა, მაგრამ იგი მემკვიდრეობით მერგო და ამას ვერ ვიხამ. ამიტომ, თუნდაც ზოგჯერ ადამიანის აზრიანი თვალებით მიყურებდეს, აზრიან საქმეს რომ მოითხოვენ, უნდა დაიცადოს სანამ სული თავისით არ აღმოხდება.

ეროვნული  
ზიზღიერება

### პოსეიდონი

პოსეიდონი საწერ მაგიდას მისჯდომოდა და ანგარიშობდა. წყლების მართვა-გამგებლობამ უამრავი საქმე გაუჩინა. მას შეეძლო ჰყოლოდა იმდენი თანაშემწე, რამდენსაც მოისურვებდა, და ჰყავდა კიდევაც, მაგრამ ვინაიდან თავის საქმე ძალზე სერიოზულად უდგებოდა და ყველაფერს თავადვე ანგარიშობდა, თანაშემწეებიც ბევრს ვერაფერს შველოდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმე სიხარულს ანიჭებდა; მას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ ასე ჰქონდა დაკისრებული. ბევრჯერ შეეძლო, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ხელი მოეკიდა უფრო სახალისო საქმისთვისაც, მაგრამ როგორც კი სხვადასხვა რასმე შესთავაზებდნენ, ირკვეოდა, რომ არაფერი იყო მისთვის ისე ზედგამოჭრილი, როგორც აქამომდელი საქმიანობა. ძალიან ძნელიც იყო მისთვის სხვა საქმის გამონახვა. განა შეიძლებოდა მისთვის, ვთქვათ, ერთი რომელიმე ზღვის შეთავაზება? მართალია, აქაც არ ექნებოდა ცოტა საანგარიშო, თანაც უფრო ძვირილმან ანგარიშთან მოუხდებოდა საქმის დაჭერა, მაგრამ პოსეიდონი რაღა პოსეიდონია, თუ მხოლოდ და მხოლოდ მბრძანებელი არ იქნება. და თუ წყლის იქით სხვა თანამდებობას შესთავაზებდნენ, ამის წარმოდგენაც კი გულს უღონებდა. ღვთაებრივი სუნთქვა უმძიმდებოდა და სპილენძის მკერდი ზანზარს იწყებდა. კაცმა რომ თქვას, მის ჩივილს ყურადღებას არც აქცევდნენ; თუ ძლევამოსილი იტანჯება, თავი ისე უნდა მოაჩვენო, თითქოს სრულიად უიმედო საქმეშიაც ეთანხმები: პოსეიდონი რომ თავისი საქმისაგან მართლა დაეხსნათ, ამაზე არავის უფიქრია, უხსოვარი დროიდან იგი ზღვათა მეფედ იყო გამწესებული და ამას ვერაფერი შეცვლიდა.

ყველაზე მეტად ის აბრაზებდა, — და ეს იყო მისი თანამდებობით უკმაყოფილების მთავარი მიზეზი, — როცა ყურს მოკრავდა, რას ამბობდნენ მასზე, ვთქვათ იმას, რომ იგი თავისი სამკაპათი წარამარა წყლებში დაეხეტება; ნამდვილად კი იგი აქ, ოკეანის ფსკერზე იჯდა და შეუსვენებლივ ანგარიშობდა: ზოგჯერ იუპიტერთან გამგზავრება თუ დაარღვევდა ერთფეროვნებას, თუმცა ამ მგზავრობიდან უმეტესად გაშმაგებული ბრუნდებოდა. ასე რომ, ზღვა ხეირიანად არც კი ენახა, ოლიმპოსკენ აჩქარებით მიმავალს მხოლოდ თვალი თუ მოუკრავს მისთვის, გადასერვით კი ერთხელაც არ გადაუსერავს ბოლომდე. იტყოდა ხოლმე: მსოფლიო წარღვნამდე მოვიცდი. მერე კი დადგება ის უშფოთველი წამი, როცა ბოლო ნაანგარიშევს თვალს გადავაავლებ და ჩემს სამფლობელოს ერთხელ კიდევ შემოვუქროლებო.

### ღამით

ღამეში ჩაფლულან, აი ისე, ზოგჯერ თავს რომ ვხრით ხოლმე ფიქრში წასულნი, აი, ისე მთლიანად ჩაფლულან ღამეში. ირგვლივ ადამიანებს სძინავთ. მცირე სანახაობა, გულუბრყვილო თავისმოტყუება, თითქოს შინ ეძინოთ.



მკვიდრ საწოლებში, საიმედო ჭერქვეშ, გაშობილებს ან მოკუნტულებს, ქვე-  
შაგებში და საბნებქვეშ, ნამდვილად კი თავი მოუყრიით, როგორც მაშინ ერ-  
თხელ, და როგორც შემდეგ, უდაბურ ადგილას, ბანაკი ღია ცის ქვეშ, ურიცხვი  
ადამიანი, ჯარი, ხალხი ცივი ცის ქვეშ, ცივ მიწაზე, მიყრილ-მოყრილნი იქ,  
სადაც ახლახან იდგნენ, შუბლით მკლავს დასწოლიან, უფროსნი უფროსნი,  
მშვიდად სუნთქავენ. შენ კი ფხიზლობ, ერთ-ერთი გუშაგი ხარ და ახლომდგომ  
გუშაგს მუგუზლის ქნევით ეხმიანები. „რად ფხიზლობ შენ?“ „ერთ-ერთი უნ-  
და ფხიზლობდეს, ასეა ნაბრძანები. ერთ-ერთი უსათუოდ უნდა იდგეს აქ“.

### გამოცდა

მოსამსახურე ვარ, მაგრამ სამუშაო არ გამაჩნია. გაუბედავი ვარ და თვალში  
არავის ვეჩხირები, ის კი არა. და, ხალხშიაც არასოდეს გავრეულვარ, მაგრამ  
ეს ჩემი დაუსაქმებლობის ერთი მიზეზია მხოლოდ. იქნებ ამას საერთოდ არც  
პქონდეს არავითარი კავშირი ჩემს დაუსაქმებლობასთან; ყოველ შემთხვევაში,  
მთავარი ის არის, რომ სამუშაოდ არ მეძახიან, სხვები კი მიიწვიეს, თუმცა  
იმათ ჩემზე მეტად არ გამოუდიით თავი. შესაძლოა, მათ სურვილიც არ პქონიათ  
ამისი, მე კი, ზოგჯერ მაინც, ძალიან მინდა, დამიძახონ.

ჰოდა, მეც ვწევარ საფარეშოს მერხზე, ჭერზე გადებულ კოჭებს შევყუ-  
რებ, ხან ჩამეძინება, ხან გამელვიძება და მერე ისევ ჩამეძინება. ზოგჯერ მო-  
პირდაპირე ტრაქტორში გადავალ მყავე ლუდის დასალევად. ასეთი შემთხვე-  
ვებიც მქონია, მთელი ჭიქა ლუდი ზიზლით გადამიღვრია, მაგრამ მერე ისევ  
დამილევია. იქ ჯდომა მიყვარს, რადგან პატარა, ჩაკეტილი ფანჯრის უკან, ისე,  
რომ ვერავინ შემამჩნევს, ჩვენი სახლის ფანჯრებს ვუთვალთვალე. კაცმა რომ  
თქვას, იქ ბევრს ვერაფერს დაინახავ, მგონი, ქუჩაში მხოლოდ დერეფნის ფან-  
ჯრები გამოდის, თანაც არა იმ დერეფნისა, რომელსაც პატრონთა ოთახებისა-  
კენ მივყავართ. ისიც შესაძლებელია, რომ ვცდებოდე, რადგან ერთხელ, თუმცა  
მე არაფერი მიკითხავს, მაგრამ ვილაცა მარწმუნებდა, ეს ასეაო და სახლის  
ფასადის საერთო შთაბეჭდილებაც ამასვე ადასტურებს. ფანჯრებს იშვიათად  
აოებენ და თუ ვინმე გაადებს, ისევ მოსამსახურე, რომელიც წამით მოაჯირს და-  
ეყრდნობა და ქვევით გადმოიხედავს. მაშასადამე, ამ დერეფნებში მას ვერავინ  
წაასწრებს. მართალი ვითხრათ, მათ არც კი ვიცნობ. ზედა სართულებზე დასაქ-  
მიბულ მოსამსახურეებს სხვაგან სძინავთ და არა ჩემს ოთახში.

ერთხელ, როცა ტრაქტორში შევედი, ვხედავ, ჩემს სათვალთვალო ადგილ-  
ზე უცხო კაცი დამჯდარა. ვერ გავბედე მისთვის ხეირიანად შემეხედა და ის-ის  
იყო კარებშივე ვაბრუნებას ვაპირებდი, რომ სტუმარმა თავისთან მიმიხმო.  
თურმე ისიც მოსამსახურე ყოფილა, ერთხელ უკვე სადღაც მინახავს, მაგრამ  
მანამდე არ დავლაპარაკებოვარ.

„რად გარბიხარ? მოდი, დაჯექი და დალიე, ფულს მე გადავიხდი!“ მეც  
დავჯექი. მან ზოგი რამ მკითხა, მე კი ვერ შევძელი პასუხის გაცემა, რადგან,  
კაცმა რომ თქვას, ვერც გავიგე, რას მეკითხებოდა. ამიტომაც ვუთხარი, იქ-  
ნებ ნანობ, რომ დამპატიყე, თუ ასეა, წავალ-მეთქი და წამოდგომა დავაპირე.  
ის კი სუფრაზე ხელით გადმომწვდა და ადგილზე დამსვა. „დარჩი“, თქვა მან.



„მე მხოლოდ გამოგცადე. ვინც კითხვებზე პასუხს არ იძლევა, გამოცდა ჩაბარებული აქვს“.



ქართული  
ენის სახელმწიფო

### ძერა

ერთი ძერა მომდგომოდა, გამალებით ფეხებს მიკორტნიდა. ჩექმები და წინდები სულ მთლად დამიფლითა, ახლა ფეხების ძიძგნას შეუდგა. ნისკარტს გამეტებით მირტყამდა, მერე მოუსვენრად რამდენჯერმე შემომიჭროლა და კვლავ თავისი საქმე განაგრძო. ვიღაც კაცმა ჩამოიარა. ერთხანს გვიყურა და მერე მკითხა, ძერას რად უთმენო. „მე ხომ უიარალო ვარ“, ვუპასუხე, „ის მომვარდა და კორტნა დამიწყო. რასაკვირველია, მისი გაგდება მოვიინდომე, დახრჩობაც კი ვცადე, მაგრამ ასეთ ნადირს დიდი ძალა აქვს: ის-ის იყო თავპირში უნდა ჩამფრენოდა და მეც ფეხების გაწირვა ვამჯობინე. აი, ისინი უკვე სულ მთლად დაგლეჯილია“. „ასე რად ატანჯვინებთ თავს“, მითხრა კაცმა, „ერთი გასროლა და ძერაც ჰირს მოგჭამს“. „ასეა განა?“ ვკითხე მე, „და თქვენ ამას იზამთ?“ „სიამოვნებით“, თქვა კაცმა, „ოღონდ შინ წავალ და თოფს მოვიტან. გაძლებთ კიდევ ნახევარ საათს?“ „არ ვიცი“, ვთქვი მე და ტკივილმა ერთი წამით გამაშეშა. მერე ვუთხარი: „გეთაყვა, სცადეთ ყოველი შემთხვევისათვის“. „კეთილი“, მითხრა კაცმა, „ვიჩქარებ“. ძერა ჩვენს საუბარს მშვიდად ყურს უგდებდა და ხან მე შემომხედავდა, ხან იმას. ახლა კი მივხვდი, რომ ყველაფერი გაიგო. იგი აფრინდა, მთელი ძალით უკან გადაქანდა და მერე შუბის მტყორცნელივით ნისკარტი შიგ ხახაში ღრმად ჩამარტო. როცა ძერა ჩემი შიგნულიდან დანთხეულ და ყოველის წამლეკავ სისხლში საბოლოოდ ჩაიღრჩო, მიწას დავენარცხე და შვება ვიგრძენი.

### ჩიკორი

ერთი ფილოსოფოსი სულ იქ ტრიალებდა, სადაც ბავშვები თამაშობდნენ. თვალს მოჰკრავდა თუ არა ჩიკორიან ყმაწვილს, იქვე ჩაუსაფრდებოდა. როგორც კი ჩიკორი დაბზრიალდებოდა, ფილოსოფოსიც დასაჭერად გამოეკიდებოდა. ბავშვები რომ ეივილ-ხივილით მისდევდნენ და სათამაშოს არ ანებებდნენ, ეს მას სრულებითაც არ ადარდებდა. თუ მბოუნავ ჩიკორს მოიხელთებდა, ბედნიერი იყო, ოღონდ მხოლოდ ერთი წამით, მერე ჩიკორს ძირს ანარცხებდა და გარბოდა. მას სწამდა, სახელდობრ, რომ ყოველი წვრდლმანის შემეცნება, თუნდაც მბრუნავი ჩიკორისა, საკმარისი იქნებოდა ზოგადის შესამეცნებლად. ამიტომ თავს არ იწუხებდა დიდ პრობლემებზე ფიქრით: ასეთი რამ არაეკონომიურად მიაჩნდა. თუ უმცირეს წვრილმანს მართლა შეიმეცნებ, ყველაფერსაც შეიმეცნებ; ამიტომ მთელი ყურადღება მბრუნავ ჩიკორზე გადაეტანა; დააბრებდნენ თუ არა ჩიკორის დაბზრიალებას, ისიც იმედით ივსებოდა, აი, ახლა კი ვიპოვი, რასაც ვეძებდიო და სუნთქვაშეკრული ჩიკორს გაეკიდებოდა, მაგრამ როგორც კი ამ ყეყეჩ ხის ნაჭერს ხელთ მოიგდებდა, მყისვე გული უღონდებოდა. ბავშვების ყიყინა, აქამდე რომ არ ესმოდა და ახლა მის ყურს უეცრად სწვდებოდა, აიძულებდა იჭაურობას გასცლოდა; ისიც მიჩანჩალებდა, როგორც ჩიკორი უხეიროდ მოქნეული მათრახის ქვეშ.



შინ დაბრუნება

შინ დაბრუნდი, წინკარი გავიარე და უკან მოვიხედე, ეს მამაჩემის ძველი ეზოა. შუაში გუბეა. ძველი, უვარგისი ნივთები ერთმანეთში ატოვებოდა და სხვენის კიბე ჩაუხერგავს. კატა მოაჯირზე ჩასაფრებულა. კდვლევქოტქილო, იდესლაც თამაშის დროს სარზე რომ იყო წამოცმული, ქარში ფრიალებს. ჩამოვედი. ვინ შემეგებება? ვინ მელის სამზარეულოს კარს უკან? საკვამურიდან ბოლი ამოდის, ვახშმად ყავა იხარშება. გრძნობ, რომ შინა ხარ? არ ვიცი, არა ვარ მთლად დარწმუნებული. დიახ, ეს მამაჩემის სახლია, მაგრამ რარიც ცივად ამოსდგომია საგანი საგანს, თითქოს ყოველი მათგანი საკუთარი საქმით იყოს გართული, რომელთაგან ზოგი დამავიწყდა, ზოგი კიდევ არც არასოდეს ვიცოდდი. რაში წავადგები მე მათ, რა ვარ მე მათთვის, თუნდაც მამაჩემის, ძველი ფერმერის ვაჟიშვილი ვიყო. და მე ვერ ვბედავ სამზარეულოს კარზე დაკაკუნებას, მარტო შორიდან ვუსმენ, ზეზეურად, მაგრამ არა ისე, რომ ვინმემ უცაბედად წამასწროს. და რადგან შორიდან ვუგდებ ყურს, არც არაფერი მესმის, მარტო საათის სუსტი წიკწიკი აღწევს ჩემამდე, ან იქნებ ეს სულაც ბავშვობის მოგონებაა და მგონია, რომ მისი ხმა მესმის. სხვა ყველაფერი, რაც სამზარეულოში ხდება, იქ მსხდომთა საიდუმლოებაა, რომელსაც მიმაღავენ. რაც უფრო დიდხანს შეყოვნდები კართან, მით უფრო უცხო ხდება მათთვის. რა მოხდებოდა, ვინმეს რომ ახლა კარი გაეღო და ჩემთვის რაღაც ეკითხა? განა მაშინ მეც არ გავხდებოდი ერთი იმათთაგანი, ვინც თავის საიდუმლოს ინახავს?

გამგზავრება

ვბრძანე, საჯინიბოდან ჩემი ცხენი გამოეყვანათ. მსახურმა ვერ გამიგო. მე თვითონ წავედი საჯინიბოში, ცხენი შეეკაზმე და მოვახტი. შორს საყვირის ხმა მომესმა; მსახურს ეკითხე, რას ნიშნავს-მეთქი. მან არც არაფერი იცოდა და არც არაფერი გაუგონია. ჭიშკართან შემაჩერა და მკითხა: „საით მიემგზავრები, ბატონო?“ „არ ვიცი“, ვთქვი მე, „ოღონდ კი წავიდე აქედან, ოღონდ კი წავიდე. ვიარო უკანმოუხედავად, მხოლოდ ასე თუ მივალწევ ჩემს მიზანს“. „მაშ, შენ იცი შენი მიზანი?“ მკითხა მან. „ჰო“, მივუგე მე. „აი, ვითარია აქედან წავიდე-მეთქი — აი, ჩემი მიზანი“. „საგზალი რომ არა გაქვს?“ მითხრა მან. „არ მქირდება“, მივუგე მე. „წინ ისე დიდი გზა მიდევს, თუ გზაში ვერაფერი ვიშოვე. შიმშილით მოვკვდები. საგზალი მაინც ვერ მიხსნის. საბედნიეროდ, ეს მართლაც უჩვეულო მგზავრობაა“.

გერმანულიდან თარგმნეს ლამარა ნაროუშვილმა და ლამარა რაშიშვილმა





## ფრიდრიხ ვოლდერლინი

### სიცოცხლის ნახევარი

გადაკიდულა ხმელეთი ტბაზე  
ყვითელი მსხლებით,  
ველურ ვარდებით,  
გედნო მწყაზარნო,  
კოცნით მთვრალნო,  
თავებს რომ ჰკიდებთ  
ამ წმიდაფხიზელ წყლის სტიქიონში.  
ვაჰმე, სად ვპოვებ, როს  
ზამთარი დადგება ცივი,  
ყვავილებს ანდა  
მზის ნათებას  
ან მინის ჩრდილსა?  
ხავსმოდებული გალავნები  
დგანან მდუმარედ  
და აფქიოთა ჟღარუნია  
ქარში, ავდარში...


## რაინარ მარია რილკე

### შეოდგომის დღე

უფალო: ჟამმა მოაწია. და ეს ზაფხულიც ერთობ  
გაგრძელდა.  
გადააფინე მზის საათებს ეგ შენი ჩრდილი  
და ველ-მინდვრებზე ქარი აუშვი.  
ბოლო ნაყოფებს უბრძანე, რომ ბარემ დაბაზდნენ,  
ორ სამხრეთულ დღეს ნუ დაიშურებ,  
სიმწიფისაკენ უქენი პირი და ბოლო სიტკბო  
ბანგივით ღვინოს გადააწურე.  
ვისაც არა აქვს ახლა სახლი, ვერც აიშენებს.



და ვინაც ახლა მარტოხელაა, ასე დარჩება,  
ვერ დაიძინებს, ღამით წიგნებს იკითხავს გაბმით,  
და გრძელ წერილებს დასწერს მოთმენით,  
და ხეივნების ფოთოლცვენაში  
აბორგებულ აქეთ-იქით იბორიალებს.



## პაულ ცელანი

### სიკვდილის ფუბა

ადრიან დილის შავ რძეს ჩვენ ვსვამთ საღამოს  
ჩვენ ვსვამთ შუადღეს და დილითაც ჩვენ ვსვამთ ღამითაც  
ჩვენ ვსვამთ და ვსვამთ  
ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერშივე ვიწროდ არ ვწევართ  
კაცი ცხოვრობს სახლში რომელიც გველებთან თამაშობს  
თან წერს  
ის წერს როცა გერმანიაში ბნელდება შენი ოქროსფერი  
თმა მარგარეტე  
ის წერს და სახლის წინ გამოდის და ვარსკვლავები კიაფობენ  
სტვენით მოუხმობს თავის ნაგაზებს  
სტვენით მოუხმობს თავის ებრაელებს და აიძულებს თხარონ საფლავი.  
ის ჩვენ გვიბრძანებს საცეკვაო დაუკრათ რამე  
ადრიან დილის შავო რძეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით  
ჩვენ გსვამთ შენ დილით და შუადღით ჩვენ გსვამთ საღამოს  
ჩვენ გსვამთ და გსვამთ  
ცხოვრობს სახლში კაცი რომელიც გველებთან თამაშობს  
თან წერს  
ის წერს როცა გერმანიაში ბნელდება შენი ოქროსფერი  
თმა მარგარეტე  
შენი ფერფლისფერი თმა სულამით ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერშივე  
ვიწროდ არ ვწევართ  
ის გაჰყვირის უფრო ღრმად თხარეთ მიწა თქვენ კი იმღერეთ  
და დაუკარით  
რკინას წაავლებს ხელს იქნევს მისი თვალები ცისფერია  
ბარები უფრო ღრმად ჩაარჭეთ თქვენ დაუკარით კვლავ საცეკვაო  
განაგრძეთ ცეკვა  
ადრიან დილის შავო რძეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით  
ჩვენ გსვამთ შუადღით და დილითაც ჩვენ გსვამთ საღამოს  
ჩვენ გსვამთ და გსვამთ  
კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე  
შენი ფერფლისფერი თმა სულამით ის გველებთან თამაშობს



ის გაჰყვირის დაუკარით უფრო ტკბილად სიკვდილზე სიკვდილი  
 გერმანელი ოსტატია  
 ის გაჰყვირის ყრუდ მოუსვით ვიოლინოს ქამანები ჰაერში ახვალთ/  
 შემდეგ კვამლივით  
 ღრუბელთა შორის თქვენ გექნებათ საფლავ-სამარე ვინროდ არ ვნეწვართ  
 ადრიან დილის შავო რძეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით  
 ჩვენ გსვამთ შუადღით სიკვდილი გერმანელი ოსტატია  
 ჩვენ გსვამთ საღამოს და დილითაც ჩვენ გსვამთ და გსვამთ  
 სიკვდილი გერმანელი ოსტატია მისი თვალები ცისფერია  
 ის გახვედრებს შენ ტყვიას გახვედრებს ზუსტად  
 კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე  
 ის გვისისინებს ძაღლებს და ჰაერის საფლავს გვიბოძებს ხოლმე  
 ის თამაშობს გველებთან და ოცნებობს სიკვდილი  
 გერმანელი ოსტატია  
 შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე  
 შენი ფერფლისფერი თმა სულამით

**გიუნტარ აიჰი**

**ჩაჩა**

აყროლებულ ორმოში  
 სისხლითა და შარდით  
 გაჟღენთილი ქალაქი  
 ყრია; ჩამუხლული ვარ.  
 ამწვანებულ ნაპირს,  
 ბალებსა და ნავს  
 ვუყურებ და თან ვისმენ  
 განავალის ხმას.

ყრუდ ჩამესმის ყურებში  
 პოლდერლინის ლექსი  
 შარდში ირეკლება  
 ღრუბლის ქულა ნაზი.  
 „მოკითხვა გადაეცი  
 ულამაზეს გარონს —“  
 აძაგძაგებულ ფეხთქვეშ  
 მიცურავენ ღრუბლები.

**ჰაინრიხ ბიოლი**

**კიოლნი I**

ვინც ყურს მიუგდებს არხების ფუთფუთს  
 ის გაიგონებს  
 ლაბირინთებში  
 ქალაქის ქვემოთ  
 ღვთისმშობლის წრიალს  
 უნდა ვენერას რჯულზე მოქცევა



მაგრამ ამაოდ  
და მისი შვილიც ამაოდ იღწვის  
ვერც დიონისოს ვერ მოარჯულებს  
ვერც გერეონი კეისარსა



ქართული  
ლიბრთეკა

ვინც ყურს მიუგდებს არხების ფუტფუტის  
ის გაიგონებს  
დამცინავ სიცილს

ვერც გამოსწორდა ჟამთა სრბოლით  
და ისტორიით  
ეს შავი მდედრი  
ჭუჭყი უხდება

ლაბირინთებში ქალაქის ქვემოთ  
სურს შეაუღლოს მარიაში  
და დიონისე

ბნელ დედას უნდა დააძმობილოს  
იესო ქრისტე შავ ვენერასთან  
და თანაც უნდა რომ გერეონმა  
და კეისარმა

შეკრან კავშირი

თვითონ კი ყველას დაუნვება  
ვინც ბევრს გადუხდის.





## კოეზია გვალვიძებს

(შრამმინტაგი წიგნიდან „საუბრები კაზკასთან“)

გერმანულიდან თარგმნა და შენიშვნები

დაურთო გიორგი მაკუტაძემ

**უ**ემდეგ როცა ვეწვიე, კაფკას ვკითხე:  
— კიდევ დაიარებით ღურგალთან კარლინში?

— თქვენ რა იცით?

— მამამ მითხრა.

— არა, დიდი ხანია, აღარ ვყოფილვარ. ჯანმრთელობა მალატობს, მისა უდიდებულესობა სხეული.

— ადვილი წარმოსადგენია; მტვრიან სახელოსნოში მუშაობა ვერაფერი სიამოვნებაა.

— აი, ამაში კი ცდებით, მიყვარს სახელოსნოში მუშაობა. გარანდული ხის სუნი, ხერხის სიმღერა, ჩაქუჩის ცემა — ყველაფერმა ამან მომაჯადოვა. შუადღე თვალის დახამხამებაში გაილია. საღამო ყოველთვის მოცებდა ხოლმე.

— ალბათ დაიღალეთ?

— კი, დავიღალე, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. ამ სუფთა, კონკრეტულ, ყველგან გამოსადეგ ხელობაზე მშვენიერი რა იქნება ამქვეყნად. ღურგალდაც მიმუშავია, მიწის მუშადაც და მებაღედაც. კანცელარიულ გაწამაწიასთან შედარებით ეს ბევრად ლამაზი და სასარგებლო იყო. კანცელარიაში მუშაობა, ერთი შეხედვით, უკეთესი და ამაღლებულია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად კი მარტოობისა და უბედურების მომტანია. აი, ესაა და ეს. ინტელექტუალური შრომა ადამიანური საზოგადოებისაგან რიყავს კაცს. ხელობას კი, პირიქით, ადამიანებთან მიჰყავს იგი. სამწუხაროდ, უკვე აღარ შემიძლია სახელოსნოში ან ბოსტანში მუშაობა.

— როგორც ჩანს, არ აპირებთ ხელი აიღოთ თქვენს საქმიანობაზე.



— რატომაც არა? მიოცნებია, ოდესმე ჩავსულიყავი პალესტინაში და იქ მიწის მუშად ან ხელოსნად შემუშავა.

— და ყველაფერ ამას მიატოვებდით?

— ყველაფერს მიატოვებდი, ოღონდ სილამაზესა და უსაფრთხოებაში დამეწყო აზრიანი ცხოვრება. ხომ არ იცნობთ პოეტ პაულ ვალდერს?

— მე მხოლოდ მის წიგნს „ჯადოსნურ ფლეიტას“ ვიცნობ.

— ახლა იგი პრაღაშია, ცოლი და ბავშვები ახლავს.

— რა ხელობის კაცია?

— არაფითარი ხელობისა, თავის ქეიფზე ცხოვრობს. ცოლიან-ბავშვებთან ერთად ხან ერთ მეგობარს ესტუმრება, ხან მეორეს. თავისუფალი კაცი და პოეტია. როცა ერთად ვართ, მუდამ სინდისი მქენჯნის, რომ კანცელარიაში ვფლანგავ სიცოცხლეს.

\* \*

1921 წლის მაისში დავწერე სონეტი, რომელიც ლუდვიგ ვინდერმა<sup>3</sup> „ბოჰემიის“<sup>4</sup> ყოველკვირეულ დამატებაში დაბეჭდა.

ამის თაობაზე კაფკამ მითხრა: „თქვენ პოეტს ისე აღწერთ, როგორც გოლიათს, ფეხებით მიწაზე რომ დგას და თავით ღრუბლებს ებჯინება. ეს სახე, რა თქმა უნდა, სავსებით გაცვეთილი სახეა ტრადიციულ წვრილბურჯუაზიულ წარმოდგენაში. ეს ილუზიაა დაფარული ლტოლვა-სურვილებისა, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ნამდვილად კი პოეტი ბევრად უფრო პატარაა და სუსტია საზოგადოების ჩვეულებრივ წევრთან შედარებით. ამიტომაც მიწიერი ყოფიერების სიმძიმეს იგი ბევრად უფრო მძლავრად და ინტენსიურად აღიქვამს, ვიდრე სხვა. მისი სიმღერა პირადად მისთვის მხოლოდ ყვირილია. ხელოვნება ხელოვანისათვის ტანჯვაა, რომლის მეშვეობით იგი თავისუფლდება ახალი ტანჯვისათვის. ჰოდა, ასე, პოეტი გოლიათი კი არ არის, არამედ მხოლოდ მეტნაკლებად კოლორიტული ფრინველია თავისი ყოფიერების გალიაში.“

— თქვენც ასეთი ხართ? — ვკითხე.

— მე აუტანელი ფრინველი ვარ, — თქვა მან, — მე „კაფკა“<sup>5</sup> ვარ — ჭკა ვარ. აი, ერთ მენახშირეს რომ ჰყავს, ისეთი. გინახავთ?

— კი მინახავს, დაფრინავს საწყობის წინ.

— ასე რომ, ჩემს ნათესავს ჩემზე მეტად უმართლებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ჭკას ფრთები შეჭრილი აქვს. რაც შემეხება მე, ფრთების შეჭრა აღარ იყო საჭირო, რადგან ფრთები ისედაც გადმონაშთად შემომრჩენია. აი, ამიტომაც არ არსებობს ჩემთვის მალლა აფრენის პერსპექტივა. გზადაბნეული დაფხტუნავ ადამიანებს შორის. ყველა უნდობლად მომჩერებია. მე საშიში ფრინველი, ქურდი და ჭკა ვარ. მაგრამ ეს მხოლოდ შეცდომაა. სინამდვილეში სრულებითაც არ მიყვარს ელვარე საგნები. ამიტომ ერთი ელვარე, შავი საწერ-კალამიც კი არ გამაჩნია. ფერფლივით ნაცრისფერი ვარ. ჭკა ვარ, ლოდინში ჩაკარგვა რომ მოსურვებია, მაგრამ ეს ყველაფერი ხუმრობაა, არ მინდოდა მიხვედრილიყავით, რა ცუდადა ვარ დღეს.

\* \*

ორი კვირა არ გვენახა ერთმანეთი. ჩამოვუთვალე წიგნები, რომლებიც ამასობაში „ჩავყლაპე“. კაფკას გაეცინა: „ცხოვრებიდან შედარებით ადვი-



ლად შეიძლება მრავალი წიგნის ამოჭრა, მაგრამ წიგნებიდან ცოტა, ძალიან ცოტა ცხოვრებისა“.

— სწორედ ამიტომაც არის ლიტერატურა კონსერვაციის ძალთან / ცუდი საშუალება, — ვთქვი.

ჩაეცინა და კვერი დამიკრა.



\* \*

კაფკამ უძილობა შემამჩნია. არ დამიფარავს და ვუთხარი: „ისე ჩამითრია, რომ დილამდე ვწერდი“.

კაფკამ თავისი დიდი, თითქოსდა ხისგან გამოთლილი ხელები მაგიდაზე დააწყო და ნელა მითხრა: „რა ბედნიერებაა, როცა შინაგანი მღელვარება ასე ადვილად შეგიძლია გადაიტანო ქალაქზე“.

— მთვრალივით ვიყავი. დაწერილი ჯერ კიდევ არ წამიკითხავს.

— ეს ბუნებრივია. ის, რაც დაიწერა ხომ განცდილის წიდაა.

\* \*

ჩემი მეგობარი ერნსტ ლედერერი<sup>6</sup> ლექსებს საგანგებო გალა ლურჯი მელ-ნით წერდა.

ეს ამბავი კაფკას ვუთხარი.

ასე მითხრა: „სწორია. ყველა ჯადოქარი თავის საკუთარ ცერემონიალს ასრულებს. ჰაიდნი, მაგალითად, საზეიმოდ გაპუდრული და პარიკგაკეთებული თხზავდა. წერა თავისებური სულების შელოცვა“.

\* \*

ფრანც კაფკამ მაჩვენა ლიტერატურული ანკეტა, რომელიც, მგონია, ოტო პიკმა<sup>7</sup> მოამზადა „პრაგერ პრესეს“ ყოველკვირეული ლიტერატურული დამატებისათვის.

თითი დაადო კითხვას: „რას გვეტყვით თქვენს სამომავლო ლიტერატურულ გეგმებზე?“ — და გაეცინა: „სისულელეა. ასეთ რამეზე პასუხის გაცემა შეუძლებელია!“

ვერაფერი გავიგე და კაფკას შევხედე.

— განა შეიძლება იწინასწარმეტყველო, რას იზამს შენი გული უახლოეს მომავალში? არა, არ შეიძლება. კალამი გულის მხოლოდ სეისმოგრაფიული რეგისტრატორია. შეიძლება იმით მიწისძვრის დარეგისტრება. მაგრამ მისი წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

\* \*

დოქტორ კაფკასთან კანცელარიაში მივედი. ის იყო, გადიოდა, როცა მასთან შევედი.

— გადიხართ?

— სულ ერთი წუთით დაგტოვებთ, ორი სართულით მაღლა, მამათქვენის



განყოფილებაში უნდა შევიარო. დაჯექით და დამელოდეთ. დიდხანს არ გაცდევინებთ. აი, ეს ახალი ჟურნალი გადაათვალიერეთ. გუშინ მკვილე ფოსტიდან.

ბერლინში გამოცემული დიდი და გავლენიანი „მიმოხილვის“ პირველი ნომერი იყო. „მარსიასი“ ერქვა. გამომცემელი თეოდორ ტაგერი გახლდათ. ჟურნალის შიგნით პროსპექტი იდო, რომელშიც შემოთავაზებული იყო ნაწარმოებებს შორის მოხსენიებული იყო აგრეთვე ფრანც ვერფელის ხაზრომი „თეორიული პროზა“.

ვერფელი კაფკას მეგობარი იყო, ამიტომ როგორც კი იგი კანცელარიაში შემობრუნდა, ვკითხე, ამის თაობაზე რამე ხომ არ იცით-მეთქი.

— ვიცი, — პითხრა კაფკამ, — ვერფელს მაქსისთვის<sup>10</sup> უთქვამს, ეს ამბავი გამომცემელმა მოიგონაო.

— კი მაგრამ, ასე შეიძლება? ეს ხომ ტყუილია.

— ლიტერატურაც ესაა. — გაეცინა დოქტორ კაფკას, — სინამდვილიდან გაქცევა.

— მაშ, შემოქმედება ტყუილი ყოფილა?

— არა, შემოქმედება კონდენსაციაა, ესენციიაა. აი, ლიტერატურა კი ხსნარია, გემრიელი რამაა, რაც შვებას გვანიჭებს ამ უაზრო ცხოვრებაში, ლიტერატურა ნარკოტიკია.

— პოეზია?

— პოეზია სულ სხვა რამაა. პოეზია გვალვებებს ჩვენ.

— მაშ, პოეზია რელიგიას ჰგვანება.

— ამას ვერ ვიტყვოდი, მაგრამ ლოცვას კი ნამდვილად ჩამოგავს.

\* \*

კაფკას კანცელარიაში ვესტუმრე. ხელში კრისტიან მორგენშტერნის<sup>11</sup> „სახრჩობელას სიმღერები“ მეჭირა.

— იცნობთ მის სერიოზულ ლექსებს? — მკითხა კაფკამ, — „დროსა და მარადიულობას“? „საფეხურებს“?

— არა, არც კი ვიცოდი, თუ სერიოზულ ლექსებს წერდა.

— მორგენშტერნი საოცრად მნიშვნელოვანი პოეტია. მისი ლექსები იმდენად ღირებულია, რომ თვით ავტორი უნდა გაეჭყეს „სახრჩობელას სიმღერებში“ გამჟღავნებულ საკუთარ არაადამიანურ სერიოზულობას.

\* \*

გერმანულენოვანმა პრალელმა პოეტმა იოჰანეს ურციდილმა<sup>12</sup> შეკრიბა და გამოაქვეყნა ერთი თავისი გარდაცვლილი მეგობრის, ოციოდე წლის პოეტის ლექსები.

ფრანც კაფკას ვკითხე, გარდაცვლილს ხომ არ იცნობდით-მეთქი. პასუხი აღარ მახსოვს, მაგრამ ბოლო სიტყვები კი არ დამვიწყებია:

— ერთი უბედური ყმაწვილი, კაცი იყო, სულ ებრაელების ასწლიან ყავახანებში იჯდა და მოკვდა. სხვა აბა რა უნდა ექნა? ყავახანები იმ ხანებში ებრაელების კატაკომბები იყო, უსინათლო და უსიყვარულო. ყველას არ გამოადგებოდა.



\* \*

ფრანც კაფკასთან ოამდენჯერმე შევხვდი ჰანს კლაუსს, ვისაც, მართალია, სკოლიდან ვიცნობდი, მაგრამ დაახლოებული არ ვიყავით, რადგან ჩემზე ოამდენიმე წლით უფროსი იყო. გარდა ამისა, იმ ხანებში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი ლექსი და მოთხრობა.

მასთან შედარებით პატარა, უმწიფარი მოწაფე ვიყავი. მაგრამ მაინც ასე მეჩვენებოდა, რომ ფრანც კაფკა მე უფრო მეგობრულად მეპყრობოდა, ვიდრე კლაუსს. ეს ამბავი მახარებდა, მაგრამ ამასთან ჩემივე თავის მრცხვენოდა.

„ნუთუ დოქტორი კაფკასათვის მხოლოდ ბავშვი ხარ?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ მაშინვე ვმშვიდდებოდი: „ამას, ალბათ, მხოლოდ იმისთვის ჩააგონებ საკუთარ თავს, რომ შენ უფრო თავაზიანად გექცევა, ვიდრე კლაუსს“.

ეს გარემოება მოსვენებას არ მაძლევდა. ამიტომაც ვკითხე ერთხელ კაფკას, როცა კანცელარიიდან ძველ ბაზრამდე მივაცილებდი:

— როგორ გგონიათ, ბატონო დოქტორო, პატივმოყვარე ვარ? კაფკამ გაიკვირვა.

— ეს რამ გაფიქრებინათ?

— მე ვფიქრობ, უფრო თავაზიანად მექცევით, ვიდრე კლაუსს. ეს მე მახარებს. ეს მე ძალიან მახარებს. ამასთან ერთად ისიც მგონია, რომ ჩემი რწმენა პატივმოყვარეობითაა ნაკარნახევი.

კაფკამ ხელი გამომდო.

— ბავშვი ხართ.

ნიკაპი ამითრთოლდა.

— იცით რა, ბატონო დოქტორო, თქვენზე ყოველთვის ასე ვფიქრობდი, თავაზიანად იმიტომ მეპყრობა, ჯერ კიდევ სულელი, უმწიფარი ბიჭი რომ ვარ-მეთქი.

— ჩემთვის თქვენ ყმაწვილი კაცი ხართ, — მითხრა კაფკამ, — ყველა ის შესაძლებლობა გაქვთ სამომავლოდ, რაც სხვამ უკვე დაკარგა. თქვენთვის ადამიანები ისე ახლობელი არიან, ძალიან დიდი სიფრთხილე გმართებთ, რომ არ დაიღუპოთ. ისიც მართალია, ალბათ, თქვენ უფრო მეგობრულად გექცევით, ვიდრე კლაუსს. ეს ასეც უნდა იყოს, თქვენ რომ გელაპარაკებით, მაშინ ხომ ჩემს წარსულს ველაპარაკები. ჰოდა, მეგობრულად უნდა მოგექცეთ, აბა რა, ამას გარდა, თქვენ კლაუსსზე უმცროსი ხართ, ამიტომ მეტი გაგება და სიყვარული გჭირდებათ.

\* \*

იმ დღის მერე სულ შევიცვალე კლაუსის მიმართ. ნამდვილი მეგობრები გავხდით. მან გამაცნო თავისი ლიტერატორი მეგობრები, მედიკოსი რუდოლფ ალტშული და არქიტექტორი კონსტანტინ ანი, ვინც თავის ლექსებს ჰანს ტინე კანტონის ფსევდონიმით აქვეყნებდა.

მისვლა-მოსვლა გვქონდა ერთმანეთთან, ერთად დავდიოდით თეატრში, ექსკურსიებზე, იყო ერთი წიგნების თხოვება-განათხოვრება, ვკამათობდით და ალტაცებული ვიყავით ერთიმეორეთი.



აი ასე ჩამოყალიბდა ჯგუფი „პროტესტი“, რომელმაც მოაწყო მხატვრული კითხვის საღამო მოცარტეუმში<sup>13</sup>.

გვინდოდა მსმენელისთვის წაგვეკითხა ფრანც კაფკას რომელიმე ნაწარმოები, მაგრამ მან სასტიკად აგვიკრძალა.

— გაგიყებულხართ, — მითხრა კაფკამ. — პოლიციის მიერ შეწყობილი და მოწონებული პროტესტი რაღაა! ეს ერთდროულად სამწუხაროცაა და ტრაგიკულიც. ნამდვილ ჯანყზე უარესია, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ჭეჭა-ჭუხილის სიმულაციაა. ამიტომაც არა ვარ არავითარი პროტესტანტი. ყველაფერი შემიძლია მივიღო და მოთმინებით ავიტანო, მაგრამ ამგვარ საჯარო გამოსვლას კი ვერ ავიტან.

მაშინვე ავუხსენი, ალტშულთან, კლაუსთან და ანთან საერთო არაფერი მაქვს-მეთქი. ქარმა წაიღო ოთხფურცლიანი სამყურა. კაფკა ახლა ჩემთვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე საკუთარი პატივმოყვარეობა.

\* \*

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ჩემსა და ჰანს კლაუსს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ეს ამბავი კაფკას მოუყუევი. მან მშვიდად მომისმინა, მერე მხრები აიჩეჩა და მითხრა: „ახლა, ალბათ, ჩემგან რაიმე რჩევა-დარიგებას ელოდებით, მაგრამ ვერაფერიშვილი მრჩეველი ვარ. მართალი თუ გინდათ, ჩემთვის ყოველგვარი რჩევა-დარიგება ყოველთვის მუხთლობაა, ლაჩრული უკან დახევაა მუობადის წინაშე, რაც ჩვენი დროის სასინჯი ქვაა. გამოცდისა მარტო მას ეშინია, ვისაც სინდისი წმინდა არა აქვს. ეს ისეთი კაცია, რომელიც ვერ ასრულებს თავისი დროის დავალებას. მაგრამ ვის შეუძლია ზუსტად და მთლიანად იცოდეს, რა ევალება მას? არავის. ამიტომ ყველა ჩვენგანს სინდისი ქენჯნის, გვინდა რაც შეიძლება სწრაფად გავექცეთ მას და თავი ძილს შევაფაროთ“.

გავიხსენე, რომ იოჰანეს რ. ბეხერი<sup>14</sup> თავის ერთ ლექსში ძილს სიკვდილის მეგობრულ მოსვლას უწოდებს.

კაფკამ კვერი დამიკრა: „მართალია. იქნებ ჩემი უძილობა ერთდაგვარი შიშია იმ სტუმრის წინაშე, ვისაც სიცოცხლეს უნდა ვუშაღლოდე.“

\* \*

პოეტმა ჰანს კლაუსმა მისაჩუქრა ალბერტ ერენშტაინის<sup>15</sup> პატარა წიგნი, რომელშიც ოსკარ კოკოშკას<sup>16</sup> თორმეტი ნახატი იყო მოთავსებული. წიგნი კაფკას ვაჩვენე და ვათხოვე. მეორეჯერ როცა კანცელარიაში ვეწვიე, უკან დამიბრუნა.

— რა პატარა წიგნია და რამდენი ხმაურია შიგ, — შენიშნა მან, — „ადამიანის ყვირის“. იცით რა არის ეს?

— არა.

— მე მგონია, ასე ეწოდება ალბერტ ერენშტაინის ლექსების ერთ ტომს.


— მაშ, თქვენ იგი კარგად გცნობიათ.

— ცოცხლებს კარგად არ შეიძლება იცნობდე, — თქვა კაფკამ და თითქოს უარის ნიშნად მხრები შეარხია. — აწმყო ცვალებადი და წარმავალია.



ალბერტ ერენშტაინი ამ ეპოქის ერთი წარმომადგენელთაგანია. უდაბნოში ბავშვის მლალადებელი ხმაა.

— კოკოშკას ნახატებზე რას იტყვით?

— არ მესმის ეს ნახატები, ნახატი ნიშნავს ხატვას, მონიშვნას, ჩვენებას. ეს ნახატები კი მხოლოდ მხატვრის დიდ შინაგან ქაოსსა და ურთულადობას გამოხატა. 

— ექსპრესიონისტების გამოფენაზე ვნახე ერთი მისი დიდი სურათი, რომელზედაც პრაღაა გამოსახული.

კაფკამ მარცხენა ხელი მალლა აიშვირა.

— შუაში დიდი, მწვანეგუმბათიანი ეკლესია რომ დგას?

— დიახ. აი, სწორედ იმას ვგულისხმობ.

თავი გააქნია.

— სურათზე სახურავები მიფრინავენ. გუმბათები გაშლილი ქოლგებია. მთელი ქალაქი აფრენასა და გაფრენას ლამობს. პრაღა კი დგას ყოველგვარი შინაგანი გაორების მიუხედავად. აი, სწორედ ეს აქვს მას საოცარი.

\* \*

კაფკას ინდური რელიგიური თხზულების „ბჰაგავადგიტას“ გერმანული თარგმანი ვათხოვე.

კაფკამ მითხრა: „ინდური რელიგიური დოკუმენტები კიდევაც გიზიდავენ კაცს და კიდევაც აქეთ გიბიძგებენ. საწამლავს ჰგვანან: ერთდროულად მომხიბვლელიც არიან და საშინელიც. ყველა ის იოგა და ჯადოქარი ბუნებასთან დაკავშირებული სიცოცხლის უფლებას თავისუფლებისადმი მხურვალე სიყვარულით კი არ იძენს, არამედ სიცოცხლის უსაზღვრო და გამყინავი სიძულვილით. ინდურ რელიგიურ საიდუმლოებათა წყარო უნაპირო პესიმიზმია“.

გავიხსენე, რომ შოპენჰაუერი დაინტერესებული იყო ინდური რელიგიის ფილოსოფიით.

კაფკამ შენიშნა: „შოპენჰაუერი სიტყვის ოსტატია. აქედან მომდინარეობს მისი აზროვნება. აუცილებლად უნდა წაიკითხო შოპენჰაუერი თვითონ ენის გამო“.

\* \*

ფრანც კაფკას გაეცინა, როცა ხელში მიხაელ მარეშის ლექსების პატარა წიგნი დამინახა.

— ვიცნობ მაგას, — მითხრა, — საშინელი ანარქისტია, კურიოზად მიაჩნიათ „პრაგერ ტაგბლატში“.

— აღმაცერად უყურებთ ჩემ ანარქისტებს?

შემცბარმა ჩაიციხა.

— ამის თქმა მიძნელდება. ისინი, ვინც თავისთავს ანარქისტებს უწოდებენ, ისეთი სასიამოვნო და თავაზიანი ხალხია, რომ გინდა გჯეროდეს თითოეული მათი სიტყვა. ამასთან, იმ ხასიათის თვისებების გამო არ გჯერა, რომ ქვეყნის იმნაირი ამრევ-დამრევეები არიან, როგორც თვითონ წარმოუდგენიათ.

— მაშ, თქვენ იმათ პირადად იცნობთ?

— ცოტათი. ძალიან სასიამოვნო და მხიარული ხალხია.



\* \*

კაფკამ როცა ხელში იოპანეს რ. ბეხერის ლექსების წიგნი დაშინა, თქვა: „არ მესმის ეს ლექსები. იმდენი ხმაური და სიტყვების რახარუხი, რომ საკუთარი თავისგან ვერ განთავისუფლებულხარ. სიტყვები ვერ უკმნიან უფროს, ისე კი მაღალ კედელზე ვერ გადახვალ. მკითხველს მთელი წუთადღესსავე უტარმაზე აქვს გადატანილი, ასე რომ, საერთოდ ვერ წვდება შინაარსს. სიტყვები აქ ენას არ ქმნიან. ეს ყვირილია, მეტი არაფერი“.

\* \*

ბოდლერზე ვლაპარაკობდით.

— პოეზია ავადმყოფობაა, — მითხრა ფრანც კაფკამ, — სიცხის გამონღლება ჭერ კიდევ არ ნიშნავს გამოჯანსაღებას. პირიქით! სიცხე წმენდს და ანათებს.

\* \*

ჰაინრიჰ ჰაინე.

კაფკა: „უბედური კაცი. გერმანელები უკიყინებდნენ და კვლავაც უკიყინებენ, ებრაელი იყო, ამასთან ის ხომ გერმანელია, სულ პატარა გერმანელი, ვინც ვერ ეწყობა ებრაელობას. აი, რა აქვს მას ნიშნეულად ებრაული“.

\* \*

...მეორე დღეს კაფკას კანცელარიაში ვეწვიე. სიტყვაძუნწობდა და თუმცა სიტყვა სამომხმარებლო ბირჟაზე წინადღით გამართულ საღამოზე ჩამოვაგდე, ლაპარაკში ვერა და ვერ ჩავითრიე. მხოლოდ და მხოლოდ მას მერე, როცა ვახსენე, ვიცნობ რუდოლფ ფუქსის<sup>17</sup> ლექსების წიგნს „ქარავანებს“ და ოტოკარ ბრეჟინას<sup>18</sup> ჰიმნების თარგმანებს-მეთქი, ოდნავ გამოცოცხლდა და მითხრა: „რუდოლფ ფუქსს ისე ღრმად სწამს მკითხველისა, რომ არა მარტო თითოეულ კარგ წიგნს, არამედ პოეტის თითოეულ მართალ სიტყვას თავის თვინიერ სულზე მაღლა აყენებს. ამიტომაცაა იგი კარგი მთარგმნელი და სიტყვაძუნწი მწერალი. მისი „ქარავანები“ შუამავალ-გადმომცემელია სხვისი ნახელავის ყველა ღირსებისა. ფუქსი სიტყვის მსახურია“.

\* \*

მამამ ჩემი დაბადების დღეს გეორგ თრაკლის ლექსები მაჩუქა. ფრანც კაფკამ მითხრა, ომის საშინელება რომ არ განეცადა, თრაკლმა საწამლაივი დალია და თავი მოიკლაო.

— საკვდილში გაქცევა არჩია, — შევნიშნე.

— უზარმაზარი ფანტაზია ჰქონდა, — თქვა კაფკამ. — ამიტომაც ვერ აიტანა ომი, რომელიც ფანტაზიის უზარმაზარ სინაკლულეს წარმოშობს.

\* \*

მუსიკა ქმნის ახალ, სრულყოფილ, რთულსა და, ამრიგად, საშიშ ვნებებს,



— მითხრა ერთხელ ფრანც კაფკამ. — მაგრამ პოეზია ლამობს ვნებათა ამ აღრევას სინათლე შემატოს, ცნობიერი გახადოს, წმიდა ქმნას და ამით გააძლიეროს. მუსიკა გრძნობადი ცხოვრების მულტიფლიკაციაა, სამაგიეროდ პოეზია მისი დაუფლება და ამაღლებაა.

ეროვნული  
გზა-ნიშნები

\* \*

ექსპრესიონისტი პოეტების ნაწარმოებთა ანთოლოგიაზე კაფკამ თქვა: „ეს წიგნი მწუხარებას მგვრის. პოეტები ხელს უწყვიან ადამიანებს, მაგრამ ისინი მეგობრულად გამოწვდილ ხელებს კი არ ხედავენ, არამედ მოქნეულ მუშტებს“.

\* \*

ვსაუბრობდით პლატონის იდეალური სახელმწიფოს საფუძვლებზე, რაზედაც ოიგენ დიდერიხის გამომცემლობაში გამოსულ ერთ წიგნში წავიკითხე.

ექვი გამოვთქვი, ნუთუ პლატონმა თავისი სახელმწიფოდან პოეტები მართლა გააძევა-მეთქი.

კაფკამ მითხრა: „ეს სავსებით გასაგებია. პოეტები ცდილობენ ადამიანს სხვა თვალეები ჩაუდგან და ამით შეცვალონ სინამდვილე. სწორედ ამიტომ არიან ისინი საშიში სახელმწიფოსათვის, რომ უნდათ ყოველივე შეცვალონ. სახელმწიფოსა და მის ერთგულ ხალხს კი მხოლოდ ის აწუხებთ, როგორმე გაიხანგრძლივონ არსებობა.“

\* \*

ფრანც კაფკამ ჟურნალ „დერ ბრენერის“ რამდენიმე ნომერი მაჩუქა, რომლებშიც დაბეჭდილი იყო კირკეგორის თეოდორ პეკერისეული<sup>19</sup> თარგმანი, აგრეთვე კარლ დალაგოს<sup>20</sup> ნაშრომი ჯოვანი სეგანტინიზე<sup>21</sup>.

ამ ნაშრომმა ინტერესი აღმიძრა სამხრეთ ალპებში დაბადებული მხატვრის შემოქმედების მიმართ. ამიტომ ძალიან გავიხარე, როცა ჩემმა მეგობარმა, ახალგაზრდა მსახიობმა ფრანც ლედერერმა სეგანტინის „სტატიები და წერილები“ მასაჩუქრა.

წიგნი კაფკას ვაჩვენე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე ერთ აბზაცს, რომელიც მეტისმეტად მომწონდა: „ხელოვნება არ არის ის სიმართლე, რომელიც ჩვენს გარეშე არის და არსებობს. მას აქვს და არცა აქვს ღირებულება როგორც ხელოვნებას, ხელოვნება მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ბრმა მიმბაძველია, მაშასადამე, მატერიის არსობის უბრალო ამსახველია. მარადიული ხელოვნების სიმაღლეზე რომ ავიდეს, მატერია სულში უნდა გადაამუშავდეს“.

ფრანც კაფკამ მაგიდაზე გადმომაწოდა წიგნი, წამით მზერა რაღაცას მიაპყრო და მერე მე მომიბრუნდა: „მატერია სულში უნდა გადაამუშავდეს? რა არის ეს? ეს მხოლოდ და მხოლოდ განცდაა, განცდა და განცდის დაძლევა. აი, ესაა სულ“.

\* \*

ვსაუბრობდით პრაღაში გამომავალი ერთი ჟურნალის ანკეტის თაობაზე, რომლის პირველი კითხვა ასეთი იყო: „არსებობს ახალგაზრდა ხელოვნება?“



ამასთან დაკავშირებით შევნიშნე: „განა უცნაური არ არის, რომ კითხვა ახალგაზრდა ხელოვნებას ეხება? საზოგადოდ, არსებობს ხელოვნება და არსებობს კიჩი. იგი ხშირად სხვადასხვა „იზმისა“ და მოდის ნიღბით გვევლინება“.

ფრანც კაფკამ თქვა: „კითხვის მახვილი არსებით სახელ „ხელოვნებაზე“ კი არ ეცემა, არამედ განსაზღვრება „ახალგაზრდაზე“. აქედან გამომდინარეობს, რომ სერიოზული ეჭვია გამოთქმული ახალგაზრდა ხელოვნების თაობაზე. აი, თუნდაც დღესაც ძალიან ძნელია წარმოიდგინო თავისუფალი, უზრუნველი ახალგაზრდობა. იმ წლების ყოველდღიურობის ნაკადმა წალეკა ყველაფერი. არც ბავშვები დაინდო. უწმინდურობა და ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, ერთმანეთს გამორიცხავენ, მაგრამ სად არის დღევანდელი ახალგაზრდობა? ახალგაზრდობამ თავი აიშვა და უწმინდურობას დაუმეგობრდა. ხალხმა იცის, რა ძალა აქვს უწმინდურობას. ახალგაზრდობის ძალა კი მიავიწყდა. ამიტომაც ეეჭვება ახალგაზრდობისა, მაგრამ რომელი ხელოვნება გვაჩერებს ახალგაზრდული შემართების გარეშე?

კაფკამ ხელები გაშალა, მაგრამ ისევ უღონოდ დაუშვა მუხლებზე.

— ახალგაზრდობა სუსტია. გარედან შემოტევა კი ძალიან ძლიერია. თავდაცვა და ამასთან სხვის ნებაზე დაყოლა, კრუნჩხვას იწვევს, რაც ამახინჯებს სახეს. ახალგაზრდა ხელოვანთა ენა უფრო მეტს მალავს, ვიდრე ამბობს.

კაფკას ვუთხარი, ის ახალგაზრდა ხელოვანები, ვისაც ლიდიო პოლცნერთან<sup>22</sup> შევხვედრივარ, უმეტესად ორმოციოდე წლისანი იყვნენ-მეთქი.

ფრანც კაფკამ დამიდასტურა.

— მართალია. ბევრი ვინმე მხოლოდ ახლა ინაზღაურებს ახალგაზრდობის სიამეთ. მხოლოდ ახლა ამთავრებენ ინდივლუბთან ომობანას თამაშს. ცხადია, ამით იმის თქმა როდი მინდა, თითქოს მშვილდ-ისრით შეიარაღებულები დარბიან ქალაქის პარკის ხეივანებში. არა. სხედან კინოში და უყურებენ სათავგადასავლო ფილმებს. ესაა და ეს. ჩაბნელებული კინოთეატრი მათი დაგვიანებული ახალგაზრდობის ჩადოსნური ფარანია.

\* \*

ლაპარაკი ახალგაზრდა მწერლებზე ჩამოვარდა. კაფკამ თქვა: „მშურს ახალგაზრდების“.

„კი, მაგრამ, თქვენ თვითონ ხომ არც ისე ხნოვანი ხართ“, — ვუთხარი.

კაფკას გაეცინა: „ისევე ხნოვანი ვარ, როგორც ებრაელობა, როგორც მარად ყარიბი ებრაელი“.

გვერდულად გავხედე.

კაფკამ მხარზე დამადო ხელები.

— ალბათ, გაგაკვირვათ ჩემმა ნათქვამმა. მინდოდა რაღაც გონებამახვილური მეთქვა და ეს იმიტომ ვთქვი. ახალგაზრდობისა კი მართლაც მშურს, რაც უფრო ხანში შედის კაცი, მით უფრო ფართოვდება მისი თვალსაწიერი, მაგრამ სასიცოცხლო ძალები სულ უფრო კლებულობს და კლებულობს. დაბოლოს რჩება მხოლოდ და მხოლოდ მზერა, მხოლოდ და მხოლოდ სულისთქმა. როგორც ჩანს, ადამიანი იმ მომენტში მთელ თავის წარსულ ცხოვრებას იხსენებს. პირველად და უკანასკნელად!



\* \*

გერმანელი დადაისტების ბელადმა რიხარდ ჰიულზენბეკმა<sup>23</sup> ბრაილაში  
ლექცია წაიკითხა.

ამაზე მოკლე ინფორმაცია დავწერე.  
ხელნაწერი კაფკას მივუტანე.



— თქვენს ინფორმაციას ვერც დადას დავარქმევ და ვერც დუღუს<sup>24</sup>, —  
მითხრა მან, როცა ხელნაწერი წაიკითხა. — ყველა წინადადება ადამიანზე დარ-  
დითაა გაყენებული. კაცმა რომ თქვას, ესაა დარდი საკუთარი პატარა „მეს“  
ბედზე. ამასთან გაქცევა ხდება პატარა, სევდიანი „მეს“ სიმარტოვიდან ბავ-  
შვურ სისულელეთა რიარიაში. ეს ნებითი, ამიტომაც მხიარული სიგიჟეა. რო-  
გორ იპოვო სხვას, როცა საკუთარ თავს ჰკარგავ? სხვა ვინმე — ეს მთელი სამ-  
ყარო, მთლიანობითა და მშვენიერი შიგნი-შიგნობით მხოლოდ სიჩუმეში გაგან-  
დობს თავის იდუმალებას. თქვენ თვითონვე იმშვიდდებთ თავს იმიტომ, რომ თითი  
მალლა ააშვიროთ: „ტუ, ტუ!“

დავწვი ხელნაწერი.

\* \*

დავწერე წერილი ოსკარ ბაუმის რომანზე, „კარები აუტანლობისკენ“.

ფრანც კაფკამ ჩემი ნაშრომი ფელიქს ველჩს<sup>25</sup> გადასცა. მან იგი როგორც  
ველეტონი ჟურნალ „ხელბსტვერში“ დააბეჭდინა, რამდენიმე დღის შემდეგ  
კაფკას კანცელარიაში ერთი მოხელე შემხვდა, მგონია, გვარად გიუტლინგი  
იყო, და მაშინვე ჩემი წერილის განხილვას შეუდგა.

მისი კრიტიკა, რასაკვირველია, უარყოფითი იყო. ჩემი სტატია ისევე, რო-  
გორც ბაუმის რომანი მოკამათის აზრით, „ავადმყოფური გონების დადაისტური  
გადახრა“ იყო.

ვდუმდი.

მაგრამ როდესაც ეს მოსაზრება ერთი ხუთჯერ მაინც გაიმეორა, კაფკამ  
თავი ველარ შეიკავა.

— თუკი დადაიზმი ავადმყოფურია, მაშინ ის მხოლოდ გარეგანი მოვლენა  
ყოფილა, მეტი არაფერი. ავადმყოფობას ვერ განკურნავთ იმით, რომ მასზე  
თქვენი შეხედულება გამოთქვათ. პირიქით, ეს უარესი იქნება. ერთი ღრმად  
დაჩირქებული ძირმაგარა ბევრად საშიშია თავმომპალზე. თუ მართლა გვინდა  
რაიმე ავადმყოფობის განკურნება, ჯერ ამ ავადმყოფობის გამომწვევი კერები  
უნდა ჩავაქროთ. კრუნჩხვით გამოწვეული დეფორმაცია მოგვიანებით თავისთა-  
ვად გაქრება.

გიუტლინგმა ხმა არ გასცა.

ამასობაში კიდევ შემოგვემატა ერთი მოხელე და კამათიც შეწყდა.

როცა კაფკა და მე მარტონი დავრჩით, ვკითხე:

— თქვენც იმ აზრისა ხართ, რომ ჩემი წერილი ბაუმის წიგნზე დადაის-  
ტურია?

კაფკას გაეცინა:

— ამას რატომ ამბობთ? ჩვენ ხომ საერთოდ არ გვილაპარაკია თქვენს  
ნაშრომზე.

— მაპატიეთ, მაგრამ...



კაფკამ ხელი ჩაიჭნია.

— ეს განაჩენი როდია. კრიტიკოსი სიტყვა „დადაისტურს“ ასე იჭნევდა, როგორც პატარა ბიჭი სათამაშო ხმაღს. ამ საშინელი იარაღით მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს დაბრმავებას ლამობს, რადგან კარგად ვცნობდით, არც მეტი, არც ნაკლები, სათამაშო ხმაღია. მაგრამ საკმარისია მდგომარეობა და ანახო, მაშინვე დაწყნარდება, რადგან თავისი სათამაშოს ბედი აწყობს.

— მაშ, თქვენ ბაუმსა და ჩემს მოსაზრებებზე კი არა, დადაიზმზე ვილაპარაკიათ.

— დიახ, ხმაღს ვათვალთვლებდი.

— დადაიზმი თქვენც ავადმყოფურ მოვლენად მიგაჩნიათ? — ვკითხე.

— დადაიზმი სახიჩრობაა, — დინჯად მიპასუხა მან. — სულიერი ხერხემალი წელში გადაწყდა, რწმენა შეირყა...

\* \* \*

ფრანც კაფკას ოსკარ უაილდის „საენის“ გერმანული თარგმანი ვაჩვენე, რომელიც ლედერერმა მაჩუქა.

კაფკამ წიგნი გადაშალ-გადმოშალა და მითხრა:

— ბრწყინავს და ვტყუვდებით სწორედ ისე, როგორც ბზინავს და გვატყუებს შხამი.

— არ მოგეწონათ ეს წიგნი?

— ეს არ მითქვამს, პირიქით. ძალიან ადვილად შეიძლება მოგვეწონოს. სხვათა შორის, ამიტომაც წარმოადგენს ეს წიგნი დიდ საშიშროებას. საშიშია წიგნი, რომელიც სიმართლეს ეთამაშება, სიმართლესთან თამაში მუდამ ცხოვრებასთან თამაშია.

— მაშ, თქვენი აზრით, სიმართლის გარეშე არ არსებობს ნამდვილი ცხოვრება?

ფრანც კაფკამ ჩუმად დამიჭნია თავი.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა:

— სიცრუე ხშირად შიშის გამოვლინებაა იმის წინაშე, რომ შეიძლება სიმართლემ გაგსრისოს. იგი პროექციაა საკუთარი სიპატარავის, საკუთარი შეცოდებისა, რისიც მას ეშინია.

„...ოუიფორტ კაბეტი“

მაგონდება, ფრანც კაფკას ძალიან უყვარდა ირონიული სიტყვათა თამაში და საკუთარი ენობრივი კომბინაციები. მაგრამ ჩემს ჩანაწერებში მხოლოდ ერთადერთი ასეთი გამოთქმა მაქვს ჩაწერილი.

მოვუყევი, რა ზარ-ზეიმით გადმომცეს რეალური სკოლის მეოთხე კლასში ოტო იულიუს ბირბაუმის<sup>27</sup> რომანი „უფლისწული გუგული“.

— ჩვენ გვიზიდავდა ის ამორალური პერსონაჟები, — ვუთხარი.

— სიტყვა „როსკიპი“, — თქვა კაფკამ, — ჩემს არსებაში სულმუდამ უდაბნოს, გზააბნეულის წარმოდგენას იწვევდა, როსკიპი უდაბნოშია ჩაკარგული.



— ქალი უდაბნოა, — შევნიშნე.

ფრანც კაფკამ მხრები აიჩეჩა.

— შეიძლება, ტკობის წყარო მისი სიმარტოვის წყაროა. რაც უფრო დიდხანს ეწაფება, მით უფრო ფხიზლდება. ბოლოს და ბოლოს ვერ იკლავს წყურვილს, სვამს, სვამს, მაგრამ, სულ ერთია, მისგან ვერაფერს სუფლებულა. აი, ესაა როსკიპი.

\* \* \*

იმ ხანებში, როცა ფრანც კაფკას კანცელარიაში დავიწყე სიარული, ჩემი მშობლების ცოლქმრული ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო. იმათ შეხლა-შემოხლას ძალიან განვიცდიდი. ბოლოს, ველარ მოვითმინე, კაფკას შევჩივლე და გამოვუტყდი, გადამწყვეტი მიზეზი, რამაც ლიტერატურას ხელი მომაკიდებინა, ჩემი მშობლების უთანხმოება იყო-მეთქი.

— შესაძლოა, წერა სულაც არ დამეწყო, თუაბნში სხვა ვითარება რომ ყოფილიყო, — ვუთხარი. — მინდა გავეჩქე ამ არეულ-დარეულობას, მოვუყურო ამ რია-რიას ჩემს ირგვლივ და ჩემს არსებაში, ამიტომაც ვწერ. იმისი არ იყოს, ვინც შინ გატარებული მოსაწყენი საღამოები რითიმე გავიმხიარულო და ათას სისულელეს სჩადის, მეც ერთმანეთს ვაწებებ სიტყვებს, წინადადებებს, ფრაგმენტებს, რათა ჩემს თავთან ვიყო, გავეჩქე მტანჯველ გარემოს.

— მართალია, — მითხრა კაფკამ. — უმრავლესობა სწორედ ასე იქცევა. ფლობერი წერილში წერს, რომ მისი რომანი ის კლდეა, რომელსაც თვითონ ჩასჭიდებია, გარემოების მორევში არ ჩავეიძარო.

— მეც გუსტავი ვარ, მაგრამ არა ფლობერი, — ჩავიცინე.

— სულიერი ჰიგიენის ტექნიკას ყველა როდი ფლობს. ფლობერის გვარში რომ არ შეგაშინოთ, გამოგიტყდებით: ერთ ხანობას მეც თქვენსავით ვიქცეოდი, მხოლოდ იმ ამბავს უფრო სხვანაირად აღვიქვამდი. წერის მეშვეობით თავს გავურბივარ, რომ ბოლოს კვლავ ჩემსავე თავს დავეუფლო. არ შემიძლია გავეჩქე ჩემს თავს.

\* \* \*

ჩემი მშობლების განქორწინების პირველი სასამართლო პროცესის შემდეგ კაფკასთან მივედი.

ნერვები დაწყვეტაზე მქონდა, გატანჯული და ამიტომ უსამართლო ვიყავი.

როცა ყველაფერი ვუამბე, კაფკამ მითხრა:

— დაწყნარდით და მოთმინება იქონიეთ. ეცადეთ, მშვიდად აიტანოთ ცუდი და უსიამოვნო ამბები, ქედი არ მოუხაროთ. პირიქით, კარგად დაფიქრდით და ყველაფერი აწონ-დაწონეთ. ადრეული გრძნობები საგანთა ქმედითი გაგებით შეცვალეთ და მაშინ მათზე მალლა დადგებით. სილიადეს კაცი მხოლოდ საკუთარი სიპატარავეთი მიაღწევს.



შენიშვნები



1. **გუსტავ იანოუზი (1903-?)** — კაფკას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1920-1923) მწერლის უახლოეს ნაცნობ-მეგობართა წრეს ეკუთვნოდა. მისი ტოლემისა არ იყო, თვრამეტი წლის იანოუზიც წერდა ლექსებს, გარაკებული იყო ლიტერატურულ-კრიტიკულ პირველი მკითხველი, კრიტიკოსი და დამრიგებელი გახლდათ. „საუბრები“ უმეტესწილად მწერ-ხშირი შეხვედრისა და სხვადასხვა თემაზე კამათის შედეგად, იანოუზი დღიურში იწერდა ამ საუბრებს, მაგრამ გამოქვეყნებაზე არ უფიქრობდა. აქედან მომდინარეობს „საუბრების“ ხასიათი, ფრაგმენტული და ბავშვური უმწეობით აღბეჭდილი სტილი. მიუხედავად ამისა, ეს ჩანაწერები ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც ვამკლავებულთა კაფკას შეხედულებები სიცოცხლის ბოლო პერიოდში და აბათილებს გაერცვლებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს „პროცესის“ ავტორს ინტროვერტული პოზიცია ეკავა სწამდელის მიმართ.
2. **პაულ ადლერი (1878-1946)** — პრაღელი პოეტი. წერდა ექსპრესიონისტულ ლექსებსა და ნოველებს. მოგვიანებით სურრეალიზმისაკენ გადაიხარა, ბრწყინვალე მთარგმნელი და პუბლიცისტი.
3. **ლუდვიგ ვინდერი (1889-1946)** — პროზაიკოსი და დრამატურგი. გაზეთ „ბოჰემიას“ რედაქტორი. მეორე მსოფლიო ომის დროს პალესტინაში გაიხიზნა.
4. **„ბოჰემია“** — ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პრაღაში (1827-1938). გაზეთის საკლერაო დამატება ლიტერატურას ეძღვნებოდა.
5. **კაჟკა** — ფრანც კაფკას თავისი ვვარი ჩეხური სიტყვა „კაჟკაღან“ გამოჰყავს, რაც ქართულად „ქკას“ ნიშნავს.
6. **ერნსტ ლედერერი (1904-?)** — ცხოვრობდა პრაღაში, მოგვიანებით ბერლინსა და პარიზში. ახალგაზრდობაში წერდა ლირიკულ ლექსებს, მერე მხატვრობამ გაიტაცა. 1934-1935 წლებში იბრძოდა ესპანეთში.
7. **ოტო პიკი (1887-1940)** — ჩეხური ლიტერატურის მთარგმნელი, გაზეთ „პრაგერ პრესეს“ რედაქტორი. 1936 წელს ინგლისში გაიხიზნა და იქვე გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს.
8. **თეოდორ ტაგერი** — ბერლინის გერმანული თეატრის დირექტორი. ცნობილია როგორც დრამატურგი ფერდინანდ ბრუენერის სახელით.
9. **ფრანც ვერფელი (1890-1945)** — „პრაღის სკოლის“ გერმანულენოვანი მწერალი. 1938 წლიდან ემიგრაციაშია. რომანებისა და პიესების ავტორი.
10. **მაქს ბროდი (1884-1968)** — მწერალი და კრიტიკოსი, თავდაპირველად ეკუთვნოდა ევროპულ წოდებულ „პრაღის სკოლას“. 1939 წელს გაიხიზნა პალესტინაში, სადაც მუშაობდა ტელ-ავივის თეატრ „ჰაბიმალიში“ სხვათა შორის, იგი ავტორია ფრანც კაფკას ვრცელი ბიოგრაფიისა, ვისთანაც მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებდა.
11. **კრისტიან მორგენშტერნი (1871-1914)** — გერმანელი მწერალი და მთარგმნელი (იბსენი, ჰამსუნი, სტრინდბერგი), წერდა ლირიკულ ლექსებს, პაროდებსა და ათორიზმებს.
12. **იოჰანეს ურციდილი (1896-?)** — ავსტრიელი პოეტი და პროზაიკოსი. 1939 წლამდე პრაღაში ცხოვრობდა, შემდეგ კი ჯერ ინგლისში, მერე ამერიკაში გაიხიზნა.
13. **მოცარტეუმი** — ხალცბურგის კონსერვატორია.
14. **იოჰანეს რ. ბეხერი (1891-1958)** — გერმანელი მწერალი, ჯერ შემარცხენე ექსპრესიონისტთა ჯგუფს ეკუთვნოდა, 1917 წლის შემდეგ ოქტომბრის რევოლუციის იდეები გაიზიარა. 1933 წლიდან საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. 1945 წლის მერე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ-ცხოვრების ცხოველი მონაწილეა. 1954 წლიდან იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრია. 1952 წელს ბეხერს მიენიჭა მშვიდობისათვის ლენინური პრემია.
15. **ალბერტ ერენშტაინი (1888-1950)** — ავსტრიელი მწერალი. გარდაიცვალა ემიგრაციაში, ნიუ-იორკის თავშესაფარში. ექსპრესიონიზმის სულისკვეთებით წერდა გროტესკებს, მოთხრობებს, ლექსებსა და ესეებს.
16. **ოსკარ კოკოშკა (1886-?)** — ავსტრიელი მხატვარი, გრაფიკოსი, პოეტი და დრამატურგი. 1919 წლიდან იგი დრუზდენის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის პროფესორია. გერმანიაში ფაშისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ჯერ ჩეხოსლოვაკიაში, მერე



დონდონში გაიხიზნა. კოკოშკას საკუთარი ექსპრესიონისტული სტილი აქვს, რომელიც უჩვეულო ინტროსპექციული ძალით გამოირჩევა. იგი ექსპრესიონისტული პიესების ავტორიცაა.

17. რუდოლფ ფუქსი (1890-1942) — დაიბადა პრაღაში, გარდაიცვალა ემიგრაციაში, დონდონში. იგი პროგრესული ავსტრიელი მწერალია. წერდა ლირიკულ ლექსებს, პიესებს, პუბლიცისტურ წერილებს, თარგმნიდა ჩეხურ ლიტერატურას. თანამშრომლობდა „ნიუს-ლინოთეკის“ ინოსტრანია ლიტერატურაში“.

18. ოტოკარ ბრუენინა (1868-1914) — ავსტრიელი პოეტი. ითვლება ერთ-ერთ პირველ ექსპრესიონისტად.

19. თეოდორ ბეკერი (1879-1945) — კარკეგორის შრომების მთარგმნელი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი და ეურნალისტი.

20. კარლ დალაგო (1869-1949) — ავსტრიელი მწერალი, განათლებითა და ხელობით კომერსანტი. წერდა ლექსებს, პიესებს, აგრეთვე ესეებს.

21. ჯოვანი სეგანტინი (1858-1929) — იტალიელი მხატვარი. ემეტესწილად შვეიცარიაში მოღვაწეობდა. 1890 წლის შემდეგ მხატვრის რეალისტურ შემოქმედებაში სიმბოლისტურმა ტენდენციებმა იჩინა თავი.

22. ლიდია პოლცნერი — კერძო სკოლის პატრონი პრაღაში. პქონდა ლიტერატურულ-არტისტული სალონი.

23. რიხარდ შიულზენბეგი (1892-?) — სწავლობდა მედიცინას. 1916 წელს ციურიაში ჩამოაყალიბა გერმანულენოვანი დადაისტების ჯგუფი. 1936 წლიდან ნიუ-იორკში ცხოვრობს და ფსიქიატრიის პრაქტიკას ეწევა.

24. დადა, დუდუ, — სიტყვათა თამაშია, რომელიც არ ითარგმნება.

25. ოსკარ ბაუმი (1888-1941) — უჩინო პრაღელი პოეტი და მუსიკალური კრიტიკოსი. ლექსებს გარდა წერდა აგრეთვე მოთხრობებსა და პიესებს.

26. ფელიქს ველჩი (1884-?) — პრაღაში დაბადებული ფილოსოფოსი. მუშაობდა იერუსალიმის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

27. ოტო იულიუს ბირბაუმი (1868-1910) — გერმანელი მწერალი, ნატურალისტი, ლირიკული ლექსების, კომედიებისა და საგაბარეტო სიმღერების ავტორი.







სტენდალი

გერმანულიდან თარგმნა კარლო ჯორჯანელმა

«Ou' ai-je été? Que suis-je? Je savais bien embarvassé de le dire».

„რა ვიყავ? რა ვარ? ამის თქმა დიახაც გამიქირდებოდა“.

სტენდალი, „ანრი ბარიულარი“

მთარგმნელისაგან

საფრანგეთსა და ფრანგულ კულტურას მუდამ გამორჩეული სადგილი ეჭირა ცვაივის შემოქმედებაში. ერთხანს იგი ცხოველები იყო სტენდალითაც და საუფლებლიანად შეისწავლა მისი ცხოვრება და შემოქმედება. სტენდალიაღმის მიძღვნილ ესეში ცვაივმა მაქსიმალურად გამოამჟღავნა ცალკეულისა და ეპიზოდურის გამოსახვის მისთვის დამახასიათებელი ტენდენცია: სულ პატარა, მაგრამ კარგად შერჩეულ დეტალებს აღწერს, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება უმნიშვნელო წვრილმანად მოგვეჩვენოს, ნამდვილად კი თითოეული მათგანი ძალზე არსებითია მთლიანი სურათის წარმოსადგენად.

ამ მხრივ სიმბოლურია, რომ ესეც ყველაზე ვრცელ თავს, რომელიც ძირითადად სტენდალის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ასახავს, „მისი ცხოვრების კინოფირი“ ეწოდება. ესეც ზოგიერთი სხვა მონაკვეთიც დახვეწილი გემოვნებით დაწერილ სასწავლო ან მეცნიერულ-პოპულარული ფილმის სცენარს მოგვაგონებს და, ჩვენი აზრით, შეიძლება არსებითი ცვლილების გარეშე, პირდაპირ გადაეღოთ სტენდალის ქუჩაში სიკვდილის, მისი ჩივიტა-ვეკიაში პირველი ჩაყვლის ანდა მალამ დე ტრასის სალონში ყოფნის ასახველი სცენები.

ცვაივი ახალგაზრდა სტენდალს გამოუსწორებელ შეოცნებედ წარმოგვიდგენს, რომელსაც „ამდენი ოცნების შემდეგ მუდამ უფერულად და უღიბლამოდ მოგვევენება სინამდვილე“. საოცნებო იდეალსა და პოარე სინამდვილეს შორის განხეთქილების შეგრძნება სტენდალს ბოლომდე გაჰყვება. „სულ ეს არის?“ იტყვის ხშირად თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი წუთების შემდეგაც კი. ცვაივი ამას ოსტატურად უკავშირებს სტენდალის ბუნების გაორებულობას. სტენდალი დაპირისპირებულთა ერთიანობის პირშობა, რომანტიკული ინტელექტუალისტი და ინტელექტუალური რომანტიკოსია, ერთსა და იმავე დროს აღმაფრენისა და ფხიზელი ანალიზის უნარი შესწევს. თუმცა „აღმასივით მახვილი ინტელექტი“ აქვს და „ზემგრძნობიარეც“ არის, თუმცა ფხიზელი აზროვნება და რომანტიკული სულისკვეთება მის ხასიათში ერთმანეთს პირველობას ეცილებიან და ხან ინტელექტი სკარბობს, ხანაც გრძნობა გადასძლევს ხოლმე, იგი არ კნინდება ამ წინააღმდეგობებისაგან, „...ტრაგიკული ხვედრისაგან... ერთგვარი ეთიკური



გულგრილობა იყავს" — საკუთარ თავზე გულცივი დამკვირვებლის როლს ამჯობინებს. ასეთია სტენდალი როგორც პიროვნება და ასეთივეა სტენდალი როგორც ხელოვანი, თავისი ეპოქის მიმართ ობიექტიურად განწყობილი, შენიღბულ-გამბოლოებული, — ასკვის ცვაიგი. — მისი შემოქმედებაც ზემოთ დასახელებული ორი საწყისის მარადიულ კიდეებს და ერთიერთშელწინააღმდეგე უკუაღმსრულებელი.

შესანიშნავია სტენდალის სტილის ცვაიგისეული ინტერპრეტაციები სტენდალს თხრობის ობიექტური მანერა ახასიათებს, ყოველთვის ცდილობს „მშრალი“ გამოჩნდეს, მაგრამ, ცვაიგის აზრით, სტენდალი არ არის გულცივი მთხრობელი, მისი გათოშილს სტილის მიღმა მწერლის ემოციური თანადგომაც გაირჩევა. შემოქმედებაშიც მორცხვად ლამობს მღვლეარება დინჯი, გულგრილი კილოთი დაფაროს, ვინაიდან გრძნობის საჯაროდ გამოფარჩავება ამ მგრძნობიარე აღმიანისათვის ისევე აუტანელია, როგორც შეუხორცებელი კრილობის ჩვენება. ურჩევნია გულცივი გამოჩნდეს, ვიდრე გულჩვილი, ურჩევნია სადა იყოს, ვიდრე პათეტიკური, ლოგიკა ურჩევნია ლირიკას, სტენდალის იდეალი შეუმჩნეველი სტილია, სტილი, რომელიც თითქოს კრება გამოსახულების მიღმა.

სიცრუის ეინი და სიმაართლის მოქვარეობა

„ნიღბის აფარება და სახელების ცვლა  
ჟველაფერს შერჩია“.  
წერილიდან.

**ც**ოტას თუ უცრუია უფრო  
შეტად და ცოტას თუ უთ-  
ვალთმაქცია უფრო გატაცებით მთელი ქვეყნიე-  
რების წინაშე, ვიდრე სტენდალს; ცოტას თუ  
უთქვამს სიმაართლე უფრო კარგად და დამა-  
ჭერებლად.

ვინ მოთვლის მისი ნიღბოსნობისა და მის-  
ტიფიკაციის ამბებს. ჭერ წიგნი ხეირიანად არც  
კი გადაგიშლიათ, რომ უკვე უდაწე თვალში  
გხვდებათ ანდა წინასიტყვაობაში წააწყდებით  
პირველ მათგანს, რადგანაც წიგნის ავტორს,  
ანრი ბეილს, არა და არ ხურს თავისი ნამდ-  
ვილი ვინაობა უბრალოდ და სადად აღიაროს.  
ხან სწანაურის ტიტულს უბოძებს საკუთარ  
თავს თვითნებურად, ხან „ხეზარ ბომბედ“  
გვევლინება. ხანაც თავის ინიციალებს —  
ა. ბ.-ს — საიდუმლოებით მოცულ A. A.-ს  
ურთავს, რაშიც ეშმაკიც კი ვერ ამოიკითხავს  
უადრესად მოკრძალებულ ancien auditeus-ს  
ჩვენებურად, „გადამდგარ აუდიტორს“<sup>1</sup>, რომ  
ნიშნავს; მართლოდენ ფსევდონიმს ამოფარე-  
ბულს აქვს გული საგულეში. ერთხელ თუ ავ-  
სტრიელ პენსიონერად გაახალბებს თავს, მეორე-  
ჯერ კავალერიის გადამდგარი ოფიცერია, უვე-  
ლაწე უფრო კი თავის თანამეშამულეროათვის  
სრულიად გაუგებარი სახელი „სტენდალი“ უყ-  
ვარს (პრუსიის პატარა ქალაქის სახელწოდება,  
რომელმაც მწერლის საკარნავალო ხუშტურის  
წყალობით უკვდავება მოიპოვა). თუ თარიღს აღ-  
ნიშნავს, შეგიძლიათ ხატწე დაიფიცოთ, რომ

სწორი არ იქნება. „პარმის სავანის“ წინასიტყ-  
ვაობაში თუ გვეუბნება, ეს წიგნი 1830 წელს  
და თანაც პარიზიდან ათას ორასი მილის დაშო-  
რებით არის დაწერილიო — ოინბაზობა გახ-  
ლავთ, ნამდვილად კი ეს რომანი 1839 წელს და  
თანაც სწორედ პარიზში შეთხზა. გულარხეინად  
ახვავებს წინააღმდეგობას წინააღმდეგობაწე სა-  
კუთარი ცხოვრების ფაქტების ვადმოცემისასაც.  
ერთ-ერთ ავტობიოგრაფიაში ზარ-ზეიმით გვა-  
უწყებს, რომ ბრძოლის ველზე იყო ვაგრამსა,  
ასპერნსა და ეილაუსთან. მაგრამ აქედან ერთი  
სიტყვაც არ არის მართალი, რადგან, როგორც  
ამას უტყუარად მოწმობს მისივე დღიური, სწო-  
რედ იმ დროს პარიზში ბრძანდებოდა. რამდენ-  
განმე ის ლაპარაკობს თავის ხანგრძლივსა და  
მნიშვნელოვან საუბარზე ნაპოლეონთან, მაგ-  
რამ ვაი, რომ შემდგე ტომში ბევრად უფრო  
სარწმუნო აღიარებას ვკითხულობთ: ნაპოლეონი  
ჩემნაირ ბრიყვებთან როდი მუსაიფობდა სოლ-  
მეო. ასე რომ, სტენდალის ყოველ მტკიცებას  
ძალზე ფრთხილად უნდა მოვეპყროთ. ხოლო  
ჟველაწე იქვენულად კი მის წერილებს მოვეკი-  
დოთ, რომელთაც ის, ვითომდა პოლიციის ში-  
შით, პრინციპულად არასწორად ათარიღებს და  
ერთთავად სხვადასხვა ფსევდონიმით აწერს  
ხელს, დინჯად დახეირნობს რომში და ბარა-  
თის გამოგზავნის ადგილად კი, რალა თქმა უნდა,  
ხხვა ადგილს, ორვიეტოს, აწერს; თითქოს  
ბეზანსონიდან იწერება და ნამდვილად კი ის  
დღე გრენობლში დაბყო, ზოგჯერ წელიწადია



არასწორად მათი თებულის, უფრო ხშირად კი თვე, და ხელმოწერაც ერთთავად უალბი გახლავთ. ორასზე მეტ ასეთ ფანტასტიკურ ხელმოწერას მოუყარეს ჭერჭერობით თავი მისმა მუყაითმა ბიოგრაფებმა: სტენდალი (რომელსაც სინამდვილეში ხომ ანრი ბეილი ჰქვია!) წერილებს ხან ასე აწერს ხელს: კოტინე, დომინიკე, დონ ფლეგმე, გაიარი, ა. ლ. ფეხიურიე, ბარონი დორმანი, ა. ლ. შამპანი, ხანაც სხვა მწერლებსაც კი ესეხებდა სახელებს: ლამარტინსა და უიულ ჟანენს. თან ამ ოინბაზობის მიზეზი მარტოდენ ავსტრიის პოლიციის შავი კაბინეტის შიში როდია, როგორც ზოგს ჰგონია, არამედ თანდაყოლილი, ოდინდელი უინი ქილიკობისა, ვინმეს გაკვირვებისა, თავის მოკატუნებისა და დამალვისა. სტენდალს ბუქის დაუენება უყვარს და ამას რაიმე გარეგანი საბაბის გარეშეც იქმს, მარტოდენ იმისათვის, რომ თავი ხაინტერესო ადამიანად მოგვაჩვენოს და საკუთრივ თავისი ნამდვილი არსი კი უჩინარი გახადოს. თითქოს მოელვარე მახვილს იქნევდეს თავის გარშემო, ისე ოსტატურად აყენებს მისტიფიკაციებისა და ფსევდოხიშების კორიანტელს, რათა ცნობისმოყვარენი ახლოს არ მიუშვას. და არც მალავს, რომ მოტყუება და სახიობა უყვარს: როდესაც მისი ერთ-ერთი გაგულისებული მეგობარი წერილში დაადანაშაულებს: ურცხვად ცრუობო, ის ამ „საბრალმდებლო აქტს“ კიდევ დინჯად აწერს: „სწორია, მართალია!“ თამამად და არცთუ ირონიული თავშეკცივის გარეშე აპარებს იგი თავის საბუთებში უალბ სამსახურებრივ სტაჟს; ხან ბურბონებს ეფიცება ლოიალობას, ხანაც ნაპოლეონს; მის ნაწერებში — დასტამბულებსაცა და პირადშიც — ისე ჰიპოპოტენ წინააღმდეგობები, როგორც ჰანკრობში ქვირითი. ხოლო მისი უკანასკნელი მისტიფიკაცია — უოველგვარი სიცრუის რეკორდი! — ანდერძში ხაზგასმით გამოთქმული სურვილის თანახმად, მარმარილოზეც კია ამოკვეთილი და მონმარტრის სასაფლაოს სტუმარს დღესაც შეუძლია წაიკითხოს მისი საფლავის ქვაზე შემდეგი: „არიგო ბეილე, მილანელი“. ასე აწერია იმის საუკუნო განსასვენებელს. ვინც, ვითარცა კეთილი ფრანგი, ანრი ბეილად იყო მონათლული და (მისდა სავალალოდ!) მივარდნილ პროვინციულ ქალაქ გრენობლში გახლდათ დაბადებული. თვით სიკვდილსაც კი ნიღბით სურდა წარდგომოდა, თვით მისთვისაც კი რომანტიკულ სამოსელში გამოეწყო.

მიუხედავად ამისა, მაინც ცოტა ვინმეს თუ გაუნდვია კაცობრიობისათვის იმდენი სიმართლე საკუთარი თავის შესახებ, რამდენიც თვალთმაქცობის ამ დიდოსტატს. სათანადო შემთხვევაში სტენდალმა ისევე სრულყოფილად იცოდა

სიმართლის თქმა, როგორც სიცრუე უყვარდა. მან პირველმა გაბედა და თანაც ისეთი დაურიღებლობით, რომელიც ზერ გაქბუნებთ და ხშირად გაფრთხობთ კიდევ და მხოლოდ ამის შემდგომ გიპურობთ, უქმუნდუ... და პირდაპირ ელაპარაკა იმ უაღრესად უწმინდურ განცდებსა და თვითდაკვირვებებზე, სხვანი რომ ცნობიერების ზღურბლზევე საჩქაროდ საბურველში ხვევენ ანდა სულაც აქრობენ ხულის ერთი შებერვით. ნებაყოფლობითა და ფაქტების ზუსტად გადმოცემით ბევრ ისეთ რამეს აღიარებს, რისიც სხვებს რცხვენიათ და მარწუხებიც რომ მოუჭიროთ, ვერ ათქმევანებთ. ეს იმიტომ, რომ სტენდალს სიმართლის სათქმელად იმდენივე გამბედაობა და კადნიერებაც კი შესწევს, რამდენიც სიცრუისათვის. ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც დიდებული დაუდევრობით გადაეცლება ხოლმე საზოგადოებრივი მორალის ჭებირებს, ლაბავს შინაგანი ცენზურის უველა ზღვარსა და ზღუდეს, ცხოვრებაში გაუბედავს, ქალებთან მორცხვს, თვალთმაქცობის ოსტატურად ნაგებ ბარიკადებს შიღმა დამალულსა და გამაგრებულს, მაშინვე გული მოეცემა ხოლმე, როგორც კი კალამს აიღებს ხელში; მაშინ „დაბრკოლებანი“ აღარ უშლიან, პირიქით, წინააღმდეგობას აღმოაჩენს თუ არა თავის თავში, მაშინვე ხელს ჩასვიდებს და სააშკარაოზე გამოაქვს, რათა უდიდესი გულმოდგინებით ანატომიურად შეისწავლოს. სწორედ იმას, რაც ცხოვრებაში უველაზე მეტად აბრკოლებდა, უველაზე უკეთ უსწორდება, როგორც ფსიქოლოგი ინტუიციის წყალობით, მართლაც რომ გენიოსის ილბლიანობით, ჭერ კიდევ 1820 წელს შეაღწევს ხულის მექანიზმის ცბრაკლიტულში და ზოგიერთ ისეთ საიდუმლოს ჩასწვდება, რომლის დანაწევრებას და რეკონსტრუირებას მხოლოდ ერთი საუკუნის შემდგომ შეძლებს ფსიქოანალიზი რთული და დახვეწილი მეთოდებით. მისი თანდაყოლილი და ვარჯიშით გაწაფული ფსიქოლოგიური ალლო ერთი ნახტომით მთელი საუკუნით წინ გადაუსწრებს მოთმინებით განვითარებად მეცნიერებას. და თანაც სტენდალს სხვა ლაბორატორია არ გააჩნია, გარდა თვითდაკვირვებისა. უცნობ სფეროებში განავარდენისას რაიმე მდგრად თეორიას არ ეყრდნობა: მისი ერთადერთი ხელსაწყო გახლავთ ბასრი, გამსჭვალავი, ძალზე გამჭრიახი ცნობისმოყვარეობა, ხოლო ერთადერთი პროფესიული სიქველე — სიმართლის წვდომის დაუდევარი და დაუდევარი სურვილი, მხნეობა. იმას აკვირდება, რასაც გრძნობს, ხოლო რასაც გრძნობს, იმას ლაღად და თამამად გამოხატავს, თანაც რაც უფრო თამამად აღწერს, მით უფრო უკეთ გამოუდის, რაც უფრო ინტიმურად ასახავს, მით-



უფრო იტაცებს აღწერა. ყველაზე უფრო მტკი  
ხალისით თავის ყველაზე უფრო სააუგო. ყვე-  
ლაზე უფრო მალულ გრძნობებს იკვლევს: აქ  
მხოლოდ იმას ვახსენებ, რაოდენ ხშირად და  
რა ფანატკურად მოაქვს თავი მამის სიძულვი-  
ლით, როგორ ირონიულად ჰყვება, რომ მისი  
გარდაცვალების ამბის შეტყობის შემდეგ მთელი  
თვე ამოდ ცდილობდა მწუხარება განეცადა.  
თავის სქესობრივ შებრკოლებათა ყოვლად  
უხერხულ აღიარებებს, ქალებთან მუდმივ ხე-  
ლის მოცარვას, უზომო პატივმოყვარეობით გა-  
მოწვეულ კრიზისებს ისე საკმისად უშლის  
წინ მკითხველს, რომ ფარგლით ზუსტად და-  
ხაზული გენერალური შტაბის რუკა მოგაგონდე-  
ბათ. სტენდალთან ბევრ ისეთ ყოვლად ინტი-  
მურ და დელიკატურ ამბავს ვხვდებით კლინი-  
კური გულცივიობითა და გულწრფელობით  
აღწერილთ, რომელთა შესახებ მანამდე კაცი-  
შვილს კრინტიც არ დაუძრავს, დაბეჭდვასა და  
საქვეყნოდ გამოფარჩავებაზე რომ აღარაფერი  
ვთქვათ. ეს გახლავთ მისი საგმირო საქმე:  
მისი ინტელექტის კამკამა, გამჭვირვალე, ეგოის-  
ტურად ცივ კრისტალში, როგორც ყინულში,  
შთამომავლობისთვის სამუდამოდ შემოინახა ხუ-  
ლის არა ერთი და ორი უძვირფასესი აღია-  
რება. ეს თვალთმაქცობის უაღრესად თავისე-  
ბური ოსტატი რომ არა, ჩვენ ბევრად უფრო  
ცოტა რამ გვეცოდინებოდა გრძნობათა სამუა-  
როსა და მისი ჭურღმულების შესახებ.

ასე იხსნება მოჩვენებითი წინააღმდეგობა:  
სწორედ ჭეშმარიტების შემეცნებაში დახელოვ-  
ნებისათვის სჭირდება სტენდალს ოსტატობა  
თვალთმაქცობაში, სიცრუის ტექნიკაში. არა-  
ფერმა ისე არ შეუწყო ხელი, აღიარებს თვითონ  
ერთგან, მისი ფსიქოლოგიური ალღოს ჩამოყა-  
ლიბებას, როგორც იმან, რომ მოხაწყენ ოჯახურ  
გარემოში ცხოვრობდა და ბავშვობიდანვე იძუ-  
ლებული იყო თვალთმაქცა ხოლმე. ვინაიდან  
მხოლოდ მან, ვისაც უამრავჯერ საკუთარ თავზე  
გამოუცდია, რა იოლად დასცდება ხოლმე კაცს  
პირიდან სიცრუე და რა ელვის სისწრაფით ხუნ-  
დება და იცვლება შეგრძნება, ვიდრე მკერდი-  
დან ბაგეს მიაღწევდეს, მარტოოდენ ასეთმა  
ფანდებსა და ხრიკებში გაწაფულმა კაცმა უწყის  
(და თანაც ბევრად უკეთ, ვიდრე პატოსანმა  
და ალალ-მართალმა გონებანღუნგმა), „რამდენი  
სიფრთხილეა საჭირო, რომ არ იცრუო“. სა-  
კუთარ თავზე ჩატარებული ურიცხვი ცდის შეშ-  
ვეობით ამ გამჭრიახი და გამობრძმედილი გო-  
ნების კაცმა დაადგინა, რა სწრაფად დაირცხ-  
ვენს ხოლმე უოველი გრძნობა და უმალვე  
სამოსელში ეხვევა, როგორც კი აღიქვამს. რომ  
თვალუურს ადევნებენ. ასე რომ, ელვის სისწრა-  
ფით, თამამად და დაუნდობლად, როგორც შე-

თვეზე ანკეხზე წამოგებულ თევზს, ისე ხელის  
ერთი აქნევით უნდა ამოიტაცო ცნობიერების  
ნაკადიდან ჭეშმარიტება; თვალის დახამხამებე-  
შა, ვიდრე იგი სამოსლისა და საბურველის გა-  
რეშეა, მგონია, რომ არავინ ადევნებს თვალ-  
უურს, და ბედავს ცნობიერების ნაკადს შიშველი  
მოადგეს. ასეთ თვითდაკვირვებათა დაქვერ-  
მათი ფანქრის წვერზე წამოგება, ვიდრე ისინი  
უკუიქცეოდნენ ჭეშმარიტების წიაღში ანდა თამ-  
ცავ ფერს მიიღებდნენ შესანიღბავად — აი რა  
გახლდათ შემეცნების ამ ნაცადი და აწარტული  
შველევარისათვის თავისებური ეინი, და თანაც  
იგი საკმაოდ ჰკვიანი იყო იმისათვის, რომ  
სცოდნოდა, რაოდენ იშვიათია მონადირის ეს  
იღბლიანი წამები — ისევე უსაზღვროდ სა-  
ნუკვარი, როგორც თავად ნადავლიც. ვინაიდან  
უცნაურია, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს გამო-  
უჩინია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე  
ჭეშმარიტების ისეთი პატივისცემა, როგორც  
სტენდალს — ტყუილის ოსტატს. მან დიახაყ  
იცოდა, რომ სიმართლე შუა ქუჩაში როდი გდია  
ყველასათვის ხელმისაწვდომად. ცხრათვალა  
მწეს როდი ეფიცება დღისით-მზისით, უოველ  
ტლუს როდი გადაახმევიანებს თავზე ხელს,  
ყველას როდი გაჰყვება საბელზე გამობმული,  
თუნდაც კეთილი განზრახვითაც შეეცადოს ამას  
ვინმე; მან უწყოდა, გულის ამ მახვილგონიერმა  
ოდისევსმა, რომ ჭეშმარიტება ხელიკივითაა,  
მღვიმეებში ბუდობს და სინათლეს უფრთხის,  
განზე გახტება ხოლმე, როგორც კი დაუ-  
რიღებლად გააბოტებენ მისკენ, და მარდად  
უხხლტებათ ხელიდან, როგორც კი წაეპოტინე-  
ბიან. უნდა მსუბუქად აბიჯებდეთ, ტეხაკრფით  
უნდა მიეპაროთ, ფაქიზი და მოქნილი ხელი უნ-  
და გქონდეთ, და გავარჯიშებული თვალი, ბინდ-  
ბუნდშიაც რომ ხედავს, ხოლო უწინარეს უო-  
ვლისა, კი გონების მიერ გამოწრთობილი სულის  
მიერ ფრთაშესხმული ცნობისმოყვარეობა, მიყუ-  
რადებისა და თვალთვალის ეინი; უნდა, რო-  
გორც ის ამბობს, „იმდენი სიმამაცე ვამოჩი-  
ნოთ, რომ უმცირეს წვრილმანამდე დახვიდეთ“,  
ლაბირინთივით დახლართული ნერვების ქსე-  
ლამდე, სულის მრუშე ბალავერამდე; მარ-  
ტოოდენ იქ თუ მოიქვს კაცი ზოგჯერ  
შემეცნების ეიქმატ აფორიზმებს, პატარა,  
მაგრამ ცინცხალ ჭეშმარიტებებს. ნამსხვრე-  
ვებსა და ნაწილებს იმ მარად მიუწყდო-  
მელი და თვალშეუდგამი „ჭეშმარიტებისა“,  
რომელიც ტლანქი გონების პატრონთ თავიანთი  
სისტემების შავზოლღუმში მგონიათ გამომწყვ-  
დეული და თავიანთი თეორიების მერხერ გისოს-  
ში გამოკეტილი. ის კი, ვითომდა სკეპტიკოსი,  
არსებითად ბევრად უფრო აფასებს ჭეშმარი-  
ტებას; მან, მცოდნემ, უწყის, რაოდენ იშვიათად



გამოკრთება ხოლო სიმაღლედ. — ხოლო უწინარეს ყოვლისა კი ის, რომ მას შინაური პირუტყვივით ბოხელში ვერ შეგდებ და ვერ გაუიდი, ვერ გაასაღებ, რომ შემეცნება მუდამ მხოლოდ შემეცნებლის ხვედრია.

ბოდა, ვინაიდან სტენდალი ქეშმარიტებას განძივით უყურებდა, იგი თავის სიმაღლეს არავის აძალებდა და არ აქებ-ადიდებდა; მისთვის მარტოოდენ ის იყო მნიშვნელოვანი, რომ საკუთარ თავთან და საკუთარი თავის მიმართ ყოფილიყო გულწრფელი. ამიტომაც ასე დაურიდებლად ცრუობდა სხვების წინაშე; ამ არქიეგონისტს, ამ აწარტულ თვითღამკვირვებელს თავის დღეში იოტის ოდენა სურვილიც არ გასჩენია ირგვლივ მყოფთათვის რაიმე ესწავლებინა, მით უფრო პირადი მაგალითით, პირიქით, ზღარ-

ბის ეკლებივით მჩხვლტავი სიანხლის ქურკში ეხვეოდა, რათა ვისიმე ტლანქი ცნობისმოყვარეობის კერძი არ გამხდარიყო და ბული არ შეშლოდა თავისი გზების გათხრაში, წოლხვრელე-ბივით რომ გაჰყავდა ქვეყნის სიღრმეში. სხვათა ცდუნებებზე მტყუტვტს ქვეყნის თავშეკცევა იყო, საკუთარი თავის წინაშე გულწრფელობა კი მისი ნამდვილი, მარად დაუცხრომელი ვნება გახლდათ. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მალე გაუდის ყავლი, ხოლო ადამიანის მიერ ერთხელ შეგნებული და შემეცნებული ქეშმარიტება ამ ადამიანზე ბევრად უფრო დღეგრძელია. ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა საკუთარი თავის წინაშე გულწრფელი, იგი სამუდამოდ ასეთად დარჩება, ვინც საკუთარი ხვაშიადი ამოიცნო, მან ეს უველასათვის მოიპოქმედა.

პორტრეტი

«Tu es laid, mais tu as de la physionomie».  
„უშნო ხარ, მაგრამ შენი სახე კი გაქვს“.  
ბიძია განონი ჭაბუჯ ანრი ბეილს.

ბინდი ჩამომდგარა რიშელიეს ქუჩის პატარა მანსარდში. ორი თაფლის სანთელი ანთია საწერ მაგიდაზე. შუადღის აქეთ წერს სტენდალი რომანს, ხოლო ახლა ერთბაშად განზე დებს კალამს: კმარა სადღეისოდ! ახლა უნდა სული მოითქვას, გარეთ გავიდეს, კარგად ივაზშმოს, საზოგადოებაში, ქალებთან მხიარული ნახლაათით გადახალისდეს!

ემზადება, სერთუკს იცვამს, პარიკს ისწორებს და ერთხელ კიდევ სურს მარდად შეავლოს თვალი თავის თავს სარკეში ჩაიხედავს და უშალვე სარდონიკული ნაოჭი უღრეცს პირის კუნჭულს: არა, არ მოსწონს თავისი თავი! რა დაუხვეწავი, ტლანქი, ბულდოგისებური სახე აქვს, მრგვალი, წითელი, მეშჩანურად ნაპატრეების ებ, რა საძაგლად გათხლაშულა ამ პროვინციულ ფიზიონომიაზე ფართო ნესტოებიანი, მსუქანი და ხორკლიანი ცხვირი! თუმცა თვალებს კი თითქოს არა უშავთ რა, უიშმატი, შავი და მოელვარენი არიან, ცნობისმოყვარეობის მოკიაფე შუქით განათებულნი, მაგრამ ერთობ ღრმად უსხედან და მეტისმეტად პატარები უჩანან ხშირი წარბებისა და მძიმე, კვადრატული შუბლის ქვეშ: მათ გამო იყო, რომ ადრევე, უკვე პოლკშივე, დაცინვით ჩინელს უწოდებდნენ. კიდევ რა არის კარგი ამ სახეში? სტენდალი გამოროტებული აკვირდება საკუთარ თავს. არაფერი კარგი, არაფერი ნატიფი, სული რომ გამოსჭვიოდეს, ისეთი, ყოველივე მძიმე და

ვულგარულია, მასიური და გაბრტყელებული, — სავალალოზე სავალალო მეშჩანური სახეა, და თანაც ეს ბურთივით მრგვალი თავი და წაბლისფერი წვერის ჩარჩოში ჩასმული სახე აღბათ მაინც დანარჩენს სჯობია მის ყოვლად შეუსაბამო სხეულში, რადგან მაგრად მოჭერილი საყელოდან მოკლე ყელი ზედ ნიკაბთან ამოხჩრია ჩიჩახვივით, ხოლო უფრო ქვევით ხომ ურჩევნია არც ჩაიხედოს, ვინაიდან სძულს თავისი ბრიყვულად წინ გამოჩრილი ღიბი და უშნოდ გამოჩორკნილი მოკლე ფეხები, რომელნიც ისეთი ვაივაგლაბით ერევიან ანრი ბეილის მძიმე მასას, რომ მათ პატრონს თანაკლასელები იმთავითვე „მოარულ გოდოლს“ ეძახდნენ. ისევ და ისევ ეძებს სტენდალი სარკეში რაიმე სანუგეშოს: მო, ხელები, ხელები, ასეა თუ ისე, მართლაც უვარგა, ქალურად ნაზი, ძალზე მოქნილი აქვს, წამახვილებული, გლუვი და კრიალა ფრჩხილებით შემკული, მათგან ცოტაოდენი გონება და კეთილშობილება მაინც გამოსჭვივის, და კანიც, ქალიშვილს რომ არ ექნება, ისეთი მგრძნობიარე და სალუქი, ფაქიზი სულის პატრონს უთუოდ არისტოკრატიზმისა და სინატიფის ნიშატს აგრძნობინებს. მაგრამ ვინ დაუნახავს, ვინ შეამჩნევს მამაკაცს ასეთ დიაცურ წვრილმანს? ქალებს ერთთავად მხოლოდ სახე და ტანის მოყვანილობა იტაცებთ, ხოლო მას ერთიცა და მეორეც — აი, უკვე ორმოცდაათი წელია ეს უწყის — უსაშველოდ პლებეური



აქვს. ოგიუსტენ ფილონმა<sup>2</sup> მას „ნაყაშისთავა“ შეარქვა, ხოლო მონსელემ „ფთხაქარიანობიანი დიპლომატი“ უწოდა. თავად კი ამგვარი შეფასება, ერთობ თავაზიანად, ერთობ მეგობრულად ეჩვენება, რადგანაც ახლა სტენდალს, უღმობელ სარკვეში უშუალოდ მაცქერაღს, საკუთარი თავისათვის ასეთი განაჩენი გამოაქვს: „Mucellaio italiano — იტალიელი უახაბიო.

არა, ეს ცხიმიანი და შიშიმე სხეული ბრგე და ვაჟკაცური შაინც იყოს — განა არ არიან ქალები, რომლებიც განიერ მხარბეებს მიენდობიან ხოლმე და რომლებსაც მას უამსა შინა კაჯაკი უკეთ უწევთ სამსახურს, ვიდრე დენდი. მაგრამ ვაგლახს — მან იცის — ეს მოუხეშავი გლეხური ტანი, ეს ხისხლსავსეობა მასთან მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორიაა, ფუჭი სიუხვე ხორცისა. ამ ვეება კაცში კრთის და თრთის უფაქიწეს, ლამის პათოლოგიურად მგრძნობიარე ნერვთა გორგალი; როგორც საოცარი მგრძნობიარობის ნიშნებს, მუდამ ისე აკვირდებოდნენ მას განცვიფრებული ექიმები. მოდა — ბედისწერავს — ასეთი ფარვანასებური სული ამოდენა ხორცისა და ცხიმის გარსშია მოქცეული. ეტყობა, აკვანში ღამით მაჭლაქუნამ სული შეუცვალა, რადგან მისი ავადმყოფურად შემგრძნობიარე ფსიქიკა ყოველ გაღიზიანებაზე თრთის და ცახცახებს თავის ზორბა, ნაპატრებ სამყოფელში. მეზობელ ოთახში ფანჯარა გააღებს და უმაღვე სიცივის ტრუანტელი გადაურბენს ძარღვებით დაქსელილ თხელ კანზე, კარი გაიჭახუნებს და მაშინვე კრთება, თითქოს რაღაც ელდა სცემოდეს: ცუდი ხუნი მიუვა და თავბრუსხვევა უვარდება; ქალის სიახლოვეს კი იბნევა, სიმორცხვე და სიმხდალე ეძაღება ანდა უბერხულობისაგან უხეში და უხამსი ხდება. რა გაუგებარი აღრევასა რა საჭირო იყო ამდენი ხორცი, ამდენი ცხიმი, ამოდენა ღამი და მეფორნის ტლანქი ძვლები ესოდენ ფაქიწი და იოლად მოსაწყველელი გრძნობის გარსად, რა საჭირო გახლდათ ესოდენ შიშიმე, გულშიუხსავალი, მოუხეშავი სხეული ასეთი ნაწი, ოთხული და მგრძნობიარე სულისათვის?

სტენდალი ზურგს აქცევს სარკეს. მის გარეგნობას ვერ ეშველება, ეს მან სიურშიდანვე იცის. აქ თვით ის სახწაულთმოქმედი თერძიც ვერას გააწყობს, ეილეთის ქვეშ კორსეტის რომ დაუტანა, რომელიც ქვევიდან მალლა ეწვევა დაბლა ჩამოშვებულ ღამს, და ლიონის აბრეშუმისაგან ეს საუცხოო პანტალონი შეუკერა კურაიოზულად კოტიტა ფეხების შესანიღბავად; ვერაფერს შველის ეს თმის საღებავიც, რომელიც უკვე დიდი ხნის შექალარავებულ ქილვაშებს ახალგაზრდობისდროინდელ წაბლისფერს უბრუნებს, ვერც ელფგანტური პარიკი, გაბეღატებულ

კეფას რომ უფარავს, ვერც ოქრომკედით მოსირმული კონსულის მუნდირი და ვერც საგულდაგულოდ დაქნილი პრიატა ფრჩხილები, ეს საშუალებები და საშუალებიკობი მხოლოდ ოდნავ თუ აკობტავენბენ და ეფექტულებენ, ისინი სიმსუქნისა და სიბერის ნიშნებს უფარვენ, მაგრამ რა, არც ერთი ქალი არ მოხედავს მას ბულვარზე, არც ერთი არ ჩაბედავს თვლებში ექსტაზში შესული, როგორც მაღამ დე რენალი უჭვრეტდა თავის თიულიენს ანდა მაღამ დე შასტელე — თავის ლიუსიენ ლევენს. არა, არასოდეს არ აქცევდნენ ისინი ყურადღებას, მაშინაც კი არა, როცა ახალგაზრდა ლეიტენანტი იყო, და ახლა რაღას მიაქცევენ, როცა ქონი მოედო და სიბერე შუბლს უღარავს. ვათავდა, მისი საქმე წასულია ასეთი სახის პატრონს ქალებში რა ბედი ექნება და სხვა დანარჩენი კი რა ბედენაა!

ახე რომ, ერთი რამლა ჩჩება: კევიანი უნდა იყოს, მოქნილი, სულიერად მიმზიდველი, საინტერესო, თავის უშნო გარეგნობას შინაგანი სამყაროთი ჩრდილავდეს, ყველას მახვილგონიერებითა და მჭევრმეტყველებით ამრმავებდეს და ხიბლავდეს. „ნიჭიერებამ შეიძლება სილამაზე შეცვალოს“. ასეთი უიღბლო ფიზიონომიის პატრონმა ქალები კეუით უნდა მონუსხოს, ნერვების უფაქიწეს ხლართებში ცნობის-მოყვარეობის ცეცხლი წაუკიდოს, რაკი ესთეტიკურად მათი გრძნობების გაღვივება არ ძალუძს. მელანქოლიურად მოაჩვენოს თავი სანტიმენტალურებს და ცინიკოსად — თავაშვებულებს, ხოლო ზოგჯერ — პირიქითაც, მუდამ უხიზლად უნდა იყოს, მახვილგონიერებამ არ უნდა უღალატოს. „გაართეთ ქალი და იგი თქვენნი იქნება“. გონივრულად გამოიყენოს ყოველი სისუხტი, ყოველგვარი მოწყენილობა, თავი ალგუნებულად მოაჩვენოს, როდესაც თვითონ გულცივი იქნება, და გულცივად, როდესაც ალგუნებული იქნება. ფერისცვალებებით განაცვიფროს, ფანდებით დააბნიოს, მუდამ იმას გახაზავდეს, რომ იგი ხულ სხვანაირია, ვიდრე დანარჩენები. და უწინარეს ყოვლისა კი არც ერთი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვას, მარცხისა არ ეშინოდეს, ვინაიდან ზოგჯერ ქალებს ავიწყდებათ კიდეც მამაკაცის სახე, — განა ერთხელ თვით ტიტანიამაც კი არ აკოცა ვირის თავს იმ უცნაურ ზაფხულის ღამეში!

სტენდალი მოდურ შლაპას იხურავს, იღებს ყვითელ ხელოათმანებს და სარკვეში თავის ცივსა და დამცინავ ღიმილს ამოწმებს. ღიამ, ახე უნდა მოველინოს დღეს ხალამოს მაღამ დე ტ.-ს — დამცინავი, ცინიკოსი, თავაშვებულა და ყინულივით ცივი. უმაღ უნდა შეაცბუნოს, დააინტერესოს, დააბრმავოს, ამ საძაგელ ფიზიო-



ნომიაზე სიტყვა მოელვარე ნიღაბივით აიფაროს. როგორმე მაგრად უნდა შეაცბუნოს, ერთბაშად, გამოჩენისთანავე უურადლება მიიპყროს, უველაუერს ახე სჯობია, შინაგანი უნიათობა იმთავითვე წარწეიმა დარდიმანდობით დაფაროს.

კიბეზე ჩასვლისას მოიფიქრა, ეფექტურად როგორ გამოცხადდეს: ჭერ ლაქიას მოახსენებინებს, კომერსანტი სეზარ ბომბე გეაბლიათო, და თავად მხოლოდ ამის შემდეგ შევა სალონში; ვითომ ერთი უბედი ვინმე შალეულით მოვაკრე იყოს, ხმამაღლა მოპყვება ენამწეობას, კრინ-

ტის დაძვრას აღარავის დააცლის და იმდენ ხანს იქაქანებს თავის წარმობებით სავაჭრო ოპერაციებზე, ვიდრე უველა ენამწეობით და სიცილით მართო მას არ მიარტრდება და ქალებიც მის სახეს შეეჩვევიან. მტრზე მაგარ-მაგარი ანეკდოტების ბრუს-ფრანკუნებზე, რათა ქალები გაართოს და აღაგწნოს, შემდეგ რომელიმე ჩაბნელებული კუთხე უშნო სხეულის დასაფარავად, ორიოდე ჭიქა კუნში და ვინ იცის, შუალამისათვის ქალებმა იქნებ მიიჩნიონ კიდევ, რომ ის არც თუ ისე გულმიუსავალია.

მისი ცხოვრების კინოფიკი

1799 წელია. გრენობლიდან პარიზს მიმავალი საფოსტო დილიჟანსი ცხენების გამოხაცვლებლად ნემურში ჩერდება. აღელვებული ხალხი ჭგუფ-ჭგუფად, პლაკატები, გაზეთები: ახალგაზრდა გენერალმა ბონაპარტმა გუშინ პარიზში რესპუბლიკას კინწი მოსწუვიტა, კონვენტს წიბლი ჰკრა და თავი კონსულად გამოაცხადა. ყველა მგწავრი ვაცხოველებით მსჩელობს, მხოლოდ ერთი თექვსმეტი წლის ჭაბუკი, მხარბეჭიანი და წითელლოყება, აინუნშიაც არ აგდებს ამ ამბავს, რა ესაქმება მას რესპუბლიკასთან ან კონსულატთან? იგი პარიზში ვითომდა პოლიტექნიკურ სკოლაში სასწავლებლად მიდის, ნამდვილად კი პროვინციას სურს თავი დააღწიოს, პარიზი ნახოს, პარიზი, პარიზი! და იმწამსვე ამ სახელის უკიდევანო ფიალას ფერად-ფერადი ოცნებების ნიაღვარი ავსებს. პარიზი ანტიპროვინციაა, იგი ფუფუნებას, ელეგანტურობას, მხიარულებას, აღფრთოვანებას, დაუდევრობას და თავისუფლებას ნიშნავს, ბოლო უწინარეს ყოვლისა კი ქალებს, ბევრ ქალს. ერთ-ერთ მათგანს, ახალგაზრდას, ლამაზს, ნაზსა და მოხდენილს (ალბათ იმ გრენობლიელი მსახიობი ქალის — ვიქტორინ კაბლინის მსგავსს, რომელსაც იგი შორიდან კრძალვით ეტრფოდა) ერთბაშად გაიცნობს რაიმე რომანტიკული შემთხვევის წყალობით, სიკვდილს გადაარჩენს, დამფრთხალ ცხენებს გადაუდგება წინ და დამსხვრეული კაბრიოლეტიდან გადმოიყვანს, რაიმე დიადს ჩაიდენს მისი გულისათვის, როგორც გუნებაში ოცნებობს, და ასულიც მისი სატრფო გახდება.

საფოსტო დილიჟანსი დგანდგარით განაგრძობს გზას და დაუნდობლად სრებს ბორბლებით ამ ნაადრევ ოცნებებს. ბიჭი თითქმის არ იყურება გარეთ, თითქმის ხმას არ სცემს თანამგზავრთ — ეს თეორიული დონე უნაი მხოლოდ თავგადასავლებზე, რომანტიკულ საგმირო საქმეებზე, ქალებზე და დიდებულ პარიზზე

ოცნებობს. ბოლოს ეციაჟი შლაგაუმთან ჩერდება. უურთასმენის წამლებად შირაბრაზებენ ბორბლები კუჩიან შუკებში. სახლებშორის გამავალ ვიწრო, ჭუჭყიან და ღრმა ნაპრალებში, სადაც შეხუთული ჭაერი მძალე კერძების და ღარიბების ოფლის სუნადა უარს. მაშ, ეს არის პარიზი? „სულ ეს არის?“ კვლავაც ხშირად გაიმეორებს ხოლმე ამ სიტყვებს: პირველი ბრძოლის შემდეგ, სენ-ბერნარზე ქარის გადასვლისას, პირველ სატრფიალო ღამეს, ამდენი ოცნების შემდეგ ისევ უფერულად და უღიმღამოდ მოეჩვენება სინამდვილე რომანტიკულ გულისწადილს უზომოდ აყოლილს.

ერთ მივარდნილ სასტუმროსთან გადმოდის, სენ-დომინიკის ქუჩაზე. იქ, მებუთე სართულის მანსარდში, რომელსაც ფანჯრის მაგიერად მრგვალი სარკმელი აქვს მხოლოდ, საკანივით ვიწრო და ბნელ ოთახში, აჩხლი მელანქოლიის ნამდვილ ინკუბატორში ცხოვრობს ჭაბუკი ანრი ბეილი რამდენიმე კვირას, ისე რომ ერთხელაც არ იხედება მათემატიკის სახელმძღვანელოებში. საათობით დააბიჯებს ქუჩებში, ქალებს აყოლებს თვალს: რა მომხიბვლეელი არიან ისინი ახლად მოღაში შემოსულ რომაული უაიდის სამოსში, ძლივს რომ უფარავთ სიშიშვლეს. რა კვლუცად ეხუმრებიან თავიანთ თავუვანისმცემლებს, როგორი სიცილი იციან, მაცდური და ლალი; მაგრამ ვერც ერთთან ვერ ბედავს მისვლას მწვანე პროვინციულ სერთუქში გამოწყობილი მოუქნელი, სულელი ბიჭი, რომელსაც ძალზე აკლია ელეგანტობა და მით უმეტეს გამბედაობა, თვით ფულის მაძიებელ გოგოებსაც კი ვერ ევარება, წეთის ფარნებქვეშ რომ ტორლიალობენ იაფფასიანი გამოშეტყველებით. გამწარებული, შურით უჭვრეტს თავის უფრო თამამ ტოლებს. შეგობარი არა ჰყავს, არც ვინმე ხმის გამცემი, არც სამუშაო აქვს. დაღვრემილი დაგებტება ჭუჭყიან ქუჩებში და რომანტიკულ თავგადასავლებზე ოც-



ნებობს, თანაც ისე თავდავიწყებით, რომ ზოგჯერ ლამის ეტლმა გაიტანოს.

ბოლოს, დათრგუნვილი, ადამიანებთან საუბარს, ხითბოსა და შინაურულ ატმოსფეროს მოწყურებული, თავის მდიდარ ნათესავებთან — დარიუებთან მიდის. ისინი კარგად ხვდებიან თავისთან იწვევენ, თავიანთ მშვენიერ სახლში გააძაყავთ, მაგრამ — რაც პირველჩენილი ცოცვა ანრი ბეილისათვის! — ისინიც პროვინციულები არიან და ეს ვერ უპატიებია მათთვის. ბურჟუებივით ცხოვრობენ, მსუყედ და არბინად. მაშინ როდესაც თვითონ ჯიბეგაფხვეილია და ეს აბრაზებს. უგუნებოდ, უსიტყვოდ, უხერხულად უზის მათი ფარული მტერი მათსავე სუფრას და უფშურად, ირონიული ჭიუტობით ფარავს, როგორ იწვის და იდაგვის სინაზეს მონატრებული. „რა უსიამოვნო და უმადური ვინმეა“. — ასკვნიან ალბათ მოხუცი დარიუები გუნებაში. გვინ საღამოს კი სამხედრო სამინისტროდან ბრუნდება დაღლილ-დაქანცული, გატანჯული და კრიჭაშეკრული პიერ (შემდგომ გრაფი) დარიუ, ოჯახის სათავეანო კერპი და მარჯვენა ხელი ყოვლისშემძლე ბონაპარტისა. მის სამხედრო გეგმებს განდობილი ერთადერთი პიროვნება. თავის შინაგან მიდრეკილებას რომ აპულოდა, ეს მეომარი კაცი ალბათ უფრო ამ ქაბუკი შემოქმედის კოლეგა იქნებოდა (რომელიც მას სიტყვაძუნწობისა და გულჩათბრობილობის გამო ბრიყვ ოტროველად მიიჩნია, ბოლო პირველ რიგში კი — გაუნათლებელ ვაგარიად). პიერი მოცალეობის უამს შორაცოუსს თარგმნის ფილოსოფიურ ტრაქტატებს თხზავს და შემდგომ, როცა მუნდირს გაიხდის, ვენეციის ისტორიას დაწერს. ამუამად კი, ბონაპარტის ფრთას შეფარებული, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრით არის გართული დაუღალავი და გამრჯე მუშაკი დღე და ღამე გენერალური შტაბის საიდუმლო კაბინეტში ზის და გეგმებს ადგენს, ამგარიშებსა და წერილებსა წერს, — არავინ უწყის, სახელდობრ, არისტოვის. ქაბუკ ანრის სწორედ იმიტომ სძულს იგი, რომ პიერს სურს დაეხმაროს და დააწინაურროს, ანრის კი დაწინაურება არა სურს. მას საკუთარ თავთან დარჩენა სწადია.

მაგრამ ერთ დღესაც პიერ დარიუ ზარმად ნათესავს მოუხმობს: დაუყოვნებლივ სამხედრო სამინისტროში უნდა წაიყვანე, შენთვის ადგილი მაქვსო. დარიუს შოლტის ქვეშ უხდება ახლჩასუქებულ ანრის დილის ათი საათიდან ღამის პირველ საათამდე წერილების, წერილების და კიდევ წერილების, მოხსენებებისა და პატაკების წერა, ასე რომ ხელის თითებიღა სტაზავს. ჯერ კიდევ არ იცის, რის მაქნისია ეს ვაფთრებული მიმოწერა. მაგრამ მალე მთელ

მსოფლიოს ეცოდინება. თვითონ გუმანშიაც არ არის, იხე მონაწილეობს იტალიაში ლაშქრობის მომზადებაში, რომელიც მარნეგოში დაიწყება და ამერიით დაშთავრდება. ბოლოს «Moniteur» ამხელს საიდუმლოს: უმე გამრჯეობად და პატარა ანრი ბეილი სულს ეთქვამს: შაღლობა ღმერთს მისი მტარვალ დარიუ ანრი შთავარსარდლის ბანაკში უნდა წავიდეს და წერილების გაუთავებელ ჭლაბნას ბოლო მოეღება. შვებიო ითქვამს სულს: სჯობს ომი, ვიდრე შიხთვის მთელ ქვეყანაზე უველაზე საშინელი, უკელაზე საძულველი ორი რამ: მუშაობა და მოწყენილობა.

1800 წლის მაისი. ბონაპარტის იტალიური ლაშქრის არიერგარდი ლოზანაში.

რამდენიმე ცბენოსან ოფიცერს ერთად მოუყარია თავი და ისე იცინიან, რომ კვერბზე ჭილები უქანავენთ. დიახაც სასაცილო სანახაობაა: ერთ ოჩან ჩაგლაგზე, მაგრად კატენილი და უნაგირზე მიკრული ზურგჩანთის წინ, ვიდაც ფენებკოტიტა, მსუქანი უმაწვილი წამოუუნცულა, ნახევრად საშოქალაქო, ნახევრად სამხედრო, მოუქნელად, მაიმუნივით ჩაძლაუქება და ებრძვის ურჩ პირუტყვს, რომელიც ლამობს, რადაც არ უნდა დაუქდეს. მიწას დაანარცხოს ახალბედა მხედარი. უზარმაზარი მახვილი, ქეშად რომ არტყია უმაწვილს, წამდაუწუმ გავაზე ხვდება საბრალო ცბენს და კიდევ უფრო ახელეებს, ბოლოს ცბენი უალუზე დგება და სრულიად მოულოდნელად უანებსა და თბრილებში მიაქროლებს ვაიკავალერისტს.

ოფიცრები მეფურად ერთობიან, ბოლოს კაპიტანი ბიურეღვილიე შეიცოდებს ქაბუკ მხედარს და თავის დენშიკს უბრძანებს: — აბა, გასწი და უშველე რამე იმ ქლიავს! — დენშიკიც ფიცხლავ ცბენდაცბენ დაედევნება. რამდენჯერმე ლაზაოიანად გადაუქერს მათიანს უცხო ფაშატს, ვიდრე დააშოშმინებდეს, შემდეგ სადავეში ჩაავლებს ბელს და ისე წამოიყვანს სიბრაზისა და სირცხვილისაგან კარხალივით გაწითლებულ ახალბედას.

— რა გნებავთ ჩემგან? — აღელვებული ეკითხება ახალმოსული კაპიტანს. მარად მეოცნებეს უკვე დაპატიმრება ან დუელი ელანდება. მაგრამ თავშემაქცივარი კაპიტანი, როგორც კი შეიტყობს, რომ ყოვლისშემძლე დარიუს ბიძა შვილთანა აქვს საქმე, ძალზე თავაზიანი ხდება. ეცნობა უცნაურ ახალწვეულს და ეკითხება, აქამდე სად იყავითო. ანრი წითლდება: ამ ბეჭრებებს ხომ ვერ გაუმხელს, რომ ვენევაში იყო და თვალცრემლიანი იდგა იმ სახლის წინ, სადაც ეან-ეაე რუსო დაიბადა. ამიტომ გიუმაყად და კადნიერად მოაქვს თავი, თიოქოს მეთად



თამაში იყოს და ამას ისე მოუქნელად სჩადის, რომ ყველას მოსწონს. უწინარეს ყოვლისა ოფიცრები ამხანაგურად ახწავლიან სადავის სალოკ თითსა და შუა თითს შორის სწორად დაქერის დიად ხელოვნებას. ხმლის სწორად შემორტყმას და ცხენოსნობის კიდევ სხვა რამდენიმე საიდუმლოსაც უმჯლავნებენ. მოდა, ანრი ბეილსაც თავი მაშინვე ჭარისკაცად და გმირად ესახება.

თავი გმირად ესახება ანდა, ყოველ შემთხვევაში, არ დაუშვებს, რომ ვინმეს ეჭვი შეეპაროს მის გულადობაში. უმაღლეს ენას მოიკვნიტს, ვიდრე რაიმე უნებრული შეკითხვა დასცდებოდეს ანდა შეიხსიან ბაგე აუთრთოდებოდეს. მსოფლიოში სახელგანთქმულ სენ-ბერნარზე გადასვლის შემდეგ იგი ზანტად შემობრუნდება უნაგირზე და კაპიტანს თითქმის მკირდავად თავის მარადიულ კათხვას დაუსვამს: „სულ ეს იყო?“ ხოლო ფორტ ბარდთან რამდენიმე ზარბაზნის ბათქაბუთქის გაგონებაზე კვლავ გაკვირვებულ სახეს იღებს: „ეს არის ომი? სულ ეს არის?“ და მაინც, მან ახლა უკვე იყნოსა დენტის ხუნი, დაკარგა ცხოვრებასთან უმანკო დამოკიდებულების ერთი ნაწილი და უფრო მოუთმენლად სცემს დეზებს ცხენს. იტალიაში მიეჩქარება, რათა დანარჩენიც დაკარგოს, რათა ომის ხანმოკლე ფათერაკების შემდეგ დაუსრულებელ სატრფიალო თავგადასავლებს შეეგებოს.

\* \* \*

მილანი, 1801 წელი. კორსო პორტა ორიენტალესთან<sup>10</sup>.

ომმა პიემონტელი ქალები გამოაფხიზლა. შინ დამწყვდელური ახლა გარეთ მოეშურებიან. მას შემდეგ რაც მათ ქვეყანაში ფრანგები არიან, ყოველდღე უპირბადებოდ დახეირნობენ დაბალი კარტებით ლავვარდოვანი ცის ქვეშ მოცილივე ქუჩებში. ჩერდებიან, ემუსაიფებიან სატრფოებს ანდა ჩინისბეოებს<sup>11</sup>, არცთუ უხალისოდ უღიმიან თავხედ ახალგაზრდა ოფიცრებს და ერთი ამბით ათამაშებენ ხელში მარაოებსა და ყვავილებს.

ჩრდილის ვიწრო ზოლში შეყუჟული ჩვიდმეტე წლის უნტეროფიცერი კაეშინიანი ლტოლვით გასცქერის ტურფა ქალებს. დიას, ანრი ბეილი ერთბაშად დრაგუნთა მე-8 პოლკის უნტეროფიცერი გახდა, ისე, რომ არც ერთი ბრძოლა არ გამოუვლია: რას არ მიაღწევს კაცი, როცა ყოვლისშემძლე დარიუს ბიძაშვილია. შუბლას ზეგარდმო მოელვარე მუზარადზე ფრანგ დრაგუნთა, შავი ჭილა უქანავებს და უფრიალებს. კავალერისტის თეთრი მოსახამის ქვეშ ვეება ხმალი მრისხანედ უწკრიალებს. ყელგადმოკეცილ ჩექმებზე კი დეზებს გაუღიო წკა-

რუნი: მართლაც მეომარივით გამოიყურება ეს გუშინ ჭერ კიდევ ჩასუქებულ-ჩაბუტკუნებული პატარა ბიჭი.

კაცმა რომ თქვას, ყოველ ცისმარე დღეს ქვაფენილზე ხმლის წკრიალითა და ქალების ვნებიანი თვლიერებით <sup>ქორსო</sup> შეტიალის ნაცვლად იგი თავის ქვეყანაურფთან ერთად ავსტრიელებს მინჩოს იქით უნდა მიერეკებოდეს. მაგრამ ჩვიდმეტე წლისას უკვე სძულს ყოველივე ვულგარული, მან უკვე აღმოაჩინა, რომ „ხმლის მოსაქნევად ერთობ მცირე ჭკუაა საქირო“. როცა კაცი დიდი დარიუს ბიძაშვილი ხარ, შეგიძლია მოქმედი არმიის ზურგში მოიკალათო, ბრწყინვალე მილანში დარჩე. ნაცვლად იმისა, რომ მოლაშქრის მძიმე ჭაპანს ეწეოდე მით უფრო, რომ ბანაკში ასეთი ლამაზმანები არ არიან, ხოლო უწინარეს ყოვლისა კი არ არის ღვთაებრივი თეატრი და სკალა, ჩიპაროზას<sup>12</sup> ოპერებითა და შესანიშნავი მომღერალი ქალებით. აქ და არა შემო იტალიის რომელიმე ქაობიან ადგილას გაშლილ კარავში და არც გუნერალური შტაბის სენაკში კაზა ბოვარაში მოუწყურია ანრი ბეილს თავისი მთავარი სადგომი. მულამ პირველი მიდის ყოველ საღამოს, როდესაც „სკალას“ ხუთივე იარუსის ლოფები თანდათანობით ნათდება: მერმე შემოდინ ქალები, ნახევრად და ლამის შეტადაც კი გაშიშვლებულნი თხელ აბრეშუმის კაბებში, ხოლო მათ სალუქ მხრებზე იხრებიან ბრკუვიალა მუნდირები. აჰ, მაინც რა ლამაზები არიან ეს იტალიელი ქალები, რარიგ უხარიათ და გაბედნიერებულნი ტკბებიან იმით, რომ ბონაპარტმა იტალიაში ორმოცდაათი ათასი ყმაწვილი კაცი ჩამოიყვანა მილანელი ქმრების სავალალოდ და მათივე ტვირთის შესამსუბუქებლად.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჭერჭერობით არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია ამ ორმოცდაათ ათასში თავის გულის სწორად გრენობლელი ანრი ბეილი აერჩია. ანკი, აბა, რა იცის ფუნჩულა ანჭელა პიეტრაგრუამ, მაუდის ვაჭრის ჩამრგვალეზულმა ქალიშვილმა, რომელსაც სტუპრებთან თავისი თეთრი ძუძუმკერდის გამოჩენა და ოფიცერთა უღვაშებზე ბაგის გაფიცება უქვარს, რომ ეს პატარა მრგვალთავა, ირიბად გაჭრილი შავად მოელვარე თვლები რომა აქვს და ამიტომ ჩინელს უწოდებს ხუმრობით და ცოტათი გულგრილადაც. მასზეა შეყვარებული, რომ დღე და ღამე მასზე, არცთუ გულქვაზე, ოცნებობს, როგორც მიუწვდომელ კერპზე და ოდესმე თავისი რომანტიკული სიყვარულით უკვდავყოფს მას, მეშინ საპატარძლო? მართალია, სხვა ოფიცრებთან ერთად ის ყოველ საღამოს მოდის მათთან „ფარაონის“<sup>13</sup> სათამაშოდ, კუთხეში ზის მორცხვად, ხმას არ იღებს და ფერი



მისდის, როდესაც ქალი თვითონ გამოელაპარაკება, მაგრამ განა ოდესმე მისთვის ხელი ხელზე მოუჭერია, ან მაგიდის ქვეშ მუხლზე მუხლით ოდნავ შეხებია, თუ კიდევ წერილი გამოუგზავნია ან „ჩემთვის საამურია“ წაუჩურჩულებია? სხვა ფრანგ დრაგუნ ოფიცერთაგან უფრო მეტ პირდაპირობას მიჩვეული მკერდავსე ანჭელა პატარა უნტეროფიცერს უურადლებას არ აქცევს და იხიც, მოუქნელი, ხელიდან უშვებს ქალის კეთილგანწყობილების მოპოვების ყოველ შემთხვევას, რადგან არ უწყის, რა ხალისითა და სიამოვნებით, რა უხვად აჯილდოებს იგი სიყვარულით ყოველ მსურველს. ვინაიდან, ვეება ორღესული მახვილისა და ყელგადმოკეცილი ჩექმების მიუხედავად, ისევ ისეთი მორცხვია, როგორც პარიზში იყო, მოკრძალებული დონ უუანი ჯირაც ქალწულებრივად უმანკოა. ყოველ საღამოს აპირებს გადამწყვეტი იერიში მიიტანოს. გულდასმით იწერს უბის წიგნაკში უფროსი ამხანაგების რჩევა-დარიგებას, როგორ უნდა სძლიო ქალის სიქველეს ხელჩართულ ბრძოლაში, მაგრამ როგორც კი თავის საყვარელ, ღვთაებრივ ანჭელასთან აღმოჩნდება, ამ თეორიულ კაზანოვას უმალვე სიმბდალე ეძალება. იბნევა და ქალიშვილივით წითლდება. რათა ნამდვილ ვაჟკაცად იქცეს, ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტს თავისი უმანკობა გაიღოს მსხვერპლად. რომელიღაც მილანელი პროფესიონალი ქალი („სულ აღარ მახსოვს, ვინ იყო ან როგორ გამოიყურებოდა“, -- შენიშნავს ანრი ბეილი შემდგომ ჩანაწერებში) საკურთხევლად თავის თავს სთავაზობს, მაგრამ სამწუხაროდ, იგი ვაჟის პირველ ძღვენს ბევრად უფრო არაკეთილშობილი ძღვენით პასუხობს. ფრანგ ოფიცერს უკანვე უბრუნებს იმ ხენს, რომელიც, როგორც ამბობენ, კონეტაბლ დე ბურბონისის კაცებმა ჩამოიტანეს იტალიაში და მას შემდეგ ფრანგულ სენად იწოდება. ამრიგად, მარსის მსახური, ვენერას სათუთ სამსახურს რომ ეძიებდა, ახლა წლების მანძილზე აღსულგებულია მკაცრ ღმერთ მერკურის მსახურად მოუტანოს.

პარიზი, 1808 წელი. კვლავ მებუთე სართულის მანსარდშია, კვლავ სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია. ხმალი აღარა აქვს, ფუნჯები, დეწები, ზონრები დ ლეიტენანტის პატენტის ხელდაც კუნჭულში მიუყრია. იყო ჯარისკაცობიანას თამაში, გულის არევამდე მოეყირკა. ის იყო იმ ბრიყვებს ეგონათ, მართლაც გასწევდა საგარნიზონო სამსახურს ბინძურ სოფლებში, ცხენს სამურყლით გასწმენდდა ხოლმე და ცუცქწუნ დაუდგებოდა უფროსებს, რომ ანრი ბეილია

არმიიდან მოუსვა: არა, მორჩილება ამ კერპ-ჯიუტას საქმე არ გახლავთ, მისი უწინაესი ბედნიერებაა „არავის მბრძანებლობდნ და არც არავისი ხელქვეითი იყოს“. მოკლე ბარათი მისწერა მინისტრს გადადგომის შესახებ და ამასთანავე მეორე წერილი თავის ქვეწვთა-მამას გაუგზავნა. ხელი მომიმარტყა -- სტენდალი ქალს მამაც, რომელსაც ანრიმ თავის წიგნებში ასე უმოწყალოდ დასწამა ცილი (და რომელსაც შვილი აღბათ ისევე მოუქნელად და მორცხვად უყვარდა, როგორც მის ვაჟს ქალები), ეს უჭიშო, როგორც მას ანრი დაციწვით იხსენიებს თავის ჩანაწერებში, მართლაც ყოველთვის ურად უგზავნის ფულს. თუმცა ბევრს არა, მაგრამ მაინც იმდენს, რომ გასაძლისი კოსტუმი შეაკერინოს, პომპეზური ბალსტუხები შეიძინოს და თეთრი საწერი ქალაღდი კომედიების შესათხზავად. ვინაიდან ახლახან გადაწყვიტა: მათემატიკის შესწავლა აღარა სურს, დრამატურგი სურს გახდეს.

ჯერ იმითი იწყებს, რომ ხშირად დადის „კომედი ფრანსეზში“, რათა კორნელისა და მოლიერიისაგან ისწავლოს დრამატურგიული ხელოვნება. მერმე ასეთ რაიმეს აღმოაჩენს, ძალზე მნიშვნელოვანს მომავალი დრამატურგიისათვის: უნდა ქალებს იცნობდეს, უნდა შეეყვარებული იყოს და უნდა უყვარდეს ვინმე, ვინმე „მშვენიერი სული“, „მოსიყვარულე სული“ იპოვოს. მოდა, პატარა ადელ რებუფეს უწყებს არშიყობას და ვითარცა უიმედოდ შეყვარებული რომანტიკული ტრფობის ფიალას ბოლომდე გამოცლის; საბედნიეროდ, ადელის ფაშფაშა დედა ანუგეშებს კვირაში რამდენჯერმე (როგორც იგი დღიურში აღნიშნავს) ბევრად უფრო მიწიერი სიყვარულით. თავშესაქცევი ამბავი გახლავთ და ქეჟის სასწავლიც, მაგრამ ეს მაინც მისი საოცნებო, ჭეშმარიტი სიყვარული არ არის, ამიტომ განუზრელად ეძებს ამაღლებულ კერპს. ბოლოს ლუაზონი, „კომედი ფრანსეზის“ პატარა მსახიობი ქალი, აღუძრავს ბობოქარ ვნებათა ღელვას და სიამოვნებით იღებს კიდევ მისგან ქათინაურებს, თუმცა ჭერჭერობით მეტის გაბედვის უფლებას არ აძლევს. მაგრამ ანრის სწორედ მაშინ ეძალება ხოლმე სიყვარული, როდესაც ქალი უარს ეუბნება, ვინაიდან იგი მხოლოდ მიუწვდომელს შესტრფის, და სულ მალე ტრფობის აღში ებვევა ოცი წლის კაბუკი.

მარსელი, 1808 წელი. განსაცვიფრებელი, თითქმის დაუჭერებელი ფერისცვალება. ნუთუ ეს მართლაც ანრი ბეილია, ნაპოლეონის არმიის ექსლეთენანტი, პარიზელი დენდი



და გუშინდელი პოეტი? ნუთუ მართლაც ის არის — ეს შავწინსაფარაფარებული ნოქარი, მარსელის ერთ-ერთ ქუჩყიან შუკაში, ნავსადგურიდან მარცხნივ, ფირმა „მენიე და კომპანია“ კოლონიური საქონელი ბითუმად და ცალობითის“ ვიწრო სარდაფში, ზეთისა და ლედვის ხუნით გაფლენილ თაღებქვეშ, კონტორულას ტაბურეტზე რომ წამოსკუპებულა? ნუთუ ის ამადლებული სულის პატრონი, ჭერ კიდევ გუშინ უზენაეს გრძნობებს რომ უმღეროდა ლექსებში, დღეს მართლაც ქიშმიშისა და უავის, შაქრისა და ფქვილის გასაღებიტაა გართული, მუშტრებს წერილობით აფრთხილებს და საბაჟოებში მოხელეებს ევაჭრება? დიას, ის გახლავთ, მრგვალთავა და კერპჭიუტა, ტრისტანმა თუ მათხოვრად გადაიცვა, რომ თავის სატრფოს — იზოლდას ხლებოდა, ხოლო მეფის ასულები პაჟის ტანისამოსში გამოეწყვენენ, რათა თავიანთ რაინდს ჭვაროსნულ ომში გაბყოლოდნენ, — მან, ანრი ბეილიმა, უფრო გმირული რამ ჩაიდინა: ნოქრად დადგა კოლონიალური საქონლის ფირმაში, ვაჭრუკანად და მედუქნედ იქცა, რათა თავის ლუაზონს ხლებოდა, რომელიც მარსელის თეატრში მიიწვიეს. მერე რა, რომ მთელი დღე ხელი შეპარსა და ფქვილში უყვია, სამაგიეროდ შეუძლია საღამოს მსახიობ ქალს თეატრში გაუაროს და ღამე სატრფოსთან გაატაროს, სამაგიეროდ შეუძლია სამხრეთის ზღვის ტალღებში მისი ახალგაზრდა და სალუქი სხეულის ცქერით დატკბეს და პირველად სიცოცხლეში მფლობელის სიამაჟე განიცადოს.

დიდებული დროა, დიდებულად აუხდა ოცნება! მაგრამ, სამწუხაროდ რომანტიკოსისათვის არაფერი ისე საშიში არ არის, როგორც იდეალთან ერთობ ახლო მისვლა. მაშინვე საცნაური ხდება, რომ მარსელი, ნანინანატრი სამხრეთული ქალაქი, მიუხედავად მის მკვიდრთა ხმაურიანი ეესტ-მიმიკისა, არსებითად ისეთივე პროვინციული ქალაქია, როგორიც გრენობლი, და მისი ქუჩები ისევე უარს და გაბინძურებულია, როგორც პარიზისა. და თვით მაშინაც კი, როდესაც შენი გულის ღვთაებასთან ცხოვრობ, შეიძლება გულის გამაცრუებელ დასკვნამდე მიხვიდე, რომ თუმცა მშვენიერია შენი ღვთაება, მაგრამ ძალზე სულელიცაა, და ნელ-ნელა მოწყენილობა გაპრობს. ბოლოს გიხარია კიდევ, როდესაც მას ერთ მშვენიერ დღეს თეატრიდან ითხოვენ და ისიც ღრუბლის ქულასავით პარიზისკენ გაქროლდება: ერთი ილუზიისაგან იკურნები კაცი, რათა ზვალზე დაუცხრომლად ახალს დაუწყო ძებნა.

\* \* \*



ბრაუნშვაიგი, 1806 წელი. ისევე ახლებურად გამოწყობილა.

კვლავ მუნდირი აცვიქცეულა, უნტეროფიცრის უხეშე მუხრუჭე მუხრუჭე აღარ, რომელიც მარტოოდენ მარკიტანი და მკერავი ქალების ან მოსამსახურე გოგოების ყურადღებას იპურობს. ახლა შლაპებს მოკრძალებით იშვლენ პენ თავიდან ადგილობრივი გერმანელი დიდგვაროვანნი, როდესაც დიდი არმიის საინტენდანტოს წარმომადგენელი, ბატონი ანრი ბეილი ბატონ ფონ შტრომბეკთან ანდა ბრაუნშვაიგის საზოგადოების სხვა რომელიმე წარჩინებულ წარმომადგენელთან ერთად ქუჩაში შიაბიჭებს. თუმცა არა, ის ხომ ანრი ბეილი აღარ არის, კეთილი ინებეთ და მცირეოდენი შესწორება შეიტანეთ: მას შემდეგ, რაც გერმანიაშია და თანაც ასეთ საპატიო თანამდებობაზე, იგი ხელს ასე აწერს: ბატონი ფონ ბეილი, „Henri de Beyle“. მართალია, ნაპოლეონის მისთვის აწნაურობა არ უბოძებია, ასე გახინჯეთ, მცირე „საპატიო ლეგიონით“<sup>17</sup> ან ლილეკლოს დამამშვენიებელი სხვა რაიმე ნიშნითაც კი არ დაუჭილდოებია ომის ეს საეჭვო ენთუზიასტი, რომელიც თავის ბიძაშვილ დარიუს მეშვეობით უოველ ომში ახერხებდა მსუყე და მუუდრო ადგილების დაკავებას, მაგრამ ანრი ბეილი, გამჭრიახი თვალის პატრონი, უშალვე ამჩნევს, რომ ჩაუქ გერმანელებს ისე უყვართ ტიტულები, როგორც ბუზს თაფლი, და თანაც კეთილშობილთა საზოგადოებაში, სადაც ამდენი მოხდენილი და შადის აღმძვრელი ქერათმიანი ასული თითქოსდა თავისთან საცდევად გიხმობს, შენც აღარ გინდა მდაბიო ბურჟუად მიგიღონ, ფრანგული ანბანის ორად ორი ასო კი შენს ბრწყინვალე მუნდირს განსაკუთრებული შარავანდედით მოსავს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ბატონ ბეილს საჩოთირო მისია აკისრია: მან უნდა კიდევ შვიდი მილიონი კონტრიბუცია ამოქაროს, ასედაც უმოწყალოდ აკლებული მხაროდან, თან წესრიგი დაიცვას და მოსახლეობაც დარაზმოს. ამას ის მხოლოდ ცაციათი იქმს და თანაც, როგორც ჩანს, მოხერხებულად და ენერგიულად, ხოლო მარჯვენას დაუსაქმებლად ინახავს, რათა ბილიარდის თამაში, ნადირობაში გაწაფვა და სხვა უფრო ნატიფი სიამოვნების მიღება შეიძლოს. ვინაიდან მდებრობითი სქესის საამური წარმომადგენლები გერმანიაშიც ყოფილან, პლატონურად ვინაე ქერათმიან და არისტოკრატ მინჰენს ეტრფის, ხოლო უფრო მდაბალ მოთხოვნილებებს ღამღამობით ერთი მეგობრის გულისხმიერ ამფსონ ქალთან იკმაყოფილებს, ექსპრესიული გვარით შემკულთან:



კნაბელბუბერი. ასე რომ, ანრი კვლავ კარგად მოეწყო. მარშლები და გენერლები არა შურს, დაე მათ აუსტერლიცი და იენის მზის ქვეშ ომის შეჭამანი შექმანონ, თვითონ წყნარად მოკალათებულა ჩრდილში, წიგნებს კითხულობს, ბრძანებს გერმანული ლექსები უთარგმნონ და ისევ საუცხოო ბარათებსა სწერს თავის დას — პოლინას, სულ უფრო და უფრო მცოდნე ხდება, სულ უფრო და უფრო რსტატდება და ცხოვრების ხელოვნებას ეუფლება. აღალს ადევნებული ტურისტებით თუ მოხვედრა ბრძოლის ველზე ეს ინტელექტუალური დილექტანტი რაგინდარა ხელოვნებისა და რაც უფრო ეცნობა ქვეყანას და რაც უფრო სწავლობს მასზე დაკვირვებას, მით უფრო იხვეჭს თავისუფლებას და ჰპოვებს თავის თავს.

\* \* \*

1809 წელი, 81 მაისი. ვენა, დილადრიან. ბინდბუნდით მოცული და ნახევრად ცარიელი შოტლანდიური ეკლესია.

პირველ შერბთან ძაძით მოსილ რამდენიმე ბერიკაცსა და დედაბერს მოუყურია მუხლი — რორაუელი კეთილი შაშვილი ჰაიდნის ნათესავებს. იმ ამბავმა, რომ ფრანგთა ჯარბაზნების უშუბარებმა ანაზდეულად მის საყვარელ ვენაში იწყეს ცვენა, უოჩალი, მაგრამ უკვე მსცოვანი, ქარხვით მჩატე მოხუცი ისე შეაშინა, რომ სული განუტევა. სახელმწიფო მიმნის მელოდიის ავტორი პატრიოტულად გარდაიცვალა. ამ მიმნის სიტყვები წაიდუღუნა თურმე: „ღმერთო, იყავი იმპერატორ ფრანცის მფარველი!“ — და გუმპენდორფის გარეუბანში მდგარი პატარა სახლიდან ბალდივით მსუბუქი ცხედრის გამოტანა და მაიპარად დაკრძალვა ქალაქში შემოშავალი არმიის ორომტრიალში მოუხდათ. ახლა კი ვენელი მუსიკოსები თავიანთ მანსტროს შოტლანდიურ ეკლესიაში ნაგვიანევად უხდიან პანაშვიდს. ოკუპირებულ ქალაქში მაინც საკმაოდ ბევრს გაუბედავს კომპოზიტორის პატივსაცემად შინიდან გარეთ გამოსვლა; შეიძლება მათ შორის მოკლევადება და ლომის ფაფარივით თმაგაწიწილი ობროდიცა დგას — ბატონი ვან ბეთჰოვენი, შეიძლება მალა ბიჭუნების გუნდში თორმეტი წლის ლიბთენთალიელი უმაწვილიცა დგას, რომლის სახელი და გვარი ფრანც შუბერტია, მაგრამ ამჯერად ერთმანეთს არ აქცივენ ყურადღებას, ვინაიდან უფცრად ვილაც ფრანგი ოფიცერი შემოდის, სრულ ფორმაში გამოწყობილი, ეტყობა, მალალი რანგისა, თან ვილაც მეორე ბატონიც ახლავს, რომელსაც აკადემიის მოსირმული საპარადო მუნდირი აცვია. უნებლიეთ ყველანი კრთებიან: ნუთუ ამ ფრანგ დამპყრობლებს ახლა იხიც სურთ

აკრძალონ, რომ აქ კეთილსა და სათუთ მოხუც ჰაიდნს უკანასკნელი პატივი დასდონ? არა, სრულებითაც არა. ბატონი ფონ ბეილი, ნაპოლეონის დიდი არმიის აუდიტორი, აქ მხოლოდ და მხოლოდ როგორც კერძო პირი, ისე მოვიდა. მთავარ სადგომში როგორც კერძო პირი, პანაშვიდზე მოცარტის რეკვიემს მსხუტებენოხლო მოცარტის ან ჩიშაროზას მოსახმენად ეს საეჭვო შემოპარი შზად არის ასი მილი გაიაროს ტენებ-ტენებით, ვინაიდან მისთვის ამ საყვარელი მანსტროების ორმოციოდე ტაქტი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე გრანდიოზული, მსოფლიო ისტორიული ბრძოლა და ორმოცი ათასი მოკლული. ფრთხილად მიდის საეკლესიო მერხთან და უურს უგდებს მდორედ გახმიანებულ დასაწყისს. უცნაურია: რეკვიემი მას ბევრს არაფერს ეუბნება. იგი ერთობ „ხმოვანად“ ერვენება. ეს „მისი“ მოცარტი არ არის, ფრთხალი, ჰაეროვანი; ყოველთვის, როდესაც ხელოვნება იმ ნათელ და მელოდიურ ხაზს გადალახავს ხოლმე, რომლის მიღმაც ადამიანის ხმაზე მძლავრად შარადიულ სტიქიონთა უფრო შმაგი და ბობოქარი ხმები გაისმის, მისთვის ეს ხელოვნება უცხო ხდება. საღამოსაც კერტნერტორ-თეატრშიც „დონ ჟუანი“ მხოლოდ თანდათანობით ხდება მისთვის განაგები და დარბაზში მის მეზობლად მჯდომ ბატონ ვან ბეთჰოვენს, რომლის შესახებ მას არაფერი ხმენოდა, თავისი ტემპერამენტის ქარბორბალა რომ დაეტეხა მისთვის, სტენდალს არა ნაკლებ შეაკრობდა ეს წმინდა ქაოსი, ვიდრე მისი დიდი თანამოძმე ხელოვნებაში, ვიდრე ბატონი ფონ გოთე შეაკრთო.

პანაშვიდი მთავრდება. ანრი ბეილი შუბლგახსნილი გამოდის ეკლესიიდან, სახე და მუნდირი უბრწყინავს. აუჩქარებლად მიაბიჭებს გრაბენის გასწვრივ; რა მომხიბლავნი არიან ეს მშვენიერი, სუფთა ქალაქი ვენა და მისი მკვიდრი, რომელთაც ასე ხელეწიფებათ მუსიკობა და ამასთანავე ისე ტლანქი და პირქუში არ არიან, როგორც სხვა გერმანელები. იქ, ჩრდილოეთში. წესით ახლა მან თავის კანცელარიას უნდა მიაშუროს და დიდი არმიის მომარაგებაზე იზრუნოს, მაგრამ ამ მოვალეობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მისი ბიძაშვილი დარიუხომ საფორანე ცხენივით მუშაობს, და ნაპოლეონიც, ასე იქნება თუ ისე, მაინც შეიძლებს გამარჯვებას. მადლობა ღმერთს, რომ ისეთი ობროდები შექმნა, რომელთაც მუშაობა ეხალისებათ: კაცმა შეიძლება არხეინად იცხოვრო მათ ხარჯზე. და დარიუს ბიძაშვილი, ახალგაზრდობაშივე ვირტუოზობამდე გაწაფული უმადურობის ეშმაკისეულ ხელოვნებაში, უფრო საამურო და სახალისო სამსახურს ირჩევს — ნუგეში



სტრუქტურის ხოლომე ვინაში მყოფ მაღალ დარბაზს, მოწვენილს გააფორმებთ მომუშავე მეუღლის მოუცლელობის გამო. ანა, შენს კეთილისმყოფელს იმაზე უკეთ რითი მიუზღავ სამაგიეროს, თუ არა იმით, რომ მის მეუღლეს დაუდგე კეთილისმყოფელად და აღერსი და სინაზე არ მოაქლო? ცხენებით დასერილობენ პრატიკში, დაწერულ საღებროში ირთვება ტრუფობის მკედი. ათვალე რებენ გაღერებებს, დიდგვაროვანთა საგანძურებსა და საზაფხულო ციხე-კოშკებს, თითქმის უნგრეთამდე აღწევენ რესორებიანი რბილი ეტლებით. მაშინ როდესაც ქარისკაცები ერთმანეთს თავის ქალას უჩეჩქავენ ვაგრამთან? ხოლო ალაღ-მართალი ქმარი დარბაზ ქალადს ქალადღე აქრელებს მელნით. ნაშუადღევს მიუვარულს ეთმობა: სულამო კერტნერტორ-თეატრს, უპირატესად მოცარტს, საერთოდ კი თანდათანობით, თანდათანობით ხედება ინტენდანტის მუნდირში გამოწყობილი ეს უცნაური ადამიანი. რომ მისთვის ცხოვრების აზრსა და ეშხს მარტოოდენ ხელოვნება შეადგენს.



1810-1812 წლები. პარიზი. იმპერიის ოქროს ხანა.

სულ უფრო და უფრო საუცხოოდ ეწყობა ფული აქვს და საქმე კი არა. ღმერთია მოწმე, სრულად დაუმსახურებლად. დიაცოს ნაზი ხელის შემწეობით სახელმწიფო საბჭოს წევრი და იმპერატორის ტახტის მოძრავი ქონების მწე ხდება. მაგრამ, საბედნიეროდ, ნაპოლეონს თავისი სახელმწიფო მრჩევლები მაინცდამაინც არა სჭირდება, მათ დრო აქვთ და შეუძლიათ ბევრი ისერიონს, მაგრამ ქვეითად კი არა, არამედ ეკიპაჟით. ვინაიდან ანრი ბეილი, რომელმაც ამ ანაზღვეული დანიშვნის წყალობით ჭიბე მაგრად გაისქელა, უკვე საკუთარი, ახალთახალი, გაკრიკლებული კაბრიოლეტით დადის, კაფე დე ფონში სადილობს, კოსტიუმებს საუკეთესო თერძს აკერინებს, თავის ბიძაშვილ ქალთან ცხოვრობს და თან — მისი ახალგაზრდობის იდეალი — მოცეკვავე ქალსაც ინახავს, გვარად ბერაიტერს, რა უცნაურია, რომ ოცდაათი წლისას უფრო იღბალი აქვს ქალებში, ვიდრე ოცი წლისას; რა გაუგებარია, რომ რაც უფრო ცივად უჭირავს თავი, მით უფრო ეძალებათ მათ ვნებათა ღელვა. ახლა თანდათანობით პარიზიც მოსწონს, დარბაზ სტუდენტს რომ ასე ამაზრზენი მოეჩვენა. ცხოვრება ჭეშმარიტად საამური ხდება. ყველაზე საამური კი ის არის, რომ ბევრი ფული აქვს და დროც, ასე გახინჯეთ, იმდენი დროც, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავშესაქცევად, კაცმა რომ თქვას, მარტოოდენ თავისი საყვარელი იტალიის მოსაგონებლად წერს წიგნს იმ

სამყაროდან: „ფერწერის ისტორია“. აჰ, ხელოვნების ისტორიაზე ნაშრომთა წერა — ეს ხომ სასიამოვნო საქმეა, მთავრე ტვირთად არ გაწვება, მით უმეტეს, თუ ანრი ბეილივით თავს არ შეიწუხებ და სამ წყურბრდს უმტყლოდ სხვა წიგნებიდან გადმოიწერს ხოლომე დანატრენს კი არხეინად ანეკდოტებითა და ნაკვესებით შეავსებ: თან განა ბედნიერება არ არის გონებრივ ამბებს თუნდაც მხოლოდ როგორც მომხმარებელი ეზიარო! ვინ იცის, უჭრობს ანრი ბეილი, იქნებ ოდესმე, მოხუცებულობის უამს, წიგნებიც დაწეროს, რათა მეხსიერებაში გარდასული დრონი და ქალები ადადგინოს, მაგრამ უკვე ახლავე ანა რა საქირთა? ჭერ ხომ ცხოვრება ერთობ მდიდარია, შესაძლებლობებით აღსავსე და მშვენიერი, რომ იგი კაცმა საწერ მაგიდასთან გაატაროს!



1812-1813 წლები. მცირეოდენი შეფერხება; ნაპოლეონი ისევ და ისევ ომობს, ამჯერად რამდენიმე ათასი მილის იქით. მაგრამ რუსეთი, საარაკო შორეული ქვეყანა, მარად ცნობისმოყვარე ტურისტს იზიდავს: რა ხელსაყრელი შემთხვევაა! კრემლსა და მოსკოვიტებს შეავლებს თვალს, სახელმწიფოს ხარჯზე გაინავარდებს აღმოსავლეთით. რასაკვირველია, მხოლოდ არიერგარდში იქნება არხეინად, საფრთხეში არ ჩაიგდებს თავს, ისევე როგორც ოდესღაც იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში. მართლაც, მარზე ლუიზესაგან ვეება პაკეტს იღებს, სავსეს დიადი მეუღლისადმი მიწერილი ბარათებით: მას საზეიმოდ ავალეებენ საიდუმლო ფოსტა სასწრაფო კარეტებითა და ბეწვისკალთებიანი მარხილებით მოსკოვში ჩაიტანოს. ვინაიდან ომი — ბეილმა ეს საკუთარი გამოცდილებიდან იცის — ახლოდან დანახული მისთვის მუდამ მომაკვდინებლად მოსაწყენი რამ არის, ზოგი რამ პირადად თავისთვის, გასართობად შიაკვს: მწვანე ტარსიკონის უდაში ჩასმული თავისი „ფერწერის ისტორიის“ თორმეტი ხელნაწერი ტომი და მრავალი წლის წინათ დაწყებული კომედიია; რადგან საღ შეიძლება უკეთ იმუშაო კაცმა, თუ არა მთავარ ბანაკში? ბოლოს მოსკოვში ტალმაც<sup>20</sup> ჩამოვა და დიდი ოპერაც, ძალიან მოწყენილი არ იქნება, და თანაც ახალი სახესხვაობა — შოლონელი და რუსი ქალები...

ბეილი გზაში მხოლოდ იქ ჩერდება, სადაც წარმოდგენები იმართება: ომშიც, მოგზაურობაშიც მუსიკას ვერ ელევა, ხელოვნება ყველგან უნდა თან ახლდეს. მაგრამ რუსეთში კიდევ უფრო გასაოცარი ხანახაობა ელის: ცეცხლწაკიდებული მოსკოვი, მსოფლიო მეტროპოლია. ამაზე დიდებული პანორამა ნერონის დროიდან



არ უხილავს არც ერთ პოეტს. ოღონდ ანრი ბეილი ოდესს არა თხზავს ამ პათეტიკური საბაბის გამო და წერილებშიც ნაკლებად ეხება ესოდენ უსიამოვნო ამბავს. დიდი ხანია ტკობის ამ დახვეწილი მოყვარულისათვის ამა ქვეყნის მხედრობითა შეხლა-შემოხლაზე უფრო მნიშვნელოვანია მუსიკის ათიოდე ტაქტი ანდა პეკვიანური წიგნი; გულის ფაქიზი ძგერა უფრო აღელვებს, ვიდრე ბოროდინოს კანონადა და სხვა რამ ისტორია ნაკლებად აინტერესებს, თუ არ საკუთარი ცხოვრებისა. გრანდიოზული ხანძრიდან ვოლტერის ლამაზუდიანი ტომი გამოაქვს და აპირებს თან წაიღოს. მოსკოვის სახსოვრად, მაგრამ ამჯერად ომი თავის სუსხიან ქუსლს ალაღის შეოცნებებესაც მაგრად აქერს ფეხის თითებზე. ბერეზინასთან აუდიტორი ბეილი (მთელ ქარში ერთადერთი ოფიცერი, რომელიც ასეთ წვრილმანზე ფიქრობს) კიდევ ასწრებს საგულდაგულოდ გაპარსვას, მაგრამ მერე იძულებულია თავკუდმოგლეჩილმა გადაიბინოს ხიდი, რომელიც ინგრევა, თორემ შეიძლება სიცოცხლეს გამოეხალმოს. დღიური, „ფერწერის ისტორია“, ვოლტერის მშვენიერი ტომი, ცხენი, ქურჭი და ჩემოდანი კაზაკებს რჩებათ. დაფლეთილი ხაშოსის ამარა, კუჭკიანი, გატანჯული, უინვისაგან კანდამსკდარი, იგი პრუსიას აფარებს თავს. და შვებით პირველი ამოსუნთქვა კვლავ ოპერაა: როგორც სხვები გადასახალისებლად — აბაჯანაში, ისე ეშვება ის დაუყოვნებლივ მუსიკის სტიქიონში. ასე რომ, ანრი ბეილისათვის რუსეთში დაშქრობა, დიდი არმიის განადგურება მხოლოდ და მხოლოდ ინტერმეტოდ იქცევა ორ სპექტაკლს შორის, «Clemenza di Tito»-სა და «Matrimonio segreto»-ს შორის. პირველს დაბრუნებისას, კონიგსბერგში დაეხწრო, ბოლო მეორეს რუსეთში გამგზავრების წინ, დრევდენში.

\* \* \*

1814-1821 წლები, მილანი. ანრი ბეილი კვლავ სამოქალაქო პირია, ომი მოეუირობა, ახლა ბოლოოდ მოეუირობა. უველა ბრძოლა ახლოდან ერთმანეთსა ჰგავს, უოველ მათგანში ერთსა და იმავეს ზედავ, „სახელდობრ, არარაობას“. მოეუირობა დავალებათა შესრულება და მიმორწრა, სამხედრო დაწესებულებები და შეტაკებანი, სამშობლობანასა და ოფიცრობანას თამაში დაე ომის შანიით — ამ საშინელი სენით შეტყრობილმა ნაპოლეონმა ერთხელ კიდევ დაიბუროს საფრანგეთი, კეთილი, დაე დაიბუროს, მაგრამ ამიერიდან მას ბატონ აუდიტორ ბეილის მხარდაჭერის გარეშე მოუხდება მოქმედება. ანრი ბეილს სხვა აღარა უნდა რა, გარდა იმისა,

რომ არავის მბრძანებლობდეს და არავის ემორჩილებოდეს, მას მარტოოდენ უვედაზე ბუნებრივი რამ, მაგრამ ამასთანავე უვედაზე ძნელი რამ სწადია: ბოლოს და ბოლოს თავისი საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს.

ქერ კიდევ სამი წლის წინ ნაპოლეონის ორ მორიგ ომს შორის ჩამოვარდნილი დაუნიონ ისარგებლა, შვებულება აიღო და ორი ათასი ფრანკით ქიბეში, ბავშვივით გახარებულმა და შვებით აღსავსემ, იტალიას მიაშურა; უკვე მაშინ ენატრებოდა საკუთარი სიჭაბუკე და ეს კემნიანი ლტოლვა ხანში შესულ ბეილს უკანასკნელ საათამდე არ უცხრება, ბოლო მის სიჭაბუკეს კი იტალია, იტალია და ანჭელა პიეტრაგრუა ჰქვია. რომელიც მას, პატარა უნტეროფიცერს, მორცხვად და მოყრძალებით უყვარდა და რომელზეც ახლა, როდესაც კარტა ნაცნობი უღელტეხილებიდან დაბლა ეშვება, უნებლიეთ, იწყებს ფიქრს. სალამო ხანს მილანში ჩადის, მარდად იბანს ხელ-პირს, იცვლის ტანსაცმელს და თავის მარად სახუკვარ „სკალას“ მიაშურებს მუსიკის მოსასმენად. და მართლაც, მისი სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „მუსიკა აღვიძებს სიყვარულს“.

მეორე დღესვე ანჭელასთან მიდის, უბრძანებს მოახსენონ მისი ჩამოსვლა, ქალიც გამოდის, ისევ და ისევ მშვენიერი, მაგრამ როგორც უცხო, ისე თავაზიანად ესალმება მას, მომზადური თავის ვინაობას უუბნება: ანრი ბეილი განლავართო, მაგრამ არც ეს სახელი და გვარი ახსოვს ქალს და მაშინ ბეილი უუანვილსა და სხვა ამხანაგებს მოაგონებს. ბოლოს და ბოლოს ანჭელას საყვარელ, ათასგზის ნანიანატრ სახეს ღიმილი აცისკროვნებს: „ჰაჰ, აჰ, თქვენ ის ჩინელი ხართ!“ გამჭირდავი მეტსახელის მეტი აღარაფერი ახსოვს ანჭელა პიეტრაგრუას თავისი რომანტიკული თაყვანისმცემლისა. მაგრამ ანრი ბეილი ახლა ჩვიდმეტი წლისა აღარ არის და არც ახალბედა აღარ გახლავთ. თამამად და მგზნებარედ უმბელს ქალს თავის უწინდელი და აქვამინდელი ტრფიალის ამბავს. ანჭელას უკებრტა: „ჰო, მაგრამ რატომ მაშინ არ მითხარით?“ ის ხომ სიამოვნებით უბოძებდა იმ წვრილმან რალაცას, რაც გულკეტილ ქალს ძვირად არ უღირს, მაგრამ, საბედნიეროდ, ქერაც დროა და მალე რომანტიკოსს, მართალია, თერთმეტი წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც ექლევა შესაძლებლობა თავის შარვლის აჭიმზე ანჭელა პიეტრაგრუაზე სატრფიალო გამარჯვების თარიღი ამოაქარგინოს: 21 სექტემბერი, დღისით, თორმეტის ნახევარზე.

მაგრამ შემდეგ დაფდაფებმა ერთხელ კიდევ მოუბმეს უკან დაბრუნებულიყო პარიზში. ერთხელ კიდევ უკანასკნელად, 1814 წელს იძუ-



ლებულია ამ ომის გიჟი კორსიკელის გამო პროვინციები მართოს და სამშობლო დაიცვას, მაგრამ, საბედნიეროდ, პარიზში სამი იმპერატორი შემოდის, — დიახ, საბედნიეროდ, რადგან ანრი ბეილს, ცუდ ფრანგს, საშინლად უხარია, რომ ომიანობას, დაე თუნდაც დამარცხნებით, მაგრამ მაინც ბოლო მოეღო. ახლა, როგორც იქნა, შეუძლია სამუდამოდ იტალიაში გაემგზავროს, სამუდამოდ გათავისუფლდეს ყოველგვარი სამხანურისაგან და სამშობლოსგანაც. საუცხოოდ ატარებს წლებს, ბოლიანად უძღვის მათ მუსიკას, ქალებს, საუბრებს, შემოქმედებას, ხელოვნებას წლებს ატარებს სატრფოებთან, თუმცა კი ისეთებთან, სამარცხვინოდ მოტყუება რომ იციან, როგორც, მაგალითად, ერთობ გულუხვმა ანჟელამ, ანდა სათნოების გამო უარს რომ ეუბნებოდნენ, როგორც მშვენიერი მათილდა, და მაინც ეს იყო წლები, რომლებშიც სულ უფრო და უფრო შეიგრძნობდა შეიშეცნებ საკუთარ თავს, ყოველ საღამოს „სკალაში“ სულიერად ხელახლა განიბანები მუსიკის შემწეობით. ზოგჯერ გულს იოხებ ეპოქის უკეთილშობილეს პოეტთან, ბატონ ბაირონთან ხაუბრით და შეგიძლია შეიტკბო ამ მშვენიერი ქვეყნის მთელი სიტურფე, მხატვრული შემოქმედების მთელი სიუხვე ნეაპოლიდან დაწყებული რავენამდე. არავინ ხელქვეითი არა გყავს, არავინ გეღობება გზაზე, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხარ და სადაცაა საკუთარი თავის მენცარიც იქნები თავისუფლების სწორ-უპოვარი წლების „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

\*\*\*

1821 წელი, პარიზი. გაუმარჯოს თავისუფლებას? არა, იტალიაში უკვე კარგს არაფერს გიქადის თავისუფლებაზე ლაპარაკი. ამ სიტყვის გაგონებაზე ავსტრიელი ხელისუფალნი სახიფათოდ იღუშებიან. არც წიგნები უნდა წერო კაცმა, რადგან თუნდაც ისინი წმინდა წყლის პლაგიატს წარმოადგენდნენ, როგორცაა „წერალები მაიდნზე“ ანდა სამი მეოთხედით სხვა ავტორებისაგან იყვნენ გადმოწერილნი, როგორც „იტალიური ფერწერის ისტორია“ და „რომი, ფლორენცია, ნეაპოლი“, მაინც შენდა უნებლიეთ აქა-იქ სტრიქონებს მარილსა და პილპილს მოაყრი, რაც ავსტრიელ ხელისუფალთ ცხვირში უღიტინებთ. და მაშინ შკაცრი ცენზორი ვაბრუშეკი (უკეთეს გვარს ვერ მოგონებ კაცი, მაგრამ, ღმერთია მოწმე, ის მართლაც ამ გვარისა გახლავთ!) არ დაახანებს პოლიციის მინისტრ ზედლნიციის ვენაში მოახხენოს მათში არსებული „ურიცხვი სააუგო ადგილის“ შესახებ. ასე და ამგვარად, თავისუფლად მოაზროვნე და თავისუფლად მოხეტიალე იოლად

შეიძლება საფრთხეში ჩავარდეს. ავსტრიელებმა იგი შეიძლება კარბონაროდ მიიჩონ. ხოლო იტალიელებმა ჯაშუსად, ამიტომ სჯობს კიდევ ერთი ილუზიით განიძარცვოს და კედლან მოუხვას. თანაც თავისუფლებებისათვის კიდევ ერთი რამაა საჭირო, სახელდობრ, უფრო მეტი ამ უჯიშო მამამისმა კი (ბეილი იშვიათად თუ ამკობს თავის მამას ამაზე უფრო თავაზიანად) ახლა უკვე საბოლოოდ დაამტკიცა, რა ბრიყვი ვინმე იყო, რადგან მიუხედავად საშინელი სიძუნწისა და შრომისმოყვარეობისა, ერთი ბეწვა რენტაც ვერ დაუტოვა თავის უმადურ ვაჟს, პოდა, მაშ, საით გასწიოს? გრენობლში მოწყენილობისაგან სული ამოუვა, არმიის ზურგში საამურხა და სახალისო ვასეირნებებს, სამწუხაროდ, ბოლო მოეღო, მას შემდეგ, რაც ბურბონთა მსხლისებური სქელ-სქელი თავები ზანტად და ზარმაცად არიან მიტყეპებულნი მონეტებზე. ასე რომ, პარიზში უნდა დაბრუნდეს, მანსარდში, და ის, რაც აქამდე მართოდენ თავშექცევა, დილეთანტური გართობა იყო, ახლა მუშაობად იქცევა მისთვის: წიგნები უნდა დაწეროს ხოლმე, წიგნები, წიგნები.

\*\*\*

1828 წელი, პარიზი. მაღამ დე ტრასის, ფილოსოფოსის მეუღლის, სალონი. შუაღამეა. სანთლები თითქმის ჩამწვარა. კაცები ვისტს თამაშობენ, მაღამ დე ტრასი, ხანდაზმული ქალბატონი, დივანზე ზის და თავის მეგობარ მარკინას ემუსაიფება, მაგრამ გულისყური სხვაგანა აქვს. მათ უკან, მეორე ოთახში, ბუხართან საექვო ხმები გაისმის, ქალების კისკისი და კაცის ბიბბიხი, შემდეგ კი აღმწოლები გამოშხატველი შეძახილები: „არა, ეს მეტისმეტია!“ რასაც კვლავ უეცარი, ხანმოკლე და უცნაური სიცილი მოსდევს. მაღამ დე ტრასი ნერვულობს: ეს, რა თქმა უნდა, ისევ ის საძაგელი ბეილია, რომელიც ქალებს პილპილმოყრილი ნაკვესებით უმასპინძლდება. ქვეიანი, დახვეწილი ადამიანია, ორიგინალური და საინტერესო, მაგრამ მსახიობი ქალების აყოლამ, უწინარეს ყოვლისა კი იმ იტალიელ მაღამ პასტასთან? ურთიერთობამ ყოფაქცევა წაუბღინა. მაღამ დე ტრასი ბოდიშს იხდის და მარდად გადის პაკიპუკით მეზობელ ოთახში წესრიგის დასამყარებლად. მართლაც ბეილი ფეხზე დგახ, ბუხრის ჩრდილში შეუშეუღლა, ალბათ სიმსუქნის დასაფარავად, ხელში პუნშით სავსე ჭიქა უჭირავს და ისეთ ანეკდოტებს ჰყვება, რომ მუშკეტერიც კი გაწითლდებოდა. ქალები გაქცევაზე არიან, იცინიან<sup>23</sup> და ჯავრობენ, მაგრამ მაინც ადგილიდან არ იძვრიან, შეხანიზნავად მთხრობელის მიერ დატყვევებულნი ცნო



ბიხმოყვარეობასა და აღივსებას ველარ ფარაკენ. იგი სილენოსს მოგაგონებთ, გაწითლებული და მსუქანი, თვალეცხიმციმა, გულკეთილი და კვიანი. ახლა, როდესაც მაძამ დე ტრასი შემოდის და მას მკაცრად თვალს თვალში უყრის, ბეილი სასწრაფოდ წყვეტს თბრობას, ქალებიც დროს იხელთებენ და ოთახიდან სიცილით გარბიან.

მალე სინათლებს აქრობენ, ლაქიები სასანთლებით ხელში, რომელთაგან სტეარინი წვეთწვეთად იღვენთება, დაბლა, სტუმრებს აცილებენ კიბეზე. გარეთ საში თუ ოთხი ეტლი იცდის, ქალები შიგ სხდებიან თავიანთ კავალრებთან ერთად. განაწყენებული ბეილი მარტო რჩება, არც ერთ მათგანს არ მიჰყავს იგი, არც ერთი მათგანი არ ეპატიუება, ანეკდოტებას მთბრობელად კიდევ გამოდგება. მაგრამ სხვაფრივ ქალები უკვე აღარაფრად აგდებენ, გრაფინია კიურიალმა დაითხოვა, ზოლო მოცეკვავე ქალის უწინდებურად შესანახავად ჯული არ ჰყოფნის. ნელ-ნელა სიბერე ეპარება უკმურად შიამოტებს ნოემბრის წვიმაში შინისაკენ, რიშელიეს ქუჩისაკენ: ჯანდაბას, თუ ტანისამოსა დაესვრება, ისედაც ჯერ თერძი არ გაუსტუმრებია. საერთოდ, ობრავს ის, რაც კარგი იყო ცხოვრებაში, უკან დარჩა. კაცმა რომ თქვას, ბოლო უნდა მოუღოს უოველივეს. გაგულისებული აღის ხედა ხართულზე (ახლა ზოგჯერ ქოშანიც უვარდება მოკლე კისერის პატრონს). ანთებს სანთელს და საბუთებსა და ანგარიშებში იწყებს ქექვას. სავალალო ბაღანსია! რაც რამ ებადა, შეუქამია. წიგნებიდან არავითარი შემოსავალი არა აქვს. წლების მანძილზე მისი „სიუვარულის“ მხოლოდ ოცდაშვიდი ეგზემპლარი გაიყიდა, არც შეტი და არც ნაკლები. (შეგიძლია წმინდა წიგნი უწოდო კაცმა, რადგან ძებორციელი ვერა ბედავს მის ხელის ხლებასო, უთბრა გუშინ გამომცემელმა ცინიკურად). დღეში ხუთი ფრანკი რენტალა რჩება, რაც შეიძლება ბევრიც იყოს კარგი, მალხაზი ბიჭუნასათვის, მაგრამ შესაბრალისად მცირეა ხანში შესული და ჩასუქებული კაცისათვის, რომელსაც თავისუფლება და ქალები უყვარს. სჯობს უოველივეს ბოლო მოუღოს. ანრი ბეილი იღებს თაბახის ფურცელს და ეს უკვე მეოთხეჯერ ამ შელანქოლიურ თვეში წერს ანდერძს: „მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ვუტოვებ ჩემს ბიძაშვილ რომენ კოლომბს უველაფერს, რაც ჩემს ბინაში, რიშელიეს ქ. № 71-ში გამაჩნია. მე მინდა, რომ პირდაპირ სასაფლაოზე წამახვენონ, ჩემი დაკრძალვის ღირებულებამ ოცდაათ ფრანკს არ უნდა გადააჭარბოს“. და შერე უმატებს: „რომენ კოლომბს ვთხოვ მომიტეგოს, რომ ამდენი უსიამო საზრუნავი გაუჭრინე და უწინარეს უოვე-

ლისა კი მინდა არ იგლოვონ ამ გარდუვალი ამ ბიხ გამო“.

„ამ გარდუვალი ამბის გამო“ ხვალ მეგობრები გაიგებენ ამ ფრთხილ ფრანკს. მაგრამ, საბედნიეროდ, ანრი ბეილი დღეს დაღლილია და ერთი დღით სდებს მწიფეველლობას, ზოლო დღით მოდინა შეგონებები და ამხნევებენ. ერთ-ერთი მათგანი ოთახში ბოლოის ცემისას საწერ მაგიდაზე თაბახის თეთრ ფურცელს შენიშნავს, რომელსაც სათუთად „თიულიენი“ აწერია, და ეს რა არისო? — ეკითხება. ამ, რომანი მინდოდა დამეწყუო, — პასუხობს სტენდალი. აღტაცებული მეგობრები აქეზებენ შელანქოლით შეპყრობილს და ისიც მართლა იწყებს ამ თბზულებას. სათაურს — „თიულიენი“ — შლის და ცვლის ახლით, რომელიც შემდგომ უკვდავი ხდება, „წითელი და შავით“ იმ დღიდან ანრი ბეილს მართლაც ბოლო ეღება და სხვის, სახელად სტენდალის, არსებობას ეძლევა დასაბამი.

\* \* \*

1831 წელი, ჩივიტა-ვეკია, ახალი ფერისცვალება.

ზარბაზნიანი ნავეები საზეიმო ბათქს იძლევიან, აღმები ფრიალებენ მისალმების ნიშნად და ფრანგი დიპლომატის მდიდრულ ვიცეშუნდირში გამოწყობილი ჩასუქებული ბატონი გემიდან გადმოდის. პატივი დასდეთ! — ეს მოკარგულ ფრაქსა და ბუზმენტებიან შარვალში გამოჯგომული კაცი საფრანგეთის კონსული, ბატონი ანრი ბეილი გახლავთ. ერთხელ კიდევ უშვილა გადატრიალებამ, ოდესღაც ომი დაეხმარა, ახლა კი ივლისის რევოლუცია. ახლა იმკის იმ ამბავს, რომ ლიბერალი იყო და ერთთავად ოპოზიციაში ედგა ბრიყვ ბურბონებს: ქალის გულმოდგინე შუამდგომლობის წყალობით ერთბაშად კონსულად ნიშნავენ საყვარელ სამხრეთში, ჯერ ტრიესტში აწესებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ბატონი მეტერნიბი მავნე წიგნთა ავტორის ყოფნას არასასურველად მიიჩნევს და ვიზაზე უარს ეუბნება. ასე რომ, ჩივიტა-ვეკიაში მოუხდება საფრანგეთის წარმომადგენელი იყოს, რაც ნაკლებად ახარებს, მაგრამ რას იზამ, მაინც იტალიაა, თანაც წლიური ხელფასი თბუთმეტი ათასი ფრანკი ექნება.

იქნებ სირცხვილია არ იცოდე, სად მდებარეობს რუკაზე ჩივიტა-ვეკია? სრულებითაც არა: იტალიის ქალაქებიდან იგი აღბათ უველაზე მივარდნილი და უბადრუკი ქალაქია. გავარჯრებულ თეთრ ქვაბსა ჰგავს, რომელშიც აფრიკული მზის ღაღარზე აფრიკულივე ცბრო იხარშება. ძველრომაული იალქნიანი ზომადლების მომსწ-



რე ვიწრო ნავსადგური ქვიშით არის ამოვსებული. გამოვიგნული ქალაქია, გავრანებული, უკაცრიელი და ისე მოსაწყენი, რომ „მოწყენისაგან სული ამოხდება კაცს“. ყველაზე უფრო ანრი ბეილს ამ თავისი გადასახლების ადგილისა რომის შარავნა მოსწონს, რადგან მისი სიგრძე მხოლოდ ჩვიდმეტი მილია, და ბატონი ბეილი მაშინვე გადაწყვეტს ამ გზით უფრო ხშირად ისარგებლოს ხოლმე, ვიდრე დიპლომატიური რწმუნებით. კაცმა რომ თქვას, უნდა იმუშაოს, მოხსენებები შეთხზას, დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღოს, თავის პოსტზე იდგეს, მაგრამ ის დიდუფრები საგარეო საქმეთა სამინისტროში ხომ მაინც არ კითხულობენ მის მოხსენებით ბარათებს, მაშ რაღა უნდა იტყვოდეს ტვინს საწერ მაგიდასთან უქმად ქლომის ხელოვანთათვის, არა სჯობია მთელი საქმეები თავის ხელქვეითს, გარეწარ ლიზიმაქე კაუტანგლიუ ტავერნიეს მიანდოს, ერთ აშარსა და აქამ ვინმეს, რომელსაც ბეილი სძულს და რომლისთვისაც იგი იძულებული გახდება ხაპატიო ლეგიონის ორდენი გამოითხოვოს, რათა იმ ნაძირალამ ენას კბილი დააჭიროს და მისი ხშირი არყოფნის ამბავი არ დაროშოს. ვინაიდან ანრი ბეილი თავის სამსახურს აქაც მაინცდამაინც თავს არ აკლავს: ისეთი სახელმწიფოს მოტყუება, რომელიც პოეტს ესოდენ საძაგელ კაობში აგდებს, ყოველი პატიოსანი ეგოისტის საპატიო მოვალეობად ესახება: შართლაც, განაჭკვიან ადამიანებთან ერთად რომში ვალერუების დათვალეირება, ხან რა და ხან რა საბაბით პარიზში განავარდება არა სჯობია აქ თანდათანობით გამოშტერებას, რაც უეჭველად მოეღის? განა შეიძლება სულ მუდამ ერთსა და იმავე ანტიკვართან, მავან სინიორ ბუჩისტან სიარული და სულ მუდამ ერთსა და იმავე გუდამშიერ აზნაურებთან მუსაიფი? არა, ისევ ის ურჩევნია საკუთარ თავს ებაასოს; ძველ ბიბლიოთეკებში ქრონიკების რამდენიმე ტომი შეიძინოს და მათგან საუკეთესონი თავის ნოველებში გამოიყენოს; საკუთარ თავს მოუთხროს, რა ახალგაზრდაა სულით, თუმცა უკვე ორმოცედაათი წლისაა კი გახდა, ღიახ, ასე სჯობია: აწყობს დასავიწუებლად თავის თავს გადაავლოს თვალნი წარსულში და იმდენად შორეულად ეჩვენება ჩასუქებულ კონსულს უწინდელი გაუბედავი ბიჭი, რომელსაც აღწერს, რომ ჭკონია, „ვილაც სხვაზე ახდენდეს აღმოჩენებს“. ასე წერს ანრი ბეილი, ანუ სტენდალი თავის სიყმაწვილეზე, წერს სქელ რვეულებში, დაშიფრულად, რათა ვერავინ მიხვდეს. ვინ არის ეს ა. ბ., ეს ანრი ბრიულარი, და ყველას მიერ დავიწყებულს თვითონაც ავიწყდება საკუთარი თავი ხელოვნების მეშვეობით თვითგაახალგაზრდავების ამ მანუგეშებელ და მაცდურ თამაშში.

ვი ხელოვნების მეშვეობით თვითგაახალგაზრდავების ამ მანუგეშებელ და მაცდურ თამაშში.



1886-2888 წლები, პარიზი.  
 საოცარი! ერთხელ კიდევ განსწავლავს მკვდრეთით, ერთხელ კიდევ გამოვიდა დღის წინათღეზე! ღმერთმა დალოცოს ქალები, მთელი სიკეთე მათგან მოდის, — ისინი იმდენ ხანს ეპირფერებოდნენ შესანიშნავ გრაფ დე მოლეს, რომელიც ახლა მინისტრი გახდა, ვიდრე მან კეთილი ინება და თვალნი დახუჭა სახელმწიფოსათვის საზიანო ფაქტზე: ბატონმა ანრი ბეილმა, რომელიც მოგეხსენებათ, კონსულია ჩივიტა-ვეკიაში, სამკვირიანი შევებულება ყოველად კადნიერად, ისე რომ არავინ გაუფრთხილებია, სამ წელაწაღამდე გაწელა და ახლაც არ ფიქრობს თავის პოსტზე დაბრუნებას, ღიახ, სამი წელია წის კონსული თავისი ჭაობის ნაცვლად პარიზში, თითლიბაზე ბერძენს ამუშავებს თავის მაგივრად და აქ, დედაქალაქში, იღებს ხელფასს. დრო აქვს, კარგ ხასიათზეა, შეუძლია კვლავ საზოგადოებაში იტრიალოს და ერთხელ კიდევ ახლა უკვე ძალზე ფრთხილად შეეცადოს სატარფო გაიჩინოს. შეუძლია, რაც მოეპრიანება, ის აკეთოს, უწინარეს ყოველისა კი ის, რაც ახლა ყველაზე წარმტაცად ესახება ცხოვრებაში. ოტელის ოთახში ბოლთას სცემდეს და რომან „პარმის სავანეს“ მკარნახობდეს. ვინაიდან, როცა სამსახურით არა ხარ დასაქმებული და დიდ ხელფასს კი იღებ, შეგიძლია გულგრილად მოევიდო ბრიყვ გამომცემელთ, რომლებიც ისეთ დაშაქრული მიეთმოეთის ოსტატებს, როგორც ბატონი შატობრიანია, ასეულ ათასებს უხდიან და შენ კი ყოველ ფრანკზე გერინჩებიან. შეგიძლია თავს ნება მისცე და ამყოლს არ ამყვე, დამყოლს არ დაწყვე და ისეთი რომანი დაწერო, რომელიც დამტკბარ-დათაფლული არ იქნება, რომელსაც რეზედას სუნი არ ექნება, რადგან, ასეა თუ ისე, თავისუფალი ხარ. ხოლო ანრი ბეილისათვის სხვა ზეცა არ არსებობს დედამიწაზე, გარდა თავისუფლებისა.

მაგრამ ეს ზეცა მალე თავზე ეშობა. ალაღსა და სულგრძელ მინისტრ გრაფ დე მოლეს, მის მფარველს — იგი ღირსია სიცოცხლეშივე დაუდგან ძეგლი — ხსნიან, საგარეო საქმეთა სამინისტროში ახალი მესვეური მოდის — ნამდვილი ჭარისკაცი, მარშალი სულტი<sup>24</sup>, რომელმაც სტენდალისა არაფერი იცის, მოხელეთა სიაში კი მხოლოდ ბატონ კონსულ ანრი ბეილს ხვდება, ვისაც ხელფასს იმაში უხდიან, რომ საფრანგეთის წარმომადგენელია პაპის ოლქში და ვინც ამის ნაცვლად სამი წელია პარიზის თეატრებში ატარებს დროს ბატონ გენერალს



ჯერ უკვირს, შემდეგ კი რისხვას ატებს ზარ-  
მაც მოხელეს, რომელიც თავს იქცევს ნაცვლად  
იმისა, რომ აქტებს აცხობდეს. ამას ხასწრა-  
ფოდ მოსდევს მკაცრი ბრძანება, დაუყოვნებლივ  
გაემგზავრეთო. ანრი ბეილიც ბუზღუნით იძ-  
რობს მწერალ სტენდალის ფრაკს და ვიცმუნ-  
დირს იცვამს; ორმოცდაათობმეტი წლისა, დალ-  
ლილი და განაწყენებული, იგი იძულებულია  
ზაფხულის გაგანია სიცხეში კვლავ გადასახლ-  
დეს, და თანაც ვრძნობს, რომ უკანასკნელად!

\* \* \*

1841 წლის 22 მარტი, პარიზი.

სქელი, მძიმე წონის კაცი გაჭირვებით მიბაჭ-  
ბაჭებს თავის საყვარელ ბულვარზე, მაგრამ  
სად გაქრა ის კურთხეული დრო, როცა იგი აქ  
ქალების ცქერით ტკბებოდა და თავმოწონედ,  
როგორც დენდი, იქნევდა მოხდენილ ზელჯობს?  
ახლა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე აკანკალებ-  
ული ხელით მსხვილ არგანს ეყრდნობა. მა-  
ინც როგორ დაბერდა სტენდალი ამ ბოლო  
წელს. ოდესღაც მოციმციმე თვალები ჩაქრობია  
დამძიმებულ და დაღურჩებულ ქუთუთოებქვეშ,  
ნერვული კრუნჩხვა უვლის დროდადრო ბა-  
გეზე. ორიოდე თვის წინათ პირველად ჰქონდა  
შეტევა, წვეთი დაეცა, ოდესღაც მილანში  
პირველი ტრფობის უამს მიღებულმა ავბედითმა  
ძღვენმა მოაგონა თავი. სისხლი გამოუშვეს,  
მალაშოებითა და მიქსტურებით ტანჯავდნენ და  
ბოლოს, როგორც იქნა, სამინისტრომ ავად-  
მყოფს ჩივიტა-ვეკიადან წამოსვლის ნება დარ-  
თო, მაგრამ რას უშველის ახლა პარიზი, ბალ-  
ზაკის აღტაცებული სტატია „პარმის სავანეზე“  
და ახლად ჩასახული ხახელისა და დიდების  
პირველი მოკრძალებული ულორტები კაცს,  
რომელსაც არაჩაობა ერთხელ უკვე შეეხო,  
რომლისკენაც სიკვდილი უკვე იშვერს თავის  
გაძვალტუავებულ თითებს? უნიათოდ მილასლა-  
სებს მქმუნვარე აჩრდილი თავისი ბინისაკენ,  
თითქმის არც უყურებს მარდ, გაკრიალებულ  
ეკიპაჟებს, უქმად მოლაშლაშე მოხეიჩნეებს,  
კაბის შარიშურით მოსიარულე კოკოტებს,  
ნელა მიჩოჩავს სამგლოვიარო შავი ლაქა სალა-  
მოს სინათლეებით მოციგლიგე და ხალხით ვა-  
ქედილ ქუჩაში.

უეცრად ჩოჩქოლი ტყდება, ცნობისმოყვარე-  
ნი თავს იყრიან: მსუქანი ბატონი, ბირუასთან  
არ მისული, წაიქცა და ახლა გულადმა წევს  
სახეგალურჩებული, თვალები გაშტერებია  
და გადმოცვენაზე აქვს — მეორედ დაეცა  
წვეთი, ამჯერად მომაკვდინებელი. ოდნავი ბრი-  
ალი ამოსდის უელიდან, როდესაც ვიწრო საყე-  
ლოს უხსნიან. იგი ჭერ აფთიაქში მიაქვთ, შემ-  
დეგ კი მადლა, ხასტუმროში, მის პატარა ოთახში

აქვთ, რომელიც მოფენილია უთვალავი ქალა-  
დებით, ჩანაწერებით, დაწყებული თხზულებე-  
ბით და დღიურის რვეულებით. ერთ-ერთ მათ-  
განში საოცრად წინასწარმეტყველური სიტუ-  
ვები წერდა: „მე სასაცილოს ვერაფერს ვხე-  
დავ, ქუჩაში რომ მოკვდეს ვაწი, თუკი ამას  
განზრახ არ ჩაიდენს“.

\* \* \*

1842 წელი, ყუთი.

უზარმაზარი ხის ყუთი, იაფფასიანი ამანა-  
თი, მიჭახჩახებს ჩივიტა-ვეკიადან მთელი იტალი-  
ის გავლით საფრანგეთში. იგი რომენ კოლომ-  
ბთან მიაქვთ, სტენდალის ბიძაშვილსა და ან-  
დერძის აღმსრულებელთან, რომელსაც ვალის  
მოსახდელად (თორემ ისე ცის მოაგონდება  
მიცვალებული, რომელსაც გაზეთებმა ექვსსტრი-  
ქონიანი ნეკროლოგი აკმარეს) ამ ობროდის  
თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა  
სურს. კოლომბი ბრძანებს გახსნან ყუთი — ო,  
ღმერთო, რამდენი ქალაღია შიგ და თანაც  
შიფრით ნაწერი და პირობითი ნიშნებით აჭრე-  
ლებული, რამდენი რამ მოუჩმახავს მოწყენი-  
ლობისაგან გრაფომანად გადაქცეულ ადამიანს!  
რამდენიმე ყველაზე უფრო შესაფერის და კარ-  
გად ნაწერ დედანს აარჩევს, ასლებს გადაიღებს  
და შემდეგ ეს უერთგულესი კაციც კი იღლება.  
რომან „ლიუსიენ ლევენს“ ის გულგაცრუე-  
ბული აწერს: „ვერაფერში გამოიყენებ“; აგ-  
რეთვე ავტობიოგრაფიასაც, „ანრი ბრიუ-  
ლარხაც“ განზე სდებს, როგორც გამოუსადეგარს  
და მართლაც გამოუყენებელი რჩება ათეული  
წლების განმავლობაში. რა უყოს ახლა ამ ყოვ-  
ლად გამოუსადეგარ დახტა-დახტა ფურცლებს?  
კოლომბი ისევ ყუთში ალაგებს ზელნაწერებს  
და კროზეს უგზავნის, სტენდალის სიყრმის შე-  
გობარს, კროზე კიდევ გრენობლის ბიბლიო-  
თეკას — მის წიაღში საუკუნოდ განსასვენებ-  
ლად. იქ, როგორც ოდითგანვე წესადა აქვთ  
ბიბლიოთეკებს, ნომრიან იარღიუებს აკრავენ  
ყოველ შეკვრას, ბეჭედს არტყამენ და კატა-  
ლოგში შეაქვთ: დაე განისვენონ მშვიდად!  
სამოცი ტომი, სტენდალის მთელი ცხოვრების  
ნაშრომი, ანუ მის მიერვე აღწერილი საკუთარი  
ცხოვრება, ოფიციალურად დამარბული დევს  
ამიერიდან წიგნების ვრცელ საცხედრეში და  
არხეინად მტვრით იფარება, ვინაიდან ოთხი  
ათეული წელი არავის მოსდის აზრად თითები  
დაისვაროს მთვლემარე ფოლიანტების შეხებით.

\* \* \*

1888 წლის ნოემბერი, პარიზი.

ხალხი მრავლდება, ქალაქი სულ უფრო და  
უფრო იზრდება. პარიზში უკვე რვა მილიონი



ფეხია, რომელთაც ქვეითად სიარული უოველ-  
თვის როდი ეხალისებათ. ამიტომ ომნიბუსთა  
საქციო საზოგადოება ახალი მარშრუტის გაუ-  
ყანას აპირებს მონმარტრისაკენ. სამწუხაროდ,  
გნაზე უხიამო დაბრკოლება ეღობებათ: მონ-  
მარტრის სასაფლაო, რა გაეწყობა, ტექნიკა  
თავს გაართმევს შექმნილ უხერხულ ვითარე-  
ბას, ცოცხლებისათვის ზიდს გააშენებენ მკვდრე-  
ბის თავზე. ოღონდ, სხვა გამოსავალი არ არის,  
რამდენიმე საფლავის ხელყოფა მოუხდებათ და  
აი, ამ საქმიანობაში არიან, რომ მეოთხე  
მწკრავში მეთერთმეტე ნომრით მთლად მიტოვე-  
ბულ და გავერანებულ საფლავს აწყდებიან,  
რომელსაც კურიოზული წარწერა ამშვენებს  
იტალიურ ენაზე: „არიგო ბეილე, მილანელი,  
ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა“. იტალიელი ამ  
სასაფლაოზე? რა უცნაური წარწერაა, რა უც-  
ნაური მიცვალებულის შემთხვევით ვიღაცა გამკ-  
ვლელს აგონდება, რომ ოდესღაც იყო ფრანგი  
მწერალი ანრი ბეილი, რომელმაც ასე გაყალ-  
ბებული ვინაობით დაკრძალვა ისურვა. სასწრა-  
ფოდ აუალიბებენ კომიტეტს და ცოტაოდენ  
ფუფლსაც აგროვებენ ძველი წარწერისათვის  
ახალი მარმარილოს დაფის შესაძენად. ასე რომ,  
1888 წელს, ორმოცდაექვსი წლის დავიწყების  
შემდგომ, მტვრადქცეული სხეულის ზეგარდმო  
ერთბაშად ისევ აელვარდება მივიწყებული  
სახელი.

და საკვირველი თანხვედრაა: იმავე წელს,  
როდესაც მისი საფლავი აგონდებათ და ნეშტი

სამარიდან ამოაქვთ, ახალგაზრდა პოლონური ენის  
მასწავლებელი სტანისლავ სტრიენსკი, გრენობ-  
ლში მოხვედრილი და საშინელი მწკრენილობისა-  
გან გულგასენილი, ერთხელაც, იტალიური ბიბლი-  
ოთეკის წიგნებში ქექვისას, კუთხეში თვალს  
მოკრავს ძველ, დამტვრულ ხელნაწერს ფოლი-  
ანტებს და იწყებს მათ კითხვას და გაშიფვრას.  
რაც უფრო მეტს კითხულობს, მით უფრო სა-  
ინტერესოდ ეჩვენება ხელნაწერები. იგი ეძებს  
და პოულობს კიდევ გამომცემელს. გამოდის  
დღიური, ავტობიოგრაფია „ანრი ბრიულარი“  
და „ლიუსიენ ლევენი“ და მათთან ერთად პირ-  
ველად ნამდვილი ხტენდალიც ევლინება ქვე-  
ყანას. მისი ჭეშმარიტი თანამედროვენი აღტა-  
ცებულნი ხვდებიან მოძმე სულის პატრონს,  
ვინაიდან იგი თავისი თაობისათვის კი არა,  
არამედ მყობადისათვის, მომდევნო თაობისათ-  
ვის იღვწოდა. „მე სახელს 1880 წლისათვის  
გავითქვამ“. ამ ფრაზას ხშირად ვხვდებით მის  
წიგნებში და თუ მაშინ, სიცარიელეში წარმოთ-  
ქმული, იგი უსუსურად შეიძლებოდა მოგვჩვენ-  
ებოდა, ახლა გასაოცარ სინამდვილედ იქცა.  
იმავე დროს, როდესაც მის ნეშტს მიწიდან იღე-  
ბენ, მისი შემოკმედებაც გამოდის წარმავლო-  
ბის ჩეროდან; ლამის წელიწადიც კი ზუსტად  
იწინასწარმეტყველა თავისი მკვდრეთით აღდგო-  
მისა, სხვაფრივ ეხოდენ არასანდომ, — პოეტმა  
მარად, უოველი თავისი სიტყვით პოეტმა, ხოლო  
ამ სიტყვებით კი წინასწარმეტყველმაც.

„მე“ და სიმშარო

„იგი არ შეიძლებოდა მოგწონებოდათ,  
მთლიანობა აკლდა“.

შემოკმედებითი გაორება ანრი ბეილს უკვე  
მშობლებისგან დაჰყვა, რომლებიც ისეთი ნა-  
ხევრები იყვნენ, ურთიერთს ცუდად რომ ერგე-  
ბიან, შერიუბენ ბეილი — ამ სახელმა მოცარტი  
არ უნდა მოგვაგონოს<sup>25</sup>, ლმურთმანი, არა: — მამა  
ანუ „უჭიშო“, როგორც მას ანრი, მისი განაწ-  
ყნებული ვაჟი და მტერი, მუდამ გესლიანად  
უწოდებს, წარმოადგენს მედგარი, ძუნწი, ქკუა-  
დამქდარი, ფულზე გადაგებული პროვინციელი  
ბურჟუის პირწავარდნილ ტიპს, რომელსაც  
ფლობერისა და ბალზაკის ხელმა ასე მრისხა-  
ნედ აუგო წესი მხატვრულ ლიტერატურაში:  
მისგან ანრი ბეილი მემკვიდრეობად მართო აღ-  
ნაგობას კი არ იღებს, სისრულესა და სიმსუქ-  
ნეს, არამედ საკუთარი თავით გატაცებასაც,  
ძვალსა და რბილში გამქდარ ეგოიზმსაც. დედა-  
მისი, ანრიეტ განონი კი, პირიქით, სამხრეთ-  
რომანელი გახლდათ არა მხოლოდ წარმომავ-

ლობით, არამედ ფსიქიკური წყობითაც. ასეთი  
ნაწი, მუსიკალური, მეოცნებე და სამხრეთულად  
ვნებიანი ქალი შეიძლებოდა ლამარტინის<sup>26</sup> შეგო-  
ხვა ანდა თან-ჟაგ რუსოს აეწერა სანტიმენტა-  
ლურად. მას, ნაადრევად გარდაცვლილს, უმად-  
ლის ანრი ბეილი მგზნებარე ეროტიზმს, გრძნო-  
ბის სიჭარბეს, ავადმყოფურად, თითქმის დია-  
ცურად მგრძნობიარე ნერვებს. ეს ორი ურთი-  
ერთსაწინააღმდეგო დინება მის სისხლში ერთ-  
თავად ხან აქვთ ეწევა მას, ხან იქით და ანრი  
ბეილიც, ურთიერთგამომრიცხველი ხასიათების  
უცნაური პირმშო, მთელი ხიცოცხლის განმავ-  
ლობაში მამისა და დედის მემკვიდრეობათა  
შორის, რეალიზმსა და რომანტიკას შორის მერ-  
ყეობს. ამიტომ მუდამ გაორებული იქნება, ერ-  
თსა და იმავე დროს ორ სამყაროში იცხოვრებს  
მომავალი მწერალი ანრი ბეილი.

პატარა ანრი ქვეშეცნეული აღლოთი აღრევე



ახდენს არჩევანს: მას უყვარს დედა (ახე გა-  
სინჯეთ, როგორც თვითონ აღიარებს, ადრე მომ-  
წიფებულის გზებითა და საქოქმანო გრძნობი-  
ერებით), სძულს ექვნიული და ზიზღნარევი სი-  
ძულვილით მამა, ეჭვადება ესპანური გულცივი-  
ბით, ცინიკურად და გულდახურულად. მოთ-  
ვალთვალე, ინკვიზიტორულ უაიდაზე, ძნელად  
თუ იპოვის სადმე ფსიქოანალიტიკოსი ლიტერ-  
რატურულად უფრო სრულქმნილად გამოსახულ  
ოიდიპოსის კომპლექსს<sup>27</sup>. ვიდრე ეს სტენდალის  
ავტობიოგრაფიის, „ანრი ბრიულარის“ პირველ  
გვერდებზეა. მაგრამ ეს ნაადრევი დაძაბულობა  
ანაზღეულად წუდება, რადგან შვიდი წლის ან-  
რის დედა უკვდება, ხოლო მამას ბიჭი სულის  
ხილრმეში მკვდრად თვლის უკვე მას შემდეგ,  
რაც ის, თქვსმეტი წლისა, საფოსტო დილიჯან-  
სით გრენობლს ტოვებს. ამ დღიდან მიაჩნია,  
რომ დუმილით, სიძულვილითა და ზიზღით  
ჩაკლა იგი თავის თავში და დაასამარა. მაგრამ  
თვით ტუტემოყრილიც, გაქარწყლებების მიზნით  
კირისხსნარშოსხმულიც კიდევ ორმოცდაათი წე-  
ლიწადი რჩება მედგარი, ანგარიშიანი, საქმიანი  
მამა, ბურჟუა-ბეილი, ანრი ბეილის გვამში,  
ცოცხლობს და სისხლს უმღვრევს, კიდევ ორ-  
მოცდაათი წელიწადი განუწყვეტლივ იბრძვიან  
მასში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სული-  
ერი რასის წინაპარნი, ბეილები და განონები,  
საქმიანი სული და რომანტიკული, და ვერც  
ერთი ვერ სჯობნის სავსებით მეორეს. ამ წუთს  
რომ სტენდალი დედაშისის ღვიძლი შვილია,  
მეორე წუთს ნამდვილი მამაილია, ხშირად  
კი ეს თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდება.  
ხან გაუბედავი და მორცხვია, ხან კლდეხავით  
შეუვალი და მქირდავი, ხან მეოცნებე და რომ-  
მანტიკოსია, ხან ექვნიული და ანგარიშიანი, ხან  
მელანქოლიური და მუსიკალურია, ხანაც ლოგი-  
კურად და ფხიზლად მოაზროვნე — თვით წამხა  
და წამს შორის არსებულ ფრთამალ გასაყარზე  
იჭრებიან ხოლმე მის სულში ცხელი და ცივი  
ტალღები, ბობოქრობენ და გზას უღობავენ  
ურთიერთს გაუთავებელ მოქცევასა და უკუქ-  
ცევაში. ჯერ გრძნობა წალეკავს გონებას, მერ-  
მე ისევ ინტელექტი აღმართება ხოლმე შეგრ-  
ძნებების წინაშე მიუვალ ჭებირად. ეს წინააღ-  
მდეგობათა პირმშო არც ერთ სფეროს არ ეკუთ-  
ვნის მთლიანად და არც მეორეს, გონებასა და  
გრძნობას შორის მარადიულ ომში იშვიათად  
მომხდარა ისეთი წარმტაცი ბრძოლები, როგო-  
რიც ის დიადი ფსიქოლოგიური შეხლა-შემოხ-  
ლა გახლავთ, რომელსაც სტენდალს ვეძახით.

მაგრამ აქვე უნდა გამოვრიცხოთ: ეს შერკი-  
ნება გადაწყვეტი არ არის, შემსუსვრელი არ  
არის, სტენდალი არ მარცხდება, არ კნინდება  
თავისი წინააღმდეგობებისაგან: უოველგვარი

ტეშმარიტად ტრაგიკული ხვედრისაგან ამ ეპი-  
კურეელს ერთგვარი ეთიკური ტოლგრილობა  
იცავს — გულცივი დამკვირვებლის ცნობისმოყ-  
ვარე და გამჭრიახი თვალი. მთელი სიცოცხლის  
განმავლობაში ეს ფხიზელი და ნათელი გონების  
კაცი ფრთხილად არიდებს უკუქცევად,  
დემონურ ძალებს, რადგანაც პირველი მცენება  
მისი სიბრძნისა თავის შენახვა გახლავთ; და  
ისევე როგორც ნამდვილ ომში, რომელსაც ნა-  
პოლეონი აწარმოებს, სტენდალი უოველთვის  
ახერხებს ზურგში უოფნას, ტუციებისაგან შორს,  
სულიერი ჭიდილის უამსაც მეთვალყურის საი-  
მედო პოზიციას ამჭობინებს სამკვდრო-სასიცოც-  
ხლოდ მებრძოლის თავზებელაღებულობას. მის-  
თვის სრულიად უცხოა ზნეობრივი თავგანწირ-  
ვა პასკალისა, ნიცშესი, კლაისტისა, რომელნიც  
უოველ კონფლიქტს სამკვდრო-სასიცოცხლო ამ-  
ბად აქცევენ; იგი, სტენდალი, იმას სჭერდება,  
რომ თავის გრძნობათა გათიშვას გონების  
უსაფრთხო პოზიციიდან აღიქვამს და მით  
ესთეტიკური სანახაობასავით ტკბება. ამიტომ  
არსებითად მას არ არყევს ეს წინააღმდეგობები  
და არათუ არა სძულს თავისი გაორებულობა,  
არამედ უყვარს კიდევ უყვარს თავისი აღმა-  
სივით მახვილი, გამჭრიახი ინტელექტი, რო-  
გორც ძალზე ძვირფასი რამ, რადგან მისი მეშ-  
ვეობით სწვდება სამყაროს, და გრძნო-  
ბათა ჩოჩქოლში წრფელ, ნათელ და უტუჟარ სა-  
პანებს ავლებს. მაგრამ, მეორე მხრივ, სტენ-  
დალს უყვარს თავისი გრძნობის სიჭარბეც,  
თავისი ზემგრძნობიარობაც, რადგან იგი აცი-  
ლებს მდარე უოველდღიურობას, შეხუთულსა  
და შეზღუდულ გარემოს, რადგან ეს ანაზღეული  
ემოციები სულს მუსიკასავით იტაცებენ სხეუ-  
ლის ვიწრო სამყოფლიდან და უსაზღვროებისა-  
კენ მიაკანებენ. მისთვის ცნობილია „გრეთვე  
ის საფრთხეც, რომელიც დაკავშირებულია მისი  
არსების ორივე უკიდურესობასთან: ინტელექ-  
ტთან, ყველაზე ამალღებულ წამებში რომ სიცი-  
ვე და სიფხიზლე შეაქვს, და გრძნობიერებას-  
თან, ერთობ შორს რომ იტუშებს ბურჟსით მო-  
ცულ, არასანდო რეგიონებში, რითაც სიცხადეს  
ხელყოფს, ურომლისოდაც სტენდალს სიცოცხ-  
ლე არ შეუძლია. ამიტომ დიდი სიამოვნებით  
მიანიჭებდა სულის ამ ორი სახესხვაობიდან  
თითოეულს მეორის ნიშან-თვისებებს; ამიტომ  
სტენდალი ერთთავად იმის ცდაშია, როგორმე  
თავის გრძნობას ინტელექტუალური გარკვეუ-  
ლობა შესძინოს, ხოლო ინტელექტი კი მგზნება-  
რებით აღჭურვოს, — მთელი სიცოცხლის  
მანძილზე თავის დაძაგრულ და მგრძნობიარე  
კანქვეშ რომანტიკულ ინტელექტუალისტსა და  
ინტელექტუალურ რომანტიკოსს აერთიანებს.

ამრიგად, სტენდალის უოველი ფორმულა მუ-



დამ ორ მაჩვენებელზე დაიყვანება და არ შე-  
 ადგენს მხოლოდ ერთ განუყოფელ ერთეულს.  
 მხოლოდ ამ გაორებულ მსოფლალქმაში ვლინ-  
 დება იგი მთლიანად. მისი ინტელექტის მონა-  
 პოვარი, ცალკე აღებული, საკმარისი არ აღმოჩ-  
 ნდებოდა, ისევე როგორც მისი გრძნობის ლი-  
 რიკული ინტენსიურობა: იმ წამებს, როდესაც  
 სტენდალი უველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას  
 ახდენს, იგი სწორედ თავის ოდინდელ წინააღ-  
 ნდევობებს უმადლის, მათს ერთმანეთის გვერ-  
 დით არსებობასა და ერთმანეთში აღრევას  
 აწერს. „როცა არაფერს გრძნობდა, მახვილგო-  
 ნიერებასაც კარგავდა. — ამბობს იგი ერთ-  
 გან თავის შესახებ, ე. ი. მას არ ძალუძს კარგად  
 იაზროვნოს, თუ ემოციურად დაძაბული და  
 აღელვებული არ არის, მაგრამ ამასთანავე არ  
 შეუძლია ზედმიწევნით შეიგრძნოს, თუ მაშინვე  
 გულის აჩქარებული ძგერა არ გაიზომა. თან  
 მეოცნებობას აღმერთებს, როგორც უძვირფა-  
 სეს წანამძღვარს მის მიერ ცხოვრების აღქმისა  
 („უველაზე უფრო ოცნება მიყვარდა“) და თან  
 არსებობა არ შეუძლია მისი საპირისპირო ცნე-  
 ბის — გონებრივი სიფხიზლის გარეშე („სამ-  
 ყარო იღუპება ჩემთვის, თუ მას მკაფიოდ ვერ  
 ვხედავ“). ამრიგად, იგი საჭიროებს თავის თავში  
 თანაბრად აერთიანებდეს გამჭირაბ ინტელექტუ-  
 ალისტს და მგზნებარე რომანტიკოსს, ხოლო  
 უწინარეს ყოვლისა კი იმას, რომ მუდამ ავ-  
 ხორცულად უღიზიანებდეს ნერვებს ამ წინა-  
 აღმდევობათა შორის გაუთავებელი მერყეო-  
 ბა. ზუსტად ისევე, როგორც გოეთე აღიარებს  
 ერთხელ, რომ ის, რასაც ბანალურად ტყობას  
 უწოდებენ, „მისთვის მუდამ გრძნობიერებასა და  
 გონებას შორის მერყეობს“, სტენდალიც მარტო-  
 ოდენ სულისა და ხორცის ერთ სახმელში  
 აღრევის წყალობით აღიქვამს სამყაროს ღრმა-  
 აზროვან მშვენიერებას. მან უწყის, რომ მარ-  
 ტოოდენ კონტრასტების მუდმივი ხახუნის შე-  
 დეგად წარმოიქმნება სულიერი ელექტროობა,  
 ის მოტყრციადე ნაპერწყმები ნერვების ქსელ-  
 ში. ის შუშხუნა, დამძაბავი და წამაქეზებელი  
 ცხოველყოფილობა, რომელსაც დღესაც შევიგ-  
 რძნობთ, როგორც კი სტენდალის რომელიმე  
 წიგნს ავიღებთ, რომელიმე გვერდს წავიკით-  
 ხავთ. მხოლოდ სასიცოცხლო ძალების ამ ერ-  
 თი პოლუსიდან მეორეზე გადახტომ-გადმოხტო-  
 მის წყალობით იძენს იგი მისი არსებისათვის,  
 დამახასიათებელ შემოქმედებით უნარსა და  
 ნათლისმცემელ სიტბოს, და თვითამაღლების,  
 მარად ფხიზელი ინსტინქტით ყოველ ღონეს  
 ხმარობს ამ პოლუსთა შორის მაღალი ძაბვის,  
 შესანარჩუნებლად. მის მრავალრიცხოვან, ფრი-  
 ად მნიშვნელოვან დაკვირვებათა შორის ფსი-  
 ქოლოგიის სფეროში ერთი ასეთი შესანიშნავი

გვხვდება: ისევე როგორც ჩვენი სხეულის კუნ-  
 თებს მუდმივი ვარჯიში სჭირდებათ, რომ არ  
 მოდუნდნენ, ჩვენი ფსიქიკური ძალებიც ერთ  
 თავად უნდა იწაფებოდნენ, იხვეწებოდნენ და  
 ვითარდებოდნენ. ამ სრულყოფის ხამუშაოს  
 სტენდალი უფრო მედგრად და თანმიმდევრუ-  
 ლად აწარმოებს, ვიდრე ვინმე სხვა. ასეთივე  
 სიყვარულით უვლის და ზედ დაჰკანკალებს  
 თავისი არსების ორივე უკიდურეს მხარეს შე-  
 მეცნებისათვის ბრძოლაში, როგორც ხელოვანი  
 თავის საკრავს, როგორც ქარისკაცი თავის ია-  
 რაღს. დაუცხრომლად აწრთობს თავის სულიერ  
 „მეს“. იმისათვის, რომ გრძნობის უკიდურესი  
 დაძაბულობა შეინარჩუნოს, ყოველ საღამოს  
 ოპერაში მუსიკით იღვივებს აღგზნების უნარს  
 და უკვე ხანში შესულიც განგებ ეძიებს სატ-  
 რღილო თავგადასავლებს. როდესაც თავის თავს  
 მეხსიერების შესუსტების ნიშნებს ამჩნევს, მის  
 განსამტკიცებლად საგანგებო სავარჯიშოებს  
 ასრულებს, როგორც ყოველ დღით სამართე-  
 ბელს უწყობს პირს, ასევე სწორი აღქმის უნარ-  
 საც იღესავს თვითდაკვირვების თასმაზე. ზრუ-  
 ნავს იმაზე, რომ წიგნები და საუბრები ყო-  
 ველდღიურად „ორიოდე გუდურა ახალი იდე-  
 ებით“ ამარაგებდნენ; იგი ზრდის, აქეზებს, ძა-  
 ბავს და ლაგამს ხდებს საკუთარ თავს, რათა  
 სულ უფრო და უფრო ნატიფ და ინტენსიურ  
 სულიერ ცხოვრებას მიადწიოს; დაუცხრომლად  
 იმახვილებს გონებას, დაუცხრომლად იკეთილშო-  
 ბილებს გრძნობას.

თვითსრულქმნის ასეთი მოქნილი და რაფინი-  
 რებული ტექნიკის მეოხებით სტენდალი რო-  
 გორც ინტელექტუალური, ისევე ემოციური  
 თვალსაზრისით მენცარობის უჩვეულოდ მაღალ  
 საფეხურს აღწევს. უნდა რამდენიმე ათეული  
 წლით უკუიქცით მსოფლიო ლიტერატურის ის-  
 ტორიაში, რომ მსგავსი ფაქიზი შეგრძნებისა და  
 გამჭირაბი გონების პატრონი იპოვოთ, — ესო-  
 დენ სიფრიფანა კანისა და მთრთოლარე ნერვე-  
 ბის მქონე გრძნობიერება ესოდენ ანკარა წყა-  
 როსავით გამჭვირვალე და ცივ გონებასთან  
 შეხამებული ნახოთ. ოდონდ ეს კია, რომ არ შე-  
 იძლება ესოდენ ფაქიზი და მთრთოლარე  
 ნერვული დაბოლოებანი გქონდეთ, თანაც ასე  
 სათუთად და ავხორცულად ზედ კანკვეშ განლა-  
 გებულნი, და არ დაისაჯოთ; სინატიფე მუდამ  
 ოდნავ ხელს უწყობს მოწყვლადობას და ის,  
 რაც ხელოვნებისათვის მაღლია, ხელოვანისათ-  
 ვის თითქმის ყოველთვის უბედურებად იქცე-  
 ვა. როგორ იტანჯება უალრესად დახვეწილი არ-  
 სება, სტენდალი, გარემომცველ სამყაროში, რა  
 უცხოსავით დგას, განაწყენებული, თავის გულ-  
 აჩუყებულ და პათეტიკურ ეპოქაში ასეთი ინ-  
 ტელექტუალური ტაქტის მქონეს უთუოდ უნდა



შეურაცხყოფდეს გონებრივი შეზღუდულობის უფრელი გამოვლენა, ასეთ რომანტიკულ სულს მაქლაქუნასავით უნდა აწვეს ირგვლივ მყოფთა გაუთლელობა და ეთიკური ინერტულობა. ერთ ზღაპარში რომ პრინცესა ბარე ასი უურთუქის ლეიბისა და საბნის ქვეშ მუხუდოს მარცვალს შეიგრძნობს, ისევე სტენდალიც მტკივნეულად აღიქვამს უფრელ ვალბ სიტყვას, უფრელ ნაძალადივ უესტს. უფრელივე ცრურომანტიკული, უფრელივე ბრყვეულად გადაჭარბებული, უფრელივე მხდლურად ბუნდოვანი მის ფხიზელ ინსტინქტზე ისე მოქმედებს, როგორც ცივი წყალი დაავადებულ კბილზე. ვინაიდან სიწრფელისა და ბუნებრიობის მისი ჰაპერტროფირებული და ამასთანავე ნათელმზილველი სიუვარული, მისი ინტელექტუალური გათვითცნობიერებულობა თანაბრად ილახება სხვისი გნებავთ გადაჭარბებული და გნებავთ დაკინებული გრძნობიერებით: „ჩემზე ამაჯრუნად მოქმედებს ბანალურიცა და აფექტურიც“. — დასძენს იგი. ბანალურობითაც ისევე იტანჯება, როგორც მანერულობით. ერთადერთ ურახას, ერთობ დაშაქრულს გრძნობით ანდა პათეტუქის საფუარით ზედმეტად გაღვივებულს, შეუძლია მას მთელი წიგნი ჩაამწაროს, ხოლო ერთადერთ მოუქნელ მოძრაობას — უმშვენიერესი სატრფიალო თავგადასავალი. ერთხელ აღელვებული უქვრეტს ნაპოლეონის ლაშქრის რომელიღაც ბრძოლას: გამაღებული შეხლა-შემოხლა და ხოცვა-უღებთა მძვინვარებს, ზარბაზნების გრიალს შეუძრავს იქაურობა, ზევიდან კი, სისხლისფერი ღრუბლებიდან, გაღვედფილ სხივთა კონა იღვრება დაისის ფერთა ანაზდეული თამაშით. ეს სანახაობა მის არტისტულ სულზე შემაზარხომებლად მოქმედებს. თავზარდაცემული და აღტყინებული დგას, ურუანტელი უვლის ტანში, მაგრამ აქ, საუბედუროდ, მის გვერდით მდგარ ერთ-ერთ გენერალს აჯრად მოსდის ეს შემადრწუნებელი სანახობა მაღალფარდოვანი სიტყვით შეამკოს: „გიგანტთა შერკინებაა!“ — ეუბნება ის კმაყოფილი თავის მეზობელს და იმწამსვე ეს ტლუდ ნათქვამი პათეტუკური სიტყვები სტენდალს რაიმის აღქმის უნარს ართმევენ. სასწრაფოდ შორდება იქაურობას, წვევლის და კრულავს გენერალს, გამწარებული, გულგაცრუებული და განძარცულია; უფრელთვის, როდესაც მისი ზემგრძნობიერი სახე გრძნობის გამოხატვაში მაღალფარდოვნების ან სიყალბის გემოს თუნდაც სულ ოდნავ აღიქვამს, ამბობს აწყობს მისი ტაქტის გრძნობა. ბუნდოვანი აჯროვნება, უბესიტყვაობა, გრძნობის აფიშირება და გაზვიადება გრძნობიერების ამ გენიოსს უმაღვე გულს ურევს: ამიტომია, რომ მაინცდამაინც არ ექაშნიკება თანამედროვეთა ხელოვ-

ნება, რომელიც იმზანად განსაკუთრებით დათაულულ-რომანტიკულ სამოსელშია გამოწყობილი (შატობრიანი) ანდა კიდევ უსწევლოპეროიკულად (ვიქტორ ჰიუგო) მოკაზმული, ამიტომაცვე სტენდალი ადამიანთა მხოლოდ ერთობ მცირე ნაწილს თუ ეგუება ახლად ეგუებს. მაგრამ ეს ექსტრავაგანტური ზემგრძნობიარობათვით მის წინააღმდეგაც ნაკლებ როდი მხედრდება. უფრელთვის, როდესაც თავის თავს გრძნობის სიხალასიდან თუნდაც ოდნავ ვადაზვევას შენიშნავს არასაჭირო crescendo-ს28, ხანტიმენტალურ წიაღსვლას ანდა მხოლოდ ბუნდოვანებასა და უპატიოსნებას, — მკაცრი მასწავლებელივით თვითონვე იწკებლავს საკუთარ თავს, თავის უველაზე მიჩქმალულ ზმანებებშიაც კი იკვრიტება და დაურიდებლად იზღის სირცხვილის საბურველს. იშვიათად თუ ჩაუნერგია თავისთვის სხვა ხელოვანს ასე ძირს-ძირობამდე პატიოსნება, იშვიათად თუ გაუწევია სულის სხვა დამკვირვებელს ასეთი მკაცრი ზედამხედველობა თავისი სულის უსაიდუმლოენი ბილიკებისა და ლაბირინთებისათვის. რაკი ასე კარგად იცნობს საკუთარ თავს, სტენდალმა უკეთესად, ვიდრე ვინმე სხვამ, უწყის, რომ ეს ნერვული და ინტელექტუალური მგრძნობიარობა მისი გენია, მისი სიქველეა და ამასთანავე საფრთხესაც უქადის. ის, რაც სხვებს ოდნავ ეხება, მას, ზემგრძნობიარეს, სისხლს ანთხვიინებს. და ამიტომ სტენდალი სიყრმიდანვე ამ „სხვებს“ ინსტინქტურად აღიქვამს როგორც მის მეობასთან პოლარულად დაპირისპირებული, როგორც უცხო სულიერი რასის წარმომადგენლებს, რომლებთანაც საერთო ენის გამონახვა და მორიგება მისთვის შეუძლებელია. ეს განსხვავებულობა ძალზე ადრე იგრძნო პატარა, მოუქნელმა, მორცხვობის გამო კობუზულმა ბიჭმა გრენობლში, როდესაც უღარდელად მოთამაშე სკოლის ამხანაგებს უცქერდა ხოლმე; კიდევ უფრო მტკივნეულად განიცადა ეს ამბავი ახლად გამომცხვარმა უნტროფიცერმა ანრი ბეილმა მოგვიანებით იტალიაში, როდესაც აღტაცებითა და შურით აღსავსე თვალყურს ადევნებდა, რა მოხერხებულად იმარჯვებდნენ სხვა ოფიცრები მილანელ ქალებზე და რა მრავლისმეტყველად, რა თავმომწონედ აწკრიალებდნენ ხმალს, თავად კი ძალა არ შესწევდა მათთვის მიებაძა. მგრამ მაშინ ჯერ კიდევ რცხვენოდა, რომ წამდაუწყუმ წითლდებოდა და დუმდა, თითქოს ნაჯობსო, რომ მორიდებული იყო და მგრძნობიარე, რადგან ეს უფრელივე მამაკაცის ნაკლად, სავალალო არასრულფასოვნების გამოვლენად მიჩნდა. წლების მანძილზე ლამობდა — უფრელად ხასაცოდლოდ და უშედეგოდ! — დაეძლია თავისი ბუ-



ნება. ბაქია და ზარზეში ბრბოსათვის ზარზეშითვე მიეზაძა, ყოვლად ბრყუულად ყოყონობდა და ვაჟკაცურ პოზებს იღებდა, ოღონდაც დარდიმანდ ოტროველებს დამსგავსებოდა და მათთვის თავი მოეწონებინა. მხოლოდ თანდათანობით, დიდი წვით და დაგვით აღმოაჩინეს ეს მგრძნობიარე ადამიანი თავის უკურნებელ სხვაგვარობაში ერთგვარ მელანქოლიურ ეშხს. გაუბედაობისა და სათნოების უდროო დროს შემოტევის გამოისობით ქალებში ძალზე უიღბლო, იგი გამჭირაბი და მუყაითი გონების თვალთ იწყებს თავის თავზე დაკვირვებას და ხელისმოცარვის მიწეზების ძიებას: ფსიქოლოგი იღვიძებს მასში. სტენდალი თანდათანობით ცნობისმოყვარედ ეკიდება თავის თავს და აღმოჩენებსაც ახდენს. უწინარეს ყოვლისა იგი ადგენს, რომ განსხვავდება უმრავლესობისაგან, რომ უფრო ფაქიზია, უფრო მგრძნობიარე, უფრო შესშენილი. ირგვლივ მყოფთაგან არავინ შეიგრძნობს ასე მგზნებარედ, არავინ ფიქრობს ასე ნათლად, არავინ არის ისე უცნაურად შეჭვარებული, რომ მისებრ შეეძლოს ყველაფერს ზედმიწევნით აღიქვამდეს და, მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად ვერაფერს აღწევდეს. ექვს გარეშეა. არსებობენ ამ ღირსშესანიშნავი სახეობის სხვა ადამიანებიც, რომელსაც „უზენაეს არსებას“ ეძახიან, თორემ სხვაფრივ როგორ გაიგებდა მონტენს, ამ მახვილგონიერ, ღრმად მოაზროვნე ბრძენკაცს, ყოველივე ტლუსი და უხეშის ზიზღნარევი სიძულვილით უარყოფელს, მისი ჭურისა რომ არ იყოს: როგორ შეიგრძნობდა მოცარტს, მის სულშიაც რომ არ სუფევდეს მსგავსი სიმსუბუქე. და აი, სტენდალი, დაახლოებით ოცდაათი წლისა, პირველად იწყებს გუშანით მიხვედრას, რომ ადამიანთა მოდგმის უბადრუკი ნაშიერი კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი განსაკუთრებული წარმომადგენელიც კია და, შესაძლოა, იგი იშვიათსა და კეთილშობილ რასას ეკუთვნის, იმ „კრივილეგირებულ არსებებს“, რომლებიც დროდადრო გვხვდებიან სრულიად განსხვავებულ ერებსა და ქვეყნებში, ისე აქა-იქ ჩაწინწყლულნი, როგორც ძვირფასი თვლებია ჩვეულებრივ ქანებში. მათ თანამემამულედ მიაჩნია თავი (და არა ფრანგებისა, რომლებთანაც ნათესაობას ერთობ დავიწროებულ ტანსაცმელივით განზე აგდებს). სხვა, უხილავი სამშობლოს პირმშოდ მოაქვს თავი, ჭუფთად უფრო დახვეწილი სულიერი წყობისა და უფრო წრფელი ნერვების მქონე ადამიანთა, რომლებიც არ იყრიან თავს ტლუ ბრბოებად ანდა საქმოსანთა ხროვებად და მარტოოდენ ხანგამოშვებით მაცნეს გზავნიან უამთა დინებაში. მხოლოდ და მხოლოდ მათთვის, ამ „ბედნიერი უმცირესობისათვის“, ამ იშვიათი,

ნათელმზილველი და ალლოიანი მენცარებისათვის, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ, ნათქვამს გაუზაზავადაც ამოიკითხავენ და გულის კარნახით ხვდებიან ოდნავ შესამჩნევი მოძრაობისათუ გამოხედვის აზრს. მხოლოდ მათთვის წერს, საკუთარი საუკუნის მიღმა თავის წიგნებს, მხოლოდ მათ ანდობს დაშიფრულად თავის ხვაშიადს. რა ესაქმება, მას შემდეგ, რაც ბოლოს და ბოლოს ზიზღნარევი სიძულვილი ისწავლა, უხეშ, მოლაშლაშე ბრბოსთან. რომელიც გარს არტყია, რომელსაც მხოლოდ მსხვილად დაწერილი, მუვირაღა, პლაკატური ასოები ხვდება თვალში და მხოლოდ გადამლაშებულსა ანდა ზედმეტად დამტკბარს ატანს გემოს? „რა მესაქმება სხვებთან?“ — ამაყად ათქმევინებს თავის თიულიენს, მაგრამ ეს მქირდავი შეძახილი მისი გულის სიღრმიდან არის გადმომსკდარი. არა, არ უნდა რცხვენოდეს, რომ ასეთ მღაბალ და ვულგარულ ქვეყანაში, ასეთ გონებადაბშულ და მძიმედ მოაზროვნეთა შორის წარმატებას ვერ აღწევს. „თავი რომ მოაწონო, მთავარია, მათი მსგავსი იყო“. იმავე ხისგან უნდა იყო გამოთლილი, რომ ამ ნაძირალებს შეეგუო, მაგრამ მადლობა ღმერთს, შენ „განსაკუთრებული არსება, უზენაესი არსება“ ხარ, ცალკეული, განსაკუთრებული შემთხვევა, ინდივიდი, განსაკუთრებული პიროვნება და არა ცხვარი ცხვრის ფარიდან, გარეგნულ დამცირებას, შეფერხებას კარიერაში, მარცხს ქალებთან, სრულ წარუმატებლობას ლიტერატურაში, — ყოველივე ამას სტენდალი მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ გამორჩეულია, რაღაც განსაკუთრებული სინატიფითა და სიხარულით აღიქვამს, როგორც თავისი აღმატებულობის დამამტკიცებელ საბუთს. უწინ თუ თავი არახრულფასოვნად მიაჩნდა, ახლა ამ გრძნობას მძლეთა მძლედ ენაცვლება ნათლით მოსილი ქედმალლობა, ფაქიზად დაფარული, მარტოოდენ საქმეში ჩახედულთათვის აღსაქმელი, დიდებული, მხიარული და დაუდევარი ქედმალლობა სტენდალისა. ახლა შეგნებულად სულ უფრო და უფრო ერიდება ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტს და მარტო ერთი საზრუნავილა აქვს: საკუთარი ხასიათი, საკუთარი სულიერი ფიზიონომია უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს. მხოლოდ თავისებურებას აქვს ფახი ამ ამერიკანეზებულ, ტეილორის სისტემაზე აგებულ სამყაროში. „მხოლოდ ცოტათი უცნაური არის საინტერესო“<sup>29</sup>. მაშ, ვიყოთ თავისებურნი, დავიცვათ, გავახაროთ ჩვენში უცნაურობის თესლი! არც ერთ ტიტების გიჟ მოლანდიელს არ მოუვლია ოდესმე ისეთი რუდუნებით შეჭვარების შედეგად მიღებული უძვირფასესი ქაშისათვის, როგორითაც სტენდალი დაქანკალებს თავის გა-



ორებულობასა და თავისებურებას, აკონსერვებს მათ საკუთარი სულიერი ცხენციით, რომელსაც „ბელიჯის“ უწოდებს, — ერთგვარი ფილოსოფიით, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ანრი ბელიჯის ანრი ბელიჯი ნირუცვლელად შენარჩუნების ხელოვნება. თავის ირგვლივ უცნაურობათა და მისტიფიკაციების ძეძვის ღობეებს აშენებს, თავისი მეობის დაფარულ საგანძურს ქვაწვიას ფანატიზმით იცავს და ათასში ერთხელ რომელიმე მეგობარს თუ ჩაახედებს ერთი წამით ვიხსენებინა სასრულიდან საკუთარი სულის პალატებში. მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მკვეთრად გაემიჯნოს ირგვლივ მყოფთ, შეგნებულად ოპოზიციაში უდგება თავის ეპოქას და როგორც მისი ეიულიენი, ისიც „მთელ საზოგადოებასთან ომში“ ცხოვრობს. როგორც მწერალი, არაფრად აგდებს ლამაზ ფორმას და სამოქალაქო კანონთა კრებულს ქეშმარიტი პოეტური ხელოვნების ნიმუშად აცხადებს; როგორც ჯარისკაცი, მასხარად იგდებს ომს; როგორც პოლიტიკოსი, ირონიულად ეკიდება ისტორიას; როგორც ფრანგი, ფრანგებს დასცინის; ყველგან სანგრები და შავთულებლართები გაჰყავს ადამიანთაგან გასამიჯნავად და ცდილობს ახლოს არ მიუშვას ისინი. რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი მსხვერპლად იწირავს ყოველგვარ კარიერას და სტენდალი ვერც როგორც სამხედრო, ვერც როგორც დიპლომატი, ვერც როგორც ლიტერატორი წარმატებას ვერ აღწევს. მაგრამ ეს მხოლოდ აწვიადებს მის სიამაუეს; „მე ნახირში გასარეცი საქონელი არა ვარ, მაშასადამე, არაფერი ვარ“. არა, არა სურს რაიმე იყოს ამ პლენბეური სულის პატრონთათვის, არარად უნდა დარჩეს ამ არარათათვის. ბედნიერია, რომ ვერ გამოდგება ვერც ერთი იმათი კლასისათვის, რასისა, წოდებისა და სამშობლოსათვის; აღტაცებულია, რომ საკუთარი ორი ფეხით საკუთარივე გზით მიაბიჭებს ორფეხა პარადოქსივით, ნაცვლად იმისა, რომ წარმატების ფართო გზაზე ამ მონურ სახაპალზე საქონელს შორის მილაჭუნებდეს. ამას სჯობს ჩამორჩეს, განზე იდგეს, მარტოდმარტო იდგეს, მაგრამ თავისუფლება შეინარჩუნოს. და ეს თავისუფლების შენარჩუნება, ყოველგვარი ძალდატანებისა და შეგავლენისაგან თავის დაღწევა სტენდალს გენიალურად ეხერხებოდა. თუ გაქირვების გამო დროდადრო იძულებულია რაიმე თანამდებობა იტვირტოს, მუნდირში გამოეწეოს, იგი მარტოდენ იმდენს იძლევა, რამდენიც აუცილებლად საჭიროა, რომ ბაგიდან არ გააგდონ, და ერთი ნამცეცით, ერთი ციციქნათიც კი მეტს არა, რა სამსახურში და რა თანამდებობაზეც უნდა იყოს, რასაც უნდა აკეთებდეს, იგი

იმდენ სიმარჯვესა და ეშმაკობას მაინც იჩენს, რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი დარჩეს. ბიძაშვილი დარბილ ქუნარას კურტაკს აცმევს, მაგრამ ამის გამო თავს გარისკაცად სულაც არა გრძნობს; უფროსი უმანებსა წერს, მაგრამ ამიტომ თავის თავს პოეტური ლიტერატორად კი არა რაცნს; თუ იძულებულია დიპლომატის მოქარგული მუნდირი ჩაიცვას, სამუშაო საათებში საწერ მაგიდასთან ვინმე ბატონ ბელიჯა სვანს, რომელსაც ჩამდვილ სტენდალთან საერთო მხოლოდ კანი, მოგვალი მუცელი და ძვლები აქვს. მაგრამ არც ხელოვნებას, არც მეცნიერებას და მით უმეტეს არც სამსახურს არ ხწირავს თავისი ქეშმარიტი არსების თუნდაც ერთ ნაწილს, და მართლაც, არც ერთ მის ამხანაგს სამსახურში თავის დღეში აზრად არ მოსვლია, რომ საფრანგეთის უდიადეს მწერალთან ერთად გადიოდა წვრთნას ასეულში ანდა მასთან ერთად აცხოვრებდა აქტებს ერთსა და იმავე საწერ მაგიდაზე, და თვით მის სახელგანთქმულ კოლეგებსაც ლიტერატურაში (გარდა ბალზაკისა) იგი მარტოდენ თავშესაქცევ მოსაუბრედ, გადამდგარ ოფიცრად მიანჩნდათ. რომელიც ხანგამოშვებით საკვირაო გასეირნებებს აწყობდა მათს სავარგულეებში. მის თანამედროვეთაგან ალბათ მხოლოდ შოპენჰაუერი თუ ცხოვრობდა და იღვწოდა სულიერად მისებრ ჰერმეტულად განმხოლოებულ, საზოგადოებიდან ისევე განდგომილი და გარეგნულად ხელმოცარული, როგორც მისი დიადი თანამომძვე ფსიქოლოგიის სფეროში, სტენდალი.

ამრიგად, სტენდალის განუმეორებელი არსის რომელიღაც მიჩქმალული ნაწილი მუდამ განზე რჩება და ამ ღირსშესანიშნავი ელემენტის ქიმიური გამოკვლევა, მისი ქმედითობის შენარჩუნება შეადგენს სტენდალის ერთადერთ რეალურ საზრუნავს. თვითონაც როდი უარყოფდა, რომ საკუთარ სულიერ ცხოვრებაზე ყურადღების ასეთი გამახვილება თავკერძობასა და ავტოეროტიზმს ნიშნავდა; პირიქით, თავიც კი მოჰქონდა ამით და დემონსტრაციულად ახალი გამომწვევი სახელით ნათლავდა: „ეგოტიზმი“. ეგოტიზმი. — ეს კორექტორული შეცდომა არ გახლავთ და არა და არ უნდა ავრიოთ მის პლენბეურ, მუშტებმოღერებულ უკანონოდ შობილ ძმასთან — ეგოიზმთან, ვინაიდან ეგოიზმს სურს ყოველივე ის, რაც სხვებს ეკუთვნის, უცერემონიოდ მოიტაცოს, მას ხარბი ხელები და შურისაგან დაღმეჭილი სახე აქვს. უკეთურია, სულმოკლე, გაუმაძლარი და თვით სულიერი მისწრაფებებით შეკაზმულსაც კი არ ძალუძს აღმაფრენას მოკლებული უბეში გრძნობიერებისაგან გააზატება. სტენდალის ეგოტიზმი კი არა-



ვის ეცილება, არისტოკრატიული ქედმაღლობით ანებებს მომნაგრებლებს მათ ფულს, პატივმოყვარეებს—მათ ძალაუფლებას, კარიერისტებს — მათ ორდენებსა და ბაფთებს, ლიტერატორებს— მათი სახელითა და დიდების საპნის ბუშტებს— დაე, ბედნიერი იყვნენ! ზევიდან დასცქერის მქირდავი ღიმილით, როგორ უელუელაობენ ოქროს შემყურენი, როგორ მიაშებლად იხრინ ქედს, იმკობიან ტიტულებით და იტიკნებიან ჭილდოებით, როგორ ქუჩდებიან დიდსა და პატარა ჭგუფებად და ქვეყნიერების მართვა-გამგეობას ლამობენ, „იქონიონს იქონიონს“ ირონიულად იღიშება იგი. უშურველად, დაუხარბებლად: დაე, ჭიბები გაისქელონ და მუცლები ამოიყარონ სტენდალის ეგოტიზმი მარტოოდენ მგზნებარე თავდაცვაა. იგი არავის სავარგულში არ იჭრება, მაგრამ არც სხვას ატარებს თავის ზღურბლზე, ჩინური კედლით იცავს თავს ყოველგვარი უცხო ზეგავლენისაგან, სხვათა იდეების, აზრების, დასკვნების მოძალებისაგან, — თავის ძალზე პირადულ დავას ქვეყნიერებასთან იგი რაინდულ ორთაბრძოლაში წვევებს და ბრბოს მასთან არაფერი ესაქმება. მისი ეგოტიზმი ერთადერთ რამეში იჩენს პატივმოყვარეობას: იგი ესწრაფვის ადამიან ანრი ბეილში სავსებით იზოლირებული სათავსო შექმნას, სათბური, რომელშიაც ინდივიდუალობის იშვიათი ტროპიკული მცენარე დაუბრკოლებლად გაიფურჩქნება. ვინაიდან სტენდალს სურს თავისი შეხედულებანი, მიდრეკილებანი, გატაცებანი, პრეტენზიები და ზუსტურები მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნიადაგზე მოაშენოს და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისათვის; მისთვის აბსოლუტურად სულ ერთია, წონა არა აქვს, რას ნიშნავს ესა თუ ის წიგნი, ესა თუ ის ამბავი სხვებისათვის; ქედმაღლურად ჩირადაც არ აგდებს, როგორ ზემოქმედებას ახდენს ესა თუ ის ფაქტი თანამედროვეობაზე, მსოფლიო ისტორიაზე ანდა თუნდაც მარადისობაზე; მშვენიერს მხოლოდ იმას უწოდებს, რაც თვითონ მოსწონს, სწორს— იმას, რაც შემდგომ შემთხვევაში შესაფერისად მიჩნია, სადაგელს — იმას, რაც სხვაგს, და სრულებით არ აზღოთებს ის ამბავი, რომ შეიძლება ამ თავისი შეხედულებით სავსებით მარტო დარჩეს, პირიქით, მარტობა ფრთებს ასხამს და თვითშეგნებას უმტიციებს: „რა შესაქმება სხვებთან!“ ყიულიენის ამ დევსს ქეშმარიტი და განათლებული ეგოტიზმისათვის ძალა აქვს ესთეტიკის სფეროშიც.

„კი, მაგრამ, — შეიძლება შეგვესიტყვონ აქ ნაჩქარევად, — რა საჭიროა ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვა „ეგოტიზმი“ იმისათვის, რაც თავისთავად იგულისხმება, რაც თავისთავად გასაგებია? განა ბუნებრივზე ბუნებრივი არ არის, რომ

მშვენიერი უწოდო იმას, რაც მართლაც მშვენიერად გესახება, და ისე იცხადო, როგორც პირადად შენ მართებულად მიგაჩნია?“ რასაკვირველია, ასე გინდა კაცს ფიქრობდეს, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით ვინ ჩხერებს იმას, რომ სრულიად დამოუკიდებლად განიცდიდეს, დამოუკიდებლად აზროვნებდეს? და თვით იმათგანაც კი, ვინც წიგნი იქნება, ეს თუ ნახათი, ან სხვა რაიმე ამბავი, თითქოსდა საკუთარი თვალსაზრისით შეაფასა, რომელს ეყოფა შემდგომ სიმამაცე თანმიმდევრულად დაიცვას იგი მთელი ეპოქისა და მთელი მსოფლიოს წინაშე? ჩვენ, ყველანი, ბევრად უფრო განვიცდით არაცნობიერად ზეგავლენას, ვიდრე ამას თუნდაც საკუთარი თავის წინაშე ვალიარებთ: ეპოქის მთელი ატანს ჩვენს ფილტვებში, თვით გულის პარკუჭებშიც კი, ჩვენი განსჯანი და შეხედულებანი და თანამედროვეთა განსჯანი და შეხედულებანი ერთმანეთს ეხებიან და ხახუნის ძალით ცვდება მათი სიმკვეთრე და სიმახვილე: ატმოსფეროში უხილავად, რადიოტალღებივით, ვრცელდებიან მასობრივ იდეათა შეგონებანი; ამრიგად, ადამიანის ბუნებრივი რეფლექსი არავითარ შემთხვევაში არ გაბლავთ თვითდამკვიდრება, არამედ საკუთარ შეხედულებათა შეგუება ეპოქის შეხედულებებთან, კაპიტულაცია უმრავლესობის განწყობილების წინაშე, კაცობრიობის მეტე ნაწილი, დიდი უმრავლესობა ცვალივით რბილი და შემგუებლური რომ არ იყოს, მილიონობით ადამიანი ინსტინქტისა თუ სიზანტის გამო უარს რომ არ ამბობდეს საკუთარ, პირად თვალსაზრისზე, დიდი ხანია გიგანტური მანქანა გაჩერდებოდა. ამიტომ ყოველთვის განსაკუთრებული, კეთილშობილი ენერჯიაა საჭირო, ჩახმახივით ფეხზე შეყენებული სიმამაცე მუამობისა — რაც ძალზე ცოტას გაჩინია. — რათა ამ სულიერი დაწოლის მილიონობით ატმოსფეროს საკუთარი იზოლირებული ნებისყოფა დაუპირისპიროს. ძალზე იშვიათი და დიდაც გამობრძმედილი ძალები უნდა გაერთიანდნენ ერთ ინდივიდში, რომ მან თავისუფლება შეინარჩუნოს: ქვეყნის მტკიცე ცოდნა, მკვირცხლი, გამჭრიანი გონება, მეფური სიძულვილი ბრბოსი, ჯოგისა, კადნიერი დაურიდებლობა საზოგადოებრივი მორალის მიმართ და უწინარეს ყოველისა კი სიმამაცე, ისევ და ისევ სიმამაცე, ურყევი, საღ კლდესავით შეუვალი სითამამე და გულდაჭერებულობა.

ეს სიმამაცე სტენდალს ბქონდა, ეგოტიზმთა ეგოტიზტს, მრავალ ტურნირში გამოწრთობილს, იარაღის ხმარებაში გაწაფულ რაინდს, უშიშარსა და უბიწოს თავისი მეობის დაცვაში. შვებით გევსება სული, როდესაც ხედავ, რა გაბედულად ერკინება თავის ეპოქას, მთელი ნახე-



ვარი საუკუნე მართოდმართო იბრძვის უველას წინააღმდეგ, ელვისებურ ფინტებს იყენებს და იჩქითი იერიშები მიჰყვს, თან საკუთარი მოელვარე ქედმაღლობის ვარდა, სხვა ჯავშანი არ გააჩნია, ხშირად დაშავდება ხოლმე, სისხლი სტის მრავალი უხილავი ქრილობიდან, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე არ ტყდება და თავისთავადობისა და თავნებობის არც ერთ გოჯს არა თმობს. ოპოზიცია მისი სტიქიონია, დამოუკიდებლობა — მისი ვნება. მხოლოდ ისიც კნარა, უბრალოდ თვალი გადავაკვლოთ ასრბით მაგალითს, რა გაბედულად, რა კადნიერად ეწინააღმდეგება ეს დაუცხრომელი ოპოზიციონერი საზოგადოებრივ თვალსაზრისს, რა გამომწვევად ეპყრობა მას. იმ ეპოქაში, როდესაც უველანი ბრძოლებზე ოცნებობენ, როდესაც საფრანგეთში, როგორც ის ამბობს, „გმირობის ცნება აუცილებლად დაკავშირებულია ტამბურმაურორთან“<sup>30</sup>, იგი ვატერლოოს აღწერს, როგორც ქაოსურ ძალთა თვალუწვდენელ ორომტრიალს, და დაურიდებლად აღიარებს, რომ რუსეთში ლაშქრობისას (რომელსაც ისტორიოგრაფები მსოფლიო-ისტორიულ ეპოქას უწოდებენ) უსაშველოდ მოწყენილი იყო: აგრეთვე არ გაურბის იმის მტკიცებას, რომ სატრფოს სანახავად იტალიაში გამგზავრება მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სამშობლოს ბედობლი, ხოლო მოცარტის არია — უფრო საინტერესო. ვიდრე რომელიმე პოლიტიკური კრიზისი, რა ენაღვლება, რომ საფრანგეთი უცხოელთა ჯარებს უჭირავთ, ვინაიდან დიდი ხანია უკვე ევროპისა და მსოფლიოს მოქაღაქვა, და ერთი წუთითაც არ იწუხებს თავს. ომის ბედობლის გაშმაგებულ პირუტყვებზე, მოდურ შეხედულებებზე, პატრიოტიზმსა („სასაცილო ამბებიდან უველაზე სუფილური რამ“) და ნაციონალიზმზე ფიქრით. მართოდენ თავისი სულისკვეთების გამოვლენითა და დამკვიდრებით არის გართული. თავის პირადულ ამბებს ისეთი სიმყვარულითა და სინაზით გადმოსცემს მსოფლიო ისტორიის ზვავებისა და მეწყერების საშინელი ზატქითა და გრილით გარემოცული, რომ მისი დღიურების კითხვისას ზოგჯერ ეჭვი გეპარებათ: მართლაც პირადად მომსწრე იყო თუ არა ამ კალენდარულ დღეთა. მაგრამ სტენდალი გარკვეული თვალსაზრისით მართლაც არ იყო ამ ამბების მონაწილე. თვით მაშინაც კი, როდესაც საომარი მოქმედების რაიონში ცხენით გაივლიდა ანდა მოხელის სავარძელში იჯდა, ის მუდამ მხოლოდ თავის თავთან იყო და როდი მიჰჩნდა, რომ მოვალე გახლდათ სულითა და გულით განეცადა ისეთი ამბები, რომლებშიც მხოლოდ გარეგნულად მონაწილეობდა და რომლებშიც სულაც არ აღელვებდნენ. და ისევე როგორც

მსოფლიო-ისტორიულ დღეებში გოეთე თავის ქრონიკებში მხოლოდ მის მიერ წაკითხულ ჩინელ ავტორებს იხსენიებს, ასევე სტენდალიც არ ლაღატობს თავის თავს და ეპოქის უველაზე მსახვრალ ეამს დღიურში მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვანი ინტიმური ცხოვრების: თანადროულ ისტორიასა და მის საკუთარ ისტორიას თითქოს სხვადასხვა ანბანი და ლექსიკონი აქვთ. ამიტომ სტენდალი იმდენადვე არახანდობა თავისი გარესამყაროს მოწმედ, რამდენადვე შეუდარებელია როგორც საკუთარ შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესთა მაცნე; მისთვის, სრულყოფილი, „გამოჩენილი, სწორუპოვარი ეგოტიზმისათვის, უველაფერი, რაც კი უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტამდე დაიუვანება, რომელსაც ერთადერთი, განუმეორებელი ინდივიდი განიცდის, სახელად სტენდალი-ბეილი რომ ეწოდება; ალბათ არც ერთ ხელოვანს არ უცხოვრია ისე დაფინებით, რადიკალურად და ფანატიკურად საკუთარი მეობის დასაცავად და არ უქცევია იგი ასე ოსტატურად მართლაც დამოუკიდებელ მეობად, როგორც ამ გმირულ თავნებასა და გულდაჭერებულ ეგოტიზტს.

მაგრამ სწორედ ამ ეჭვნიული განმზოლოების წყალობით, ამ საგულდაგულოდ საცობით დაცობისა და ჰერმეტიულად შენახვის წყალობით მოაღწია ჩვენამდე სტენდალის ესენციამ ჩალასად, არც არა მოაკლდა რა და არც არა შეერია რა მის განუმეორებელ არომატს. იზოლაცია აკონსერვებს; ქარვაში მოყოლილი მწერით, ქვაზე შემონახული წინარეისტორიული გვიმრის ანაბეჭდივით, სტენდალის არსიც მისი ეგოტიზმის მაქსიმალურად გამომთიშველობის გამოისობით გადაურჩა ეპოქის დამანგრეველ, დამშლელ და გაშაერთფეროვნებელ ზემოქმედებას და თავისთავადობა შეინარჩუნა, იგი ეპოქისურად არ არის შეღებილი და ამიტომ შეგვიძლია კაცთა მოდგმის ამ იშვიათი და ნატიფი წარმომადგენლის მაგალითზე უპირატესად აღამიანს, ფსიქოლოგიურად სრულიად განუყენებულ, მარადიულ ინდივიდუუტს დავაკვირდეთ. და მართლაც, მისი საუკუნის საფრანგეთიდან არც ერთი ნაწარმოები, არც ერთი ხასიათი არ შემონახულა ასე ცინცხლად და ციმციმად, დრო უარყო და მისი ქმნილებანი დრო და ეამს არ ექვემდებარებიან, მხოლოდ თავისი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა და ამიტომ ასე ცხოველყოფლად მოქმედებს ჩვენზე აღამიანი, რომელიც მთლიანად ინარჩუნებს თავის რაობას, ხომ მუდამ ისეთსავე სამსახურს უწევს კაცობრიობას, როგორსაც ის, ვინც მთლიანად სწირავს თავს; იცავს რა თავის მეს, იგი გარდაქმნათა დამანგრეველი დინებისაგან იცავს



მიწიერი ხიმართლის ერთ-ერთ განუმეორებელ ფრაგმენტს, რაც უფრო მეტად ცხოვრობს ადამიანი თავისი ეპოქით, მით უფრო ადრე და მა-

ლე თავდება მასთან ერთად. რაც უფრო ინარჩუნებს ადამიანი თავის ჰუმანობას, მით უფრო მეტი რამ რჩება მისგან სამართლისოდ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შენიშვნები

1. აუდიტორი (ლათ. მსმენელი, გამომძიებელი) — სხვადასხვა რანგისა და ფუნქციების სამხედრო იურისტს აღნიშნავდა შრავალ ევროპულ სახელმწიფოში. სტენდალი 1840 წლიდან ერთხანს მართლაც იყო სახელმწიფო საბჭოს აუდიტორი.
2. ოგიუსტენ ფილონი (1841-1916) — ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსი. უმთავრესად ფრანგ და ინგლისელ მწერალთა შემოქმედებაზე წერდა.
3. მონსიე, შარლ (1825-1888) — ფრანგი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, ავტორი ნარკვევებისა, რომლებშიც ზედაპირულად აშუქებდა თავის თანამედროვე მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებას.
4. ვანა... ტიტანიამაც კი არ აკოცა ზაფხულის ღამეში? — იგულისხმება ფერიების დედოფალი ტიტანია — შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარის“ მოქმედი პირი.
5. პოლიტიკური სკოლა პარიზში 1795 წ. დაარსდა და უმაწვილკაცობას ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად ანდა საინჟინრო გარებსა და არტილერიაში სამსახურისთვის ამზადებდა.
6. სენ-ბერნარზე ჯარის გადასვლისას — 1800 წლის მაისში ნაპოლეონმა იტალიაში ლამპრონისას უძნელესი მარშრუტი აირჩია, ჯარი აღებდას უღელტეხილ სენ-ბერნარზე გადაიყვანა, სამაგიეროდ ავსტრიელთათვის სრულიად მოულოდნელად მათ ზურგში, მდინარე პოს ხეობაში, აღმოჩნდა და 14 იუნისს დაამარცხა კიდევ ისინი მარენგოსთან.
7. პიერ (შემდგომ გრაფი) დარიუ (1767-1829) — ნაპოლეონის თანამებრძოლთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, კარგა ხანს სამხედრო სამინისტროს გენერალურ მდივანდ მუშაობდა, 1811 წ. კი მინისტრის თანამდებობა დაიკავა.
8. ...მარენგოთი დაიწყება და იმპერიით დამთავრდება — მარენგოსთან ბრძოლის მოგებიდან პლემბისციტის შედეგად ნაპოლეონის იმპერატორად გამოცხადებამდე (1804 წ. მაისი) ოთხი წელი გავიდა.
9. „Moniteur“ — ნაპოლეონისდროინდელი ოფიციალური გაზეთი 1789 წ. დაარსდა და მისი სრული სახელწოდება „Moniteur universel“ — „საყოველთაო მრჩეველ-დამრიგებელი“.
10. კორსო პორტა ორიენტალესთან — კორსო (იტალ.) — ჭუჩა, პროსპექტი; პორტა ორიენტალე — აღმოსავლეთის კარიბჭე.
11. ჩიჩისბეო — მანდილოსნის მუდმივი მზღებელი (ძველ-იტალიური ჩვეულებით გათხოვილი ქალი არ შეიძლებოდა გარეთ ისე გამოსულიყო, რომ თავისი ჩიჩისბეო არ ხლენოდა).
12. ჩიმაროზა, დომენიკო (1749-1801) — როკოკოს ხანის პოპულარული იტალიელი კომპოზიტორი, კომიკური ოპერის — Opera buffa გამოჩენილი ოსტატი, 75 ოპერის ავტორი.
13. „ფარაონი“ — ძველებური აზარტული ქაღალდის თამაში (უწინ საგანგებო ქაღალდით თამაშობდნენ, რომელზედაც ეგვიპტის ფარაონი იყო გამოსახული).
14. კაჯანოვა, ჯოვანი ჯაკომო (1725-1798) — იტალიელი მწერალი და მეზეარისტი, ევაკი და ქალების მუსუსი; თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება განვლო, სახელი გაითქვა ფრანგულენაზე დაწერილი ვრცელი „მეზეარებით“. ავტორი უჩვეულო გულაბდილობითა და დაკვირვების უნარით გამოირჩევა.
15. კონტაბლ დე ბურბონი (1490-1527) — ფრანგი მხედართმთავარი, გადაუდგა ფრანსუა I და იტალიაში გერმანიის იმპერატორის მხარეზე იბრძოდა ფრანგთა წინააღმდეგ. კონტაბლ თავდაპირველად მეჩინიბეთუხუცესს ნიშნავდა მეფის კარზე, XIV-XVI საუკუნეებში კი უკვე ფრანგთა მთავარსარდლის ტიტულად იხმარებოდა.
16. ...მკაცრ ღმერთ მერკურის მსხვერპლი მოუტანოს — ...ვერცხლისწყლით იმკურნალოს (მერკური — ვერცხლისწყლის ძველი სახელწოდება).
17. მცირე „საპატიო ლეგიონით“ — საპატიო ლეგიონის ორდენი ნაპოლეონ ბონაპარტმა



დააარსა 1802 წლის 19 მაისს. 5 სხვადასხვა კლასისა, მათგან ყველაზე მცირე — ვერცხლისა, მას წითელ ბაფთაზე იმაგრებენ, მკერდის მარცხენა მხარეს.

18. პრატერი — ცნობილი პარკი ვენაში, დუნაისა და დუნაის არხს შორის.

19. ვაგრაშთან ბრძოლი კვლავ ნაპოლეონის ლაშქარსა და ავსტრიის ჯარს შორის/ვაი-მართა 1809 წლის 6 ივლისს და კვლავ ფრანგთა გამარჯვებით დამთავრდა.

20. ტალმა, ფრანსუა ეოზეფ (1763-1826) — იმდროინდელი სახელგანთქმული ფრანგი მსახიობი, ტრაგიკული როლების შემსრულებელი.

21. „Clemenza di Tito“-სა და „Matrimonio segreto“-ს შორის — „ტიტუსის გულმოწყალებასა“ და „საიდუმლო ქორწინებას“ შორის. პირველი ოპერა ვეუთენის მოცარტს, მეორე — ჩიმაროზას.

22. იტალიელ მადამ პასტასთან — იტალიელი მომღერალი ქალი ჯულიტა პასტა (1798-1865) წლების მანძილზე გამოდიოდა პარიზის სცენებზე.

23. ხილენოხი — ძველბერძნული მითური პერსონაჟი, დემონი, დიონისეს აღმზრდელი და მხლებელი; იგი მთვრალ, მოლხენილ, მსუქან და კეთილ მოხუცად ჰყავდათ წარმოდგენილი.

24. სულტი. ნიკოლა ეან (1769-1851) — ნაპოლეონის დროს იყო მარშალი, ერთხანს სამხედრო მინისტრის თანამდებობა ეჭირა, ხოლო 1839 წელს კი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს.

25. შერიუბენ ბეილი — ამ სახელმა მოცარტი არ უნდა მოგვაგონოს — ფრანგული „შერიუბენ“ და იტალიური „კერუბინო“ (ასე ჰქვია მოცარტის „ფიგაროს ქორწინებაში“ ჰაბუკ ვაჟს, ერთი და იმავე ფუძიდან — ძველებრაული „კერუბიმიდან“ მიღებული სიტყვებია.

26. ლამარტინი ალფონს დე (1790-1869). ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

27. ოიდიპოსის კომპლექსი — ფროიდისეულ დსიქოანალიზის თეორიაში არაცნობიერი ღტოლვა საპირისპირო სქესის მშობლისადმი და, პირიქით, სიძულვილი თავისივე სქესის მშობლისა (როგორც ძველბერძნული მითი მოგვითხრობს, ოიდიპოს მეფემ ისე, რომ არ იცოდა, წამა მოკლა, ხოლო დედა ცოლად შეირთო).

28. crescendo (იტალ) — კრემენდო (მუსიკ. ტერმინი: სულ უფრო და უფრო ხმამალა: ბგერის ელერადობის თანდათანობით გაძლიერება.

29. ტეილორის სისტემაზე აგებულ სამყაროში — ერთფეროვნად ორგანიზებულ, სტანდარტულ სამყაროში; ამერიკელმა ინჟინერმა ფ. ვ. ტეილორმა (1856-1915) რაციონალიზაციის სისტემა შექმნა, რომელიც ტეილორის სისტემის სახელით არის ცნობილი და მიზნად ისახავს შრომის დანაწევრებისა და ინტენსიფიკაციის გზით შრომის ნაყოფიერების ზრდას.

30. ტამბურმაჟორა (ფრანგ.) — პოლკის უფროსი შედაფდაფე (უნტეროფიცერი, შედაფდაფეთა და შებუკეთა გუნდის უფროსი პოლკში).







„წმინდა პოეზია“

თარგმნა მაკა მანისურაძემ

მედი ვიქონიოთ, რომ ჩვენში „წმინდა პოეზიის“ რაობა არ გამოიწვევს ისეთ უსარგებლო, გაცხოველებულ და გააფთრებულ კამათს, როგორც ატყდა საფრანგეთში, როცა აბატმა ანრი ბრემონმა<sup>1</sup> აკადემიაში წაიკითხა თავისი მოკლე, მაგრამ ჰკვიანური ლექცია ამ საკითხზე. მართლაც და ვის არ გააღიწიანებდა ის, რომ აკადემიის ორმოც წევრთაგან არცთუ ნაკლებ გამოჩენილმა გამოთქვა ამდენი მკრებელური მოსაზრება, შინაურულად ისაუბრა ინგლისელ პოეტებზე, რაც მათი ქრეშმარტი ცოდნით იყო გამოწვეული, არც კეთილი მამა რაპენის<sup>2</sup> დახვეწილი განხაზვრებანი დაივიწყა. პოეზიის შექმნასა და მიხტიციუმს შორის მსგავსება დაამყარა და თავისი ლექცია პატერის ცნობილი გამონათქვამით დაასრულა. ამ ლექციის ბოლო აბზეგის კომაროდა იმისათვის, რომ გარდასული უკვე დაინსაფლავებში გადაბრუნებულიყვნენ. პოეზიის ქაღო, თქვა მან, არის ჩაფიქრების ხიბლი, რომელიც ისეთ სიმშვიდეს მოგვეგვრის, რომ ისდა დაგვრჩენია, მთლიანად დავნებდეთ, მივენდოთ მას, მაგრამ ეს დანებება ხდება არა პასიურად, არამედ აქტიურად. რაღაც ჩვენზე უფრო დიდი და კარგი გვაიძულებს ესე მოვიქცეთ.

პროზა არის ცხოველი, მოფარფატე შუქი, რომელიც ძალზე შორს გადაგვიყვანს ჩვენი თავიდან, პოეზია კი არის ძახილი შიგნიდან, გაურკვეველი სიმძიმე, როგორც ამას უორდსუორთი უწოდებდა, წმინდა სიტბო, როგორც ამბობდა კითხი, უკვდავებისა სიმძიმე.

ჯანა სად გადაყავართ ამ სიმძიმეს, თუ არა იმ დიდებულ ნავსაყუდელში, სადაც რაღაც ზედადამიანური გველის? გავიხსენოთ უოლტერ პატერის ნათქვამი: „უველა ხელოვნება მიისწრაფვის გადაიქცეს მუსიკად“. დიახ, თითოეული ხელოვნება მხოლოდ მიხთვის დამაზახნათებელი ქადოხნობით: სიტყვებით, ნიშნებით, ფერებით,

ხაზებით გარდაქმნიხავენ მიისწრაფვის, მაგრამ არა მუსიკად, არამედ ლოცვად“.

ჩვენში აკადემია არა გვაქვს და არც რაციონალისტური ტრადიცია გაგვარჩნია, რომელსაც ეს სიტყვები ჩრდილს მიაყენებდა, ამიტომაც ამდაგვარი გამოთქმისათვის აქ შეხაძლებელია დიდი უურადლება არ მიექციათ, და რასაკვირველია, არც რამდენადმე მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ასეთი რამ საკმაოდ კარგად ესადაგება ჩვენს პოეტურ და რელიგიურ ტრადიციას, მაგრამ საფრანგეთში ამ სიტყვებმა გამოიწვია ერთის მხრივ ანტიკლერიკალური შიში, ხოლო მეორეს მხრივ, — რაც უფრო გამართლებულია, — ერთგვარი უბორტო ექვი: „Timeo Danaos et dona ferentes“.

ამ ორმხრივი კრიტიკისაგან კმათი გააფთრებულ ბრძოლაში გადაიწარდა.

ბატონი ბრემონი დახვეწილი მწერალია, ამიტომაც ადვილი არ არის, შეუცდომლად ჩახვდე, თუ რას გულისხმობდა იგი თავისი გამონათქვამით. მით უფრო, რომ მისი სიტყვები ორაზროვნებას მოკლებული არ გახლავთ. ისე კი, თავის ლექციაში მან ცხადად ისაუბრა იმ გავლენაზე, რომელსაც ახდენს პოეზია მკითხველზე. მან თქვა, რომ „წმინდა პოეზია“ სად გონებაში წარმოშობს მდგომარეობას, რომელიც მდუმარე მიხტიურ „ქვერეტას“ ემსგავსება, რაც ლოცვის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. ბატონი ბრემონის ეს გამონათქვამი არ ესადაგება მის მიერვე სხვაგან გამოთქმულ აზრს, რომ პოეზიის შექმნისას პოეტი აღტყინებას ვანიცდის, მაგრამ ასეთი შეუთანხმებლობა ხელს არ უშლის ბატონ ბრემონს, რომ ამ ორ ერთმანეთის შეუსაბამო აზრს ადგეს. პოეტში არსებობს რაღაც მიხტიური ან ნახევრადმიხტიური მდგომარეობა, რომელსაც სიტყვის ქაღო უშუალოდ მკითხველს გადასცემს. თუ ბატონი ბრემონის ნათქვამი სწორად გავიგეთ, „წმინდა პოეზია“, სწორედ ის სიტყვები უნდა იყოს,



რომელთა მეშვეობითაც, ან რომელთა ძალითაც ხორციელდება ეს გადაცემა.

სამწუხაროდ, ბატონმა ბრემონმა თავისი მსჯელობა ამ საკითხზე დაუკავშირა ბატონ პოლ ვალერის მსჯელობას, რომელიც ახევე ფრანგული აკადემიის წევრი გახლდათ და რომელსაც ბატონი ბრემონი თავის დროზე ასეთი მონდომებით უწყობდა ხელს, რომ ამ აკადემიის წევრად აერჩიათ. პოლ ვალერის მსჯელობა კი სულ სხვა „წმინდა პოეზიას“ ეხება, რომელიც მალარმედან იღებს სათავეს. „წმინდა პოეზიის“ ამ მეორე გაგებით პოეტის მიზანი უნდა იყოს ის, რომ შეგნებულად და მიზანდასახულად შექმნას სიტყვებისაგან შემდგარი მუსიკალური ქსოვილი, რომელიც მსმენელს აღაფრთოვანებს (ამასთანავე, ამ პოეტური ქმნილების თემას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს).

ამის მიხედვით, პოეზიის „სიწმინდე“ ვლინდება თემისაგან მის სრულ დამოუკიდებლობაში: „წმინდა პოეზია“ უბრალოდ სიტყვათა მუსიკაა.

პოეზიის ასეთ გაგებას, რომლითაც ჩვენ ინგლისში დიდად არ შეგვიწუხებია თავი, მიუხედავად იმისა, რომ პოლ ვალერის კრემონის წინაპარი ედგარ ალან პო იყო, სრულიადაც არა აქვს რაიმე აუცილებელი კავშირა ბატონი ბრემონის მსჯელობასთან და სამწუხაროა, რომ ამ უკანასკნელმა უფრო მეტად არ გამოიჩინა ისინი.

ბატონი ბრემონის პოეზიის ცოტათი გაურკვეველს ხდის არა მარტო ის, რომ მან მსჯელობისას მოიშველია პოლ ვალერის ძალზე გამოკვეთილი და მისი თეორიისაგან სრულიად განსხვავებული თეორია, არამედ მისი კათოლიკური ორთოდოქსალობაც, ბატონი ბრემონი იმდენად მალლა აუენებს პოეზიას, რომ ცდუნებას გვარდს ვერ უვლის და პოეტს წარმოგვიდგენს როგორც ქრისტიან მისტიკოსს, რომელიც გადამწყვეტ მომენტში შეცდა და იმის ნაცვლად, რომ ღმერთთან ერთობის მღუშარე ექსტაზს მისცემოდა, სიტყვის დემონისგან ცდუნებულმა გამოუთქმელის გამოთქმა სცადა. ამის გამო შეიძლება შევნიშნოთ, — და თვით ბატონმა ბრემონმაც ოდნავ მიგვანიშნა ამაზე, რომ ქრისტიან მისტიკოსთა უმრავლესობა ამ დემონის მიერ იყო შეპყრობილი, რომელიც მათ ხმამაღლა გამოთქმისაკენ უბიძგებდა, მაგრამ მათი გამონათქვამი მუდამ პოეზია როდი გახლდათ. აქედან გამომდინარე, თუ პოეტები ხელმოცარული მისტიკოსებია არიან, იგივეს თქმა თვით მისტიკოსების შესახებაც შეიძლება. და კიდევ ერთი: მაშინ როდესაც მისტიკოსები ზოგჯერ განცდილ ნეტარებას მრავალსიტყვაობით ანიავებდნენ, პოეტები ამ ნეტარებისაგან მშვენიერებასა და „მარადიულ დღესასწაულს“ ქმნიდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონი ბრემონის თეორიასთან დაკავშირებული ლათინური გამოთქმა: „მეშინია დანაველთა“... მის ორთოდოქსალობაზე უფრო უპრიანია, ვიდრე პოეტებზე.

მაგრამ ყველა შემოთქმული მსჯელობის იქნებოდა გამართლებული, თუ ბატონი ბრემონის თეორიას მისაღებად მივიჩნევდით, მაგრამ ამას ჯერ კიდევ კვლევა-ძიება ესაჭიროება. დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც ძირითადად ემყარება ბატონი ბრემონი პოეზიის შექმნასა და მისტიციზმს შორის კავშირის დასამყარებლად, ახალი არ გახლავთ. ის მდგომარეობს იმაში, რომ კრემონის პოეტური სტრიქონისათვის მის შინაარსობრივ, რაციონალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მეტიც, ბატონი ბრემონი განაცხადებს, რომ შინაარსს პოეტური ქმნილების ავტორიანობისათვის საერთოდ არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, მაგალითისათვის მას მოჰყავს ლეგენდად ქცეული შესწორება, რომელიც გააკეთა კითხმა სტრიქონში «A thing of beauty is a constant joy» რაც საბოლოოდ აღედგინა როგორც «A thing of beauty is a joy for» და „ენდიმონის“ პირველ სტრიქონად იქცა. ეს ორი სტრიქონი შინაარსობრივად თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთი პოეზიაა, მეორე კი არა. ერთიდან, ბატონი ბრემონის კარგი მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, ნაკადი გადმოიცემა ჩვენში, მეორედან კი არაფრის გადაცემა არ ხდება. აქედან შეიძლება ორი დასკვნა გამოვიტანოთ: პირველი — პოეზია არის სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს პოეტისაგან რაღაც გადაეცემა და, მეორე — ეს რაღაც არ არის მცნება ან იდეა. მაშ რა უნდა იყოს, ეს? ტოლსტოი ამას „ემოციას“ უწოდებდა; სენიორ კროჩე „ინტუიციას“; ბატონი ბრემონის თქმით, ეს არის არასრული მისტიური გრძნობა. პროფესორი უითმედი“ კი, თუ სწორად გავიგეთ მისი აზრი, ამას პირველადი კონკრეტული გამოცდილების ნაწილს უწოდებს.

რასაკვირველია, შეგვიძლო უამრავი სხვა განსაზღვრებაც მოგვეყვანა, რომლებიც მხოლოდ ნიუანსებით თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ყველაზე საგულისხმო ის გახლავთ, რომ საქმე მხოლოდ პოეზიას არ ეხება, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით. ეს უბრალოდ „სტილის ჯადოა“, რომელიც მეტიუ არნოლდის თქმით მკითხველში შობს სათნოებას, ისევე როგორც ხილვისა და შემეცნების უნარს.

ბატონი ბრემონი ნაკლებად რომ ყოფილიყო გატაცებული იმ პერსპექტივით, რომელსაც



პრობლემებისადმი მისეული მიდგომა თითქოსდა წარმოშობდა და ამ საკითხს მისდგომოდა მთელი მისი სიხრულით, როგორც სტილის სირთულეს, შესაძლებელია, მას შორს წასვლა არ დასჭირვებოდა და თავისსავე თანამემამულე პროზაიკოსთაგან ესეხებინა მცნებები, რომლებიც არც უკიდურესი იქნებოდა და არც გამაოგნებელი. სტენდალის უბრალო პროფთუგმა მას უარს ათქმევინებდა იმ ნაჩქარევ, შეტისმეტად ტოლსტოის უაღრესად გამოთქმულ აზრზე, რომ შინაარსობრივი მხარე „წმინდა პოეზიისათვის“ მხოლოდ რაღაც მეორეხარისხოვანი, თანამდევო მინარევია. „სტილი — ამბობს სტენდალი — არის ნაფიქრალი, რომელსაც უნდა დაუშვათ ყველა ის გარემოება, რისი მეშვეობითაც ეს ნაფიქრალი სრულად იქონიებს მთელ შესაძლო გავლენას მკითხველზე“. რაც არ უნდა შეზღუდული იყოს სტენდალის ეს გამონათქვამი, ის მაინც უოველგვარ მისტიურ თეორიაზე უკეთ მოჰყენს შუქს იმ პროცესს, რამაც კითხს შემოხსენებული შესწორება გააქეთებინა. პირვანდელ და შემდგომში გადაკეთებულ სტრიქონში ერთი და იგივე აზრია ჩაქსოვილი. მაგრამ მეორეში სიტყვათა რაღაც განსაკუთრებული მარშონიის წყალობით, ამ აზრს სრული და კემშარიტი ქმედითობა ენიჭება. სტილის სტენდალისეულ განსაზღვრებაში გარკვეულ სირთულეებს ვხვდებით, მაგრამ ის გაცილებით უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე სხვა ნებისმიერი თეორია, რომელიც შინაარსობრივ, აზრობრივ მხარეს პოეზიაში სრულიად უმნიშვნელოდ აცხადებს. ამ განსაზღვრებაში მეტისმეტ ჩაკერკიტებას უნდა ვერიდოთ და გვახსოვდეს, რომ სტენდალის ლექსიკონში სიტყვა „ფიქრი“ გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ლოგიკური წარმოდგენები და გამოკვეთილი მცნებებია. და კიდევ, უნდა ვიცოდეთ, რომ პოეზიის სხვადასხვა ნიშნუში მკვეთრად აზრობრივი მხარე რაოდენობრივი თვალსაზრისით განუსაზღვრელ ცვალებადობას განიცდის.

ამის მაგალითად კითხის შემოხსენებული სტრიქონი არ გამოგვადგება, რადგან აშკარად აფორისტული ხასიათისაა. ალბათ არც შექსპირის ეს სტრიქონი გამოგვადგებოდა ძნელად-ნასაკიდი აზრობრივი მნიშვნელობის გამო: „მას კარგად სძინავს, ამა მღელვარე ცხოვრების ტალღების ქვეშე“.

მაგრამ ეს სტრიქონი ცოტათი გვაახლოებს იმასთან, რასაც სტენდალი არხებითად გულისხმობდა სტილის მისეულ განსაზღვრებაში. ყოველ ნაფიქრალს, აზრს, ყოველ შემთხვევაში იმ აზრებს, რომლებთანაც პოეზიას აქვს კავშირი, გააჩნია თავისი ემოციური კონტექსტი ან „ველი“. „ის აზრები კი, რომელთაც ასეთი

ემოციური „ველი“ არა აქვთ, თავისი ბუნებით უცხონი არიან პოეზიისათვის. თუმცა, ისიც მართალია, რომ აზრი, რომელსაც ერთის თვალში არავითარი ემოციური „ველი“ არ გააჩნია, მეორეს, პირიქით — შეიძლება სწორედ ასეთი ემოციური „ველი“ წარმოუდგეს. როგორც, მაგალითად, უკიდურესად შეტაფიზიკა იყო ლუკრეციუსისათვის ან პტოლემეაქეს ასტრონომია დანტესათვის. ვამოდის, რომ ნააზრევის შემოქმედება მკითხველზე აბსოლუტური მცნება არ არის. მთავარი ისაა, თუ რა შემოქმედებას ახდენს ნააზრევი პოეტზე და, პოეტის აზრით, რა შემოქმედება უნდა მოახდინოს იმავე ნააზრევმა მის მკითხველზე. ამრიგად, პოეზია არის სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც მკითხველი ეზიარება პოეტის გონებაში ნაშობ აზრსა და მის „ემოციურ ველს“. ამაზე მეტის თქმაც შეგვიძლია. ცხადია, რომ ნააზრევი და მისი „ემოციური ველი“ ერთმანეთისაგან განუყოფელია, რადგან „ემოციური ველი“ სხვა არა არის რა, თუ არა ის, რაც ხდება ამ აზრის გააზრების დროს: შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ემოციური ველი“ სწორედ აზრის გააზრებაა. ეჭვგარეშეა, რომ ნააზრევი და მისი ემოციური ველი გონების ერთი მთლიანი აქტის მხოლოდ ოდნავ განსხვავებული მხარეებია. იმის თქმაც კი, რომ აზრი ემოციურ ველზე ადრე წარმოიშვა — საბიფათოა. თუკი აქ საერთოდ რაიმე თანმიმდევრობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, ეს თანმიმდევრობა უფრო ლოგიკურის სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე რეალურს. უფრო მეტიც, საქმე საქმეზე თუ მიდგა, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მრავალი დიდი პოეტის გონებრივ მოქმედებაში ემოციური ველი წინ უსწრებს აზრს, რომელიც ამ ემოციურ ველის ერთგვარ შედეგებულ სახესხვაობას წარმოადგენს. ამგვარი მიდგომით ჩვენ შევინარჩუნებთ იმ ქემშარიტებას, რომელიც ბატონმა ბრემონმა გადმოსცა მეტაფორით „ნაკადი, რომელიც გადადის“ და გვერდს ავუვლით იმას, რაც წარმოგვიდგება როგორც აზრისა და პოეზიაში სპეციფიურად პოეტურის ნაჩქარევი და სასიფათო გათიშვა. ჩვენ სრულიად არ ვიტყუებით თავს იმით, რომ რაიმეს ახსნა შევძელით, უბრალოდ, ყალბი განმარტება ავიცილით თავიდან. ჩვენი ამგვარი სიფრთხილის საწინააღმდეგოდ ბატონმა ბრემონმა შეიძლება მოიყვანოს სტრიქონი, რომელიც ძვირფასი იყო მარსელ პრუსტიხათვისაც და მისთვისაც: „მინოხისა და პაციფეს ქალიშვილი“<sup>10</sup> და კიდევ ერთხელ უარყოფს, რომ ეს სტრიქონი საერთოდ რაიმე აზრს შეიცავს, რაზეც ჩვენ ვუპასუხებდით, რომ აზრის ასე ხელაღებით უარყოფა ქემშარიტებას არ შეეხებაშება. შემოთ მოყვანილი სი-



ტუვები არ არის მხოლოდ რაღაც უაზრო „ქაღოქრული შელოცვა“ ისევე, როგორც არ წარმოგვიდგება ასეთად „Jousted in Aspramont and Montalban“.

ორივე ამ სტრიქონში თავისთავადი, იშვიათი, მკვეთრად გამოხატული მდიდარი ეგზოტიკურობა შეიმჩნევა და ამაზე რომ განაცხადო, ნააზრევი არ არისო, ნიშნავს, ერთის მხრივ, მთელი ჩვენი გონებრივი მოქმედება უბრალოდ აღქმამდრ დაიყვანოს ან, პირიქით — ყოველგვარი საჭიროების გარეშე, უმართებულოდ ააშალო ის მიუწვდომელთან მისტიურ ზიარებამდე.

ჩვენის აზრით, უკეთესი და უფრო დამაჯერებელი იქნებოდა იმის აღიარება, რომ გონებრივ მოქმედებას პოეზიის შექმნისას ზღვარი არა აქვს და რომ აზრისეული ელემენტი შეიძლება მერყეობდეს იმისთანა მრავლისმეტყველ გამონათქვამს შორის, როგორცაა: „ჩვენ სიწმირებს ვგავართ“ და ისეთ სრულიად უმნიშვნელო ნააზრევს შორის, როგორცაა „ნაცრისფერი გუგულის ძახილი“.

მთავარი ისაა, რომ პოეტის გონებაში აზრი ემოციური ველის ჰუმბარიტ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდეს და რომ — მკითხველთა გონებაშიაც შესაბამისი ემოციური ველი წარმოიშვას.

პოეზიაში ისედაც ბევრი რამაა საიდუმლოებით მოცული, ასე რომ მისთვის მისტიკურობის ხელოვნურად მინიჭება საჭირო არ არის. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პოეტი არის ის, ვის გონებაშიც აზრთა დიდ ნაწილს (აზრის ზემოთ განხილული ფართო გაგებით) თან ახლავს ძალმოსილი და ცხოველი ემოციური ველი.

აღბათ ისიც მართალია, რომ ჩვეულებრივად ადამიანის გონებაშიც აზრს ყოველთვის თან ახლავს ემოციური ველი, მაგრამ ის ამ ველს უგულვებელყოფს და ამის კარგი მიზეზიცაა აქვს, რადგან არ გააჩნია საშუალება, რომლითაც ამ აზრს მისი ემოციური ველისაგან გამოარჩევდა. პოეტს კი, პირიქით, თავიდანვე აქვს ასეთი საშუალება; მის განკარგულებაშია სიტყვა.

პოეტის გონებაში სიტყვას, ერთის მხრივ, ემოციური ველი წარმოშობს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს სიტყვა წინასწარაა მომარჯვებული იმისათვის, რომ შესაბამისი ემოციური ველი გადმოსცეს. სწორედ სიტყვის ასეთი შეწყვილება გონებრივი მოქმედების ერთ მთლიან აქტთან, რაც აზრისა და ემოციური ველის ერთიანობას გულისხმობს, არის პოეზიის შექმნა. პროსპეროს აზრით, რომელიც, თუ გახსოვთ, აღწერულ, მფეთქავ გონებაში იშვა („ჩვენ სიწმირებს ვგავართ“), ჩვეულებრივ ადამიანს რომ მოხვლოდა თავში, მთელი ძალით შეეცდებოდა რა-

გორმე დაემახსოვრებინა, მაგრამ ვერ დაიხსოვებდა. აღბათ იტყოდა, „ერთი უჩვეულო აზრი მომივიდა თავში, ჩვენ სიწმირებს ვგავართო“. შემდეგ შეტოქმანდებოდა, რადგან იგი იხსნებოდა, რომ ხმამაღლა წარმოთქმით თავისე აზრი გასცა, უღალატა მას. იქვე მოდებდა მთელიანად დაურთავდა: „ამ, რა მშვენიერი იყო — ო, დიახაც, მშვენიერი იყო, მაგრამ ხიბლი საბოლოოდ დაიკარგა, რადგან იგი თვით აზრში კი არ იყო, არამედ მის გააზრებაში და იმ განუყოფელ მის შემცველ ემოციაში, რამაც განაპირობა მისი წარმოშობა და რომლის დაგვირგვინებდაც თვით ეს აზრი მოგვეკლინა. იმისათვის, რომ მშვენიერება უმართებულო დაღუპვისაგან გადავარჩინოთ, საჭიროა არა მისი ხმამაღლა გამოთქმა, არამედ მთლიანი გონებრივი აქტის — ნააზრევისა და მისი ემოციური ველის სიტყვაში აღბეჭდვა. იმ საშუალების მეტისმეტად გულდასმით შესწავლა, რომლის შენვეობითაც მკითხველისათვის ერთიანი გონებრივი აქტის გადაცემა მოხდა, მართალია, მაცდუნებლად მომზიბვლელი შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ მომგებიანი კი არ არის.

აი, აქ კი მკონი მივალწიეთ ჩვენს წინაშე დასახულ მიზანს და მივალწიეთ ისე, რომ ბატონი ბრემონისაგან განსხვავებით არავითარი ქაღოქრობისა და მისტიციზმისათვის არ მიგვიმართავს. ღმერთს (ex machina, თუ იძანენტს) აქ ხელი არა აქვს. ზოგი პოეტი შესაძლებელია ფიქრობს ღმერთზე ან განიცდის მას, სხვანი კი არც ერთს აკეთებენ და არც მეორეს. მაგრამ ერთნიც და მეორენიც პოეტებად ჩაითვლებიან, თუ ძალა შესწევთ ისე შეუწყვილონ სიტყვა თავის გონებრივ აქტს, რომ მსგავსი გონებრივი აქტი მკითხველებშიც განხორციელდეს. მხოლოდ ამის წყალობით იწოდებიან ისინი „წმინდა პოეტებად“, ხოლო მათ მიერ შეთხზული კი — „წმინდა პოეზიად“. ხუთ სხვაა, დიდ პოეტებად მივიჩნევთ მათ თუ არა, რაც დასტოვებულია იმაზე, თუ რა შეფასებას ვაძლევთ იმ გონებრივ აქტს, რომელიც მისი შემწეობით ჩვენში განხორციელდა. ერთი კი შეიძლება მტკიცედ განვაცხადოთ: შეუძლებელია, რომ წმინდა პოეტი ცუდი იყოს. ერთადერთი საკითხი, რაც ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტას მოითხოვს, არის ის, თუ რამდენად კარგია ესა თუ ის პოეტი, ისე კი, წმინდა პოეტი მხოლოდ კარგი შეიძლება იყოს.

ჩვენ ზემოთაც შევეცადეთ მიგვენიშნებინა, რომ პოეზია არ არის ის, რასაც ზოგიერთი ამტკიცებს (თუნდაც თავდაპირველად: სწორი განზრახვით); — კერძოდ რაიმეს გადაცემა, იქნება ეს გადაცემა ემოციისა, რომელიც საბოლოოდ აღქმის შედეგად წარმოშობილ



გრძნობად მოგვევლინება. თუ ნაპრვეისა, არამედ ეს გახლავთ გადაცემა ერთიანი გონებრივი აქტისა. მნიშვნელობა არა აქვს მოგვეწონს თუ არა ეს გადმოცემული გონებრივი აქტი ჩვენ, როგორც მორალის მქონე არსებებს, ის მაინც გვიბიძგებს ერთგვარი გაღვიძებისაკენ. გვახსენდება, რისი დამახსოვრებაც ვერ შევძელით, განვიცდით იმას, რაც არ განგვიცდია მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ გავერკვიეთ. ვერ გამოვუვით ეს განცდა სხვა განცდებისაგან. და რაც უმთავრესია, ჩვენ ვამუარებთ პირდაპირ და სრულ კავშირს სხვა, ჩვენზე უფრო ნიჭიერ ადამიანთან. თუნდაც მხოლოდ ერთი წამით მისი ფიქრები ჩვენი ფიქრებია, მისი ავ-კარგი ჩვენი ავკარგია და მისი ავ-კარგი, რაღაც ძირისძირით (იმ ძირისძირით, რომლის წყალობით მას პოეტი ეთქმის) ჩვენს ავ-კარგზე უფრო დიდია, უკეთესია, რადგან ის სრულად ფლობს და სრულად აცნობიერებს თავის გონებრივ აქტს, გრძნობებს; არ ეთიშება, არ ამახინჯებს მათ. სულ ერთია, მისი აზრი არის ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ აზრს ვეძახით, თუ ის, რასაც ჩვეულებრივ აღქმას ვუწოდებთ. პოეტს ეს აზრი თუ აღქმა გააჩნია არა როგორც რაღაც ბუნდოვანი სქემა ან ჩონჩხი, არამედ ის ფლობს მას მთელი მისი თავისთავადობითა და თვითშეფადობით. პოეტში მას სისხლხორკეული სიტბო აქვს. აქედან გამომდინარე, აშკარა შეცდომა იქნება, რომ ამ, მხოლოდ პოეტისათვის დამახასიათებელს, რასაც ის მკითხველს გადასცემს, ემოციური ან ინტელექტუალური გამოცდილება ან კიდევ სხვა რაიმე ვუწოდოთ. თითოეული ეს სახელწოდება ძალზე გაალარბებს, განძარცვავს ამ მხოლოდ პოეტის მფლობელობაში მყოფის არსს. ამის აღსანიშნავად არც შემოხსენებული ორი ტერმინის შეჭამება გამოდგებოდა. ის გვევლინება თავისთავადობით, *sui generis* სულისა და ხორცის ერთიანობა ჩვეულებრივ მოკვდავშიც არ გაითიშება, არათუ იმ პოეტურ მთლიანობაში, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ანალოგიას ადამიანში არსებულისას.

აქედან გამომდინარე, პოეზიის უპირველესი და არსებითი სიკეთე გახლავთ ის, რომ ყოველ სწორად მომართულ მგრძნობელობაში მისი მეშვეობით ხელახლა წარმოიშობა გარკვეული გონებრივი აქტის ორგანული მთლიანობა, რასაც ადამიანი ჩვეულებრივ პირობებში მოცლებულია. ამით პოეზია მოწყალებას ემსგავსება:

„ნიდალადევი მოწყალება — რა წყალობაა იგი ვველაფერს ისე უნდა ებკურებოღეს, როგორც ზეციდან მონადენი ეუქუნა წვიმა

გულმოწყალება ორმაგადაც კურთხეულია: ნეტარს ჰყოფს თვითონ შემწყალებელს

და შემწყალებულს“.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმობ ბატონი რემონის სიტყვებს, ჩვეულებრივის ხიბლი... რომ ჩვენ ისღა დაგვორჩენია, რომ მთლიანად დავნებდეთ... მაგრამ აქტიურად“... ისე, რომ ყოველგვარი ზებუნებრივი ძალის ჩარევა გამორიცხულად ჩავთვალოთ. მაგრამ როდესაც ის დაუმატებს: „ჩვენზე უფრო დიდისა და უკეთესის მიერ“ — ამაზე კი თავს გავიქნევთ ისე, რომ გულიც არ გვეთანაღრება, რადგან „ჩვენზე დიდი და უკეთესი“ მხოლოდ და მხოლოდ პოეტია, რომელიც თავის განცდათა ერთობლიობას გადმოგვცემს, რითაც ჩვენში იმავ წამს წარმოშობს შესაბამის განცდათა ერთობლიობას, რომელიც უკვე მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენეულია. სწორედ განცდათა ასეთი ერთობლიობის წარმოშობა მკითხველში არის პოეტისა და პოეზიის უმთავრესი და არსებითი პირობა. სწორედ პოეზიის ამ უცნაურ ნიშანს გულისხმობდნენ ისეთი განსხვავებული გენიის მქონე შემოქმედნი, როგორიც იყვნენ კითხი და ტოლსტოი, როცა ამბობდნენ, რომ პოეზიის ნიშნში უნდა გვევლინებოდეს როგორც ჩვენივე (მკითხველთა) ამაღლებული ფიქრები განხორციელებული სიტყვაში და ჩვენმა გონებამ უნდა არეკლოს ის, როგორც თითქმის მოგონება. პოეზია გადმოდის ჩვენში, როგორც მარტივი და ცხადი კეშმარტება და არა როგორც „თითქმის მოგონება“, არამედ როგორც ნამდვილად მოგონება. პოეზიასთან შეხებისას ჩვენ ერთდროულად ვიქცევით იმად, რაც ვართ და იმად, რაც ვიყავით. ინტელექტი და ემოცია, გული და გონება აღიდგენს ადრე დაკარგულ მთლიანობას.

იმას, რომ „წმინდა პოეზია“ არის უბრალოდ სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც ვადმოგვეცემა ან ჩვენში წარმოიშობა გარკვეულ განცდათა ერთობლიობა, — ჭერ კიდევ საბოლოო გადაწყვეტა ესაჭიროება. უთუოდ ძალზე კარგია, რომ წმინდა პოეზიის წყალობით ჩვენ სრულად ეიდებთ სხვა ადამიანების გონებრივ აქტს და თანაც საშუალება გვეძლევა ხელახლა განვიცადოთ ის. ეს კი ამგვარი მიღების განუყოფელ პირობას წარმოადგენს. ამგვარი განცდა გაგვამდიდრებს და გარკვეულად მთლიანობას მოგვანიჭებს. შეიძლება ისიც კი გვეთქვა, (ეს ფრაზა თეოლოგიურ-მისტიური მნიშვნელობით რომ არ იყოს ნიშანდებული), რომ პოეზია ჩვენი სულის სრულ მფლობელობაში გადაგვიყვანს, ჩვენი სულის მონად გვაქცევს, ან ყოველ შემთხვევაში, მისი წყალობით ხდებ-



ბა შეხება ჩვენსავე სულთან. ასეთ დამონებას რომ თავი ავარიდოთ, საქიროა დაჯვამყოფილდეთ ჩვენი გონებისა და გრძნობის წაპიერი ერთობით. გრძნობა-გონების ასეთი ერთობა არათუ ავნებდა, პირიქით, დიდად სასარგებლო და სააშური იქნებოდა ჩვენი არსებისათვის, რომლისთვისაც გათიშულობა ჩვეული და საქირო მდგომარეობაა.

იმავდროულად, ცხოვრების სირთულე და პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება. გონიერ და სერიოზულ ადამიანს კვლავაც ამაღლებული აზრები უტრიალებს თავში და ამიტომაც, მართალია, პოეზია მას აძლევს საშუალებას, სხვათა განცდების სისავსის მიღებით ნაწილობრივ მაინც ბპოვოს ის, რასაც ეძიებდა, იგი, — ადამიანი, — ვერ დაკმაყოფილდება, თუ მისთვის გადაცემულ განცდათა მთლიანობა ჩამოუვარდება იმ განცდებს, რომელთა ფლობის უნარიც თვით ამ ადამიანს გააჩნია. მკითხველისათვის პოეზიის შეშვეობით გადაცემული რაციონალურ-გრძნობისმიერი ერთობლიობა უნდა შეიცავდეს თვით ამ მკითხველის ფიქრებს, მის მორალურ დაბნეულობას და უნდა იყოს ადეკვატური იმ განცდებისა, რომლებიც ამა თუ იმ მკითხველს თვით გააჩნია.

„ფიქრნი ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესახებ“, რომელთა ნაკლებობასაც ასე მწვავედ განიცდიდა მეტიუ არნოლდი, დიანაც რომ მოეთხოვება პოეტს, რომელიც არა მარტო „წმინდა პოეტის“, არამედ დიდი პოეტის სახელით უნდა მოიხსენიონ.

ჩვენ კი, — მკითხველებს, — ჩვენის მხრივ უნდა გვახსოვდეს, რომ „წმინდა პოეზია“ თავის ძირისძირში თავიდანვე შეიცავს აზრს, რომელიც ერთდროულად მრავლისმეტყველიცაა და მოუხელთებელიც. რადგან ეს პოეზია დაგვარწმუნებს, რომ თუ ადქმის უბრალო აქტი შენარჩუნებულია თავისი პირვანდელი შეუბღალავი სახით, ისე როგორც ამას პოეტი შეინარჩუნებს და გადმოგვცემს, — ასეთი აქტი დაკმაყოფილებელიცაა და საბოლოოც. ის მთლიანად მოიცავს ჩვენი არსების სულიერ მხარეს და ისეთ სისრულესა და მთლიანობას განგვაცდევინებს, რომ ამაზე მეტი არც არაფერი მოგვინდება. რაც უნდა დიდი მოთხოვნები გვქონდეს პოეზიის მიმართ ჩვენ — როგორც მორალის მქონე არსებებს — არასოდეს არ უნდა დაგვაფიქსედეს, რომ წმინდა პოეზიის ყველაზე მარტაც ნიმუშსაც კი გააჩნია თავისი მეტაფიზიკურა და მორალური დასრულებულობა. ასეთი პოეზიის ნიმუში შესაძლებელია სრულიად არ ეხმიანებოდეს ჩვენს ამაღლებულ აზრებს, მაგრამ ჩვენს აზრთა სიწმინდეს კი უცილობლად შეინ-

მიანება და გადმოგვცემს. სიწმინდე კი უწინაესი კატეგორიაა.

მაგრამ, რას ვიზამთ, მაინც კაცნი ვართ და დიდი პოეზიისაგან მოვითხოვთ არა მარტო წმინდა აზრებს, არამედ ამაღლებულ აზრებსაც. პოეტიც, რომელიც ისეთავე მწიფეობაზე შეპყრობილი, როგორითაც ჩვენ, ამასვე მოითხოვს თავისი თავისაგან. ხანდახან ამაღლებული აზროვნება მას არ ემარჯვება და ჩვენ ვგრძნობთ, რომ მასზე უკეთ ვაზროვნებთ, ამიტომაც ჩვენს თვალში ის დიდი პოეტი არ არის. ზოგჯერ ჩვენი და მისი აზრები მშვენივრად ემთხვევა ერთმანეთს და მაშინ ის ჩვენთვის დიდი პოეტია, რადგან მისი შემწეობით, ჩვენი აზრები წარმოგვიდგება არა ჩვეული სახით — როგორც განსაზღვრება, მისთვის დამახასიათებელი მექანიკური სიხისტით და არა როგორც რაღაც ბუნდოვანი უსახელო არსი, არამედ როგორც ცხოველმყოფელი, მოქმედი თავისთავადობა, რითაც ჭეშმარიტი აზრი ტვინის ბუნებისაგან განსხვავდება. ამაზე მეტ სიკეთეს კი ძნობრციელი ვერ გავციკეთებდა და რომ გაეკეთებინა კიდეც, ჩვენ არ გვექნებოდა იმის უნარი, ჭეროვნად მიგვეღო ის.

და კვლავ სიფრთხილე გვმართებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ამაღლებული პოეტურა აზრები მხოლოდ პოეზიით გადმოგვცემა. არ შეიძლება პოეტს მივუთითოთ: „ესა და ესაა ამაღლებული და ჭეშმარიტი აზრები და სწორედ ესენი უნდა იფიქროს“. ამით ჩვენ მოგვივა პლატონის შეცდომა, რომელიც არა ერთ კრიტიკოსს მოსვლია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პლატონმა შეიგნო თავისი შეცდომა, ჩვენ კი ვერ შევიგნებთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ არ შეგვწევს ძალა, ვიცოდეთ, რომელია ამაღლებული და ჭეშმარიტი აზრები და პოეტს აღბათ სწორედ ამის წარმოჩენა მოუხდება. ცხოვრების ამოცანა — განა ვინმეს ძალუძს დაბეჭითობით განაცხადოს, ეს აზრი ჭეშმარიტია ან არ არის ჭეშმარიტი? კარგად გაწონასწორებული გონების კაცი უფრო განწყობილია, რომ ეს აზრი ჭეშმარიტად არ მიიჩნიოს, მაგრამ როდესაც კითხულობს მაკბეტის სიტყვებს: —

„ხვალე ხვალს მისდევს

და წვრილ ნაბიჯით დღე დღის უკან მიიზღაწნება,  
ვიდრე უამთ ბრუნვა უკანასკნელს საათს დაჰკრავდეს.  
გუშინდელთა დღეთ უგუნურებს გზა გაუნათეს  
მიწად გადამქცევ სიკვდილამდე. ოჰ, შენ ხანმოკლე



მანათობელი გაქვერ, გაქვერ სიცოცხლე  
მხოლოდ

ჩრდილი ყოფილა მთარული, ტაკიშასხარა,  
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, აღის მაღალ  
სცენაზე

და იქიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.  
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის  
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ ხავსე  
„ურჯაურით“.<sup>14</sup>

— მისთვის რაღაც შეიცვლება, უკიდურე-  
სი სასოწარკვეთილებაც კი ისეთ სიმდიდრეს  
გთავაზობს, რომ ძილშიც ვერ დაგესიზმრება...  
ასეთი სასოწარკვეთილება სასოწარკვეთილებაში  
არ ჩაგაგდებს, რადგან სრული და ყოვლისმომ-  
ცველია. ეს სტრიქონები გვიჩვენებს, რომ პო-  
ეტის გონებამ მისი გრძნობები განმსჭვალა.

აი, აქ კი ჩვენ შევხვებით პოეზიაში აღბეჭდი-  
ლი ამაღლებული აზრების იდუმალ მხარეს.  
ამ აზრებმა გრძნობები უნდა განმსჭვალონ და  
რაც უფრო მეტად გაიმსჭვალება ამ აზრებით  
ჩვენი გრძნობები, მით უკეთესი ჩვენთვის,  
რადგან, მართალია, იქნებ სიტყვით ვადმოცემა  
არ შეგვეძლოს, მაგრამ შინაგანად პოეტები  
ვართ. მთელი ჩვენი არსება ცდილობს ცხოვ-  
რების არსს ჩასწვდეს. აზრები არა მხოლოდ  
აირეკლება ჩვენში, არამედ დაინთქმება, ანდა  
ამ აზრებს ჩვენი არსების სიღრმიდან ამოვგ-  
ლეჭთ.

პოეზიისაგან ამაზე მეტის მოთხოვნაც შეგ-  
ვიძლია და მოვითხოვთ კიდევ. მოვითხოვთ,  
რომ პოეზიით ვადმოცემულმა ამაღლებულმა  
აზრებმა არა მხოლოდ განმსჭვალოს ჩვენი  
გრძნობები, არამედ სიმშვიდეც მოგვგვაროს. ის,  
თუ რომელ პოეტს გავითავისებთ, ყველაზე უფ-  
რო დამოკიდებულთა ჩვენს გონებრივ და სუ-  
ლიერ მდგომარეობაზე. მრავალი ადამიანი  
ისეა მოწყობილი, რომ რელიგია ზოგადად არ  
აკმაყოფილებს. ეს მართლაც რელიგია უნდა  
იყოს, ასეთი ადამიანი დანტეს სტრიქონში:  
„ჩვენი სიმშვიდე მისი (ღვთის) ნებაა! — ვპო-  
ვებს დასრულებულობას და აქედან გამომდი-  
ნარე სრულ კმაყოფილებას, რასაც იგი ვერ  
იგრძნობს სტრიქონებში:

„ზოგჯერ უკულმა, ზოგჯერ წაღმა ბედი  
ტრიალებს,

ორივეს კაცი უნდა დახვდეს გულშიაგრა  
ხოლმე“<sup>16</sup>.

სხვა — ქრისტიანული საიდუმლოებებისადმი  
ნაკლებ განწყობილ-მომზადებული ადამიანი —  
ასეთ სიმშვიდეს შექსპირში გამოვებს, ხოლო  
მესამე კი ორთავს ერყნეთად შეთვალს მოსილად  
შიიჩნევს, რადგან სტრიქონები ქაბილი  
და ამაღლებული აზრების მიერ გულის დატყვე-  
ვება, ოღონდ არა ძალით, არამედ ისე, რომ  
გული თვითონ სიხარულით ნებდება ამ ამაღ-  
ლებულ აზრებს — ორივესაგან განუყოფელია.

მნიშვნელობა არა აქვს რომელ მოსაზრებას  
გავიწიარებთ, მხოლოდ ერთს განვაცხადებთ და-  
ბეჭითებით, რომ ადამიანისათვის სრული კმა-  
ყოფილების მინიჭების ამ ბედნიერ ძალას მხო-  
ლოდ ის პოეტები ფლობენ, რომლებიც ღრმად  
და ხანგრძლივად ჩაფიქრებულან ცხოვრების  
გარდუვალ საიდუმლოებებზე და პრობლემებზე  
და, რადგან ჭეშმარიტი პოეტები იყვნენ, არა-  
სოდეს უცდიათ ისეთი პასუხის მიცემა, რომ-  
ლის მიმართაც მათი არსების ერთი კუნჭული  
მაინც უტყვი დარჩებოდა. ასეთი პოეტების  
ვალს კაცობრიობა ვერასოდეს გადაიხდის, იმი-  
ტომ რომ ისინი ყველაზე მეტად უნარჩუნებენ  
სიცოცხლეს ადამიანთა სულელებს, რადგან კი არ  
გვესაუბრებიან სულიერი ძალმოსილების შე-  
სახებ, არამედ ქმნიან ამგვარ სულიერ ძალმო-  
სილებას ჩვენი არსების ხეშეში ნაწილებისაგან.

ქრისტიანობაც რომ ერთადერთ საფუძველს  
ემყარება — ქრისტეს პოეზიის ჯადოს. სწორედ  
ამ ამაღლებულმა პოეზიამ წარმოშვა დანტეს  
განსაცვიფრებელი სტრიქონები, არც შექსპირი  
დარჩენილა გულგრილი მის მიმართ. აბა, და-  
აკვირდით, რა სიმწყობრესა და შეუცდომლო-  
ბას იძენს მისი სიტყვები, როდესაც მისი ლექსი  
ქრისტეს ან ქრისტიანობას ცოტათი მაინც შე-  
ეხება. ეს იმიტომ კი არა, რომ შექსპირი ქრის-  
ტიანი იყო, ისევე როგორც პოეტი არ არის  
მისტიკოსი, არამედ იმიტომ, რომ შექსპირს  
რწმენა ჰქონდა — ყველა დიდ პოეტს უნდა  
ჰქონდეს რწმენა, — რადგან ამაღლებული პო-  
ეზია და დიდი რწმენა იმით ემსგავსება ერთმა-  
ნეთს, რომ ორივე მოითხოვს აზრის არა მხო-  
ლოდ გააზრებას, არამედ შეგრძნებას, ორივე  
მოგვიწოდებს, რომ ჩვენს ყველაზე ამაღლე-  
ბულ აზრებს ჩავაქსოვით გრძნობა, გონება და  
სული.

შენიშვნები

1. აბატი ანრი ბრემონი — ფრანგი. ლიტე-  
რატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი. 1882 წ.  
შეუერთდა იეზუიტთა ორდენს, რომელიც 1904 წ.  
მიატოვა და ცხოვრების დარჩენილი წლები  
მიუძღვნა ლიტერატურულ-ისტორიული ნაშრო-

მების წერას, რომელნიც რელიგიური მისტი-  
ციზმის სულისკვეთებით არის ნიშანდებული.  
ამ მისტიციზმის გამო მას თავს ესმოდნენ  
რიგორც რაციონალისტები, ასევე ორთოდოქ-  
სალური კათოლიკეებიც. მისი ნაშრომებიდან



ყველაზე ცნობილია „რენესანსის გამო“, „წმინდა პოეზია“ (1926) და სხვ.

2. მამა რაპენი (1621-1687) ფრანგი ღვთისმეტყველი. ირიცხებოდა იუზუიტთა ორდენში, მისი ლიტერატურული ნაშრომები აღარავის ახსოვს, მაგრამ ინტერესი მისადმი, როგორც იანსენიზმის ისტორიკოსისადმი დღესაც ცოცხლობს. მისი „იანსენიზმის ისტორია“ პირველად მხოლოდ 1861 წ. გამოსცეს, ხოლო მისი სამტომიანი ნაშრომი „მემუარები ეკლესიის, საზოგადოების, სამეფო კარის, ქალაქისა და იანსენიზმის შესახებ“ მხოლოდ 1865 წ. გამოქვეყნდა.

3. უ. პატერი — (1839-1894) ინგლისელი კრიტიკოსი. პატერის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია მე-20 ს-ის დასაწყისის ესთეტიზმის მიმართულეებაზე ლიტერატურაში.

4. An awful wakmth about my heakt like a lood of immoktality\*

— სტრიქონი ჯ. კითხის წერილიდან ჯ. რეინოლდსისადმი 22 სექტ. 1818 წ. („გული სითბოთი მაქვს მოცული, რაც უკვდავების სიმძიმეს ემსგავსება“)

5. Timeo Danaos et dona ferentes\*

— მეშინის დანელთა, თუმცა კი მოაქვთ ძოვენი — ლაოკოონის სიტყვები ვირგილიუსის „ენეიდადან“. ამ სტრიქონში მითითებულია იმ ცნობილ ამბავზე, როდესაც ბერძნებმა აჩუქეს ტროელებს ხის ცხენი, რომელიც ამ უკანა კნელთ ალყაშემორტყმულ ტროადაში შეიტანეს. ღამე ხის ცხენში დამალული ბერძნები მალულად გამოვიდნენ და მტერს ტროას ბჭენი გაუღეს. ეს მზაკვრული ხერხი ეკუთვნოდა ოდისევსს.

6. A thing of beauty is a constant joy\*

გადაკეთდა როგორც A thing of beauty is a joy forever\* („მშვენიერი საგანი მუდმივი დღესასწაულია“ — „მშვენიერი საგანი მარადიული დღესასწაულია“, — სტრიქონი კითხის, „ენდიმიონიდან“ (თარგმანი ჩემია — მ. მ.).

7. სენიორი ბენედეტო კროჩე (1806-1952) იტალიელი ფილოსოფოსი, ნეოპეგელიანელი, ის-

ტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე. იტალიური ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მის მიერ ჩამოყალიბებული ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი კროჩეს ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა იტალიურ ინტელიგენციაზე მე-20 ს.-ის დასაწყისში, მაგრამ ეს გავლენა 40-იან წლებში შესუსტდა. თუმცა კროჩე დღესაც რამდენადმე პოპულარულია, რადგან იტალიელ სახელმწიფო და კულტურის მოღვაწეთა ერთი ნაწილი კროჩეს მოწაფეები იყვნენ.

8. პროფესორი უაითჰედი, ალფრედ ნორთ (1861-1947) ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი.

9. — „მას კარგად სძინავს, ამ მღელვარე ცხოვრების ტალღების ქვეშე“ („მაკბეტი“, მოკმ. III სურათი I, თარგმანი ი. მაჩაბლისა).

10. — „მინოსისა და პაციფეს ქალიშვილი“ — რასინი.

11. შერკინებულნი ასპრამონტში და მონტალბანში — ჯ. მილტონი „დაკარგული სამოთხე“. (თარგმანი ჩემია — მ. მ.).

12 — „ჩვენ სიზმრებს ვგავართ და ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე ძილითაა მოცული“ (პროსპეროს სიტყვები. უ. შექსპირი, „ქარიშხალი“. პროზაული თარგმანი ჩემია — მ. მ.).

13. „ნაძალადევი მოწყალება — რა წყალობაა! იგი ყველაფერს ისე უნდა ეკუთრებოდეს, როგორც ზეციდან მონადენი ძურუნა წვიმა გულმოწყალება ორმაგადაც კურთხეულია: ნეტარს ჰყოფს თვითონ შემწყალებელს და შემწყალებულს“.

(„ვენეციელი ვაჭარი“ მოკმ. IV. ს. I. თარგმანი ი. მაჩაბლისა).

14. უ. შექსპირი „მაკბეტი“ მოკმ. V. ს. V.

15. დანტე „სამოთხე“.

16. ზოგჯერ უკულმა, ზოგჯერ წალმა ბედი ტრიალებს, — ორივეს კაცი უნდა დახვდეს გულმაგრა ხოლმე!“

(უ. შექსპირი „მეფე ლირი“, მოკმ. V. ს. II. თარგმანი ი. მაჩაბლისა).







კამლეტი და დონ კიხოტი

(სიტყვა, წარმოთქმული ხელმოკლე ლიტერატორთა და სწავლულთა საზოგადოების დასახმარებლად გამართულ საჯარო ლექციაზე 10 იანვარს 1860 წლისა)

თარგმნა ნანა ახოზაძემ

ქ[ალბატონებო] და ბ[ატონებო].

პირველი გამოცემა შექსპირის ტრაგედიისა „კამლეტი“ და პირველი ნაწილი სერვანტესის „დონ კიხოტისა“ გამოჩნდნენ XVII ახწლეულის გარიჟრაჟზე, სწორედ ერთსა და იმავე წელს.

ეს შემთხვევითობა ჩვენ მიგვაჩნია ღირსშესანიშნაობად. მოხსენიებულ თხზულებათა შედარებამ ფრიად საგულისხმო მოსაზრებები გავვიჩინა. გთხოვთ დაგვართოთ ნება გაგიზიაროთ ეს მოსაზრებანი და, ამთავითვე მივანდოთ ისინი თქვენს დიდსულოვნებას. „თუ ვსურს გაიგო პოეტი, უნდა შევზიდე მის სამყაროში“, — თქვა გოეთემ. პროზაიკოსი მოკლებულია მსგავს მოთხოვნათა უფლებას: მაგრამ მას შეუძლია იქონიოს იმედი, რომ მკითხველი — თუ მსმენელი მოისურვებს ეახლოს შორეულ მოგზაურობებსა და ძიებებში.

ჩვენს თვალსაზრისთა ერთმა ნაწილიმა, შესაძლოა განცვიფრებაში მოგიყვანოთ, ქ[ალბატონებო] და ბ[ატონებო] თავისის უჩვეულობით, მაგრამ სწორედ ის გახლავთ უდიადეს პოეტურ კმნილებათა ფრიადი გამორჩეულობაც, რომლითაც მათი შემოქმედის გენიამ მოიპოვა უკვდავი სიცოცხლე, რომ მათზე თვალსაზრისი, რაგორც ცხოვრებაზე თვალსაზრისი საერთოდ, შეიძლება იყოს დაუსრულებლად განხვავებული, წინააღმდეგობრივიც — და ამასთან, ერთნაირად კანონიერი. რამდენი კომენტარი დაიწერა „კამლეტის“ მისამართით და კიდევ რამდენს უნდა ველოდეთ მომავალში. რაოდენ ურთიერთგანხვავებულ განჩინებამდე მივყავდით ამ, კრემარიტად ამოუწურავი, ხასიათის შესწავლას! „დონ კიხოტი“ — თავისი მიზანდასახულების თვისებით, მართლაცდა უჩვეულო, მოთქმისა მზით გაჩაბჩაბებული სამხრეთის დღესავით ნათელი

თხრობის წყალობით არ გვაძლევს საბაბს მსჯელობისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ, რუსებს, არა გვაქვს „დონ კიხოტის“ რიგიანი თარგმანი, რის გამო საკმარისად ბუნდოვანი წარმოდგენა შეგვექმნა მასზედ. სიტყვა „დონ კიხოტში“ ჩვენში ხშირად გულისხმობენ უბრალოდ ზუმარას, „დონკიხოტობა“ გათანაბრებულია სიტყვასთან „სისულელდე“. თუმცა კი, სხვათა შორის, დონკიხოტობაში უნდა შევიცნოთ ძვითშეწირვის უმაღლესი საწყისი, ოღონდ კომიკურის კუთხით დანახული. „დონ კიხოტის“ რიგიანი თარგმანით დიდ სამსახურს გავუწევთ მკითხველს და საყოველთაო მადლიერება მიეგება მწერალს, რომელიც მოგვაწვდის ამ ერთადერთს კმნილებას მთელის თავისის სილამაზით მაგრამ, სჭობს, დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის საგანს.

მოგახსენებდით, რომ „დონ კიხოტისა“ და „კამლეტის“ ერთდროული გამოჩენა ღირსშესანიშნაობად მიგვაჩნია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ორ სახეში განსაზიერდა ორი უმთავრესი, ერთმანეთის საპირისპირო თავისებურება ადამიანური ბუნებისა — ორი დაბოლოება სასწორის უღლისა, რომელზედაც იგი ირხევა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანები საერთოდ, შეტად თუ ნაკლებ, მიეკუთვნებიან ამ ორი ტიპიდან ერთერთს, რომ თითქმის ყოველი ჩვენგანი მიემსგავსება ან დონ კიხოტს ანდა კამლეტს. თუმცა ჩვენს დროში მომეტებულად კამლეტები გვხვდებიან, ვიდრე დონ კიხოტები, არც დონ კიხოტები გადაშენებულან.

განვმარტოთ. ადამიანები ცხოვრობენ ცნობიერად და არაცნობიერად — საკუთარი პრინციპის ძალით საკუთარი იდეალის ძალით, მაშასადამე, იმის



ძალით, რასაც მიიჩნევენ სიმართლედ, საღამა-  
 ზედ, სიკეთედ. ბევრი თავის იდეალს ღებულო-  
 ბენ მწამწარეულის, ისტორიულად ჩამოყალი-  
 ბებული, გამოყვეთილის საბით და თავის სი-  
 ცოცხლეს ამ იდეალის სწორად სახავენ. თუმცა  
 ხანდახან ზურგს აქცევენ შემთხვევითობათა თუ  
 ვნებათა შემოქმედებით იძულებულქმნილნი. მაგ-  
 რამ არასდროს კამათობენ და არც ექვობენ მის  
 არსებობას. სხვანი, პირიქით, იდეალს საკუთარი  
 გონების ანალიზს უმორჩილებენ, ასეა თუ ისე,  
 არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ძირისძირი  
 და მიზანი უოველი ადამიანის არსებობისა, ე. ი.  
 იდეალი—ან მათ მიღმა დგას ანდა თვით მათში,  
 ბუდობს, სხვაგვარად — უოველი ადამიანისათ-  
 ვის პირველ ადგილზე დგას საკუთარი მე ანდა  
 რაღაც სხვა, ჩვენს მიერ უშაღღესად ხმობი-  
 ლი. შეიძლება შემოგვედგონ, რომ ცხოვრება  
 უარყოფს ამისთანა მკვეთრს გამოჩვენებს, რომ  
 ერთსა და იმავე ხულიერში ორივე თვალსაზრი-  
 სი შეიძლება მონაცვლეობდეს და ცოტად თუ  
 ბევრად შერწყმულიც კი იყოს. ამაზედ ვუპასუ-  
 ხებთ, რომ არც განგვიზრახავს, ვამტკიცოთ ად-  
 ამიანური ბუნების ცვალებადობისა და დაპირის-  
 პირებულობის შეუძლებლობა. ჩვენ გვსურდა  
 შეგვეხსენებინა საკუთარი იდეალისადმი ადამი-  
 ანის ორი განსხვავებული მიმართების არსებობა.  
 ახლა კი შევეცდებით წარმოვიდგინოთ, როგ-  
 ორც ეს ჩვენ გვესმის, თუ ვით შეისხა ხორცი  
 ჩვენგან შერჩეულს გმირებში ამ ორმა, ურთიე-  
 ერთ განსხვავებულმა მიმართებამ.

დავიწყეთ დონ კიხოტით.

რას გამოხატავს დონ კიხოტი? ნუ მოვაგ-  
 ლებთ მას სწრაფ მწერას, რომელიც მხოლოდ  
 ზედაპირულსა და წვრილმანს აღიქვამს. ნუ დავი-  
 ნახავთ დონ კიხოტში მხოლოდლა მწუხარე სა-  
 ხის რაინდს, ფიგურას, ძველი სარაინდო რომა-  
 ნების დაცინვის მიზნით რომ შეიქმნა. კარგადაა  
 ცნობილი, რარიგ გაიზარდა ამ სახის მნიშვნე-  
 ლობა სწორედ მისი უკვდავი შემოქმედის ნე-  
 ბით, რომ მეორე ნაწილის დონ კიხოტი, შერცო-  
 გებისა და მათ თანამეცხედრეთა ზრდილი მოსაუ-  
 ბრე, საქურველთმტვირთველი — გუბერნატო-  
 რის ბრძენი მოძღვარი, აღარ არის ის დონ კი-  
 ხოტი, რაგვარადაც რომანის პირველ ნაწილში,  
 უფრო კი დასაწყისში წარმოგვიდგება, აღარ არ-  
 ის უცნაური და სასაცილო შერეკილი, დარტყმას  
 დარტყმაზე რომ იგემებს. აი, ამისთვის  
 შევეცდებით, ჩაგვადეთ საკითხის უღრმეს შრე-  
 ებს. მაშ ასე: რას გამოხატავს დონ კიხოტი? რწმენ-  
 ნას უპირველეს უოვლისა. რწმენას რაღაც მარა-  
 დიულის, მყარის, კეშმარტიის, დიან, კეშმარტი-  
 სას, რომელიც ცალკეული ადამიანის მიღმა კი  
 დგას, მაგრამ ადვილად ხელმისაწვდომია, თუმ-  
 ცა მოითხოვს სამსახურსა და მსხვერპლს, ვიშე-  
 ორებთ, გამუდმებული სამსახურითა და მსხვერ-

პლგადებით მიიღწევა. დონ კიხოტი ერთიანადაა  
 გამსჭვალული იდეალისადმი ერთგულებით,  
 მზადაა მისთვის გადაიტანოს ვველანობი, გასა-  
 კირი, გახწიროს საკუთარი სიცოცხლე. დიან  
 საკუთარ სიცოცხლეს მხოლოდ იმდენ ფასს  
 ხდებს, რამოდენადაც იმის დაღუძვს, ექვს იდე-  
 ალის ხორცშესხმის საშუალებად, კეშმარტიის,  
 და ხამართლიანის დამკვიდრების საშუალებად  
 დედამიწაზე. იქნება გვითხრათ, რომ ეს იდეა-  
 ლი სარაინდო რომანების ფანტასტიკური სამ-  
 უარობაგან მოისცხა შემოქმედის აღგზნებულმა  
 წარმოსახვამ. გეთანხმებით — და სწორედ იქ  
 საცნაურდება დონ კიხოტობის კომიკური მსა-  
 რე, მაგრამ თვით იდეალს კი შენარჩუნებული  
 აქვს პირველყოფილი სიწმინდე. იცოცხლოს მა-  
 რტოდენ თავისი თავისთვის, იზრუნოს მარ-  
 ტოდენ საკუთარ თავზე — ამას დონ კიხოტი  
 სირცხვილად მიიჩნევს. ის მთლიანად ცოცხ-  
 ლობს (თუ შეიძლება ასე ითქვას) საკუთარი  
 თავის მიღმა, ცოცხლობს სხვებისთვის, თანა-  
 მოძმეთათვის, რათა აღკვეთოს ბოროტი, წინ  
 აღუდგეს კაცობრიობის მტრულ ძალებს — ქა-  
 დოქრებს, ბოროტ გოლიათებს, ერთის სიტ-  
 ყვით — მჩაგვრელებს. მასში არ არის ეგოიზ-  
 მის ნახაზი, იგი არ ფიქრობს თავის თავზე, იგი  
 ერთიანად თვით შეწირვაა, — არ დაი-  
 ვიწყეთ ეს სიტყვა! — მას სწამს, სწამს მტკი-  
 ცედ და უყოყმანოდ. ამიტომაც არის შეუპო-  
 ვარი და მომთმენი — იყვებება უბრალოდ,  
 იმოსება უბრალო სამოსელით, ამისათვის მას,  
 როგორც იტყვიან, არა სცხებლა. გულით მოწყა-  
 ლე, სულით დიადი და მამაცია. ცრემლის მომ-  
 გვრელი ღვთისმოშიშობა არ ზღუდავს დონ კი-  
 ხოტის თავისუფლებას. იგი არ ესწრაფვის დი-  
 დებას და მტკიცედ სწამს საკუთარი თავისა, სა-  
 კუთარი მოწოდებისა, თვით საკუთარი ფიზიკუ-  
 რი ძალისა; მისი სურვილი — შეუვალი სურვი-  
 ლია. გამუდმებული სწრაფვა ერთი მიზნისაკენ  
 თითქმის ერთფეროდ მოგვარჩვენებს დონ კი-  
 ხოტის შეხედულებებს, ხოლო მის გონებას შე-  
 ზღუდულად. დონ კიხოტმა იცის ცოტა, მაგრამ  
 არც სჭირდება ბევრის ცოდნა. იცის რა არის მი-  
 სი მოწოდება, რისთვის ცოცხლობს ამ სამწეო-  
 ში — ეს კი მთავარი ცოდნაა. შეიძლება დონ კი-  
 ხოტი კეშაშერყეულად მოგვეჩვენოს, რადგან მის  
 თვალთა წინაშე უველაზე უეკველი საგნობრი-  
 ობაც კი ქრება მისივე ენთუზიაზმის ცეცხლი-  
 სგან (მართლა ქვრეტს დონ კიხოტი ხის თო-  
 ჯინებში ცოცხალ მავრებს, ხოლო ცხვრის ფა-  
 რაში — დიდ ლაშქარს). შეიძლება დონ კიხოტი  
 გონებაშეზღუდულად მოგვეჩვენოს-მეთქი, რად-  
 განაც არ ძალუძს ზომიერად გამოხატოს თანა-  
 გრძნობა ანდა ზომიერად შეიგრძნოს ნეტარება.  
 მაგრამ მას „სიცოცხლის ხესავით“ ღრმად  
 გაუდგამს ფეხები დედამიწაში, ამიტომ



ძალა არ შესწევს უღალატოს საკუთარ მრწამსს, გულისყური მიუპყროს ერთდროულად რამდენსავე ხაგანს. დონ კიხოტის ზნეობრივი წყობის ციხე-ხიმამგრე (არ დაგავიწყდეთ, ეს კეკუაშემცდარი, მოხეტიალე რაინდი — ყველაზე ზნედაცული არსებია მთელს მსოფლიოში) გამორჩეულს ძალასა და სიღიადეს ანიჭებს მის სიტყვასა და მრწამსს საერთოდ, მის ფიგურას მთლიანად, მიუხედავად კომიკური და დამამცირებელი მდგომარეობისა, რაშიც გამუდმებით იქცევა.

დონ კიხოტი ერთუწიასტია, იდენს მსახურია და გარშემორტყმულია მისი შუქით.

რას გამოხატავს ჰამლეტი?

ანალიზს უპირველეს ყოვლისა, ეგოიზმს და აქედან გამომდინარე — ურწმუნობას. ჰამლეტი მხოლოდ თავისი თავისთვის ცოცხლობს, ის ეგოისტია, მაგრამ საკუთარი თავის რწმენა ეგოისტსაც არ ხელეწიფება. რწმენა მხოლოდ იმისა შეიძლება ვიქონიოთ, რაც ჩვენს მიღმა ან ჩვენზე მაღლა დგას. მაგრამ მე, რომლისაც არ სწამს, ძვირფასია ჰამლეტისათვის, ისაა ამოსავალი წერტილი, რომელსაც განუწყვეტლივ დასტრიალებს, რამეთუ ამქვეყნად სხვას ვერას ხედავს, რასაც სულითა და გულით, მთელის არსებით მიენდობა. იგი სექტიკოსია და ერთთავად ქაღირბს — ერთთავად ფიქრობს არა იმაზე, თუ რა აკეთოს, არამედ თავის ვასაპირზე, ყოველივეში დაეკვებულა, რაღა თქმა უნდა, საკუთარ თავსაც აღარ ინდობს. მართლაც, რა უნდა მოვოს ჰამლეტმა საკუთარ თავში, რასაც მისი მაღალი გონება დახვეწდა. დიახ, გრძნობს იგი თავის სისუსტეს, მაგრამ ყოველი თვითშეგრძნებაც ხომ ბოლოს და ბოლოს ძალაა. აი, აქ იღებს სათავეს ჰამლეტის ირონია, რომელიც დონ კიხოტის ერთუწიასტის უპირისპირდება. ჰამლეტი რაღაცნაირის ნეტარებით, გადაჭარბებით ლანძღავს საკუთარ თავს, განუწყვეტლივ უთვალთვალავს თავის არსებას, მარად შიგნით იხედება, იცის ყველა წვრილმანი ნაკლულეგანება თავისი არსებისა, ეწიწდება ისინი და საკუთარი თავიც — მაგრამ ამასთანავე, ესეც შეიძლება ითქვას, ცხოვრობს, საზრდოობს ამ სიძულვილით. მას არა სწამს საკუთარი თავისა — და პატივმოყვარეა: არ იცის — რა ხურს და რისთვის ცოცხლობს — და მიჩაქვულია ცხოვრებას.

რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ  
მაგარი?
 რად არ გადნება და ცის ნამად რად არ  
იქცევა!
 ან შემოქმედი თავის მოკვლას ნეტა რად  
გვიშლის?
 ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ყველა საქმე ამ  
წუთისოფლის

როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული, — წამოიძახებს ჰამლეტი პირველი მოქმედების მეორე სცენაში, მაგრამ იგი მსხვირპლს არ გაიღებს ამ „დაობებული“ და „უნაყოფო წუთისოფლისათვის“. იგი თავის მოკვლაზე ოცნებობს, რე კიდევ მამის აჩრდილის გამოტყნამდე, მრისხანე დავალების მიღებამდე, რაც აბოლოოდ გასტებს მის ისედაც შერყეულ ნებისყოფას, მაგრამ ვიმეორებთ, იგი თავს არ მოიკლავს. სიცოცხლის წყურვილი დაღადებს ამ სიცოცხლის შეწყვეტაზე ოცნებაშიც. ყველა თვრამეტი წლის ყმაწვილისთვისაა ნაცნობი ამგვარი განცდები.

მაგრამ ნუ ვიქნებით მეთისმეტად მკაცრი ჰამლეტის მიმართ. იგი იტანჯება და მისი ტანჯვა უშეტეს მტკივნეული და უშეტეს გულისმომწყვლელია, ვინემ ტანჯვანი დონ კიხოტისა. დონ კიხოტს სცემენ ბრყვი მწყემსები, მისგან განთავისუფლებული დამნაშავენი; ჰამლეტი თვით აყენებს თავის თავს კრილობას, — მის ხელში ელავს ორღესული მახვილი ანალიზისა.

უნდა ვალიროთ რომ დონ კიხოტი დადებითად სახაცილოა, იგი თითქმის ყველაზე კომიკური ფიგურაა. რაც კი ოდესმე შეუქმნია პოეტის კალამს, მისი სახელი სახაცილო შედმეტსახელიად იქცა თვით რუს გლეხკაცებს შორის, რაც ჩვენის საკუთარის უურბით შეგვიძლია ვირწმუნოთ. ერთი ხსენებაც დონ კიხოტისა — და ჩვენს წარმოსახვაში აღიმართება გამბდარი, დაკუთხული, კარიკატურული აბჭრით შექურვილი დიდცხვირა ფიგურა — საწყალობელ. მუდამ მშიერ და ნაცემ-ნაცემში როხინანტის ჩონჩხზე ამხედრებული დონ კიხოტისა. დონ კიხოტი სახაცილოა, მაგრამ ამ სიცილის შემრიგებლურის და მომნანიებელის ძლიერებაც ახლავს. და თუ ამოდ არ თქმულა: ნუ დასცინებ სხვასაო, გადაგზდება თავსაო, მაშინ ისიც შეიძლება ვთქვათ — ვისაც დაცინეთ, შევუნდეთ კიდევ და ამასთან მზადა ვართ — შევიყვაროთ. მეორეს მხრივ, ჰამლეტის გარეგნობა მომხიბვლელია. გვიწიდავს მისი მელანქოლიურა და ფერმკრთალი, თუმცა არც ისე გამხდარი პირისხანე (დედამისი ამბობს ერთგან — ჩასუქდაო), შავი ხავერდის სამოსელი, შლაპაში გაყრილი ფრინველის ფრთა, მოხდენილი მიხრა-მოხრა, მეტყველების უიქველი პოეტურობა, თვალშისაცემი შეგრძნება საკუთარი უპირატესობისა. ყველაფერი ეს — თვითდამცირების გესლიანი შესაქცევარის გვერდით — მოგვწონს და გვატყვევებს. ბევრს მიაჩნია საქებრად, ჰამლეტად იწოდებოდეს, მეორეს მხრივ — არავის ეხალისება დონ კიხოტის შედმეტსახელი მიიკეროს. „ბარატინსკი ჰამლეტია“, — სწერდა პუშკინი მეგობარს. არავინ იფიქრებს — დასცინოს ჰამლეტს და სწორედ ეს არის მისი სასჯელიც: თითქმის შეუძლებელია მისი შეუვა-



რება. მხოლოდ შორაცის ძაღუძს შეეძინა  
სოს. მახზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ჰამლეტს  
უველა თანაგრძნობს და ეს თანაგრძნობა ად-  
ვილად გასაგებია — მის ხახეში უველა პოუ-  
ლობს მხგავსებას საკუთარ თავთან. მაგრამ მისი  
შეუვარება, ვიშვორებთ, შეუძლებელია. რადგან  
მას თავად არავინ უყვარს:

გავაგრძელოთ ჩვენი შედარება.

ჰამლეტი ძე არის შეფისა, რომელიც საკუ-  
თარმა ძმამ გამოასალმა წუთისოფელს და მისი  
კუთვნილი ტახტიც დაისაკუთრა. მამამისი საფ-  
ლავიდან ამოდის, ამოდის „კოჭოხეთის გარსი-  
დან“, რათა დავაღება მისცეს ძეს — იძიოს შუ-  
რი, ის კი კოჭმანობს, დარდს იმით იქარვებს,  
რომ აძაგებს საკუთარ თავს და, ბოლოს, ხრუ-  
ლიად მოულოდნელად, კლავს მამინაცვალს.  
ერთობ ღრმა, ფსიქოლოგიური ხაზია, რისთ-  
ვისაც ხევრი — მათ შორის კვიანი, მაგრამ  
შეზღუდული მკითხველი, ბედავდა შექსპირის  
გამტყუნებას. ბოლო დონ კიხოტი, საბრალო  
თითქმის ლატაკი კაცი, მოკლებული უველანა-  
ირს ურთიერთობასა და შესაძლებლობას, მოხუ-  
ცი და მარტოხელა თავს იღებს დაამარცხოს  
ბოროტი და გამოეხარჩლოს მთელი ქვეყნის ჩა-  
გრულთ (მისთვის სრულიად უცხოთ). რისთ-  
ვის ხდება, რომ უდანაშაულო მხხვერ-  
ლის გათავისუფლების ერთი მოწადინებაც სა-  
კმარისია და გაორმაგებული მრისხანება დაატ-  
ყდება თავს ისევ და ისევ უდანაშაულო მხხვერ-  
პლსა?... (ვგულისხმობთ სცენას, როცა დონ კი-  
ხოტი პატრონის როზგებისაგან დაიხსნის პატა-  
რა ბიჭს, ბოლო ამ საბრალო ყრმას ათგზის  
მკაცრად დასჯის მისი პატრონი, როგორც კი  
მხხნელი თვალს მიეფარება). რისთვის  
ხდება, რომ დონ კიხოტს გვონია — ებრძვის  
ბოროტ გოლიათებს, სინამდვილეში კი ანადგუ-  
რებს სახარგებლო ქარის წიხკვილებს? ამ ები-  
ზოდების გარეგნულმა კომიკურობამ ვერ უნდა  
შორიდოს ჩვენი გულისყური მათში დაფარულ  
აზრს, ვინც თავის გაწირვას დააპირებს და მო-  
ახურვებს იმთავითვე ახწონდასწონოს შედეგ  
და მოსალოდნელი სარგებლიანობა თავისი ქმე-  
დებისა, ამოდ შეიძლებს განზრახვის აღსრულე-  
ბას. შეუძლებელია ასეთი რამ მოიმოქმედოს  
ჰამლეტმა. მისი ნათელი, მაზვილი და სკეპტიკუ-  
რი გონება ამგვარს შეცდომას არ დაუშვებს!  
არა, იგი არ შეებრძოლება ქარის წიხკვილებს.  
მას არა სჯერა, რომ არსებობენ ბოროტი გო-  
ლიათები, მაგრამ რომც დაიჭეროს, მაინც არ  
დაეხსმის თავს, ჰამლეტი არ ეცდება, დონ კი-  
ხოტის მხგავსად, უველას აჩვენოს სადალაქო თი-  
თბრის თახი და უმტკიცოს — მამბრინის ოქროს  
ჩაჩქანს ვხედავო. მაგრამ გვგონია, თავად  
ქეშმარიტებაც რომ ვაცხადებუდიყო ჰამლეტის  
უვალწინ, იგი მაინც არ არწმუნებდა მის არხე-

ობას... ვინ იცის, ხომ შესაძლოა, ქეშმარიტება  
არც არსებობდეს ისევე, როგორც არ არსებო-  
ბენ გოლიათები. ჩვენ დავცინით დონ კიხოტს,  
მაგრამ, კ[ალბატონებო] და ბ[ატონებო], ჩვენთა-  
განს რომელს ხელეწიფება უველას დაააა-  
ლიზოს თავისი წარსული და მამინდელი  
შტკიცებანი. ვის შეუძლია დავაჭეროს, რომ  
უოველთვის და უველგან გამოარჩევდა და გა-  
მოარჩევს დალაქის თითბრის თახხ ქადოხნურ  
ოქროს ჩაჩქანისაგან. ამიტომ გვგონია, რომ  
მოგარია რწმუნების ხიწრფელი და ძალმოსი-  
ლება, ბოლო შედეგი — შედეგი ბედის ხე-  
ლთაა, მხოლოდ მას ძაღუძს დავგანახოს, ნამ-  
დვილ მტერს ვებრძვიო, თუ მოჩვენებებს, და  
რომელი საკუთრვლით უნდა აღვიპურვოთ, ბო-  
ლოს და ბოლოს ჩვენი ვალია აღვიპურვოთ და  
შევებრძოლოთ.

ზაყურადღებოა ბრბოს, ე. წ. მახის დამოკიდე-  
ბულება ჰამლეტისა და დონ კიხოტისადმი.

ჰამლეტისათვის მასას წარმოადგენს პოლონი-  
უსა, დონ კიხოტისათვის — სანჩო პანსა.

პოლონიუსი — ხაქმიანი, პრაქტიკული, კე-  
თილგონიერი კაცია, ამასთან უბედი და ვიწრო  
თვალსაწიერის მოხუცი. ჩინებული აღმინისტრა-  
ტორი და მზრუნველი მამაა. მოიგონეთ, როგორ  
არიგებს თავის ვაჟს ლაერტს საზღვარგარეთ  
გამგზავრებისას; ეს იმგვარი ქურის დარიგებაა,  
რომელიც სიბრძნით ტოლს არ დაუდებს კუნ-  
ძულ ბარატარისა გუბერნატორის — სანჩო პან-  
სას სახელგანთქმულ განქარგულელებს. პოლონი-  
უსის აზრით, ჰამლეტი კეუაშემცდარი კი არ  
არის, უფრო ბავშვია და შეფის ვაჟი რომ არ  
იყოს, ალბათ, შეიძლებს მის შეხედულება-  
თა უხარგებლობისა და ხაქმიანი მო-  
ძარქვების შეუძლებლობის გამო. ღრუბლის  
ცნობილი სცენა ჰამლეტსა და პოლონიუსს შო-  
რის — ის სცენა, როდესაც ჰამლეტი წარმოიდ-  
გენს, თუ ვით აბრიყვებს მოხუცს — ატარებს ცხად-  
ზე ცხადს აზრს, რომელიც ჩვენს შეხედულებას  
განამტკიცებს, თავს ნებას მივცემ, თქვენც მო-  
გაგონოთ ეს ნაწყვეტი:

პოლონიუს

„ბატონო ჩემო, დედოფალს თქვენთან ლაპა-  
რაკი სურს და სურს ეხლავე.

ჰამლეტი

ქნედავ ზეით იმ ღრუბელს, რა საშინლად  
ჭკაცს აქლებს?

პოლონიუს

— წირვის მადლმა, ძალიანა ჭკაცს.



ბ ა მ ლ ე ბ

მე მგონია, კვერნასა ჰგავს.

კ ო ლ ო ნ ი უ ს

ზურგი კვერნასი აქვს სწორედ.

ბ ა მ ლ ე ბ

თუ უფრო ვეშაპსა ჰგავს.

კ ო ლ ო ნ ი უ ს

ზედ გამოქრილი ვეშაპია.

ბ ა მ ლ ე ბ

უხლავ მოვლივარ დედაჩემთან“.

განა ცხადი არ არის, რომ ამ სცენაში პოლონიუსი კარისკაცია, რომელიც ცდილობს პრინციის გულის მოგებას, და მოწრდელი ადამიანის, რომელსაც არ ხურს ჯიბრში ჩაუდგეს ავადმყოფი, ახირებულ ყმაწვილს? პოლონიუსს იოტის ოდენადაც არა სჭერა მამლეტისა და არც ტყუილად. ჩვეული შეზღუდული თვითდაჭერებულობით მამლეტის ახირებას იგი მიაწერს ოფენლიასადმი იმის სიყვარულს და ამაში, რაღა თქმა უნდა, სცდება, მაგრამ პოლონიუსი არ სცდება მამლეტის ხასიათის გაგებაში, კეშმარიტად, — არანაირი სარგებლობის მომტანი მასისათვის მამლეტნი არ არიან, არაფერს ისინი მასას არ აძლევენ, არც არსად მიჰყავთ, რამეთუ თავადაც არსად მიდიან. ანკი როგორ უნდა წარუძღვენ, როცა ისიც არ იციან, ფერხთა ქვეშ მიწა აქვთ თუ არა? ამასთან — მამლეტებს ექავრებათ ხალხის მახეები. ვინც თავის თავს არა სცემს პატივს, რას შეიძლება მან პატივი მიაგოს? განადირს, ყურადღება დაუთმო მასას? იგი ხომ ასე ტლანქი და კუჭყიანია? ხოლო მამლეტი არისტოკრატია და არა მხოლოდ წარმომავლობით.

სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება ხანჩო პანსა. იგი დასცინის დონ კიხოტს, იცის, რომ შეშლილია, მაგრამ სამგზის ტოვებს სახლს, ცოლშვილს, რათა თან ეახლოს ამ შეშლილს — დაჰყვება ფეხდაფეხ, ურიგდება ყოველგვარ უსიამოვნებას, თავგადადებულს მისთვის სიცოცხლეს არ ეშურება. სჭერა, ამაყობს და მუხლმოყრილი ქვითინებს ღარიბულ სარეცელთან, რომელზეც აღესრულება მისი ყოფილი ბატონი, ოდენ მოგების, ოდენ გამორჩენის იმედით არ შეიძლება ამ გრძნობის ახსნა. ხანჩო პანსა ხაკმაოდ გონიერი კაცია, მან კარგად იცის, მოგზაური რაინდის საკურველთმტვირთველი ცემატყუების მეტს თითქმის არას რომ არ უნდა

მოელოდეს. ერთგულების მიზეზი უფრო სიღრმეში უნდა მოვიძიოთ, იგი, თუკი შეიძლება ასე ითქვას, ძირისძირდება ხალხის მახეების ბედნიერი და წესიერი გატაცების უნარში (სამწუნხაროდ, ვიცნობთ სხვანაირ გატაცებასაც), უნდა გარო ენთუზიაზმის უნარში, რამდენიმე პირადი გამორჩენის სიძულვილში, რომელიც თითქმის ტოლდალოვანია არსობის პურისადმი ღარიბი კაცის სიძულვილისა, უდაოდესი მსოფლიო ისტორიული თვისებაა! ხალხის მახეებს სჭერათ და ერთგულად მიჰყვებიან ამ პიროვნებებს, რომელთაც დასცინოდნენ, შეაჩვენებდნენ, სდევნიდნენ კიდევ, თუმცა კი ისინი არ უფრთხოდნენ არც დევნას, არც შეჩვენებას, არ უფრთხოდნენ დაცინვას და მტკიცედ ისწრაფოდნენ წინ, თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ დიად მიზანს, ეძიებდნენ, ეცემოდნენ, ისევ წულში იმართებოდნენ და ბოლოს და ბოლოს მპოვებდნენ, არც სცდებოდნენ... კეშმარიტად! მხოლოდ ის მპოვებს, ვინც გულის კარნახს უხმენს. Les grandes pensees viennent du coeur, — თქვა ვოვენარგმა, ხოლო მამლეტნი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, ისინი მარტოსულნი არიან და ამიტომაც უნაყოფონი.

მაგრამ იქნებ შემოგვედავოთ და იკითხოთ: „ოფელია? განა მამლეტს არ უყვარს ოფელია?“ მოდით, ვისაუბროთ მის შესახებ და ბარცმ დულხინეაზეც.

ჩვენს დამოკიდებულებაში ამ ორი ქალის მიმართაც ბევრი საყურადღებო რამ შეიძლება მოვიძიოთ.

დონ კიხოტს უყვარს დულხინეა, აჩარხებულ ქალი და მზადაა მოკვდეს მისი გულისათვის. მოიგონეთ დონ კიხოტის სიტყვები, როდესაც, დამარცხებული და მიწასთან გასწორებული, თავის მძლეველს ეუბნება:

„დულხინეა ტობოსელი მთელ ქვეყანაზე უღამაზესი ქალია, ხოლო მე მთელს ქვეყანაზე უზბედურესი რაინდი ვარ. ეს კეშმარიტება არ უნდა დაამციროს ჩემმა უღონობამ, ამ კეშმარიტებას მაინც არ ვუღალატებ. გამგმირე მაგ შენი შუბით, რაინდო, და სიცოცხლე მომიწრაფე, რადგან პატივი და ღირსება ხომ წამართვი!“

დონ კიხოტს უყვარს იდეალურად და სუფთად, ისე, რომ არც ეჭვობს მისი ვნების საგანი თუ არსებობს, — ისე სუფთად, რომ, როცა ტლანქი, კუჭყიანი გლეხის ქალი გამოეცხადება და მოახსენებს, დულხინეა ვარო, თვალებს არ უჭერებს და ბოროტი ჩადოქარი მგონია. ჩვენი სიცოცხლის გრძელ გზებზე ბევრჯერ შევხვედრივართ ისეთ ადამიანებს, დულხინეასავით ტლანქი და უმსგავსი დედაკაცებისათვის რომ განშორებიან წუთისოფელს. მათში ბედავდნენ ისინი თავიანთი იდეალის განსახიერებას და

1 უდაოდესი აზრები გულში იბადებიან (ფრანგ.).



მათ გარდასახვასაც ბორცის წეგავლენას მიაწერდნენ — ლამის არა ვთქვი: ქაღალკებისა-მეთქი, ვიშვორებ — ეს ხალხი რომ გადაეგება, ასტორიის წიგნიც დაიხურება, წახაკითხიც აღარაფერი დარჩება. დე ეგრე იყოს ბორცვიელების ნასახიც არ ახასიათებს დონე კიხობს, მისი ოცნება ერთობ მოკრძალებული და უცოდველია, მხოლოდ გულის ხაიდუმლო კუნჭულში ბუუტავს იმედის სხივი დუღსინებასთან საბოლოო შეერთებისა, თუმცა თითქოსდა შიშობს კიდევ ამ შეერთებას.

მაგრამ ჰამლეტი — ნუთუ მას უყვარს? ნუთუ ამ სახის ირონიულმა შემოკმედმა — ადამიანური გულის მესაიდუმლემ ჩაიფიქრა ეგოისტის, ანალიზის უოვლისდაშლელი შხამით გამსჭვალული სკეპტიკოსის მკერდში მოყვარული და ერთგული გული ჩაედგა? შექსპირი არ მოქცეულა ამგვარს წინააღმდეგობაში და დაკვირვებული მკითხველი იმთავითვე იგრძნობს, რომ ჰამლეტს, მიუხედავად მგრძნობიარე და ფარულად არშიეი ბუნებისა (კარისკაცი როზენკრანცი ტყუილად როდი იღიბის ჩუმჩუმად, როცა ჰამლეტს გამოუტყუდება — „მე აღარც კაცის ნახვა მიაშება, აღარც ქალისა... თუმცა დიმილზედ გატყობ, რომ ეს ჩემი სიტყვა არ გჭერა), არ უყვარს და უფრო თვალთმაქცობს, თანაც დაუდევრად, მოვიხმოთ მოწმედ თავად შექსპირი. მესამე მოკმედების პირველ სცენაში ჰამლეტი უებნება ოფელიას:

ჰამლეტ

მე შენ ერთხელ მიყვარდი.

ოფელია

მეც მჭეროდა თქვენი სიყვარული.

ჰამლეტ

არ უნდა დაგეჭვებინა... მე შენ არ მყვარებინარ!

ამ სიტყვებში მტეი სიმართლეა, ვიდრე თვით ჰამლეტი ფიქრობს. მისი გრძნობა უდანაშაულო და სიწმინდის ნათლითმოსილი ოფელიასადმი ან ცინიკურია (მოვიგონოთ ორაწროვანი, გადაკრული სიტყვები, როდესაც ჰამლეტი თეატრალური წარმოდგენის სცენაში ოფელიას სთხოვს ნებართვას — მოთავსდეს მის მუხლებთან:

ჰამლეტ (ოფელიას)

— ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ქვეშ ამოვეფარო? (წამოწვება ოფელიას ფერთხით).

ოფელია

— ვერა, ხელმწიფის შვილო,

ჰამლეტ

ერყუნეული

— მე ვამბობ, თავი შექნეს კალთაზედ დავდო-მეთქი.

ოფელია

— ეგ კი თქვენი ნებაა.

ჰამლეტ

— თქვენ იქნება გგონიათ, გულში ცუდი რამ განზრახვა მქონდეს?

ოფელია

— მე არა მგონია-რა.

ჰამლეტ

რა კარგია, რომ კაცი ქალის მუხლებთან იყოს წამოწოლილი.

ანდა ლაყბობა — (გაიხსენეთ ჰამლეტისა და ლაერტის შეხვედრის სცენა, როდესაც ჰამლეტი ოფელიას საფლავში ჩაბტება დღაპარაკობს იმგვარი ენით, რაიც ღირსებით ტოლს არ დაუგდება ბრამარბასისა და კაპიტან პისტოლის ენას).

ჰამლეტ

მე ამ საგნისთვის მზად ვარ, ბრძოლად გაეიხმო იგი, ვიდრე თვალთჩინი საუკუნოდ არ მომეშლება.

მე ოფელია მიყვარდა და ორმოც-ათას ძმას ერთად მოგროვილთ ჩემსავით ვერ ეყვარებოდათ. — და ა. შ.)

ჰამლეტის დამოკიდებულება ოფელიასადმი სხვა არაფერია, თუ არა ფიქრი ისევ და ისევ საკუთარ თავზე. მის შეძახილში:

„მოიხსენიე შენს ლოცვაში, პოი ფერიავ, ჩემი ცოდვები. —“

შეიძლება დავინახოთ მარტოოდენ საკუთარ-ავადმყოფური უძღურების შეგრძნება — უძღურება სიყვარულის განცდისა, რომელიც თითქმის ბრძად იდრეკს მუხლს „წმინდანის უმწიკვლობის“ წინაშე.

მაგრამ, დაე ვიკმაროთ ჰამლეტის, როგორც სახის ნაკლზე საუბარი. ეს ნაკლი ხომ სწორედ იმიტომ გვაღიწიანებს, რომ მომეტებულად ახ



ლოხელი და გასაგებია, — და შევეცადოთ დავინახოთ მასში კანონზომიერი და, აქედან გამომდინარე, მარადიული. მამლეტის სახეში განსახიერებულა უარყოფის საწყისი, ის, რაც მეორე დიდმა შემოქმედმა ნამდვილი ადამიანური საგან გამოაცალკევა და მეფისტოფელის სახეში დაგვანახა. მამლეტი იგივე მეფისტოფელია, ოღონდ, მეფისტოფელისაგან განსხვავებით, ადამიანური ბუნების ცოცხალი წრით არის გარშემორტყმული. ხწორედ ამის გამო მამლეტის უარყოფა არ არის ბოროტება — ის თავადაა მიმართული ბოროტების წინააღმდეგ. ხიკეთის არსებობა ექვევება, ანუ ექვობს მის ჭეშმარიტებასა და სიწრფელებს, და თავს ეხბმის, არა როგორც ხიკეთეს, არამედ როგორც უალბ ხიკეთეს, რომლის გარსის ქვეშ იხევს და იხევს თავს აფარებენ ხიკეთის ოდინდელი მტრები — სიცრუე და ბოროტება. მამლეტი არ ხარხარებს მეფისტოფელისებურად — დემონურად და გულგრილად. მის მწარე ღიმილში ჩანს ტანჯვა და სასოწარკვეთა. ამიტომ ვურიგდებით, ვეგუებით მას, არც მამლეტის ხეპტიციზმი ჩაითვლება ინდიფერენტუზმად. რაც ამ სახის ღირსებასა და მნიშვნელობას კიდევ უფრო წრდის. კეთილი და ბოროტი, ჭეშმარიტება და სიცრუე, სიღამაზე და საბიჩარობა მის თვალში არ ერწყმიან ერთიმეორეს რაღაც შემთხვევით უტყვ და ურუ არარაობად. მამლეტს არა სწამს თანამედროვე, როგორც იტყვიან, განსხეულება ჭეშმარიტებისა, მისი ხეპტიციზმი დაუზოგავად ებრძვის სიცრუეს და ამით ერთი მთავარი და უპირველესი დამცველთაგანია იმგვარის ჭეშმარიტებისა, რომლის არსებობაც მართლაც რომ შეუძლებელია მთლიანად ვიწმუნოთ. მაგრამ უარყოფაში, როგორც ცეცხლში, არის გამანადგურებელი ძალა და როგორ შემოვსაზღვროთ და მოვთხოვოთ იგი, როგორ მივუთითოთ. — სად შეჩერდეს, როდესაც ის, რაც უნდა განადგურდეს და იხიცი, რაც უნდა შევიწყალოთ, ხშირად განუურელად შერწყმიან და დაკავშირებიან ურთიერთს. აი, სად ცნაურდება ერთობ ბევრისაგან შემჩნეული ტრაგიკული მხარე ადამიანური ცხოვრებისა: საქმე მოითხოვს გაბედულებას: საქმე მოითხოვს მოსაზრებას, მაგრამ გაბედულება და მოსაზრება გაითიშნენ და ეს გათიშვა დღით დღე უფრო საცნაური და საგანგაშო ხდება.

„აი ასე გვხდის ლაჩრად ჩვენი ცნობიერება გაბედულობას მოსაზრება უსუსტებს შუქსა და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ წინ ეღობება, — “  
 გვეუბნება მამლეტის პირით შექსპირი...

და, ამა, ერთ მხარეს დგანან მამლეტები — ჭკვიანნი, გონიერნი, აღლოიანნი, მომეტებულად სრულყოფილნი, მაგრამ მომეტებულადვე უსარგებლონი და უმოქმედობისათვის სახველდებულნი; მეორე მხარეს — ნაბეჭად ჭკუაშემცდარი დონ კიხობები, რომლებიც სარგებლიანობაც მართოდენ ის არის, რომ წარმართავენ ადამიანებს. ხედავენ და იციან ერთი წერტილი ხშირად არარსებულის სახეში, რაღაც ამ წერტილს წარმოიდგენენ. უნებლიეთ წამოტივტივდებიან კითხვები: ნუთუ ჭკუაშემცდარი უნდა იყო, ჭეშმარიტება რომ ირწმუნო? და ნუთუ გონმა, რომელსაც არ უჭირს თავის მოთოკვა, ხწორედ ამ მიზეზითვე უნდა დაჰქარგოს ძალმოსილება?

ამ საკითხთა თუნდაც შედაპირული განსჯა შორს წავიყვანს, შევნიშნავთ მხოლოდ — ამ გაორებაში, ამ დუალიზმში, რაზედაც შემოთაც მივანიშნეთ, ჩვენ უნდა დავინახოთ ადამიანის ცხოვრების უმთავრესი კანონზომიერება. ადამიანის ცხოვრება კი სხვა არაფერია, თუ არა გამოუდმებელი ერთიანობა და გამოუდმებელი ბრძოლა ორი დაუხრულებლად ურთიერთდაპირისპირებული და ახვევ დაუხრულებლად ურთიერთშერწყმული საწყისისა. და რომ შეიძინა და მორიდება არ გვაკავებდეს თქვენს წინაშე ფილოსოფიურ ტერმინთა მოხმობის სურვილისა, იოლად ვიტყვოდით: მამლეტი ზოგადად ბუნების უმთავრეს ცენტრისკენულ ძალთა არსია, ბუნებისა, რომლის წიაღშიაც უოველი სულიერი თავის თავს მიიჩნევს ქმნადობის ცენტრად, ბოლო სხვას ყველაფერს უყურებს როგორც არსებულს საკუთრივ მისთვის (ვითარცა კოლო, ალექსანდრე მაკედონელს შუბლზე რომ დაასკუბდა, ერთობ დარწმუნებული თავისი ქცევის სისწორეში, და მის სისხლსა სწოვდა, როგორც რიგითს კერძს, ეგრევე მამლეტიც, თუმცა კი სხვას და აბუჩად იგდებს თავის თავს, რასაც კოლო არ ჩაიდენს, რამეთუ აქამდის არ ამაღლებულა. ეგრევე მამლეტიც-მეტეი, ვიმეორებ, გამოუდმებით მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნის). უამძალებოდ, ანუ ამ ცენტრისკენულ ძალთა გარეშე (ეგონიზმის ძალთა გარეშე) ბუნება არსებობას ვერ შეიძლებდა ხწორედ ისევე, როგორც იმ მეორე, ცენტრიდანულ ძალთა გარეშეც, რომლის კანონით ყველა სულიერი არსებობს მართოდენ სხვისთვის. თავდადებისა და შეწირვის ამ ძალებს, ამ პრინციპს, გასხივოსნებულს, როგორც უკვე ვთქვით, კომიკურის შუქით, — ბატებს თუკი არ გავანაწყენებთ, — განსახიერებს დონ კიხობი კერძოდ, და, ზოგადად დონ კიხობები. ეს ორღ დაპირისპირებული ძალა — უძრავობა და მოძრაობა, კონხერვატიზმი და პროგრესი — არის ყოველივე არსებულის ძირითადი არსი. იხინი განაპირობებენ უვავილის



ზრდას, ისინი ძლიერად გახადებს უძლიერეს ხალხთა განვითარების კანონზომიერებაში ჩასაწვდომად.

ვესწრავით დავეხსნათ ამ, შესაძლოა, უადგილო წვდომას და მივუბრუნდეთ ჩვენთვის მომეტებულად ჩვეულებრივს თვალსაზრისს.

კარგადაა ცნობილი, რომ შექსპირის ნაწარმოებებს შორის თითქმის ყველაზე პოპულარული არის „შამლეტი“. ეს ტრაგედია იმგვარს მიენათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის წყალობითაც უეტველად და ყოველთვის გაქვდილია თეატრთა დარბაზები. ჩვენი პუბლიკის დღევანდელი მდგომარეობის გამო, მისი უმაწვილობისა და საკუთარ თავში დაეჭვებისა გამო ეს მოვლენა ფრიად გახადები გახლავთ. მაგრამ, რომ არაფერი ვთქვათ იმ სიმშვენიერება და სილამაზეზე, რითაც ახალი ხულის ეს მართლაც რომ უბრწყინვალეს ნაწარმებათაგანია აღსავსე, არ შეიძლება არ გაგვაოცოს გენიამ, ბევრს რამეში, რომ ჩამოგვავს თავის პამლეტს. გენიამ, რომელმაც შემოქმედის თავისუფალი მოძრაობით განზე დააყენა პამლეტი და მისი სახეობა შთამომავლობის მუდმივი განსჯისა და შესწავლის საგნად აქცია, ხული, რომელმაც ეს სახე შექმნა, არის ხული ჩრდილოელი კაცი. რეფლექსური და ანალიზური. დამძიმებული და დაღვრეხილი, პარმონიასა და ნათელ საღებავებს მოკლებული, მოხდენილი, თუმცა ხშირად დაუსრულებელი და უღიმღამო, მაგრამ ღრმა, ძლიერი, მრავალმხრივი, უდრეკი და წარმმართველი. თავისი არსების წიაღიდან ამოწიდა მან პამლეტის ტიპი და დაგვიმტკიცა, რომ პოეზიაშიც დგას უმაღლეს თავისი ქმნილებების, სწორედ ამიტომაც მთლიანად ესმის მისი.

სამხრეთელი კაცის ხული მკვიდრობს დონ კიხოტის შექმნაში, ხული ნათელი, ლალი, ალამართალი, მიაშიტი და მორჩილი, არა ყოვლის მომცველი და წუთისოფლის სიღრმეებში მწვდომი, მაგრამ წუთისოფლის ყველა გამოსხივების ამრეკლავი. არ ძალგვიძს წინ აღვუდგეთ სურვილს და, პარალელი კი არ გავავლოთ შექსპირსა და სერვანტესს შორის, მხოლოდ მივანიშნოთ მათი სხვაობისა თუ მსგავსების რამდენსავე შტრაბზე. შექსპირი და სერვანტესი — იქნება კი მათი შედარება? — გაიფიქრებს ბევრი, შექსპირი — ეს გიგანტია, ნახევარღმერთია... ჭეშმარიტად, მაგრამ არც სერვანტესი მოსჩანს ქონდრისკაცად „მეფე ლირის“ შემოქმედის წინაშე. იგი ადამიანია, ტერფით თხემამდე ადამიანი, ხოლო ადამიანს უფლება აქვს მყარად დადგეს თუნდაც ნახევარღმერთის წინ. თქმა არ უნდა, რომ შექსპირი მალა დგას სერვანტესზე — და არა მარტოდენ სერვანტესზე — ფანტაზიის სიმდიდრით და ძალმოსილებით, შეშთაგონებული პოეზიის გაეფუებით, გიგანტიური გონების სიღრმითა და განფენილობით, მაგრამ სერვანტესის რომანში ვერ წაწყდებით ნაძალადენ ნამაზვილობას, ან ხელოვნურ შედარებას, ვერ წაიკითხავთ საამურ დასასრულს. მის ფურცლებზე ვერ იხილავთ მოკვდილთა ვეფხვეთა და დათხრილ თვალებს, სისხლის ნაღვრებს, კულქვა. უაზრო სისასტიკეს — შუა საუკუნეების მრისხანე მემკვიდრეობას, ხარბაროსობას, რომელიც ნელნელა ფერმკრთალდება შეუპოვარ ჩრდილოურ ნატურაში; ხოლო სერვანტესი, სხვათა შორის, შექსპირისდარად, ბართლომეს ღამის მომსწრე გახლდათ; მათ შემდგომ კვალად დიდხანს ბრიალებდა ცეცხლის ალი, იწვოდნენ ერეტიკოსები და იღვრებოდა სისხლის ნაკადები. შეწყდება კი ოდესმე მათი მდინარება? შუა საუკუნეები „დონ კიხოტში“ პროვანსის პოეზიის იერით გაცხადდა, გაცხადდა იმ რომანების ზღაპრული გრაციით, რომლებსაც კეთილად დასცინოდა სერვანტესი და თვითვე მიართვა უკანასკნელი ხარკი „პერსილესსა და სიგიზმუნდში“. შექსპირი თავის სახეებს ეძებს უველგან — ზეცაში და დედამიწაზე, მას წინ ვერაფერი ეღობება; არას ძალუძს გაექცეს ყოვლისმწვდომ მშერას და აცხრება და ეწიდება თავისკენ დაუცხრომელის ძლიერებით, იმგვარის ძლიერებით, როგორც არწივი თავის მსხვერპლს. სერვანტესს მკითხველის წინაშე აღერსიანად გამოჰყავს მკირერიცხოვანი გმირები. ისე, როგორც მამას თავისი შვილები; სინამდვილიდან იღებს მხოლოდ იმას, რომლის მახლობლობასაც ძლიერად შეიგრძნობს. მაგრამ რა კარგად ნაცნობია ეს „მახლობელი“ მისთვის. ასე გგონია, ინგლისელი პოეტის მორკმული გენიის ხელქვეითი იყოს ყოველივე ადამიანური; სერვანტესი თავის სიმდიდრეს მოიპოვებს საკუთრივ თავისი ხულიდან — ნათელი, უწყინარი, ცხოვრების გამოცდილებით მდიდარი. მაგრამ არა ამ გამოცდილებით გამკაცრებული ხულიდან. ამოდ როდი ეუფლებოდა უძიმეს შვიდწლიან ტუსალობაში, როგორც თვით ამბობს, დათმენის მეცნიერებას. მისი ხელდასხმული წრე ვიწროა შექსპირისაზე; მაგრამ ამ ვიწრო წრეში, როგორც რომ ცალკეულ ხულიერში, ირეკლება ყოველივე ადამიანური. სერვანტესი არ გაბრმავებთ ელვისებური სიტყვით; არ გორგუნავთ გამარჯვებული შთაგონების ტიტანიური ძალით. მისი პოეზია არა შექსპირისებურია, — მღვრიე ზღვას რომ მოგვაგონებს, — ღრმა მდინარეა, რომელიც მშვიდად მიედინება მრავალფეროვან

ნების სიღრმითა და განფენილობით, მაგრამ სერვანტესის რომანში ვერ წაწყდებით ნაძალადენ ნამაზვილობას, ან ხელოვნურ შედარებას, ვერ წაიკითხავთ საამურ დასასრულს. მის ფურცლებზე ვერ იხილავთ მოკვდილთა ვეფხვეთა და დათხრილ თვალებს, სისხლის ნაღვრებს, კულქვა. უაზრო სისასტიკეს — შუა საუკუნეების მრისხანე მემკვიდრეობას, ხარბაროსობას, რომელიც ნელნელა ფერმკრთალდება შეუპოვარ ჩრდილოურ ნატურაში; ხოლო სერვანტესი, სხვათა შორის, შექსპირისდარად, ბართლომეს ღამის მომსწრე გახლდათ; მათ შემდგომ კვალად დიდხანს ბრიალებდა ცეცხლის ალი, იწვოდნენ ერეტიკოსები და იღვრებოდა სისხლის ნაკადები. შეწყდება კი ოდესმე მათი მდინარება? შუა საუკუნეები „დონ კიხოტში“ პროვანსის პოეზიის იერით გაცხადდა, გაცხადდა იმ რომანების ზღაპრული გრაციით, რომლებსაც კეთილად დასცინოდა სერვანტესი და თვითვე მიართვა უკანასკნელი ხარკი „პერსილესსა და სიგიზმუნდში“. შექსპირი თავის სახეებს ეძებს უველგან — ზეცაში და დედამიწაზე, მას წინ ვერაფერი ეღობება; არას ძალუძს გაექცეს ყოვლისმწვდომ მშერას და აცხრება და ეწიდება თავისკენ დაუცხრომელის ძლიერებით, იმგვარის ძლიერებით, როგორც არწივი თავის მსხვერპლს. სერვანტესს მკითხველის წინაშე აღერსიანად გამოჰყავს მკირერიცხოვანი გმირები. ისე, როგორც მამას თავისი შვილები; სინამდვილიდან იღებს მხოლოდ იმას, რომლის მახლობლობასაც ძლიერად შეიგრძნობს. მაგრამ რა კარგად ნაცნობია ეს „მახლობელი“ მისთვის. ასე გგონია, ინგლისელი პოეტის მორკმული გენიის ხელქვეითი იყოს ყოველივე ადამიანური; სერვანტესი თავის სიმდიდრეს მოიპოვებს საკუთრივ თავისი ხულიდან — ნათელი, უწყინარი, ცხოვრების გამოცდილებით მდიდარი. მაგრამ არა ამ გამოცდილებით გამკაცრებული ხულიდან. ამოდ როდი ეუფლებოდა უძიმეს შვიდწლიან ტუსალობაში, როგორც თვით ამბობს, დათმენის მეცნიერებას. მისი ხელდასხმული წრე ვიწროა შექსპირისაზე; მაგრამ ამ ვიწრო წრეში, როგორც რომ ცალკეულ ხულიერში, ირეკლება ყოველივე ადამიანური. სერვანტესი არ გაბრმავებთ ელვისებური სიტყვით; არ გორგუნავთ გამარჯვებული შთაგონების ტიტანიური ძალით. მისი პოეზია არა შექსპირისებურია, — მღვრიე ზღვას რომ მოგვაგონებს, — ღრმა მდინარეა, რომელიც მშვიდად მიედინება მრავალფეროვან

1 როგორც ცნობილია, სარაინდო რომანი „პერსილესი და სიგიზმუნდი“ „დონ კიხოტის“ პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ დაიწერა.



კალაპოტში და მისი გაშვირვალე ტალღებით გარშემორტყმული ჭკობხველი ოდნავის გატაცებით და სიხარულით თავს აძლევს მშვიდი მდინარების ჭეშმარიტად ეპიურ სიჩუმეს. წარმოხატვა საამოვნებით გამოიხმობს ორი პოეტი — თანამედროვის ხატებას, რომლებიც ერთხა და იმავე დღეს — 1816 წლის 28 აპრილს განშორდნენ წუთისოფელს. სერვანტესმა, ალბათ, არა იცოდა შექსპირის შესახებ; ხოლო დიდ ტრაგიკოსს, თავისი სტრატეგორდული სახლის სიწუნარეში, სადაც სიკვდილამდე სამი წლით ადრე განმარტოვდა, ადვილად შეეძლო წაეკითხა სახელგანთქმული რომანი, რომელიც გამოცემისთანავე ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ღირს მოაზროვნე ფერმწერის ფუნჯი დაშვრეს ამგვარის ტილოს შესაქმნელად — „შექსპირი კითხულობს „დონ კიხოტს!“ შევნატროთ ქვეყნებს, რომელთა წილშიც იბადება ადამიანი — თანამედროვეთა და შთამომავალთა მოძღვართ-მოძღვარი. დაფნის გვირგვინი. დიდი ადამიანის თავს რომ დაედგმის, მისი ხალხის შუბლსაც ამკობს ამავე დროს

ჩვენი არასრული ეტიუდის დაბოლოებისას გთხოვთ ნება დაგვრთოთ, ვაგიზიაროთ კიდევ რამდენიმე მოსაზრება. ერთმა ინგლისელმა ლორდმა (ამ საქმის მცოდნემ) ხაუბრისას დონ კიხოტს ჩენტლშენი უწოდა. ოღონდაც! თუკი შეიძლება უბრალოება და სიმშვიდე ე. წ. ეთილწინიანი კაცის განმასხვავებელ ნიშნად ჩაითვალოს, მაშინ დონ კიხოტსაც სრული უფლება ჰქონია ამგვარად იწოდებოდეს. დიახ, დონ კიხოტი ჭეშმარიტი იდალგოა, და არც მაშინ კარგავს იდალგოს ღირსებას, როდესაც მერცხოვის ლაზღანდარა მსახურები მთლიანად გაუსაძნავენ სახეს. მისი მანერების უბრალოება წარმოსდგება იმგვარის რამის უქონლობისაგან, რასაც, როგორც შევთანხმდით, ვუწოდებთ თვითდაქერება და არა პატივმოყვარეობა. დონ კიხოტი არ ფიქრობს საკუთარ თავზე და როცა პატივით ეკიდება თავსაც და სხვასაც, ამით როდი თავმომწონეობს, ხოლო მამლეტი, თუმცა კი გარეგნობით და ქცევითაც მომხიბვლელია, ასე გვგონია, მოგვიტყვეთ ფრანგულის ფრაზისათვის. *ayant des airs de parvenu...* იგი შეშფოთებულია, ზოგჯერ უხეშიცაა, თითქოს კეკელუცობს და მასხარად იგდებს ირგვლივ შუოფთ. სამაგიეროდ მომადლებული აქვს მოსწრებული გამოთქმის ნიჭი, რაც აგრერიგად ესადაგება მოაზროვნე და საკუთარი პიროვნების სრულქმნისთვის მოწადინებული კაცს და ამიტომაც მიუწვდომელია დონ კიხოტისათვის. ანა-

1 თავი უჭირავს, როგორც მეტიწარას (ფრანგ.)

ლიზის სიღრმემ და სიწუსტემ, მრავალმწივემა განსწავლულობამ (არ უნდა დავივიწყოთ, რომ მამლეტი ვიტენბერგის უნაფერსიტეტში სწავლობდა) განუვითარეს მამლეთს ლამის შემცდარი გემოვნება. ~~ფერმწერული~~ კრიტიკოსია. მისი რჩევა-დარიგებები ~~[[რჩეველუფუკ მსახი~~ ობებს აძლევს, განსაცვიფრებლად ზუსტი და გონივრულია. მოხდენილის გრძნობა თითქმის ისევე ძლიერობს მამლეთში, ვითარცა გრძნობა მოვალეობისა დონ კიხოტში.

დონ კიხოტი უდიდეს პატივს მიაგებს უმთავრეს ამქვეყნიურ დადგინებათ — რელიგიას, მონარქებსა და მერცხოებს. თვითონაც თავისუფალია და სხვათა თავისუფლებასაც აღიარებს. მამლეტი აძაგებს მეფეებს, კარისკაცებს, თვით კი, არხებითად, გულქვა და მჩაგვრელია.

დონ კიხოტს კითხვაც უჭირს. მამლეტი, ალბათ, დღიურებსაც წერდა. დონ კიხოტს, თუმცა ნაკლებად განსწავლულია, ჩამოყალიბებული აქვს სახელმწიფო საქმეთა და ადმინისტრაციული მართვის მთელი სისტემა. მამლეთს არა სცალია და არცა სცხელა უოველივე ამისათვის.

არაერთმა გაილაშქრა დონ კიხოტის დაუსრულებელ შერკინებათა წინააღმდეგ, რითაც სერვანტესი ტვირთავს ამ სახეს. ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ რომანის მეორე ნაწილში საბრალო რაინდს უკვე აღარავინ სცემს. აქ კი დავსძენთ, რომ ამ ცემა-ტყუებათა გარეშე აგრე იოლად როდი შეიყვარებდნენ დონ კიხოტს ბავშვები, რომლებიც ასეთის სიხარბითა და გატაცებით კითხულობენ მის თავგადასავლებს — და ჩვენც, მოზრდილებსაც იგი თავისის ჭეშმარიტის სახით არ მოგვეჩვენებოდა, არამედ რაღაც ცივ და ამპარტავან კაცად, რაც ერთობ შეეწინააღმდეგებოდა მის ზასიათს. ახლაზან მოგახსენეთ, მეორე ნაწილში დონ კიხოტს უკვე აღარა სცემენ-მეთქი, მაგრამ რომანის დასასრულს, — ბაკალავრის სამოსელიან თეთრი მთვარის რაინდისაგან დონ კიხოტის საბოლოო დამარცხებისა და ამ უკანასკნელის მიერ რაინდობაზე უარის თქმის შემდგომ, — სიკვდილის წინ დონ კიხოტს კიდევ ერთხელ გადათელავს ლორების კოლტი. ჩვენ არაერთგვის მოვისმინეთ სერვანტესისადმი გამოთქმული საუვედური ამ სცენის გამო, თითქოს ძველი, აწ უკვე დავიწყებული ხუმრობა გაიხსენაო. მაგრამ არა! სწორედ აქ, როგორც სხვა ადგილასაც სერვანტესს კარნახობდა გენიოსის ინსტინქტი. დიახ, ამ საშინელ ეპიზოდში დევს უღრმესი აზრი — დონ კიხოტების ცხოვრების გზაზე არაერთხელ შეგვჭვდერია ღორების გადანათელი და სწორედ რომ სიცოცხლის დასასრულს.

ეს გახლავთ უკანასკნელი ხარკი, რომელიც დონ კიხოტებმა უბეშ შემთხვევითობას, გულც-



ივსა და თავზედ მიუხვედრელობას უნდა მიაგონ. უკანასკნელი სილა გარტყან ფარისეველთ... ახლა შეუძლიათ მშვიდად განუტევონ ხული—მათ ვაიარეს შუაგულ კოცონში და საკუთარი უკვდავება გამოსტედას. და ამა, ეს უკვდავება ახლა მათ ფერხთა წინაშეა.

კამლეტი დროდადრო ვერაგი და მრისხანეა. გაიხსენეთ ინგლისში ორი ჭარისკაცის გაგზავნა, მათი დალუპვის ვერაგული ჩანაფიქრი. მოიგონეთ სიტყვა, რომელსაც პოლონიუსის მოკვლისას წარმოთქვამს, თუმცაღა ამ სიტყვაში, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, გვესმის ახლახან დამცხრალ შუასაუკუნეთა ექო. მეორეს მხრივ, მოვალენი ვართ, პათოსანსა და ალალ-მართალ დონ კიხოტში დავინახოთ გაუცნობიერებელი და უწყინარი მიდრეკილება ტყუილის თქმისა, მიდრეკილება თავის მოტყუებისა, რაც მუდამ ახლავს ენთუზიასტის ფანტაზიას. მისი ნაამბობი მონტესინოსის გამოქვაბულში ნანახის გამო ცხადლივ მოგონილია და აქი ვერც მოატყუა გაქნილი ხეპრე — სანჩო პანსა.

საკმარისია კამლეტმა მცირეოდენი მარცხი იწვნოს — სულით დაეცეს და ჩივილს მოჰყვეს. ხოლო დონ კიხოტი, როცა ქანდარის ბორბტნი ისე დაჩხვლეთენ, ვერც კი ინძრევა, წუთითაც არ ეჭვობს, თუ მის საქმეს მარცხი მოეღის. ამბობენ, სწორედ ამგვარის რწმენით მრავალი წლის მანძილზე ყოველ ცისმარე მიეშურებოდა ფურიე ერთ ინგლისელთან შესახვედრად, რომელიც გაზეთებით მოიხმო, რათა თავისი გეგმების ზორცშესახსმელად მილიონი ფრანკი ებოძებინა. ის კი, რაღა თქმა უნდა, არახოდებს ხლებია ფურიეს. ფრიად სასაცილო ამბავია უდავოდ. მაგრამ გავიხსენოთ ძველი ბერძნები. ცნობილია, რომ ისინი თავიანთ ღმერთებს შურიაწებებს უწოდებდნენ და თუ საჭიროება მოითხოვდა, სასარგებლოდ მიიჩნევდნენ მიერთმიათ მათთვის ნებაყოფლობითი მსხვერპლი (გახსოვი ბექელი, რომელიც პოლიკრატემ ზღვაში გადასტყორცნა?). მაშ, რად არ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხალხის ქცევებს, რომელნიც დიდ საქმეთა საკეთებლად არიან მოწოდებულნი, გარდუვალად შეერწყმის კომიკურის რაღაც ნაწილი, როგორც უკანასკნელი ხარკი მესურნე ღმერთების დასამშვიდებლად მირთმეული.

ახეა თუ ისე, ამ სასაცილო დონ კიხოტების გარეშე, ამ აპირებული შერეკილ-გამომგონებლების გარეშე კაცობრიობა ბიჭსაც ვერ წადგამდა წინ და კამლეტებსაც ბევრი აღარაფერი დარჩებოდათ საწუხარ-საზრუნავი.

დიახ, ვიშეორებთ, დონ კიხოტები კოცებენ, კამლეტები ეძიებენ. მაგრამ როგორღაო, იკითხავთ, განა კამლეტებს შეუძლიათ ეძიონ, როცა ყველაფერი ეპყვებათ და არაფრისა სჭერათ?

ამაზედ გიპასუხებთ, რომ ბუნების ბრძნული განჩინებით სრულიად კამლეტები ანდა სრულიად დონ კიხოტები არ არსებობენ. ერთიცა და მეორეც მხოლოდ შეიღურესი გამოხატულებაა ორი მიმართულებით უკრწი სანიშნე სვეტისა, რომელიც უკრწი უკრწი შარაგზას მისცეს მაჩვენებლად, მათკენ ისწრაფვის დაუსრულებლად ცხოვრება, თუმცა კი ამოდ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კამლეტში ანალიზის პრინციპი დაუვანილია ტრაგიზმამდე, პრინციპი ენთუზიასმისა კი — დონ კიხოტში — კომიზმამდე. ხოლო ცხოვრებაში სრულიად კომიკური ან სრულიად ტრაგიკული იშვიათად თუ შეგვხვდეს.

კამლეტის ღირსებას ჩვენს თვალში აღამაღლებს მისდამი ჰორაციოს განწყობა. ეს მშვენიერი სახეა და ჩვენი დროის სასიკადაულოდ საკმარისი ოდენობით გვხვდება. ჰორაციოში ჩვენ შევიცნობთ საუკეთესო მიმბაძველს, მიმდევარს, მოწაფეს. უდრეკი და პირდაპირი ბასიათის, გულმხურვალე ჰორაციო, მცირედ შეზღუდული გონებისა, გრძნობს საკუთარ ნაკლს და ერთობ მორიდებულია, რაც ეგრერიგად იშვიათია შეზღუდული გონების ხალხში. მას სწყურია დაარბონ, მიუთითონ, სწყურია სწავლა, ამიტომ ექცევა მოწიწებითა და კრძალვით გონიერ კამლეტს და ერთიანად მიენდობა მას თავისი პათოსანი სულის მთელი სიძლიერით, სამაგიეროს კი არას მოითხოვს. კამლეტს იგი ემორჩილება არა თუ პრინცს, არამედ როგორც შეთაურს. კამლეტთა ერთი ყველაზე საგულისხმო დამსახურება ის გახლავთ, რომ ისინი ჰორაციოთა მსგავსთ, მრავალთა და მრავალთ განავითარებენ და აყალიბებენ, რომლებიც მას შემდგომ, რაც კამლეტთაგან შეითვისებენ აზროვნების თესლს, ანოყივრებენ თავიანთ გულში და ავრცელებენ მთელს მსოფლიოში. სიტყვები, რომლითაც კამლეტი აღიარებს ჰორაციოს მნიშვნელობას, თვით კამლეტს წარმოგვიდგენენ მთელის ღირსებით. ამ სიტყვებში ცხადლივის ძალით იხატება საკუთრივ კამლეტის თვალსაზრისი ადამიანის უმაღლეს დანიშნულებაზე, მისი კეთილშობილური მასწრაფებანი, რომელთა შესუსტებაც არა ხეკატციზმს აღარ ძალუძს.

იცი, რა გითხრა: იმას აქეთ, რაც ჩემმა გულმა

თავისუფლება მოიპოვა კაცთ გარჩევსა, შენ მიგითვისა და დაგბეჭდა თავისი ბექელით,

შენ, ვისაც ბევრი გიტანჯნია, მაგრამ არ იმჩნევ,

არ იმჩნევ არცა ბედის-წყრომას, არც მისს წყალობას



და ორივესთვის თანაბრობით მადლობას  
სწირავს:  
ნეტავი იმას, ვინც აგრეა შეზავებული  
გრძნობით, გონებით, ვინც საკრავად ბედს  
არ მსაბურებს  
და იმის თითებს არ აყოლებს თავის  
გულის-თქმას.  
აბი, მიწვევს ჯერ ისეთი კაცი მე საღმრ.  
რომელიც მონად ვნებათ-ღელვას არ  
გახდომია  
და მასაც შენებარ აქ ჩავისვამ, აქ გულის  
სიღრმეს! —

სინდისიერი სკეპტიკოსი უოველთვის პატი-  
ვით ეკიდება უღრეკ ხასიათს. როცა ძველი სამ-  
ყარო დაინგრა — და უკლებლივ უველა ეპო-  
ქაში, ძველ სამყაროს რომ მოგვაგონებენ —  
საუკეთესო ადამიანებმა ნუგეში სტოიციზმში  
პოვნეს, ვითარცა ერთადერთს საიმედო თავშე-  
საფარში, სადაც ჯერ კიდევ შეეძლოთ შეენარ-  
ჩუნებინათ სულის ღირსება.

სკეპტიკოსები, ოდეს სიკვდილი არ ხელეწიფე-  
ბოდათ, ანუ არ შეეძლოთ „გამგზავრებულიუ-  
ვნენ იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც  
ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება“, — ეპი-  
კურულად მოგვევლინებოდნენ, ფრიალ გასა-  
გები და ნაცნობი ამბავია და ამასთან სევდის-  
მომგვრელი!

ჰამლეტიც და დონ კიხოტიც მეტად აშაღელ-  
ვებლად ეთხოვებიან წუთისოფელს. მაგრამ  
რა განსხვავებულია ეს ორი გამოთხოვება!  
მშვენიერია ჰამლეტის სიტყვები. სიკვდილის წინ  
იგი მშვიდდება, უურდება, უბრძანებს პორაციოს  
— იცოცხლოს, ზმას აძლევს ახალგაზრდა  
ფორტინბრასს, რომელსაც არაფრით შეუბლა-  
ღავს მემკვიდრეობითობის ღირსება. მაგრამ ჰამ-  
ლეტის მზერა მომავალში ვერაფერს ამჩნევს...

„სხვა რაღა დარჩა? საუკუნო სიჩუმე მხო-  
ლოდ“. — ამბობს მომაკვდავი სკეპტიკოსი და

თავადაც უურდება სამუდამოდ.

დონ კიხოტის სიკვდილი გამოუთქმელ სიბრა-  
ღულს ბადებს. სიკვდილის წუთებში უველასათ-  
ვას გასაგები და მისაწვდომი ხდება ამ ხაზის  
მნიშვნელობა.

როდესაც უოველი ~~საუკუნო~~ სკეპტიკოსი  
დასამშვიდებლად მიმართავს, სულ მალე ახალი  
ხარაინდო თავგადასავლებისათვის გავემზადები-  
თო, მომაკვდავი პასუხობს: „ტყუარული ვიყავ.  
მაგრამ ახლა საღ გონებაზე ვარ, მე ოდესღაც  
დონ კიხოტ ლამანჩელი ვიყავი, მაგრამ კვა-  
ლად ვამბობ, ახლა აღონსო კიხანო კეთილად  
მხედავთ. აგრემც იყოს, რომ ჩემმა გულწრფელ-  
მა მონანიებამ თქვენი უწინდელი პატივისცემა  
დამიბრუნოს“!

გასაოცარი სიტყვაა. ამ მეტხანელის გახ-  
ხენება, თანაც პირველად და უკანასკნელად,  
აღელვებს მკითხველს. დიახ, ეს ერთადერთი  
სიტყვაა, რასაც სიკვდილის კარიბჭესთან კიდევ  
არ დაუქარგავს მნიშვნელობა. ცხოვრება ჩაივ-  
ლის, უოველივე გაქრება — უმალღესი წოდება,  
ხელისუფლება, სრულყოფილი გენია — უველა-  
ფერი ფერფლით დაიფარება...

მიწიერი სიღიადე უველა

იფანტება როგორც კვამლი...

მაგრამ კეთილი საქმე არ იფანტება კვამ-  
ლივით. იგი მოკაშკაშე მშვენიერებაზეც მარა-  
დიულია.

ქვეყნად უოველი წარმავალია, თქვა მოცი-  
ქულმა. — უკვდავია მხოლოდ სიყვარული.

ძალა არ შეგვწევს, ამ სიტყვებს რამე და-  
ვამატოთ. თავს ბედნიერად ჩავთვლით, თუკი  
ადამიანური სულის ამ ორ უმთავრეს მიმარ-  
თულებაზე მინიშნებით, სულისა, რაზედაც აქ  
ვისაუბრეთ, გავაღვიძეთ თქვენში სხვადასხვა  
აზრები, — შესაძლოა ჩვენსაზედ სრულიად სა-  
წინააღმდეგონი, მაგრამ, — თუკი თუნდაც ოდ-  
ნავის მიახლოებით შევასრულეთ ჩვენი ამოცანა  
და არ დავღალეთ თქვენი მოწყალები უურადღება.



1 — ტექსტში გამოყენებულია შექსპირის „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული და სერვიანტესის „დონ კიხოტის“ ავალიშვილისეული თარგმანები.



ეგეოსის კულტურა\*

თარგმნა ეთერ შურაშვილმა

ეგეოსის კულტურამ, რომლის პირველი ძეგლები ძვ. წ. მესამე ათასწლეულში გაჩნდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, იარსება ძვ. წ. XII საუკუნემდე, ე. ი. 1500 წელზე მეტხანს. ამ ხელოვნების ქმნილებები იპოვეს კრეტისა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის სანაპიროსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მიკენში, ტირინთში, პილოსში და სხვა უძველეს ქალაქებში. ამ ხელოვნების ძირითად ცენტრებს ხანდახან იხსენიებენ კრეტა-მიკენის კულტურის სახელწოდებითაც.

ეგეოსის კულტურის აყვავება კი უძთხვევა იმ ხანას, როცა ეგვიპტის ძველ და საშუალო სამეფოთა ოსტატებმა შექმნეს ხელოვნების მრავალი ნაწარმოები, ხოლო ელინური კულტურის სრულქმნილებამდე ჭერ კიდევ არცა შორს იყო. ეგეოსის ოსტატთა ქმნილებებს შორის ხშირად გვხვდება ეგვიპტისა და წინა აზიის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ეგეოსის სამყაროს ცენტრებს, განსაკუთრებით კი კრეტას, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ეგვიპტესთან. ამის დამადასტურებელი გახლავთ არა მარტო კრეტაზე ეგვიპტურის, ხოლო ეგვიპტეში კრეტის ძეგლების არსებობა, არამედ ძვ. წ. XV საუკუნის ეგვიპტურ ფრესკაზე კრეტის ელჩების იშვიათი გამოსახულებაც. ეგეოსელი მხატვრები, როგორც მათი ძეგლები გვარწმუნებს, იცნობდნენ ეგვიპტის კულტურას. თუმცაღა ამასთან კრეტა-მიკენის ხელოვნება თვითმყოფადი, ორიგინალური და განუმეორებელია.

არქეოლოგიურმა გათხრებმა, ხელმეორედ რომ გამოამწეურა მივიწყებული, მაგრამ თავისი სილამაზით იშვიათი და მხატვრული ოსტა-

ტობით დახვეწილი არქიტექტურული ძეგლები, ქანდაკებები, ფერწერა, მეცნიერ-ლინგვისტთა მიერ გაშიფრულმა ხელნაწერებმა და მათზე დაწერილმა შრომებმა საშუალება მოგვცა შეგვეგრძნო შეტწილად ჭერ კიდევ ამოუხსნელი ეგეოსის კულტურის ხასიათი. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში აღმოჩენილ იქნა მისი ძირითადი კერები: ჭერ უძველესი ტროა, შერე მიკენი და ტირინთი (ელადური კულტურა), შემდეგ კი ქალაქები კრეტაზე (მინოსური კულტურა) და დასახლებანი კიკლადის კუნძულებზე (კიკლადური კულტურა).

თესალიასა და კრეტაზე აღმოაჩინეს უფრო ძველი ძეგლები — სამუშაო თუ ხაომარი იარაღი, კერამიკა, რომელიც ნეოლითურ ხანას განეკუთვნება. ადრეელადური კულტურის (ძვ. წ. 2500-1800 წ. წ.) დასახლებანი არსებობდა პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთში, არგოლიდში სოფელ ზიგურნისთან, ატიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე აგიოს-კოსმოსში, ლერნში — არგოსის უბის ნაპირზე, ბეოთიაში, ტირინთში და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ოლქებში. ძვ. წ. მესამე ათასწლეულს განეკუთვნება ადრემინოსური დასახლებანი კრეტაზე (ძვ. წ. 2500-2000 წ. წ.), ადრეკიკლადური — ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და ისეთი დიდი ცენტრი, როგორცაა ტროა, მცირე აზიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.

ლეგენდარული ტროა — იმ დროისათვის დიდი ქალაქი, რომელიც ადამიანთა მეხსიერებას შემორჩა მომეროსის პოემის წყალობით, მდებარეობდა მარმარილოსა და ეგეოსის ზღვების შეშაერთებელი სრუტის სანაპიროზე. მომეროსის ფანატოკურმა თავუანისმცემელმა — გერმანელმა კომერსანტმა შლიმანმა, მიწნად დასაბა აღმოეჩინა უძველესი ტროა და კიდევაც

\* იბეჭდება შემოკლებით.



აღმოაჩინა. მაგრამ სპეციალური არქეოლოგიური განათლების უქონლობამ და დილუტანტის მოუთმენლობამ თავისი კვალი ლაატუმის საქმიანობას. მცდარმა ვარაუდმა, აგამენონის წინააღმდეგ მებრძოლი ქალაქი დედამიწის უველაზე უფრო ღრმა ფენებში უნდა იყოს. საუკუნე-ნახევრით ადრე არსებულ საბერძნეთ-ტროას ომამდე, ტროას ფენებამდე ჩაიყვანა იგი, და არსებითად ის დაანგრევინა, რასაც ასე დიდხანს მიეღტვოდა. შლიმანის შემდეგ ტროას გათხრები დიორბფელდმა, ბლეგენმა და სხვა არქეოლოგებმა ჩაატარეს. დღეისათვის გათხრილია უზარმაზარი ბორცვი, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქი და სადაც, არქეოლოგების აზრით, ცხრა ისტორიული ფენა გამოიყოფა: ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ. პირველი ათასწლეულის შუაწლებამდე.

„ტროა I“ წოდებულ უველაზე ღრმა ფენებში ნაპოვნი II მეტრამდე სისქის ქალაქის დასაცავად მკვიდრად ნაგები კედლები ძვ. წ. 2800-2400 წლებს განეკუთვნება. „ტროა II“ უბნებზე (ძვ. წ. 2400-2200 წ. წ.) შემორჩენილია სასახლისა და ციხესიმაგრის გალავნის ნანგრევები. გათხრებისას აღმოაჩინეს პანდუსის კარიბჭისაკენ მიმავალი გზის ნაწილი, საიდანაც, შლიმანის ვარაუდით, ბერძნებმა ის უზარმაზარი ხის ცხენი შეიყვანეს ქალაქში, ჰომეროსის პოემის მიხედვით მეომრები რომ იყვნენ დამალულნი ბერძენთა ჯარისთვის კარის გასაღებად. „ტროა III“ ფენებში იპოვა შლიმანმა იშვიათი მხატვრული ღირებულების ოქროს ვანძი, რომელსაც შეცდომით „პრიაშოსის საგანძური“ უწოდა. ბერძნებთან მეომარი ტროელთა მეფე პრიაშოსის ეს საგანძური, როგორც გამოირკვა, ვაცილებით უფრო ადრე იყო თურმე გადაშალული. ხანძარმა „ტროა II“ რომ გაანადგურა, ფერფლით დაფარა ის საგანძურიც, რომელიც შემდეგ შლიმანმა აღმოაჩინა. „ტროა II“ ადგილზე დარჩა პატარა ქალაქი, რომელსაც არქეოლოგებმა „ტროა III“ (ძვ. წ. 2200-2050 წ. წ.) და „ტროა IV“ (ძვ. წ. 2050-1900 წ. წ.) უწოდეს. ძვ. წ. 1900-1500 წლებში ქალაქი თურმე აღუდგენიათ და ეს ფენები „ტროა V“-დ განისაზღვრა. არქეოლოგიური გათხრების მოწმობით, ძვ. წ. 1500-დან 1360 წლებამდე „ტროა VI“ კვლავ დიდი და ძლიერი ქალაქი უოფილა, მძლავრი და მკვიდრი გალავნით შემოვლებული. როგორც ეტყობა, იგი მიწისძვრამ დაანგრია და მის ადგილზე აშენდა „ტროა VII“, რომელმაც ძვ. წ. 1300-დან 1100 წლებამდე იარსება. სწორედ ეს ქალაქი — ჰომეროსისეული ტროა — ებრძოდა ბერძენთა

ტომებს — აქაველებს და ძვ. წ. XII საუკუნეში იგი ხანძარმა გაანადგურა.

„ტროა VIII“ თარიღდება ძვ. წ. 1100 და 700 წლებით. ამ დროს აქ ცხოვრობდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე გადასახლებულნი ტრაკიელთა ტომები, შემდეგ კი ბერძნები უფრო მოგვიანებით აქ აშენდა „ტროა IX“. მისგან შემორჩენილია ტაძარი — საკანონმდებლო სხდომების შენობა-ბუდეცტორიონი და მუსიკალურ ასპარეზობათა ნაგებობა-ოდეონი, რომის პერიოდში ტროა იყო მცირე აზიის ერთ-ერთი დიდი ქალაქი. მისი ნაგებობანი უკვე გასცდა ციხესიმაგრის გალავანს — გალავანს გარეთ იყო თეატრიც და ტაძარიც. ტროას ეხმარებოდნენ იულიუს კეისარი და იმპერატორები ნერონი, ანტონინუს პიუსი, კარაკალა. ტროამ იარსება ახ. წ. 400 წლამდე.

„ტროა II“ (ძვ. წ. 2400-2200 წ. წ.) ფენებში ნაპოვნი სამეთუნეო დაზგაზე შექმნილი კერამიკული ნაკეთობანი, ხშირად უცნაური მოყვანილობისა, ადამიანს მიმსგავსებული. ამ ხანას მიუკუთვნება ქალაქის კედლების ნანგრევებში შლიმანის მიერ ნაპოვნი „პრიაშოსის საგანძურიც“. ოქროს დიადემები, ბეჭდები, სამაჯურები, ყელსაბამები, ქინძისთავები. დიადემები შემკულია გრძელ ძეწკვებზე ასხმული ოქროს თხელი ფირფიტებით. ოქროსა და მონღურჯოცისფერი თასები გამოირჩევა სადა, მაგრამ თავისებური ფორმებით. მათი ფაქიზი ზედაპირი არ არის მოხატული. ერთ-ერთი ჭურჭლის მსხვილი სახელურები, თანამედროვე სასაწებლეს რომ მოგვაგონებს, კარგად ესადაგება მის პრამორციებს. ყურადღებას იქცევს საგანძურში ნაპოვნი საომარი საჭურველი, კერძოდ საბრძოლო ნაჯახები. ქვის მაგარი ქანისაგან გამოთლილი ეს იარაღები შესაძლოა „ტროა II“ მეფის ან მხედართმთავრის ხელისუფლების სიმბოლოები იყო. ქვის პრიალა, გასიპული ზედაპირი ერთდება ორნამენტებით მოხატულ ცენტრალურ ნაწილთან ანუ სამაგრთან, რომლითაც ნაჯახი მაგრდებოდა ტარზე. ეგეოსის კულტურის ადრეული ძეგლები გამოირჩევა ნატიფი ზედაპირითა და ზოგჯერ კი ფორმების უყიდურესი სისადავით.

ეგეოსის კულტურის მეორე კერა ძვ. წ. მესამე ათასწლეულში გახლდათ კიკლადები — ძველად ტყით დაფარული კლდოვანი კუნძულები ეგეოსის ზღვის სამხრეთით: დელოსი, პაროსი, მელოსი, სიროსი, ამორგოსი და სხვ. აქ იქმნებოდა მხატვრული კულტურის ძეგლები, ქანდაკებები — შემკული უბრალო ორნამენტით, კერამიკის მოხატული ნაკეთობანი და ქვის მრგვალი ჭურჭელი. ერთ-ერთი ასეთი ჭურჭელი ცხადად მოგვაგონებს უძველეს ნაგე-



ბობას — ქობს. მოყვანილობით იგი უბრალოა, მაგრამ ზედაპირი დიდი გემოვნებითაა შესრულებული და ფაქიზი ორნამენტით გამოირჩევა. სახურავის ქვედა ნაწიბური შემკულია ტეხილი ხაზებით, სამკუთხედებს რომ წარმოქმნის და თითქოსდა სახურავის მოხაზულობას იმეორებს. ზედა ნაწილი კი დაფარულია კონცენტრიკული წრეებით ან სპირალებით და უფრო წარმოსაჩენს ხდის სახურავს. ჭერ კიდევ უძველეს ხანაში ცდილობდა ამორგოსელი მხატვარი (სადაც არის ნაპოვნი ეს ჭურჭელი) მოხატულობა საგნის ფორმასთან შეერწყა.

დღემდე შემონახულია თიხის ტაფა, რომელსაც ირგვლივ ორრიგად შემოვლებული აქვს ტეხილი ხაზები, ხოლო შუა ზედაპირი დაფარულია სპირალისებური ორნამენტით.

ამ ტაფის ოსტატს, კუნძულ სიროსის მკვიდრს, კარგად შეუხამებია ორნამენტის ნახატი მის კონტურებთან, ამასთან თიხაზე ამოუკაწრავს, როგორ შიპობს აბობოქრებულ ტაღღებს თევზისცხვირა, ნიჩბიანი კარბაქი, სპირალური ორნამენტები, მხატვრის წარმოდგენით მღელვარე ზღვის ზედაპირს ქმნიდა.

ამ კუნძულების ოსტატთა ნახელავია ეგ. წ. „კიკლადური კერპები“, მუცელზე ხელდაწყობილი ქალის მარმარილოს ქანდაკებანი. კერპების პირისაზე ძალზე ზოგადი და პრიმიტიულია, გლუვი და ბრტყელი, რომელზედაც, ჩვეულებრივ, ცხვირი გამოიკვეთება. ხოლო თვალები და პირი საღებავით აღინიშნებოდა. ბევრ ძეგლზე ფეხები ოდნავ მოხრილია მუხლებში, რის გამოც კერპები თითქოსდა სადაცაა წაიქცევნიან, თუმცა ისინი არც უნდა მდგარიყვნენ ფეხზე, არამედ აკლდამებში წოლილიყვნენ.

ზოგჯერ კიკლადელ ოსტატთა ხელიდან გამოდიოდა კომპოზიციურად მეტად თავსანტვრევი და რთული მოყვანილობის ქანდაკებანი, როგორიც გახლავთ ტაბტზე მჭდომი ფეხმორთხმული მებარფე, თავდავიწყებით რომ გადაუგდია თავი უკან და სიმებს აფდერებს. ამ ნაწარმოებშიც უურადლებას იქცევს სხეულის ცალკეული ნაწილების არაბუნებრივი შეერთება, ფორმათა მოუქნელობა და სიმკვეთრე.

კიკლადთა ქანდაკებებს წინიდან, ან გვერდიდან უნდა შეხედო, მათ ჭერ კიდევ არ გაჩინიათ ის სრულქმნილი პლასტიკა და ზუსტი პროპორციები, მოგვიანებით კლასიკური ბერძნული სკულპტურის ძირითად მხატვრულ გამომსახველობად რომ იქცევა. მაგრამ კიკლადელმა ოსტატებმა თითქოსდა განჭვრიტეს, ძველი ელადის მოქანდაკენი თუ ვით დაინტერესდებოდნენ ამ მასალით. კიკლადურ კერპთა სწორხაზოვანი კონტურები, წამაზული კუთხეები, მკვეთრი ნაკვთები და მოყვანილობა — ისეთივე სტილი-

თაა შესრულებული, რითაც ადრეული ეგეოსის კულტურის ჭურჭლეული.

1900 წლის მარტში ინგლისელ არქეოლოგთა ექსპედიციის გათხრებმა და აღმოჩენებმა კრეტაზე არტურ ევანსის მეთაურობით მთელი მსოფლიო განაცვიფრა. ეს გახლდათ მსოფლიოსათვის აქამდე უცნობი კულტურა, რომლის არსებობაც მხოლოდ შემონახული მითებით, ლეგენდებით და უძველესი ავტორების გამონათქვამებით იყო სავარაუდო. კრეტას არსებობაზე მეტყველებდა ბერძნული მითი თესვისა და მინოტავრზე, ცალკეული მინიშნებანი კრეტაზე — სხვადასხვა ხალხით დასახლებული ასქალაქიანი კუნძული, — ალაგ-ალაგ გვხვდება მომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“

არქეოლოგებმა კრეტაზე გათხარეს უზარმაზარი სასახლე და იპოვეს ეგეოსის ხელოვნებისა და კულტურის მრავალი ძეგლი, რომელიც მოიცავს პერიოდს ძვ. წ. მესამე ათასწლეულის შუაწინიდან ძვ. წ. XI საუკუნემდე.

ევანსმა შემოგვთავაზა კრეტის კულტურის ისტორიის რამდენიმე პერიოდი, უძველესს, რომელიც გრძელდებოდა ძვ. წ. 2800-დან 2000 წლამდე, კრეტის ლეგენდარული მეფის მინოსის გამო, ადრემინოსური ეწოდა. ამ დროს ეგვიპტეში იგებოდა გიზას უზარმაზარი პირამიდები, ქვისგან იკვეთებოდა ფარაონთა ვეება ქანდაკებანი, საძარხთა კედლები იფარებოდა რთული კომპოზიციური რელიეფებით. ამ საუკუნეებში კრეტაზე ძლიერდებოდა ეგეოსის კულტურა. მისი აყვავება განეკუთვნება შუამინოსურ ხანასა და გვიანმინოსურის დასაწყისს (ძვ. წ. 2000-დან ძვ. წ. 1425 წლამდე). ამ წლებში ეგვიპტელი ოსტატები ქმნიან ლუქსერისა და კარნაკის ნაგებობებს, ფარაონ ამენემჰეტას ქანდაკებასა და სხვა მრავალს.

წლები ძვ. წ. 1425-დან ძვ. წ. 1150-მდე — გვიანმინოსური პერიოდის დასასრულია. ამ ათასწლეულში დაინგრა კნოსოსი (ძვ. წ. 1425 წ.), მთისრა კრეტას ძლიერება, განადგურდა მისი კულტურა. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახალი ცენტრები და ქალაქები მიკენი, ტირინთი და სხვ. წარმოიქმნა.

კრეტა ოდითგანვე განთქმული იყო ნოყიერი საძოვრებითა, ვენახებითა და ზეთისხილის ქაღებით, ზაფრანითა და გაზაფხულის ყვავილებით აჭრელებული მდელოებით. კრეტის კულტურისა და ხელოვნების აყვავებას ხმელთაშუაზღვისპირეთის გზაჯვარედინზე მდებარეობაც უწყობდა ხელს. იმ დროისათვის უკვე ფართოდ იუენებენ ბრინჯაოს, რომლის შემადგენელია კალა. ეგვიპტესა და წინა აზიის ქვეყნებში კალა შემჭონდათ შორეული პირენეის მთებიდან და კრეტას ხელში ჰქონდა ჩაგდებული



არა მარტო იმ დროისათვის ესოდენ აუცილებელი ნედლეულით — კალით ვაჭრობა, არამედ სხვა ნედლეულითაც. კრეტას შვიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ხალხებთან. ეგვიპტესა და წინა აზიის ქვეყნებში ნაპოვნია კრეტელ ოსტატთა ნახელავი. ევროპის ჩრდილოეთი ოლქებიდან კრეტაზე შებქონდათ ქარვა.

შუამინოსურ პერიოდში, ძვ. წ. XVI საუკუნეში, როცა კრეტაზე მოხდა ხელისუფლების ცენტრალიზაცია, კუნძულის აქამდე დამოუკიდებელი ოლქები და ქალაქები დაემორჩილა უფრო ძლიერ კნოსოსს, რომლის მმართველებად ლეგენდებმა მინოსების სახელი შემოინახეს. საფიქრებელია, რომ ამ საუკუნეებში ეგეოსის სამყაროს დანარჩენი ოლქების ხალხებზე კრეტა ახდენდა არამარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ გავლენასაც. კრეტის მეფენი ხშირად პირველ ქურუმთა როლსაც ასრულებდნენ, რადგან კრეტაზე რელიგიურ მსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. კრეტის სახელმწიფოს ჰყავდა ჯარი და ფრიად ძლიერი ფლოტი.

კნოსოსის მეფეთა სამყოფელი იყო უზარმაზარი სასახლე, რომელსაც ევანსმა მინოსის სასახლე უწოდა. მისი ფართობი შეადგენდა თექვსმეტი ათას კვადრატულ მეტრს. შუაში მდებარე ვიწროთელა ეზოს ირგვლივ განლაგებული იყო სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ორი ან იქნებ სამსართულიანი შენობები, თუმცა იმის გარკვევა, რა სისტემით იყო ისინი განლაგებული, შეუძლებელია. გეგმით სასახლე რთულ ლაბირინთსა ჰგავს. გამოირჩევა დახლართული შესასვლელ-გასასვლელებით, მოულოდნელი ასასვლელი თუ ჩასასვლელი კიბეებითა და ურცარი მოსახვევებით. ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ კნოსოსის სასახლის არქეოლოგებსა და მკვლევარებს შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ სწორედ ამ ნაგებობის წყალობით შეითხზა უძველეს დროში ლეგენდარული ხეროთმოძღვრისა და მოქანდაკის — დედალოსის მიერ აგებულ რთულსა და დახლართულ ლაბირინთებზე ამდენი მონათხრობი.

კნოსოსის სასახლემ განაცვიფრა არქეოლოგები არამარტო რთული დაგეგმარებით, არამედ, თავისებური არქიტექტურული ფორმებითაც, კერძოდ სვეტებით, რომლებიც არ ჰგავნან ეგვიპტურს. ჩვეულებრივ ლოტოსის ან პაპირუსის ღეროებისა და ყვავილების დარად რომ იყო გამოქანდაკებული. კრეტული სვეტი უახლოვდება ანტიკური არქიტექტურის ფორმებს და ეფუძნება არა ბუნების ასახვასა და მიბაძვას, არამედ ტექტონიკას.

სასახლის დარბაზთა განათების ხერხი თავისებურია. სინათლე იქ კერში დატანებული ხვრელებიდან ანუ სასინათლო ქებიდან ატანდა,

და ამ განათების წყალობით დარბაზები იღუმალებით იყო მოსილი, ხან გაჩახახებული და ხან ნახევრად ჩაბნელებული.

გრძელი დერეფნებისა და რამდენიმე ოთახის გავლის შემდეგ მოხვდებით პატარა, სუფე დარბაზში, რომელიც 12 კვადრატული მეტრია. კედლების გასწვრივ მდგარი ქვის სკამები, მაღალზურგიანი ქვის ტახტი (იქნებ სულაც მუფე მინოსისა), კედელზე გამოსახული ფანტასტიკური ცხოველის ფრესკა, გვიანი ხანის ბერძნულ გრიფებს რომ გვაგონებს — ასეთია კნოსოსის სასახლის ერთ-ერთი მთავარი ნაგებობა, სადაც შესაძლოა საზეიმო ცერემონიები ტარდებოდა და მეფისა და მთავარი ქურუმის თანდასწრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებანი ცხადდებოდა.

კნოსოსის სასახლის ფრესკები მრავალფეროვანი შინაარსისა გახლავთ. ფერები კი ისეთი ცოცხალი და ხასხასა, თითქოს გუშინ დაუნატოს ოსტატის ხელს. კნოსოსის მხატვრების მუშაობის ხერხი შიგადაშიგ ჩამოგავს ეგვიპტელი ოსტატებისას. კრეტის, ეგვიპტელი მხატვრებისა თუ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ოლქების ოსტატთა ურთიერთობების საკითხი ჯერ კიდევ ბევრ აუხსნელ საიდუმლოს შეიცავს. მაგრამ უეჭველია, რომ კრეტის ხელოვნებამ ზემოქმედება მოახდინა ეგვიპტის ხელოვნებაზე და თვითონაც განიცადა მისი ზეგავლენა. საკმაოდ დაზიანებულ ფრესკაზე, „ზაფრანის მკრეფავი“, ყვავილებზე დახრილი ყმაწვილია გამოსახული (ზაფრანიდან საღებავ ნივთიერებას იღებდნენ). მისი სილუეტი ისეა გამოკვეთილი ხასხასა კოკრების ფონზე, რომ მნახველისთვის გასაგებია, ყვავილები ყმაწვილის ტანზე მოთქა არა, მის უკან — მდელოზე ამოწრილია. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოხატულმა ახალგაზრდა ქალის ნატიფმა პროფილმა და თმის ვარცხნილობამ არქეოლოგებს კეკლუსი ფრანგი ქალები გაახსენა და მათ მიერ შერქმეული სახელი — „პარიზელი ქალები“ — დღემდე შემორჩათ ამ ფრესკებს. აღსანიშნავია, რომ ფერმწერი თავლებს აქაც ანფასში ხატავს ისევე, როგორც ეგვიპტელი და წინააზიელი ოსტატები.

კრეტის ფრესკებზე ხშირად გვხვდება ქალთა სახეები. ეს აღბათ იმით აიხსნება, რომ კრეტაზე დედა-ღმერთს ეთაყვანებოდნენ, რომელიც გარეულ მხეცთა მბრძანებელი, მცენარეთა და მდინარეთა მეუფე და მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნების განმასახიერებელია. საფიქრებელია, რომ ფრესკებზე ქურუმ ქალთა ან თვით ქალღმერთის გამოსახულებაა. მაგრამ კრეტის ძეგლებში არ იგრძნობა რელიგიური კანონების ისეთი ზეგავლენა, როგორაც საკულტო წესის ელემენტებით გამსჭვალულ



ეგვიპტურ ხელოვნებაში გვხვდება. შესაძლოა, შემთხვევითი არ არის ის ამბავიც, რომ ფარაონ ეხნატონის აღმზრდელი კრეტიდან იყო. სწორედ მისი მმართველობის დროს მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებანი ეგვიპტის ხელოვნებაში. კრეტის ფრესკებზე ზოგჯერ შეიძლება ქურუმი ქალები ან ქალღმერთები კი არა, კრეტის წარჩინებული ქალები იყოს გამოსახული, რომელიმე ცერემონიას რომ აღევნებენ თვალყურს. ასეთია, მაგალითად, ცისფერ საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი სამი მანდილოსანი, გაცხოველებით ხელებს რომ ამოძრავებენ. მათ ნატიფი ვარცხნილობა, მდიდრული სამაჯურები და მძივები ამშვენებთ.

სასახლის კედლებს ფრესკების გარდა ორნამენტიც ამკობდა — უფრო ხშირად ტალღისებური ან სპირალისებური ხვეულები. კრეტის ორნამენტი ფერთა საუცხოო შეზავებითა და სიფაქიწით გამოირჩევა. მასში მარადიული მოძრაობა და სიცოცხლე იგრძნობა, რის მავალითსაც კრეტელებისთვის — ამ შესანიშნავი ზღვაოსნებისთვის — ზღვა წარმოადგენდა. ამიტომაც შემთხვევითი არაა, კრეტელთა უსაყვარლესი ორნამენტი ტალღის ქოჩორს რომ წაგავს.

კრეტელ ოსტატთა ფრესკებს ახასიათებს თავისუფალი, მეტყველი, მოქნილი ხაზები. მოძრაობის მძაფრი შეგრძნება და სიცოცხლე უბრალოდ და ამავე დროს დამაჯერებლად გადმოიცემა. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახული ფართოფარფლებიანი ოთხი თევზის მსუბუქი, ასბლეთილი მოძრაობა გაფრენას ჰგავს. ამ შთაბეჭდილებას აკლიერებს ხან გაშლილი, ხან კი დაკეცილი ფარფლები. ბერძენი ლარნაკომმატველნი, ასე რომ უყვარდათ ჭურჭელზე თევზებისა და დელფინების გამოსახვა, ალბათ იცნობდნენ კიდევ კრეტის კულტურის ამ ძეგლებს. უდაბნოს უსაზღვრო სივრცე, უზარმაზარი მდინარის თვალისათვის უჩინარი მშვიდი, ნღორე დინება, ეგვიპტელთა ხელოვნებაში რომ ხორცი შეუსხამს, არ იყო ის გარემო, სადაც კრეტელი ოსტატი იზრდებოდა. კრეტელები ზღვაოსნები იყვნენ. ტალღათა მარადიული მოძრაობა, გრიგალთა ქროლვა, ნარნარი, აღერხიანი სიო ხომალდთა აფრებს რომ დაბერავს — ახლობელი სტიქია იყო კრეტელი მხატვრებისათვის.

კნოსოსის სასახლის ფრესკებით ვეცნობით საზეიმო ცერემონიათა, რელიგიურ პროცესიარა, წმინდა ხართან თამაშთა სცენებს. ხარი იყო ღმერთკაცის ხატი კრეტაზე, მისი მსახური კი მეფენი — მინოსები. კრეტის ხელოვნებაში ხშირად გვხვდება ხარის ნიღბი.

დამახასიათებელია სცენაც, სადაც მხატვარს

უზარმაზარი ხარი გამოუსახავს, რომელსაც ვეება თავი მძიმედ დაუხრია და ისე მიქრის, მიწას თითქოს არც აკარებს ჩერქებს, რქებზე დაკიდებული ერთი მუშაითი ხარის ზურგზე დასახტომად მომზადებულია იქ მდგომი უმაწვილის მსგავსად, რომ შემდეგ ნიღბ შეწაზე დახტეს. სადღთო ცხოველთან ამ თავისებური თამაშას ფრესკაზე გადატანისას, ოსტატი ჩინებულად გადმოგვცემს მუშაითების ზუსტ რიტუიკას. მეტყველი ხაზებით ის ოსტატურად გვიჩვენებს, რა ლამაზია ხარის რქებზე აჭიმული უმაწვილის დაძაბული სხეული, რა მსუბუქად ინარჩუნებს წონასწორობას ზურგზე მდგომი და რა ნელა, მშვიდად ეშვება მიწაზე ქაბუკი.

კრეტელი ოსტატები, თავიანთი ფრესკებისათვის დიდი მხატვრული აღდგომით ირჩევდნენ შესაფერის სიბრტყეებს სასახლის დარბაზებში. სამხრეთის დიდი პროპილემების კედლებზე მხატვარმა გამოსახა ერთმანეთის უკან დინჯად მიმავალ ქაბუკთა პროცესია, რომლებიც თითქოს იმეორებენ აქ გამვლელ ცოცხალ ადამიანთა მოძრაობას. მათ საზეიმოდ მიიქვთ დიდრონი დოქები-რიტონები. ქაბუკებს ჭრელი წინსაფრები აცვიათ. მკლავის სამაჯურები უფრო მკვეთრად აჩენს მათ დაქიმულ კუნთებს. თმა ტალღურადა აქვთ დავარცხნილი, ტანი — მუქი საღებავით ნახატი. ამ დროის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ქალის სხეულის თეთრი საღებავით, მამაკაცისა კი მუქი ყავისფერით გამოსახვა.

ეგვიპტელ ოსტატებს უყვარდათ ყვავილთა და მცენარეთა, ზღვისა და ცხოველთა ხატვა. სამხრეთ კრეტის ერთ-ერთ ფრესკაზე ნაჩვენებია გარეული კატა, ბუჩქებიდან ჩუმი, მსუბუქი ნაბიჯით რომ ეპარება ჩიტს. ბუნებისა და ცხოველთა ზნის მცოდნე ოსტატს დაგვირვების უნარმა შეაძლებინა გადმოეცა დაძაბული, ყურებდაცქვეთილი მხეცის მტაცებლური ბუნება, მოქნილ ტოტზე უდარდელად ჩამომჭდარი ჩიტის დასაქერად რომ ემზადება.

კრეტის ფრესკების შინაარსი მრავალფეროვანია, საზეიმო ცერემონიების, სადღესასწაულო სვლების, სადღთო ხართან თამაშების ფერადოვან სურათებს ენაცვლება მცენარეთა, ცხოველთა, ზღვის ბინადართა ამსახველი ცოცხალი და ხატოვანი გამოსახულებანი. ამ წარმტაც ფრესკებზე პოულობენ ცხოვრებისეულ სცენებსა და კრეტელთა წეს-ჩვეულებების ჭერ კიდევ ამ უცნობ წვრილმანებს.

ფერწერა არ იყო ხელოვნების ერთადერთი სახე კნოსოსის სასახლის არქიტექტურის შესამკობად. მისი კედლები იფარებოდა დაბალი, ფერადი რელიეფებით. ერთ-ერთ ასეთ რელიეფზე მაღალთავსაბურთიანი ქაბუკია გამოსახული.



იგი ძოდის მინდვრის უფლებად უვავილებს შ. ა. რის იქვე კი პებელა დაფრინავს. ქაბუკი დახატულია უფრო ეგვიპტურისათვის დამახასიათებელი უაილით: ქაბუკის სახე და ფეხები პროფილშია, მხრები შემობრუნებულია ფასში, თვალი კი თითქოს მაყურებელს უმზერს. და მაინც იგი განსხვავდება ეგვიპტური ხელოვნების ძეგლთაგან, ვინაიდან აქ ხაზგასმულია არა რომელიმე წეს-ჩვეულების შესრულების მნიშვნელობა, არამედ უპირველეს ყოვლისა ადამიანისა და ბუნების ჰარმონია, რაც გამოიხატება ტანადი ვაჟის მსუბუქი მოძრაობისა და ყვავილების მოქნილ ღეროთა რხევასთან ორგანული შეპირისპირებით. სწორედ ეს ანიჭებს რელიეფს სულ სხვა სიახლეს, რაც არ ახასიათებს ეგვიპტურ კანონიკურ გამოსახულებებს.

თუ როგორ აზროვნებდნენ და გრძნობდნენ კრეტელები, ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ამ ხალხის ფილოსოფიის, რელიგიის, ლიტერატურის ცოდნის გარეშე ძნელია გაგება, რა იყო კრეტის კულტურის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. და მაინც ამ კუნძულის ხელოვნების ნიმუშები ადამიანს უფრო თავისუფალსა და ლაღს აჩენს, ვიდრე ეგვიპტური. ის მუხლმოყრალი, თითქოს თრგუნავს მისტიკურ შიშს საიდუმლოებით მოცულ გამგებლის წინაშე და ტკბება ბუნების მშვენიერებითა და ზღაპრული სიმდიდრით. კრეტელი მხატვრების მიერ გამოსახული ადამიანები მოხდენილი არიან, მათი მსუბუქი მოძრაობა ხშირად ჩამოგავს მცენარის რტოთა მოქნილ რხევას და აღიქმებიან ბუნების განუყოფელ ნაწილად.

კრეტის მრგვალი ქანდაკების მონუმენტურმა ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოადწია. მხოლოდ ქანდაკების ნაწილი — დიდი ზომის თმის კულულის ნატეხი, რომელიც ევანსმა იპოვა, გვაფიქრებინებს, რომ კრეტაზე მონუმენტური სკულპტურაც არსებობდა. უფრო ფართოდ იყო გავრცელებული მცირე ზომის ძეგლები: პატარა ქანდაკებანი, რელიეფები, სამკაულები. მათი შესწავლა გვარწმუნებს, რომ კრეტელი ოსტატებისათვის ცნობილი იყო სხვადასხვა მასალა: თიხა, სპილოს ძვალი, ოქრო, ბრინჯაო, ქაშანური.

კნოსოსის სასახლეში ნაპოვნი 80 სანტიმეტრის სიმაღლის ქაშანურის ქალთა ქანდაკებანი გველებით, თუმცა მცირე ზომისაა, მაგრამ გვაოცებს მოხდენილობითა და შესრულების ოსტატობით, მათ, უდავოა, საკულტო მნიშვნელობა ჰქონდათ და ასახიერებდნენ ჭურუმ ქალებს. კრეტელთათვის გველი კერიის დამცველი, კეთილი ღმერთი იყო. ამ ქალთა ჩაცმულობა — კოჭებამდე განიერი, მოკლესახელობა, გულმოხდილი კაბა — გვხვდება სხვა ქანდაკე-

ბებშიც და აგრეთვე ფრესკებზეც. ოსტატი ვანსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა მეტყველ თვალებს. ფართოდ გახედილი თვალები უფრო მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად მკვეთრი ხაზითაა შემორკალული. ჩაცმულობის ფერადოვნება, ფართოდ გახედილი თვალები მიგვანიშნებს, რომ კრეტელი ოსტატები იცნობდნენ აღმოსავლეთის ხელოვნებას. ამ გამოსახულებებში ნაკლებ იგრძნობა კრეტის ქმნილებების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი უსაზღვრო თავისუფლება მაგიური საიდუმლო ძალებისაგან. ამიტომაც რამდენადმე განცალკევებულად აღიქმებიან სხვა ძეგლებისაგან.

რელიგიური მნიშვნელობის საკულტო ქანდაკებებთან ერთად კრეტის ხელოვნებაში გვხვდება უანრობრივ სცენებთან ახლოს მდგომი გამოსახულებანი, კერძოდ, საქანელაზე მოქანავე ქალი და აგრეთვე ქაშანურის რელიეფებზე უშუალოდ გამოსახული თხა ციკნებითა და ძროხა ხბოთი. ერთი ციკანი მობრუნებულია, მეორე კი დედის ცურსა სწოვს, რაც ფრიად რთული გადმოსაცემია და ოსტატის დიდ ხელოვნებას ამტკიცებს.

მცირე ზომის ქანდაკების კრეტელი ოსტატები მუშაობდნენ არამარტო ქაშანურზე, არამედ ლითონზეც. ხარზე მხტომელის ბრინჯაოს ქანდაკება პატარაა. როგორც კნოსოს სასახლის ფრესკაზე, აქაც მუშაითი უკვე გაქანებული ცხოველის ზურგზე შემხტარა, ხელებით რქებში ჩაბლაუჭებია და წამიერად გაქვავებულა. ხარის ზონზრობა ტანი და მუშაითის მოხდენილი სიმსუბუქე საოცრად გაბედულადაა ერთმანეთთან დაპირისპირებული, რაც უცხოა ძველევგვიპტური და წინააზიური ხელოვნებისათვის.

შედარებით კარგადაა შემონახული სპილოს ძვლისგან გამოჭრილი კიდევ ერთი მუშაითი, რომლის მოძრაობაც არანაკლები სითამამითაა გამოსახული. ოსტატი გვიჩვენებს ყმაწვილის მოქნილ ტანს, დაკუნთულ მკლავებსა და ფეხებს. სხეულის დაძაბულობის გადმოცემა და წონასწორობის შეგრძნება დიდ პატივს დებს კრეტელ მოქანდაკეს, რომელმაც საში აიხასხუთასი წლის წინ შექმნა ეს ძეგლი.

კრეტელი მექოთნეებისა და მხატვრების ოსტატობაზე მეტყველებს სამეთუნეო დაზგაზე ნაძერწი თიხის ლარნაკები მოხატული ორნამენტით, ყვავილთა, ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებით. კრეტელ მექოთნეთა — თავისი საქმის დიდოსტატთა ჭურჭელი ხშირად კვერცხის ნაჭუჭივით თხელია, ლარნაკების მოყვანილობა მეტწილად მრგვალია, ხასხისა და ცოცხალი ფერებისა. განსაკუთრებით დახვეწილია და ნატიფი შუამინოსისდროინდელი ე. წ. კამარესის სტილის ჭურჭელი. მუქ ზედაპირზე



თეთრი ხალხებით შესრულებული ორნამენტი თითქოს მაქმანებრით შემოქსოვია ჭურჭელს და უვავილთა ფურცლებსა და მცენარეთა რტოების სტილიზებულ ფორმებს გვაგონებს.

რაც არ უნდა ამკობდეს კრეტის ლარნაკებს — ორნამენტი, წვრილ ღეროზე მოყვლეულავე ნატიფი სტილიზებული უვავილები ოუ უზარმაზარი რვაფეხა, თითქოს თავისი საცეცებიტ რომ შემოხვევია ჭურჭელს — უოველივე კრეტელ ლარნაკომხატველთა ფაქიზ გემოვნებასა და მრავალფეროვანი ცოცხალი ბუნების ღრმა ცოდნას დაფუძნებულ ამოუწურავ ფანტაზიაზე შეტყუველებს.

გურნიის მრგვალ ლარნაკზე რვაფეხას თითქოსდა შეკუმშული, მოქნილი საცეცები უფრო ღრმად გვაგრძნობინებს ლარნაკის პლასტიკას. კრეტელი ლარნაკომხატველი უოველთვის ცდილობს ფორმას ნახატით გაუსვას ხაზი: მომრგვალო სურისათვის ის ირჩევს რვაფეხას ან წრიულ ორნამენტს, შალალ ლარნაკზე გამოხატავს მცენარეთა წერწეტა ღეროებს, რომლებიც თანდათან ფართოვდებიან უვავილებთან ერთად, თვით ჭურჭლის მოყვანილობის მსგავსად. კრეტელ ოსტატთა ამ ხერხს შემდგომში უკვე ბერძნები გამოიყენებენ.

კრეტის კერამიკულ ჭურჭლეულზე, როგორც წესი, ადამიანი არ იხატებოდა. ადამიანის უფაცხოვრებისეულ საგანს — ლარნაკს კრეტელი ოსტატი არ ტვირთავს შინაარსით. ამავე ღრმს სარიტუალო ქვის ჭურჭლეულზე, მაგალითად, აგია ტრიადის რიტონზე გვხვდება ხართან ბრძოლისა და თამაშის რთული კომპოზიციები. ხარის მოთვინიერების სცენები ეამოსახულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ნაპოვნ თასებზე, რომლებიც უთუოდ კრეტაზეა დამზადებული. ერთ-ერთი თასის ზედაპირზე გახელებული ხარები ცდილობენ გაეჭყნენ მომთვინიერებელს, მეორეზე კი ისინი უკვე დამორჩილებიან ადამიანის ნებას.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქალაქები, ადრე კრეტას რომ ემორჩილებოდნენ, ძვ. წ. XVI საუკუნეში უკვე წინააღმდეგობას უწევენ კრეტის სახელმწიფოს, თუმცაღა ჭერ კიდევ მასზე არიან დამოკიდებულნი და ხარკსაც უხდიან. შემთხვევით არ აღმოცენებულა ბერძნული მითი უძღებ შინოტავრზე, რომელსაც ათენიდან მსხვერპლად ეგზავნებოდა შვიდ-შვიდი ქაბუკი და ასული. ზუსტად არაა ცნობილი, როგორ დაიპყრეს აქაველებმა კრეტა. „ძვ. წ. XV საუკუნის შუაწლებში, გაზაფხულის ერთ კვირა დღეს, როდესაც სამხრეთის ძლიერი ქარი უბერავდა და ჩრდილოეთისაკენ მორიზონტალურად მიშქონდა ნივნივების ალი, კნოსოსი დაეცა“, — წერს არქეოლოგი პენდლბერი.

კრეტაზე ასეთი ქარები გაზაფხულზე იცის, აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში. საკულისხმა, რომ სწორედ ამ თვეში, ბერძნული მითის მიხედვით, კრეტაზე გაემგზავრა თესევსი. ჩრდილოეთიდან მოსულმა დაარბიეს სასახლე, დაამხვრიეს შესასვლელი კედარი კოლოსალური რელიეფი, რომელზედაც გამოხატული იყო მორქენალი ხარი. თვით სასახლის ადგილიც „უწმინდურად“ მიიჩნიეს, რადგან აქ ხლებოდა ცოცხალ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა. კნოსოსის დაცემის შემდეგ პირველობა ეგეოსის ზღვის აუზში აქაველებს გადაეცათ — ბალკანეთის ნახევარკუნძულის იმ ხალხს, რომელთაც კრეტა დაიპყრეს, მაგრამ კულტურით კრეტელებზე დაბლა იდგნენ.

ძვ. წ. XVI საუკუნეში ბალკანეთის ნახევარკუნძულის აქაველთა ქალაქები გადაიქცნენ წამყვან ძალად ეგეოსის ზღვის აუზში. თუმცა მათ ჭერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა ტროა, რომელსაც ხელთ ეპყრა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სრუტეები, მაგრამ ტროას ომმა გადაწყვიტა დავა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ტომების სასარგებლოდ. აქაველთა კულტურა, თუმცა კრეტულთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა, მაინც ეგეოსის კულტურის შტოა. მიუხედავად ამისა, იგი თვითმყოფადია, შექმნილი სხვაგვარ ისტორიულ საფუძველზე იმ ხალხის მიერ, რომელსაც ჰქონდა თავისი წესჩვეულებები, თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები.

მატცის მიხედვით, ბალკანეთის ნახევარკუნძულის კულტურის განვითარების პერიოდიზაცია ასეთია: ძვ. წ. 2500 წლამდე — ნეოლითური პერიოდი. შემდგომნეოლითური პერიოდი — ძვ. წ. 2500-2300 წ.წ. ადრეელადური კულტურა მოიცავს ძვ. წ. 2300-1900 წლებს. შუაელადური კულტურა — ძვ. წ. 1900-1570 წ.წ. აქაველთა გამოჩენისთანავე წარმოიშვება ადრემიკენური კულტურა 1570-1500 წლები (შახტური სამარხების ხანა). შუამიკენური კულტურა — ძვ. წ. 1500-1400 წლები (გუმბათიანი სამარხების აღმოცენება და აქაველთა შეტრა კრეტაზე). გვიანმიკენური კულტურის პერიოდი განისაზღვრება ძვ. წ. 1400-1125 წლებით. შემდეგ უკვე დორიელთა გადმოსახლებასთან დაკავშირებული მიკენისა და ტირინთის დანგოვვის ხანა დგება.

ტირინთი და მიკენი ზღვისპირიდან ცოტა მოშორებით მდებარეობდა. მათ დამაარსებლებს ძალზე ეშინოდათ მეკობრეების უეცარი თავდასხმებისა. ქალაქები გაშენებული იყო მაღალ ბორცვებზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა შემოგარენი. ციხესიმაგრეთა მკვიდრად ნაგები კედლები საიმედოდ იცავდა მცხოვრებ-



ლებს მტერთაგან. ტირინთში და მიკენში აშენდა ქალაქის ცენტრი — აკროპოლი. გვაოცებს აქველ გამგებელთა ციხესიმაგრეთა კედლების, კოშკების, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჭრილი უზარმაზარი ქვის კიშკრების ციკლოპური წყობა. ეს ძეგლები აქველთა ქალაქების დამახასიათებელი ცხოვრების ბრწყინვალე არქიტექტურული ნიმუშებია.

ტირინთის აკროპოლი მდებარეობდა უზარმაზარი რუხი ქვისაგან აგებულ გალავნით გარშემორტყმულ მაღალ ქვიან პლატოზე.

„ოქროთი მდიდარი“ მიკენის ციკლოპური წყობის ბლოკები თავისი მოოქროსფერო ფერით მკვეთრად განირჩევა „გალავან-ძლიერი“ ტირინთის გიგანტური, პირქუში, ნაცრისფერი ლოდებისაგან. ტირინთის გამაგრება ქვიანურად იყო მოფიქრებული. აკროპოლზე იერიშით მისულ შემოშრებს, კიშკრამდე რომ მიედწიათ, გალავნის გასწვრივ უნდა გაეფლოთ ისრების, შუბებისა და ქვების სეტყვის ქვეშ. ტირინთის ციხესიმაგრის ფართო და მაღალ გალავნის კედლებში განლაგებული იყო დერეფნები, რომლებსაც ხაწყობებად იყენებდნენ. აკროპოლის ფერდობის ხშირ ბუჩქნარში აღმოჩნდა საიდუმლო გვირაბი, რომელიც პირდაპირ ციხესიმაგრესთან, იქიდან კი სასახლისკენ მიდიოდა.

ტირინთის მეფის სასახლე შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის ტიპურ საზეიმო ნაგებობად. არსებითად იგი განსხვავდება კნოსოსის სასახლისაგან. შინოსის სასახლეში ყურადღებას იპყრობს პალატებისა და დარბაზების უსისტემო განლაგება, თითქოს ხუროთმოძღვარს თანდათანობით მიუშენებია ერთი ნაგებობა მეორისათვის. ტირინთის მეფის სასახლეში დარბაზებისა და ოთახების განლაგება ექვემდებარება ცენტრალურ ნაგებობას — შევარონს, რომლის ოთხი სვეტი იჭერდა სახურავს და გარს ერტყა კერას.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად მაშინ ითვლებოდა ტირინთისაგან 15 კილომეტრით დაშორებული მიკენი. მომეროსი მიკენს „ოქროთი მდიდარს“ და „ხალხმრავალს“ უწოდებდა. უფრო მოგვიანებით, კლასიკური საბერძნეთის გაფურჩქვნის პერიოდში, უდიდესი ელინელი დრამატურგები თავიანთი გმირების მოქმედების ადგილად ხშირად ირჩევდნენ სწორედ აქველთა ამ უძველეს ქალაქს. ევრიპიდეს „ორესტასა“ და სოფოკლეს „ელექტრას“ მოქმედება მიკენის აკროპოლში ხდებოდა.

მიკენის აკროპოლს გასაოცარი მდებარეობა აქვს. იგი ლამაზად გადმოჰყურებს გარშემო მდებარე მიდამოს, გორაკებს, ზეთისხილის ქა-

ლებს. ძნელად მოიძებნება ამ მიდამოებში უფრო მოხერხებული ადგილი მტრისაგან თავდასაცავად. მიკენის აკროპოლის ერთ მხარეს ღრმა ხევია, სხვა მხარეებზე კი ციხესიმაგრის კედლები. მიკენის აკროპოლის შესასვლელი ცნობილ ლომთა კარიბჭეზე გადის, რომელიც ძვ. წ. XIV საუკუნეში აშენებული. კარიბჭის ფართო შესასვლელს აგვირგვინებს ორი ძუ ლომის რელიეფური გამოსახულება, რომელთაც წინა თათები შემოუწყყვიათ კრეტის სვეტების მსგავს მაღალ კვარცხლბეკზე. ძუ ლომთა სახეები, როგორც ჩანს გაკეთებული იყო ქვის ბლოკებისა თუ ბრინჯაოსაგან და ჩვენამდე არ შემონახულა. ამ ძეგლისათვის დამახასიათებელია არა მარტო ის, რომ აქ ძლიერი მტაცებელი ლომია გამოსახული, მიკენის ხელოვნებისთვის ესოდენ ჩვეული, ხოლო კრეტულისათვის უცხო, ბერძენთა ხელოვნებაში კი შემდგომ ხშირად გამოყენებული, არამედ ის ორიგინალური ხერხი, რომელიც მიკენელ ხუროთმოძღვართა გამომგონებლობაზე მეტყველებს. ლომთა კარიბჭეში არქიტექტორმა შეამსუბუქა ზემოთა დირეს დატვირთვა და შექმნა განტვირთვის გამჭოლი სამკუთხედი, რომელიც შედარებით უფრო მსუბუქი რელიეფური ფილებით შეავსო.

ლომთა კარიბჭის სიახლოვეს მდებარეობდა აქველ დიდებულთა სამარხები, რომელთაგან ხუთი შლიმანმა გათხარა. უფრო მოგვიანებით აღმოაჩინეს მეექვსეც, ხოლო 1952 წელს სამარხები მიკენის ქალაქის კედლებს გარეთაც გაითხარა. ღრმა სამარხებში მხოლოდ ვერტიკალური ქა-შახტების განგრევით თუ შეიძლება ჩასვლა, რისთვისაც მათ შახტური სამარხები ეწოდა. აქ აღმოჩნდა აუარება ვანძეული: ვერცხლისა და ოქროს თასები, დიადემები, ნიღბები, ტანსაცმლის მოსართავი ოქროს ბალთები, ოქროთი ინკრუსტირებული ხანჯლები და ა. შ.

სამარხებში აღმოჩენილი ძვირფასი ქურქლეული და საგნების ნაირსახეობა შუქს ჰფენს მიკენის დიდგვაროვანთა ზნე-ჩვეულებებსა და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ადათ-წესებს. ეს ფუფუნება შეესაბამება მიკენის დიდებულთა რამდენადმე ბარბაროსულ ლტოლვას სამკაულებისა და ნივთების დავროვებისაკენ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამარხის ოქროს ნიღბები — დამზადებული ლითონის თხელი ფირფიტებისაგან. ისინი გარკვეულ წილად გადმოსცემენ ზოგიერთ ინდივიდუალურ ხასიათს, თუმცა კი პორტრეტებად მაინც ვერ ჩაითვლებიან. გარდაცვლილთა სახეზე ნიღბების ჩამოცმა ბელადის ან მხედართმთავრის



პიროვნების სიდიადეზე მიანიშნებს, კრეტის ხელოვნებისათვის უცხო, ასეთი ძეგლების წარმოშობა მოწმობს ძალისადმი მოწინებებს აქაველთა ტომებში. იგივე შეიმჩნევა მიკენისა და ტირინთის მკვიდრად ნაგები კედლების არქიტექტურაში, ჭურჭლეულის ბატალურ სიუჟეტებში, ფრესკების ნადირობის სცენებში და აქაველთა კულტურის სხვა ძეგლებში.

მეოთხე სახტურ სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭლის ნატებზე შემონახულა მალღობზე მდებარე ქალაქის ალყის გამოსახულება. მალღობ კედლებზე მოჩანს მალღობ ბელეგაწვდილი ქალები, რომლებიც შეძახილებითა და ხელების ქნევით ამხნევენ ქალაქის დამცველთ. მხატვარი გადმოგვცემს არა მარტო ხალხის საერთო მღელვარებას ბრძოლის დროს, არამედ უურადღებას ამხვილებს წვრილმანებზეც. მაგალითად, მეომრები შეიარაღებულნი ისრებით და შურდულებით. ოსტატი გამოსახავს ბრძოლის ველზე მდგარ ხეებსაც.

აქაველთა ხელოვნებისათვის ჩვეულ ბატალურ სურათებში შეიმჩნევა ბუნების თავისებური გააზრება და უპირველეს ყოვლისა, სწრაფვა მეომართა ხასიათის გადმოსაცემად, ზოგი მათგანი გაშიშვლებულია გვიანი ხანის ბერძნული ხელოვნების გმირების მსგავსად.

ძვ. წ. XVI საუკუნის შახტური სამარხების ოქროს თასების მოყვანილობა მრავალფეროვანია. ზოგიერთი ჭურჭელი შემკულია ვარდულებით, სხვანი კი გვოცებენ მოქნილი კონტურების მრავალსაზნებოთ. ასეთია ალუბასტრის მშვენიერი ჭურჭელი — ნატიფი, რთულსახელოვანი ფიალები. ზოგიერთი თასი უურადღებას იქცევს სისადავითა და უადრესი უბრალოებით.

აქაველთა ტომების ამ დროის ძეგლებში შეიმჩნევა ფორმათა სტატიკურობა. შახტურ სამარხებში ნაპოვნი ტანსაცმელზე დასაჯერებელი ოქროს ბალთები შემკულია რვაფეხას, პებლებისა და ორნამენტული გამოსახულებებით. მაგრამ ცოცხალი ბუნების ეს სახეები კრეტის ხელოვნებისაგან განსხვავებით სქემატურადაა დახატული. აქ მეფობს მკაცრი სიმეტრია, და უძრობა, სპირალების გამოსახვის დროსაც კი.

შახტურ სამარხებში აღმოჩენილი ხანჯლები მარტო აქაველთა საომარ საჭურველთა ნიმუშებს როდი წარმოადგენენ. მათ ზედაპირზე ინკუსტრირებულია სიუჟეტური სცენები, რის გამოც ბრწყინვალე ოსტატთა ეს ნამუშევრები ხელოვნების კრემარიტ ქმნილებებად არიან მიჩნეულნი. ერთ-ერთ ხანჯალზე მხატვარს გამოუსახავს ლომებზე ნადირობა — შუბებითა და ფარებით შეიარაღებულ მონადირეთა

შებრძოლების დაძაბული წუთი მხეცთან. ერთი მონადირე ხელში ჩავარდნია საშინელ მტაცებელს. უიღბლო მონადირის ფარშომარჯვებული მეგობრები უხლოვდებიან მტაცებელს, შუბების ქნევით აშინებენ ლომს და ცდილობენ ამხანაგის გადარჩენას.

ამ სცენაში მხატვარს მალღობ მოსურბებულად გამოუყენებია მუქი-ყვითელი, ღია-ყვითელი და თითქმის თეთრი ოქრო: ამ კეთილშობილია ლითონის სხვადასხვა ელფერის შეხამება აცოცხლებს გამოსახულებას. საფიქოებელია, რომ ბერძენმა ოსტატებმა ბევრად მოგვიანებით, კლასიკურ ხანაში, უზარმაზარი ქანდაკების შექმნისას (ეგ. წ. კრიზოელეფანტის ტექნიკა — ოქრო და სპილოს ძვალი), მიკენის ოსტატთა მსგავსად გამოიყენეს სხვადასხვა ელფერის სხვა ლითონებთან შედნობის გზით მიღებული ოქრო, მოგრძო ხანჯლია ზედაპირზე მხატვარს დიდი ხელოვნებით გამოუყვანია შესაფერისი დინამიური სცენა — ლომების ნადირობა ირმებზე. ერთ-ერთ ხანჯალზე მდინარის მუქი ზოლი ჩანს, რომელიც მიიკლავება მინიატურული ინკრუსტაციით ნახელავ ბუჩქებსა და ყვავილებს შორის. ოსტატს აქვე ჩაუხატავს მდინარეში მოცურავე იხვსა და თევზებს ჩასაფრებული კატა. ზოგიერთზე გამოუსახავთ ნიჟარები, ზღვის ვარსკვლავები, მარჯნები, მაგრამ უფრო ხშირად — ბრძოლისა და ნადირობის სურათები.

უფრო მოგვიანებით, ძვ. წ. XV საუკუნეში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე, უმთავრესად პელოპონესში, აშენდა ქვის გუმბათიანი სამარხები. ასეთია ატრევსის აკლდამა — სიმაღლით 14 მეტრი. სამარხის შესასვლელისკენ ქვის უხეში ბლოკებისაგან ნაგები გრძელი ტალანი — დროშის მიემართება (38 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის). სამარხის შიდა კედლის ფილები ისე იყო გამოთლილი და განლაგებული, გუმბათის მრგვალი ზედაპირი შეექმნა. აქ ყოველივე კარჩაკეტილობისა და გარე სამყაროსაგან განდგომის განწყობაზე მეტყველებდა. კედლებზე მიმაგრებული ბრინჯაოს ვარდულები ანელებდა ამ დიდებული სამარხის პირქუშ იერს. აღსანიშნავია, რომ აქაც სიმძიმის განსატვირთავად სამკუთხედიან გამოყენებული. სამარხისაკენ გავალ მალღობ სწორკუთხა კარის თავზე სამკუთხა ლიობი, ლომთა კარიბჭის მსგავსად. ფალებით იყო ამოყვანილი. ატრევსის სამარხის დამატებითი სათავსოს შესასვლელიც ამ ხერხით არის ნაგები.

კრეტის მსგავსად, მიკენის, ტირინთის და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ქალაქების სასახლეთა კედლები ფრესკებითაა მონა-



ტული. აქველებიც გატაცებულნი იყვნენ ლარნაკობატვით. მრგვალი ქანდაკების ნიმუშები უფრო იშვიათია. მიკენის ფრესკული ფერწერა ტექნიკურად ახლოსაა კრეტის ფერწერასთან, მაგრამ ცხოვრების აღქმა, თემატიკა, სტილისტური ხერხები უაღრესად თავისებურია. ტირინთის სასახლის ფრესკაზე კრელ, გამოკვართულ კაბაში გამოწყობილ შავკულულებიან ქალს, თითქოს ოდნავ ეხება თითებოთ. ფრთხილად შიაკვს ზარდახშა მისთვის რაღაც ძვირფასი განძით. ფრესკის დეტალებში შეიმჩნევა კრეტელ ოსტატთა გავლენა. სახის დახვეწილი პროფილი, ჩამოშლილი გრძელი კულულები გვაგონებს კრეტელ ქალთა ვარცხნილობას. ამდაგვარი ძეგლები პოწმობენ, რომ შესაძლოა მიკენში კრეტელი ოსტატები მუშაობდნენ, რომლებმაც ხმელეთზე ჩაიტანეს ის, რითაც ასე განთქმული იყო მათი მშობლიური კუნძული. და მაინც ამ ძეგლში გამოსახულების უაღრესად ახალია, განსხვავებული კრეტის მშვიდი და ლაღი ქმნილებებისაგან. აქ იგრძნობა თავდაპირველი, საზეიმო განწყობა, წეს-ჩვეულებებისა და მოქმედების მნიშვნელობის შეგრძნება.

ტირინთის მეორე ფრესკაზე ფაქიზად გადაბედილ ხეივანში მიმავალ ეტლში მსხდომი ორი ქალია დახატული. ქალთა ტანსაცმელი ქიტონებს ჩამოკვავს, რომლებიც მოგვიანებით ბერძნებში გავრცელდა. ფრესკა აღსავსეა სადღესასწაულო განწყობილებით. აქ უოველივე უფრო მშვიდი და სტატიკურია, ვიდრე კრეტის ფრესკებზე. ქალებს შუბლზე კულული ჩამოშლიათ, ისევე როგორც კრეტის ფრესკებზე ხატავდნენ მხატვარნი. კრეტის დინამიკურ ხელოვნებას მხოლოდ ეს ერთადერთი დეტალი გვახსენებს. ხაზი, რომელიც კრეტის ხელოვნებაში ოსტატის განწყობილებასა და გრძნობებს გამოხატავდა, ახლა მხოლოდ ამა თუ იმ საგნის გამოსახვის საშუალებად იქცა.

ძალზე თავისებურია აქველთა ნაწარმოებების თემატიკა: იგი შორსაა კრეტის ძეგლების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი უშფოთველობისაგან, აქ უფრო ხშირად ვხვდებით ლომებზე ნადირობას, ტახტს დადევნებულ ძაღლებს, საბრძოლო ცხენების შემკაშმელ მეომრებს. ფრესკაზე „საბრძოლო განგაში“, ნაჩვენებია ცხენებთან მდგომი მუწარადიანი და შუბოსანი მეომრები, ამდაგვარი სიუჟეტები, კრეტული-საგან განსხვავებით (აქ ცხენების გამოსახულებანი არ გვხვდება), უეჭველია მებრძოლ აქველთა ცხოვრების ხომარა პირობებითაა ნაკარნახევი.

განსაკუთრებით ბევრი სიახლე გვიანი პერიოდის აქველთა ჭურჭლეულის მობატულობაში, რომელიც ძლიერ განსხვავდება კრეტული ლარნაკების კომპოზიციებისაგან.

ძვ. წ. XII საუკუნის მიკენურ ლარნაკზე გამოსახულია მწკრივში მიმავალი, ფარებით შეიარაღებული შუბოსანი და მუწარადიანი მეომრები, ქალი კი მათ დასაცავად ლოცვას აღავლენს. მაშასადამე, აქველთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა საბრძოლო სიუჟეტმა ლარნაკთა მობატვაშიც იჩინა თავი. ჭურჭლეულზე ადამიანთა გამოსახვა, რაც კრეტელთათვის მანამდე უჩვეულო იყო, ახლაც არცთუ ისე იშვიათი გახდა.

ეგეოსის კულტურის გაფურჩქვნის ასწლეულები წარსულს ჩაშბარდა. აქველთა ნაგვიანვე ძეგლებში უკვე შეიმჩნევა, ის, რაც ბერძნების ხელოვნების განვითარების აღრეულ პერიოდში გამოვლინდება. კნოსოსზე და პილოსში აღმოჩენილი ხაზოვანი დამწერლობა ნაწილობრივ მიგვითითებს იმაზე, რომ მიკენის დამწერლობა ბერძნულის წინამორბედი.

ძვ. წ. XII საუკუნეში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ტომთა გადაადგილება ხდება. ჩრდილოეთიდან დორიელები უტყვენ. ძვ. წ. XII საუკუნის დასაბლებებში, მაკედონიიდან მოყოლებული კრეტამდე, არქეოლოგები პოულობენ ნგრევისა და ხანძრების კვალს. ამ დროს მცირე აზიაში ისპობა ხეთების სახელმწიფო ეგიპტური წყაროები აღნიშნავენ ტომთა ხშირ გადაადგილებას. ეგეოსის ზღვის აუზში ძლიერი ცვლილებები ხდება.

XII საუკუნის დასაწყისში სისხლისმღერელი და დამქანცველი ომის შემდეგ აქველებმა ტროა დაამარცხეს, მაგრამ თვითონაც დაუძლურდნენ და დორიელ ტომთა ძლიერ შემოტევებს ვეღარ გაუძლეს. ძვ. წ. 1120 წლისთვის დორიელები დაეუფლნენ პელოპონესს. ამ დროისათვის ეგეოსის კულტურა საბოლოოდ იღუპება. იწყება საკუთრივ ბერძნული კულტურის ახალი ხანა.

არა გვგონია საგანგებო სამხატვრო მომზადება ანდა დიდი მგრძნობელობა იყოს საჭირო იმისათვის, რომ აღვიქვათ უხსოვარი დროის კნოსოსი სასახლის კედლის ფრესკების, მიკენისა და ტირინთის არქიტექტურის, ტროას ოქროს ჭურჭლეულის, მიკენის ხანჭალთა განსაცვიფრებელი ინკრუსტაციების, ლომთა კარიბჭის მეტყველი პლასტიკის უდიდესი სილამაზე და დიდებულება.



# უცხოური იუმორი

## პრიტიკა

ხელოვნებათმცოდნე ახალგაზრდა მხატვრის სურათს ამოწმებდა.

— შეხედეთ, რას გავს, — თქვა მან. — ამის დამხატვას ნიჭის ნატამალი არ გააჩნია. რანაირი ლარნაკი და ვარდია. ასეთი ვარდი არ არსებობს! ანდა, აი, ეს შავი ლაქა ლარნაკზე, ვითომ ბუხია? სინამდვილეში ბუხი ასე არ გამოიყურება.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამასობაში სურათზე ბუხს გამოედღვიძა და გაფრინდა.

## შეცდომა

— ჯეე, რატომ აქვს შენს გამოქანდაკებულ გენერალს ასეთი უცნაური პოზა? — ჰკითხა ნოტანდაკეს მეგობარმა.

— საქმე ის არის, რომ მუნიციპალიტეტმა თავიდან ცხენზე ამხედრებული გენერალი შემიკვეთა, მაგრამ როცა უკვე მზად იყო, ცხენის ხარჯები არ დაუმტკიცეს.

## ასოციაცია

— თქვენი ქალიშვილი ზუსტად ისე უკრავს პიანინოზე, როგორც ჩემი შეფი, — უთხრა სტუმარმა მასპინძელს.

— ისიც უკრავს?

— არა, მაგრამ, მისმა მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა.

## ნიუნის მოგება

ცოლი ხმამაღლა კითხულობდა გაზეთს, რომელშიც იუწყებოდნენ საფრანგეთში მომხდარ წყალდიდობაზე, რამაც რამდენიმე მილიონი ფრანკის ზარალი გამოიწვია.

— აი, ხედავ, — წაიბურტყუნა ქმარმა, — შენ კი ყოველთვის ამტკიცებ, თითქოსდა ყველაფერში ალკოჰოლია დამნაშავეო.

## დეგრიუტი

ახალგაზრდა მსახიობი აღფრთოვანებული მიიჭრა შინ და მშობლებს ახარა:

— პიესაში როლი მივიღე. ოცი წლის დაქორწინებული მამაკაცი უნდა განვასახიერო.

— მომილოცავს, შვილო, დამწყები მსახიობისათვის ეგეც კარგია! მერე კი ალბათ ისეთ როლსაც მოგცემენ, სადაც სიტყვის თქმაც მოგიწევს.

## მზრუნველობა

ერთმა ხნიერმა მსახიობმა მხატვრის მიმართა:

— ამ თეატრში ოცი წელია ვმსახურობ და მგონი, უკვე დროა იფიქროთ ჩემი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

— კარგი, განკარგულებას გავცემ, თქვენ მოგცენ ყველა ის როლი, სადაც სცენაზე კამო უწევთ.

## ბანმარტება

ცნობილ კრიტიკოსს ჰკითხეს, მეცხრამეტე საუკუნისა და თანამედროვე რომანს შორის რა განსხვავებაა.

— ძველ რომანებში ჭაბუკი თავის რჩეულს ასორმოცდამეათე გვერდამდე არა ჰკოცნის. თანამედროვეში კი მას უკვე მეორე გვერდზე პირველი უკანონო შვილი უჩნდება...

## საპატიო მიზეზი

— შმუტკე, რატომ კითხულობ დეტექტივს სამუშაო დროს? — მკაცრად ჰკითხა უფროსმა ხელქვეითს.

— მოგეხსენებათ, შეფო, აქ ისეთი ხმაურია, რომ სერაოზული წიგნების წაკითხვა, ყოვლად შეუძლებელია.

## სარწმუნო ფაშტი

პარიზის ქუჩაში ერთ კორსიკელს მანქანამ ტალახი შეაშხეფა და განაწყენებული ყველა პარიზელს დიდხანს ხმამაღლა კიცხავდა და საყვედურით ავსებდა.

— აი, ჩვენთან, კორსიკაში ასეთ დროს შოფერი დაუყოვნებლივ აჩერებს მანქანას, გადმოდის, ბოდიშს უხდის, სთხოვს შინ წაჰყვას, მოთხუპნულ ტანსაცმელს საგულდაგულოდ უწმენდს, უმასპინძლებს შამპანურით, ტოვებს ღამე თავისთან, მეორე დილას საუზმეს უმზადებს და უკან დასაბრუნებელ ფულსაც აძლევს.

— ყოვლად დაუჯერებელი ამბავია! — წამოიძახა მის გვერდით მყოფმა პარიზელმა.

— გეფიცებით, სრულ ჭეშმარიტებას ვამბობ.

— თქვენ გქონდათ ასეთი შემთხვევა?

— არა, ჩემს ცოლს!

## შურისძიება

— ვერ გამიგია, რატომ მისთხოვდა მონიკა თავის მაგინებელ კრიტიკოსს.

— გადაწყვიტა, შური იძიოს.



**მიუხვედრელობა**

— ძვირფასო, მე მხოლოდ შენთვის ვითამაშებ, — უთხრა სატრფოს ახალგაზრდა მსახიობმა.

— მაგრამ, ალბათ, სხვებიც დაესწრებიან, პანს, — მიუგო მან.

**გამოცდილება**

შვეიცარიის გამძლე ქმრების საზოგადოების წევრებს, ვისაც ქორწინების ოცდახუთ წელზე მეტი სტაჟი აქვთ, კითხვით მიმართეს უცოლო მამაკაცებმა.

— რომელი ქალები არიან უფრო ერთგულნი: ქერა, შავგვრემანი თუ წითური?

— ჭალარა! — მიუგეს ერთხმად.

**საზრთხე**

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მისტერ ჯონსმა გამოიწვია საშუალება, დაერწმუნებინა ცოლი, რომ მანქანა ფრთხილად ეტარებინა: იცოდნენ, კატასტროფაში რომ მოჰყვებოდა, გაზეთები ნეკროლოგში შენს ასაკს მოიხსენიებდნენ!

**პატივმოყვარეობა**

პარიზის ერთ სალონში რომელიღაც მწერალი ჰყვებოდა:

— ამ რამდენიმე დღის წინათ, მარსელში რომ მივემგზავრებოდი, ჩემს კუპეში ქალი იჯდა და ჩემს ახალ რომანს კითხულობდა. იგი ორი სადგურით გასცდა იმ ადგილს, სადაც მიდიოდა...

— ალბათ თუ ჩაეძინა, — შენიშნა კრიტიკოსმა იან კოკტომ.

**ზეზოთაბა**

სახლის პატრონმა ქვემო საბურთალოს მდგმურს კარზე მიუკაკუნა და შეშფოთებით ჰკითხა:

— რას შერებით, შატრუნიანი?

— არაფერს, ქალბატონო, ქორწინონზე ვუკრავ.

— მაღლობა ღმერთს, — თქვა დამშვიდებით ქალმა, — ვიფიქრე, საწოლს ფეხებს ახერხავს-მეთქი.

**მოგოდიშება**

მოთმინებიდან გამოსულმა მოქალაქემ ტ. ლეფონის ჯიხურის კარი გამოაღო და შიგნით კაცს მიმართა:

— კიდევ დიდხანს ილაპარაკებთ?

— მე ჯერ ერთი სიტყვის თქმაც არ მომიწვრია, ცოლს ველაპარაკები, — მიუგო მან.

**ახსნა-განმარტება**

— გუშინ პირველად ვიყავი მიუზიკ-პოლში, — უთხრა ერნამ ამხანაგს.

— რა არის მიუზიკ-პოლი? — ჰკითხა მან.

— ფრიად საოცარი რამ, — მიუგო ერნამ, — არც ერთმა სიმღერა არ იცის და ყველა მღერის.

**დაეჭვება**

— არც ერთი შეცდომა არ არის, — უთხრა მასწავლებელმა ბიჭუნას, როცა საშინაო დავალება შეუმოწმა, — ოღონდ ნუ დამიმაღავ, მამაშენს ვინმე დაეხმარა?

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა





„ყრამა გვირაგვინით“ (კანონი, 1600 წელი ჩვ. წრ.)



„მზრინავი თევზი“ (მალთა, 1600—1500 წწ. ჩვ. წრ.)





6/50/135

78182



ქართული  
საქართველო



„მუხამადის თამაშობანი ხართან“ (ქანკანის, ღაბასა, 1500 წელი ნ.პ. სრ.)